1969/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

12

1969

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 45-ე № 12 დეკემბერი, 1969 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


## შინაარსი


ჯანსუღ ჩარკვიანი — ლექსები . . . . . . . . . . . . . . . . 3
ელიზბარ მაისურაძე — ვაჟკაცსა გული რკინისა... მხატვრული ნარკვევი . . 6
იაპონური პოეზია. თარგმანი მურმან ლებანიძისა . . . . . . . . . 33
აკაკი გელოვანი — მურზაყანის მახვილი. ისტორიული მინიატურა . . . . 40
ბულგარული პოეზია. თარგმანი ბულგარულიდან მუხრან მაჭავარიანისა . . . 64
კონსტანტინე გამსახურდია — აფორიზმები, აზრები და სხარტული გამონათქვამები. . . . . . . . . . . . . . . . . 79
გიორგი ხვედურელი — ეჟვი. ფრონტული ცხოვრებიდან . . . . . . . . 85

### 100 ვ. ი. ლენინი 100

გურამ ყორანაშვილი — ვ. ი. ლენინი კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 114
ივ. გაბალაშვილი — უკრაინისათვის თავდადებული ქართველი მეომრები . 120

### კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

ბესარიონ ჟღენტი — სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელი . . . . . . . 131
გიორგი ნატროშვილი — უდაბნოში დაწერილი წიგნი . . . . . . . 143
გიორგი მარგველაშვილი — საუკუნეთა მიჯნაზე . . . . . . . . 150
რევაზ მიშველაძე — პოეზია და „ლიტერატურული საქართველო“ . . . . 160

### მწერლის ტრიბუნა

რევაზ ჯაფარიძე — რაც მტრობას დაუნგრევია . . . . . . . . . 166



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა



11986

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე

●

სარედაქციო კოლეგია:
ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ბ. ჟღენი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. ჭნ-გელაია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

●

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 28/X-69 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/XII-69 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16.6.

უე 02430. ტირაჟი 10.400. შეკვ. № 3234.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანსუღ ჩარკვიანი

## გზა

მეც მხრებზე მაწევს
ჩემი დარბაზი,
სავსე მზით, ცეცხლით,
მტრით და მოყვარით.
სულ რამდენიღაც
შემრჩა ამბაზი,
მოსავლისა და
სტუმრის მომყვანი.
დაჟანგულია
ქამარ-ხანჯალი
და სიმღერები
დახარჯულია...
და სიყვარული
ანჩხლი, არჯალი,
თუშის ყბასავით
დახანჯლულია.
წავალ, გავყვები
ჩემს გზას გასავლელს,
ლამაზს, უწმინდესს,
ჩუმს და სევდიანს,
ოღონდ ნუ იტყვი
შენ გენაცვალე, —
ერთხელაც კი არ გავახსენდიო.

## აკვანი

მუხის და წაბლის
და სიცოცხლის ამონაყარი —
თეთრი აკვანი,
იასამნისფერი აკვანი,
მის ჩუქურთმებში
მთვარის თეთრი
ძუძუ ჩამტკბარა
და შიბაქებში
მზისფერ კაკბის
ისმის კაკანი...
მზით გაახურეთ
თეთრი თონე
და ჩააკარით
კვერი ობლისა,
თუ დგას აკვანი,
ხოხბისყელისფერი აკვანი,
ის გამოცხვება
პირველყოვლისა.
მუხის და წაბლის
და სიცოცხლის
ამონაყარი,
ჩვენი აკვანი,
ხოხბისყელისფერი აკვანი.
ვაი სირცხვილო,
სადღაც გამქრალი,
ამოკვეთილი
ხელის კანკალით,
სტირის ჩუქურთმა
თეთრი აკვნისა,
მზისგულზე მომკელ-
ელის სამკალი,
დარდი არავის
არ აქვს სამკლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზით გაახურეთ
თეთრი თონე
და ჩააკარით
კვერი ობლისა,
თუ დგას აკვანი,
ის გამოცხვება პირველყოვლისა.

* * *

ახლა კი, მაგრამ რაღა დროსია,
ვის უნატრია სავსე მთვარეზე,
ეს რა მომსვლია,
ეს რა მომსვლია,
აღარ მინდიხარ,
აღარ დაგეძებ!
ეს რა მომსვლია
აღარ გიმღერი,
აღარ უსტვენენ იადონები,
ო, ღმერთო ჩემო,
თეთრი ნიღბებიც
ალბათ წავლენ და მიგატოვებენ.
ალბათ წავლენ და
შენ გენაცვალე,
უნიღბოდ რაა შენი მშვენება...
მე კიდე ჩემი დარდი მაწვალებს,
აღარ მინდიხარ,
რა მეშველება.

* * *

რა ძალა გადგა, გადივლისო, რას მამშვიდებდი,
ისევ გაფრინდნენ ცეცხლისფერი ჩვენი ჩიტები,
ისევ გაივსო მწუხარებით ჩვენი ოთახი.
რა ძალა გადგა,
გადივლისო, რას მამშვიდებდი.

## გახსენება თოვლში

შემცივდა და მომეჩვენე თეთრად,
გამახსენე ის პირველი თოვლი,
დამტვრეული ციგა გაგიკეთე
და გაკოცე უპირველესყოვლის.
ხევსურული მოგიტანე წინდა,
მთაწმინდაზე რომ არ შემიცივდე,
გავიხედე, უცებ გამიწვიმდა
და ბავშვობა ჩვენი შემეცოდა.

## ვეფხვი, დუმილი

მაშა დუმილიც მიმითვალე...
ნ. ბარათაშვილი

გულთამხილავო,
მიწაშია ჩემი დუმილი,
დამჯახებია შენი ზვირთი
და ვიტანჯები.
მრგვალ მაგიდასთან
„შორეულ ვეფხვს" ამბობს ტუვიმი
და სიძულვილში
ჩემი მტრები მიალაჯებენ.
შენ ვერ გაიგებ ვეფხვის ღრიალს,
იგი შორს არის,
მე კი, მაღვიძებს ყოველ ღამე
მისი ღრიალი.
მშვენიერება მიბრძანდება —
პატიოსანი
და სულში მრჩება
მისი თოვლი, ტალახიანი.

გულთამხილავო,
სისხლი, სისხლი, ვეფხვის მაღვიძებს,
შენ არც კი იცი
ვეფხვის სისხლი რანაირია,
ის იდგა ჩემში,
მერე დუმილს რომ ვერ გაუძლო,
აყვირდა უცებ
და ძარღვებში გადაირია.

გულთამხილავო,
სისხლი, სისხლი ვეფხვის მეძახის,
შენ ვერ მიხვდები, ის ჩემშია,
ჩემში ღრიალებს.
გაქრა ღრუბელი,
მეც კაცი ვარ და არ მეძრახვის,
ჩემი დუმილი
თუ ვეფხვივით გამატიალებს.

## აკაკი

მე ჩემი ქვეყნის ღამემ დამღალა,
რის განთიადმა,
ღამემ დამღალა, —
რა ამბავია ამხელა ღამე...

## ძიება

თამუნას ბედზე,
მამუკას ბედზე,
ისევ და ისევ,
ისევ თავიდან,
მე ისევ ვეძებ,
მე ისევ ვეძებ,
მე მაინც ვეძებ,
კი, ჭეშმარიტად.
მე ისევ ვეძებ,
მე კვლავაც ვეძებ,
ლოდებს ვაბრუნებ
და ვეძებ ისე,
შენ როგორ ფიქრობ,
ვიპოვი? შევძლებ?
მაგრამ რა არი —
შენც აღარ მისმენ.
. . .

ვინ გაახარა
ანდა ვინ დარგო
იმქვეყნიური
ხილი სხვაგვარი,
რას ვეძებ ნეტა,
რა დამიკარგავს,
ანდა რა მქონდა
დასაკარგავი.
თამუნას ბედზე,
მამუკას ბედზე,
ისევ და ისევ,
ისევ თავიდან,
მე ისევ ვეძებ,
მე ისევ ვეძებ,
მე მაინც ვეძებ,
კი, ჭეშმარიტად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიზბარ მაისურაძე

# ვაჟკაცსა გული რკინისა...

## მხატვრული ნარკვევი

1

სოფელ მეტეხის აღმართზე მძიმედ მიჭრიალებდა ხრეშით დატვირთული ურემი. მეურმე ტიტო მაღალაშვილი კოფოზე ჩამომჯდარიყო და სახრეს ხან ერთ ხარს გადაჰკრავდა, ხან მეორეს.

მეურმის შეძახილზე დაჯანდაკებული და დავარდნილი ხარები ყურსაც არ იბერტყდნენ. ზანტად ადგამდნენ მუშაობით ილაჯგაწყვეტილ ფეხებს და ძლივს მიჰქონდათ ურემი.

ერთი კვირა იყო, რაც მეტეხის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სიმონ ბოგველმა გზებზე ხრეშის დასაყრელად· გამოყო მაღალაშვილი. ტიტო დილიდან საღამომდე ურემზე იჯდა. მტკვრიდან ხრეშს ეზიდებოდა და უსწორმასწორო გზებზე ჰყრიდა.

წინათ ხალისიც ჰქონდა ტიტოს და საქმეც უხაროდა. ურმის კოფოზე ისე როგორ ჩამოჯდებოდა, ტკბილი, გულშიჩამწვდომი ურმული არ დაეღიღინებინა.

ახლა კი გულჩათხრობილი იყო. ან რა ჰქონდა სამხიარულო. უფროსი შვილი მიხეილი ოცდავთრამეტ წელს გაისტუმრა არმიაში. ის იყო მოათავა სამხედრო სამსახური და შინ უნდა დაბრუნებულიყო, რომ ომმაც მოუსწრო. მას შემდეგ ერთი წერილი აღარ მიუღია მისგან. არ იცის მკვდარია თუ ცოცხალი.

მეორე ვაჟი დურმიშხანი კი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ბრეთის მებაღეობის მეურნეობაში მუშაობდა აგროტექნიკოსად, ისე უჩუმრად გაიპარა ომში მოხალისედ, რომ მამას არც კი გააგებინა.

— ვითომ რატომაო? — სწყინდა ტიტოს შვილის საქციელი, — მე უარს ვეტყოდი?

მართლაც, ტიტო მაღალაშვილს, როგორც გულადსა და უშიშარ რევოლუციონერს, მარტო კასპის, რაიონში კი არა, გორის რაიონშიც კარგად იცნობდნენ, გიგო მაღალაშვილის რევოლუციურ წრეში ტიტო ყველაზე აქტიური წევრი იყო. ამ წრემ, გიგოს უშუალო ხელმძღვანელობით, მთელ საქართველოში პირველმა მოაწყო ყუმბარების გასაკეთებელი საიდუმლო სახელოსნო სოფელ თეკნელასთან, თეძმის ხეობაში. სახელოსნოს მოწყობილობა თვითონ გიგომ ჩამოიტანა საიდუმლოდ მეტეხში. გიგო საკმაოდ განათლებული კაცი იყო, საზღვარგარეთ ნამყოფი და პროფესიულ რევოლუციონერებთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. სახელოსნო ასაფეთქებელი მასალით ამარაგებდა გორის მაზრის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რევოლუციურ ორგანიზაციას.

მეფის აგენტებმა მალე მიაკვლიეს იმ სახელოსნოს. ერთ მშვენიერ დღეს თავს პოლიცია დაეცათ. მართალია, სახელოსნოს მოწყობილობის რკონის ტყეებში გადამალვა მოასწრეს, მაგრამ ტიტო შეიპყრეს და მეჯვრისხევის ციხეში ჩააგდეს. შემდეგ ბორკილი დაადეს და თბილისში, მეტეხის ციხეში გადმოიყვანეს.

ამიტომაც მძიმედ განიცდიდა ტიტო დღევანდელ მდგომარეობას. შვილების დარდთან ერთად გულს უღრღნიდა ის ამბავი, რომ მტერი კავკასიონის კარიბჭესთან იყო მომდგარი და საქართველოს ცეცხლითა და მახვილით ემუქრებოდა. იმის წართმევას უპირებდა, რის გულისთვისაც დაიღვარა მილიონთა სისხლი, რის გულისთვისაც იბრძოდა მთელი თავისი ახალგაზრდობა.

ახლაც ამ ფიქრებში იყო გართული ტიტო. ხარები მძიმედ, ზანტად ეწეოდნენ უღელს. ურემი შეუმჩნევლად მიღოღავდა აღმართზე.

მეტეხს რომ გასცდა, ახალქალაქის გზაზე

ტიტომ ურემი შეაჩერა, კოფოდან გადმოხტა და ხრეში გადმოცალა. მერე ნიჩბით უსწორმასწორო გზა მოასწორა, ურემი უკან შემოაბრუნა და პირდაპირ სახლისკენ გასწია.

შიოდა. დილის აქეთ არაფერი ეჭამა. შუადღისას ყოველთვის შეივლიდა ხოლმე შინ პურის საჭმელად, დღეს კი რატომღაც არ გახსენებია.

ჭიშკართან ქალიშვილი ტასო შემოეგება.

— ადამიანო, სადა ხარ აქამდე? არ მოგშივდა? — ალერსიანად მიმართა მამას.

ტიტომ ხმა არ გასცა. ურმიდან ხარები გამოუშვა, ბოსელში შერეკა, თივა დაუყარა და ტასოს მაშინ ჰკითხა:

— გააკეთე რამე საჭმელი?

— ისეთი ლობიო შევანელე, ნამდვილად მოგეწონება!

— მაშ გაშალე სუფრა, ხელებს გადავიბან და მოვალ...

მწნილისა და ახალ გამომცხვარი მახობელა პურის სუნმა ჭამის სადერღელი აუშალა მშიერ კაცს. უნდოდა პური გაეტეხა, მაგრამ უცებ ბიჭები გაახსენდა.

— ვინ იცის, როგორ უჭირთ ან როგორ შიათ... — გაიფიქრა და კედელზე ჩამოკიდებულ სურათს დააცქერდა. ბიჭები შუაზე გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს. შემდეგ მზერა მეუღლის სურათზე გადაიტანა, რომელიც სამი წლის წინ გარდაიცვალა. ბოლოს თავის სურათს შეხედა ბორკილგაყრილი რომ იყო გადაღებული. ამ სურათმა ერთხელ კიდევ გაახსენა 1907 წლის რეაქციის სუსხიანი ხანა, თავისი ახალგაზრდობა, გორის, მეჯვრისხევისა თუ მეტეხის მკაცრი საპატიმროები.

ოთახში ტასო შემოცუნცულდა, ცივცივი წყალი შემოიტანა.

— ადამიანო, რაღას უცდი, რატომ არა სჭამ პურსა?

— შენ გელოდებოდი. მოდი, დაჯექი. ლუკმა არ ჩამდის ყელში. მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, ხომ გაგიგონია!..

ტასო გვერდით მიუჯდა მამას. ის იყო, პური უნდა გაეტეხათ, რომ მათ ეზოს ახალთახალი შავი მანქანა მოადგა.

ტასო სკამიდან წამოვარდა და აივანზე გაიჭრა. მერე ისევ შემოტრიალდა.

— მგონი, ჩვენთან არიან, მამა!

ტიტო ეზოში ჩავიდა. ასეთი მანქანა მას არ ენახა მეტეხში გავლილი. ნეტავ ვინ არიანო, გაიფიქრა და მანქანისაკენ ჩქარი ნაბიჯით გასწია.

ჯერ არც კი დაახლოებოდა, რომ კარი გაიღო და მან მანქანიდან სახელმწიფო უშიშროების ორგანოს ფორმაში გამოწყობილი გენერალი გადმოვიდა მხლებლებითურთ. ტიტომ ნაბიჯი შეანელა, გენერალი შეათვალიერა. იგი ტიტოს ხნისა იქნებოდა. მაღალი იყო, ბრგე. დიდი, გრძელი ულვაშები ყურებამდე ჰქონდა გადაგრეხილი და მის ვაჟკაცურ, არწივულ სახეს უფრო მეტ შნოსა და ლაზათს აძლევდა.

გენერალი დინჯი, მტკიცე ნაბიჯებით გამოემართა მისკენ.

— თქვენ ბრძანდებით ტიტო მალალაშვილი? — ჰკითხა გენერალმა და თავით ფეხამდე შეათვალიერა.

—დიახ, მე გახლავართ, ბატონო! — დაბნეულივით უთხრა ტიტომ და გაოგნებული სახეში მიაცქერდა. თან გაიფიქრა, — ამ „დიდმა კაცმა“ ჩემი სახელი და გვარი ან რა იცის, ან რაში დავჭირდიო.

— გამარჯობა, ამხანაგო ტიტო. ვერა მცნობ? — გენერალმა სახე გახსნა და ხელი გაუწოდა.

ტიტოს სუნთქვა შეეკრა და ოდნავ აფორიაქებული გული ისევ გენერლის მშვიდმა, მოღიმარმა სახემ დაუცხრო.

— ვერ გიცნობთ, ბატონო. ან საიდან უნდა გიცნობდეთ, — ერთი ნაბიჯით უკან დაიწია მალალაშვილმა.

— აბა გაიხსენეთ 1907 წელი, მეჯვრისხევის ციხე, ჩვენი მეგობრობა...

ტიტო მიხვდა, რომ მის წინ ვილაც ძველი რევოლუციონერი, ოდესღაც ალბათ მასავით ბორკილგაყრილი და საკატორღედ გამზადებული პატიმარი იდგა, მაგრამ ვერ სცნობდა.

ტიტო ხარბად შესცქეროდა უცნობს, უყურებდა და ვერ მიმხვდარიყო, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ეს ჩინ-მედლებით მკერდდამშვენებული გენერალი.

— მართლა ვერა მცნობ, კაცო? — მხარზე ხელი დაჰკრა გენერალმა და თვალებში ჩააცქერდა.

— ვერა, ბატონო. მაპატიეთ, მაგრამ ვერა გცნობთ. ისე კი, რაღაც ნაცნობი სახე გაქვთ.

— მეჯვრისხევის ციხე გახსოვს?

— რა დამავიწყებს. ცხრა თვე მამყოფეს იმ ჯურღმულში.

— აბა ერთი გაიხსენე, მაშინ ვინ ისხდნენ შენთან ერთად იმ ციხეში!

— ხოვლელი მიშა ჯაჯანაშვილი, შემდეგ კაზაკებმა რომ შეიპყრეს დოესში და ხმლით აჩეხეს... ბერშუეთელი ისაკო გზირიშვილი...

— კიდევ!

— შავშვებელი გიგო წკრიალაშვილი...

— კიდევ?

— წითელქალაქელი მიხა დანდუროვი...

— მართალია, შემდეგ?

— ერთაწმინდელი გიორგი ელისაბედაშვილი.

— კიდევ?

ტიტომ რამდენიმე კაცი კიდევ ჩამოთვალა, მაგრამ გენერალი იმათთაგანი არ აღმოჩნდა.

— გენერალს სახე შეეკრა და წარბები შეეჭმუხნა.

— მაშ, მეტი არავინ გაგონდება?

ტიტო ჩაფიქრდა.

— თათარი ჟანდარმი თუ გახსოვს, ჩვენი ზედამხედველი რომ იყო ციხეში. შენ რომ ჩხუბი მოგივიდა, ვის დაუძახე მომეშველეო, ვინ მოგეშველა?

— სულ დამავიწყდა... ეგნატაანთ საშა, კაცო... ეგნატაანთ საშა, — ხმამაღლა წამოიყვირა ტიტომ და ისევ განაგრძო, — ვენაცვალე იმის მარჯვენას, ისე ურტყა იმ ჟანდარმს, რომ იმის შემდეგ უბატონოდ ხმას ველარ გვცემდა. გენერალს გაეცინა.

— ჰოდა, ის ეგნატაანთ საშა მე ვარ, ჩემო ტიტო, მე!

— ოხ, შენ გენაცვალე, ბიჭო! — ხმამაღლა შესძახა ტიტომ და ხელები გაშალა. გენერალმა მკლავები შემოჰხვია და მეგობრები ოცდახუთმეტი წლის შემდეგ კვლავ ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— აბა რას ვიფიქრებდი, თუ კიდევ გეხსომებოდი. მადლობა ღმერთს, არ დაგვიწყებივარ, ჩემო საშა, მადლობა ღმერთს...

— რამდენი ხანია აღარ ვყოფილვარ საქართველოში. ახლაც ძლივს მოვახერხე ჩამოსვლა ამ გახურებული ომის დროს. გულმა აღარ მომითმინა და ვიფიქრე: მოდი, ტიტოს ვინახულებმეთქი. სხვა, როგორ ხარ, ბიჭო, ხომ არ დაბერდი? შვილები რამდენი გყავს, ომში ხომ არავინა გყავს წასული?

— როგორ არა, ორი ბიჭი გავისტუმრე... ერთი პატარალა დამრჩა შინ.

ტიტო გაჩუმდა, ღრმად ამოისუნთქა და განაგრძო.

— მაპატიე, ჩემო საშა, ლაპარაკი გამიგრძელდა, მობრძანდი ოჯახში...

აივანზე ავიდნენ, სკამებზე დასხდნენ. შიგნით ოთახში ტასოს უკვე მოესწრო მაგიდის ალაგება, ახალი სუფრა გადაეფარებინა. ტიტომ თავისი ქალიშვილი და უმცროსი ვაჟი გააცნო საშას.

— მეუღლე სადღაა?—იკითხა გენერალმა.

— სამი წლის წინათ გარდამეცვალა! უცბად გახდა ავად და ვერაფერი ვუშველეთ. — ამოიოხრა ტიტომ.

სტუმარს წარბები შეეჭმუხნა და მეგობრის მწარე ბედით შეწუხებულმა სინანულით თავი გააქნია.

ერთ ხანს მდუმარედ იჯდა გენერალი. ვინ იცის, რას ფიქრობდა. მერე ფიქრებიდან გამოერკვა და ტიტოს მიუბრუნდა.

— რომელ ფრონტზე იბრძვის შენი მეორე ვაჟი?

— ამჟამად მოსკოვშია, უშიშროების ჯარებში მსახურობს. გუშინ მივიღე წერილი!

— აბა ერთი მაჩვენე ის წერილი!

ტასომ კარადის უჯრიდან წერილი ამოიღო და გენერალს მოკრძალებით გაუწოდა.

გენერალმა სამკუთხა ბარათს დახედა. მისამართი ჩაიკითხა. ქაღალდში ჩაინიშნა და უნებურად წერილი გადახსნა.

— ძვირფასო მამა, — იწერებოდა დურმიშხანი, — ვიცი, რომ ჩვენი ფიქრი მოსვენებას არ გაძლევს არც დღე, არც ღამე. შენი სული და გული ჩვენკენ არის მოპყრობილი. ახლა მე მოსკოვში ვარ, N ნაწილში და ერთი სული მაქვს როდის შევებმები პირსისხლიან ფაშისტებს. გაძლევ პირობას, რაც თქვენ, მამებმა რევოლუციით მოიპოვეთ, ჩვენ, შვილები, იმ მონაპოვარს მტერს არ გავაქელინებთ. თუ ჩემმა წერილმა დაიგვიანოს, ნუ შეგეშინდება. ხომ იცი N ნაწილში ვარ და აქედან ვერაფერს გეტყვი,

— ყოჩაღ, კარგი ბიჭი ყოფილა, ტიტო! — სახე გაუბრწყინდა გენერალს, — კვიცი გვარზე ხტისო, შენ დაგმსგავსებია.

ტიტომ სიამაყე იგრძნო გენერლის სიტყვებზე, ზეზე წამოდგა, ხელი მოჰკიდა, გაუღიმა და უთხრა:

— მე ვერაფრით გაგაკვირვებ, ძვირფასო საშა, ჩვენს საუბარს რომ ეშხი ჰქონდეს, მოდი, მაგიდას შემოვუსხდეთ.

— თანახმა ვარ! სახე გაეხსნა გენერალს, — მაგრამ ძალიან გთხოვთ ნუ შეწუხდებით. ჩვენ ახლა იმის დრო კი არა გვაქვს, რომ ვიქეიფოთ. მალე უნდა წავიდეთ.

შინ შევიდნენ. მაგიდას შემოუსხდნენ. ტასო ციბრუტივით დატრიალდა და სახელდახელოდ სუფრა გააწყო.

გენერალმა მახობელა პურს წამოავლო ხელი. დააცქერდა, გადაატრიალ-გადმოატრიალა, დაყნოსა, მერე როგორც ტიტომ, თვითონაც ჩაამტვრია ლობიოში და გლეხურად, ხელით დაიწყო ჭამა.

სტუმარი გემრიელად მიირთმევდა ლობიოს. ლობიოსთან ერთად მადიანად შეექცეოდა წითელი პამიდვრის წნილს და ნება-ნება სვამდა ახლად დადუღებულ მაჭარს. ეტყობა, მონატრებული იყო ჩვენებურ საჭმელებს.

ყველას ერთნაირად გადასდებოდა გენერლის მხიარულება. განსაკუთრებით მასპინძელი იყო აღტაცებული. საპატიო სტუმარს მაჭარს აძალებდა და ეუბნებოდა:

— მიირთვი, ჩემი დაწურულია, დედის რძესავით შეგერგება...

როცა სტუმრები კარგად დანაყრდნენ, გენერალი ზეზე წამოდგა.

— აგაშენა ღმერთმა, ძმაო. ასე გემრიელად რამდენი ხანია პური არ მიჭამია. დიდ მადლობას მოგახსენებ, ჩემო ტიტო, ასეთი გამასპინძლებისათვის.

— რის მადლობა, ბატონო. თქვენისთანა სტუმარს განა ასე ეკადრება, მაგრამ რომ არ იცოდით!

სტუმარმა მკლავში ხელი გამოსდო ტიტოს,

გვერდით შეატრიალა, ჯიბიდან რაღაც საჩუქარი ამოიღო, გადასცა, გადაკოცნა და უთხრა:

— მაგრად იყავი. იმედია კიდევ შევხვდებით ერთმანეთს და მოვიგონებთ ძველ ამბებს.

* * *

იმ შემოდგომის მიწურულს გადაწყდა ჩვენი სამშობლოს ყოფნა-არყოფნის ბედი. სტალინგრადის მისადგომებთან წითელმა არმიამ ხერხემალი გადაუმტვრია ჰიტლერის რჩეულ დივიზიებს და პირი უკუ აქნევინა.

დაიწყო ზამთრის სამკვდრო-სასიცოცხლო იერიშები ყველა ფრონტზე. გერმანელები, ტრიუმფული მარშით რომ მოდიოდნენ მოსკოვის დასალაშქრავად, კრემლის კედლების აღებას ვეღარ ეღირსნენ. იკადრეს უკან დახევა, მაგრამ უომრად ერთ მტკაველ მიწას არ თმობდნენ. უძნელდებოდათ ამდენი სისხლის ფასად დაპყრობილი ქალაქებისა და სოფლების დატოვება. სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ წითელი არმიის თავგანწირულ შეტევას და უკან დახევისას თან მიჰქონდათ ჩვენი ხალხის შრომით შექმნილი, ნაძარცვი სიმდიდრე.

დურმიშხან მალალაშვილი ამ დროს მოსკოვში, შინაგანი დაცვის ჯარებში იმყოფებოდა. ჯერ ქალაქ ელექტროსტალში გადიოდა საბრძოლო წვრთნას, მერე ქალაქ ბაბუშკინოში. შემდეგ, როგორც უშიშარი, მამაცი, მოფიქრებული, წინდახედული და ყველა საბრძოლო თვისებებით დაჯილდოებული ახალგაზრდა, მოსკოვში, განსაკუთრებული მნიშვნელობის მოტორიზებულ მსროლელ ბრიგადაში გადაიყვანეს. ეს ბრიგადა ამზადებდა ჯარისკაცებს მტრის ზურგში გადასასხმელად და იქ პარტიზანულ ბრძოლების გასაჩაღებლად, რომელსაც ახლა უკვე მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უკან დახეული მტრის სრული განადგურებისათვის.

ამ ბრიგადაში დავაჟკაცდა მალალაშვილი. აქედან მიიღო პირველი საბრძოლო ნათლობა. როგორც ყველაზე უფრო წინდახედულ და ფიზიკურად ძლიერ ვაჟკაცს, ბრიგადის უფროსმა პოლკოვნიკმა გერასიმოვმა და კომისარმა მაისურაძემ მეტად რთული და სერიოზული ამოცანა დაუსახეს დურმიშხანსა და მის ამხანაგებს: არტემ კულუმბეგოვს, ვიაჩესლავ პეშკოვს, იური ზაიცევს და ალკა ბელოვს. ისინი კურსკის რაიონში მტრის განლაგებაში უნდა შეპარულიყვნენ და „მოენეები“ მოეყვანათ.

ეს იყო მათი პირველი საბრძოლო დავალება, უფრო სწორად, ერთგვარი გამოცდა და არცთუ ისე ადვილი გამოცდა, რომელიც მოითხოვდა დიდ ნებისყოფას, გამბედაობას და ვაჟკაცობას. ეს გამოცდა მათ ბრწყინვალედ ჩააბარეს. ცხრა დღის შემდეგ ერთი გერმანელი ეფრეიტორი და ორი ჯარისკაცი ცოცხლები მოიყვანეს შტაბში.

* * *

დურმიშხანი ორი დღის დაბრუნებული იყო კურსკის ოპერაციიდან. ჯერ კიდევ კარგად ვერ მოესწრო გამოძინება და დასვენება. პირი ისევ გაუპარსავი ჰქონდა, თმა გაბურძგვნილი.

დილით ადრე კულუმბეგოვი დაადგა თავს. გაეხარდა. უყვარდა მალალაშვილს ეს თბილისელი ოსი. განსაკუთრებით მოსწონდა იგი თავისი გულადობით და ვაჟკაცობით.

არტემმა წერილი გაუწოდა და უთხრა:

— მაღარიჩი შენზეა, წერილი მოგიტანე. მგონი მამაშენისა უნდა იყოს. აბა, ერთი გახსენი, რას იწერება?

დურმიშხანმა წერილი გამოართვა, ადრესატის მისამართს დააცქერდა. მართლა მეტეხიდან იყო გამოგზავნილი.

წერილი გახსნა.

ჩემო საყვარელო შვილო, — სწერდა მამა, — როგორა ხარ, ხომ არაფერი გიჭირს, მიშასაგან კიდევ არაფერი ისმის. ჯავრი მაქვს. ჩემი გული და სული თქვენკენ მოისწრაფის, შვილებო. ნეტავი მეც შემეძლოს გვერდში ამოგიდგეთ და თქვენთან ერთად ვებრძოლო ვერაგ მტერს. აბა, თქვენ იცით თუ არ შეარცხვენთ მოხუც მამას. თავს გაუფრთხილდი, შვილო დურმიშხან. ერთი ნეტავ კიდევ დაგინახავდეთ შინ მშვიდობით მოსულებს და მერე თუ გინდ მოვკვდე, აღარ ვინაღვლებ...

დურმიშხანმა წერილი გაკეცა და ჩაფიქრდა. მერე არტემს დააცქერდა. არტემს თვალი გამტერებოდა, სახე დასევდიანებოდა.

შეეცოდა დურმიშხანს არტემი.

— რა დაგემართა, ბიჭო? — ჰკითხა გაკვირვებით.

კულუმბეგოვმა ცოლ-შვილის გახსენებით მომდგარი ნაღველი მოიშორა და მეგობარს პირდაპირ თვალებში შეხედა:

— რომ გითხრა, მაინც ვერ გამიგებ, ჩემო დურმიშხან!

— რატომ?

— ცოლ-შვილი უნდა გყავდეს, რომ გამიგო. იცი რა არის ცოლ-შვილის დარდი? აბა, როგორ გითხრა, ჩემთან შედარებით შენ ძალზე ბედნიერი კაცი ხარ.

ამ სიტყვებზე არტემმა რაღაც მოიმიზეზა და წავიდა.

დურმიშხანი კვლავ მარტო დარჩა თავის საწოლთან. ხელახლა წაიკითხა მამის წერილი და უნებურად ფიქრებს მიეცა.

აგონდებოდა ომამდელი დრო. მშობლიური სოფელი მეტეხი, სადაც დაიბადა, ფეხი აიდგა და ბავშვობის წლები გაატარა. აგონდებოდა თავისი ქვიტკირის ორსართულიანი სახლი, ძმა, გარდაცვლილი დედა, მარტოდ დარჩენილი მამა. აგონდებოდა თავისი ტოლები, მეტეხელი თუ მახლობელი სოფლების ახალგაზრდობა,

კვირა დღე საჭიდაო მოედანზე რომ იყრიდნენ ხოლმე თავს და გამარჯვების წყურვილით აღგზნებული ერთმანეთს თავგანწირვით ერკინებოდნენ, რათა ზღვა ხალხისა და განსაკუთრებით ქალიშვილების წინაშე არ შერცხვენილიყვნენ. აგონდებოდა მტკვარზე გატარებული დრო. მდინარის ტალღებს აყოლილი ყმაწვილობა, ტოლებთან ცურვაში შეჯიბრი, გოსტიბის ტყეებიდან ურმით ფიჩხის ჩამოტანა, ღამის მეხრეობა, აშუღიანის ველზე გულში ჩამწვდომი ოროვეილა, უღლის თავზე ჯდომა; შემდეგ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, ინსტიტუტში გატარებული სტუდენტობა, ბრეთის საბჭოთა მეურნეობა, სადაც აგროტექნიკოსად მუშაობდა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ. საზოგადოებრივი და კომკავშირული დავალებანი, ბოლოს ომის დაწყება და მოხალისედ წასვლა.

დურმიშხანი ღრმად ჩაეფლო ფიქრებში. ახლა ის შავგვრემანი გოგო წარმოუდგა თვალწინ, ვისი დანახვაც მთელ ქვეყანას ერჩივნა. თვითონაც არ იცოდა დურმიშხანმა რანაირად ეწვია იმ შავგვრემანი გოგოს სიყვარული. ორჯერ არც კი იყო დალაპარაკებული მასთან, შორიდან ეტრფოდა. შორიდან ელოლიავებოდა. გრძნობდა, არც ეს გოგო უნდა ყოფილიყო გულცივი მისდამი. საჭიდაო მოედანზე რამდენჯერ დაუჭერია მისი ქურდული მზერა. ერთმანეთისთვის თვალი თვალში გაუყრიათ, მერე ქალს შერცხვენია და თავი დაბლა დაუხრია.

რამდენჯერ დააპირა დურმიშხანმა მისულიყო მასთან, მისულიყო და ეთქვა თავისი სათქმელი. ეთქვა, რომ უყვარდა, მაგრამ, როგორც კი ამის დროს იშოვიდა, ენა დაებმებოდა, გული აუძგერდებოდა და ეს თავმომწონე ახალგაზრდა — ვაჟკაცობაში ტოლს რომ არავის დაუდებდა, ამ უსუსური ქალიშვილის წინაშე უმწეო აღმოჩნდებოდა. მერე ის იყო, ომიც დაიწყო და ისე წამოვიდა ჯარში, სათქმელი მაინც ვერ უთხრა იმ შავგვრემან გოგოს.

ფიქრებიდან ასეულის მეთაურის — უფროსი ლეიტენანტ იაროშევის ხმამ გამოარკვია.

— სმენა! — გაისმა ყაზარმაში და ყველა ზეზე წამოიშალა. დურმიშხანიც სმენაზე გაიჭიმა. იქით გაიხედა, სადაც იაროშევი იდგა. მის წინ კომისარი მაისურაძე დაინახა. იაროშევი პატაკს აძლევდა.

— თავისუფლად! — გასცა განკარგულება კომისარმა და თან ხმამაღლა დაიძახა, — მაღალაშვილო, ჩემთან!

დურმიშხანი შეინძრა. წერილი ჯიბეში ჩაიდო და თვალის დახამხამების უმალ პოლკოვნიკ მაისურაძის წინ გამოიჭიმა.

— გაიპარსეთ პირი, შეისწორეთ თმა, ტანსაცმელი გამოიცვალეთ და ათ წუთში ჩემთან შტაბში გამოცხადდით! გასაგებია?

— გასაგებია, ამხანაგო პოლკოვნიკო!

— კომისარი წავიდა. მაღალაშვილი უკან შეტრიალდა, მაგრამ გულმა ვერ მოუთმინა. იაროშევთან მივიდა და უთხრა:

— ხომ არ მეტყვით, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, რატომ მიბარებენ შტაბში?

— ვერაფერს გეტყვი, ალბათ, რაიმე კარგ საქმეზე.

კარგ საქმეზე? — გუნებაში გაიფიქრა დურმიშხანმა.

„ჯილდოზე თუ წარმადგენენ, მოენეები რომ მოვიყვანეთ. მაგრამ მარტო მე? ჩემი ამხანაგები?"

დურმიშხანი იმავე წუთს ბრიგადის საპარიკმახეროში გაეშურა, თმა შეისწორა, პირი გაიპარსა, ტანსაცმელი გამოიცვალა და მაშინვე შტაბისაკენ გასწია.

შტაბში ბრიგადის უფროს გერასიმოვთან და კომისარ მაისურაძესთან ერთად უცნობი პოლკოვნიკი დახვდა.

— აი ეს გახლავთ მაღალაშვილი, ამხანაგო მაიოროვო! — მიუბრუნდა მაისურაძე უშიშროების ფორმაში გამოწყობილ პოლკოვნიკს და დურმიშხანზე მიუთითა.

მაიოროვი ზეზე წამოდგა, დურმიშხანს გაუცინა, ხელი მაგრად ჩამოართვა და უთხრა:

— აბა, წავიდეთ!

სად? — უნდა ეთქვა დურმიშხანს, მაგრამ მოერიდა. ბუნებით მორცხვსა და მორიდებულს სიტყვა ტუჩებზე შეეყინა. ჯერ გერასიმოვს შეხედა, მერე მაისურაძეს და, რადგან იმისგან პასუხი ვერ მიიღო, ხმაამოუღებლივ გაჰყვა პოლკოვნიკს უკან.

ეზოში მათ მანქანა უცდიდა. პოლკოვნიკმა მანქანის კარი გამოაღო, დურმიშხანს ღიმილით შეხედა.

— ჩაბრძანდით! — უთხრა და თვითონ შოფრის გვერდით გამოიჭიმა.

დურმიშხანი მანქანაში ჩაჯდა. ჩაჯდომისთანავე მანქანა სწრაფად მოსწყდა ადგილს და მცირე ხნის შემდეგ მოსკოვის შუაგულში აღმოჩნდა.

— სად მივდივართ, ამხანაგო პოლკოვნიკო, არ შეიძლება მითხრათ? — ახლა კი თავს ძალა დაატანა დურმიშხანმა და გაუბედავად ჰკითხა:

— სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატში! — მოკლედ უპასუხა პოლკოვნიკმა.

— სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატში?! — გაკვირვება ველარ დაფარა დურმიშხანმა, — ვისთან?

პოლკოვნიკს გაეღიმა.

— ამას იქ გაიგებ!

დურმიშხანი გაჩუმდა, ხმა აღარ ამოუღია. მანქანა სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის შენობის წინ გაჩერდა.

პოლკოვნიკ მაიოროვთან ერთად დურმიშხანი მანქანიდან გადმოვიდა.

— აბა, მალალაშვილო, იცი ახლა ვისთან უნდა შეხვიდეთ?

— ვისთან?! — თვალებში ჩააცქერდა მალალაშვილი.

— გენერალ საშა ეგნატაშვილთან.

— გენერალ საშა ეგნატაშვილთან? — პირი ღია დარჩა მალალაშვილს და გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა.

— არ იცნობ?

— მე საიდან უნდა ვიცნობდე!

— მაშ ის როგორ გიცნობს, თუ შენ არ იცნობ!

დურმიშხანი ჩაფიქრდა. ნეტავ ვინ არის, საიდან მიცნობს, ან რაში დავჭირდიო, — გაიფიქრა.

მაიორროვმა მანქანაში ჯდომის გამო აჩეჩილი ხალათი ქამრის ქვეშ კოხტად გაისწორა, დურმიშხანს თავით ანიშნა შენც ასე მოიქეციო და წინ გაუძღვა.

დურმიშხანმა ქამრის ქვეშ ხალათი კოხტად აიკრიფა და პოლკოვნიკს უკან მიჰყვა.

გუშაგებს, შესასვლელში იარაღით რომ იდგნენ, საშვი წარუდგინეს, მესამე სართულზე ავიდნენ და ერთ-ერთი ოთახის კართან შეჩერდნენ.

— შენ აქ გაჩერდები, — მიუბრუნდა მაიოროვი დურმიშხანს. — მე შევალ, მოვახსენებ და მერე დაგიძახებ!

დურმიშხანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, დერეფანში გაჩერდა. პოლკოვნიკმა მოწიწებით შეაღო კარი, ოთახში შევიდა, მცირე ხნის შემდეგ თავი გამოყო და ღიმილით უთხრა:

— მობრძანდით!

დურმიშხანი შევიდა. დიდ, ნათელ დარბაზში ორიოდე ნაბიჯი გადადგა და უნებურად გაჩერდა.

დარბაზის ბოლოს წითელმაუდგადაფარებული გრძელი მაგიდის გასწვრივ, რომელზეც წყებად ელაგა სხვადასხვა ფერის ტელეფონები, გაჭიმული იდგა გენერალი საშა ეგნატაშვილი და დიდრონი, ჯიღა თვალებით დურმიშხანს მისჩერებოდა.

ერთხანს დაკვირვებით ათვალიერებდა სამხედრო ფორმაში ლამაზად გამოწყობილ, სანდომიანი სახის კოხტად მოყვანილ ჭაბუკს, მერე ადგილზე შეირხა, მტკიცე, გამოზომილი ნაბიჯებით მისკენ წამოვიდა, ახლოს გაჩერდა და გამართული ქართულით დინჯად, სასიამოვნო ხმით ჰკითხა:

— ტიტოს ბიჭი ხარ?

— დიახ, ბატონო, ტიტოს ბიჭი ვარ!

გენერალმა ჯერ ხელი ჩამოართვა დურმიშხანს, მერე ვეება მკლავები შემოჰხვია, მამაშვილურად გადაკოცნა და უთხრა:

— ყოჩაღ, კარგი ბიჭი ყოფილხარ, შვილო. სწორედ ისეთი, როგორც მამაშენს ეკადრება.

დურმიშხანი დაიბნა. ჩემი ვაჟკაცობა ამან საიდან იცისო, გაიფიქრა.

ეგნატაშვილი თითქოს მიუხვდა ჩანაფიქრს. მკლავში ხელი მოსდო, თავის სამუშაო მაგიდასთან მიიყვანა, სკამი შესთავაზა და განაგრძო:

— არ გეგონოს, თითქოს მხოლოდ და მხოლოდ მამაშენის ხათრით დაგიძახე აქ. არა! მე წინდაწინ გამოვიკითხე შენი ამბავი და მითხრეს, რა ვაჟკაციც ხარ. ისიც ვიცი, რომ კურსკის მიმართულებით მტრის ზურგში შეიჭერი და მონეები მოიყვანე. ყოჩაღ, კარგი მებრძოლი ყოფილხარ. ამიტომაც გადავწყვიტე შენი ნახვა. ძლიერ მიხარია ის ამბავი, რომ ღირსეულ მამას ღირსეული შვილი ჰყავხარ.

შექებაზე დურმიშხანმა უხერხულობა იგრძნო და, ცოტა არ იყოს, კიდევაც გაწითლდა.

— ამას წინათ საქართველოში ვიყავი, — განაგრძო ეგნატაშვილმა, — ვინახულე ჩემი მშობლიური გორი. რამდენი ხანია აღარ ვყოფილვარ. მამაშენსაც ვესტუმრე მეტეხში. ძლივს ვიცანით ერთმანეთი. ათას ცხრაას შვიდ წელს მეჯვრისხევის ციხეში რომ ვისხედით, იმის შემდეგ აღარ გვენახა ერთმანეთი. მამაშენის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. გავიხსენეთ ძველი ამბები, რევოლუციის დროინდელი ამბები. კარგადაც ვიქეიფეთ. იმ ლობიოსა და პამიდვრის მწნილის გემო ისევ პირში მიდგას. მაჭარს ხომ ნუღარ იკითხავ, ისეთი დაეყენებინა მამაშენს.

ამის გახსენებაზე გენერალს მხიარულად გაეღიმა და სახე სიყვარულით აუყვავდა. დურმიშხანსაც გაეცინა. ახლა მიხვდა ყველაფერს.

გენერალი დინჯად, სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა, იგონებდა საქართველოს ამბებს, ძველსა და ახალს, იგონებდა და სახიდან ღიმილი არ უქრებოდა.

— აი რისთვის დაგიბარე, — უთხრა ბოლოს ეგნატაშვილმა — მე ახლა გამოცდილი აგროტექნიკოსი მჭირდება. შენზე სანდოს და უკეთესს სხვას ვერ ვიშოვნი. მთავრობის ერთ-ერთ აგარაკზე მინდა გაგგზავნო სამუშაოდ. ხომ თანახმა იქნები?

— მაპატიეთ, ძია საშა, მაგრამ მე აგროტექნიკოსად ვერ გამოვდგები.

— რატომ, ეს ხომ შენი პროფესიაა?

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ მე რომ აგროტექნიკოსად მუშაობა მდომოდა, აქ კი აღარ წამოვიდოდი. ვიქნებოდი ბრეთის საბჭორა მეურნეობაში და დოვლათს დავახვავებდი, მით უმეტეს, დაჯავშნული ვიყავი და უბატონოდ ხმას ვერავინ გამცემდა. მე სინდისი არ მაძლევს ნებას გულხელდაკრეფილი ვიჯდე და შორიდან ვუყურო, თუ როგორ ურტყამენ ჩვენი ბიჭები მტერს. ძალიან გთხოვთ ჩემს ნაწილს ნუ ჩამომაცილებთ.

დურმიშხანის სიტყვებზე გენერალს გაეცინა.

— შენ რომ გიყურებ, სულ მამაშენი მაგონდება. იმასაც ისეთი ხასიათი ჰქონდა ახალგაზრდობისას. კი, მაგრამ ის საქმე ვილამ უნდა გააკეთოს? განა იქ სხვა ჯარისკაცებს არ ვამუშავებთ?

— მართალი ბრძანდებით, ძია საშა, მაგრამ... მე ჩემი სურვილით წამოვედი ომში და მინდა იქ ვიყო, სადაც ჩვენი ძმები ფაშისტებს ვაჟკაცურად ერკინებიან — ფრონტზე, ცეცხლის ხაზზე.

— კარგი, შვილო, კარგი!.. რახან არ იშლი, შენი ნება იყოს... ტიტოს წერილი მისწერე და ჩემი მადლობაც შეუთვალე, რომ ამისთანა ვაჟკაცი გაუზრდიხარ.

დურმიშხანს სახე აუყვავდა.

— ღმერთმა ნუ მომკლას ისე, რომ მამაშენს ერთხელ კიდევ არ შევხვდე მეტეხში და ეს ამბავი არ ვუამბო, — განაგრძო გენერალმა, — ისე, თუ რამე გაგიჭირდეს, ნუ მომერიდები. თუ შორს იყო, წერილი მომწერე. თუ მოსკოვში და, აი ჩემი ტელეფონის ნომერი, დამირეკე, ან აქ მინახულე.

— დიდ მადლობას მოგახსენებთ, ძია საშა, ჩემდამი ასეთი მამაშვილური დამოკიდებულებისათვის. ყოველივე ამას მამას მივწერ და გავაგებინებ თქვენი დიდსულოვნების ამბავს. ახლა მე არ მინდა მეტად შეგაწუხოთ. ნება მომეცით წავიდე!

დურმიშხანი ზეზე წამოდგა.

გენერალმა ღილაკს თითი დააჭირა. კაბინეტში მაიოროვი შემოვიდა.

— ამხანაგო მაიოროვო, წაიყვანე უკან.

— არის, ამხანაგო გენერალ-ლეიტენანტო! — სმენაზე გაიჭიმა მაიოროვი და დურმიშხანს მიუბრუნდა:

— წავიდეთ!

გენერალი ზეზე წამოდგა.

— ყოჩაღად იყავი, გისურვებ გამარჯვებას და შინ მშვიდობით დაბრუნებას!

ეგნატაშვილმა გამომშვიდობებისას ხელი მაგრად ჩამოართვა, გადაკოცნა და გზა დაულოცა.

* * *

ორმოცდასამი წლის ზაფხულში საბჭოთა ჯარებმა მთლიანად გაწმინდეს ჩრდილო კავკასია და ყუბანი ფაშისტური შავი ჭირისაგან. ასევე განთავისუფლდა მოსკოვისა და ლენინგრადის ოლქები. ახლა დგებოდა უკრაინისა და ბელორუსიის განთავისუფლების გადამწყვეტი დღეები.

ამ დროს დასავლეთ უკრაინაში უკვე მოქმედებდა პარტიზანული შენაერთები ლეგენდარული გმირის კოვპაკის ხელმძღვანელობით. მის მარჯვენა ხელად ითვლებოდნენ სახელგანთქმული ქართველი პარტიზანები, ლეგიონის უფროსი დავით ბაქრაძე და ვანო რეხვიაშვილი.

ასეთივე გააფთრებული ბრძოლები ჰქონდათ გაჩაღებული პარტიზანებს ბელორუსიაში, როვნოს, ბრიანსკისა და სხვა მიმართულებით, აგრეთვე პოლონეთის ტერიტორიაზე, მდინარე ბუგის გაღმა.

პარტიზანების ბრძოლის ურთიერთობისა და გონივრული მოქმედებისათვის — აუცილებელი იყო მოსკოვთან კავშირი და იქიდან დირექტივებისა და საჭირო საომარი იარაღების მიღება. ეს მეტად რთული საქმე იყო. სწორედ ამ მისიის შესრულება ევალებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობის მოტორიზებულ მსროლელ ბრიგადას. რამდენი ხანია წრთვნიდნენ და ამზადებდნენ ამ ბრიგადაში ჯარისკაცებს მტრის ღრმა ზურგში გადასასროლად და პარტიზანების დასახმარებლად. პარტიზანების ბრძოლას ახლა ყველაზე დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა უკანდახეული მტრის სრული განადგურებისათვის.

და აი დადგა ეს წუთებიც.

ერთ მშვენიერ დღეს ტაქტიკურ მეცადინეობიდან დაბრუნებული დურმიშხან მალალაშვილი თავის საწოლზე წამოწოლილიყო და ფიქრებს წაეღო.

ვინ იცის, როდემდის იქნებოდა ასე, რომ კულუმბეგოვი რომ არ შემოსულიყო.

— რა მხართეძოზე წამოწოლილხარ, ბიჭო. ახლა წოლის დროა?

— მაშ რა გავაკეთო?

— ადექი, შტაბში გვეძახიან.

— შტაბში რა დაგვრჩენია?

— მგონი, მოვიდა ბრძოლაში ჩვენი ჩაბმის დრო.

— რას მეუბნები, მართლა?!

— იაროშევმა მითხრა, მალალაშვილი წაიყვანე და წადითო. წავიდეთ!

დურმიშხანი საწოლიდან წამოდგა, ტანსაცმელი შეისწორა და კულუმბეგოვს გვერდით გაჰყვა.

— სინდისს გეფიცები, თუ აქ ყოფნას ფრონტზე ყოფნა არ მერჩივნოს, მომწყინდა ყოველდღიურად გაუთავებელი ტაქტიკური მეცადინეობა.

— მეც ასე ვარ, ჩემო დურმიშხან. ჩვენ აქამდე მოგვიწევდა ფრონტზე წასვლა, მაგრამ ერთმა რამემ შეგვიშალა ხელი.

—; რამ? — მეგობარს თვალებში ჩახედა მალალაშვილმა.

— იმან, რომ მტერმა ჩვენი საყვარელი კავკასია ვერ აიღო.

— კავკასია რა შუაშია მერე?

— როგორ არ არის შუაში! ჩვენ საქართველოს შვილები ვართ და ჩვენი ქვეყნის ადგილმდებარეობაც კარგად ვიცით. მტერი თუ კავკასიას აიღებდა, იმ შემთხვევაში ჩვენ იქ უნდა გადავესროლეთ პარტიზანული მოძრაობის გასაშლელად. გასაგებია?

— რას მეუბნები?.. შენ ვინ გითხრა, მერე?

— იაროშევი მელაპარაკა. ახლა კი ალბათ

დასავლეთ უკრაინაში, ბელორუსიაში, ან სხვა მიმართულებით მოგვიწევს ბრძოლა.

ისინი ლაპარაკით მიუახლოვდნენ შტაბს. შტაბის წინ კომისარი მაისურაძე შეეჩეხათ. მას ხელში რაღაც ქაღალდები ეჭირა და სათვალის ქვეშიდან ირიბად დასცქეროდა ფურცლებს. მებრძოლები რომ დაინახა, სახე გახსნა.

— მობრძანდით! — უთხრა მან და პირველი შევიდა შენობაში. მაღალაშვილი და კულუმბეგოვი უკან მიჰყვნენ.

მოზრდილ, ფართო ოთახში თვრამეტამდე მებრძოლს მოეყარა თავი. ესენი იყვნენ რჩეული ვაჟკაცები, სხვადასხვა საბრძოლო ოპერაციებში ნაწრთობი და მრავალი საგმირო საქმეების ჩამდენი. სადაზვერვო საქმის კარგი მცოდნენი და პარტიზანული ბრძოლისათვის სათანადოდ მომზადებული.

მათ შორის იყო მხოლოდ ერთი შავგვრემანი ქალიშვილი, რადისტი ქენია მალცევა. ქენია ამჟამად შტაბში მუშაობდა. ოცდაერთი წლისა იქნებოდა. ეშხიანი, მიმზიდველი სახე ჰქონდა.

ზოგიერთ მათგანს ახლოს იცნობდა დურმიშხანი, მაგალითად ჰასან ჰასანოვს, ნიკოლოზ შლომბინს, იური ზაიცევს, პავლიკ შულგინს, ალკა ბელოვს, ვიაჩესლავ პეშკოვს და სხვა.

ჰასან ჰასანოვი „ნაწილში“ მოსვლისთანავე გაიცნო დურმიშხანმა. ის წარმოსადეგი, შავგვრემანი, მხრებში გაშლილი ვაჟკაცი იყო. კუნაპეტივით შავი თვალები უბრწყინავდა. ცოცხალი, მოძრავი, დაუდგრომელი ბუნების კაცი იყო. ოცდაათ წლამდე იქნებოდა. წარმოშობით აზერბაიჯანელი იყო. ლეიტენანტის ჩინი ჰქონდა. მკერდს წითელი ვარსკვლავის და სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის ორდენები უმშვენებდა. მას მრავალ საბრძოლო-სადაზვერვო ოპერაციებში მიეღო მონაწილეობა და, როგორც ამხანაგებში, ისე უფროსებთან დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

ასევე ახლოს იცნობდა დურმიშხანი ალკა ბელოვს. ალკა ოცდახუთი წლისა იქნებოდა. ლვოვის პედაგოგიური ინსტიტუტი დაემთავრებინა, მხიარული ვაჟკაცი იყო. სულ ერთთავად მასხრობდა და იცინოდა. მოწყენილს იშვიათად დაინახავდი. ამის გამო ბიჭებს ძლიერ უყვარდათ და გვერდიდან არ შორდებოდნენ.

სტუდენტობის დროს ალკა თურმე სპორტსაც მისდევდა, არც ჭიდაობაში და კრივში ჩამოუვარდებოდა ტოლ-მეგობრებს. რა საქმეც არ უნდა ყოფილიყო, ყველაფერში მონაწილეობდა.

შეხედულებით ალკა ქერა იყო, ლამაზი, ზორბა ტანისა. სახით გერმანელს ჩამოჰგავდა.

იგი დედით გერმანელი იყო და ბრწყინვალედ იცოდა გერმანული ენა. დედამისი, გვარად შულცი, წარმოშობით საქსონიიდან იყო. ალკას ხუმრობით „ფრიცს“ ეძახდნენ.

კურსკის ოპერაციაში დურმიშხანთან ერთად ალკამაც მიიღო მონაწილეობა. გერმანელი ეფრეიტორისა და ორი ჯარისკაცის დაჭერაში, ერთ-ერთი მთავარი როლი ალკამ ითამაშა. სხვა საბუთებთან ერთად ალკას პასპორტი შულცის გვარზე ჰქონდა გაფორმებული. მტრის ზურგში მოქმედების დროს, თუკი იგი გერმანელებს ჩაუვარდებოდა ხელში, გერმანელ მოქალაქედ გაასაღებდა თავს.

პავლე შულგინსაც კარგად იცნობდა დურმიშხანი. იგი როსტოველი იყო. ოცი წლის არც კი იქნებოდა, მაგრამ მთელი ცხოვრება გაეარა. ომის წინ მამის სიკვდილის შემდეგ, პავლიკა პატიოსანი ცხოვრების გზას ასცდენოდა და ცუდ წრეში მოხვედრილიყო. მაგრამ მალე არმიაში გაეწვიათ და იქ ესწავლა ჭკუა. პავლიკას ფრონტზე დიდი გმირობა ჩაედინა. თავის თორმეტ ამხანაგთან ერთად ღამით მტრის ზურგში შეეგზავნათ მოენის მოსაყვანად. ცისფერ ხაზზე გადასვლის დროს მტერს გაეგო საბჭოთა მებრძოლების განზრახვა და სასტიკი ცეცხლი გაეხსნა. თერთმეტი უკან გაბრუნებულიყო, ხოლო პავლიკა მარტო შეჭრილიყო და მტრის ზურგში მიმალულიყო.

პავლიკა მკვდრად ჩათვალეს ამხანაგებმა და გამოიგლოვეს. მაგრამ მათ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მეორე დღეს იგი ისევ დაბრუნდა თავის ბატალიონში და ცხრა გერმანელი ოფიცერი და ჯარისკაცი წარუდგინა უფროსებს.

ეს ამბავი მთელ ბატალიონს მოედო. პავლიკა ლენინის ორდენით დააჯილდოვეს. იმასაც ამბობდნენ, პავლიკას გმირობა უნდა მიეღო, მაგრამ თავისმა წარსულმა შეუშალა ხელიო.

მის შემდეგ პავლიკას კიდევ სხვა ბრძოლებში მიეღო მონაწილეობა და იქაც თავი ესახელებინა. მის მკერდს ამჟამად რამდენიმე ორდენი და მედალი ამშვენებდა.

ასევე ახლოს იცნობდა დურმიშხანი ნიკოლოზ შლომბინს, იური ზაიცევს და ვიაჩესლავ პეშკოვს.

ზაიცევი ყაზანელი იყო. პეშკოვი ორიოლიდან, შლომბინი კი ხარკოველი. დურმიშხანმა თითოეულის ბიოგრაფია კარგად იცოდა. ზაიცევს ერთი თვის მოყვანილი მეუღლე დარჩენოდა შინ და ყოველ წუთს მის ხსენებაში იყო. ნიკოლოზ შლომბინს ვერ მოესწრო ცოლის შერთვა. იმ შემოდგომას აპირებდა თურმე ქორწილს, მაგრამ ომმა შეუშალა ხელი. მერე კი შეყვარებული გასთხოვებოდა და ამ ამბავს ძლიერ განიცდიდა. რამდენჯერ გაუმხნევებია დურმიშხანს: რას მისტირი იმ შენს ნატაშას, დამთავრდება ომი და ქალების მეტი რა არის ქვეყანაზეო. ნატაშაზე ათასჯერ უკეთეს ქალს შეხვდებიო.

პეშკოვს კი სულ სხვაგვარი ცხოვრება გამოევლო. ეს მაღალი, წარმოსადეგი ვაჟკაცი ყოველთვის გულჩათხრობილი იყო. გაცინებულს

იშვიათად ნახავდით. ორიოლის აღების დროს, მისი მშობლები დაეხვრიტათ, ხოლო დები უკან დახევის დროს სხვა ლამაზ ქალიშვილებთან ერთად გერმანიის ღრმა ზურგში გაერეკათ.

პეშკოვს ერთი ფიქრი ჰქონდა, მალე ჩაბმულიყო და ბრძოლაში შური ეძია მტერზე.

დანარჩენ მებრძოლებსაც მეტ-ნაკლებად იცნობდა დურმიშხანი. ქენია მალცევას კი დღეს მეორედ ხვდებოდა. მის დანახვაზე ის შავგვრემანი თავის თანასოფლელი გოგო წარმოუდგა თვალწინ. გული აუძგერდა. ღმერთო ჩემო, როგორ ჰგავსო, — გაიფიქრა და მალცევას თვალი ვერ მოაცილა.

არც ქალიშვილს გამოპარვია მისი ხარბი მზერა, ჩაღიმა და უცნობ მებრძოლს თვალი მოარიდა.

დურმიშხანი და არტემი მებრძოლების გვერდით სკამებზე ჩამოსხდნენ. შტაბში მალე გერასიმოვიც შემოვიდა. იგი მაისურაძის გვერდით დაჯდა. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა.

— ამხანაგებო, — ზეზე წამოდგა კომისარი მაისურაძე, — ალბათ თქვენ უკვე მიხვდით, რისთვის დაგიძახეთ აქ. უკვე დადგა ბრძოლაში ჩაბმის დრო. სტალინგრადის სახელოვანი ბრძოლის შემდეგ ხერხემალგადამტვრეული მტრის დივიზიები უკან მირბიან. თან მიაქვთ საბჭოთა ადამიანების შრომით შექმნილი სიმდიდრე, რის წაღებასაც ვერ ასწრებენ, წვავენ, ამტვრევენ, ანგრევენ. უკან დახეული მტრის განადგურებაში ახლა ერთ-ერთი დიდი მისია პარტიზანებს ეკისრება. როგორც თქვენთვისაც ცნობილია, პარტიზანული მოძრაობა აბობოქრებულ ხანძარივით მოედო მთელ დასავლეთ ბელორუსიასა და უკრაინას. მტერი საგონებელშია ჩავარდნილი. კოვპაკისა და ფეოდოროვის რაზმები ზურგიდან სცემენ ლახვარს. ძვირფასო მებრძოლებო, თქვენზე ახლა ბევრი რამ არის დამოკიდებული. სამშობლო დიდ საბრძოლო ამოცანას გისახავთ. თქვენ უნდა გადასხდეთ მტრის ღრმა ზურგში და შეუერთდეთ ფეოდოროვის პარტიზანულ მოძრაობას. თქვენს ხელმძღვანელად ვნიშნავ სადაზვერვო საქმის კარგ მცოდნეს, მრავალ საბრძოლო ოპერაციის მონაწილეს, შესანიშნავ ვაჟკაცს ჰასან ჰასანოვს. ჰასანოვი შემდეგ დაწვრილებით გაგაცნობთ, თუ რა უნდა გააკეთოთ და როგორ იმოქმედოთ, სანამ შეუერთდებოდეთ ფეოდოროვის რაზმს.

კომისარი მაისურაძე შეჩერდა. გერასიმოვს რაღაც გადაულაპარაკა და სკამზე დაჯდა.

გერასიმოვმა სმენადქცეულ მებრძოლებს თვალი მოავლო და დინჯად მიმართა:

— ძვირფასო ძმებო, ამოცანა ნათელი და გასაგებია. თქვენ იცით და თქვენმა ვაჟკაცობამ! დავალება, რომელიც უნდა შეასრულოთ, ადვილი არ არის, თქვენგან გულადობას, მამაცობას, გამბედაობას და თავგანწირვას მოითხოვს. მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს. მტერს არ უნდა მივცეთ ამოსუნთქვის საშუალება. უნდა ვებრძოლოთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე და გავანადგუროთ. ეს ძნელი საქმეა, მაგრამ უმსხვერპლოდ გამარჯვება არავის მოუპოვებია. ერთი რამ უნდა გახსოვდეთ: თქვენ პარტიზანები ხართ. პარტიზანი კი რკინის ნებისყოფისა, მტკიცე რწმენისა უნდა იყოს — უშიშარი, მოქნილი, შეუპოვარი, საბჭოთა საზოგადოების შეგნებული წევრი.

გერასიმოვი დაჯდა. კომისარი მაისურაძე კვლავ ზეზე წამოდგა.

— მაშ, მივიღოთ პარტიზანული ფიცი! — თქვა და ქაღალდი გაშალა.

კომისარი კითხულობდა ფიცის ტექსტს, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, დინჯად, გასაგებად. მებრძოლები გუგუნით იმეორებდნენ ამ სიტყვებს.

* * *

იმ საღამოს თვრამეტი მებრძოლისაგან შემდგარი პარტიზანული რაზმი, ჰასან ჰასანოვის ხელმძღვანელობით, ბიკოვოს აეროპორტის შენობაში იყო. შებინდებისას ისინი თვითმფრინავით უნდა გადაესროლათ დასავლეთ უკრაინაში, შავი ტყის ცენტრალურ ზონაში, სადაც სახელგანთქმული ფეოდოროვის პარტიზანული რაზმი იბრძოდა.

მებრძოლები შეიარაღებული იყვნენ ყველა საჭირო იარაღით. თან მიჰქონდათ აგრეთვე ნაღმები ხიდებისა და სხვა ნაგებობათა ასაფეთქებლად.

ზურგზე ყველას დაკეცილი პარაშუტები ჰქონდა მოგდებული.

აეროპორტზე მკაცრი წესები იყო გამოცხადებული. არც პაპიროსის მოწევა შეეძლოთ ბიჭებს, არც ხმამაღალი ლაპარაკი. არსად სინათლის ნატამალი არ ჩანდა. ირგვლივ სიბნელე და იდუმალება გამეფებულიყო. ხოლო შიგადაშიგ თვითმფრინავის მოტორების მძლავრი გუგუნი თუ დაარღვევდა სიჩუმეს. ზოგი ბიკოვოს აეროდრომიდან მიფრინავდა დანიშნულების მიმართულებით, ზოგი იქიდან მოფრინავდა.

უცბად საზენიტო ქვემეხების გამაყრუებელმა გრგვინვამ შეძრა მთელი არემარე და აეროპორტის მინებმა ზანზარი დაიწყეს. ბიჭები ფანჯრებს მისცვივდნენ, პროჟექტორების ცეცხლის ენებმა დასერეს დედაქალაქის ცა. მტრის სვასტიკიანი თვითმფრინავები გაიჭრნენ კრემლის მიმართულებით, მაგრამ ჩვენი საზენიტო არტილერიის ცეცხლს ვერ შეუვიდნენ და უკან გაბრუნდნენ.

— როგორ მინდოდა მფრინავი ვყოფილიყავი, — სინანულით თქვა პავლე შულგინმა, როცა ყველაფერი დაწყნარდა. თან ბიჭებს გადა-

ხედა, — დედას ვუტირებდი მტერს, შევიჭრებოდი ბერლინის თავზე და ვიოხებდი გულს.

— მერე რამ შეგიშალა ხელი, პავლიკ? — მაინც გაკენწლა ალკა ბელოვმა.

— რამ შემიშალა და ჩემმა უხეირო ჰკუამ!

ბიჭებს სიცილი აუტყდათ. აქამდე დადუმებულები რომ იყვნენ და ხმას არ იღებდნენ, უცბად გამოცოცხლდნენ.

— საოცარი კაცი ხარ, ალკა, — უთხრა შულგინმა, — რა მომენტშიაც არ უნდა იყო, შენ ყოველთვის მასხრობ, ახლა სხვას ჰკითხე.

— მაგალითად ვის?

— მაგალითად, აბა შეხედე ნიკოლოზ შლომბინ!, დარდით შუბლი როგორ შესჭმუხნია. ახლა კოლიას შინი გული აქვს?

— ტყუილად ამბობ მაგას. კოლია ძალიან კარგ გუნებაზეა. იგი იმაზე ფიქრობს, შინ რომ დაბრუნდება, რა საჩუქარი ჩაუტანოს ნატაშას და მის ქმარს.

ბიჭებმა ხარხარი ატეხეს, შლომბინსაც გაეცინა.

— ეგრე, ძმაო, იმის მაგივრად, რომ გული გამიკეთო, შენ კიდევაც დამცინი. ნეტავი ცოცხლები დავბრუნდებოდეთ და მე ვიცი ნატაშას რასაც მივართმევ.

— გული არ გაიტეხო, კოლია, ნატაშასნაირ ქალიშვილებს ხარკოვის ბაღნარებში განა ცოტას ნახავ? ჩახვალ და, მოსწყვიტე რომელიც გინდა. ალერსიანად მიმართა ბელოვმა და ახლა იურა ზაიცევს გადასწვდა.

— ხომ ხედავ, ჰიტლერმა არც იურის აცალა, ახლად მოყვანილი საყვარელი მეუღლე მკერდიდან აგლიჯეს და მის მაგივრად ახლა ავტომატი ჩაუკრავს გულში. რომელი უფრო თბილია, ბიჭებო, ავტომატი თუ ახალ მოყვანილი ცოლის მკერდი, ა? რას იტყვით თქვენ? — ალკამ ბიჭებს გადახედა.

— რა თქმა უნდა ავტომატი! — სიცილით დაუდასტურეს ბიჭებმა.

— ეს მთლად დედალი ყოფილა, — ახლა დურმიშხანს დაადგა კბილი ბელოვმა, — ჩვენს ნაწილში ყველას გული მოიგო და იმ ქართველი გოგოს გული კი ვერა. ბიჭო, ჩანგლით ხომ არ მოგართმევდა ის გოგო სიყვარულს, ორი სიტყვა ველარ უთხარი? გერმანელების არ გეშინია და იმ გოგოსი შეგეშინდა?

ბიჭები იცინოდნენ. ქენია მალცევა მოხდენილად კისკისებდა. ბელოვი კი არ ცხრებოდა. სათითაოდ ყველას კენწლავდა.

— ქენია, მითხარი ქენია, — ბოლოს მალცევაზე მიიტანა ბელოვმა იერიში, — ქალებს როგორი ბიჭები უფრო მოგწონთ დურმიშხანივით მოკრძალებული, თუ პირდაპირ რომ მოგახლიან სათქმელს?

— აბა, როგორ გითხრათ, — მოხდენილად გადაიკისკისა ქენიამ.

— უცბად თვითმფრინავის მოტორის მძლავრი გუგუნი გაისმა. დარბაზში ჰასანოვი შემოვიდა და ბიჭებს მიმართა:

— მოეწყვეთ ორ მწკრივად!

ბიჭებს მასხრობის ხასიათი წაუხდათ და ორ მწკრივად მოეწყვნენ. ჰასანოვი წინ გაუძღვა მებრძოლებს და ასაფრენ მინდორზე გაიყვანა. თვითმფრინავ „დუგლასს“ პროპელერი დასავლეთით, ფრონტის ხაზისაკენ გაეშვირა.

თოვლის ათინათს ოდნავ გაეცრიცა უკუნი ღამე. ციოდა. დასავლეთის გამჭოლი ქარი უბერავდა. მოსკოვის ცა შავი ღრუბლებით დათალხულიყო. აეროდრომის მინდორი სქელი ყინულით დაფარულიყო.

ისინი მიდიოდნენ ჩუმად, უხმაუროდ, აღარ მასხრობდა მუდამ მხიარული, ენაწყლიანი ბელოვი. ყველა ისევ თავის პირვანდელ განწყობილებას დაბრუნებოდა. ყველა დაფიქრებულიყო, დადუმებულიყო, ლაპარაკი ეძნელებოდათ. ეს არ იყო არც შიში და არც სხვა მისდაგვარი გრძნობის გამოხატულება. ასეთი რამ მუდამ სჩვევიათ მებრძოლებს ბრძოლის წინ, სანამ ჩაებმებიან და შეეგუებიან მდგომარეობას. შემდეგ კი, ისევ ჩვეულებრივად გრძელდება ყველაფერი.

ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ თვითმფრინავს და უხმაუროდ ჩასხდნენ შიგ.

თვითმფრინავში გამეფებული სამარისებური მყუდროება უცბად ძრავების ვამაყრუებელმა ხმაურმა შესძრა. ძრავებმა თანდათან მოუმატეს ხმაურს, ბოლოს მთელი მანქანა აწივლდა და შევარდენი დინჯად მოსწყდა მიწას.

„დუგლასმა“ კამარა შეკრა და მალე ღრუბლებში შეცურდა.

თვითმფრინავში კვლავ სიწყნარე ჩამოწვა. ოდნავღა ისმოდა ძრავების გუგუნი. ჩამოწოლილი დუმილის დასარღვევად ბელოვმა მასხრობა წამოიწყო, მაგრამ მიხვდა, ბიჭები არ უსმენდნენ და იქვე გაჩუმდა.

„დუგლასი“ მალე ფრონტის ხაზს მიუახლოვდა, ეს ხაზი კიევის ოლქს შუაზე სჭრიდა. თვითმფრინავმა სამი ათასი მეტრის სიმაღლე აიღო და ცეცხლის ხაზზე დაბანაკებულ მტრის ჯარებს თავზე გაუსწორდა.

მაშხალებით იყო განათებული ფრონტის ხაზი, ცეცხლოვანი ტყვიები ციცინათელებსავით ჰკვეთდნენ ღამის სიბნელეს. შიგადაშიგ ისმოდა ავტომატის კაკანი.

მტერმა შენიშნა საბჭოთა შევარდენი. ზენიტების ქუხილმა შესძრა იქაურობა. პროჟექტორების შუქმა დასერა ცა და თვითმფრინავი სინათლის ბადეში მოიქცია.

საზენიტო არტილერია გაშმაგებით უშენდა ცეცხლს საბჭოთა თვითმფრინავს, ჭურვები წყება-წყებად სკდებოდნენ მის გარშემო და ცაზე თეთრი კვამლის ბოლქვებს ტოვებდნენ.

უცბად თვითმფრინავი შეტორტმანდა. ბიჭე-

ბი ერთმანეთს მიაწყდნენ. მიხვდნენ, ჰურვის ნამსხვრევებმა მანქანა გაკენწლა.

ბიძგი ხელახლა განმეორდა. ამჯერად უფრო საგრძნობლად. თვითმფრინავი მარჯვნივ გადაიხარა და უკან შემობრუნდა.

ბიჭებმა საგრძნობლად წამოიწიეს, მაგრამ არ ამდგარან. არც ხმა ამოუღიათ. სიტყვა არ დასცდენიათ, რა მოხდა. კარგად იცოდნენ, ყოველგვარი შეკითხვა და წამოძახილი საქმეს უფრო გააფუჭებდა.

„დუგლასი“ მალე ისევ ბიკოვის აეროდრომზე დაეშვა. თვითმფრინავი მიწას შეეხო და ბიჭებმაც თავისუფლად ამოისუნთქეს.

— გადავრჩით! — წამოიძახა ჰასანოვმა და პილოტის კაბინისაკენ გაიხედა. ბიჭებმაც იქით მიაპყრეს მზერა. გაფითრებული, თვალებდაჭყეტილი რადისტი ჰასანოვს ხელს უქნევდა. ჰასანოვი კაბინასთან მიიჭრა.

— პილოტი დაჭრილია, მომეხმარეთ, დაბლა ჩავიყვანოთ! — უთხრა რადისტმა.

ჰასანოვი და რადისტი პილოტს აქეთ-იქით ამოუდგნენ და ასწიეს. გასისხლიანებული პილოტი სალონში გამოიყვანეს და ჩასასვლელისაკენ წაიყვანეს.

— აი თურმე რა ყოფილა! — წარმოთქვა გაკვირვებულმა ბელოვმა და ამხანაგებს გადახედა.

* * *

მებრძოლები ისევ ბიკოვის აეროპორტის შენობაში მოთავსდნენ.

— ვაჟკაცი ყოფილა ჩვენი მფრინავი, — თქვა ჰასანოვმა — მძიმედ დაჭრილი მართავდა მანქანას. ცოტაც რომ გაგრძელებულიყო ფრენა, ალბათ ველარ შეძლებდა და სადმე დავიმსხვრეოდით.

— დაზიანდა თვითმფრინავი? — იკითხა შულგინმა.

— გვარიანად. გერასიმოვს ან მაისურაძეს მოვახსენებ ამ ამბავს და ვნახოთ, რას გვეტყვიან.

ჰასანოვი დარბაზის სიღრმეში გაუჩინარდა. მცირე ხნის შემდეგ ისევ უკან დაბრუნდა და მებრძოლებს მიმართა:

— შეიხსენით პარაშუტები და ერთ ადგილზე დააწყვეთ. აღარ დაგვჭირდება.

ბიჭებმა პარაშუტები მოიხსნეს, ღვედებით რომ ჰქონდათ მთელ ტანზე დამაგრებული და მეთაურს მიაჩერდნენ.

— ერთ საათში გადახურული მანქანა მოვა, — განაგრძო ჰასანოვმა, — მანქანით მივუახლოვდებით ფრონტის შტაბს. შტაბი გამყოლებს გაგვაყოლებს, იმათი მეშვეობით ქვეითად შევიპარებით ფრონტის ხაზზე და მტრის ზურგში გავალთ. ფეოდოროვის პარტიზანულ რაზმს დაახლოებით ერთ თვეში შევუერთდებით. გააჩნია რა წინააღმდეგობები შეგვხვდება გზადაგზა მტრის ზურგში.

ერთი საათის შემდეგ მანქანა მართლაც მზად იყო. მებრძოლები მანქანის ძარაზე მოთავსდნენ. მანქანამ გეზი დასავლეთისაკენ აიღო. მეორე დღეს ქალაქ კიევის მისადგომებთან ჩამოვიდნენ. აქედან ქვეითად უნდა გაჰყოლოდნენ გზას და ფრონტის შტაბში მისულიყვნენ.

თოვლით იყო გადათეთრებული მთელი არემარე. სიცივისაგან გათოშილი მებრძოლები ძლივს გაიშალნენ წელში. კარგახანს ერთ ადგილზე ტრიალებდნენ და ფეხებს აბაკუნებდნენ.

მცირე საუბრის შემდეგ მებრძოლები ქვეითად გაუდგნენ გზას; მერე მარცხნით გადაუხვიეს და მინდორზე გავიდნენ. მინდორზე ხშირ-ხშირად ხვდებოდათ ჭალები. მებრძოლები ჭალა-ჭალა მიიწევდნენ წინ და თანდათანობით უახლოვდებოდნენ ფრონტს.

ეტყობა, სულ ახალი განთავისუფლებული იყო ეს მინდორი მტრისაგან და ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ ჩვენი თუ მტრის ჯარისკაცებისათვის მიწა მიეყარათ. ყოველ ნაბიჯზე ომის საშინელი, მსახვრალი ხელი იგრძნობოდა.

მალე ისინი პატარა ხუტორს მიადგნენ. ხუტორი დაცარიელებული იყო. ნახევრად დანგრეული და ჩალეწილი ალიზის ქოხმახები საცოდავად გამოიყურებოდნენ. ალაგ-ალაგ ჯერაც არ ჩამქრალიყო ხანძარი და მხრჩოლავი კვამლი ზანტად მიიზლაზნებოდა ცისკენ.

მებრძოლებმა გვერდი აუარეს ხუტორს და ჭალებიც გათავდა. ახლა თვალწინ მოტიტვლებული ველი გადაეშალათ, რომელსაც შიგადაშიგ მეჭეჭებივით დასხდომოდნენ ბორცვები. ველის ბოლოს, ხელმარცხნივ ტყე მოჩანდა, ხოლო პირდაპირ უზარმაზარი სტანიცა.

მალე ბიჭებმა იმ ტყესაც მიაღწიეს. ტყე ხშირი იყო, მაგრამ არც ისეთი დიდი. აქედან საუცხოოდ მოჩანდა დაბლობში გადაშლილი უზარმაზარი სტანიცა, რომელსაც განუწყვეტლივ ურტყამდნენ შორსმსროლელი ქვემეხები და თითქმის ყოველ საათში ერთხელ ბომბავდნენ მტრის თვითმფრინავები.

როგორც შემდგომში შეიტყვეს ბიჭებმა, თურმე ეს სტანიცა წინა ერთი კვირის განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა და საბჭოთა ჯარებს მხოლოდ გუშინ გაეთავისუფლებინათ საბოლოოდ. ფრონტი კი ამ სტანიცის გადაღმა შვიდი კილომეტრის იქით იყო გადაჭიმული, ყოველ წუთს მოისმოდა ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების განუწყვეტელი კაკანი.

— ესეც ასე, უკვე მოვედით ფრონტზე! — თქვა ჰასანოვმა, როცა ტყეს შეაფარეს თავი. მცირე ხნის შემდეგ ისევ დაუმატა: — ჩვენ ახლა სტანიცაში შევალთ, გამოვეცხადებით ფრონტის შტაბს, რომელიც ამ სტანიცაშია შენიღ-

ბული. ვნახოთ, რას გვეტყვიან იქ. თქვენ კი აქ მოგვიცდით. მალცევა ჩემთან წამოვა.

მებრძოლები ყუმბარებისაგან ძირიანად ამოთხრილ ხეებზე ჩამოსხდნენ, მსუბუქად დანაყრდნენ და ტყე მოათვალიერეს.

მდუმარედ გაყურსულიყვნენ თოვლით ტოტებდამძიმებული ვერხვები და ნაძვები. ხეების ქვეშ თოვლზე მიმოფანტული იყო მტრის თვითმფრინავების მიერ ჩამოყრილი პროკლამაციები და კალენდრის ფურცლები, რომლის მეორე გვერდზე ჩვენი ბიჭების თვალის ასაბმელად რუსულად ეწერა: საბჭოთა კავშირის დამარცხება გარდაუვალია. დაყარეთ იარაღი და ჩვენს მხარეს გადმოდითო. კალენდრის ფურცლებზევე იყო დიბეჭდილი საშვი, რომელიც მებრძოლს უნდა ამოეხია, შეენახა და მტრის ბანაკში გადასვლისას წარედგინა.

მცირე ხნის შემდეგ მებრძოლები ისევ ტყის პირას გამოვიდნენ და დანგრეულ სტანიცას გახედეს.

ეტყობოდა სტანიცაში ჩვენი არტილერია იდგა. ხშირ-ხშირად ისმოდა ქვემეხების გაბმული გრუხუნი, რომელიც მტერს რისხვას უგზავნიდა.

თავის მხრივ მტერი საპასუხო დარტყმას უბრუნებდა. წყებად წამოსული ჭურვები ზუზუნით მოაპობდნენ სივრცეს, შიგ შუა სტანიცაში ეშვებოდნენ და რასაც კი დაეცემოდნენ, ცაში აჰქონდათ ნამსხვრევებად.

მალე მზემ ვეღარ გაუძლო ამ ცოდვილ ქვეყანას, წამოკრიფა სხივები და დასავლეთით გადაიკარგა, ცას მეწამული ფერი შერჩა, თითქოს დედამიწაზე დაღვრილმა სისხლმა იქაც უწიაო.

დასრულდა ზამთრის პატარა დღე. დაღამდა. თითქოს დაიღალნენო, ორივე მხრიდან შეწყდა შორსმსროლელი ქვემეხების დუელი. სიწყნარე ჩამოწვა, ირგვლივ მყუდროებამ დაისადგურა მხოლოდ შორს, სტანიცის გადაღმა შვიდი კილომეტრის დაცილებით დაზგის ტყვიამფრქვევის მონოტონური კაკანი ისმოდა. იქ, წინა ხაზზე ბიჭები ტყვიებით ელაპარაკებოდნენ მტერს.

— აბა, მოემზადეთ —გაისმა ფერდობზე მომავალი ჰასანოვის ნაცნობი ხმა, რომელსაც გამყოლები აქეთ-იქიდან ამოსდგომოდნენ.

ბიჭებმა იარაღი აისხეს და უხმოდ გაჰყვნენ.

ცაზე საყურესავით ეკიდა ნამგალა მთვარე. დედამიწას მკრთალი, ნათელი დასდგომოდა. ისეთი მყუდროება ჩამოწოლილიყო, თითქოს ფრონტი კი არა, სადღაც უდაბნოში მიდიანო.

ფეხაკრეფით შევიდნენ სტანიცაში. არც ერთი შენობა არ დარჩენილიყო მთელი. თითქოს ტანკებს უბულდოზერავიათო, ისე იყო ეზოები მირეულ-მორეული. საცოდავად გამოიყურებოდნენ უპატრონოდ მიტოვებული საცხოვრებელი სახლები. სახურავაგლეჯილი დაწესებულებათა შენობები ტყვიისაგან თუ ნამსხვრევებისაგან დაცხავებული სკოლისა და საბავშვო ბაღების კარ-ფანჯრები, კედლები.

ბიჭებმა სტანიცა გაიარეს და ველზე გავიდნენ. ახლა სწორი მინდორი იწყებოდა, რომელსაც ხელმარცხნივ ტყე ერტყა. მინდვრის დასასრულს სიბნელეში ნაირფრად ელავდნენ ცეცხლოვანი ტყვიები და შიგადაშიგ ცაში ავარდნილი მაშხალები წუთიერად ხევდნენ ღამის ფარდას. ახლა უფრო მკვეთრად ისმოდა ავტომატისა და ტყვიამფრქვევების განუწყვეტელი კაკანი. ფრონტს უახლოვდებოდნენ.

მებრძოლები მძიმედ მიიწევდნენ წინ, ჩუმად, უხმაუროდ. თოვლს ხრაშა-ხრუში გაჰქონდა. დასავლეთის სუსხიანი ქარი სისინით ეგებებოდა მებრძოლებს და სახეს ალესილი ხანჯალივით უსერავდა.

წინ გამყოლები მიდიოდნენ. უკან ჰასანოვი, კულუმბეგოვი და ქენია მალცევა მიჰყვებოდნენ. შემდეგ სხვები. თბილი ქურთუკის საყელოები ყურებზე გადმოეწიათ, ქუდის ზონრები ნიკაპთან მჭიდროდ შეეკრათ და თვალებიღა მოუჩანდათ.

მზვერავებმა მარჯვნივ გადაუხვიეს და თავი ტყეს შეაფარეს. ტყეში ზოლივით მოიკლაკნებოდა ღელე. ღელე შამბნარს დაეფარა. შამბნარი ისეთი სქელი და გაუვალი იყო, ადამიანი იქ დღისითაც კი ვერ შენიშნავდა სულიერს, არამც თუ ღამე.

მებრძოლები შამბნარს მოედვნენ. შამბნარი ჭაობიანი იყო, მძიმედ მიიკვლევდნენ გზას. უჭირდათ სიარული. ცივი, გამჭოლავი სუსხი პარტიზანებს სახეში ურტყამდა, ჭაობში სიარულით კი გაოფლიანებულიყვნენ. დაღლილობისაგან ძლივს სუნთქავდნენ.

ერთი საათის შემდეგ ისინი უკვე ფრონტის ხაზს გასცდნენ. ავტომატების კაკანი ახლა ზურგიდან ესმოდათ.

გამყოლებმა მებრძოლები შეაჩერეს.

— კმარა, უკვე მტრის ზურგში ხართ. ჩვენ ახლა უკან დავბრუნდებით. გისურვებთ მტერზე გამარჯვებას, თქვენი ამოცანის ბრწყინვალედ შესრულებას, ძვირფასო მეგობრებო!

პარტიზანები შამბნარიდან გამოვიდნენ. ტყეში რომ შევიდნენ, ჰასანოვმა შეაჩერა ისინი:

— ცოტა შევისვენოთ, მუხლებს ქარი ამოვაღებინოთ და მერე გავუდგეთ გზას.

მებრძოლები წაქცეულ ხეებზე ჩამოსხდნენ.

— სანამ გზას გავუდგებოდეთ, — განაგრძო ჰასანოვმა, — გაგაცნობთ ჩვენი მგზავრობის მარშრუტს. ჩვენ ახლა ჩრდილოეთით ავიღებთ გეზს, გვერდით ავუვლით უკრაინის ქალაქებს კოროსტენს, ოვრუჩს, სტანიცა ლესკს, გადავლახავთ მდინარე სლუჩს და გავალთ დასავლეთ ბელორუსიაში დუბროვეცისა და მანევიჩის მიმართულებით, იქიდან როვნოს ტყეებში, სადაც ფეოდოროვის პარტიზანული რაზმი მოქმედებს.

— რატომ უნდა წავიდეთ ამ მიმართულებით,

პირდაპირ დასავლეთ უკრაინაზე რომ გაგვევლო? — ცნობისმოყვარეობით იკითხა ბელოვმა.

— იქით ტყეები არ არის და მტერს ვერ ვაევპარებით. ერთადერთი გზა ეს არის. თვით ლეგენდარული კოვპაკის შენაერთი ბრიანსკიდან ამ გზით გავიდა დასავლეთ უკრაინაში. ჩვენ ახლა გვჭირდება მზვერავები. მზვერავებად ვნიშნავ არტემ კულუმბეგოვს, დურმიშხან მაღალაშვილს და ალკა ბელოვს, ან როგორც თქვენ ეძახით მეტსახელად, ოტო შულცს. ალკაზე ახლა ბევრი რამ არის დამოკიდებული. მტერს კიდევაც რომ ჩაუვარდეს ხელში, შეუძლია თავი გერმანელად გაასაღოს. მაშ ასე, ბიჭებო, — მიმართა მზვერავებს, — ძალიან ნუ დაგვშორდებით, ერთმანეთს არ ავცდეთ, მჭიდრო კავშირში ვიყოთ, მოახლოებული საფრთხე დროულად ავიცილოთ თავიდან. ახლა კი გავუდგეთ გზას.

მებრძოლები წამოიშალნენ. მაღალაშვილი, კოლუმბეგოვი და ბელოვი ტყეში გაუჩინარდნენ. მათ შორიახლო მიჰყვა რაზმი.

პირველი საათი ხდებოდა. ქარი თანდათან გაძლიერდა და ბოლოს თოვლის კორიანტელში გაეხვია ყველაფერი.

მთელი ღამე კეცავდნენ გზას. აქ აღარ შეხვედრიათ ხშირი ტყეები, პარტიზანისათვის ზედგამოჭრილი რომ იყო.

ალაგ-ალაგ თუ წააწყდებოდნენ შერეული ხეების ტევრს. ისიც მალე გათავდებოდა და კვლავ მინდორი, თოვლით გადალესილი, დაუსრულებელი მინდორი გადაეშლებოდათ წინ. არც გზა ჩანდა , არც ბილიკი. ბედის ანაბარა მიიწევდნენ როვნოს მიმართულებით, სადაც ფეოდოროვის პარტიზანული შენაერთი მტერს მოსვენებას არ აძლევდა.

სიარულში დაათენდათ, მაგრამ დასასვენებლად მუხლი არ ჩაუხრიათ. მათ ბედზე გუშინვე ჩადგა ქარი. მოწმენდილი ცა კვლავ თეთრმა ნისლმა დაფარა და გათენებისას ისეთი თოვა დაიწყო, ორი ნაბიჯის იქით ვერაფერს გაარჩევდი.

— ქურდს რა უნდა და, ბნელი ღამეო, სწორედ ჩვენზეა ნათქვამი, — მხიარულად ამბობდა ჰასანოვი, — ამისთანა ამინდში ერთი წუთით არ შეიძლება დროს დაკარგვა. უნდა ვიაროთ, სანამ ამინდი გვიწყობს ხელს და მერე შევისვენოთ.

შუადღისას გადაიღო თოვა, ცა მოიწმინდა, ბიჭები ნამჯის ვეებერთელა თაიებს მისდგომოდნენ. დასავლეთით მოჩანდა ბუჩქნარებით შემოსილი დამრეცილი თხემები და შიგადაშიგ ხშირი ტყეები, ხოლო სამხრეთით მავთულხლართებით შემოვლებული პატარა დასახლებული პუნქტი, რომლის ეზოშიც ჯარისკაცები ფუსფუსებდნენ.

— დავენაძლევებით, თუ ეგ ტყვეთა ბანაკი არ იყოს! — წამოიძახა კოლია შლომბინმა.

— ტყვეთა ბანაკია! — დაუდასტურა სხვებთან ერთად პაპან ჰასანოვმა, — სიარული აღარ შეიძლება. აქ უნდა შევისვენოთ დაღამებამდე. ნეტავი იმ ტყეში მაინც შეგვესწრო და მერე გადაეღო თოვას.

— აქ რომ დავისვენოთ, ქვათუ ჩვენც იმ ტყვეთა ბანაკის წერა გავხდეთ! — იხუმრა ჯილაცამ.

— მანამდე ნურაფერს სჭამენ! — მტკიცედ წარმოთქვა ბელოვმა.

ბიჭები თივის თაიებში შეძვრნენ და დაწოლისთანავე ჩაეძინათ კოლია შლომბინი და იური ზაიცევი ყარაულებად დადგნენ.

ისევე სწრაფად გაიპარა დღევანდელი დღე, როგორც გუშინ და გუშინწინ. ბინდი ჩამოაწვა გარემოს, მაგრამ თოვლით გაქათქათებულ მინდორზე ყველაფერს გაარჩევდა ადამიანი.

ზაიცევმა ამხანაგები გააღვიძა. პარტიზანები ზეზე წამოიშალნენ. ის იყო, უნდა შესდგომოდნენ გზას, რომ ტყვეთა ბანაკის მხრიდან ძაღლების ყეფა მოისმა და გერმანელებს ფაცაფუცი შეუდგათ.

— ალბათ ტყვეები გაექცნენ და ახლა მათ საძებნელად მოდიან! — წამოიძახა ჰასანოვმა და ბიჭებს მზერა მიაპყრო. — მოემზადეთ. სანამ მე არ გითხრათ ტყვია არ ესროლოთ.

ბიჭებმა ავტომატები შემართეს. ძაღლების ხმა თანდათან უფრო ახლოვდებოდა, მერე მიმართულება შეიცვალა და ახლა დასავლეთის მხრიდან გაისმა:

— ტყისკენ მიდიან. — წამოიძახა ბელოვმა და ჰასანოვს შეხედა.

— ტყეში თუ შეასწრეს, ძაან რამეს გახდებიან, — დაუმატა მაღალაშვილმა.

— მტერმა იცის საით წავიდეს და საით მოძებნოს, — თქვა ჰასანოვმა, — არ შეიძლება ჩვენც არ გვესტუმრონ. ამ თივის ზვინებს უსათუოდ დაათვალიერებენ. ჩვენ რომ ეს ადგილი დავტოვოთ, არ გამოდგება, გაშლილ მინდორზე მტერი ადვილად დაგვაზიანებს. ამიტომ აქ უნდა დავრჩეთ და თივის ზვინების ირგვლივ განაწილდეთ. თუ მართლა ჩვენკენ წამოვიდნენ, მაშინ ახლოს უნდა მოვუშვათ. ელოდეთ ჩემს ნიშანს. როცა გეტყვით, ერთდროულად გავხსნით ცეცხლს და მოვცელავთ.

ჰასანოვი არ შემცდარა, სიტყვის თქმა ჯერ არ დაემთავრებინა, რომ ხმაურმა კვლავ შეიცვალა მიმართულება და ძაღლების ყეფა თანდათანობით მათ დაუახლოვდა. მალე ესესელების სილუეტებიც გამოიკვეთნენ. ხუთნი იყვნენ და გაშლილად მოდიოდნენ.

პარტიზანებმა სათითაოდ ამოიღეს მიზანში მტრის ჯარისკაცები. სულ ახლოს მოუშვეს, მერე ერთდროულად გაუხსნეს ცეცხლი და მოცელეს. დაფეთებული ძაღლები პირდაპირ მათკენ გამოექანენ, მაგრამ პატრონებივით ისინიც დაცხრილეს.

— აბა, სწრაფად, გავუდგეთ გზას! — შეჰყვირა მეთაურმა და გეზი პირდაპირ ტყისკენ აიღეს, რომელიც ორი კილომეტრით იქნებოდა

დაცილებული. — იქ თუ მოვასწარით შესვლა, მერე აღარაფერი გვიშავს რა.

ჯერ ასი მეტრი არ ექნებოდათ გავლილი, რომ უკანიდან მტრის ავტომატი აკაკანდა და ტყვიებმა ბიჭებს წივილით გადაუარეს თავზე.

— უყურე ერთი, ცოცხალი დაგვრჩენია ძაღლი — წამოიძახა ჰასანოვმა და ბიჭებს ხელით ანიშნა დაწექითო. ბიჭები თოვლზე გაწვნენ მტრის ავტომატი არ ცხრებოდა, პარტიზანებმა ხელახლა გაუხსნეს ცეცხლი და მტრის ავტომატიც ჩაჩუმდა.

— სწრაფად! — ხელახლა გაისმა ჰასანოვის ბრძანება, — იმ ტყეში როგორმე უნდა შევასწროთ, თორემ მტერმა შეიძლება გზა გადაგვიღობოს.

— ბიჭებო, მიშველეთ, ბიჭებო! — უცებ მოესმა პარტიზანებს ნიკოლოზ შლომბინის სასოწარკვეთილი ხმა. ყველანი დაჭრილს მისცვივდნენ, კოლია როგორც დავარდნილიყო თოვლზე, ისევე დარჩენილიყო. მკერდიდან გადმომსკდარ სისხლს ფარაჯაში გამოეჟონა.

ბიჭების დახმარებით ქენია მალცევამ ჭრილობა შეუხვია შლომბინს. ჭრილობა მძიმე იყო. მკერდის არეში ჰქონდა მოხვედრილი. ტყვია შიგ იყო ჩარჩენილი.

— დაყოვნება აღარ შეიძლება, როგორმე უნდა ვატაროთ ზურგით ტყემდე. მერე იქ ხის ტოტებისაგან საკაცე შევკრათ და წავიყვანოთ! — თქვა ჰასანოვმა და დაჭრილზე თვალით ანიშნა ასწიეთო.

მზვერავებმა ხელი ჩაჰკიდეს ერთმანეთს, ზემოდან დაჭრილი დააწვინეს და ჩვეულებრივად გაუდგნენ გზას.

შლომბინი პირველად ჩუმად იყო, არ კვნესოდა, არც არაფერს ამბობდა. ალბათ ჭრილობა ახალი რომ იყო, ტკივილს ვერა გრძნობდა. მერე რომ ხანმა გაიარა, აკვნესდა, ბიჭებს ეხვეწებოდა: — ფრთხილად წამიყვანეთ, ნუ მანჯღრევთო.

როგორც იყო მიაღწიეს ტყეს. სიღრმეში შევიდნენ და კიდევაც თავისუფლად ამოისუნთქეს. ბუჩქის ძირას დაჭრილი ხმელი ფიჩხის ტოტებზე დააწვინეს და თვითონაც გვერდით მოუსხდნენ.

მცირე შესვენების შემდეგ მაღალაშვილმა, ბელოვმა და კულუმბეგოვმა ტყე დაზვერეს. ტყე საკმაოდ დიდი ჩანდა. არც სიგრძე უჩანდა, არც სიგანე. გადაწყვიტეს კიდევ ღრმად წაეწიათ ტყეში, ხშირი ბუჩქნარი მოეძებნათ და დილამდე დაესვენათ.

• • •

მთელი ღამე გვერდიდან არ მოსცილებია ქენია მალცევა შლომბინს. საკუთარ ძმასავით თავს დასტრიალებდა, წამლებს აძლევდა, ამშვიდებდა, მაგრამ შლომბინი არ ცხრებოდა, კვნესოდა, სწუხდა, ოხრავდა. რა უბრალოდ ვიღუპები, ჯერ ხომ მტრის სისხლი არ ამიღიაო, — ამბობდა.

— ნუ გეშინიან, კოლია, დაწყნარდი, კარგად იქნები. ჩვენ მალე შევუერთდებით ფიოდოროვის პარტიზანულ რაზმს და იქ გიშველით.

— ჩემი საქმე უკვე დამთავრებულია... მე მებრძოლად ველარ გამოვდგები... ტყუილად თქვენი სათრევი უნდა გავხდე... რომ მოვმკვდარიყავი, ის ჯობდა... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა შლომბინი და სახეზე სიმწრის ოფლს ასხამდა.

ტყის სიღრმიდან უცბად ავტომატის კაკანი გაისმა. მებრძოლებმა თვალები ჭყიტეს.

— ხედავთ? მტერი დაგვეძებს — წამოიძახა ჰასანოვმა, — ახლავე უნდა გავეცალოთ აქაურობას, თორემ მალე თავზე დაგვადგებიან. აბა, აიკრიფით გუდანაბადი, სწრაფად!

ბიჭები ზეზე წამოიშალნენ.

— შლომბინს ამჯერად პეშკოვი და ზაიცევი ატარებენ! — გასცა განკარგულება ჰასანოვმა. მაგრამ მას უკანასკნელი სიტყვა ჯერ არ დაემთავრებინა, რომ მოულოდნელად ყურის ძირში ტყვია გავარდა. ეს იყო შლომბინის უკანასკნელი გასროლა.

ნირწამხდარნი და ამ მოულოდნელი ამბით გაოგნებული ბიჭები კოლიას მისცვივდნენ, მაგრამ კოლია საამქვეყნო აღარ იყო. საფეთქელიდან სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა და სულს ლაფავდა. გულზე დავარდნილი რევოლვერის ლულიდან, მკრთალი, გაცრეცილი კვამლი ამოდიოდა.

პარტიზანები გაოცებული შესცქეროდნენ ერთმანეთს და ხმა ვერ ამოეღოთ. ამ მოულოდნელ ამბავს ყველა ერთნაირად დაემუნჯებინა, დაედუმებინა. არავის უთქვამს, მაგრამ ყველასათვის გასაგები იყო, რაც შლომბინმა ჩაიდინა. მან თავი მოიკლა იმიტომ, რომ ბიჭები საფრთხეში არ ჩაეყენებინა.

— ვაჟკაცი იყო და ვაჟკაცურად მოკვდა! — მწარედ დაიკვნესა ჰასანოვმა.

— მშვიდობით, ძვირფასო კოლია! — ვერც ქენია მალცევამ შეიკავა ცრემლი.

მოცდა აღარ შეიძლებოდა და აღარც მოუცადოთ. ჰასანოვის ბრძანებით წინ წაწევის მაგივრად რამდენიმე კილომეტრით უკან დაიხიეს, რომ მტრისთვის თავგზა აებნიათ და მეორე ღამეს გაუდგნენ გზას.

უკვე სამი კვირა ხდებოდა, რომ გზაში იყვნენ, რაც დნეპრის ნაპირებს მოსწყდნენ. შლომბინის დაკარგვა უკლავდათ გულს, თორემ საქმეს კარგი პირი უჩანდა. მათ უკვე უკან ჰქონდათ მოტოვებული სარნის, კოველის, მანევიჩის, ლუცკის მიდამოები და სამი დღის შემდეგ ბელორუსიის განთქმულ ტყეებში აღმოჩნდნენ. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ახლა საჭირო იყო მდინარე პრიპიატის მიმართულებით აეღოთ გეზი და გასულიყვნენ როვნოს

ტყეებში. ეს კი არც ისეთი ადვილი საქმე იყო. ისე, როგორც დასავლეთ უკრაინაში, ბელორუსიის ტყეებიც სავსე იყო პარტიზანებით. შეიძლება შეხვედრის დროს ერთმანეთისათვის ვერ გაეგოთ და შეტაკებოდნენ, ძმათა სისხლი დაღვრილიყო.

ჰასანოვის პარტიზანებმა ისიც კარგად იცოდნენ, რომ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად არც მტერს ეძინა. რომ დასავლეთ ბელორუსიისა და დასავლეთ უკრაინის ტყეებში დაბანაკებული პარტიზანული შენაერთების შესახებ ჰიტლერელებმა ყველაფერი კარგად იცოდნენ და ახალ-ახალ ნაწილებს აგზავნიდნენ მათ შესამუსრად.

* * *

ახალი გათენებული იყო. პარტიზანები ჯერ კიდევ არ აშლილიყვნენ ბუჩქებში სახელდახელოდ გაკეთებულ „ბინიდან“. დურმიშხან მაღალაშვილი და არტემ კულუმბეგოვი ჰასანოვის დავალებით ტყის სიღრმეში დასაზვერად წავიდნენ. მათი მიზანი იყო შეხვედროდნენ ვინმეს სალაპარაკოდ და გამოერკვიათ ადგილობრივი პარტიზანების ადგილსამყოფელი, სულ ერთი იყო, ვისი შენაერთი იქნებოდა ეს, რადგან მათი საშუალებით მერე უფრო ადვილად გაიკვლევდნენ გზას როვნოს ტყეებისაკენ.

სასიამოვნო სანახავი იყო დუბროვეცის ეს უდაბნო, სპეტაკი თოვლით დაბურული ტყეები, რომლებსაც თავიანთი სილამაზე ზამთარშიაც კი არ დაეკარგა. ტოტებდახრილ ნაძვებსა და ფიჭვებს თოვლი სქლად დასწოლოდა. თოვლით იყო გადალესილი ბალახიც.

თითქმის ორი კილომეტრით დასცილდნენ ისინი თავიანთ რაზმს. ამ დაბურულ ტყეში არსად ბაიბური არ ისმოდა.

უცბად კულუმბეგოვმა თოვლზე ადამიანის ნაფეხური შენიშნა და დურმიშხანს, რომელიც შორიახლო მიჰყვებოდა, ხელი დაუქნია, აქ მოდიო.

დურმიშხანი არტემთან მივიდა და ნაკვალევს დააცქერდა. ნაკვალევი ახალი ჩანდა. ეტყობოდა, ორს გაევლო, ზოგან გერმანული ფეხსაცმლის ანაბეჭდი მოჩანდა, ზოგან საბჭოურის.

— გერმანელები არ უნდა იყვნენ, — თქვა კულუმბეგოვმა და დურმიშხანს შეხედა.

— ვერც იმას იტყვი, რომ პარტიზანები არიან.

— რა თქმა უნდა, მაგრამ ორში ერთია. ან გადაგვარებული ნაციონალისტები იქნებიან, ან პარტიზანები. ყოველ შემთხვევაში, სიფრთხილე გვმართებს. შეიძლება მართლაც პარტიზანები აღმოჩნდნენ და ფრთხილად ვიყოთ, ზიანი არ მივაყენოთ ერთმანეთს!

— ნამდვილად! — კვერი დაუკრა მაღალაშვილმა.

ნაკვალევს გაჰყვნენ. ნაკვალევი ჩრდილოეთით მიემართებოდა. როგორც იტყვიან, მათ ათი თვალი და ათი ყური ჰქონდათ გამოსხმული და ტყის სიღრმეს დაკვირვებით ჭვრეტდნენ.

უცბად უზარმაზარი ფიჭვის ტოტებს ქვეშ ორი ჯარისკაცი შენიშნეს. მათ ავტომატები ზურგზე გადაეკიდათ, გადატეხილ მორზე უშიშრად ჩამომჯდარიყვნენ, გაზეთის ქაღალდში თამბაქოს ახვევდნენ და თავიანთვის საუბრობდნენ.

მაღალაშვილი და კულუმბეგოვი თითქმის ზედ მიადგნენ ჯარისკაცებს, სქელ ბუჩქს ამოეფარნენ და დაკვირვებით დაუწყეს თვალთვალი.

ლაპარაკი ბუნდოვნად ისმოდა და მზვერავებმა ვერ გაარკვიეს, რომელ ენაზე საუბრობდნენ ისინი. მათ ეცვათ ნახევრად სამოქალაქო და ნახევრად სამხედრო ტანსაცმელი. გარეგნობით უფრო რუსებს გავდნენ.

— რას იტყვი, პარტიზანები არიან, თუ ნაციონალისტები? — დურმიშხანმა თვალებით ჰკითხა კულუმბეგოვს.

მზვერავებმა ჯერ კიდევ მოსკოვიდან იცოდნენ, რომ ნაციონალისტებს თავიანთი საიდუმლო პაროლი, ესე იგი გადაძახილი ჰქონდათ. როცა ისინი ტყეში ვინმეს წააწყდებოდნენ, შესძახებდნენ: „სლავა უკრაინო“ თუ შეძახილზე არ უპასუხებდნენ, მაშინ ისინი მტრები იყვნენ და ცეცხლს გაუხსნიდნენ. თუ ეტყოდნენ „სლავა გეროიამ“, ეს იმას ნიშნავდა, რომ ისინი ნაციონალისტები იყვნენ და მშვიდობიანად შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

დურმიშხანმაც გადაწყვიტა ასე მოქცეულიყო, ავტომატს ხელი მაგრად მოუჭირა და არტემს უთხრა:

— მიდი, შენ იმ ხეს ამოეფარე, მე აი, ამ ხეს ამოვეფარები და გამოველაპარაკები. თუ ჩვენები არ აღმოჩნდნენ, ჯანდაბას მაგათი თავი. ორნი ეგენი არიან, ორნი ჩვენ. რას გვიზამენ!

თანხმობის ნიშნად კულუმბეგოვმა თავი დაუქნია და ბუჩქს მოსცილდა. დურმიშხანი ხეს ამოეფარა, ავტომატის კონდახი მკერდზე მიიბჯინა და ხმამაღლა შესძახა:

— „სლავა უკრაინო!“

ამ სიტყვებზე ჯარისკაცები ფეთიანივით წამოხტნენ და ავტომატები მხრიდან გადმოიგდეს, მაგრამ სანამ ამას მოახერხებდნენ დურმიშხანმა ხელახლა შესძახა:

— არ შეგეშინდეთ, ჩვენც პარტიზანები ვართ და უაზროდ სისხლი არ დავღვაროთ.

ჯარისკაცებმა ავტომატები დაბლა დაუშვეს და ხეს ამოფარებულებმა ცერად გახედეს მზვერავებს და, რადგან დარწმუნდნენ, რომ ისინი მართალი იყვნენ თავიანთ ნათქვამში, ხეს მოსცილდნენ და პირისპირ დადგნენ.

— პარტიზანები ხართ! — ჰკითხა ხელახლა დურმიშხანმა.

— დიახ, პარტიზანები ვართ!

— რომელი შენაერთიდან?

— ბრესტის შენაერთებიდან!

— ვინ არის თქვენი შენაერთების მეთაური?

— სერგეი სიკორსკი.

— დასავლეთ ბელორუსიაში მოქმედებთ?

— დიახ, დასავლეთ ბელორუსიაში ვმოქმედებთ!

— თქვენი შტაბი დასავლეთ ბელორუსიაში იმყოფება?

— რა თქმა უნდა, მდინარე პრიპიატის გაღმა.

— დიდია თქვენი შენაერთები?

— საკმაოდ დიდია. სულ ცამეტ რაზმსა და ორ ბრიგადას ითვლის. დაახლოებით ერთ დივიზიამდე იქნება.

— ეს კარგი ამბავია! — თავი გააქნია დურმიშხანმა, — ახლა თქვენი უფროსების ნახვა გვინდა. ვისთან წაგვიყვანთ? დიდი საქმე გვაქვს.

— ჩვენი ბრიგადა აქვეა განლაგებული, ორ კილომეტრში. თქვენ ქართველები ხართ?

— დიახ, ქართველები ვართ!

— ჩვენი ბრიგადის პოლიტხელიც ქართველია. პირდაპირ იმასთან მიგიყვანთ. შეგიძლიათ იმას ელაპარაკოთ.

— რას მეუბნები, რა გვარია?

— საშკა გრუზინი!

— საშკა გრუზინი? — სიცილი ვეღარ შეიკავა დურმიშხანმა და კულუმბეგოვს გადახედა. კულუმბეგოვმაც მხიარულად გადაიხარხარა.

— ეგ ხომ სახელია, გვარი არ იცი?

— არ ვიცი. მას ყველა საშკა გრუზინს ეძახის.

— ხნიერია?

— არა, ახალგაზრდაა, ოცდახუთი წლისა იქნება.

— ძალიან კარგი. ხედავ? — მიუბრუნდა დურმიშხანი კულუმბეგოვს, — რა კარგად აეწყო ჩვენი საქმე. აბა, წავიდეთ, მეგობრებო! — მიმართა მაღალაშვილმა პარტიზანებს.

— წავიდეთ!

დურმიშხანმა და არტემმა ავტომატები მხარზე გადაიკიდეს და მასპინძლებს გვერდით გაჰყვნენ.

მალე ისინი დაცვის ზონას მიადგნენ. ოთხი გუშაგი მხიარულად შეეგება ამხანაგებს და უცხო ჯარისკაცებს თავით ფეხამდე შეათვალიერეს.

— ჩვენები არიან. პოლიტხელთან მიგვყავს, — უთხრეს მათ და გზა განაგრძეს.

მალე მოხერხებულად შენიღბულ მიწურს მიადგნენ. მიწურების წინ ცხენის მარხილები და ოთხთვალები მოჩანდა. იქვე გამოებათ ცხენებიც. პარტიზანებს ხმელი ტოტებისაგან კოცონი დაენთოთ და გარშემო შემოხვეოდნენ, მაგრამ აქაც არ ელოდნენ საქმეს. ზოგი ცხენებს წმენდდა, ზოგი იარაღს. მოშორებით საველე სამზარეულო იდგა და მილიდან კვამლი ამოდიოდა. მზარეულები საჭმელს ამზადებდნენ.

სამზარეულოს დანახვაზე დურმიშხანსა და არტემს თვალები გაუფართოვდათ და ერთითვის ნახევრად ნაშიმშილართ პირზე ნერწყვი მოადგათ.

ერთერთ მიწურს მიადგნენ. ეს მიწური კრამიტით იყო დაფარული და ზემოდან ნაძვის ტოტები ეყარა, რომ ჰაერიდან მტრის თვითმფრინავს არ შეემჩნია.

დურმიშხანი და არტემი ზემოთ დადგნენ. მიწურში მხოლოდ ერთი პარტიზანი ჩავიდა. მცირე ხნის შემდეგ კარის ზღურბლთან გამოჩნდა საშუალო ტანის, ახალგაზრდა, შავგვრემანი, ეშხიანი სახის ვაჟკაცი, რომელსაც დიდრონი შავი თვალები და სქელი გადაბმული წარბები უმშვენებდა მარილიან სახეს. მან ცნობისმოყვარეობითა და სიხარულის გამომხატველი ღიმილით შეათვალიერა ბიჭები და მოუთმენლად ჰკითხა:

— ქართველები ხართ?

— ქართველები ვართ! — ერთხმად უპასუხა მაღალაშვილმა და კულუმბეგოვმა.

— ჩამოდით დაბლა!

დურმიშხანი და არტემი მიწურში ჩავიდნენ. მასპინძელმა სათითაოდ ჩამოართვა ხელი და დასაჯდომად ხის ნარზე მიუთითა.

ბიჭები ნარზე ჩამოსხდნენ.

— აქ საიდან მოხვედით, პარტიზანები ხართ? — ჰკითხა საშკა გრუზინმა.

— თექვსმეტი კაცისაგან შემდგარი დივერსიული ჯგუფი ფეოდოროვის შენაერთებში მივდივართ. ერთი თვეა, რაც ფრონტის ხაზი გამოვარღვიეთ და გზაში ვართ. თქვენი ნახვა იმიტომ გვინდოდა, რომ დაგვეხმაროთ გზის გაგნებაში.

— სიამოვნებით, სადაურები ხართ?

— მე მეტეხიდან გახლავარ, დურმიშხან მაღალაშვილი, ეს კი თბილისელი ოსია არტემ კულუმბეგოვი. თქვენ რა გვარი ბრძანდებით?

— მე შალვა კობიაშვილი გახლავართ, ყაზბეგელი.

— ძალიან კარგი. ბევრი არიან თქვენთან ქართველები?

— საკმაოდ!

— ჩემი გვარის კაცი ხომ არავინ არის? ჩემი უფროსი ძმა ტყვედ ჩავარდა და შეიძლება ისიც რომელიმე პარტიზანულ რაზმში იბრძვის.

— შენი გვარის ჩვენთან არავინ არის. ჩვენთან არიან: მიხეილ ტურაშვილი, შალვა ბაბუნაშვილი, გიორგი ჯიბუტი, კოტე გოგებაშვილი, ნიკოლოზ ნოზაძე, ნიკოლოზ თაგვაძე, სოსო ჩხიკვაძე, კარლო სვანიშვილი, შაქრო ღვთისიაშვილი, კარლო პატარაია, რეზო მათიაშვილი, ლევან გამცემლიძე და სხვები. ბევრის გვარი არ ვიცი, სხვადასხვა რაზმებში არიან.

— ოო, რამდენი ქართველი ყოფილხართ! ახლა რით დაგვეხმარებით?

— გამყოლებს გაგაყოლებთ. ფეოდოროვის შენაერთები კამენო-კაშირის რაიონში არიან დაბანაკებული. ჩვენი მზვერავები იმათ მზვერავებს თითქმის ყოველდღე ხვდებიან მანევიჩისა და ველიკოგლუშის რაიონებში.

ჩვენ ერთმანეთთან კავშირი გვაქვს. საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს ვეხმარებით ტყვიაწამლის, ახალი იარაღებისა და ამფეთქებელი მასალის მომარაგებაში. როცა ისინი მიიღებენ მოსკოვიდან ამ იარაღს და ჩვენ გვჭირდება — გვაძლევენ. როცა ჩვენ მივიღებთ და მათ არა აქვთ, ჩვენ ვაძლევთ. ისე, რომ ერთმანეთს ხელს ვუმართავთ.

— აგაშენათ ღმერთმა, ძმაო, ეს კარგი ამბავი გვითხარით!

— სხვა რით შემიძლია დაგეხმაროთ?

დურმიშხანმა კეფა მოიფხანა.

— სურსათზე როგორა ხართ?

— ამ წუთში ყველაფრით უზრუნველყოფილი ვართ, მაგრამ ზოგჯერ პურიც კი არა გვაქვს ხოლმე. მარტო ხორცით და კარტოფილით ვიკვებებით.

— ხორცი კი გაქვთ? — გაკვირვება ვეღარ დაფარა კულუმბეგოვმა.

— რამდენიც გინდათ. ნახირი კი არა გვყავს?

— ნახირი?!

— დიახ, ნახირი. ყველა ბრიგადას თავისი ნახირი ჰყავს. გერმანელებს წავართვით, როცა გერმანიაში მიერეკებოდნენ. ბევრი პატრონს დავუბრუნეთ, მეწველი ძროხები ბავშვიან ოჯახებს ვაჩუქეთ, რომ თავი გაიტანონ. ახლა გეშიებათ, არა?

— რა თქმა უნდა!

— თქვენი ამხანაგები აქედან შორს არიან?

— ორ კილომეტრის მოშორებით.

— ერთერთი წაყევით ჩვენს მზვერავებს, აქ მოიყვანეთ, კარგად დაგაპურებთ და საღამოს კი გზას გაუდგებით. თანახმა ხართ?

— დიდ მადლობას მოგახსენებთ!

— მე წავალ, დურმიშხან, შენ აქ დარჩი! — სწრაფად წარმოთქვა კულუმბეგოვმა და ზეზე წამოდგა.

— წადი!

კულუმბეგოვი და მზვერავები კარში გავიდნენ. დურმიშხანმა მიწური მოათვალიერა. მიწურში თუნუქის ღუმელი ენთო და საამურად ტკაცუნობდა.

— კარგად კი მოწყობილხართ! — მხიარულად წარმოთქვა მალალაშვილმა.

— პარტიზანის პირობაზე მართლაც კარგად მოვეწყეთ.

— თქვენ როგორღა მოხვდით მტრის ზურგში, ტყვედ ჩავარდით?

— გაინტერესებთ ჩემი ამბავი?

— რატომაც არა!

კობიაშვილმა ღუმელს შეუკეთა, დურმიშხანის გვერდით ისევ ნარზე ჩამოჯდა და თავის თავგადასავალი უამბო.

ის იყო, დაამთავრა ამბის მოყოლა, რომ ჰასანოვის დივერსიული ჯგუფი მიწურს მოადგა.

— აი, ჩვენებიც მოვიდნენ! — წამოიძახა მალალაშვილმა და ზეზე წამოდგა. მას კობიაშვილმა დაასწრო. იგი კარებში მიეგება ჯგუფს, მიწურში მიიპატიჟა და სათითაოდ ყველას ხელი ჩამოართვა.

— დაბრძანდით, გათბით! — უთხრა კობიაშვილმა და ნარზე მიუთითა. ქენია მალცევას ღუმლის გვერდით შესთავაზა პარტიზანების გაკეთებული სამფეხა სკამი.

ბიჭები ნარზე ჩამოსხდნენ დურმიშხანმა ღუმელს შეუჩიჩხარა და მალე სასიამოვნო სითბო დატრიალდა.

— აგაშენა ღმერთმა, ძმაო, — ღიმილით მიმართა ნასიამოვნებმა ჰასანოვმა კობიაშვილს, — ძლივს არ მოვითქვით სული?

— ცოტა ხანს დაისვენეთ და მერე სუფრას გაგიშლით. ვიცი, პური გშიათ. არაყსა და ღვინოზე ბოდიშს მოვიხდი, ბიჭებო, მაგრამ საჭმელი რამდენიც გინდათ, იმდენი მაქვს.

პოლიტხელი მიწურიდან გავიდა. მის სიტყვებზე ბიჭებმა ერთმანეთს შესცინეს და მთელი თვის მშიერ-მწყურვალებს პირზე ნერწყვი მოადგათ.

მცირე ხნის შემდეგ კობიაშვილი ისევ ჩამოვიდა მიწურში, მას ორი მზარეული ჩამოჰყვა თან. პური მოიტანეს. მერე მზარეულები ისევ გავარდნენ გარეთ და მალე კარდალებით ძროხის ცხელ-ცხელი ხაშლამა შემოიტანეს.

დამშეულმა ბიჭებმა ყბა მოიქნიეს და მადიანად დაიწყეს ჭამა.

* * *

დანაყრდნენ. ერთი თვის დამშეულებმა და დაღლილ-დაქანცულებმა სული მოითქვეს. კარგად რომ დაისვენეს, ჰასანოვმა მადლობა გადაუხადა კობიაშვილს და ჯგუფი წამოშალა.

— მაშ ასე მეგობრებო, — მიმართა შალვა კობიაშვილმა, — ახლა მე ჩემს მზვერავებს გამოგაყოლებთ. კარგი ბიჭები არიან, გამოცდილები. აქაურობას ხუთი თითივით იცნობენ. მანევიჩის ტყეებამდე მიგიყვანენ. იქ არ შეიძლება ფეოდოროვის შენაერთების მზვერავებს არ შეხვდნენ. ყოველ შემთხვევაში, თუ ვერავინ ნახეს, თქვენ თვითონ წახვალთ. სამხრეთით იარეთ. გვერდს აუვლით სტანიცა ველიკოგლუშს და კამინო-კაშირის რაიონში შეხვალთ. იქ უკვე საშიში აღარაა. მთელ იმ ტყეებში ფეოდოროვის შენაერთები არიან. აბა, ყოჩაღად იყავით, მალე მტერს გავანადგურებთ და მერე

ყაზბეგში თუ მესტუმრებით, ღვინითა და არყით მაშინ გაგიმასპინძლდებით.

ამ სიტყვებზე ყველას გაეცინა. მადლიერების გრძნობით დატოვა ჯგუფმა მიწური.

ისევ ტყეები... გაუვალი, ხშირი ტყეები. ბიჭები ახლა უფრო ენერგიულად ადგამენ ნაბიჯს. ისეთი გრძნობა აქვთ, ტანკი რომ დაეჯახოთ, ვერაფერს დააკლებთ, ფეხქვეშ ხრაშუნი გააქვს თოვლს.

წინ კობიაშვილის მზვერავები მიდიან, უკან მიჰყვებიან მალალაშვილი და კულუმბეგოვი. შემდეგ ჯგუფი. ტყე ისეთი ხშირია, რომ ხუთიოდე ნაბიჯის შემდეგ აღარაფერი ჩანს. ამიტომ ერთიმეორეს არ სცილდებიან.

დაღამებამდე ისე იარეს, ძეხორციელი არავინ შეხვედრიათ. არც რაიმე ხმაურისათვის მოუკრავთ ყური.

შებინდებისას ძალზე გაძნელდა სიარული. თვალის წინ არაფერი ჩანდა. ასეთი ხშირი და გაუვალი ტყე ჯერ არ შეხვედრიათ, რაც ისინი გზაში არიან. ოვრუჩის, ლესკისა და სორნის ტყეებში თავისუფლად მიდიოდნენ დღეც და ღამეც. აქ კი...

სიარული არ შეუწყვეტიათ. ღამის პირველ საათამდე არ ჩაუხრიათ მუხლი, მერე გადაწყვიტეს აქ გაეთენებინათ ღამე და გათენებისას გაეგრძოთ გზა.

სამარისებური იდუმალება გამეფებულიყო ამ უდაბურ ტყეში. უცბად ეს იდუმალება თვითმფრინავის მოტორის გუგუნმა დაფარა. ეს არ ჰგავდა არც მესერშმიტის, არც იუნკერ-88-ისა და არც სხვა გერმანული მარკის თვითმფრინავის მოტორის გუგუნს.

— ჩვენი დუგლასია! — აღტაცებით წამოიძახა მეგზურმა. — დასახმარებლად მოდის, საახალწლოდ გერმანელებისათვის საჩუქრები მოაქვს. თუ პირდაპირ წავიდა, კოვპაკელებთან მიდის, თუ ჩრდილოეთის მიმართულებით გაუხვია, მაშინ ჩვენია, თუ აქვე მარცხნით შემოუხვია, ფეოდოროველების აეროდრომზე დაეშვება.

ხმაურმა მარცხნივ გადაინაცვლა და გეზი სამხრეთისაკენ აიღო.

— თქვენია, ფეოდოროველების! — მტკიცედ წარმოთქვა მეგზურმა მზვერავებმა.

დილით ისევ განაგრძეს გზა. ორი საათის სიარულის შემდეგ მეგზურმა მზვერავებმა ჯგუფი შეაჩერეს და უთხრეს:

— ჩვენ უკვე გავცდით მინევიჩის რაიონს. ახლა ველიკოგლუშის რაიონში ვართ. ჩვენი წინ წასვლა აღარ შეიძლება. თუ შეხვედრა იყო, აქ უნდა შევხვედროდით ფეოდოროვის მზვერავებს, მაგრამ რადგან ვერ შევხვდით, ახლა თქვენ მოგიხდებათ მარტო სიარული. იარეთ აი, ამ ორიენტაციით. საშიში ისეთი არაფერია. რაც გამოვიარეთ, ერთი ამდენის გავლა კიდევ მოგიხდებათ. დილამდე მიაღწევთ ფეოდოროვის შენაერთამდე.

ჰასანოვმა მადლობა გადაუხადა მეგზურ მზვერავებს და გზა განაგრძეს.

დურმიშხანი და კულუმბეგოვი კვლავ წინ მიდიოდნენ. ჯერ სამი კილომეტრიც არ ექნებოდათ გავლილი, რომ უცბად უცხო ჯარისკაცებს წააწყდნენ. ისინი ხეს ამოფარებოდნენ და ავტომატების ლულები პირდაპირ მათთვის მიეშვირათ.

— შესდექით, ვინა ხართ!

დურმიშხანსა და არტემს რატომღაც შევი არ შეჰპარვიათ, რომ ისინი ფეოდოროვის მზვერავები იყვნენ. არც ავტომატები მოუმარჯვებიათ.

— ჩვენ ვართ წითელი პარტიზანები! — უპასუხეს ერთხმად და ახლოს მივიდნენ.

მოწინააღმდეგეებიც დარწმუნდნენ, რომ ესენი არც გერმანელები და არც ნაციონალისტები არ უნდა ყოფილიყვნენ. ავტომატის ლულები დაბლა დაუშვეს და ხეს მოსცილდნენ.

— საიდან მოდიხართ და სად მიდიხართ?

— თქვენთან მოვდივართ, ფეოდოროვის პარტიზანულ შენაერთში. წაგვიყვანეთ!

— ჩვენ ფეოდოროვის პარტიზანულ რაზმს არ ვეკუთვნით!

— აბა, ვის ეკუთვნით?

— თომა აგლაძის რაზმს!

— თომა აგლაძისა? ვინ არის თომა აგლაძე, არ გაგვიგონია მისი სახელი.

— ვინ არის და ჩვენი რაზმის მეთაურია!

დურმიშხანმა კულუმბეგოვს შეხედა.

— თუ ასეთი რაზმი არსებობს, რატომ არაფერი გვითხრა კობიაშვილმა.

უცბად ცხენის ფრუტუნი მოისმა. დურმიშხანმა და კულუმბეგოვმა თვალები ჰკიტეს. ახლა დაინახეს, მათ უკან ათიოდე ნაბიჯის დაშორებით ცხენები იყო გამობმული ხეზე.

— ეს თქვენი ცხენებია? — ჰკითხა მალალაშვილმა.

— დიახ, ჩვენი ცხენებია. ჩვენი რაზმი ცხენოსანია.

— ცხენოსანი? თომა აგლაძე?.. ქართველი იქნება, რა თქმა უნდა.

— დიახ, ქართველია, შესანიშნავი ვაჟკაცი და მეომარი. თუმცა დიდი არ არის ჩვენი რაზმი, მაგრამ სადაც შევხვდებით გერმანელებს, სულ კუდით ქვას ვასროლინებთ.

— სად არის განლაგებული თქვენი რაზმი?

— ყველგან. ჩვენ ყველგან ვართ, სადაც საჭიროა, ერთ ადგილზე არ ვჩერდებით. დავდივართ, და სადაც შევეყრებით, იქ შევებმებით მტერს,

— საინტერესოა! მაშ, მოკითხვა გადაეცით თქვენს მეთაურს. უთხარით, ქართველმა პარტიზანებმა მოგიკითხეს-თქო.

— თქვენც ქართველები ხართ?

— ქართველები ვართ!

— ბევრნი არიან თქვენთან ქართველები?

— საკმარისად! სასიამოვნოა თქვენთან საუბარი, მაგრამ ახლა ჩვენ ამოცანის შესასრულებლად მივიჩქარით და დრო არა გვაქვს გელაპარაკოთ. კარგად იყავით, გისურვებთ მტერზე გამარჯვებას!

— ასევე თქვენც!

აგლაძის მზვერავები ცხენებს მოახტნენ და თავიანთ გზას გაჰყვნენ.

— საინტერესოა, — მიუბრუნდა დურმიშხანი არტემს, — ნეტავ ვინ უნდა იყოს ის თომა აგლაძე!? ეტყობა, ბევრი ქართველია აქ მოხვედრილი. ნეტავ ჩემი ძმის ამბავი გამაგებინა.

— შეიძლება ისიც აქ სადმე იბრძვის.

— ვინ იცის, ერთი კი მწამს, მიშა თუ მკვდარი არ არის და ტყვედ მოხვდა, უსათუოდ მონახავდა პარტიზანებს.

გზა განაგრძეს. იმ დღეს, აღარავის შეხვედრიან აგლაძის მზვერავების გარდა. ხოლო გათენებისას წააწყდნენ ფეოდოროვის შენაერთის ბიჭებს. მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ისეთ გუნებაზე დადგნენ, თითქოს საკუთარ ოჯახში მიდიანო.

მზვერავები წინ გაუძღვნენ ბიჭებს. ბევრი აღარ უვლიათ. ადრიანად ფეოდოროვის შენაერთების ბანაკს მიუახლოვდნენ.

სასიამოვნო სანახავი იყო ეს ბანაკი. გამეჩხერებულ ასწლოვან ტყეში, რამდენიმე ადგილას პარტიზანებს კოცონები აეგიზგიზებინათ და გარშემო შემოხვეოდნენ. იქვე მოჩანდა ოთხთვალები და ოთხთვალებში შებმული ცხენები. მათ გვერდით საველე სასადილო ხრჩოლავდა და მზარეულები დილის ულუფას უმზადებდნენ ბიჭებს. ტყის სიღრმიდან მათი მიწურები მოჩანდა.

აგერ ფეოდოროვიც, შუა ხნის, საშუალოზე ცოტა უფრო მაღალი, შავგვრემანი, ჯმუხი აღნაგობის ვაჟკაცი. მას შავი წვერი და დიდრონი ულვაში უმშვენებდა მშვიდ, მაგრამ მტრის წინააღმდეგ მუდამ ალგზნებულ სახეს. ჩერნიგოვის ყოფილ საოლქო კომიტეტის მდივანს პარტიზანის ჩექმა ჩაეცვა და კალმის მაგივრად იარაღი აეღო ხელში, რათა ჩვენს მიწაზე მოსულ დუშმანისათვის დაემტკიცებინა, რომ მას საოლქო კომიტეტის მდივნობაც კარგად შეეძლო და მტერთან ბრძოლაც. მის გვერდით იდგა პოლკოვნიკი სმირნოვი, ათასეულის კომისარი სინიცინი, ბატალიონის უფროსი კაპიტანი შმატოვი და ლეიტენანტი რუზანოვი. ისინი მოგვიანებით ამდგარიყვნენ. ვინ იცის, ალბათ მთელ ღამეს საბრძოლო გეგმას ადგენდნენ და დასაძინებლად არ ეცალათ. ახლა დილის ვარჯიშს ატარებდნენ.

მზვერავებმა პირდაპირ მათთან მიიყვანეს ჰასანოვის ჯგუფი. ძლიერ გაეხარდა ფეოდოროვს მოსკოველი სტუმრების მოსვლა. ყურადღებით გამოჰკითხა ამბავი, მერე მიწურში შეიპატიჟა და გულუხვად გაუმასპინძლდა.

მეორე დღეს ისინი კაპიტან შმატოვის ბატალიონში ჩაირიცხნენ, რომელიც ქალაქ დუბნოს მახლობლად, ტყეში იყო განლაგებული.

კაპიტანი შმატოვი ომამდე კადრის ოფიცერი იყო. ხარკოვთან ჩავარდნილიყო ტყვედ. ერთ ხანს გერმანელების ტყვეთა ბანაკში მოხვედრილიყო. გამოეცადა ის საშინელი ტანჯვაწამება, რასაც აყენებდნენ ჰიტლერელები საბჭოთა ტყვეებს და განსაკუთრებით კი მეთაურთა შემადგენლობას. ტყვეთა ბანაკში შმატოვს პირი შეეკრა სანდო და საიმედო ტყვეებთან. ერთ მშვენიერ ღამეს მცველები დაეხოცათ, ბანაკიდან გამოქცეულიყვნენ და ფეოდოროვის პარტიზანულ შენაერთებს შეერთებოდნენ.

ფეოდოროვის პარტიზანულ რაზმში შმატოვმა მალე გაითქვა სახელი, როგორც მამაცმა, გონებამახვილმა, ენერგიულმა და მტრის წინააღმდეგ შეუპოვარმა ოფიცერმა. იგი ბატალიონის მეთაურად დანიშნეს. მისი ბატალიონი, სადაც კი შეეყრებოდა მტერს, რისხვად ევლინებოდა და უთანასწორო ბრძოლებშიც ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა.

არტემ კულუმბეგოვი და დურმიშხან მალალაშვილი მზვერავთა ჯგუფში მოხვდნენ. აქედან დაიწყო მათი ნამდვილი პარტიზანული ცხოვრება.

* * *

თებერვალი იწურებოდა. ჯერ ისევ თოვლის სამოსელში იყო გახვეული დასავლეთ უკრაინის ტყეები, პარტიზანების ეს საიმედო თავშესაფარი. წითელმა არმიამ სწორედ ამ მიმართულებით გადაიტანა ბრძოლები. იგი დევგმირული ნაბიჯებით მიემართებოდა წინ და მტერს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა.

მტერი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა და ნელ-ნელა იხევდა უკან, თითქოს არ უნდოდა მილიონთა სისხლის ფასად დაპყრობილი ეს უამრავი სოფლები და ქალაქები ასე იოლად დაეტოვებინა.

ჰიტლერელები ახალ-ახალ ნაწილებსა და სამხედრო ტექნიკას აყრიდნენ ფრონტს, ცდილობდნენ ჩვენი ჯარები როგორმე შეეჩერებინათ, რომ ცოტა სული მოეთქვათ და გაზაფხულზე ახალი ძალით ჰკვეთებოდნენ მოწინააღმდეგეს.

სწორედ ახლა დგებოდა დასავლეთ უკრაინისა და ბელორუსიის პარტიზანებისათვის ყველაზე გადამწყვეტი და ყველაზე ცხარე ბრძოლების დღეები. სწორედ ახლა უნდა ეთქვათ პარტიზანულ შენაერთებს თავიანთი სიტყვა.

ისე, როგორც სხვა პარტიზანულ შენაერთებს, ფეოდოროვის პარტიზანებსაც არ ეძინათ

არც დღე, არც ღამე. აფეთქებდნენ ხიდებს, ყრიდნენ რკინიგზის ლიანდაგებს, სადაც ხელი მიუწვდებოდათ, უხვდებოდნენ ფრონტის ხაზისაკენ მიმავალ საომარი მასალით დატვირთულ ავტოკოლონებს და სპობდნენ.

ერთ მშვენიერ დღეს დურმიშხან მალალაშვილი კაპიტანმა შმატოვმა შტაბში გამოიძახა.

— მეტად სერიოზული ამოცანა დგას შენ წინაშე, — უთხრა ბატალიონის მეთაურმა, — მდინარე ტურაზე ხიდი უნდა ავაფეთქოთ. ამ ხიდს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს მტრის ძალების შესაფერხებლად. ქალაქ კოველის მიმართულებით, სადაც მტრის ნაწილებია თავმოყრილი, სწორედ ამ ხიდით მიემართებიან ფაშისტების ავტოკოლონები, რომლებიც თავიანთ ნაწილებს ამარაგებენ პროდუქტებითა და საჭირო საომარი იარაღით. ხიდის ამფეთქებელთა ხელმძღვანელად მე გნიშნავ შენ, ამხანაგო მალალაშვილო. აქვე უნდა გაგაფრთხილო, როგორც წელან გითხარი, ამ ხიდს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, კოველთან განლაგებული მტრის სამხედრო ნაწილების საომარი იარაღითა და პროდუქტებით მომარაგებაში და მას გაძლიერებული დაცვაც ეყოლება. მით უმეტეს, როგორც თქვენი ცნობებიდან ვიცი, უკანასკნელ ორ დღეს ამ ხიდზე დიდი მოძრაობაა. აბა, — მხარზე ხელი დაჰკრა შმატოვმა დურმიშხანს. — აქედანვე აიღე თადარიგი. მიიღე საჭირო მასალა და შეუდექი საქმეს. ხიდი უნდა აფეთქდეს ან ამაღამ, ან ხვალღამ. იმის იქით გადაწევა არ შეიძლება.

— არის, ამხანაგო მეთაურო! — მხედრულად გაიჭიმა დურმიშხანი და შტაბი დატოვა.

იმავე საღამოს დურმიშხან მალალაშვილის ოცი კაცისგან შემდგარი ამფეთქებელთა რჩეული ჯგუფი უკვე მზად იყო. ბიჭები შუაღამისას მიუახლოვდნენ მდინარე ტურს. ხიდის შორიახლო ტყეში შეჩერდნენ. დურმიშხანმა მზვერავები აქეთ-იქით გაგზავნა.

ხიდის აფეთქება არც ისეთი იოლი საქმე იყო. მას ერთდროულად იცავდა თავით ფეხამდე შეიარაღებული ჯარისკაცების ჯგუფი საჭირო იყო მცველების მოხსნა ისე, რომ არ გაესროლათ.

სახვალიოდ საქმის გადადება აღარ შეიძლებოდა. რაც უფრო დროზე ააფეთქებდნენ ხიდს, მით უფრო მეტი მნიშვნელობა ექნებოდა ამ აფეთქებას. გადაწყვიტეს ერთდროულად ყველა მოულოდნელად დასხმოდა თავს მცველებს და განეიარაღებინათ. ისინი რომ დაინახავდნენ, პარტიზანები ბევრნი იყვნენ, შიშით შებმას ვერ გაბედავდნენ და დამორჩილდებოდნენ.

ასეც მოიქცნენ. ხიდის თავში საყარაულო ჯიხურს პარტიზანებმა ერთდროულად ალყა შემოარტყეს.

გუშაგები დაიბნენ, მაგრამ ერთს აღმოაჩნდა სიმამაცე. როგორც კი კულუმბეგოვმა ხელი წაატანა, რომ ავტომატი აერთვა, ფაშისტმა არ დაანება, ალბათ იფიქრა: სულ ერთია დაგვხოცავენ და ლაჩრულ სიკვდილს, გმირული სიკვდილი სჯობიაო. ავტომატი უცბად მოიმარჯვა და ის იყო ცეცხლი უნდა გაეხსნა, რომ დურმიშხანმა თავისი ავტომატის ლულა ისე მაგრად ჩაჰკრა თავში, რომ იარაღი ხელიდან გაუვარდა და მიწაზე უსულოდ დაეცა. დურმიშხანმა ფეხი ჰკრა მიწაზე დაცემულ, გასისხლიანებულ ფაშისტს და ხიდიდან პირდაპირ მდინარეში გადაუშვა.

— იარეთ! — შესძახა მალალაშვილმა და იარაღაყრილ ფაშისტებს წინ გაუძღვა. უკან ავტომატმომარჯვებული პარტიზანები მიჰყვნენ. მათ ტყეში შერეკეს გერმანელები, იქ ყარაულები დაუყენეს და თვითონ კი ხიდის დანაღმვას შეუდგნენ.

გათენებისას მორჩნენ. შუბლზე ხვითქი გადასდიოდათ.

— არ გაინტერესებთ, როგორ აფრინდება ჰაერში ჩვენი დანაღმული ხიდი? — ღიმილით გადახედა დურმიშხანმა ამხანაგებს.

— როგორ არ გვაინტერესებს! — იყო საერთო პასუხი. — გავიდეთ ტყის პირას, იქიდან ვუყუროთ. საინტერესო სანახავი კი იქნება.

ტყის ნაპირას გავიდნენ. იქ მოხერხებულ ადგილს ჩასხდნენ და დაელოდნენ, როდის გამოივლიდნენ მანქანები.

კარგად ინათა. მალე მზეც ამოიწვერა როვნოს ხუჭუჭა ტყეების კენწეროებიდან და თავისი ოქროსფერი ნათელი მოჰფინა გარემოს.

დილის მყუდროება უცბად მოტორების შორეულმა, ყრუ გუგუნმა დაარღვია. პირველად თვითმფრინავების ხმაური ეგონათ პარტიზანებს, მაგრამ მალე მიხვდნენ გერმანელების ავტომანქანების მოტორების მწყობრი ხმა იყო.

კულუმბეგოვი ზეზე წამოვარდა და იმ მიმართულებით გაიხედა, საიდანაც ხმა მოისმოდა.

— მოდიან, მოდიან! — წამოიძახა ყველას გასაგებად და ისევ სწრაფად ჩამოჯდა.

დაძაბულობისაგან ყველა გაირინდა. მტრის ავტომანქანები, რომლებსაც კოველისაკენ შეიარაღებული ნაწილები მიჰყავდათ, ხიდს უახლოვდებოდნენ, თანაბარი სისწრაფით მიჰქროდნენ სუფთა გზატკეცილზე.

პარტიზანებმა სუნთქვა შესწყვიტეს და თვალმოუშორებლად შეჰყურებდნენ ხიდს, როდის აიწეოდა ჰაერში.

და აი, მეწინავე მანქანა სწრაფად გაიჭრა ხიდზე. მას მიჰყვა მეორე, მესამე და უცბად გამაყრუებელმა გრგვინვამ შესძრა იქაურობა. ხიდი ჰაერში ავარდა, უკან მომავალმა მანქანებმა დამუხრუჭება ველარ მოასწრეს და ისინიც მდინარეში გადაეშვნენ. ვინც მოასწრო დამუხრუ-

ქება, მას მომდევნო მანქანები ზედ შეასხდნენ და ყველაფერი ერთმანეთში აირია.

დურმიშხანმა სწრაფად წამოშალა მებრძოლები და გერმანელ ტყვეებთან ერთად ტყეს მისცა თავი. იმავე საღამოს ტყვეები კაპიტან შმატოვს წარუდგინა და თავიანთი ამოცანის წარმატებით შესრულება მოახსენა, კაპიტანმა შმატოვმა ქება შეასხა და ჯილდოზე წარადგინა.

* * *

ერთი კვირის შემდეგ გერმანელებმა ესესელებსა და უკრაინელი ხალხის მოღალატე ნაციონალისტებს თავი მოუყარეს და პარტიზანების წინააღმდეგ მებრძოლი პოლკი ჩამოაყალიბეს. მათი ამოცანა იყო დუბნოს რაიონი გაეწმინდათ პარტიზანებისაგან. კერძოდ, პირველი იერიში კაპიტან შმატოვის ბატალიონზე მიეტანათ და გაენადგურებინათ, რადგან ეს ბატალიონი ყველაზე უფრო მეტად უშრობდა სისხლს გერმანელებს.

ეს ამბავი გაუგებარი არ დარჩენიათ მზვერავებს. მაშინვე თავიანთ მეთაურს მოახსენეს და იმანაც სასწრაფო ზომები იხმარა.

კაპიტანმა შმატოვმა გადაწყვიტა ბატალიონისათვის ადგილსამყოფელი შეეცვალა. დაახლოებით 30—40 კილომეტრით გადაენაცვლა ადგილი და ამით მტრისთვის თავგზა დაებნია. იგი გრძნობდა, ჰიტლერელებისათვის საიდუმლოებას აღარ წარმოადგენდა მისი ბატალიონის დღევანდელი განლაგების ადგილი, იცოდა არც მტრის მზვერავებს ეძინათ.

კაპიტანმა შმატოვმა კულუმბეგოვსა და მაღალაშვილს დაავალა სასწრაფოდ შეესწავლათ ის რაიონი, სადაც ბატალიონი უნდა განლაგებულიყო.

მზვერავთა ჯგუფი მაშინვე გაემართა ამ ამოცანის შესასრულებლად.

პარტიზანები ღრმად შეიჭრნენ ტყეში, სერნი-კოველის რკინიგზის მიმართულებით. ოცი-ოცდაათი კილომეტრით დასცილდნენ თავიანთ ბანაკს და სოფელ მიუსითრას ტყეებში აღმოჩნდნენ. დიდი სიფრთხილითა და დაკვირვებით ათვალიერებდნენ ბატალიონისათვის შესაფერის ადგილს, მდებარეობას. ეძებდნენ ხელსაყრელ ადგილს, რომ მტერი იოლად ვერ მისწვდომოდათ. თვითონ კი ადვილად ემოქმედათ მის წინააღმდეგ.

ისინი გაშლილად მიდიოდნენ. მანძილი გამოზომილი ჰქონდათ, რომ ერთმანეთს არ დასცილებოდნენ და არ გაბნეულიყვნენ. არც იყო გასაკვირი. აქაურ მცხოვრებლებსაც ეშლებოდათ გზის გაკვლევა, როცა თავიანთ სოფელს მცირე მანძილით ცილდებოდნენ.

ტყის სიღრმიდან უცებ ავტომატის მოკლე ჯერი გაისმა და მოწინავე მეზღვაური ვაჩესლავ პეშკოვი უსულოდ დაეცა მიწაზე.

პარტიზანები ხეებს ამოეფარნენ და სული განაბეს, საბრძოლველად გაემზადნენ. თან თვალს არ აცილებდნენ იმ ადგილს, სადაც მათი ამხანაგი პეშკოვი დაეცა.

მცირე ხნის შემდეგ, ავტომატიანი კაცი გამოჩნდა, მოკლულთან მიირბინა, საველე ჩანთა მოხსნა და იმ მიმართულებით გაიქცა, სადაც მზვერავთა ჯგუფის მარცხენა ფრთა იყო ხეებს ამოფარებული. ეტყობა, მტერი დაიბნა და შიშისაგან ველარ მოზომა, საით გაქცეულიყო. მზვერავებმა სულ ახლოს მოუშვეს პარტიზანის მკვლელი, მერე წინ გადაუხტნენ და ავტომატის ლულები მიუშვირეს.

— ხელები მაღლა! — შესძახეს და აქეთ-იქიდან ამოუდგნენ.

ეს ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ გერმანელი არც კი მოელოდა, იხედაც დაბნეული უფრო დაიბნა და ძალაუნებურად ასწია ხელები მაღლა.

ტყვე ენაჩავარდნილივით იდგა და ხმას არ იღებდა. სახეზე ჭირის ოფლი ასხამდა.

— რა მივუსაჯოთ ახლა ამას? — მიუბრუნდა დურმიშხანი პარტიზანებს.

— შენთვის მოგვინდვია განაჩენის გამოტანა! — უპასუხა კულუმბეგოვმა.

დურმიშხანი ერთხანს ჩაფიქრდა. თვალწინ წარმოუდგა მოღალატე ბოიკო, მისი ტყვიით განგმირული ალკა ბელოვი, რომელსაც საფლავიც კი ვერ გაუთხარეს, რომ მშობელ მიწისათვის მიებარებინათ.

— სწორედ რომ ჩამოღრჩობის ღირსია! — წამოიძახა დურმიშხანმა.

— ნამდვილად! — კვერი დაუკრეს ამხანაგებმა.

ის იყო მოკლული პეშკოვის ცხედარი მიწას მიაბარეს და ნაციონალისტი ბანდიტი ხეზე თოკით ჩამოჰკიდეს, რომ ტყის მდუმარება ცხენების ფლოქვების ხმამ დაარღვია.

პარტიზანები აქეთ-იქით გაიფანტნენ და მოხერხებულად შეინიღბნენ. მალე რუსულ ლაპარაკსაც მოჰკრეს ყური.

— ჩვენები არიან, ჩვენები! — წამოიძახეს და ზეზე წამოიშალნენ.

მალე გამოჩნდა კოლონაც. წინ ახოვანი, დევგმირული აგებულების ვაჟკაცი მოუძღოდა, წაბლისფერ იაბოზე იჯდა. კავკასიელს ჰგავდა.

— ის არის, ის. თომა აგლაძე! — გაუელვა დურმიშხანს თავში, კულუმბეგოვთან ერთად წინ გადაუდგა და ქართულად შესძახა:

— გამარჯობათ!

უჩვეულო სიხარულმა აიტანა მხედარი. ცხენიდან გადმოხტა და როგორც ღვიძლ ძმებს, ისე გადაეხვია ქართველ პარტიზანებს.

ეს გახლდათ დავით ბაქრაძე, ლეგენდარული კოვპაკის სახელობის პარტიზანული შენაერთის მეთაური, რომელიც ქალაქ გოროხოვოსკენ მიდიოდა თავისი პოლკით.

უცბად ხეზე ჩამოკონწიალებულ გვამს მოჰკრა თვალი.

— ვინ არის? — ხელით ანიშნა ბიჭებს ბაქრაძემ.

— ნაციონალისტი ბანდიტია. ამხანაგი მოგვიკლა და ცოცხალი შევიპყარით. ჩვენც ასე გადავუხადეთ სამაგიერო.

— ყოჩაღ, ბიჭებო, ყოჩაღ, თქვენ იცით, როგორ ვაჟკაცობას გამოიჩენთ. არ დაგავიწყდეთ, რომ საქართველოდან ხართ, ქართველებო!

ამ სიტყვებზე ბაქრაძე ერთხელ კიდევ გადაეხვია ბიჭებს, ცხენს მოახტა და თავის პოლკს წინ გაუძღვა.

მზვერავთა ჯგუფმა თავისი საქმე განაგრძო. მთელი სიგრძე-სიგანით დაზვერეს სერნი-კოველის გაუვალი ტყე. ეს ტყე თავისი მდებარეობითა და სტრატეგიული მნიშვნელობით ყველაზე ხელსაყრელად სცნეს და მეორე დღეს კაპიტან შმატოვს მოახსენეს, ბატალიონი ამ ტყეში გადმოეყვანა.

კაპიტანმა შმატოვმა ყურადღებით მოუსმინა თავის მზვერავებს, დაკვირვებით აწონ-დაწონა მათი ნალაპარაკევი, მოეწონა, ჭკუაში დაუჯდა. ქართველი მებრძოლების ჭკუასა და გამჭრიახობას შმატოვი ყოველთვის ენდობოდა და იმედი ჰქონდა, ისინი არც ახლა მოტყუვდებოდნენ.

გადაწყდა, დილით კაპიტან შმატოვის ბატალიონს უნდა დაეტოვებინა დუბნოს რაიონი. მაგრამ გათენებისას მზვერავებმა ცუდი ამბავი მოიტანეს: მტრის მრავალრიცხოვანი ჯარი ბატალიონის დასალაშქრავად მოდის და დიდი ვაჟკაცობა გვმართებს, რომ გავუმკლავდეთო.

ფეხზე დადგა მეთაურთა შემადგენლობა და მათ შორის კაპიტანი შმატოვი. ბრძანება გასცა ბატალიონს საბრძოლო პოზიცია დაეკავებინა და ვაჟკაცურად დახვედროდნენ ფაშისტებს. თანაც ბიჭები აფრინა ფეოდოროვის შტაბ-ბინისაკენ, რომ ეს ამბავი შეეტყობინებინათ და დახმარებოდნენ. მაგრამ მათი გაგზავნილი ბიჭები გერმანელებმა იქვე შეიპყრეს და ხეზე ჩამოჰკიდეს. ბატალიონს ჯერ ორი მხრიდან შემოარტყეს რკალი, მერე თანდათან გაიშალნენ და მთლიანად ალყაში მოიქციეს.

პარტიზანებმა სასტიკი ცეცხლი შეაგებეს მტერს და მთელი თავგანწირვით ჩაებნენ უთანასწორო ბრძოლაში. მაგრამ არც ფაშისტებს დაუხევიათ უკან. პირიქით, ფაშისტებმა თანდათან შეავიწროვეს რკალი და გამანადგურებელი ცეცხლი გაუხსნეს შმატოველებს. მათი განზრახვა იყო ტომარაში მოექციათ პარტიზანები და მერე ერთიანად ამოეწყვიტათ.

გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა შმატოვის ბატალიონი. კაპიტანმა სასწრაფოდ იხმო დურმიშხან მალალაშვილი და უთხრა:

— ასე უნდა მოვიქცეთ, მტრის ჭარბ ძალებთან ბრძოლა ჩვენ არ გამოგვადგება. სასწრაფოდ შეარჩიეთ მამაცი მებრძოლები, იერიში მიიტანეთ მტრის სუსტ ადგილზე, რკალი გაარღვიეთ და ბატალიონიც უკან მოგყვებათო.

— არის, ამხანაგო მეთაურო! — მტკიცე ხმით შესძახა მალალაშვილმა და თავის საქმეს შეუდგა. სასწრაფოდ მოუყარა თავი მამაც მებრძოლებს, ფაშისტების რკალში გამონახა სუსტი ადგილი, თავგანწირვით ეკვეთა მტერს და სასტიკი ბრძოლა გაუმართა. თვითონ დურმიშხანმა რამდენიმე ფაშისტი გააგორა მიწაზე. მტერმა ვერ გაუძლო პარტიზანების მედგარ იერიშს, რკალი გაწყდა და ბატალიონმა ძლივს დააღწია თავი მტრის გარემოცვას.

მეორე დღეს კაპიტან შმატოვის ბატალიონი სერნი-კოველის ტყეებში დაბანაკდა.

* * *

პარტიზანები ახლა უფრო გაафთრებით მოქმედებდნენ მტრის ღრმა ზურგში. არ გაურბოდნენ არავითარ განსაცდელს. თავს ესხმოდნენ სოფლებში თუ სტანიცებში დაბანაკებულ მტრის გარნიზონებს, სპობდნენ, ანადგურებდნენ. აფეთქებდნენ ხიდებს. ლიანდაგებიდან ყრიდნენ ეშელონებს.

კულუმბეგოვის მზვერავთა ჯგუფმა სერნი-კოველის ტყეში გადანაცვლებისთანავე ახალი ამოცანა მიიღო. უნდა დაეზვერათ ახლობელი სოფელი მიუსითრა, რომელიც სერნი-კოველის რკინიგზის გადაღმა მდებარეობდა და გამოერკვიათ იქ გერმანელების ნაწილი იდგა თუ არა, რომ მერე უფრო ადვილად ემოქმედათ.

ეს საქმე მალალაშვილს მიანდო. დურმიშხანმა სამი კაცი შეარჩია და დილაბნელზე გაემართა ამ ამოცანის შესასრულებლად.

ფრთხილად მიუახლოვდნენ რკინიგზის ლიანდაგს. სადგურს გვერდი აუქციეს და გათენებისას სოფელ მიუსითრას მიადგნენ. სოფელი ხალვათად იყო გაშლილი. მოსახლეები ერთიმეორეს კარგა მანძილით იყვნენ დაცილებული. ყოველ სახლს თავის საკარმიდამო ბაღი ერტყა.

მზვერავებმა ერთი, ყველაზე უფრო განმარტოებით მდგარი სახლი ამოარჩიეს და გაბედულად გაემართნენ. ის იყო მიუახლოვდნენ ეზოს ჭიშკარს, რომ სახლიდან მოხუცმა ქალმა გამოყო თავი. შეიარაღებული ჯარისკაცები რომ დაინახა, შეკრთა, მაგრამ ეტყობა მიხვდა, რომ პარტიზანები იყვნენ და სახეზე პირქუში ღრუბელი გადაეყარა.

— თქვენ ვინ ბრძანდებით, პარტიზანები? — ჰკითხა მოხუცმა.

— პარტიზანები გახლავართ. მიგვიღებთ? — შესძახა დურმიშხანმა.

— პარტიზანებს როგორ არ მივიღებთ, მაგრამ მტერს კი არა.

— ესე იგი, ამ სოფელში გერმანელები არ არიან? — ჰკითხა დურმიშხანმა.

— ორი კვირა იქნება რაც აქედან წაეთრნენ. უფრო სწორად, კოვპაკის პარტიზანებმა დალაშქრეს და ვინც გადაურჩნენ, ისინიც კუდამოძუებულნი გაიქცნენ. თქვენ განა კოვპაკელები არა ხართ?

— არა, ჩვენ სხვა პარტიზანებს ვეკუთვნით.

— ძალიან კარგი. ცოტა ხანს დამიცადეთ, სახლს მივალაგ-მოვალაგებ და ისე მიგიღებთ.

მოხუცი შინ შევიდა, მცირე ხნის შემდეგ ისევ გამოვიდა და მზვერავები ღიმილით შეიპატიჟა.

— მობრძანდით, მაგრამ გაფრთხილებთ, ჩვენთან ორი ქართველი პარტიზანია და მტერი არ გეგონოთ. თოფი არ ესროლოთ!

— ორი ქართველი პარტიზანი? — გაკვირვებით წამოიძახა დურმიშხანმა და ამხანაგებს გადახედა. მერე ისევ მოხუცს მიაპყრო მზერა. ამ დროს ფანჯარაში თვალი მოჰკრა ავტომატმომარჯვებულ ორ ჯარისკაცს, რომლებიც ოთახის სიღრმიდან ზვერავდნენ მას.

დურმიშხანი ჯერ შეყოყმანდა. იფიქრა, ეს ქალი გერმანელების მოსყიდული არ იყოს და არ მიგვიტყუოსო. ბიჭებს უთხრა, თქვენ მაინც ფხიზლად იყავითო და მოხუცს გაბედულად შეჰყვა სახლში.

რუსული ღუმელის გვერდით ჯარისკაცები ავტომატმომარჯვებულნი იდგნენ და თვალებიდან ცეცხლს აკვესებდნენ. ალბათ მათაც იგივე ეჭვი უტრიალებდათ თავში, რაც დურმიშხანს.

— ქართველები ხართ, ბიჭებო? ოთახში ფეხის შედგმისთანავე შესძახა დურმიშხანმა და უცნობი ჯარისკაცები შეათვალიერა.

— ქართველები ვართ, შენო?

— მეც ქართველი ვარ, მაშ კაი გამარჯვება თქვენი!

— ღმერთმა გაგიმარჯოს.

პარტიზანებმა ავტომატები დაბლა დაუშვეს და ვაჟკაცურად, თანაც ისეთი სიყვარულით ჩამოართვეს ხელი, თითქოს დიდიხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ.

დურმიშხანმა კარებში გაყო თავი, ამხანაგებს გასძახა: მოდით, ჩვენები არიანო და ისევ უცნობ პარტიზანებს მიუბრუნდა.

— სადაურები ხართ?

— მე კახელი ვარ, ვასო ოსიყმიშვილი, ეს კი არტემ დიდიშვილი გახლავთ ქუთაისიდან. შენ სადაური ხარ?

მე მეტეხელი ვარ, დურმიშხან მალალაშვილი.

— მალალაშვილი? — გაკვირვებით იკითხა ოსიყმიშვილმა.

— დიახ, მალალაშვილი. ხომ — არავინ არის თქვენთან ჩემი გვარის კაცი?

— არა, ჩვენთან თქვენი გვარის კაცი არავინ არის, მაგრამ მე ვიცნობდი ერთ მალალაშვილს. მგონი, ისიც მეტეხიდან იყო, მიხეილი ერქვა. კარგი ვაჟკაცი იყო, ჭიდაობაში კაცი ვერ უძლებდა.

— ჩემი ძმა არის! — მოზღვავებული სიხარული ვერ დაფარა დურმიშხანმა.

— რას მეუბნები. მაშ შენ მიშას ძმა ხარ!

—დიახ, მიშას ძმა ვარ. სად არის ახლა მიშა?!

— ვერ გეტყვი. ისე კი ძაან კარგი ვაჟკაცი იყო, გაბედული, შეუპოვარი, მტრის დიდი მოძულე და კარგი მეომარი. მე მას კამენეცპოდოლსკიდან ვიცნობდი. შემდეგ ტყვეობაში შევხვდით ერთმანეთს და ლიტინის რაიონში დავცილდით. იმის შემდეგ აღარაფერი გამიგია მასზე.

ამ სიტყვებზე ოსიყმიშვილს სახე მოეღრუბლა და თავი დაბლა დახარა.

დურმიშხანი მიხვდა, რომ ვასომ ყველაფერი იცოდა და თქმა არ უნდოდა. რაღაც საშინელმა გრძნობამ თავიდან დაჰკრა და მთელ ტანში ჟრუანტელივით დაუარა.

— თუ ძმა ხარ, — მოთმინება აღარ ყოფნიდა მალალაშვილს, — ნუღარ მაწვალებ, ნურაფერს დამიმალავ. განა ვერ მივხვდი, ჩემი ძმა ცოცხალი რომ არ არის. მივხვდი, ყველაფერს მივხვდი, შენმა თვალებმა მითხრა, შენმა ლაპარაკმა მაგრძნობინა. მაგრამ ეს გამაგებინე, როგორ და სად დაიღუპა.

ოსიყმიშვილმა თავი ასწია და დურმიშხანს მხოლოდ ახლა გაუსწორა თვალი.

— გეწყინება, მაგრამ რა გაეწყობა. ომია. არც ჩვენ ვართ დაზღვეული სიკვდილისაგან. მიშა დაიღუპა გმირული სიკვდილით, ვაჟკაცურად. დავალება მივიღე: ბანაკიდან გამოქცეული ტყვეები შავ ტყეში, პარტიზანულ რაზმში უნდა მიმეყვანა. ტყვეები საკმაოდ იყვნენ. ტყვეების ბანაკიდან გამოქცევის ორგანიზატორმა, სახელგანთქმულმა ტროფიმ კიჩკომ მითხრა: ამ ტყვეებში ერთი ქართველიც არის მიხეილ მალალაშვილიო. მიხეილის ხსენებამ ძლიერ გამახარა. მას, როგორც წეღან გითხარი, კამენეც-პოდოლსკიდან ვიცნობდი. მაშინვე მოვძებნე, ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ ეს იყო ხანმოკლე სიხარული. სანამ შავ ტყემდე მივაღწევდით, ლიტინის რაიონში მტერს გადავეყარეთ. შეიქმნა ხელჩართული ბრძოლა და მიშა სწორედ ამ ბრძოლაში დაიღუპა.

დურმიშხანს ცრემლი მოადგა თვალებზე. თვალწინ წარმოუდგა საყვარელი უფროსი ძმა,

რომელიც ამჟამად ლიტინის მიწაში განისვენებდა; მამა კი ყოველ წერილში სწერდა დურმიშხანს: მაშა ეგებ სადმე ნახო, ან გაიგო მისი ამბავი და შემატყობინეო.

დურმიშხანს ცრემლი ახრჩობდა. არტემ დიდიშვილი და ვასო ოსიყმიშვილი კი დუმდნენ, ხმა ვერ ამოეღოთ.

სული რომ მოითქვა. დურმიშხანი ოსიყმიშვილს მიუბრუნდა:

— ალბათ დაზვერვაზე ხართ წამოსული, არა?

— დიახ. აქ სადღაც ახლოს ჰიტლერის ტელეფონის კაბელი გადის და უნდა ვიპოვოთ.

— რას მეუბნები?! ამის შესახებ გაქვთ რაიმე ცნობები? — დაინტერესდა დურმიშხანი.

— მედვედევის გადმოცემით საშა კუზნეცოვს დაუდგენია, რომ კაბელის არხის გათხრაზე დიდძალ ტყვეებს უმუშავნიათ და კაბელის მიწაში ჩადების შემდეგ ეს ტყვეები ყველა დაუხვრეტიათო.

— დიდი სასახელო საქმე გაკისრიათ. გისურვებთ გამარჯვებას! — ამ სიტყვებზე პარტიზანები ერთმანეთს დაემშვიდობნენ და წავიდნენ.

დურმიშხანი სულ იმის ფიქრში იყო მისი თანამემამულენი შეძლებდნენ თუ არა ამ საპატიო დავალების შესრულებას. მართლაც, ორიოდე თვის შემდეგ ელვასავით გავარდა პარტიზანებში ხმა, ეს უაღრესად დიდი, საპატიო ამოცანა ქართველი პარტიზანების ვასო ოსიყმიშვილისა და არტემ დიდიშვილის ხელმძღვანელობით განხორციელდაო.

დურმიშხანის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

* * *

წითელი არმია კვლავ სამკვდრო-სასიცოცხლო დარტყმებს აყენებდა მტერს. შეუსვენებლივ მიიწევდა წინ და ათავისუფლებდა მშობლიურ მიწა-წყალს.

გახელებული გერმანელები ბომბავდნენ სოფლებს, ქალაქებს, ცეცხლს უკიდებდნენ ყოველივეს, რის წაღებასაც კი ვერ ასწრებდნენ, პირუტყვსა და მოსახლეობას დასავლეთით ერეკებოდნენ.

გამწარებული მცხოვრებლები სახლ-კარს ტოვებდნენ და ტყეებში მირბოდნენ პარტიზანებთან შესაერთებლად. ქალებით, ბავშვებითა და მოხუცებით გაივსო ფეოდოროვის პარტიზანული შენაერთი. შმატოვის ბატალიონს ასობით უკრაინელი შეეკედლა და შველას სთხოვდა.

პარტიზანები ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ უკან დახეულ გერმანელებს. უხვდებოდნენ გზებზე, თავს ესხმოდნენ სოფლებს. სადაც ისინი იყვნენ მოკალათებულნი და თავზე მეხს აფრქვევდნენ.

1944 წლის მარტში შმატოვის ბატალიონმა სერნი-კოველის რაიონი დატოვა და მდინარე ბუგის აღმოსავლეთ სანაპიროზე განლაგდა. მისი ამოცანა იყო გადაელახა მდინარე ბუგი და პოლონეთის ტერიტორიაზე გადასულიყო.

ეს ამბავი მტერს გაუგებარი არ დარჩა და მთავარი იერიში ახლა პარტიზანებზე მიიტანა. მათ უნდოდათ მთლიანად მოესპოთ პარტიზანების არსებობა და დიდძალ ესესელებს მოუყარა თავი. გერმანელებს ზედიზედ მიჰქონდათ იერიში ბუგის სანაპიროზე განლაგებული პარტიზანების წინააღმდეგ და მტრის ავიაცია უანგარიშოდ ბომბავდა მათ. სასტიკი ცეცხლი შეაგება მტერმა პარტიზანებს და საშუალება არ მისცა თავიანთი ამოცანა სისრულეში მოეყვანათ. ვერა და ვერ მოხერხდა ბუგის გადალახვა, რომ პოლონეთის ტერიტორიაზე გასულიყვნენ და ახლა იქ გაეჩაღებინათ პარტიზანული ბრძოლები უკან დახეული მტრის სრული განადგურებისათვის.

შმატოვმა გადაწყვიტა მოქმედების გეგმა შეეცვალა და უკან დაეხია შავი ტყისაკენ. მაგრამ აღარც უკან დასახევი გზა ჰქონდათ პარტიზანებს. ეს გზაც გადაჭრილი იყო და თითქმის ალყაში იყვნენ მოქცეულნი. შმატოვი ძალზე გონიერი და მოხერხებული აღმოჩნდა. მისი ბრძანებით კვლავ სუსტი ადგილი გამონახეს და ბატალიონი ისე მშვიდობიანად გაიყვანეს ალყიდან, გერმანელებს არც შეუტყვიათ. მეორე დღეს როცა მტერმა ავიაციისა და არტილერიის სასტიკი ცეცხლი დაანთო და ის ადგილები ერთიანად გადაბუგა, შმატოვის ბატალიონი უკვე შავ ტყეში იდგა და გონიერ მეთაურს გუნებაში ეცინებოდა.

ვინაიდან წინ წასვლა აღარ ხერხდებოდა, პარტიზანულმა შენაერთმა გადაწყვეტილება მიიღო პირველ რიგში კავშირი დაემყარებინა წითელ არმიასთან და მერე შეერთებოდა. ეს გადაწყვეტილება მალე სისრულეში მოიყვანეს. კავშირი დამყარდა. ახლა საჭირო იყო ფრონტის ხაზზე სუსტი ადგილის გამონახვა.

ეს ამოცანაც კაპიტანმა შმატოვმა დურმიშხანსა და არტემს დაავალა. მათ საუკეთესო მებრძოლებისაგან ჯგუფი შეადგინეს და ქალაქ ლუცკის დასავლეთით აიღეს გეზი.

კოველისაკენ მიმავალ შარაზე პარტიზანებმა მტრის ავტოკოლონა შენიშნეს. დურმიშხანმა ჯგუფიდან 15 მეავტომატე გამოყო და გზის ნაპირას მოხერხებულ ადგილას განლაგდნენ. დანარჩენებიც იქვე შეინიღბნენ.

ტყვიაწამლით დატვირთული მანქანები მთელი სისწრაფით მიჰქროდნენ ფრონტისაკენ. პარტიზანები მოულოდნელად თავს დაესხნენ გერმანელებს. სამი მანქანა გაანადგურეს და ექვსი გერმანელი მოკლეს. ხელთ იგდეს ორი მოტოციკლი, რომელიც ნაწილში გაგზავნეს.

სამი დღე-ღამის განმავლობაში მათ უკვე დაზუსტებული ჰქონდათ ყველაფერი. მეოთხე დღეს მაღალაშვილმა რუკაზე მოუხაზა შმატოვს ის ადგილები, სადაც მტერზე ზურგიდან უნდა მიეტანათ იერიში.

შმატოვმა თითქმის ყველა მეთაურს მისცა დავალება ამ რთული ოპერაციის დროს, თუ როგორ უნდა ემოქმედათ.

კაპიტანის ბრძანებით მაშინვე გამოიყო მოიერიშე ასეული, რომელშიაც მაღალაშვილი და კულუმბეგოვი შედიოდა. ასეულის მეთაურად დაინიშნა ბრძოლებში კარგად გამოცდილი ოფიცერი სმირნოვი. იგი თავისი მამაცი მებრძოლებით ბატალიონს წინ გაუძღვა.

ბატალიონს უკან მოჰყვებოდნენ პარტიზანულ რაზმს შეკედლებული სამასამდე უკრაინელი, რომელთაგან უმრავლესობა ქალები და ბავშვები იყვნენ. მოიერიშე ბატალიონს თან ახლდა ლუცკის რაიონის მკვიდრი მოხუცი კაცი, რომელმაც ხუთი თითივით იცოდა აქაურობა.

ბატალიონი მალე ლუცკის რაიონში შევიდა და ქალაქ ლუცკის დასავლეთით ფრონტის ხაზზე გაჭიმულ მტერს ზურგიდან ამოუდგა.

ბრძოლა ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში მიმდინარეობდა. ბატალიონმა საბრძოლო პოზიცია მიიღო და მოულოდნელად ეკვეთა მტერს ზურგიდან.

დურმიშხან მაღალაშვილი ერთ-ერთი პირველი გადაეშვა მტრის განლაგებაში და ხელყუმბარა პირდაპირ სანგარში ჩაუგდო მეტყვიამფრქვევეს. რომელიც გააფთრებით უხსნიდა ცეცხლს იერიშზე გადმოსულ საბჭოთა ჯარს. ხელყუმბარა თვალის დახამხამებაში აფეთქდა და სამ ფაშისტთან ერთად დაზგის ტყვიამფრქვევი გამოიყვანა წყობილებიდან.

გერმანელები ზურგიდან მტრის თავდასხმას არ მოელოდნენ და პირველად დაიბნენ, მაგრამ მალე გონს მოვიდნენ და სასტიკი ცეცხლი გაუხსნეს პარტიზანებს. პარტიზანებმა გააფთრებული იერიში მიიტანეს და ცეცხლს გაათკეცებული ცეცხლი შეაგებეს.

ამ პირველ შებმისთანვე სასიკვდილოდ დაიჭრა მოიერიშე ასეულის მეთაური სმირნოვი, რომელიც სასწრაფოდ კულუმბეგოვმა შეცვალა. კულუმბეგოვი ვაჟკაცურად გაუძღვა თავის მოიერიშე ჯგუფს. მალე მტრის ხაზი გაარღვიეს და წითელ არმიას შეუერთდნენ.

ამ ბრძოლაში პარტიზანებმა დაკარგეს თხუთმეტი მებრძოლი, ბევრი დაიჭრა, მაგრამ ბატალიონმა ვაჟკაცურად მოიხადა თავისი მოვალეობა და სამასამდე უკრაინელი უვნებლად გამოიყვანეს.

ეს იყო 1944 წლის 13 აპრილს.

არმიის სარდლობამ კარგად იცოდა, რომ პარტიზანები ბრწყინვალედ იყვნენ გაწაფულნი დაზვერვითს საქმიანობაში და ისინი სხვადასხვა ნაწილებში ჩარიცხეს მზვერავებად. კულუმბეგოვის სპეციალური მოიერიშე რაზმი კი მედვედევის რაზმს შეუერთდა. ეს რაზმი პოლონეთის ტერიტორიაზე ლაშქრობისთვის ემზადებოდა, მაგრამ როგორც კი დაიწყო ფართო შეტევები, მას სხვა მისია დაეკისრა. იგი ფრონტს წინ მიუძღოდა და დაზვერვით ამოცანებს ახორციელებდა. სხვა მებრძოლებთან ერთად დურმიშხან მაღალაშვილს კიდევ რამდენჯერმე მოუხდა მტრის ზურგში შეპარვა და არმიისათვის საჭირო ცნობების მოწოდება. იგი ყოველთვის ვაჟკაცურად ასრულებდა დავალებას. აი, როგორი დახასიათება მისცა პარტიზანთა ხელმძღვანელობამ მას:

„ამხ. დურმიშხან დიმიტრის ძე მაღალაშვილი 1943 წლის ნოემბერში სპეციალური დავალებით გადაყვანილ იქნა მოწინააღმდეგის ზურგში, სადაც იმყოფებოდა 1944 წლის 13 აპრილამდე. ამ დროის განმავლობაში რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა გერმანელ დამპყრობლებისა და უკრაინელ ნაციონალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ბრძოლებში იჩენდა მამაცობას და გამბედაობას. ჯგუფთან ერთად ამხ. მაღალაშვილი ოთხჯერ გადავიდა ფრონტის ხაზზე. ორჯერ მიიღო მონაწილეობა ოუენელების ლიკვიდაციის ოპერაციაში, ჩამოახრჩო ერთ-ერთი აქტიური ოუენელი, რომელიც დაიჭირა ჯგუფმა.

მონაწილეობდა ოუენელების სასურსათო საწყობის განადგურებაში.

მაღალაშვილის მონაწილეობით აფეთქებული იქნა ორი ხიდი, რომელიც ემსახურებოდა მოწინააღმდეგეების მეომრების გადაყვანას.

ერთ-ერთ ოპერაციაში, რომელიც ჩატარებულ იქნა გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ, მაღალაშვილის მონაწილეობით დაიწვა ოთხი ავტომანქანა სურსათითა და საბრძოლო მასალით, ორი მოტოციკლი, რამდენიმე ველომანქანა.

13 მაისს ჯგუფის მიერ მტრის რკალის გარღვევის დროს მაღალაშვილი პირველი გადაეშვა ბრძოლაში და მოკლა სამი გერმანელი. ამ ბრძოლაში ოპერჯგუფისა და პარტიზანების მიერ განადგურებული იქნა გერმანელების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამხ.დურმიშხან დიმიტრის ძე მაღალაშვილი 1944 წელს დაჯილდოებულია დიდი სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენითა და სამამულო ომის პარტიზანის პირველი და მეორე ხარისხის მედლებით".

* * *

ომის ძლევამოსილ დამთავრებას დურმიშხან მაღალაშვილი ბერლინში შეხვდა. რაიხსტაგზე აღმართულმა წითელმა დროშამ მთელ მსოფლიოს ამცნო ფაშისტური გერმანიის, კაცობრიობის ამ უბოროტესი მტრის განადგურება. და-

იწყო დემობილიზაცია. ეშელონები ეშელონებს მისდევდა და გამარჯვებული მეომრები ნელ-ნელა უბრუნდებოდნენ თავიანთ, ხუთი წლის უნახავ ოჯახებს.

შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს თვრამეტვაგონიანმა ეშელონმა კავკასიელთა მეომრების ერთი ჯგუფი მოსკოვში ჩამოიყვანა. ახლა აქედან უნდა აეღო გეზი საქართველოსკენ.

მათ შორის იყო დურმიშხან მაღალაშვილი. იგი სული-სულზე ელოდა როდის იხილავდა მშობლიური მიწის მთაგორებს, როდის შეხვდებოდა მოხუც მამას, დას — ტასოს, უმცროს ძმას — ოთარს.

მაგრამ ისე როგორ უნდა წასულიყო აქედან, ამ საზეიმო ვითარებაში რომ ერთხელ კიდევ არ გაევლო მოსკოვის ქუჩებში, არ შეევლო სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატში და არ ენახა გენერალი საშა ეგნატაშვილი.

სიყვარულით დაემშვიდობა ახლო მეგობრებს, არტემ კულუმბეგოვს უთხრა:

— აქ, მოსკოვში საქმე მაქვს, ერთ-ორ დღეს დავრჩები და თბილისში რომ ჩამოვალ, აუცილებლად განახავო.

დილის თერთმეტი საათი ხდებოდა. საზეიმო ელფერი დაკრავდა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვს. წითელ მოედანზე გამარჯვების მაუწყებელი დიდების დროშები ფრიალებდა და მავზოლეუმის კედლები შემოდგომის ლამაზი ყვავილებით იყო მორთული.

თერთმეტჯერ ჩამოჰკრეს კრემლის კურანტებმა. ამ ხმაზე დურმიშხანს გული შეუქანდა. ეს ის ხმა იყო, მტრის ღრმა ზურგში, როვნოს დაბურულ ტყეებში გამარჯვების იმედივით რომ ჩაესმოდა, მტერთან შეუპოვარ ბრძოლაში რომ ამხნევებდა და ძალას მატებდა.

ინახულა მავზოლეუმი, ის მყუდრო სავანე, სადაც რევოლუციის ბელადი განისვენებს.

მავზოლეუმიდან გამოსვლის შემდეგ პირდაპირ ძერჟინსკის მოედნისაკენ გასწია. მალე სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის შენობას მიადგა და კომენდატურიდან გენერალს ტელეფონით დაურეკა.

ორ წუთსაც არ გაევლო, რომ კომენდატურაში პოლკოვნიკი მაიოროვი შემოიჭრა, დურმიშხანს მხიარულად მიესალმა და გუშაგებს უთხრა, გაატარეთო.

მესამე სართულზე ავიდნენ. მაიოროვმა კაბინეტის კარი ფართოდ შეაღო და დურმიშხანს მიმართა — მიბრძანდითო.

დურმიშხანი პირველი შევიდა. გენერალი სკამიდან წამოიჭრა და დურმიშხანი ღვიძლი შვილივით ჩაიკრა გულში.

— სხვა, როგორ ხარ, ბიჭო? ხომ მშვიდობით დაბრუნდი, ხომ არაფერი გტკივა, არაფერი გაწუხებს? — ეუბნებოდა გენერალი და ნაფრონტალ ჯარისკაცს ათვალიერებდა. უხაროდა, რომ მას კვლავ ცოცხალს ხედავდა.

— გმადლობთ, ძია საშა. მამაჩემის სიტყვებით რომ ვთქვა, ისე ვარ, როგორც სტამბოლის კაცი.

ამ სიტყვებზე გენერალმა მხიარულად გადაიხარხარა და დურმიშხანი ერთხელ კიდევ მიიკრა მკერდზე.

— ეგ ძველი გამოთქმაა. ჩვენ, რევოლუციონერმა პატიმრებმა ვიცოდით ხოლმე მაგ სიტყვების ხმარება, როცა ერთმანეთს შევხვდებოდით და შევუძახებდით — როგორა ხარო, სტამბოლის კაცივითო.

გენერალმა კვლავ მხიარულად გადაიხარხარა და დურმიშხანს საყვედურით მიმართა:

— ნუთუ ერთხელ არაფერი გაგიჭირდა, რომ წერილი არ მომწერე?

— არაფერი გამჭირვებია, ძია საშა.

— მტრის ზურგში მოგიხდათ ბრძოლა, ხომ?

— დიახ, მტრის ზურგში. ფეოდოროვის შენაერთში ვიბრძოდით. მე ძალზე კმაყოფილი ვარ ჩემი ფრონტული ცხოვრებით.

— დაჭრილი თუ ხარ?

— როგორ არა, ორჯერ დავიჭერი. მაგრამ მტერს არ შევარჩინეთ არც ჩემი და არც ჩვენი ბიჭების სისხლი.

— ძმის ამბავი ხომ არაფერი გაგიგია?

— ჩემი ძმა ცოცხალი აღარ არის. იგი ტყვედ ჩავარდნილა, ბანაკში ყოფილა. ბანაკიდან ტყვეების დიდი ჯგუფი გაუპარებიათ, მაგრამ გაქცევის დროს გერმანელებს გადაჰყრიან და ხელჩართული ბრძოლის დროს დაღუპულა.

— მამას არაფერი უთხრა ამის შესახებ, — წარბები შეეჭმუხნა გენერალს,— სიბერის დროს გამწარდება საწყალი ტიტო. ამას წინათ ერთი წერილი მივიღე მისგან, მწერდა: — ნეტავ ისე არ მოვკვდე, რომ ჩემს სახლში ერთხელ კიდევ არ გნახო მოსულიო. აი, ომი უკვე დამთავრდა, წელს თუ არა, გაისად, შემოდგომაზე გამოვნახავ დროს და აუცილებლად ჩამოვალ საქართველოში. სიმართლე გითხრა, ამ სიბერის ჟამს თავისაკენ მეწევა ჩემი მშობლიური მხარე, ჩემი გორი, ამბობენ: კაცი რომ ბერდება თავისი მიწა ეძახისო.

— რა დროს თქვენი სიბერეა, ძია საშა, ჯერ კიდევ მხნედ გამოიყურებით.

— რა უდროსია, შვილო, სამოცდაათს ვუახლოვდები. ამ ბოლო დროს ავადმყოფობაც მომერია. ოო, რა გემრიელი ლობიო ვჭამე მაშინ მამაშენთან. წნილსა და მაჭარს ნუღარ იკითხავ. — დურმიშხანს ღიმილით შეხედა, — მაშ ჟლიტეთ მტერი ხომ?

— გიყვარდეთ, რომ ვჟლიტეთ! აი, ჩემი დახასიათება, რომელიც სარდლობამ მომცა.

დურმიშხანმა ხელი ჩაიყო უბის ჯიბეში,

ოთხად დაკეცილი ქაღალდი ამოიღო, გახსნა და გენერალს გაუწოდა:

გენერალმა დახასიათება ჩაიკითხა და დურმიშხანს მხარზე ხელი დაჰკრა:

— ყოჩაღ, შვილო, ყოჩაღ! მამაშენის შვილი სხვანაირი არც შეიძლებოდა ყოფილიყავი.

მათ კიდევ კარგახანს ილაპარაკეს. გენერალს არ ეთმობოდა ასე უცებ გაესტუმრებინა დურმიშხანი. საუბრით გული რომ იჯერეს, დურმიშხანი, წამოდგა და გენერალს ხელი გაუწოდა:

— კარგად ბრძანდებოდეთ, ძია საშა. მე თქვენს დიდსულოვნებას არასოდეს დავივიწყებ. ახლა შინ რომ ჩავალ, მამაჩემს დაწვრილებით ვუამბობ!

— აბა, ყოჩაღად იყავი, შვილო დურმიშხან! მამაშენს დიდი მოკითხვა გადაეცი, ჩემს მაგივრად დამიკოცნე. უთხარი, გული არაფერზე გაიტეხოს, მხნედ იყოს, თუ მოვახერხე ჩამოსვლა, აუცილებლად გინახულებთ.

* * *

იმ დღეს დურმიშხანი მოსკოვში დარჩა. მეორე დღეს საქართველოსაკენ მომავალ სხვა დემობილიზებულ ქართველ მეომართა ჯგუფს შეუერთდა და სამი დღის შემდეგ უკვე თბილისში იყო.

ინახულა კულუმბეგოვის ოჯახი. პურღვინით შეხვდა ფრონტელი მეგობარი. სუფრაზე გაიხსენეს თავიანთი თანამებრძოლნი. ჯანმრთელობა და ბედნიერება უსურვეს იმათ, ვინც ცოცხლები დარჩნენ, ჰიქები წააქციეს ომში დაღუპულთა მოსახსენებლად. შემდეგ შეფიცეს, რომ ისინი არასოდეს დაივიწყებდნენ და ხშირხშირად მოინახულებდნენ ერთმანეთს.

იმავე საღამოს დურმიშხანი უკვე მეტეხში იყო. სიყვარულით გადაეხვია მოხუცი მამა, რომელიც ამ ხუთიოდე წლის განმავლობაში სულ გამოცვლილიყო. შვილების დარდს წელში მოეხარა, დაბერებულიყო, მოტეხილიყო.

გაიხარეს ტასომ და ოთარმაც. ოთარს ტანი აეყარა და ვაჟკაცობის რიხი მისცემოდა.

ტიტომ ალერსით გული რომ იჯერა, დურმიშხანს მხარზე ხელი დაადო, თვალებში ჩააცქერდა და უთხრა:

— მე ყველაფერი ვიცი, შენი ვაჟკაცობის შესახებ, შვილო! საშა ეგნატაშვილმა მომწერა წერილი და მადლობას მიხდიდა, ასეთი შვილი რომ გაზარდეო. ყოჩაღ დურმიშხან, რომ არ შემარცხვინე!

ამ სიტყვებზე ტიტოს სიხარულის ცრემლი ჩამოუგორდა სახეზე.

სახელდახელოდ გაიშალა სუფრა. სახლი შინაურებითა და მეზობლებით გაივსო. ტიტო სულ ეგნატაშვილის ხსენებაში იყო და ნატრობდა იმ დღეს, როცა ისინი კიდევ შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

მაგრამ ისინი ერთმანეთს აღარ შეხვდებიან. სამი წლის შემდეგ ტიტო სოფელ მეტეხში გარდაიცვალა, გენერალი საშა ეგნატაშვილი კი მოსკოვში, კრემლის საავადმყოფოში.

* * *

მას შემდეგ კარგა დრომ განვლო. სამშობლოს წინაშე ვალმოხდილ ქართველ პარტიზანთა უმრავლესობა დღეს სამეურნეო საქმიანობაშია ჩაბმული. სად არ ნახავთ მათ, სახალხო მეურნეობის რომელ უბანზე. ყოფილ მებრძოლებს ვაჟკაცურად გააქვთ შრომის ღელო.

დურმიშხან მაღალაშვილი ამჟამად პარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანია და სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის რაზმავს მშრომელებს.

— ფაშისტთა უღლისაგან კიევის განთავისუფლების მეხუთე წლისთავზე, — იგონებს საბჭოთა კავშირის გმირი დავით ბაქრაძე, — სხვა ამხანაგებთან ერთად მეც ვიყავი მიწვეული დელეგატად. იქ შემხვდა პარტიზანული შენაერთის უფროსი ა. ფეოდოროვი, რომლის შენაერთშიც იბრძოდა დურმიშხან მაღალაშვილი, როგორც კი დამინახა, მომიახლოვდა და მითხრა:

— როგორ მყავს დურმიშხან მაღალაშვილი?

— კარგად. დურმიშხანი კვლავ მოწინავეთა რიგებში იბრძვის. ასეც იქნება ყოველთვის. — ვუპასუხე მე.

— არ მიკვირს. იგი საოცრად სპეტაკი, თავმდაბალი, ჩუმი და მოკრძალებული ამხანაგია. საქმეს კი ყოველთვის ვეფხვივით ეკვეთებოდა ხოლმე. მომიკითხე ჩემი ძვირფასი მეგობარი! — მითხრა დასასრულს ა. ფეოდოროვმა“.

1964 წლის მაისში ყოფილი ქართველი პარტიზანები უკრაინაში მიიწვიეს. მათ შორის იყვნენ დურმიშხან მაღალაშვილი და შალვა კობიაშვილი, რომელსაც „საშკა გრუზინს“ ეძახდნენ. აი რა უთხრა დურმიშხანს პარტიზანების მამამ, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირმა, იმჟამად უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ სიდორ არტემის ძე კოვპაკმა:

— გავიგე, დიდ საქმეს შესჭიდებიხარ, პარტიის ნდობას შესრულება უნდა. სამხედრო ენაზე რომ ვთქვათ, რაიკომის მდივნობა დივიზიის უფროსობას უდრის. ბევრი რამ არის შენზე დამოკიდებული. ომში მამაცი იყავი და აქაც რაღა დაგიდგება წინ.

მართლაც, მარნეულის რაიონი, რომელსაც დღეს დურმიშხან მაღალაშვილი ხელმძღვანელობს მთელი ძალღონით იბრძვის პარტიის ოცდამესამე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# იაპონური პოეზია

იამაბე აკახიტო
VIII ს.

## ორი ტანკა

* * *

როცა კუნძულებს ვეწიე და,
როგორც იქნა, მივადექ ნაპირს,
კუმანუდან იამოტოსკენ
აფრაგაშლილი ხომალდების
შემშურდა უცებ.

* * *

აქ ამ ვაკკას ყურეში,
მოიქცევა ხარხარით
ზღვა და მეჩეჩს ყლაპავს —
წყევლით, კრულვით, ყაყანით
ნაპირს მოაშურებენ წეროები მაშინ.

* * *

როცა ვრცელდება ღამე
ხართუთასავით შავი,
იქ, სად მეჩეჩზე, ზღვაში,
დგანან ხისაკის ხენი,
ჩიტი ტიდორი კვნესის.

* * *

აქ, ამ ტურფა ესინოში,
აქ, ამ კისაამას მთებში,
ცად ატყორცნილ კენწეროებს
რა ხმაურით ავსებენ,
რა ყოფა აქვთ ჩიტუნებს!

* * *

აყვავებული ტყემლისათვის ვერ მიმიგნია,
მეგობრისათვის ვაპირებდი მეჩვენებინა:
დაუთოვია აქ წუხელ და მიჭირს გარჩევა,
სად თოვლისფერი ყვავილები გაშლილა ტყემლის
და სად თოვლია — თოვლი ტყემლის ყვავილისფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამანოე ოკურა
VIII ს.

* * *

მაშ, მივაშუროთ იამატოს ქვეყანას დროით!
ვიჩქაროთ, ძმანო, იქ ფიჭვები
გველიან და ნაპირზე დგანან!
მიცუს ყურეში, სადაც როსმე მე მიცხოვრია,
ინახავენ, ალბათ, ჩვენს ხსოვნას!

* * *

აურაცხელი სამოსი აქვთ,
კაბა-სამოსი მდიდრის შვილებს,
ვერ გასცვეთენ მთელ სიცოცხლეში, —
სკივრში ულპება მდიდარს ქონება,
ეღუპება ძვირფასი სტავრა!

ღატაკს ტილოც არ გააჩნია,
უბრალო ტილო შესამოსი,
და ვცხოვრობთ ასე! და შენ სწუხხარ,
შენ სწუხხარ მხოლოდ,
ხოლო შეცვლა არ ძალგიძს ამის!

* * *

დავბადებულვარ აკი ლომგულად, —
ნუთუ დასრულდა უსახელოდ ჩემი გზაშარა,
ქრება სახელი, ხოლო იგი შესაძლო იყო
წელიწადიდან წელიწადებს, ბაგიდან ბაგეს,
საუკუნიდან საუკუნეს გადასცემოდა!

## ოტომო ტაბიტო
VIII ს.

* * *

ყოველთვის, როცა თოვს ხვავრიელად,
ყოველთვის, როცა ვეებერთელა,
თეთრი, ფარფატა ფანტელები მოცვივა ციდან
და ეფინება დედამიწას —
ჩემი სატახტო, ჩემი ნარა გამახსენდება.

* * *

აჰა, ჟამმა ჩამოკრა
ჩემი შინ დაბრუნების...
მაგრამ შორ სატახტოში
ვისას ველი სახელოს
მათრობელა ბალიშად?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

როგორც წერო საზრდოს ეძებს,
ეხეტება კუსაკაეს
იმ ლერწმოვან ყურეში,
მეც ასე ვარ... რა ძნელია,
ვაჰმე, უმეგობრობა!

* * *

ბაღში, რომელიც, საყვარელო,
გავაშენეთ ოდესღაც ერთად,
ცად წასულან ჩვენი ხეები,
გაფოთლილან ჩვენი ხეები,
განტოტვილან და ხანში შესულან!

ციკლიდან „სიმღერები ღვინოზე“

1

ფუჰ წვრილმანებზე არ ღირს ფიქრი,
სჯობია მაგას,
თუნდ წყალწყალა სახარჯო ღვინით
შეივსო თასი,
დასცალო და მიჩვენო ფსკერი!

2

ბედნიერება
ამქვეყანას ოღონდ გვეწეროს!
იმქვეყანას კი
ქინქლად ვიქცე, ანუ მუმლად,
ღმერთი! რჯული! ეგ სულ ერთია!

3

არ მიყვარს ბღენძი,
ცრუბრძენი და ჭკუისკოლოფი!
ლოთთან დავჯდე უმჯობესია:
დათვრება მაინც და შემთვრალი
ერთს გულწრფელად წამოიტირებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოტომო იაკომოჩი
VIII ს.

* * *

როცა შენ მკითხავ, თუ რასა ვიქმ, როგორა მძინავს,
გრძელ ღამეებს მარტოდმარტო როგორ ვატარებ,
ერთს გიპასუხებ: ჰო, სავსე ვარ,
ვისაც ვეტრფი, მისდამი სევდით,
ვისაც ვერსად და ვერასოდეს ვეღარ ვიხილავ!

* * *

როგორც გარეულ ბატების გუნდი
მიექანება ღრუბლებს ზემოთ ცაში და ჰყივის, —
შენ შორს იყავი...
ო, რამდენი ვეხეტე ქვეყნად
მოვიდოდი შენამდე ვიდრე!

### მიძღვნა მეუღლისადმი, განდევნილობისას დაწერილი

დაე, საბრალო იყოს მონა სადმე ყრუ სოფლად,
სოფლად, რომელიც ამ ცის თაღზე შორია შენგან!
მაგრამ თუ მისთვის მოწყენილა ციური ქალი,
მაშინ მე ვამბობ,
რომ მაინც ღირს სიცოცხლე ქვეყნად!

## კი-ნო აკიმინე

* * *

ვინ არის იგი, ზაფხულობით
იმ მთებში რომ უჩინრად ცხოვრობს
და ცხრაკლიტულში ტირის,
თითქოს სატრფოზე ნაღვლობს?
არა, ეს — მთიდან გუგული მიხმობს.

# ოცი ხოკკუ

## ისსა
1763—1827

* * *

ჰყივის ხოხობი, თითქოს
ცაში პირველი ვარსკვლავი
მისი, და არა სხვისი, აღმოჩენილი იყოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მშობელ მხარეში
ბალახი რომ ბალახია, —
ჰყვავის ჩვენთვის ატმის ხესავით!

* * *

დღეს არვინ არის ჩვენ შორის უცხო,
ერთურთისათვის დღეს ძმანი ვართ
ამ აფეთქებულ ალუბლებქვეშე!

* * *

აჰა, შეხე ბულბულს!
დიდ მთავართაც, ძმაო, იმას უგალობს,
რასაც ყოველ. სულდგმულს!

* * *

დაგიქებულან ალუბლები! შეხე, ცხენიდან
ამპარტავანი თავადიც კი ჩამოაბრძანეს
და იახლეს ყვავილობის თვისის საჭვრეტად!

* * *

ყველაფერი ძველებურად გრძელდება...
როგორც გუშინ, ნისლი ფარავს ხვედრს
დღესაც საწყალ ფაცხაში!

* * *

შეყუჟულა ხიდქვეშ ზამთრის ღამეში,
თოვს, და სძინავს
უსახლკარო ბიჭუნას.

* * *

აჰ, დამაცადე! ნუ ფრთხვინავ და ნუ იტკეპნები!
ციცნათელები ციალებდნენ
აქ, წუხელ რომ ჩამოვიარეთ!..

* * *

ხისქვეშ მივწექ, შევეფარე ჩრდილს:
იღერღება ბრინჯი —
ჩემ მაგივრად ღერღავს ნაკადული მთის.

* * *

ჰოი, როგორი სევდით გასცქერდა,
თვალს ადევნებდა ჩიტუნია
გალიიდან პეპლების ფარფატს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

არ იჩხუბოთ ცაში, გზაში,
შეეშველეთ ერთურთს ძმურად,
თბილ ქვეყნისკენ მიმფრინავო ჩიტებო!

* * *

ნელ-ნელა შეჰყევ ფუზის ფერდობს,
ნელ-ნელა გასწი, ლოკოკინავ —
შეაცოცდი უმაღლეს მწვერვალს!

## კიკაკუ
1660—1707

* * *

რად გამიქციე, გუგულო, დედა,
რად დამიქციე, სიზმრის ქოხი,
შე ურჯულო, შენი „გუგუთი“?

* * *

მათრობელა სუნი ქლიავის —
მათხოვრის ქოხს,
პაწია ქოხს თვალს ვერ ვაცილებ...

* * *

დასცხო კოკისპირულად!
შექნეს ერთი ყაყანი —
დაფაცურდნენ ალაგესთან იხვები.

## სეხაკუ

* * *

ცაში ვარსკვლავებია —
ჰოი, რამსიმაღლეზე
რამსისხო ვარსკვლავები!

## ჩიე-ნი
1701—1755

* * *

წუხელ ხვართქლა შესცოცებია,
დახვევია ბადიას ჭაზე...
მეზობლისას გადავალ წყალზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რა—ძანი

* * *

ტკრციალებს ცეცხლი!
დაგმანული დარაბებიდან
შემოდგომა შემოჭრას ლამობს.

## საიმარო

* * *

გააქვთ ჩხრიალი მაისის წვიმებს!
და ჰა, ქლიავის ტოტებში უკვე
ღია მწვანედ ხასხასებს ქარი.

## გომეი

* * *

დაფათურობენ პეპლები,
შეხე, გაზაფხულს ეძებენ —
წასულა გაზაფხული...

თარგმნა მურმან ლებანიძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი გელოვანი

# მურზაყანის მახვილი

## ისტორიული მინიატურა

მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ორადლიან ხანჯალს ქარქაშიდან სწევენ და ამაყად მეუბნებიან:

— ეს მურზაყან დადეშქელიანის ხანჯალია. ამ მახვილის ერთი დაკვრით მრავალი ხარისთვის გაუგდებინებია თავი.

— ნუთუ? — ერთხანს მონუსხულივით შევცქერი გიშრის ტარიანსა და რვალის პირიან მძიმე მახვილს. — ამბობენ, დადეშქელიანს კარის წირთხლზე გადაუტყდაო ხანჯალი — ეს კი მთელია.

— ჰმ! განა მურზაყანს ერთი მახვილი ჰქონდა?

— მაშ რამდენი?

— იმდენი, რამდენი გუბერნატორიც იმპერიაში იყო... და კიდევ ორი!

ანაზდად ისევ ძველ ზღაპრულ დევგმირთა სამეფოში აღმოვჩნდი.

ეს მახვილი ახლა მუზეუმშია, მაგრამ ოდესღაც ამაყ ვაჟკაცს ეკიდა წელზე.

მუზეუმის დირექტორი, ჩემი მეგობარი კაკო კვიციანი ერთხელ კიდევ მომაგონებდა დადეშქელიანების ძნელად დასამახსოვრებელ ისტორიას. ვუსმენდი, ვუსმენდი, და სინანულის უჩვეულო გრძნობა მეუფლებოდა: რა ამაოდ ცვდებოდა საუკუნეების მანძილზე დადეშქელიანების მახვილი ძმათა სისხლის ღვრაში! განა არ ჯობდა ამ ძლიერი და ნიჭიერი გვარის მთელი ღონე სვანეთის ამაღლებას მოხმარებოდა და არა მის დამონებას? შორს გამიტაცეს დაუწერელი მატიანის ფერგადასულმა ფურცლებმა. გაღვიძებული სიამაყით ნაკარნახევი გაბედული საქმეებიც მომაგონეს, ქუთაისის გუბერნატორის სასახლეშიც შემახედეს, და ჩემს ხსოვნაში აღდგა გარდასულ დროის ტრაგიკული ეპიზოდი.

* * *

ყრუ დუმილს მოუცავს ფარელი დადეშქელიანების საგვარეულო კოშკი. მხოლოდ ჭოტის კივილი მოისმის ულრანი ტყიდან ჟამიდან ჟამამდე. რახანია მიწყდა მწყემსის კიჟინა, ცხენთა ფლოქვების ხმაური, შრომის ფერხულში ჩაბმულ გლეხკაცთა წამოძახილები. ყველა სახლებში შემალულა. ისმის ენგურის ყრუ გუგუნი, სადღაც ფუნირის გაბმული ხმა და სევდიანი საგალობელი:

ო, საბრალო ვიცბილ-მაცბილ,
თქვენი ცოდვით ქვა იწვოდა...
დასახლება არ გაცალეს,
ხელი არვინ გაიწოდა...
თუ ასეთი ბედი გქონდათ,
ქვრივმა დედამ რა იცოდა...

მთავრის კოშკში არ აღწევს ქვეყნის ხმაური.

ზემო სამყოფელში ვერცხლის შანდალი დგას, ზედ სამი სანთელი ციმციმებს და სუსტი შუქი ამაოდ ებრძვის გამურული კედლების საუკუნო ბინდს, პატარა სამფეხ მაგიდას უზის დიდი ქალბატონი დიგორხანი, ხმარებაში გაცრეცილი წიგნი გაუშლია და შვილიშვილს უკითხავს.

— აი, შვილო, — ეუბნება დარბაისლურად, — ამირანი ბაყბაყ-დევს შეეჭიდა, ცხრათავიანს, დასცა და ღრიალი დააწყებინა... უარესიც ეკუთვნოდა! თათარყანივით ავი იყო ის ოხერი!

— ბებია, თათარყანზე დიდიც იყო ის დევი? — ჰკითხა გოგონამ.

— ჰო, შვილო.

— ცხრა თავი ჰქონდა?

— ცხრა თავი.

— და ერთმა ამირანმა აჯობა?

— ჰო, ცხრა თავი წააცალა.

— მერე, მე და ჩემი ძმები ხომ ხუთნი ვართ! ხუთს რატომ გაგვიჭირდება სამთავიანი თათარყანის ჯობნა?

— გაჩუმდი, შვილო. ჩვენ იმდენი ღონე ვინ მოგვცა! თქვენ ჯერ პატარები ხართ. ან რა ხელი გვაქვს თათარყანთან, იმ უსურმანთან! სვანეთი ყველას გვეყოფა.

— თათარყანი ამბობს, არ გვეყოფაო, მარტო მე მინდაო, გაგწყვეტთო ციოყის ნაშიერებს...

— რაებს ლაპარაკობ, შვილო? სულ ტყუილია, არ დაიჯერო. გირჩევნია მე მომისმინო. აი, ეს ამირანის წიგნია, ხელნაწერი. ასეთი წიგნი მეორე არაა. ეს პაპაშენს აჩუქა თავადმა ერისთავმა და ჩვენი ოჯახის განძია...

ღამის წყვდიადში ანაზდად მამაკაცის მრისხანე ხმა გაისმა:

„დიგორხან! გაემზადე, საიქიოში გეპატიჟებიან!".

დიგორხანს სიტყვა პირში გაუწყდა. გუმანით იგრძნო მტრის სიახლოვე. ამას ელოდა. ახლა მისი მცველი და ქომაგი მხოლოდ კოშკი იყო.

სვანური საგვარეულო კოშკები ისეა აგებული, ოჯახებს შორის მოსალოდნელი შეტაკებაც გათვალისწინებულია და ხანგრძლივი ალყაც. კოშკებს გარე სამყაროსთან მხოლოდ ვიწრო სათოფურები აკავშირებთ. მთელი კორპუსები მყარი ქვისაა და ძნელად სადმე უპოვნით ხის ძარღვებს, რომ შენობას მტერმა ცეცხლი შეუნთოს. საცხოვრებელი სახლიც სიმაგრესა ჰგავს. სქელ კედლებს ერთი-ორი გასროლით ქვემეხიც ვერასავნებს, ხოლო ზედა სართულზე იმდენი თივა ინახება, რამდენიც ცხრათვიან ზამთარს იკმარებს. ქონგურებიდან შეიძლება მოალყეს ცხელი წყალი და მდუღარე ფისი გადმოაღვარონ, ქვა და ისარი დაუშინონ... ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ მშენებელს ეს ციხეგალავანი სასტიკი ცხოვრებისათვის უშენებია. სასტიკი ცხოვრებისათვის!

ასეთ საგვარეულო ბუდეებში გამაგრებულ ოჯახს შეუძლია მთელი თვეობით არ გავიდეს გაშლილ ადგილზე. მძიმეა, მაგრამ საიმედო ეს საგვარეულო სავანე.

აი სასტიკი ცხოვრებაც! შუაღამეა და კოშკს მტერი მოსდგომია, ტყვიას უშენს და ცეცხლს უნთებს.

პირველად არ შენთებია ცეცხლი დადეშქელიანების სიმაგრეს, მაგრამ ასეთი თავხედობა არ ახსოვს თვით ამ მოუსვენარი გვარის მატიანეს.

ამ მატიანის პირველი ფურცელი კი შორეული წარსულის წყვდიადში იშლება.

* * *

დადეშქელიანი — ერთ-ერთი ფრიად შთამაგონებელი ძველი ქართული გვარია. საუკუნეების მანძილზე ქუხდა „სვანეთის ღმერთების" ეს შუქმოსილი ოჯახი. დიდებულ ბატონებზე მიანიშნებდა ხალხს არა მარტო მათი გვარი, არამედ მათი სახელებიც: ოთარი, ციოყი, ჯანსული, თენგიზი, თათარყანი, მურზაყანი... „ოთარშერები" სვანთა ცნობიერებაში ისევე ჟღერდა, როგორც „მუხრანბატონი", „ამილახვარი" ან „ერისთავი". გლეხი ისევე ვერ შეეხებოდა ამ სახელებს, როგორც სამთავროს კვერთხს.

საიდან მოსულან, სად დავანებულან, სად უსწავლიათ ბატონობის ხელოვნება.

შორეული წარსულის წყვდიადში იკარგება ამ გვარის ისტორია. თამარის დროს, როცა უკვე იხსენებიან უბლიანები, ჭედელიანები და ფანჯიკიანები, ჯერ კიდევ არ ჩანს ეს ძლიერი გვარი. მაგრამ მალე, მეთოთხმეტე საუკუნეში, მძლავრად იჭრება სვანეთის მატიანეში დადეშქელიანიც, და შემდეგ საუკუნეების მანძილზე არ ჩამქრალა ჩირალდანი „სვანეთის ღმერთების" საგვარეულო კოშკში.

გაუთავებელი შუღლი, ქიშპობა, ხანჯლისა და საწამლავის ტრიალი გასდევს ამ ძლიერი გვარის ბუნდოვან ისტორიას. არ ინდობდნენ არც სხვას, არც ერთიმეორეს. ამხობდნენ გვარებს, წვავდნენ სიმაგრეებს, ხოცავდნენ მოქიშპეებს, ეუფლებოდნენ სოფლებს და ითხოვდნენ გლეხებისაგან ყველაფერს, რისი მიცემაც კი ადამიანს შეუძლია — მკლავის ღონეს, სარჩო-საბადებელს, ქალის ნამუსს და სიცოცხლესაც კი.

მეთვრამეტე საუკუნის შუა ხანებში აწ დავიწყებული შეჯახებების შემდეგ ძალაუფლება ხელთ იგდო დიდმა ოთარმა. სამი შვილი ჰყავდა და სამივენი ცალ-ცალკე განაგებდნენ თავიანთ წილს. საშინელი მკვლელობანი ჯაჭვად გასდევს ოთარის შთამომავალთა და მათი სიძის თენგიზის მოძმრეების სისხლიან მატიანეს. ეს თენგიზი ყველა გვიანდელ მთავართა მამამთავარია.

თენგიზის შვილი ბაბა ციოყი მუსრს ავლებდა მოწინააღმდეგეებს, ნათესავებსაც კი. 1800-1825 წლებში დახოცეს ან განდევნეს ყველა მოქიშპე.

ბაბა ციოყის შთამომავალნი ერთ ხანს მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. მერე ერთმა მათგანმა, მრისხანე თათარყანმა მიითვისა ბეჩო, ეცერი, ლეჩგანი, და ხელს იწვდიდა ჩუბეხევისაკენ, რაც უმცროს ციოყს ეკუთვნოდა.

თათარყანი არც ციოყის მამას ასვენებდა. სისხლი გაუშრო თენგიზ დადეშქელიანს. ეს

იყო პირველობისათვის ბრძოლის პირველყოფილური ჟინი. თქვენ ისააკი და იაკობი უნდა გერქვათო, ხუმრობდა მღვდელი.

თენგიზის მემკვიდრე ციოყი, იგივე მიხეილი, განათლებული კაცი იყო, თბილისში ნამყოფი, მილიციას მეთაურობდა და თავიც გამოუჩენია ჯიქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეს მაშინ დაყარეს ხმა, ფარის მთავარი ციოყი დაიკარგაო, ლეჩხუმს წავიდა და არ დაბრუნდაო. დიგორხანს, დედამისს, თემი მოუწვევია და დაკარგული მთავრის საპოვნელად ქვეშევრდომთათვის ქართს წასვლა უთხოვია.

— დიდო ქალბატონო, ჯიხვის ცოცხლად შოგვრა გვიბრძანე, მოგგვრით, ასეთ უცხო და უცნობ მხარეში ვერ წავალთო, — უთხრეს თურმე ვაჟკაცებმა.

— მაშ მე წავალ და მამული თქვენ გებაროთო, — ეთქვა ქალბატონს.

მაშინ ლახამულელ ვამანას უთქვამს:

—არა, ქალბატონო, მე წავალ. ხალხი იტყვის, სვანებს ქუდი არა ჰხურებიათო.

წასულა და უპოვნია, თუ ამბავი გაუგია — ხალხს ეს არ ახსოვს.

ამ ციოყს მუდამ ეშინოდა — მტაცებელი ბაბუა თათარყანი პირველივე შემთხვევაში წამართმევსო ჩუბეხევს. იცოდა: მკვლელები დარაჯობდნენ ყოველ მოსახვევში. სხვა გამოსავალი რომ ვერ ნახა, 1833 წელს მეფეს შეავედრა თავი. თათარყანმა თქვა — რად უნდა ჩამოვრჩეო, და ისიც მეფეს დაემორჩილა. ორივე მოინათლა. ამასთან ციოყმა მიხეილი დაირქვა, თათარყანმა — ნიკოლოზი.

მოსწყინდა ციოყს დაუსრულებელი დავა, შუღლი და სისხლისღვრა მამულისა და საძოვრების გამო, მეგრელ-აფხაზ-წებელდელები რომ ითვისებდნენ, და ეგონა, რომ რუსეთის ქვეშევრდომობა იხსნიდა. მაგრამ მოლაპარაკება ვერც კი დაასრულა, რომ ჯერაც ახალგაზრდა მთავარი 1842 წელს გარდაიცვალა და ხუთი წვრილი შვილი დაუტოვა შვებად და საზრუნავად თავის დედას — დიგორხანს: კონსტანტინე (მურზაყანი), ალექსანდრე (ისლამი), თენგიზი (ნიკოლოზი) და ციოყი (მიხეილი). სულ უფროსი მურზაყანი მაშინ თოთხმეტი წლისა იყო.

ეცერ-ცხუმრის მბრძანებელმა თათარყანმა გადაწყვიტა, ახლა კი დადგა ჟამი ჩემი ალზევებისაო, ოთარსა და გელას უხმო და ფიცი დაადებინა შვილებს, რომ ციოყის შთამომავლობას არ გაახარებდნენ.

ციოყის მემკვიდრეების ბედზე იმ დროს სვანეთში ყვავილი მძვინვარებდა, ამიტომ დიგორხანმა ხუთივე შვილიშვილი ფარის კოშკიდან გაიყვანა და ხუდონში გაგზავნა. რაკი ეს საქმე ფარულად მოხდა, უთუოდ ავაზაკური თავდასხმისაც ეშინოდა, სახადის გარდა.

თათარყანის შვილმა, ოთარ დადეშქელიანმა, არ იცოდა, რომ დიგორხანმა ციოყის ვაჟები გახიზნა და გადაწყვიტა აელო სისხლი, რაც დიდი ხანია სიმშვიდეს ითხოვდა. ვერავინ დაშრიტა სისხლის ვალი მთავართა ოჯახში.

ოთარმა ყველაფერი მოამზადა, ჯანსული იხმო და ჩუმად უთხრა:

— მომისმინე, შვილო. მგლები დაიხოცნენ, ლეკვები დარჩათ. ვიდრე დაიზრდებიან, მონადირეები მათს ბუნაგში ესტუმრებიან და დახოცავენ. რას იტყვი ამ იგავზე?

— მეორე იგავს: თავისიანს მგელიც არ ერჩისო.

— მაშ უცადე, ვიდრე აქ მოგიხტებიან და ყელს გამოგლადრავენ! — შუბლი შეიკრა დიდმა ოთარმა.

— არა, მამა, გეხუმრები. მგელი რა დასანდობია! როდის წავალთ?

— ახლავე, ამ ღამეს.

* * *

სოფელში კივილი გაისმა. ყრუდ გმინავდა ალმოდებული კოშკი, გულღვიძლი ეწვოდა გოლიათს. ცეცხლის ენები სათოფურებს აწყდებოდა, მაგრამ ვერ ეტეოდა ვიწრო ხვრელებში, შიგნითვე გუბდებოდა, ტკრციალებდა, გუგუნებდა და ვინც სიმაგრის დატოვება არ ინება, ყველას გაგუდვით ემუქრებოდა.

— როგორ მოახერხეს... ასე უხმაუროდ!.. რა მოუვიდათ მცველებს? — გმინავდა შეძრწუნებული ქალბატონი. — ალბათ მოისყიდეს! თათარყანი ეშმაკს შეაცდენს, ჩემს დოყლაპია მსახურებს კი არა!

ცეცხლში გახვეულ კოშკს ჯანსული და გელა გარშემო უტრიალებდნენ და ურცხვად ქილიკობდნენ:

— ლუფკელო დიგორხან, იმ შენი ცხონებული ქმრის სულს გაფიცებთ, გვითხარი, ხომ არა გცივა? ნუ გერიდება, ეცერში შეშა ბევრია.

— ვაი თქვენდა, გადაგვარებულო ქალაჩუნებო! — გადმოსძახა დიგორხანმა, — შეშა წინაპრებსაც ჰქონდათ, მაგრამ დედაკაცებს არ ხრაკავდნენ...

ამ დროს ქვედა სართული ჩაიქცა. გრიალმა დაფარა დიდი ქალბატონის ხმა, კვამლმა კი — მისი სახე.

ან რაღა დროის ლაპარაკი იყო! ჯერ წიგნი გადაისროლა სარკმლიდან, მერე საჩქაროდ შეაგროვა ბუმბულები, საბნები და ბალიშები, გაახვია გოგონა და გადაუშვა, მერე თვითონაც გაეხვია და მსახურს უბრძანა:

— მომახურე, შემომახვიე, ეს გყავიც, ის საბანიც, ეს მოსასხამიც... ჩემი ხნის ადამიანის გათბობა ძნელია, შვილო. აი, ასე, ახლა კი გადამაგდე... თუ მართლა კუდიანი ვარ, გავფრინდები, თუ არა და ქოფაკ თათარყანის მშიერმა ლეკვებმა დამგლიჯონ... ეს წიგნიც... ამირანის წიგნი... ასეთი მეორე არ არის... იქნება გადარჩეს ამ ურჯუკებს...

ასე გადავარდა დიდი ქალბატონი ალმოდებული კოშკიდან, საიდანაც წუთის წინ თვითონ გადაუშვა თავისი შვილიშვილი, ციოყის უმრწემესი ასული.

დიგორხანი რომ ჩვეულებრივი ქალი ყოფილიყო, ძირამდე სული არ ჩაჰყვებოდა, მაგრამ დიგორხანი ძველი დევგმირების შთამომავალი გახლდათ.

ჯანსული დამტვრეულ ქალს თავზე წაადგა. ცეცხლის შუქს ქალის სახისათვის მიცვალებულის იერი მიეცა, მაგრამ დიგორხანი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

— სადა გყავს დამალული ძაღლის ლეკვები?' — ბოროტი ხმით დასჭყივლა ქალს თავადიშვილმა.

დიგორხანმა თვალები გაახილა და გაკვირვებით მიაშტერდა...

— ამ კოშკში ძაღლის ლეკვები არც ოდეს ყოფილან, ვიდრე ამ ბუნაგში ლომი ბინადრობდა... ბოლოს კი მაინც მოვიდნენ...

— სად არის მურზაყანი? — შმაგად გაიმეორა ფიცხმა თავადმა.

დიგორხანმა თვალი დახუჭა, გაფითრებულ ბაგეზე ღიმილი შეუთამაშდა, კმაყოფილების მშვიდი ღიმილი, რაიც თავისი საქციელით კმაყოფილ ადამიანს ასე ამშვენებს ხოლმე.

— მურზაყანი შორს არის... ნათესავებთან... შავ ჭირს გავარიდე... ის კი მაინც მოვიდა... ცეცხლი... ჭირი... ძაღლები.

ჯანსულმა კბილები გაალრჭიალა.

— ვისთან დამალე? — იკითხა ყრუდ.

— რას მეკითხები, ჯანსულ? შორს არის ჩემი მურზაყნი... ვერ მისწვდები შენ მურზაყანს.. ან რას ავნებ? ლომის ბოკვერს რას დააკლებენ ძაღლის ლეკვები?

— გათქმევინებ, კუდიანო!

— მიცვალებულები არ ლაპარაკობენ, ჯანსულ...

ჯანსულმა უმწეო, ბრაზით შეპყრობილი ყაჩაღის თვალებით მიმოიხედა. გვამებით მოფენილ მოედანზე ცეცხლის ღველფები ხრჩოლავდნენ. წიგნი შენიშნა, აილო, გადაშალა, გაგლიჯა, გადააგდო... ფურცლები გლეხებმა აკრიფეს...

ოცამდე მეციხოვნე გაწყდა ამ ბრძოლაში. ოთარი და ჯანსული დაეპატრონენ ციოყის მემკვიდრეთა კარ-მიდამოს. თათარყანი ჩუბეხევში გამოჩნდა, ციოყის შვილების ქონება მიითვისა, ხალხს ხარკი დაადო, სოფლები დაარბია, ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობა დაიწყო.

მაგრამ ეს გამარჯვება თავიდანვე ჩაშხამებული იყო დიგორხანის წინდახედულობით. ბუნაგი დაარბიეს — ბოკვერები გადარჩნენ. ერთ მშვენიერ დღეს ისინი დაბრუნდებოდნენ და მოითხოვდენ იმას, რაც კანონით ეკუთვნოდათ. მოითხოვდნენ სისხლის წილ სისხლს.

ჯერ კი საამისო ღონე სად შესწევდათ! უპატრონო ხიზნებივით იყვნენ უცხო კარზე — ხან გორდსა და ზუგდიდში, ხანაც თბილისში.

ჭაბუკ მურზაყანს ზრუნვა და ალერსი არ აკლდა. შვილივით ეფერებოდნენ ეკატერინე და ნინო ჭავჭავაძეები, ცეკვას, წერა-კითხვასა და რუსულ ლაპარაკს ასწავლიდნენ და თავს დასტრიალებდნენ, როცა ზუგდიდში იმყოფებოდა, ხოლო როდესაც სამთავროს საქმეებზე თბილისში ჩავიდოდა, ისევე ზრუნვით ექცეოდნენ ვორონცოვი, მისი ნაზი მეუღლე, აგრეთვე გრაფ შუაზელის ცოლი. ყველას აღელვებდა მოხუც დიგორხანის ტრაგიკული აღსასრული.

დაჩაგრულმა ობლებმა არაერთხელ მიმართეს მთავრობას დახმარებისათვის, მაგრამ უსამართლობის წინააღმდეგ არავინ გაილაშქრა, მართლმსაჯულება დუმდა, ვერაგი ჯანსული და გელა ისე პარპაშებდნენ დაპყრობილ ბუდეში, როგორც კრაზანები დალუპულ სკაში. დაიქცა დიდი საგვარეულო ბუდე, მურზაყანის და მოსისხლე მტრებმა გაიტაცეს.

1850 წლიდან, თათარყანის გარდაცვალების შემდეგ, ჯანსული სვანეთის კანონიერი მთავარი შეიქნა. განივრცო მისი სამთავრო. მეფის ერთგული მთავრის წინსვლას აღარაფერი აფერხებდა. ბედი აშკარად მის მხარეზე იყო.

რა გაეწყობა, მურზაყანი წავა და მეფისნაცვალს სთხოვს დახმარებას — იმას, ვინც განაგებს ადამიანთა ბედ-იღბალს.

* * *

მურზაყანი ვორონცოვის სასახლეშია... დინჯად, დარბაისლურად, ამაყად უშლის ძველ მფარველს თავისი ოჯახის უმწეო მდგომარეობის სურათს, დახმარებას ითხოვს და სამართლიანობის აღდგენა სწადია... მეფის ნაცვალი კი იმაზე ფიქრობს, დევგმირების ქვეყნიდან ხომ არ არისო ეს კაცი?

მთავარმართებელი თავაზიანი სიტყვებით ისტუმრებს სვანეთის ახალგაზრდა მთავარს, ყველაფერს ჰპირდება და არაფერს აკეთებს. მხოლოდ უმცროს ძმას უგზავნის რუსეთის სამხედრო სასწავლებელში, ალექსანდრეს.

მოძალადე მოძალადედ რჩება, დევნილი — დევნილად. მურზაყანის გულში თანდათან მკვიდრდება ეჭვი, ბრაზი და უნდობლობა— კაცის ქცევის ურიგო თანამგზავრები. თუ გლეხს არა, თავადებს მაინც ხომ იცავენ მეფის მოხელეები, მისთვის კი ამ კანონმაც დაკარგა ძალა. მას სდევნიან, ავიწროვებენ, სახლ-კარს უწვავენ, მოსარჩლე კი არავინ არის. რა გაეწყობა, რაკი კანონი არ იცავს, ის თვითონ დაიცავს თავის ღირსებას...

უშედეგოა მისი მოლაპარაკებაც დავით დადიანთან და მიხეილ შერვაშიძესთან საბალახოების საქმეზე. აფხაზეთისა და სამეგრელოს მთავრებმა წარსტაცეს საძოვრები, სათიბ-საძოვრის გარდა კი სვანეთს რა გააჩნია! ეს იგივე წყალი და ჰაერია. ამ იალაღებზე სვანებსა და მეგრელებს ხშირად ჰქონიათ დავა და ეს საქმე არაერთხელ დამთავრებულა სისხლისღვრით. მურზაყანმა სცადა ამ საქმის მშვიდობიანად მოგვარება: ეს იალაღები სვანეთის მთებშია და არაფერი იქნება იმაზე სწორი, რომ სვანებს დაანებოთო... მაგრამ არც წოდებამ გაჭრა, არც სამართალმა და არც სისხლიერმა ნათესაობამ: მურზაყანს ხომ ცოლად ჰყავდა გრიგოლ დადიანის დისწული ადილხანი, რომლის დედა, კესარია, აფხაზთა მთავრის მიხეილ შერვაშიძის გამზრდელი იყო.

ეს ქორწინება მას შემდეგ მოხდა, რაც მთავრობის გადაწყვეტილებით სამთავრო დაუბრუნდა და თითქოს ჯანსუღსაც შეუთანხმდა.

ციოყაანთ და თათარყანიანთ შორის დადებული ეს შეთანხმება ნაღვერდალზე ფერფლის გადაფარებას ჰგავდა. მართალია, 1851 წელს ციოყის და თათარყანის მემკვიდრეებმა სამშვიდობო ფიცი დადეს, რაც ყოველი ეკლესიის ყოველ ხატთან გაიმეორეს, და ციოყის მემკვიდრეებმა ჩუბეხევი დაიბრუნეს, თათარყანის შვილებს — ჯანსუღს და ოთარს კი ეცერი და ბეჩო მიეცათ. სისხლის საზღაურად სვანური ფული გამოიყენეს: დიგორხანის მოკვლისათვის მურზაყანის ოცდაოთხი სული ყმა მიეცა, და ანგარიში ამით გასწორდა.

მაგრამ შერიგება ფორმალური იყო და ძლეულ ძმათა გულში დაგუბებული ბოღმა გამოსავალს ეძებდა. არც დროს, არც ქორწინებას, არც ორთავიანი არწივის კანონს არ შეეძლო დაეშრიტა ამ ბოღმის წყარო. მაგრამ გარეგნულად ყველაფერი მოგვარდა, მხოლოდ მცირე ქიშპობა დარჩა მტრობის ნიშნად.

ამ დროს ოთარი ცოცხალთა შორის აღარ იყო. მურზაყანს კი რუსეთიდან დაუბრუნდა უმცროსი ძმა ალექსანდრე, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ოფიცერი, და ოჯახის საქმე თითქოს წაღმა წავიდა. მაგრამ არ იქნა, ბედი არ გაეხსნა მურზაყანს.

ისევ სთხოვა მეფის ნაცვალს, დაგვიბრუნდესო საგვარეულო საბალახოები, ისევ ებოძა დაპირება, და ისევ შეფერხდა საქმე. გამოიყო კომისია, პირადად ჩაუდგა მას სათავეში პოლკოვნიკი გალაგერეი, პირადად ჩავიდა სვანეთში, მაგრამ საქმემ მის ხელში ორი წელიწადი იტრიალა, ვიდრე რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდნენ. ბოლოს საქმე თითქოს მურზაყანის სასარგებლოდ წყდება. შვიდი ათასი მანეთის გადახდა ეკისრება დადიანს, რომელიც შვიდი მანეთის გადახდასაც არ აპირებს.

ამ დროს იწყება ყირიმის ომი და საბალახოების საქმეს ისევ ხავსი ედება. ისევ მეგრელთა ჯოგები ძოვენ სვანეთის მთების ნოყიერ ბალახს, და რაც უარესია, საძმოდ მოწვეული მეფის მოხელეები ავიწროვებენ მთის ამაყ შვილებს.

მურზაყანი თვითონ მიდის სამეგრელოს დედოფალთან.

ეკატერინე გამწყრალია მურზაყანზე, როგორ შეირთო ადილხანი, ჩემი მოსისხლე მტრების ასულიო, ვერანაირად ვერ მოენელებინა სვანეთისა და აფხაზეთის მთავართა ეს დამოყვრება. რაც უფრო ძლიერი იყო თანაგრძნობა, მით უფრო სასტიკმა წყრომამ დაისადგურა დედოფლის გულში.

მერე, ასეთ დროს მთავრის სტუმრობა კიდევ დაცინვად მიიღო. ამიტომ საუბარი ხანმოკლე და ცივი თავაზიანობის ფარგლებს არ გასცილებია. ალექსანდრე ჭავჭავაძის ამაყი ასული პირქუშად უყურებდა მიამიტ სვან გოლიათს.

— საძოვრებისათვის გარჯილხართ, მურზაყან, ამ სიშორე გზაზე?

— საძოვრები სვანეთისათვის ყველაფერია, დედოფალო.

— თუ ყველაფერია, მე რაღა ვარ?

— მე ჩემს საძოვრებსა გთხოვთ, დედოფალო.

— მე კი ახლა საძოვრების თავი არა მაქვს, თავადიშვილო. მთელი სამთავროს საქმეები ამ სუსტ მხრებზე მაწევს და შემწე არავინა მყავს საბრალო ქვრივ-ოხერს.

— მესმის. თქვენი პასუხი ისე ხომ არ გავიგო, როგორც თავაზიანი უარი?

—როგორც გნებავთ, ისე გაიგეთ.

— მაშინ შეიძლება იმ საძოვრებზე სისხლი დაიღვაროს და მეშინია, რომ ვერაფერს ვუშველი.

— რას იზამ, ქვეყნად ბევრი სისხლი იღვრება.

ეკატერინეს ამაყი გული ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ ეს კაცი მისი მოკავშირე არაა. გიშრის თვალებიდან ცეცხლს აფრქვევს.

— თქვენ, სვანები, ფიცხნი და ამაყნი ხართ.

— მე არ ვიცი, რას ეძახით სიამაყეს. თუ ესაა თავისუფლება, მე ამაყი ვარ. თუ ესაა საკუთარი ძალის რწმენა, ჩვენ ამაყნი ვართ, რადგანაც სხვისი ძლიერების გაზვიადება საკუთარი უმწეობის ნიშანია, ჩვენ კი არც ისე უმწეონი ვართ.

— ვინ თქვენ? გლეხები თუ თავადები?

— გლეხებიც და თავადებიც. სვანები. ქართველები. მთლად საქართველო. რაც შეეხება სიფიცხეს, ადამიანი ფიცხი უნდა იყოს და არა ბლანტე.

ეს სვანი სხვა ენაზე ლაპარაკობს. პოეტს მოეწონებოდა. სად ამისი ფართო ასპარეზი და სად ჯანსულის წვრილმანი ღიჯინი! ერთი მთავარზე ლაპარაკობს, მეორე — სამთავროზე, ერთი სვანეთზე, მეორე — საქართველოზე. ერთი კატაა, მეორე—ლომი. მაგრამ ის მაინც სვანია, მერე ისიც ჩემს მტრებს დაემოყვრა.

რა სიამოვნებით აგონდება ის დრო, როცა ჯერაც სრულიად ახალგაზრდა მურზაყანი მის სასახლეში იმყოფებოდა საპატიო სტუმრად! რა გულიანად იცინოდა, როცა ეს ნორჩი ბუმბერაზი ხუთ კაცს ერთად დაეჭიდებოდა, ხუთსავე დასცემდა, ბაწრით შეკრავდა და დედოფალს მოჰგვრიდა: ასემც მტერი დაგიმარცხოსო! ან ცალი ხელით აღმართავდა ვერცხლის სინს, რომელზედაც ქალ-ვაჟი ქართულს ცეკვავდა... „რას ეტოლებით სვანთა მთავარს, მაგის ჩოხაში ორი დადიანი ჩაეტევითო“, — ნიშნის მოგებით ეუბნებოდა ქმრის ნათესავებს.

„ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად! წარილტვნენ, განქრნენ სიზმარებრ ჩქარად!“ დღეს ცოცხლებში აღარ არიან ძვირფასი ადამიანები. წუთისოფლის ეგლი გადაუბრუნდა მამას, დაილუპა ტატო, სახადმა იმსხვერპლა ქმარი... და ეს მიამიტი სვანიც მტრის ბანაკშია... ძმა ძმას არ ინდობს.

ეკატერინე ფიქრიდან გამოერკვა. თითქოს გული მოუბრუნდა, გაუღიმა კიდეც, ოღონდ არა ამას, სიმართლის მაძიებელ მთავარს, არამედ იმას, მიამიტ სვან ჭაბუკს...

მაგრამ ასეთი საკენკი ჩიტებს დაუყაროს. მან კი იცის ყველას გულის ნადები. ძვირი ჯდება პირდაპირობა.

მურზაყანმა გაცლა არჩია. საძოვრები ხომ დაკარგა, თავმოყვარეობა მაინც შერჩეს გაუთელავი. არაფერს ითხოვს. დედოფალიც მიუხვდა.

მურზაყანი და ეკატერინე ისე შორდებიან ერთიმეორეს, როგორც მტრები.

გუნებაწამხდარი დადეშქელიანი ჭკადუაშში ჩადის გიორგი დადიანთან, და იქ სასტიკ კამათს უმართავს აფხაზეთის მთავარს. დავა ისევ მთებსა და საძოვრებს შეეხება. შეთანხმება არ არის. ხდება ის, რაც მრავალი გამოჩენილი ადამიანის ცხოვრებაში მომხდარა. ყველასთან მიდის, ყველას შესჩივის, ყველასთან მართალია და მაინც არსად არაფერი გამოსდის. ხდება უარესიც: დედოფალთან წალაპარაკებული მთავრის წასვლა პირდაპირ დედოფლის მტრების ბანაკში, ეკატერინე ჭავჭავაძემ ისე მიიღო, როგორც გამოწვევა. დაუმატეთ ამას პატივმოყვარე ქალის დიპლომატიური სიფიცხე და იოლად წარმოიდგენთ, როგორ განრისხდებოდა სამეგრელოს ტურფა მბრძანებელი. მისი გულის მოსაგებად ამიერიდან, სულ მცირე, საძულველი გუბერნატორის სისხლის დაქცევა მაინც გახდებოდა საჭირო.

მტრობის გასაღვივებლად გორდს მიეშურება მურზაყანის დაუძინებელი მტერი ჯანსულ დადეშქელიანი. ვერაგ მთავარს არც ის უნდა, რომ მურზაყანმა მისი გამგზავრების ნამდვილი მიზეზი შეიტყოს, ამიტომ ლატალელთა მოციქულის როლს თამაშობს. ლატალელებს წინა წელს ლეჩხუმში დღეობაზე ეკატერინეს კარისკაცთაგანი შემოაკვდათ, რის გამოც ლეჩხუმსა და სამეგრელოში სვანებს ფეხი ამოუკვეთეს და ისინი უარს არ იტყოდნენ დავით დადიანის ქვრივთან შერიგებაზე. აი, ხელსაყრელი შემთხვევაც. ჯანსული შუაკაცად წავა, მოწინააღმდეგეებსაც შეარიგებს და თავის საქმესაც გაიკეთებს, ისედაც შევიწროვებულ მურზაყანის ყელზე ყულფს უფრო შეავიწროვებს.

დიპლომატია იმარჯვებს.

მურზაყანი ისევ მარცხდება. ჯანსული ისევ აღწევს მიზანს. მურზაყანი ჯიქურ მიდის, ჯანსული — ირიბად. მურზაყანს ლომის იერი აქვს, ჯანსულს — მელიის. ეკატერინე ვერა გრძნობს, ვინ არის უფრო სანდო, მით უმეტეს — ვინ უფრო ასიამოვნებს. ეკატერინე ხომ წინასწარმეტყველი არ არის! ამიტომ ღიმილით ხვდება ჯანსულს, დედაშვილურად აფარებს ეგზომ საოცნებო კალთას, ურიგდება ლატალელებს და ძვირფასი საჩუქრებით ავსებს ახალ შვილობილს

რაც უფრო სულელია ადამიანი, მით უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევს მეფეთა პატივს.

ჯანსული ისე გახარებული ბრუნდება სვანეთში, თითქოს დიდი ომი მოეგოს. თავისი სირეგვნის დასამტკიცებლად განზრახ მურზაყანის სამფლობელოზე გაიარა, ვითომ უ-

დოდა ამით ეთქვა: სამეგრელოს დედოფალი მწყალობს და შენ ვინ ხარო!

მთავარს ავიწყდება, რომ ეკატერინეს ძალაფულება სვანეთზე არა ვრცელდება.

ისლამმა და თენგიზმა, მურზაყანის ძმებმა, ადრევე გაიგეს ჯანსულისა და ეკატერინეს შეთანხმების ამბავი, ისედაც კბილებს აკრაჭუნებდნენ ახალგაზრდა თავადიშვილები, ახლა კი, ჯანსულის ასეთი გამომწვევი საქციელი რომ ნახეს, გულზე ცეცხლი შემოენთოთ. როდემდე ითმინონ ასეთი დამცირება? რა იღონონ? უფროსი ძმები თბილისში იმყოფებიან, და რას ეტყვიან, შინ რომ დაბრუნდებიან? კერიას კატაც დაიცავს, საქმე ღირსების დაცვაა! უკვე ბავშვები აღარ არიან. თორმეტი წელია, რაც სათაყვანო ბებია დიგორხანი და ღვიძლი და მოუკლეს, ოცამდე მსახური დაუხოცეს... ეს მოხდა 1843 წელს. უკვე 1855 წელია: განა დრო არ არის შური იძიონ?

მეორე დღეს ჯარში გაწვეული ჯანსული სამეგრელოში მიდიოდა. ძმებმა მოითათბირეს. ლახამულაში დავხვდეთ და სული გავაფრთხობინოთო.

ეს მარტივი გადაწყვეტილება მარტივადვე მოჰყავთ სისრულეში.

თავისი გამარჯვებით გახარებულმა ჯანსულმა სოფელ ლახამულას მიაღწია. დაღლილი ჩამოჯდა კაკლის ქვეშ და ოცნებას მიეცა. ღვთით, მალე ეს სოფელიც მისი იქნება; მთელი სვანეთი ქედს მოუხრის მას, ჯანსულ დადეშქელიანს, ოთარის მემკვიდრეს, საქმე ისე მიდის. მართალია, ციოყს ხუთი შვილი დარჩა, ხუთივე დავაჟკაცდა, მაგრამ რა ფასი აქვს რაოდენობას! აგერ ახლავს ძმა, ეს გაუსწორდება ხუთივეს, თვითონ კი, თუ ღმერთმა ინება...

მაგრამ ღმერთმა არ ინება.

თითქოს მიწიდან ამოძვრა ისლამი.

— დასრულდა შენი გზა, ძაღლო! — შესძახა და თოფი დაუმიზნა.

— თოფს ნუ ეთამაშები, ისლამ! — სცადა გაღიმება ჯანსულმა და წამოიწია. — შეწყვიტე...

— ჩვენ მეტად შორს შევყევით ამ თამაშს, რომ შევწყვიტოთ, ჯანსულ! ბებიაჩემს ეახლე და ემსახურე!

ამ სიტყვებზე ორმა თოფმა ერთბაშად იჭექა. გულგანგმირული მეოცნებე მწვანე ბალახზე ეცემა. ბალახი სისხლით ილებება. მოდის სისხლი დაჭრილი მკერდიდან და მორაკრაკებს იქვე ანკარა ნაკადული... ქვეყნად რამდენი სითხეა, რამდენი ფერი... ზოგჯერ ყველა ფერი ერთი მეორეში ირევა და მაშინ წუთისოფელი საოცრად ჭრელი გეჩვენება. უყურებ ამ ფერთა საოცრებას, მიედინება ნაკადული, მდინარეს უერთდება, ზღვაში ჩადის და ტალღა ტალღას ეხლება, ფერი იკარგება, უსასრულოა ეს მოძრაობა, მხოლოდ სიცოცხლეს აქვს დასასრული...

სად არის მეფე? რისთვის შეჰფიცა ერთგულება ჯერ კიდევ 1833 წელს? რისთვის შევიდა მის სამსახურში სვანთა ბატონი? რატომ არ იძიებს შურს? ის ხომ მოქმედ არმიაში გაიწვიეს თავისი რიონის რაზმით და გზაში ამ ავაზაკებმა სიცოცხლე მოუსწრაფეს! მზიანი ეცერი ისევ ციოყის ნაშიერთა ხელში გადავა.

ახლა, ამ ცხოვრების შუა გზაზე, გორდიდან ეცერამდე რომ გადის, მწვანე ბალახში გდია ჯანსული, ეკატერინეს შვილობილი, სისხლისაგან იცლება მთავარი. ადრევე მოკლეს მოსოსტრი, მისი ძმა. თათარყანიც გარდაიცვალა. ვინღა აღასრულებს დიდი ოთარის აღთქმას? უსათუოდ აღზევდება ისევ მურზაყანი, იმძლავრებენ ციოყიანნი, ლომები გაფანტავენ ძაღლებს, განდევნიან სვანეთიდან, მჟავე წყალს დაანატრებენ...

მურზაყანი ამ ამბავს დუმილით შეხვდა. სვანეთში ჩასვლისთანავე დატრიალდა, ჯანსულის ცოლ-შვილს წინადადება მისცა, შევრიგდეთო, მაგრამ უარი შემოუთვალეს და მომხრეთა რაზმით დადიანების სასახლეს მიაშურეს. სვანეთის ბატონად მურზაყანი ცხადდება.

ერთი წლის შემდეგ ჯანსულის და ოთარის შვილები ისევ შეეცდებიან ტახტის დაბრუნებას, მაგრამ მურზაყანი ერთი ხელის მოქნევით ფანტავს ამ შეთქმულების ნისლებს და მოქიშპეებს აფრთხილებს: ზაშვებივით ხანჯალზე აგაგებთ ყველას, თუ კვლავ ასეთი რამე განიზრახეთო.

თათარყანიანნი ხედავენ, რომ მურზაყანთან შეხლა საზიფათოა და მფარველს ეძებენ.

ჯანსულის ცოლი ეკატერინეს ეახლება, თამარის სარტყელსა და კვერთხს მიართმევს სამეგრელოს დედოფალს, ქმრის დედობილს, და თავშესაფარს შესთხოვს.

სამეგრელოს მოუცლელმა დედოფალმა მოიცალა, თავი გამოიდო, ლეჩხუმში დაასახლა შვილობილის ჯალაბობა, დაასაჩუქრა, თვითონ კი მურზაყანის დამხობას შეუდგა მთავრობაში. ბარათაშვილის უარყოფის შემდეგ ამ ქალს ასე დაებედა: უარესის მხარეზე დგომა უკეთესის წინააღმდეგ, და მერე სინანული.

მისი თხოვნა მთავრობამ ყურად იღო, ქუთაისის გენერალ გუბერნატორმა ბაგრატიონ-

მუხრანსკიმ თავადი მიქელაძე გაგზავნა სვანეთში, მურზაყანი და ალექსანდრე დაიბარა.

მიქელაძე ბოქაულია და მისი სიტყვა კანონია, ოღონდ არა მთავართათვის. მურზაყანი და ალექსანდრე არ ცნობენ მის ძალაუფლებას, არ იღებენ და უარს ამბობენ ქუთაისს ჩასვლაზე, თუმცა ალექსანდრეს შეებულებაც უთავდება და გენერალი მურავიოვი იბარებს, პოლკი ელოდება. ახლა ძმებს მოციქულად კაპიტან დემიანოვს უგზავნიან. მაგრამ კაპიტანი რით ჯობია ბოქაულს? სახლის კარს ულებენ, უმასპინძლდებიან და საქმე ამით თავდება. ალექსანდრე ავადმყოფობის საბაბით უარს ამბობს პოლკში დაბრუნებაზე, და ეს მაშინ, როცა ქობულეთსა და აფხაზეთში თურქთა ჯარის გადმოსხმაა მოსალოდნელი.

მართლაც, ომარ ფაშამ შავი ზღვის სანაპიროზე უკვე გადმოსხა დიდძალი ჯარი. მთავრობას საზრუნავი ისედაც ყელამდე აქვს და ძმებისათვის აღარავის სცალია. მხოლოდ გასამრჯელოს მიცემა შეუწყვიტეს ჯანსუღის მოკლისათვის. მურზაყანი უკმაყოფილოდ იგრეხს ულვაშებს. წესიერად რომ მოქცეოდნენ, ეკატერინეს ამოუდგებოდა გვერდში, მაგრამ ყველა გადაუდგა, თურქებზე უარესად მოექცა ყველა და ვის რად უნდა მისი დახმარება! ასე წვრილმან საქმეებს უნდა შეალიოს ღონე და ნიჭი, უნდილი ხრიკების მსხვერპლი უნდა გახდეს, ის, ვისაც ფართო სარბიელი უხმობს.

* * *

გავიდა ორი წელი.

დამთავრდა ომი. ზღვაში გადაისროლეს ომარ ფაშის ჯარის ნამუსრევი, და მთავრობამ ისევ მოიცალა დადეშქელიანებისათვის. საქმე ეხებოდა არა მარტო ჯანსუღის მკვლელობას, არამედ ბეჩოს, ეცერ-ცხუმრის და ფარის მპყრობელ დადეშქელიანთა უფლებამოსილობასაც საერთოდ.

1857 წელი...

მთავარმართებელმა ბარიატინსკიმ დროებითი კომისია შეადგინა და სვანეთის სამთავროს საკითხი მიანდო. კომისიის წევრები კავკასიაში და მთელს იმპერიაში ცნობილი ადამიანები არიან: გენერალ-მაიორი მილიუტინი, გენერალ-მაიორი ლორის-მელიქოვი და კანცელარის უფროსი კრუზენშტერნი.

კომისია საქმის შესწავლას შეუდგა და „აღმოაჩინა," რომ ჯანსუღის ოჯახი განუდევნიათ, ეცერ-ცხუმარს ჯანსუღის მკვლელები დაპატრონებიან, ბეჩოს — ოთარის უკანონო მემკვიდრეები. ე. ი. ჯანსუღის კანონიერი მემკვიდრეები განდევნილი არიან, უკანონო მემკვიდრეები კი მათს ქონებას დაპატრონებიანო. მერე ოთარის მაჰმადიანი შვილები სვანეთში მუსულმანობას ავრცელებენო. დასკვნაში ყველაფერი ჯანსუღის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

კომისიამ დაადგინა: განიდევნოს სვანეთიდან ოთარ თათარყანისძის ყველა მემკვიდრე. აეკრძალოთ დადეშქელიანობა, ეწოდოთ ოთაროვები. გადაეცეს თათარყანის მთელი ქონება ჯანსუღის უფროს შვილს თენგიზს (ნიკოლოზს), ოღონდ ოთაროვებსაც მიეცეს საზღაურიო.

ოთარ დადეშქელიანი 1854 წელს გარდაიცვალა და შვილები არ დარჩა გარდაფხაძის ქალისაგან, რომელიც მიატოვა, გადამთიელ ურუსბიევის ასულთან კი ეყოლა ოთხი ვაჟი და ყველანი ყაბარდოში იზრდებოდნენ.

ვიდრე კომისიის დადგენილებას სისრულეში მოიყვანდნენ, ქუთაისის გუბერნატორად დაინიშნა ოთარ დადეშქელიანის მფარველი ერისთავი, რომელმაც ახლა მფარველი კალთა გადააფარა ოთარის შვილს ლევანს, დადიანის ქალი შერთო ცოლად და დაიახლოვა. ამით ერისთავმა გააჭიანურა მეფის ბრძანების შესრულება, დაუმტკიცა სიძეს — ლევანს ბეჩო და საქმეში მთელი არეულობა შეიტანა, რითაც შეავიწროვა მეფის ერთგული თენგიზ დადეშქელიანი.

ამ საქმეს მეორე მხარეც აქვს. ესაა მურზაყანის და მისი ძმების ბედის საკითხი. აი, დასრულდა ომი და გენერალ გაგარინის შტაბის უფროსი უსლარი პირველსავე დღეს უბრუნდება დადეშქელიანების საქმეს.

უსლარი უსინდისო თამაშს ეწევა, მას ესმის მხოლოდ ეკატერინეს საჩივარი და მოხსენებას ადგენს ისე, როგორც სამეგრელოს დედოფალს სურს. რა ესაქმება ბეც მოხელეს სადღაც, სვანეთის მთებში გამაგრებული ველური სვანის განცდებთან! ეს დათვი უნდა შეიპყრონ და დასაჯონ, დათვებისათვის სამართალი არ იწერება.

ამრიგად, უსლარის შტაბში უკვე შედგენილია მარტივი და მრუდე ბრალდება. მურზაყანს, იგივე კონსტანტინე დადეშქელიანს ბრალად ედება ჯანსუღის მოკვლა, მთავრობის მოხელის, ბოქაულ მიქელაძის გაგდება და რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ მოქმედება, ასე გასინჯეთ, ომარ ფაშასთან შეთანხმებაც კი.

აქედან მართალი მხოლოდ ისაა, რომ ბოქაული არ მიიღო. ჯანსუღი მურზაყანს არ მოუკლავს, მისმა ძმამ მოკლა, როცა თვითონ თბილისში იმყოფებოდა. ამრიგად, ამ საქმეში საიმედო ალიბი აქვს. ომარ ფაშას არა-

ფერში არ შეთანხმებია და არც რა ზომები მიუღია მის დასახმარებლად. არც რუსეთის საწინააღმდეგო აქვს რაიმე, მურზაყანი სვანეთის კანონიერი მთავარია და მხოლოდ იმას ითხოვს, რაც მის პატივს ეკადრება.

ჩლუნგი მოხელეები ახალ შეცდომას სჩადიან. იმის ნაცვლად, რომ „ველურ სვანს" სხვა ვინმე მიუგზავნონ და ადამიანურად სთხოვონ გამოცხადება, ისევ მის საძულველ მიქელაძეს უგზავნიან, და უთვლიან ბრძანებას, რომ დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შტაბში გენერალთან, რაკი ასეა, ის არ ცნობს ორთავიან არწივს. სვანეთში არწივებს თითო თავი აქვთ.

მურზაყანმა, როგორც მოსალოდნელი იყო, არც ახლა გაიკარა მიქელაძე. შეურაცხყოფილი ბოქაული გაწიწმატებული ბრუნდება ქუთაისში და თავის მბრძანებელს ულსარს აუწყებს: არ მიმიღო, ძაღლივით გამომაგდო, ნახვაც არ ისურვაო იმ ბარბაროსმა.

ულსარი გასაქანს აძლევს ფანტაზიას და წერს ისეთ დასმენას, რასაც არაფერი საერთო არა აქვს არც სინდისთან, არც სიმართლესთან. მმართველთა ბრძნულ სიდინჯესა და მიუდგომლობას ცვლის პირადი განწყობილება, წინასწარ აღებული აზრი და შურისმაძიებლობა. თავისი მოხსენებით ულსარი გარინის არწმუნებს, რომ სვანეთი ამბოხების საშიში კერაა, რომ აუცილებელია ჯარის გაგზავნა და ამ ველური ხალხის მოდრეკა. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ულსარმა სვანეთი წარმოიდგინა მეორე დაღისტნად, მურზაყანი კი — მეორე შამილად. საამისო კი სვანეთში არაფერი ხდებოდა. საჭირო იყო მხოლოდ უფრო გონივრული დიპლომატია და ყველაფერი მოგვარდებოდა, ყოველ შემთხვევაში ვიდრე ხალხი დარწმუნდებოდა, რომ მეგობრობის ნიღბით მოსულმა მოხელეებმა მონობის უღელი დაადგეს.

ჯარის გაგზავნა კუთხეში, რომელმაც თვითონ ითხოვა მფარველობა?

გაგარინი თვითონ ვერ ბედავს ასეთი ნაბიჯის გადადგმას და მეფისნაცვალს ბარიატინსკის ეკითხება. ბარიატინსკი უფრო შორსმჭვრეტელი სამხედრო მოღვაწეა, საიმისოს ვერაფერს ხედავს, მაგრამ რაკი ერთგულმა ქვეშევრდომებმა სთხოვეს, ხათრს ვერ გაუტეხს. რა მოხდა, წავიდეს სვანეთში ჯარის ნაწილი, სუფთა ჰაერი გადაყლაპოს. მადლობა უფალს, იმპერიას საკმარისად ჰყავს ჯარები.

მთავრობა არ აყოვნებს საჭირო გადაწყვეტილების მიღებას: ორასი კაცი წაიყვანოს ულსარმა და არეული სვანეთი დააწყნაროს.

ჯარის ნაწილი ლატფარის გზას დაადგა.

სვანეთში ხმა იყო გავარდნილი, რუსის ჯარი მოდისო, და თენგიზმა, მურზაყანის ძმამ, ძლივს გაათევინა სოფელში ღამე კუზმინს, მაგრამ როცა შეიტყო, რომ ახლოს მხოლოდ ტოპოგრაფები არიან, თვითონვე ეახლა და უთხრა:

ბიბლიოთეკა

— მურზაყანს რაც უნდათ, ის უყონ, მე კი არ ჩავუგდებ თავს ხელშიო!

თენგიზი ჭკუის კოლოფია. ვისაც რა უნდა, ისა ქნას, თვითონ კი მეფის სამსახურშია, ცხოვრება უყვარს და საქმეს არ გაიფუჭებს.

ამრიგად, სვანეთში რუსეთის დამსჯელი ჯარი მიდის, რადგანაც მურზაყანსა და მის ძმას ქუთაისში ჩასვლა დაეზარათ. ჯარს სათავეში უდგას ბატონი ულსარი.

დროზე გაიგეს ძმებმა ეს ამბავი. ალექსანდრე ლატფარის გზით ჩადის ქუთაისს, მურზაყანი კი ლენტეხის ხეობის ბილიკებს მიჰყვება, რომ ზუგდიდის გავლით ჩავიდეს საგუბერნიო ქალაქში.

რვა თვე პარპაშებდა ოთარი ფარის კოშკში, ვიდრე მურზაყანმა და ისლამმა არ განდევნეს. ახლა სვანეთის მთავარი ისევ მურზაყანია და დროა თავის ცოლ-შვილში გაიხაროს, მაგრამ ღრუბლები წვებიან ისევ ფარის კოშკზე.

იბარებენ, ჯარით მოდიან, უნდა ეახლოს გენერალს, თორემ სისხლი დაიღვრება.

ჭკვიანი მურზაყანი წინასწარ სათანადო თადარიგს იჭერს, ძმას არიგებს:

— ვინ იცის, სად გადამისვრის ბედი და წერა. თუ ვერ დავბრუნდი, ბახსანში ჩვენი მიწებია, არ დაივიწყო. ურჯულოები სახლდებიან და მრავლდებიან. მეფე ნიკოლოზის გრამოტები ეს მიწები ჩვენ გვეკუთვნის. საბუთები არ დაკარგო. მამაჩემს ციოყს უბოძეს, მის შვილიშვილს გამოადგება. ახლა კი მშვიდობით! და თუ სვანეთის ღმერთმა ინება, — ნახვამდის!

დასრულდა ეცერის ოქროს დღეები. ნადიმი, თამაში, უფლიშობა, ლილე და რიჰო... შეწუხდა ხალხიც. ძლივს ეღირსათ ისეთი ბატონი, ადამიანურად რომ ექცეოდა გლეხებს და არ თაკილობდა მათ გვერდით დაჯდომას, ეხმარებოდა გაჭირვებულთ და მეგობრობდა რჩეულ ვაჟკაცებთან. ყველას ახარებდა მოლხენით, ლონით და სიდარბაისლით.

ერთხელ ჯუჯა მუხების გაუვალ ქალგამში ხუთ კაცს მხარზე გადადებული ნედლი ხის ძელი მოჰქონდა, ნამდვილი ძირე. ცალკე სიმძიმით წუდებოდათ წელი, ცალკე კაცის სიმაღლის ჯუჯა ხეები ებლანდებოდათ, საწყლებს ოფლი გადასდიოდათ. მურზაყანმა გზიდან გადაუხვია. ერთმა ასწია ძელი, გადაიდო მხარზე და მსუბუქად გამოიტანა სამარხილე გზაზე. ღიღინით მიჰქონდა ბუმბერაზს გვირთი, ჯუჯა მუხები წელამდე ვერა სწვდებოდნენ. „ნამდვილი დევია ეს დალოცვილიო". ამბობდნენ გლეხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორედ მთაში საძოვრების სანახავად მიდიოდა. გზაში მოხუცებულ კაცს შეშით დატვირთული მარხილი გადაბრუნებოდა, ქვეშ მისი შვილი მოჰყოლოდა და ისრისებოდა. მოხუცი ბღაოდა და უმწეოდ ეჯაჯგურებოდა მარხილს.

მურზაყანი ჯიქურ მიიჭრა, ამოდენა სიმძიმე მსუბუქად ასწია და მომაკვდავი ჭაბუკი აიყვანა, მერე კი მკურნალი მიუჩინა.

სხვა დროსაც არაერთხელ გამოუჩენია ქვეშევრდომთა სასიკეთოდ თავისი საარაკო ღონე. უფრო საოცარი ის იყო, რომ ამოდენა კაცი ნიავქარივით სწრაფად დაჰქროდა.

სამთავროს საქმეები მოაწესრიგა და უფრო ადამიანური თვალით შეხედა ქვეშევრდომებს, რომელთაც მხოლოდ წყრომა და რისხვა ახსოვდათ. კეთილმორწმუნე ახალგაზრდა მთავარმა რვაასი თავკაცი იხმო ფარის, ბეჩოს, ლატალის, ეცერ-ცხუმრის, ლახამულის და სხვა თემებიდან, კალის კვირიკეს და ივლიტეს მონასტერში მოანათვლინა მღვდელმთავარს.

გზების გაყვანაზე ოცნებობდა, სკოლის გახსნაზე, სამთავროს საქმეების მოწესრიგებაზე.

არაფერი დააცალეს. იბარებენ და არავინ იცის, რას უპირებენ.

მძიმე ფიქრით გაოგნებულმა მცირე პურობა გამართა.

ის სვამდა მთელი ღამე, როგორც ბუმბერაზი, დილით კი წავიდა იქით, საითაც მიდიოდნენ მამები, მიდიოდნენ და არ ბრუნდებოდნენ.

ცრემლმორეული ეხვევა ცოლ-შვილს, ემშვიდობება ჯალაბობას და გოლიათური ნაბიჯით შორდება სახლ-კარს, მძიმედ შეჭირვებული, თითქოს სამთავროს დარდი ეკიდოს მხრებზე და გრძნობდეს, რომ ველარასოდეს იხილავს თავისიანებს.

შორსმჭვრეტელი კაცი ხშირად ხედავს თავის ხვალინდელ დღეს და ცრუმორმწუნეები ამას წინათგრძნობას ეძახიან.

* * *

მაჩუბში ხალხი შეყრილიყო. დაღვრემილობა ეტყობოდათ მოხუცებს.

— ხოშა მახვში დაიბარეს! — ამოიოხრა ერთმა.

— ჰო, წაიყვანეს.

— ჩანს, კარგი არაფერი მოელის.

— ეს სულ იმ ძაღლის, უსლარის მოწყობილია.

—გუბერნატორთან დაასმინაო.

— უსლარი ვინაა, მურზაყანს რა უნდა უყოს?

— ეჰ, ჩემო მახამეთ, უსლარი მეფის კაცია. მეფე დიდია!

— არ ყოფილა დიდი, ტკივილი ვერ დაგვიყუჩა.

— გზა ვერ გაგვიკეთა.

— ექიმი ვერ გამოგვიგზავნა.

— პატრონი წაგვართვა.

— პატრონი ცხვარს უნდა და ძროხას.

— ეჰ, პატრონი ხალხსაც უნდა, ჩემო მახამეთ! მურზაყანი კარგი პატრონი გამოგვიჩნდა, გლეხიკაცი ებრალება.

— ერთი მადლიანი კაცი გამოერია ვარგების მოდგმაში და ისიც ქართში გაიწვიეს! ჩვენი საშველი არაა...

მოხუცმა პირიბემ უსმინა მეზობლებს, ამოიოხრა, ჩანგის სიმებს ხელი ჩამოჰკრა და დაამღერა:

ტირიან მთები-გადმოდის წყარო...
არწივი ჰკითხავს: „მითხარით ძმურად,
რისთვის ტირიხართ? ალბათ იმისთვის,
თოვლთა, ყინულთა გვირგვინი გხურავთ?!“
— არა, არწივო, არა იმისთვის,
თოვლთა, ყინულთა გვირგვინი გვხურავს,—
იმისთვის ვაფრქვევთ ცრემლთა წყაროებს,
რომ ეშმაკები ბერავენ ქურას,
მსხვერპლად გვწირავენ საკუთარ შვილებს,
კოშკის ქონგურებს ეცემა მეხი
და ჩვენი ცივი გულის ფიცარზე
კიდევ ერთ ვაჟკაცს დაუცდა ფეხი.

მოხუცთა კრება ძველ წინასწასრმეტყველთა სამსჯავროს ჰგავდა. ხალხი თავის ბედილბალზე ბჭობდა, ღმერთები კი იცინოდნენ.

* * *

ალექსანდრე დადეშქელიანი მეოთხე დღეს საღამოს ცხადდება გაგარინთან, მიღებას ითხოვს და ჯარის გაგზავნის მიზეზს ეკითხება.

— ჯარი გაგზავნილია თქვენი ძმის მურზაყანის წინააღმდეგ, თქვენ კი სხვა ბრალი გედებათ. რატომ არ გამოცხადდით თქვენს პოლკში? — კითხვითვე მიმართა გუბერნატორმა.

— ზამთარში ავად ვიყავი და კაპიტან დემიანოვს გავატანე პოლკში წერილი. მერე მთებში თოვლი ჩამოწვა...

— მიქელაძის უწყებაზე რაღას იტყვით?

— ბოქაული მიქელაძე სძულთ სვანებს თავისი ბნელი საქმეების გამო. ამიტომ ის ვერ მოვიდოდა სვანეთში და ვერ მოიტანდა უწყებას. არც მიქელაძე გვინახავს, არც მისი უწყება.

— ამას გავარკვევ, — ცივად პასუხობს გენერალ-გუბერნატორი. — ახლა კი წადით კომენდანტთან, ჩააბარეთ ხმალი და აუხსენით, რომ დაპატიმრებული ხართ. — თქვენ გაჰყვებით თავადს, — მიუბრუნდა ადიუ-

ტანტს ეკელნს, — თვალყურს ადევნებთ მის ყოველ ნაბიჯს.

ამით გენერალი ანიშნებს, ვიზიტი დამთავრებულიაო, მაგრამ ალექსანდრეს ჯერ არაფერი უთქვამს და ფეხს არ მოიცვლის, ვიდრე იტყვის.

— თქვენ აპატიმრებთ სვანეთის მთავარს? მერე, რას იტყვის მეფე? გენერალო, ჩემს თავზე ალარაფერს ვამბობ. ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვა გითხრათ ჩემს ძმაზე. სადაცაა თვითონაც ჩამოვა: უსლარის შესახვედრად გამოეშურა ზუგდიდის გზით. თვითონაც უკვირს და ვერც მე ამიხსნია, რას ერჩით ჩემს ძმას. არავისთვის არაფერი დაუშავებია. დახმარებას ითხოვდა, ყველგან უარი მიიღო. შიშში და განდევნილობაში დავაჟკაცდა და დაოჯახდა. როცა მოძალადეებმა სახლ-კარი დაუწვეს, სამთავრო წაართვეს, მისი გამზრდელი ბებია ალმოდებული კოშკიდან გადმოახტუნეს, და მოუკლეს, ცოცხლად დარჩენილი მსახურები ტყვედ წაიყვანეს, როგორც ლეკებმა, და ოცი კაცი მოუკლეს—მაშინ ჯერაც ყმაწვილ კაცს არავინ მიეშველა, ყველამ აბუჩად აიგდო... მერე, როცა ამ ბოროტებათა ჩამდენი ჯანსული მოკლეს, მთელი ქვეყანა აღდგა ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ ჯანსული ხომ მურზაყანს არ მოუკლავს! ყველამ იცის, რომ ჩემი უფროსი ძმა ამ დროს თბილისში იყო, იქვე დატოვა მძევლად შვილი, რაც ნიშნავს, რომ მთავრობის წინააღმდეგი არ ყოფილა. გთხოვთ ყურად ილოთ ჩემი სიტყვები, ეკატერინეს და უსლარის უმსგავსი ხრიკების მსხვერპლად ნუ გახდით ჩემს ძმას. ნუღარ ათქმევინებთ მეორედ: „მე რომ ასე მექცევიან, მთავარს, ჩემს ხალხს როგორღა მოექცევიანო?", — აქ ალექსანდრემ ენაზე იკბინა.

გუბერნატორს არ გამოპარვია მთავრის ძმის შეცბუნება, წამით წარბი შეიკრა, ჩაფიქრდა, ოდნავ გაიღიმა: გაგიგეო, და მით უარესი შენი ძმისთვისო... შემდეგ ისევ ისე ცივი ოფიციალური ტონით გაუმეორა:

— ყველაფერს გავარკვევ. თქვენ უკვე გებრძანათ კომენდანტთან გამოცხადება.

ალექსანდრე მხედრულად ემშვიდობება გაგარინს და ეკელნის თანხლებით გადის.

ხანმოკლეა მისი საუბარი კომენდანტთან. დადეშქელიანი დამნაშავეა და მის საქმეს თბილისში გაარჩევენ, თვითონ კი თავის საქმეს მიხედოს.

ალექსანდრე დადეშქელიანი მეორე დღესვე იგზავნება თბილისში, იქიდან კი — ციმბირში, სადაც გრაფი მურავიოვ-ამურსკი იზრუნებს იმისათვის, რომ პოლკოვნიკის წოდება მიიღოს და მასთან ერთად დაბრუნდეს შუა რუსეთში.

ბედის ახირებამ ეს ალექსანდრე გამოჩენილ ქართველ მოგზაურად და გეოგრაფად აქცია — სვანი კაცი მოახვედრა კორეის სოფლებსა და ქალაქებში, რომლებიც თავის ცნობილ შრომებში აღწერა.

უფრო ცუდად მიდის მურზაყანის საქმე. შორი გზა გაიარა, სოფელ ხუდონთან ხვდება უსლარსა და მის ჯარს, ჯვარის მახლობლად. აქ თავდება მისი სამთავრო და იწყება იმპერიის საბრძანებელი. უსლარი თავის სამეფოში გრძნობს თავს. მასთან მოლაპარაკება უშედეგოა.

ცივია და ხანმოკლე ეს შეხვედრა. მურზაყანი არწმუნებს, სვანეთში სრული მყუდროებაა, ხალხი მოსავალს იღებს, გაგარინთან კი მე თვითონ მივდივარო. უსლარი ქედმაღლურად უცხადებს: სვანეთს მე თვითონ დავხედავ, გაგარინთან კი შეგიძლიათ წახვიდეთო.

ამაოდ შეეცადა მთავარი ხეპრე მოხელის დარწმუნებას, სვანეთში ჯარის შეყვანის არავითარი აუცილებლობა არ არსებობსო, ყველაფერი ჩემი დაუძინებელი მტრების უსამართლო საჩივრების ნაყოფიაო. უსლარი, როგორც იტყვიან, ჯორზე ჯდება. სამხედრო ნაწილს გზიდან როგორ გააბრუნებს! სვანეთი თურმე ვულკანზეა, ფერფლი უნდა გადააფაროს, — თუ საჭირო გახდა, სახლ-კართა ფერფლი, — რომ არ ამოხეთქოს და გუბერნია არ წალეკოს. ამ დათვს უსლარი ვინა ჰგონია? განა არ იცის, რომ მურზაყანს ამბოხების ცეცხლი უტრიალებს გულს? ჩუბეხევის შემომტკიცების ცდაც ამ ერთი მიზნითაა ნაკარნახევი: რომ გააძლიეროს სვანეთი და ხანჯლით გარეკოს მეფის მოხელეები, რომელთაც ციოყი საკლავებით შეხვდა. ასეთი წინამძღოლის ხელში ამ ხალხთან ასეთ მიუვალ მთებში მთელი არმია ვერაფერს გახდება. არა, ძმობილო, ჩანს ყველაფერი არ იცი. მე რომ ენგურის ხეობით მივეშურები, ჯარის სხვა ნაწილები კავკასიონის უღელტეხილებიდან და ქვემო სვანეთის მხრიდან მოეშურებიან. სვანეთი ალყაშემორტყმულია და შენ მეტისმეტად დიდი ხარ, რომ შენთვის იქ ადგილი მოიძებნოს. წადი, ქუთაისში გელოდებიან. გუბერნატორი მოგინახავს ადგილს რომელსამე დიდ ყაზარმაში. ან რა საჭიროა მთავრები? სვანეთს ერთი ბოქაულიც ეყოფა, იმპერიას კი—ერთი მბრძანებელი.

მოკლედ, უსლარიც აზროვნებს.

— ამბობენ, გზიდან გაბრუნება ცუდი ნიშანიაო. წაბრძანდით, მთავარო, ქუთაისში. მე სვანეთი მომენატრა. მინდა ავხედო, როგორ დანავარდობენ უშბის თავზე თეთრი არწივები...

— მაშ მაღლა არ ახვიდეთ, თორემ არწივებმა ფრთის გაკვრა იციან.

— თავადო, მე თქვენ ვერ გამიგეთ... ნახვამდის!

თავისი მახვილგონიერებით აღფრთოვანებულმა უსლარმა რაზმს დაძვრა უბრძანა.

ისევ უნდობლობა!

მურზაყანი შუბლს იკრავს. ან რას ეხვეწება ამ კერპს, წავიდეს სვანეთში, თუ ასე ეხალისება, თვითონ კი გაგარინს ეახლება ქუთაისში და დაარწმუნებს, რომ არც ისეთი ნადირია, როგორც მის თავს უხატავენ.

* * *

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გაგარინი ისეთი პატივით იღებს სვანეთის მთავარს მურზაყან დადეშქელიანს, როგორიც ორივეს ღირსებას ეკადრება. ხანმოკლე საუბარში თავადი ხელახლა რწმუნდება, რომ ძმების დანაშაული გაზვიადებულია და საქმის ვითარება სულაც არ მოითხოვს იმ ღონისძიებებს, უსლარმა და ეკატერინემ რომ მიაღებინეს. მაგრამ უსლარი გაგარინის შტაბის უფროსია. ვიდრე მისი პირით არ მოისმენს ახსნა-განმარტებას, გენერალი თავს შეიკავებს, გადაჭრილ პასუხს არ აღირსებს დადეშქელიანს. უსლარი სვანეთშია.

სვანეთში შიკრიკებს აგზავნის.

უსლარი კი რისი უსლარია, თუ თავი ვერ დაიცვა და ადრე თქმულ ჭორებს ახალი ვერ დაუმატა! ძმების განრიდებით აღშფოთებულმა გაგარინს ახალი მოხსენება წარუდგინა და თავხედურად დაასაბუთა სვანეთის „მოსადრეკად“ ჯარის გაგზავნის, აგრეთვე მთავრების მკაცრად დასჯის აუცილებლობა.

ეს ცალმხრივი მოხსენება უკვე სარწმუნო საბუთია როგორც გაგარინის, ასევე მთავარმართებლისათვის. ყინულზე ცივი ბარიატინსკი თბილისში გაგზავნილ მურზაყანს მიღების ღირსადაც არ თვლის, რაც მისი სახელმწიფოებრივი სიბრძნისა კი არა, სიდუხჭირის ნიმუშია, და უკანვე გზავნის ქუთაისში სვანეთის მთავარს: უსლარის ჩამოსვლამდე მასთან ლაპარაკიც ზედმეტად მიაჩნია.

ტრაგედიის კვანძი ამით საბოლოოდ შეკრულია. სვანეთის მბრძანებელს დამნაშავესავით დაატარებენ სვანეთსა, ქუთაისსა და თბილისს შორის, და ისე ათამაშებენ, როგორც პაიკს საჭადრაკო დაფაზე. თუ მაშინდელი გზის სიძნელეებსაც გავიხსენებთ, ეს აუტანელი, ნერვების დამძაბავი მოქმედებაა, და რაღა თქმა უნდა, მთავრის გულში წვეთწვეთობით გროვდება უნდობლობის შხამი, რაც გამოსავალს ეძებს.

ხდება მეტიც. ბარიატინსკი ზედამხედველად უნიშნავს ბართოლომეის, ამ საეჭვო მეურვის ნებას ანდობს მურზაყანის ბედს, მასვე აძლევს საჭირო ფულს, რაც „ველური დათვის“ სატარებლადაა გათვალისწინებული, და ასე უშვებს ქუთაისში.

გოლიათი ემორჩილება ძალას, მოთმინებით ირწევა ეტლში და კრიჭაშეკრული მიჰყვება წუთისოფლის ნარეკლიან გზას. „ფიცხი სვანი“ მეტისმეტად დიდხანს ითმენს მეტისმეტად უხეშ დამცირებას. მისი თავისუფლებისმოყვარული გული ისე ურიგდება პატიმრის ხვედრს, როგორც არწივი გალიას.

თამაში დღითიდღე უფრო დაძაბულ ხასიათს იღებს. ესაა ჩუმი, შინაგანი ბრძოლა, რაც სამწუხარო შედეგით იმუქრება. მაგრამ ყრუა ყველა, ვისაც შეუძლია მდგომარეობის შეცვლა, ხოლო ვისაც არ შეუძლია, მას არავინ უსმენს.

ბართოლომეი ნამდვილი ჩლუნგი ძუნწია ყოველ გროშს მისტირის. მეფის ხაზინას უფრთხილდება. მთავარს კვალდაკვალ დაჰყვება, ზომავს მის ყოველ ნაბიჯს, სიტყვას და საქციელს. მისი ოთახის პირდაპირ ბინავდება, დაბლა სართულზე, სადაც ჩურჩულიც კი ესმის, და გასაქანს არ აძლევს, სტუმართან დალაპარაკების საშუალებას უსპობს თავისი მეურვეობის მსხვერპლს. ამ საქმეში მისი საკადრისი თანაშემწეა თარჯიმანი, ყურმოჭრილი ყმა, ტვინნაღრძობი ლაქია, უბადრუკი ჯაშუში, რომელიც მიამიტ ვაჟკაცს მოხერხებულად ალაპარაკებს და მერე ყურში ჩასძახის ბართოლომეის. მოკლედ, ლომი მელიის ტყვეობაშია.

უსლარი კი სვანეთშია, თავს უყრის ყოველგვარ საბუთს, რაც მის სასარგებლოდ ლაპარაკობს და მურზაყანს ჩრდილს აყენებს. ამ საქმეში მეფის მოხელე გაწაფულია.

ობობა ქსელს ამაგრებს, რადგან ამჯერად მძიმე ბუზი უნდა გააბას. აი, სვანეთიდან ჩამოდის უსლარი და თან ჩამოაქვს ათასნაირი ყალბი საბუთი, შეთითხნილი მურზაყანის დასაღუპავად და ხელმოწერილი უსინდისო ადამიანების მიერ. ამ იურიდიულ ნაგავს ქუთაისში სასწრაფოდ აწესრიგებს და ხალას ოქროსავით მიართმევს გაგარინს.

ამას მოსდევს სამხედრო მინისტრის მიმართვა ბარიატინსკისადმი: ჩერნიგოვის დრაგუნთა პოლკში მომსახურე ალექსანდრე დადეშქელიანი დაუყოვნებლივ გადაიყვანონ ირკუტსკში, მურზაყანის შვილი თბილისის გიმნაზიიდან გადაიყვანონ ციმბირის კადეტთა კორპუსში, უსლარს კი მიეცეს ჯილდო.

გაგარინმა სწორად ჩათვალა უსლარის მოხსენება, წავართვათო სვანეთის მბრძანებლობა კონსტანტინეს, და დადეშქელიანი მთავარმართებელთან გაგზავნა.

თბილისს ჩასული კონსტანტინე ბარიატინსკიმ არ მიიღო, მხოლოდ მილიუტინი ელაპარაკა, და საერთოდ ამ საქმით მობეზრებულმა მთავარმართებელმა კონსტანტინეს საქმე

თავისი იუნკრების სკოლის მეგობარს ივანე ბართოლომეის გადასცა.

სვანის ძარღვმაგარ კისერზე კიდევ ერთი გოჯით ვიწროვდება მზაკვრული ყულფი.

* * *

ქუთაისის ბაღში თავჩაღუნული დასეირნობს მურზაყანი. სუნთქვა უჭირს, სვანეთი მონატრებია. რამდენი ხანია ასეთ გაურკვეველ ტყვეობაში ჰყავთ და ბოლო არ უჩანს მის საქმეს. ტყვეობა კიდევ არაფერი. მას დასცინიან. დასცინის უსლარი, დასცინის ბართოლომეი, ირონიულად იღიმებიან ნაცნობი და უცნობი ლაქიები, მოხელეები, თავადები, კაპიტნები... წინა ღამეს კოლუბიაკინმა დაპატიჟა, უსლარი განზრახ მის პირისპირ დაჯდა, იღიმჭებოდა, ქარაგმებით ლაპარაკობდა. აქაო და მეც ევროპული განათლება მიმიღიაო, ყბედობდა, ნაპოლეონს ახსენებდა და ნატიფი მანერებით ხიბლავდა ყველას, მაგრამ იქ ერთი ვინმე მაინც ამჩნევდა მისი ტვინის ამაო ჭყლეტას, და ეს ერთი იყო ის ბარბაროსი სვანი, რომელსაც უსლარი უმიზნებდა უკბილო ხუმრობის ისრებს. მურზაყანი კრიჭაშეკრული იჯდა, სინს დასცქეროდა, ლუკმა არ აუღია, სიტყვა არ დაუძრავს და ყველაზე ადრე დატოვა სუფრა.

მართლაც, რას ერჩიან, რა უნდათ მისგან, რა დააშავა? არავისთვის ზიანი არ მიუყენებია, სიმკაცრე არ გამოუჩენია თვით ყმა გლეხებთან, რომელთაც ადამიანურად ექცეოდა. პირიქით, მას მიაყენეს ზიანი, დაუწვეს საგვარეულო კოშკი, დაიბარეს, არ მოუსმინეს, დაატარებენ სამხეცის დათვივით დაართობენ ცნობისმოყვარე დოყლაპიების ბრბოს. ექნება თუ არა ამას დასასრული?

უცებ თავი ასწია, როგორც იცის უდაბნოს ლომმა ნადირის გამოჩენაზე. ბაღის ერთერთ მახლობელ ხეივანში უსლარი გამოჩნდა. ეს ხეპრე, ლენჩი ლაქია, რომელსაც მორგვივით სქელ ტანზე კუნძივით მძიმე თავი აბია...

მურზაყანმა უნებურად ხანჯალზე იტაცა ხელი. უსლარის ბედზე მახლობლად აღმოჩნდნენ საპატიო ადამიანები, რომელთაც მთავარმა ხათრი არ გაუტეხა.

— თუ ამ თხუნელას სიცოცხლე რამედ ულირს, თქვენ დაგიმადლოთ, თავადო, თორემ საალაპე ღორივით გამოვშიგნავდი! — ღიმილით უთხრა მეგობარ იზიუმსკის ჯერაც შუბლშეკრულმა მთავარმა.

უსლარსაც ფერი ეცვალა. ჯერ კოლუბიაკინის სახლიდან გუნებაწამხდარი დაბრუნდა, გზაში წარამარა უკან იხედებოდა და მსახურთ ეკითხებოდა: ნუთუ მართლა მომკლავს ეს ველურიო? რატომაც არ მოკლავს? თურმე ყოველი მეათე სვანი ხანჯლით კვდება. ამ ველურს მეტად მძიმე ხანჯალი აქვს, ამბობენ, ხარს ერთი დაკვრით თავს აგდებინებსო, და უსლარმა უცაბედად კისერი მოისინჯა.

ახლა კიდევ ბაღში შეეფეთა. არა, ამ კაცს უნდა ერიდოს. და უსლარი ქურდულად მიიპარება, როგორც მელია მწევრის გამოჩენაზე.

რისთვის გადაიკიდა ალალი კაცი?

რით იმსახურებს ამდენ რისხვას ეს სვანი?

ის არც გმირია, არც მრისხანე ბატონი, ერთი უბრალო სვანი ვაჟკაცია, სვანეთის ბუნებასავით ამაყი და თავისი ხალხივით ალალი. გულში ბოლმას რად აწვეთებენ, რატომ არავის ესმის მისი ქართული?

რას ერჩიან?

განა ქედმაღლურად გაურბის ვინმეს?

წინა დღეებში უსლართან შეიარა, მთელი სამი საათი იბაასეს. რჩევას ეკითხებოდა, მაგრამ მისი რჩევა ჭკუაში არ დაუჯდა, ცივად დაშორდა. მივიდოდა გაგარინთან და საათობით იჯდა ხოლმე სასტუმრო ოთახში, რადგან რუსულად საუბარი არ შეეძლო. გუბერნატორი კი შესცქეროდა და ფიქრობდა: კარგი არწივი ხარ, მაგრამ კარგ გალიაში ზიხარო. საერთოდ კი გაგარინი უფრო თავაზიანად ექცევა, სადილად ეპატიჟება ხოლმე, და ესეც თითქოს განზრახ მოგონილი ხრიკია: ამ სადილებზე ბართოლომეი ფრანგულად ამასხრებს. ბართოლომეი განათლებული კაცია, რაში სჭირდება უსწავლელი სვანის გამასხრება? მურზაყანს კი ეგონა, განათლება ადამიანს კაცად აქცევდა. ბუნებით შეურყვნელს აოცებს ცივილიზაციის სასწაულები.

გენერლები დაყვავებით ფიქრობენ ლომის მოთვინიერებას. დაყვავება კარგია ლომის მიმართ, მაგრამ ადამიანს დაყვავება არ აშოშმინებს, თუ დაყვავებით სთხოვენ გალიაში შესვლას. „ველური კაცი ყველაზე ცუდად მოფერებას ხვდებაო", — ალბათ ამის გამო შესძახა უსლარმა.

ყველა პატივსა სცემს ქუთაისში მურზაყანს, მაგრამ სულ რამდენიმე კაცს უახლოვდება, თუმცა ბევრი ცდილობს მასთან სიახლოვეს. ქართველების გარდა მეგობრებად მიაჩნია იზიუმსკი და ბოროზდინი. პირველი გაგარინის კანცელარიის მოხელეა, დედით ქართველმა საუცხოოდ იცის ქართული ენა, და გულიც კეთილი აქვს. ბოროზდინი კი ეკატერინე დადიანის შვილების აღმზრდელია და ჭკვიანი, განათლებული მოხელე. მურზაყანი ქართულად ლაპარაკობს, ბოროზდინი რუსულად, და ორივეს ესმით ერთმანეთის.

ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძეს აოცებს მურზაყანის ტანადობა, და ვის არ აოცებს იგი!

მურზაყანი ქუთაისის უკანასკნელი სენსაციაა.

ეს სამი არშინი სიმაღლის კაცი, რომლის ბეჭების სიგანე არშინს აღემატება, ისე დადის ქუთაისის ქუჩებში, როგორც გარდასულ საუკუნეთა წიაღიდან მოსული ბუმბერაზი. დადის და უკან ცნობისმოყვარეთა ბრბო მტრედის გუნდივით დაჰყვება. საერთოდ, მისი არავის ესმის და არც თვითონ ესმის სხვისი. რა ავნი ყოფილან ადამიანები!

— ვინ არის ეს მთა-კაცი? — ეკითხებიან ერთიმეორეს ქალიშვილები.

მართლა, ვინ არის?

ჯერ საგულისხმო არაფერი მოუხდენია და ქვეყანა აშტერდება. ტანადობა კიდევ არაფერი. მთაც დიდია. მის დანახვაზე უსლარს ზარი და ზაფრა ეცემა ხოლმე: „მეტისმეტად ამაყი გამოხედვა აქვს ამ თავადს. ჩანს, სვანეთი ჯერ კიდევ არ შედის ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში. მისი მთავარი გარეგნულად ბუმბერაზია, მაგრამ იმდენად ჰარმონიული აღნაგობისაა, ისე მოხდენილია წონასწორობა ტანის ნაწილებისა, რომ სიდიდის გრძნობა იკარგება და რჩება განცდა შიშნარევი აღტაცებისა. სწორედ ამიტომ უნდა მოვიშოროთ თავიდან".

მისი მშვენებით სრული სახეც ისეთი მშვიდი, მომხიბლავი და კეთილია, რომ გარეგნული და სულიერი სილამაზის უზადო მთლიანობა შიგ სარკესავით ირეკლება, როგორც ულრუბლო ცა და მნათობები — ანკარა წყალში.

ძალა, სილამაზე და სიკეთე გამოსჭვივის გოლიათის ყოველ ძარღვში, ყოველ მოძრაობაში, ღიმილსა და რისხვაში.

„უფრო თავბრუდამხვევი და უფრო მიმზიდველი შთაბეჭდილება არ მოუხდენია ჩემზე არც ერთ სხვა სახეს, რომელიც კი დღემდე მინახავსო", — წერს იმ დღეებში ოცდაცამეტი წლის ნიკო ნიკოლაძე.

გაურკვევლობა ქანცავს სვან გოლიათს.

მტანჯველ ლოდინში გადის სამი თვე.

მურზაყანი დუმს, ბოღმით ივსება, კბილებს აკრაჭუნებს. არ იცის, რა გზას დაადგეს.

— ნაპოლეონ მესამეს მისწერე წერილი, — ურჩია ერთმა მეგობარმა. — აუხსენი, ბარიატინსკი რომ არ გისმენს, სამფლობელოს გართმევენ, ყველა გჩაგრავს. სთხოვე, მფარველობას გაგიწევს.

— რაღა ნაპოლეონ მესამეს? — უკვირს მურზაყანს. — განა ჩვენ ფრანგებზე ნაკლები იმპერატორი გვყავს?

— ჩვენი იმპერატორი თავის მსახურთ ენდობა, თავს არ შეიწუხებს. მისწერე ნაპოლეონს. უცხო მოგისმენს.

მურზაყანი დიდხანს ფიქრობს. მერე ანაზდად სახე ბავშვურმა ღიმილმა გაუბადრა, წამოდგა.

— მივწერ, — თქვა მოკლედ.

იწყება ფრანგულის მცოდნე კაცის ძებნა. ვინმე ტოლსტოი გამონახეს.

წერილი იწერება, მაგრამ არ იგზავნება. ბართოლომეის ლაქია თარჯიმანმა ყველაფერი შეატყობინა, იმანაც პოლიცმეისტერთან აფრინა კაცი. ტოლსტოის ფრანგულ ენაზე დაწერილი თხოვნა აღმოუჩინეს.

ბართოლომეის საქმე გაუჩნდა. ისედაც ღვარძლიან გულში ახალი ბრალდების გეგმა მწიფდება. ქვეშევრდომული ღიმილით აუწყებს ამ გეგმას გაგარინს, თითქოს დიდი სახელმწიფო მოღალატე აღმოეჩინოს. სვანთა მთავარი საიდუმლო წერილსა სწერს ფრანგთა იმპერატორს, შესჩივის, მფარველობას სთხოვს! ეს საქმე...

— ეს საქმე არ გახმიანდება, მეგობარო! — ცივად აწყვეტინებს ფრთხილი გუბერნატორი. — ჯობს გავჩუმდეთ და ნურც დადეშქელიანი გაიგებს რამეს, ნურც იმპერატორი. თუ ნებავთ, ბინა გამოუცვალეთ და გააძლიერეთ ზედამხედველობა. სადაცაა ბარიატინსკის პასუხიც მოვა. ხვალ ზუგდიდში მივდივარ. თვალი გეჭიროთ, ეს სვანი ბევრ საზრუნავს გაგვიჩენს კიდევ.

იმ საღამოს მურზაყანი მეგობარ თავადთან იყო მიწვეული. ნადიმზე უსლარიც იმყოფებოდა. საუბარი ახლახან გადახდილ ბრძოლებზე ჩამოვარდა.

— მე მაინც არ ვიცი, რისი იმედით გამოილაშქრა ფაშამ იმპერიის მიწა-წყალზე? — თქვა ერთმა კაპიტანმა.

— სვანი ხომ არა ხარ, ასე უმეცარი? — განზრახ გადაჰკრა უსლარმა.

შუბლი შეიკრა მურზაყანმა.

— უმეცრება ცუდია, — თქვა დინჯად. — მაგრამ მე ვიცი ამაზე დიდი მანკიც: კუდის ქიცინი.

— მე თქვენ დუელში გამოგიწვევდით...

— რომ ეს ჩემს ღირსებას არ ამცირებდეს.

უსლარმა ნაძალადევად გაიცინა:

— ჩემი ღირსება, ჩემი ღირსება! ნუთუ ყველა ღირსება სვანეთის კოშკებში იყრის თავს? და ნუთუ ამ კოშკების პატრონებს მხოლოდ მახვილით შეუძლიათ ლაპარაკი?

— როცა ყური დახშულია და ღირსება გათელილი, მე მახვილით ვამჯობინებდი ლაპარაკს.

— ფრთხილად, ბატონებო! სვანეთის მთავარი მახვილით აპირებს თქვენთან ლაპარაკს... ამბობენ, ოდესღაც სვანებმა ქუთაისი აიღესო.

— თქვენც ფრთხილად, ბატონო უსლარ, ეს საქმე შეიძლება განმეორდეს...

ცხადია, მურზაყანი ხუმრობდა.

მაგრამ უსლარს ეს ხუმრობაც ემწვავა.

— ვაი, რა გვეშველება? ახლა სიკვდილი არ აგვცდება.

— სიკვდილი ზოგჯერ საშველია. მხოლოდ სირცხვილია უსაშველო. მოვა, თავს მოგჭრის. ლადიხარ მერე უთავოდ... ზოგი პოლკოვნიკივით.

„მრავალჟამიერმა" დაფარა სახიფათო საუბრის ბოლო სიტყვები.

ლხინი გრძელდებოდა.

* * *

ყველაფერი მზადაა. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გაგარინი დღეს გორდს მიემგზავრება ეკატერინე დადიანის გასაცილებლად. როგორც იქნა, მიაღწია ამ საშიში დედოფლის თავიდან მოცილებას. დადიანის ქვრივი რუსეთს მიემგზავრება, ეს ხდება გაგარინისა და ბარიატინსკის რჩევით, მათივე შეცადინეობით.

ეკატერინემ იცის ეს და თავის უბოროტეს მტრებად ამ გენერლებს თვლის. არ დაინდეს ქვრივ-ოხერი, უნდა აყარონ საკუთარი სახლიდან მისი ობლები, შორეული პეტერბურგის გზას უნდა გაუყენონ. ველარ იხილავს საყვარელ გორდსა და მარად მწვანე ოდიშის ველებს, ხილით დახუნძლულ ბაღ-ვენახებსა და ასწლოვან ჭადრებს, ოდიშის მშვენებას. ეს გაუკეთა გაგარინმა, აგერ ჩამოდის კიდეც და გამგზავრების უკანასკნელ წუთებს ჩაუმწარებს თავისი ყოფნით, ოფიციალური სუსხით, ყალბი თავაზიანობით. გაგარინის მეუღლე უკვე მასთანაა, ის პირმშვენიერი ტასო, სიყრმის დღეების მეგობარი, ტატოს რომ მოაგონებს...

გუშინ უცნაური სიზმარი ნახა კატინამ: ვითომ მოფრინდა თოვლივით ქათქათა სვავი, მეფურად ფრთაგაშლილი; თავნება, ამაყი, ძლიერი. ოდიშის სასახლეში დაეშვა, აუზთან მჯდარი კატინა ფრთხილად აიტაცა და ფრთების სავსავით თოვლიანი მწვერვალებისაკენ გააქროლა. ანაზდად იალბუზის მწვერვალზე აფრინდა ბუმბერაზი ოქროსფერი არწივი, წამოვიდა, თეთრ სვავს გაუსწორდა, შეება. გაიმართა საშინელი ორთაბრძოლა. თეთრი და ოქროსფერი ბუმბული აირია სივრცეში, მეწამული სისხლით შეიღება სვავის თეთრი მკერდი. არწივი კი ისევ უტევდა, მაგრამ კატინამ ბრძოლის დასასრული ვერ ნახა, რადგან სისხლისგან დაცლილმა სვავმა კლანჭები გაშალა, ქალი კივილით დაეშვა დაბლა, სადღაც უფსკრულთა უფსკრულში ჩაიკარგა...

დილით გამდელს ჰკითხა, რას უნდა ნიშნავდესო ასეთი სიზმარი. გამდელმა კიდევ ლობიოს მარცვლები გაშალა. მაგრამ არც ლობიომ იცის, არც ადამიანმა, რა იქნება ამ საქმის ბოლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ეკატერინე თავად გაგარინს ელოდება.

მაგრამ გაგარინი აგვიანებს. ეტყობა, ვერ ჩამოვა ზუგდიდში ვერც დღეს, ვერც ხვალ და ვერც ვერასოდეს. ნურც ჩამოსულა!

შემოდგომის მომხიბლავი კვირა დღეა.

დღის თორმეტი საათისათვის ჰქონდა ნაბრძანები გენერალს ეტლის გამზადება. დილის ცხრა საათზე კი თბილისიდან იღებს ბარიატინსკის მოწერილობას, ეგზომ საბედისწეროს მისთვისაც და მისი საპატიო პატიმრისთვისაც. ამ სამმა საათმა გადაწყვიტა სვანეთის მთავრისა და საქართველოს ნახევრის მბრძანებელის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი.

მოწერილობაში ნათქვამია, რომ ბარიატინსკი სავსებით ეთანხმება გაგარინის შეხედულებას დადეშქელიანის საქმეზე. ეს საქმე საბოლოოდ საქართველოში ვერ გადაწყდება, „კეთილგანსახილველად" უნდა გადაეგზავნოს ხელმწიფე იმპერატორს — ცხადია, არა საფრანგეთის, არამედ რუსეთის იმპერატორს — და მისი გადაწყვეტილების მიღებამდე დადეშქელიანი ერევანს უნდა გადაასახლონ.

ასეთია ბარიატინსკის ნება.

ჩანს, იმპერატორი უფრო მოცლილია, ბარიატინსკიმ ხომ იმდენიც ვერ მოიცალა, რომ მურზაყანი მიელო!

ამის შემდეგ „დადეშქელიანის საქმე" უფრო სწრაფ მსვლელობას იღებს, ვიდრე მეფის ბიუროკრატიულ კანცელარიებს შეეფერებათ, რადგან საქმეში ხანჯალი ერევა.

გაგარინი რალაც ბედის ახირებით უსაზღვროდ გაახარა თავისმა სასიკვდილო განაჩენმა, რაც ამ დილით თბილისიდან მიიღო. სასწრაფოდ იბარებს თავისი კანცელარიის საქმეთა მმართველს იზიუმსკის, აძლევს ბარიატინსკის განკარგულებას და ეუბნება:

— წაიკითხეთ. მადლობა უფალს, დადეშქელიანის საქმეც მორჩა! დღესვე შეხვდით. რატომ დღეს, ახლავე! მოახსენეთ და ბარემ მოვიშოროთ თავიდან ეს სამსონი, ვიდრე ტაძარს თავზე დაგვამხობს!

იზიუმსკი დედით ქართველია, უთარჯიმანოდ შეუძლია თავადთან ლაპარაკი. მაგრამ იზიუმსკიმ არა მარტო ენა იცის მურზაყანისა, არამედ მისი ხალხის წესი და ხასიათიც.

— მე მაფიქრებს ამ საქმის ასეთი ფინალი, თავადო, — მორიდებით შეჰბედა გენერალს. — მურზაყანი რომ ასეთ გადაწყვეტილებას გაიგებს, გადაირევა. ვშიშობ, რაიმე გაუთვალისწინებელი უსიამოვნება არ მოჰყ-

ვეს ამას. მოგეხსენებათ, სამსონი მაშინ გახდა საშიში, როცა გაძრის სვეტზე მიაბეს.

— როგორ! — შუბლს იკრავს გენერალი. — თქვენ გინდათ თქვათ, რომ მე უნდა მეშინოდეს იმ ნადირის? — ესაა პირველი უკმეხობა, რაც გაგარინს ასე უტაქტოდ დასცდენია დადეშქელიანის მისამართით.

— თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენ ერთმანეთში ურევთ შიშსა და კეთილგონივრულ სიფრთხილეს...

— იზიუმსკი! ეს თქვენ ურევთ დღეს... — იფეთქა გაგარინმა. — გიბრძანებთ ახლავე მომგვაროთ დადეშქელიანი! — თავადი ბოლთის ცემას იწყებს. — მე მაინც ვერ გავიგე, რით მოგხიბლათ ამ ველურმა.

— ის მონა არ არის. რაც უნდა, იმას აკეთებს...

გაგარინი გაოცებისაგან გაშეშდა.

— ჩემო მეგობარო, აკი გეუბნებით, რომ დღეს თქვენ ურევთ! რაც უნდა, იმას აკეთებს მხოლოდ იმპერატორი!

გაგარინი ცეცხლს აფრქვევს.

იზიუმსკი განიარაღებულია.

კანცელარიის მმართველი რწმუნდება, რომ გენერალი ცუდ გუნებაზეა და მისი შემდგომი მოწოდება კეთილგონიერებისაკენ წყლის ნაყვა იქნება. ამიტომ გზავნის კაცს ქუთაისის მთავარ ეკლესიაში, სადაც მურზაყანი ლოცულობს.

ნეტავი, თვითონ წასულიყო!

— თქვენო ბრწყინვალებავ, გენერალ-გუბერნატორმა გამომგზავნა, დაუყოვნებლივ გამოცხადება გებრძანათ, — ეშმაკის ხმასავით ჩაესმის ყურში კაცს, რომელიც ღმერთს ებაასება.

ჩაესმის და მეხად ხვდება გულზე ყოველი სიტყვა.

— ხომ არ შეშლილხარ? — მოუბრუნდა გენერლის შიკრიკს. — რომელი შეიშალეთ, შენ თუ გენერალი? ხომ მხედავ, ვლოცულობ? ამ დროს ჩემთვის არ არსებობს არავითარი გენერალ-გუბერნატორი და ეშმაკი! არსებობს მხოლოდ ღმერთი. გადაეცით გაგარინს, რომ ლოცვას მოვრჩები და ვეახლები.

ამის შემდეგ მურზაყანი ლოცვას განაგრძობს, თანაც ისე გულმოდგინედ, თითქოს ეს იყოს მისი უკანასკნელი ლოცვა.

არ გასულა მეოთხედი საათიც, რომ იგივე მსახური წაადგა თავს:

— თქვენო ბრწყინვალებავ, გენერალი ჩქარობს, გორდს მიემგზავრება, სამეგრელოს დედოფალთან. დაუყოვნებლივ მეახლოსო, გიბრძანათ.

მურზაყანს გული ბოღმით ევსება. ლოცვასაც არ აცლიან. თვეობით, წლობით დაგუბებული ბრაზი გამოსავალს ეძებს. მას ლაქიასავით ექცევიან. ნადირს ეძახიან. კეთილი. რაკი ნადირია, მოიქცევა — ისე, როგორც იქცევა ნადირი, დევნილი და კედელთან მიმწყვდეული.

— დამტოვე, — ყრუდ და ამაყად უბრძანა შიკრიკს, მერე პირჯვარი გადაიწერა, მსუბუქად წამოიმართა ეს მთაკაცი, მძიმე ხანჯალი შეისწორა, თავი უსიტყვოდ დააქნია და ეკლესია დატოვა.

დაწინაურებული შიკრიკი იზიუმსკის ეუბნება, დაჭრილი ლომივით დამიბრიალაო მთავარმა ნაკვერჩხლების ოდენა თვალები. შეშფოთებული იზიუმსკი ეკლესიაში მიიჩქარის, რომ მურზაყანი როგორმე დააშოშმინოს. პირგამეხებული თავადი შუა გზაზე ხვდება, არც უსმენს, არც რას ეუბნება. შუბლი შეუკრავს, კუშტად იყურება პირდაპირ წინ და მიდის მძიმე, მტკიცე, შეუპოვარი ნაბიჯით. იზიუმსკი უნებურად განზე დგება, გზას უცლის, ღიმილი პირზე ეყინება. მურზაყანი პირდაპირ გაგარინის კაბინეტში შედის, ისე რომ ნებართვასაც არ ელოდება.

კედლის სარკეში ჩანს გენერლის ზურგი და სვანის საავდროდ მოღუშული სახე.

მურზაყანი მსახურივით ფეხზე დგას და დუმს, ხოლო ის, ბრწყინვალე გუბერნატორი, მეფური იერით უზის მეფურ მაგიდას, ხელში ყორნის ფრთა უჭირავს და იმით წერს თავისი ბედის წიგნის ეპილოგს.

გაგარინი თავაზიანად ხვდება მურზაყანს, ან ცდილობს შეხვდეს თავაზიანად. წამოდგა, შუა კაბინეტში ეგებება, თავს უკრავს, ხელს ართმევს, სავარძელს სთავაზობს. მაგრამ მურზაყანი დიდხანს არ აპირებს საუბარს და ზეზე რჩება.

— ვწუხვარ, თავადო, წირვას რომ მოგწყვიტეთ, — იწყებს გაგარინი. — მერწმუნეთ, სულაც არ მსურდა ამით თქვენი ღირსების დამცირება...

— თქვენო ბრწყინვალებავ, ჩემი დამცირება არაფერია, — მკვახედ აწყვეტინებს მურზაყანი. — ამას მივეჩვიე. მე ისა მწყინს, რომ ჩემი დამცირებით სვანეთს ამცირებთ. სვანი ლერწამზე ლაბალია, მგრამ თუ გადაქელვა მოუნდომეს, იქცევა მუხად, რომელიც გადატყდება და არ მოიხრება.

— თავადო, თქვენ ლექციას მიკითხავთ სვანეთზე, — ღიმილით აწყვეტინებს გაგარინი. — ამდენი დრო არა მაქვს. ორ საათში უნდა გავემგზავრო. მაშ ასე. ანდრია ანდრიასძემ უკვე მოგახსენათ, რისთვის აგაჩქარეთ. ეს არის თბილისიდან მივიღე განკარგულება, რაც თქვენ გეხებათ, — და კრიალა ვარაყიანი ქაღალდი გაუწოდა იზიუმსკის: — წაუკითხეთ და უთარგმნეთ.

იზიუმსკი კითხულობს, მურზაყანს საფე-

თქლები ებრება და მარჯვენა უთრთის, გაგარინი კი ოთახში ბოლთასა სცემს და წამდაუწუმ დასქცერის მახვილს, როგორც ნადირთა მწვრთნელი, რომელიც მბრდღვინავი ლომის პირისპირ დარჩა გალიაში.

როგორც იქნა, მოათავა იზიუმსკიმ მოწერილობის კითხვა. გაგარინი მოთმინებას კარგავს, ისევ მურზაყანს მიმართავს, რომ მორჩეს ამ მოსაწყენ ცერემონიას:

— როგორც ხედავთ, თქვენს საქმეს თვითონ მოწყალე იმპერატორი გაარჩევს, თავადო. იმედი უნდა იქონიოთ, რომ ყველაფერი კარგად გათავდება. მაგრამ ვიდრე მეფის პასუხი მოვა, თქვენ ერევანში წახვალთ და განაჩენს იქ დაელოდებით. ეტლი მზადაა. დღესვე გაემგზავრებით. ასეთია მთავარსარდლის ნება.

— მეფისა და მთავარმართებლის ნება ჩემთვის კანონია, — მშვიდად მიუგო მურზაყანმა. — მაგრამ აგერ სამ თვეზე მეტია, უპატრონოდ მყავს მიტოვებული ცოლ-შვილი და ჩემი ხალხი. როგორ შემიძლია დღესვე გავემგზავრო ერევანს?

— სამწუხაროა, მაგრამ გადადება არ შემიძლია. თქვენი ცოლ-შვილისათვის კი მე ვიზრუნებ, კაცს გავაგზავნი.

— თქვენო ბრწყინვალებავ, არის საქმეები, რომელთა მოწესრიგებაც მხოლოდ პირადად ჩვენ შეგვიძლია და სხვას ვერ მივანდობთ. მომეცით ვადა. სახლ-კარს მივხედავ, სამთავროს საქმეებს მოვაწესრიგებ და ჩამოვალ.

— ამდენი უფლება მე არა მაქვს, — ცივად ამბობს გენერალი.

— მე კი მაქვს რაღაც უფლება, — მოხვდა ისარი კლდეს. — ჯერჯერობით მე მთავარი ვარ ჩემი ქვეყნის.

— ეს არაფერს ნიშნავს, თავადო, — ხუმრობს გაგარინი. — მთავრები და დედოფლები, მეფეები და იმამები ზედიზედ იხრიან ქედს დიდი იმპერატორის წინაშე.

კედელზე იმპერატორმა გაიღიმა...

„მთავრები და დედოფლები! — ფიქრობს მურზაყანი. — აქ უთუოდ ეკატერინეს გადაჰკრა. ინანებს სამეგრელოს დედოფალი ჩემს დაბეზღებას!"

— მესმის, თქვენო ბრწყინვალებავ, — მწარედ იღიმება მურზაყანიც. — მეფეები და იმამები უხრიან ქედს იმპერატორს, მისთვის დაბრკოლება არ არის არც ძლიერება, არც სარწმუნოება. ამიტომაც გთხოვთ გამიშვათ ჩემს სახლში.

— არა, არ შემიძლია! არ შემიძლია-მეთქი!

— გამიშვით სამი თვით. თქვენ გაქვთ ამდენი უფლება.

გაგარინი იცინის:

—რა გულუბრყვილო ბავშვივით მელაპარაკებით, თავადო! არა თუ სამი თვით, სამი საათითაც ვერ გაგიშვებთ. ჩვენ ერთად დავტოვებთ ქუთაისს. დღესვე. ახლავე.

„არა, როგორც ვატყობ, მე ცოტა უფრო გვიან დავტოვებ ქუთაისს და ესეც კარგია",— ფიქრობს მურზაყანი და უნებურად ხელს მძიმე ხანჯლის ტარზე აცურებს. დასაკლავი ხარივით ქშინავს, თვალები გადმოვარდნას ლამობენ, სახე ვარდისფრად უღაჟღაჟებს და თითქოს ცეცხლი ედება ამოდენა კაცს. ეს არაა უბრალო წყენა, შინ არ გაშვებით გამოწვეული. ესაა შეურაცხყოფილი თვმოყვარეობის, გათელილი თავისუფლების ღალადისი, ხალხის სიამაყის გამოღვიძება ერთ კაცში. ყოველ შემთხვევაში, ასე ესმის მურზაყანს, ასე განიცდის გენერლის აჩირებას: დღესვე, ამ წუთში ერევანს გაემგზავრეო, სვანეთი უპატრონოდაც გამოდგებაო.

იმპერატორმა ოქროს ჩარჩოში შუბლი შეიკრა.

იზიუმსკის ფერი არ აძევს. აქეთ მურზაყანს აშოშმინებს, იქით კი გაგარინს ეუბნება ფრანგულად:

— ფრთხილად, თავადო. ეს კაცი თქვენ მოგკლავთ.

მაგრამ გაგარინს გაფრთხილება არ ესმის. ალბათ ღელავს. ან ყური განგებ არ ათხოვა. რა არის, სიცოცხლეში ერთხელ მაინც დაემსგავსოს კეისარს!

გენერალი დინჯად მიდის კარისაკენ. ახლა თვითონ ხედავს სარკეში მურზაყანის გაცეცხლებულ სახეს, მაგრამ პრინციპის ერთგული რჩება, წარბსაც არ იხრის.

— მე საპაექროდ არ დამიბარებიხართ, თავადო, — ამბობს ხმის აწევით. — უკვე გაგაცანით მთავარსარდლის განკარგულება. დაუყოვნებლივ გაემგზავრებით ერევანს, სხვა სალაპარაკო თქვენთან არა მაქვს, — ამ სიტყვებზე სარკეში მუნდირი შეისწორა,— მობრუნდა, მთავარს ოდნავ თავი დაუკრა, ნიშნად იმისა, რომ შეხვედრა დამთავრებულია.

მურზაყანი კი ახლა იწყებდა. იზიუმსკის მიუბრუნდა და უბრძანა:

— გადაეცით გენერალს, რომ ერევანში ახლა ვერ წავალ. სახარჯო ფულიც კი არა მაქვს.

გაგარინი ისევ გამხიარულდა. კარებთან მისული გამობრუნდა, გაიცინა:

— ფული? რამდენიც ენებოს! გადაეცით თავადს, რომ ამისათვის ნუ შეწუხდება, — გამოაღო სალაროს კარი, გამოიღო კრიალა ასიგნაციების შეკვრა და მაგიდაზე დაყარა: — მოწყალე ხელმწიფე-იმპერატორი...

მაგრამ მურზაყანი აღარ ფიქრობს აღარც მოწყალე ხელმწიფეზე, აღარც უწყალო გე-

ნერალზე. გუბერნატორის სასახლეში უკვე დადეშქელიანი მბრძანებლობს. მეფის ლაქიას, ბუნებით მონას, არ ესმის, რომელ ძარღვზე დააბიჯა ფეხი მთის ამაყ შვილს. მაშ ახლა გაიგოს.

— ეგ სალაფავი ღორებს დაუყარე! — მეხივით იქუხა გოლიათის მკერდში დაგუბებულმა ბოღმამ. — მე მოწყალებას არა ვარ ჩვეული! — და თითქოს ამ სიტყვების დასტურად თავისი მოელვარე ხანჯლით წაკ-ჰკვეთა გენერალს მარჯვენა, რომელშიაც სამოწყალო ეჭირა, მეორე დაკვრით კი სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა მუცელში, ბოლოს — ბარძაყში.

ხელმწიფის წყალობა იატაკზე მიმოიფანტა. ხელმწიფე დუმდა.

— მიშველეთ! — შესძახა გენერალმა და მოჭრილ ხესავით გაიშხლართა შუა კაბინეტში.

დამშეიდებული დასცქეროდა კედლიდან იმპერატორი სასიკვდილოდ დაჭრილ გენერალს. ძარღვიც არ შეტოკებულა მის სახეზე.

სამაგიეროდ მსახურებმა შეიცხადეს. როგორც ცეცხლშენთებული სოროებიდან მელიები და თაგვები, ისე გამორბიან სასახლის ყოველი კუთხე-კუნჭულიდან, და როგორც ჯუჯა-კაცები გულივერს, ისე ესევიან ხანჯალამოღებულ მურზაყანს, ვამეტინვარებული ლომივით რომ გრიალებს, ბრდღვინავს და მარჯვენივ თუ მარცხნივ კაფავს თავხედებს, რომლებიც თავის გამოჩენას ცდილობენ და იერიშზე გადმოსვლას ბედავენ.

დარბაზი წამს ბრძოლის ველს ემსგავსება. ოღონდ ძნელი გასაგებია, თავშესაფარს მეტი ეძებს აქ თუ ფიცხელ შეტაკებას. ცალ მხარეს ერთად-ერთი კაცია, — გოლიათი, და მაინც ერთადერთი კაცი, — მეორე მხარეს კი — მთელი ბრბო, მაგრამ ბრბოს მეტი ნაწილი იმყოფება არა იქ, სადაც უნდა იყოს, არამედ მაგიდების ქვეშ, კარადებში, ფარდაგების უკან და ყველგან, სადაც შეიძლება ადამიანი დაემალოს სიკვდილს.

გაგარინის ადიუტანტი თალხან არდიშვილი გულადი კაცია, ხმალამოღებული მიიწევს მურზაყანისაკენ. მაგრამ არწივის თვალებით არჩევს სვანი ვაჟკაცი ლაქიას და ომახიანად მიმართავს:

— ბიჭო, შენ ხომ ქართველი ხარ, რისთვის მახვევ შენს ცოდვაში?

არდიშვილს ამ სიტყვებმა მხნეობა შეჰმატეს, კიდევ უფრო თამამად გაიწია და ხმალი მოუქნია.

მურზაყანი, ეს ხარის სიმძიმის კაცი, არჩვის სიმარდით გადახტა განზე, ხმალი აიცდინა და მშვიდად უთხრა:

— თხოვ — მიიღე! ცოდვაც შენვე იგვირთე! — ამ სიტყვებზე შიგ გულში ჩასცა ხანჯალი.

როცა განგმირული ადიუტანტი თავისი გენერლის გვამზე დაეცა, უკვე მკვდარი იყო.

რომელიღაც მოხელე გაგარინის მაგიდის ქვეშ შეძვრა და იქიდან უპირებდა გოლიათს ფეხების მოკვეთას. მურზაყანმა დროზე შენიშნა, მაგიდას ხანჯალი დაჰკრა, ჩაჭრა და განგმირა იგი.

ახლა ილინმა გამოიღო თავი. ბედგამწყრალ ლაქიას ეგონა, რომ ხელებს გაუკავებდა მურზაყან დადეშქელიანს. ისარებელა იმით, რომ მთავარი მარცხენა მხრიდან თავდასხმელ მსახურებს იგერიებდა, მარჯვენიდან მივარდა და ხელებში ჩააფრინდა. გაშმაგებულმა მურზაყანმა მკლავი გაიქნია, ილინი მკლავს ისე მოწყდა, როგორც ქვა შურდულს, გაექანა და კედელს მიენარცხა. ახლა კი იკადრებდა გაქცევას, მაგრამ საწოლი ოთახის კარი დაკეტილი დახვდა. თავადი დაეწია და ხანჯალი დაჰკრა, თავი ორად გაუპო და ისე აკუწა, საკუთარი ძაღლიც ვეღარ იცნობდა, სამოსით რომ არ ეცნოთ. ილინის თავის ნამსხრევი ხალიჩაზე აკრიფეს.

მურზაყანი არწივის თვალებს ავლებს დარბაზს და გაოცებულია. ძეხორციელი აღარ არის გაგარინის კაბინეტში, თითქოს ქარს აუხვეტია ცოცხლები და მძვინვარე მეომრისათვის გაურიდებიაო. იდგა მარტო მურზაყანი, მგლებთან ნაომარი ნაიალაღარი ხარივით ლალი და მძვინვარე, გრუზა შავი თმა მხრებამდე სცემდა, მუშტისგოლა თვალებს აბრიალებდა, დახრილ ხელში სისხლიანი ხანჯალი ეჭირა, ჯერაც თბილი სისხლი ნაწრთობი ფოლადის ღარს მიჰყვებოდა და ზედვე ახმებოდა, წვერზეც წვეთი შეხმობოდა ლალის თვალივით.

იდგა და თვალით მტერს დაეძებდა, მაგრამ მტერი აღარსად იყო, თუ იატაკზე დაცემულ გვამებს არ ჩავთვლით. ეჰ, სადღა არიან ახლა უსლარი და ბართოლომეი, რომ ჩააძაღლოს ის ღორები.

წამით ჩაფიქრდა.

აი, ეს ჩაადენინეს! რას იგყვის ქვეყანა? რა ბედი ეწევა ცოლ-შვილს? განა ეს უნდოდა? მას ნადირს ეძახდნენ და აი, მოიქცა ისე, როგორც ნადირი. ახლაც დაუძახონ, არ ეწყინება მაინც .

წამიერი ფიქრიდან უეცარმა ყიჟინამ გამოაფხიზლა. ვიღაცა კიბეებზე ამოდიოდა, ვიღაცა პოლიციას უხმობდა, სადღაც საყვირის ხმა გაისმა. სასახლე დაემსგავსა გამოქვაბულს, რომელშიაც ლომი ბრდღვინავს და შესვლას ვერავინ ბედავს, თუმცა ქვეყნიერება მონადირეთა ლაშქრად ქცეულა.

კაცობრიობის ისტორია ძალადობის ისტორიაა. ზოგჯერ დამცირებული სამართალი მა-

ხვილს იღებს და თვითონ იქცევა მოძალადედ. ვინც უნდა დააქციოს, სისხლი სისხლია.

ხანჯალმომარჯვებული მურზაყანი გენერლის კაბინეტიდან უფრო დინჯად გამოდის, ვიდრე მის ახლანდელ ყოფას შეეფერება. უეცრად რომელიღაც კარიდან გამორბის გაგარინის მზარეული, ღიპიანი მაქსიმი, და თავისი საქმიანობისათვის უჩვეულო სიმარჯვით ეცემა ზურგში თავადს, უნდა ხელები დაუჭიროს და ხანჯალი დააგდებინოს. თამამი განზრახვაა! ერთი შეირხა მურზაყანი, მძლავრად შეაქნია მხრები. მიწისძვრა იყო ეს მაქსიმისათვის. მოწყდა ვაჟკაცის მხრებს და ვიდრე ძირს დაეცემოდა, რვალის მკლავები სალტესავით შემოეჭდო. ასე აიტაცა სვანმა თავხედი მზარეული და კედელს მიახეთქა. თავგაჩეხილი მაქსიმი მუთაქასავით დავარდა ძირს და აღარ განძრეულა.

მურზაყანმა კი, თითქოს არაფერი მომხდარაო, გზა განაგრძო. კიბეებზე რომ ჩამოდიოდა, რომელიღაც მსახურთაგანი კიდევ შეეჭიდა, მაგრამ მურზაყანმა ბურთივით გადაისროლა, და ამაო გულმოდგინების ახალი მსხვერპლი, რომელმაც ჰაერში წრე შემოწერა, ქვაფენილზე დაეცა, ისე რომ გმირობის მოხდენა ვერც კი მოასწრო.

რა ცვალებადია ბედი!

დილით მხიარულ გუნებაზე მყოფი გუბერნატორი შუადღისას აგონიას განიცდიდა, აფხაზეთის საქმეებზე და რაღაც სამხედრო ხომალდებზე ბოდავდა, მისი სასახლე კი, აოხრებული იყო, სისხლის გბა იდგა მის კაბინეტში და თავის ქალის ნამსხვრევები ეყარა ხალიჩაზე. უსლარმა ერთი აზრიანი სიტყვა ვერ გამოჰგლიჯა თავის უფროსს, ისე განუტევა სული ბედგამწყრალმა.

* * *

სასახლიდან წასული მურზაყანი ჯაჭვის ხიდის მხარეს გარბის. აქ დახვედრა აქვთ ნაბრძანები ცხენოსან მხლებელთ. მაგრამ ჯაჭვის ხიდთან არ ჩანს არც ცხენოსანი, არც ფეხოსანი. ესაა უკანასკნელი ლახვარი, რაც ამ კაცს სამტროდ ამხედრებულმა ბედმა მიაყენა, რათა მისთვის ყველა გზა შეეკრა.

ხალხი ამტკიცებდა, მურზაყანი დამშვიდებით ჩავიდა რიონზე, ხანჯალი გარეცხა და ქალაქში შემობრუნდა, თითქოს აქ არაფერიაო. მაგრამ ეს შეიძლება ლეგენდად ჩავთვალოთ.

გულდამშვიდების დრო არ იყო.

მურზაყანმა რიონს გადახედა. ამღვრეულია, ლალატიანი, ფონზე არ გაისვლება, არც იკადრებს სვანი ვაჟკაცი რიონში გადავარდნას.

ლოდინის დრო კი აღარაა. იცის, მთელი ქუთაისი, მთელი იმპერია ამდგარია ახლა მის წინააღმდეგ, ვინც მოკლა მეფის კაცი, დახოცა ამდენი მცველი და გაურბის სამართალს.

მურზაყანი არ იბნევა. საიმედო თავშესაფარს პოულობს. რიონის პირას ერთი სახლია, ნიკო ბაქრაძის სახლი. ნიკო ბაქრაძე მაზრის უფროსის მოადგილეა, თავშესაფარი არ უნდა მისცეს გუბერნატორის მკვლელს, მაგრამ ის ქართველი კაცია და თანაც ახლა შინ მხოლოდ ქალები არიან. სისხლით მოსვრილი გოლიათის შემოჭრამ მანდილოსნებს თავზარი დასცა, შეჰკივლეს: „გვიშველეთ, ქრისტიანებო, ვინ შემოვარდა ესაო? ვაი, რა ბედი გვეწვია ჩვენ უბედურებს დღესაო!“

— ნუ გეშინიათ, დებო, — ეუბნება მურზაყანი ქალებს თავაზიანად — მე თქვენ არაფერს დაგიშავებთ. გენერალი შემომაკვდა, ჯარს ვემალები.

გენერალი შემოაკვდა? რა მოკლე გზა ჰქონია ამ საბრალოს!

ქალები უხალისოდ უთმობენ ოთახებს კაცს, რომელსაც გენერალი შემოაკვდა და ჯარი ასდევნებია.

მურზაყანმა კედელზე თოფი და ხმალი შენიშნა — თვითონ ხომ ხანჯლის მეტი იარაღი არ გააჩნია — ჩამოიღო, თოფი ფანჯარასთან მიაყუდა, ხმალი ხელში დაიჭირა. მერე მძიმე ტახტი აიღო, — ამ ტახტს შემდეგ ექვსი კაცი ძლივს დაძრავს —კარებს მიაყუდა, სახელდახელოდ გამართა ბარიკადები და ერთმა მიიღო ბრძოლა.

ამ დროს უკვე მთელი ქალაქი ფეხზეა. გაგარინის სასახლეში ამალის თანხლებით მივიდა მისი მოადგილე, ვიცე-გუბერნატორი ივანოვი. ჯარი და პოლიცია გენერლის მკვლელს დაეძებენ. ქალაქში საგანგებო წესები ცხადდება.

„გენერალი გაგარინი მოუკლავთ! გენერალი გაგარინი მოუკლავთ!“ — ჩურჩულით გადადის ეს ამბავი პირიდან პირზე, სახლიდან სახლში, ქუჩიდან ქუჩაში...

ფეხზე დგება ჯარი, პოლიცია, ადმინისტრაცია. მალე გაიგებენ, რომ მურზაყანი ბაქრაძის სახლში იმალება და მთელი ჯარი ამ სახლს არტყამს ალყას.

მურზაყანმა იცის, მისი დღეები დათვლილია, და ახლა ფიქრობს არა გაქცევაზე, არამედ იმაზე, რაც შეიძლება ძვირად გაყიდოს თავისი სიცოცხლე.

სახლს, სადაც დადეშქელიანი გამაგრდა, ქუთაისის პირველი სახაზო ბატალიონით შეუტიეს, მთელი ათასეულით, სრული შემადგენლობითა და საბრძოლო მზადყოფნით. ამის გარდა გამოიყვანეს დონის კაზაკთა ორი ასეული და ქვემეხით აღჭურვილი საარტილე-

რიო ნაწილი — ესე იგი, ქუთაისის მთელი სამხედრო ძალა.

იმართება გაუგონარი, უთანასწორო ბრძოლა ერთისა ათასთან. ივანოვის მთელი ათასეული დგას ერთი თოფ-ხანჯლიანი კაცის პირისპირ. მურზაყანი დახელოვნებული მსროლელია. აგერ, დაეცა ერთი ჯარისკაცი, დაეცა მეორე, მესამე... ანაზდად ტყვიამ ყურთან გაიწივლა. ფანჯრის მინები ჩაილეწა. კედელს გაბრაზებული კრაზანებივით აწყდებიან ცხელი ტყვიები. სახლი ცეცხლის ალში უნდა გაეხვიოს. ასეთია ივანოვის ბრძანება.

სამჯერ მიიტანა ჯარმა იერიში, სამჯერ მიადგა ბაქრაძის სახლს, სამჯერ აიარა სამი საფეხური და სამჯერვე უკუაგდო სვანეთის მთავარმა, რომლის მხარესაც იყო ერთადერთი უპირატესობა: ცოცხლად უნდა შეეპყროთ.

სამჯერ გაიღო აივნის კარი, სამჯერ გამოჩნდა დადეშქელიანი. თოვლივით თეთრი ჩოხა ეცვა და გაშიშვლებული ხმალი ეჭირა მარჯვენა ხელით, მარცხენით კი — მძიმე ხანჯალი, მის ხელში ბუმბულზე მსუბუქ და ელვასავით სწრაფ სიკვდილის იარაღად რომ ქცეულიყო.

სამჯერ ებრძანა ჯარს: „უკან!"

ბოლოს სახლს შემოუარეს და უკანა ფანჯრებიდან, ზურგიდან სცადეს იერიშის მიტანა. მსროლელთა ასეული უკვე ტყვიას აღარ ზოგავდა, მაგრამ დადეშქელიანი მეორე სართულზე იყო და ზიანს ვერ აყენებდნენ.

— ხეებზე! — ებრძანა ჯარს.

ჯარისკაცები მახლობელ ხეებზე ავიდნენ და იქიდან ატეხეს სროლა. მაგრამ გოლიათი თითქოს მოჯადოებული იყო, ტყვია არ ეკარებოდა.

მურზაყანი ფარ-ხმალს არ დაყრის. ვიდრე ხანჯალი ხელთა აქვს, ბატონია, მერე კი... რამდენი უმიზნებს! პირველი ტყვია ბეჭში ხვდება. ჯერ სისველე იგრძნო, მერე ტკივილი. წარბიც არ შეუხრია, ვითომ კოლოს ეკბინოს. სროლა განაგრძო. ერთ ტყვიას კურდღელიც გაუძლებს.

რამდენი ჯარისკაცია! ერთი სროლით სამს დაუბნელებს მზეს. მაგრამ რა დააშავეს ჯარისკაცებმა! მაგათ მთავარი არაფრად უჩანთ, ჯარისკაცები კი არა. სად არის თვითონ ივანოვი? რა იქნება, რომ ვიცე-გუბერნატორიც იქ გაგზავნოს, სადაც გუბერნატორი გაგზავნა? მაშინ ერთი მოძალადით ნაკლები იქნება ქვეყნად. ახლა უკვე შეიცნო სოფლის ტრიალი. ბევრი რამ ისწავლა ამ სამ თვეში. ცალ მხარეს მოძალადენი არიან, მეორე მხარეს — დევნილნი და დამცირებულნი. თვითონაც მოძალადეთა ბანაკში იყო და აუცილებელი გახდა დევნილი გამხდარიყო, რომ გაეგო ადამიანის დანიშნულება ქვეყნად...

მურზაყანის გონებაში ელვის სისწრაფით გადაიქროლეს ამ ფიქრებმა. და აგერ ტყვიის წივილში ანაზდად დაიჭირა სხვა ხმა, აქვე, სულ ახლოს, ოთახში რომ გაისმა: ვიღაც თავხედი ფანჯრიდან გადმომძვრალა, აგერ ოთახში გადმოხტა და იატაკზე ბრაგვანი გაადინა. მურზაყანმა თოფს ხელი უშვა — ისედაც ტყვიები გამოელია — და ისევ ხანჯალი იშიშვლა. ხიშტოსანი ჯარისკაცი ჯიქურ წამოვიდა. მურზაყანმა ხანჯალი აღმართა, მოიქნია და... ვადაში გადაუტყდა. მთაკაცმა ვერ გაითვალისწინა, რომ მისი სიმაღლის მეომრისათვის ბაქრაძის სახლის ჭერი დაბალია... „მივა და გულზე მიიკრავს და გადაკოცნის ტარზეო: შენ რომ მთელი დამრჩენოდი, შევასრულებდი ცხრაზეო", — ამბობს ხალხი. დიახ, ხალხი უკვე თხზავს სიმღერას მურზაყან დადეშქელიანზე. მთქმელმა არც კი იცის, რომ ხანჯალი გადაუტყდა და არა ხმალი, ისიც არა გაგარინის, არამედ ბაქრაძის სახლში. მაგრამ მთქმელმა იცის, რომ კიდევ ერთმა მოყმემ აღმართა ხელი უსამართლობის წინააღმდეგ.

სარდალმა ქვემეხის მოგორება ბრძანა. ქვემეხი მოაგორეს და სახლს დაუმიზნეს. მადლობა ღმერთს, იმპერიას უამრავი ქვემეხი აქვს!

აქ მურზაყანს ქომაგი გამოუჩნდა: მისივე უნებური „მასპინძელი", მაზრის უფროსის მოადგილე ნიკო ბაქრაძე. მთელი ქუთაისი მისი სახლის გარშემო იყო და თვითონაც იქ აღმოჩნდა:

— გთხოვთ წერილობით გასცეთ განკარგულება, რომ კანონის ძალით დანგრეული სახლის აღდგენა და ზარალის ანაზღაურება მოვითხოვო, — თქვა ბაქრაძემ.

ამით იხსნა სახლი, მურზაყანის დახსნა კი მხოლოდ მეფეს შეეძლო.

მეფე შორს იყო.

ქვემეხი ღია ხახით გადაჰყურებდა მურზაყანის სიმაგრეს და დუმდა.

ფანჯრებში კი ტყვია წვიმდა. შვიდი ტყვია უკვე მოხვდა ბუმბერაზს.

დაჭრილი ხარივით ქშინავდა ხაფანგში შემწყვდეული კაცი და იბრძოდა, რითაც შეეძლო.

დაიწყო მეოთხე იერიში. ჯარის ნაწილი კარებამდე მივიდა. ერთმა ჯარისკაცმა კარს ხიშტი ატაკა და მერვე ჭრილობა მიაყენა ხელში დადეშქელიანს, მაჯასთან გაუხვრიტა მარცხენა ხელი. მურზაყანმა მარჯვენა ხელი ჩასჭიდა ხიშტს და ხრახნივით დაგრიხა, გადალუნა. შემდეგ მთელი ქუთაისი დადიოდა ამ ხიშტის სანახავად, და ის დიდხანს დარჩა ამაოდ დალუპული საარაკო ღონის ძეგლად.

რაღას ებრძვის? ეს ხომ ამაოებაა? მაგრამ

განა ასევე ამაოება არაა თავისუფლების წინააღმდეგ ამ ჯარების ბრძოლა?

არ ნებდება! ერთი წამი გამოაჩენს ციური წრთობის გმირს. ეს წამიც დადგა.

სივრცეს ახედა მურზაყანმა. ლომის ფაფარი უკან გადაიყარა. ამოიგმინა.

მიუხვდა სახალხო მთქმელი:

მაშინა თქვა კონსტანტინემ: ნეტავ, სვანეთის მთაზე დამსვაო.

ჯარი ისე დამახვია, როგორც ბალანი თავსაო...

მაგრამ სვანეთის მთა შორსაა.

კიდევ ერთი ტყვია მოხვდა, მოჰყვა მარჯვნივ ხელი მეომარი.

აბა რას გახდება ჯართან ერთი კაცი? ათგან დაჭრეს, მახვილი გადაუტყდა, თოფში ტყვია აღარა აქვს... მაშინ კი ბედს დაემორჩილა მურზაყანი, გაალო კარი, ბარბაცით გამოვიდა და ხანჯლის ნაჭერიც გასტყორცნა, ნიშნად იმისა, რომ ნებდება, მაგრამ თავი კი მაღლა ეჭირა, ნიშნად იმისა, რომ ნებდება გლახაკ ძალას. მარჯვენა ხელი მოგლეჯილი გოგივით ეკიდა.

ბარბაცით ჩამოვიდა ქვედა სართულზე. ფანჯარასთან მიბრუნდა და გადასძახა:

— მანდ ქართველები არაინ ხართ? მოდით, ნუ ჩამაგდებთ სხვის ხელში!

რამდენიმე ქართველი ოფიცერი შედის, დაჭრილი ვაჟკაცი გამოჰყავთ.

მურზაყანი აღარ უწევს წინააღმდეგობას, მაგრამ ივანოვის ყოჩაღი რაინდები კაფრებივით ესევიან.

უცნობი მოლექსე ამბობს:

ასი კაცი ხელს უკრავდა, ვერ გაგვექცევი ვერსადო,
გაგარინის თავის წაცლა შენ დაგიჯდება ფასადო.

ქუჩაში ხალხის ნაკადი ისე მაგულობს, როგორც ადიდებული მდინარე. ყველა მურზაყანს აშტერდება. დედები შვილებს მაღლა სწევენ და უჩვენებენ:

— აი, ამან მოკლა მრისხანე ბატონი! შენც ასეთი ვაჟკაცი უნდა გამოხვიდე.

— დედა, განა მეორე გუბერნატორიც არის?

— ნახე, ნახე, რა ბეჭები აქვს! — ამბობს ვიღაც ულვაშებიანი, — დევს არ დაეჭიდება?

— ახლა თვალები ნახე, რაფერ აბრიალებს!

— სვანი ყოფილა.

—აქამდე ჭურში იყავი?

— საწყალს ალბათ ჩამოახრჩობენ!

— ვაი მაგისი დედის ბრალი!

სხვა ჯგუფი სხვა კილოზე ლაპარაკობს:

— გაგონილა? გენერალ-გუბერნატორი მოუკლავს!

— სიფიცხეში შემოკვდომია.

— ჰმ! სიფიცხეში! შენ რაგომ არ გაფიცხდი, იმ გენერალმა შვილი რომ ციმბირში გადაგიკარგა? ასეთ რამეს, ჩემო ბატონო, სიფიცხის გარდა სხვა რამეც უნდა, რაც ჩვენ არ გაგვაჩნია.

— მთავარს აბუჩად იგდებდა, ჩვენ რა ხეირის დაგვაყრიდა!

— მართალია, მართალი! გენერალს ბევრის დაჩაგვრა შერჩა და მაგან ყველა აზღვევინა.

— ველური სვანი! — თქვა რომელიღაც ღიპიანმა ვაჭარმა.

— ქართველი ვაჟკაცი! — შეუსწორა ნიკო ნიკოლაძემ. — მამულიშვილი, რომელმაც ფხა მოუსინჯა ძალმომრეობას!.. და ღიპიან მუქთახორობას!

მურზაყანი არწივის სიმაღლიდან დასცქეროდა ყველას და უკმაყოფილოდ მიმართავს სეირის მოყვარულებს:

— არ დამეხმარეთ, მაგრამ არც თქვენ დაგადგებათ კარგი დღე. ვიდრე ვეშაპი ერთს ყლაპავს, სხვები დამშვიდებით შესცქერით... ჰოდა, უცქირეთ, იქნებ ვინმე ყელზე დაადგეს...

მურზაყანს გაჩუმება ებრძანა.

გაჩუმდა. სვანთა ბატონი დიდი ხანია აღარ იძლევა ბრძანებებს.

მთელი ქალაქი ფეხით გადააგარეს და ჰაუპტვახტში ჩასვეს დაჭრილი მთავარი. ექიმები მიუჩინეს.

მეორე დღეს ილიანის და არდიშვილის გვამები ჰაუპტვახტთან ჩააგარეს და დადუშქულიანი გამოიყვანეს. მურზაყანი მდუმარე ხალხს ისე დასცქეროდა, როგორც ტყვეჩნილი ლომი, რომელმაც შეპყრობის დროს რამდენიმე მოძალადე დაფლითა. სინანულს არ გამოხატავდა მისი მზერა და ეს უკვირდათ მეფის მოხელეებს.

უსლარმა ჰაუპტვახტში ინახულა თავისი მგერ-მოყვარე. მურზაყანის ერთადერთი თხოვნა ეს იყო: ექიმებმა ხელი არ მომჭრანო.

გენერალ გაგარინის მოკვლის ამბავი დაუყოვნებლივ აცნობეს მთავარმართებელს. ბარიატინსკიც დაუყოვნებლივ ნიშნავს საველე სასამართლოს თავმჯდომარედ ბეგთაბეგოვს. ბეგთაბეგოვია სვანთა მთავრის მაჯული. ბეგსაც მოუნდა უკვდავება და აეკიდა დიდებას.

მურზაყანი მძიმე ჭრილობისაგან იგანჯება, სისხლისაგან იცლება, და ეს ხელს არ უშლის სასამართლოს, რომ საქმის გარჩევას შეუდგეს, რაც ყოველგვარი მართლმსაჯულების აბუჩად აგდებაა, ჰუმანურობაზე რომ არაფერი ვთქვათ.

ასეთი დიდი მასშტაბის დანაშაულიც ვერ

გახდა საკმარისი იმისათვის, რომ მეფის შუბლვიწრო მოხელეებს ალღო აელოთ თავიანთი უტაქტობისათვის და უფრო დინჯად, დაკვირვებულად ემოქმედნათ. მურზაყანს ჯერ კიდევ ვერ ამაღლებს მათს თვალში ასეთი ლომური ნახტომი, ვერ უხელს თვალს იმდენად, რომ აღიარონ, გათელილი ღირსების დაცვამ დაატრიალაო ეს ტრაგედია. ამიტომ ერთ დანაშაულზე მეორეს ამატებენ, იმავე გზით მიდიან, ჩქარობენ და სწრაფი შურისძიებით ცვლიან ბრძნულ წინდახედულობას.

ამ სიჩქარეში ვგულისხმობთ იმასაც, რომ ბრალდებულს დამცველად უნიშნავენ მოკლული გუბერნატორის მოადგილეს, ვიცე-გუბერნატორ ივანოვს, ვინც ის შეიპყრო, ვისაც ქვეყნად ყველაზე მეტად სურს მურზაყანის დასჯა. უარყოფილია მურზაყანის თხოვნა, ვექილად კოლუბიაკინი მინდაო. საბაბიც აქვთ: კოლუბიაკინი ქუთაისში არ იმყოფება, დაცდა კი არ შეიძლებაო. ან რას დაიცავდა კოლუბიაკინი! ქართველს ნატვრის თავი ვინ მისცაო, ტყუილად არ უთქვამთ.

ცხადია, ივანოვი დამცველი არაა, დამცველის როლს თამაშობს, და ისიც სწორედ იმ ერთადერთ სკამზე, სადაც შეიძლება სხვებმა გენერლის მკვლელი გაამართლონ. ვის იცავს ვიცე-გუბერნატორი? სად ვინ დაუცავს? თვითნებობა გრძელდება. ყველა აქტი გუბერნატორს ადიდებს და ამართლებს. მხოლოდ ხალხი ხედავს სიმართლეს და ხალხს „აქტებზე" დიდი მეხსიერება აქვს.

1857 წლის 4 ნოემბერია.

საველე სასამართლოს სხდომა ყრუ დუმილში იწყება.

საველე სასამართლოზე მურზაყანი წარდგა ისეთი, როგორიც იყო მუდამ: გულახდილი, პირდაპირი, უშიშარი და უეშმაკო.

— რისთვის მოკალით გენერალ-გუბერნატორი? — ეკითხება მართლმსაჯულება.

— მე არ მძულდა გაგარინი, — განაცხადა მთავარმა. — მოვკალი მხოლოდ მაშინ, როცა მოთმინებიდან გამომიყვანა და ვნანობ, რომ ასე მოხდა. სამწუხაროდ, არავითარი ანგარიში არ გამიწია, მომექცა ცივად და უზრდელურად, რაც ვერ ავიტანე, რადგან ყვირილი, მბრძანებლობა და დამცირება უცხოა ჩემთვის. ოდესღაც მეც მბრძანებელი ვიყავი, სვანეთის მთავარი, მაგრამ არასოდეს არ დამვიწყებია, რომ ჩემი ქვეშევრდომებიც ადამიანები არიან. ვიმეორებ, მე მაინც ვნანობ გაგარინის მოკვლას, რადგან ადრე თავაზიანად მექცეოდა, მის სახლში პური გამიტეხია, და დღემდე ამის გამო გონს ვერ მოვსულვარ, იმდენად ვწუხვარ. სულ სხვა საქმე იქნებოდა, რომ უსლარი და ბართოლომეი მომეკლა. ამ გველებმა გამიშრეს სისხლი, მომიწამლეს სიცოცხლე, შემიგინეს სვანეთი, შეაცდინეს გაგარინი და სიმართლის ხმა დაფარეს თავიანთი სისინით. ვწუხვარ, რომ ზეციერმა არ მაღირსა მათზე გამომეცადა ჩემი ხანჯლის ფხიანობა. არდიშვილმა და სხვებმა ძალად მომაკვლევინეს თავიანთი თავი. მე რომ ისინი არ მომეკლა, თვითონ მომკლავდნენ. ყველას ცოდვა დაეკისროს უსლარს, რომელმაც ამდენი უბედურება დაატრიალა.

მურზაყანს მშვენიერი, მეფური სახე ოდნავ დაუღმიჭა აუტანელმა ტკივილმა, მაგრამ მაშინვე ისევ გონს მოეგო, მარცხენა ხელით შეიწმინდა სიმწრის ოფლი, თავი ისევ ამაყად ასწია და თითქოს სადღეგრძელოს ამბობსო, ისე ლაღად განაგრძო:

— მე არ მიმიყენებია გაგარინისათვის იმაზე მეტი ტკივილი, რაც თვითონ მომაყენა. ახლა ბარიბარს ვართ. მაგრამ რაც მოხდა, უკვე მომხდარია. ყველაფერი ღვთის ნებაა. არაფერს ვითხოვ, გარდა იმისა, რომ ყველა გაუფრთხილდეს ადამიანის გულს, ნუ შეეხებიან მას უხეშად და მხეცურად ის ბატონები, რომლებიც ჩვენ გვეძახიან უხეშ მხეცებს, თვითონ კი ადამიანს ტყავს აძრობენ და ქათქათა ცხვირსახოცებით იგრილებენ ფერუმარილიან სახეს, რომ სისხლის სუნი არ ეცეთ, ისეთი ფაქიზნი და განათლებულნი არიან. ფრანგული იციან! ნუ მოექცევიან სხვას ისე, როგორც მე მომექცნენ, თორემ ჭიას რომ ფეხს დაადგამენ, ისიც ხმას ამოიღებს. მე დავასრულე. სიკვდილის არ მეშინია. ვიცი, რაც მელის. მაგრამ შოთას ვიმოწმებ: სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო. მეც ნაძრახ სიცოცხლეს წელგამართული სიკვდილი ვარჩიე და რაც გენებოთ, ის მომისაჯეთ.

„რაც გენებოთ, ის მომისაჯეთ!" — ეს ახალი გამოწვევაა. ასე ვინ ლაპარაკობს? ეს კაცი ისევ განაგრძობს ხელმწიფე-იმპერატორის მოხელეთა აბუჩად აგდებას. მით უარესი მისთვის. მალე გაიგებს, რომ ახლა სვანეთში არ არის.

სამხედრო-საველე სასამართლომ მურზაყან დადეშქელიანს დახვრეტა მიუსაჯა. მთავრის დღები დათვლილია, მისი სამთავრო—განაწილებული. რამდენიმე დღის შემდეგ დასახვრეტად გაიყვანეს. როგორც სიკვდილის განაჩენს, ასევე დასჯას მურზაყანი შეხვდა მშვიდად და ამაყად, არა როგორც დაჩოქილი მოწამე, არამედ როგორც ქედმოუხრელი ვაჟკაცი, რომელიც სძლიეს, მაგრამ ვერ გატეხეს.

მის სილამაზეში არის რაღაც ველურ-პირველყოფილური, მის არისტოკრატიულ გამოხედვაში იგრძნობა არა მარტო მემკვიდრეობითი ქედმაღლობა მთიანი მხარის კანონიერი მთავრისა, არამედ ქედუხრელობა მრისხანე

ბუნების ამაყ შვილთა, თავიანთ თავმოყვარეობას რომ აფასებენ ყველაზე მეტად და აყენებენ მას თეთნულდის სიმაღლეზე. მთელს მის არსებაში გამჯდარა სიამაყე და შეუპოვრობა, თითქოს მთების სული ჩამოჰყოლია.

ღიმილით უშვერს მკერდს ტყვიას, ძველებურად შუბლნათელი, და ამ ღიმილშია ჩაქსოვილი სვანი კაცის სიამაყე, ქართველი კაცის თანდაყოლილი სიმტკიცე და ზიზღი სიკვდილისა, რაც ძალადობამ სიცოცხლის შუაგზაზე შეახვედრა.

ხალხმა ასე უკვდავჰყო ბუმბერაზის აღსასრული:

თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა
ძველებურის ფერზედაო,
ხუთი ტყვია შუბლში დაჰკრეს, ათჯერ
მეტი ფერდზედაო.
პირისახე უცინოდა, ისევ იდგა ზეზედაო.

თორმეტი ტყვია მოხვდა. მეთორმეტე ტყვიამ გადაჭრა თოკი, რითაც სვეტზე იყო მიბმული და გოლიათის სხეული იქვე წინასწარ ამოთხრილ ორმოში გადავარდა, ისევ ისე თავისუფალი, როგორიც იყო სიცოცხლეში ეს საოცარი კაცი. ტაძრის სვეტის წაქცევას ჰგავდა მისი დაცემა, და სამთავროს ტაძარიც ზედ დაემხო მის სამარეს.

„ჩემი თვალით დავინახე, როგორ გადაბრუნდა სამარეში ამ ბუმბერაზის ტანი", — იგონებს ნიკო ნიკოლაძე. დაცხრილულმა ვაჟკაცმა სახე ცას მიაპყრო და ასე ადამიანურად განუტევა ზვიადი სული. დიახ, ის ზეზეულად მოკვდა, როგორც ვაჟკაცს შეშვენოდა, და რაღაც ამოუხსნელი ძალით გასწორდა სამარეში, ვიდრე მიწას დააყრიდნენ. თვით სიკვდილი ვერ ერეოდა ამ საკვირველ კაცს.

ასე უაზროდ დაეცა სვანეთის უკანასკნელი მთავარი, მეფის მოუქნელი ჩინოვნიკური აპარატის უნიჭობის, ცივი ოფიციალური ტონისა და სამხედრო რეჟიმის მორიგი უსარგებლო მსხვერპლი. ბედი ბრმა სახედარია, მას ადამიანები, პრინციპები და სისტემები დაატარებენ.

ის არ იყო გმირი, მაგრამ ძალადობასთან პირისპირ შეყრამ უსამართლობასთან მებრძოლ გმირად აქცია. დესპოტურ წყობილებასთან შეხვედრამ მიჩქმალა მისი მაღალი წოდებრივი მდგომარეობა და გამოავლინა უფრო ძვირფასი რამ — მისი ადამიანური ღირსებები. მურზაყანი არ იყო მისი გვარის გულმხეც მებატონეთა უმეტესობასავით ძლიერთან ქედმოხრილი, სუსტთან ამპარტავანი და წვრილმანი ოჯახური შუღლით ანთებული მბრძანებელი, არამედ ლაღი ვაჟკაცი, რომელმაც თავისი ღირსება არავის გაათელვინა.

„მურზაყან დაჩქელიანის ქება, განთქმული ქვეყანაზეო..." — ასე დარჩა ხალხის ხსოვნაში მურზაყანი.

მართალი გამოდგა დადეშქელიანი: გენერალზე გვიან დატოვა ქუთაისი. ყველა დუმდა. მხოლოდ ერთმა მსახიობმა თავისთვის ჩაილაპარკა: — ის ცხოვრობდა როგორც ღმერთი და მოკვდა, როგორც კაცი!

— ვაი დედასა, რა ვაჟკაცი ჩადის მიწაში! — თქვა ერთმა მჭედელმა და ზიზღით შეხედა თოფიან ჯარისკაცებს.

საფლავში სწრაფად ყრიდნენ მიწას, თითქოს ეშინოდათ, არ წამოიწიოსო ამ მთა-კაცმა.

და ის დადუმდა, ისე რომ არ ჩაჰყოლია დარდი, ჯავრი და შურისძიების შიში.

გავიდა ორი დღე. პეტერბურგიდან მეფის ბრძანება მიიღეს: ხელი არ ახლოთო დადეშქელიანს. ჩანს, იმპერატორს მოეხასიათა ამ დევკაცთან შეხვედრა. მაგრამ გვიანღაა. მისი გადარჩენა არ შეუძლია არც მეფეს, არც ღმერთს, რომელსაც სიკვდილის წინ ევედრებოდა. ვინ იცის, რა მომავალი დაკარგა ამ გულფიცხმა მთიელმა — უასპარეზო გმირმა!

ეკატერინე გაგარინს ელოდება და საზარელ ცნობას იღებს: „სვანმა კონსტანტინე დადეშქელიანმა საკუთარ აპარტამენტებში სიფიცხით მოკლა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გაგარინიო?"

უფრო სასურველ ამბავს სამეგრელოს ქვრივი დედოფალი ვერც მიიღებდა. „შერჩეს მარჯვენა ჩემს მურზაყანსო! — თქვა თავისთვის, — მხოლოდ იმან ასწავლა ჭკუა ჩემი ობლების დამჩაგვრელსა და მოძალადეს, მე კი ასე უსამართლოდ მოვექეცი ერთადერთ ვაჟკაცს, რომელიც საქართველოში გამოჩნდა".

ასე ფიქრობდა ეკატერინე დედოფალი, მაგრამ სიტყვით კი მოკლული ცამდე აჰყავდა, ნუგეშის სიტყვას ვერ პოულობდა, რადგან ბედის ახირებამ ამ დროს მასთან მოახვედრა გაგარინის მეუღლე ტასო ორბელიანი. ანუგეშებდა და თან ფიქრობდა: „აი, მეც ფარისეველი ვარ. მხოლოდ დადეშქელიანი გამოდგა პირდაპირი".

— რა ბედი ეწია მურზაყანს? — ეკითხება საკუთარ სამყოფელში განმარტოებული ეკატერინე შიკრიკს.

— მურზაყანი შეპყრობილია, დედოფალო. ამბობენ, ჩამოახრჩობენო.

— მიჰქარავ! ვის დააჯერინებს თავს მურზაყანი! ჯაჭვის მწყვეტელი ბუმბერაზი!

— სიმართლეს მოგახსენებთ, დედოფალო.

„ასე თანდათანობით სწორდება მთა და ბარი!" — ფიქრობს ეკატერინე და მსახურს ხელით ანიშნებს, ნება გეძლევა წახვიდეო.

მურზაყანის მამული ხაზინის საკუთრება-

ში გადადის, მისი ცოლ-შვილი მეფის ნებით სვანეთიდან გადაასახლეს, თუმცა მეფური საზღაურიც მიეცათ: 150 ათასი მანეთი. მის კარ-მიდამოს ეპატრონება მეფის უნდილი ლაქია, ყოველგვარ ადამიანურ ღირსებასა და თავმოყვარეობას მოკლებული თენგიზ დადეშქელიანი.

ასეთია ამ საქმის ბოლო.

მაგრამ ყოველი საქმის დასასრული მეორის დასაწყისია. სვანეთის უკანასკნელი მთავრის ხანჯალი იმპერიის ყველა გენერალ-გუბერნატორს მოხვდა — მუცელში კი არა, შიგ გულში.

„მურზაყანის კაზუსი" სალაპარაკო საგნად იქცა თვით სამეფო სენატში.

უსლარი გენერალ კარლჰოფს არაერთხელ სწერდა, რომ მკვლელობა დადეშქელიანების მემკვიდრეობითი ზნეობრივი სიმახინჯეა, რალაც მონომანია. მისი აზრით, მკვლელობა არც წინასწარ განზრახული იყო და არც მომზადებული. სიფიცხის მოზღვავებამ დაავიწყა მორიდება და ჩაადენინა მკვლელობა. სვანები ფიცხნი არიან.

ესაა წერილები ჩვეულებრივი მოკვდავისა, რომელიც ზოგად კანონთა ჩარჩოში აქცევს გმირული ენთუზიაზმით ნაკარნახევ ეპიზოდებს. დადეშქელიანები რომ იარაღისა და შხამის გრიალში არ ჩამორჩებოდნენ სხვა მთავრებს, გრაფებსა და ჰერცოგებს, ეს ცნობილია, მაგრამ მურზაყანის პიროვნებაც და გენერალზე მისი თავდასხმაც სულ სხვა რანგის მოვლენაა, რამაც ერთხელ კიდევ ყველას აუხილა თვალი და დაანახა მეფის უტაქტო მოხელეების სიჩლუნგე. სოციალიური სარჩული აქვს ამ „კაზუსს", ადამიანის ფიზიკური თავისუფლების საქმეს შეეწირა მურზაყანი. ხალხს, რომელსაც ასეთი გმირები არა ჰყავს, არა აქვს ისტორია.

უფრო შორსმჭვრეტელი თანამედროვეები გაგარინის მკვლელობას ადარებენ ციციანოვის, ლაზარევის, პუზირევსკის, გრეკოვის და ლისანჩევის მკვლელობებს.

ასე იყო თუ ისე, მურზაყანის მახვილმა დააფიქრა იგივე მეფის მოხელეები. ისე იოლად ველარ ბედავდნენ სვანეთის ღირსებათა ხელყოფას. როცა თენგიზ დადეშქელიანმა მოინდომა თავისი ბიძაშვილების, ბეჩოს მბრძანებელთა თავიდან მოშორება, ხელისუფალთ ეს განზრახვა სისრულეში ერთბაშად ვერ მოჰყავთ, თუმცა დამაჯერებელი საფუძველი აქვთ: რუსეთს გაწვეულმა ოთარმა, ბეჩოს ბატონმა, ბახსანის ბატონის ურუსბიევის ასული შეიყვარა, ცოლად შეირთო, იქვე დარჩა და მაჰმადიანობა მიიღო.

საწყენ შემთხვევას აზვიადებენ და ბერავენ.

— ოთარის გამაჰმადიანება მხოლოდ დასაწყისია, — დაასმინა თენგიზმა, — მალე მთელი ბეჩო და სვანეთი მაჰმადის რჯულს მიიღებს. უნდა გადავასახლოთ ბეჩოს ბატონები სვანეთიდან!

ასეთი გონივრული წინადადების საწინააღმდეგო რა უნდა ჰქონოდა ქრისტიანული იმპერიის მბრძანებელს? თხოვნა მილებულია, განკარგულებაც მზადაა. მაგრამ აქ სისულელეში სიბრძნის ხმა ერევა: „ეს კარგი, მაგრამ მურზაყანის კაზუსი დაგვავიწყდა?"

მურზაყანი! ამ ერთმა სახელმა ისეთივე შთაბეჭდილება მოახდინა სენატის წევრებზე, როგორიც სოლონის ხსენებამ ტირან კრეზუსზე. არა, ეს ამბავი არ უნდა გამეორდეს. იმპერიას ისედაც ბევრი სიძნელე აქვს.

ამრიგად, მაშინ ეს საქმე გადაიდო. მხოლოდ გვიან, როცა მეფემ სვანეთში მტკიცედ მოიკიდა ფეხი, თენგიზის შვილებმა ოთარმა და თათარყანმა არქივი გადაქექეს და მთავრობას მამის დაწყებული საქმე სისრულეში მოაყვანინეს.

გენერლის მკვლელი არქიელის გორაზე მიაბარეს მიწას. შემდეგ აქ მისმა მეუღლემ წმინდა გიორგის ეკლესია ააშენა.

ქვითინით დაიჩოქა აფხაზთა მთავრის ასულმა საყვარელი ქმრის საფლავზე და არაფერი უთქვამს. რა უნდა ეთქვა? ყველაფერი უკვე თქმული იყო.

კონსტანტინე არ დაუკრძალავთ საზეიმო ვითარებაში, მაგრამ მთავრის დასაკრძალავად მისი ქვრივისათვის განკუთვნილი ფულიდან მეფური ბრძანებით სამი ათასი მანეთი გამოიყო.

მეფემ წყალობის თვალით შეხედა დახვრეტილ გოლიათს, უასპარეზო გმირს, რომლის მიმართაც სიცოცხლეში ყრუ იყო მთელი ქვეყანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბულგარული პოეზია

## დამიან დამიანოვი

### ვედრება

შესდექ! მოიცა! ვიდრე წახვალ, ვიდრე დამტოვებ,
ვიდრე გახვალ და ოთახის კარს გაიჯახუნებ, —
გთხოვ, ჩემგან ყურად ეს მუდარა იღო მარტოდენ:
უკანასკნელად შენი ცხელი ტანი დამხურე!
შეგმატებს რამეს, — მე რომ უცბად სული ამომხდეს?!
დარჩი!
რა მოხდა?!
არ მინდა ჩემგან წახვიდე ისე, —
ერთხანს ერთ ჭერქვეშ ცხოვრების ნიშნად, —
დიდი სიამის არ შემქნა ღირსი, —
და შენი მსგავსი შვილი არ მიშვა.
ავადმყოფურად მეშინია მე ამ ჯურღმულის, —
შენს შემდეგ ყოფნა უნებლიედ მომელის სადაც...
ამიტომ ნუ ხარ ისე უგულო, —
ცოტაც მოიცა და მერე წადი.
მიწაზე დამცემს ოლესავით სიბერე როცა,
და წლები დენას დაიწყებენ, როგორც ღელენი...
ბრმა და მოხუცი რომ გავხდები, ვით ჰომეროსი, —
ასულმა ჩემმა შემაშველოს მინდა ხელები.
ქვეყნით ქვეყნამდე შვილმა ჩემმა მატაროს მინდა, —
სული მთავარი ამომივა გვამიდან ვიდრე.
დაბრუნდი, მოდი, ქალიშვილი მაღირსე ოღონდ! —
მერე მოიქეც, — გერჩიოს როგორც!
მსურს დედამიწა შემოვკორლნო მე მასთან ერთად;
კეთილი ვაქო, ბოროტი დავგმო,
მსურს ყველა ჩიტის ვისწავლო ენა, —
და მერე კაცის ენაზე ვთარგმნო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეპილოგი

ენარცხებიან დედამიწას კედლები ზათქით!
ჩემს შორიახლო გააჭვთ კლდეებს ლიწინ-ლიწინი!
მოულოდნელად სულმა ჩემმა შემოჰკრა ფრთა ფრთას, —
აიწია და გაექანა ცისკენ სიცილით.
მიფრინავს სული, —
გაჟღენთილი რწმენით და ცრემლით.
გამდიდრებული.
დღეის დღემდე უდარიბესი.
მიჰქშუის სული, და უეცრად ფრთას რომ აძგერებს, —
ბალავრებითურთ ანგრევს კედლებს მწუხარებისას.
და მიჰქრის სული,
საოცარი სისწრაფით მიჰქრის, —
ჭიმჭიმელს უნდა გაუსინჯოს რამეთუ გემო...
ნავარდს სულისას
ხავსიანი ქონგური ციხის
შესჩერებია დამცინავად ქვემოდან ზემოთ.
მაგრამ ამ ქონგურს სული მალე უტირებს ყოფას, —
ერთს გაეხლება და მაშინვე ჭირს მოგჭამთ იგი.
აბიბინდება ნაციხარზე ჯეჯილი ქორფა,
მიწას ოცნება დაეფრქვევა, ვით თოვლის ფიფქი.
და, სადაც იყო ჩვენთა ძველთა ციხეთა ნაშთი, —
გაიზრდება ხოდაბუნი, — ზღვასავით პაშტა.
ეს უნდა შევძლოთ,
ვინაიდან ძალუმად გვინდა,
ეს უნდა შევძლოთ,
შეგვეწია უკეთუ ჟინიც,
და თუ ვერ შევძლებთ, —
თავდაყირა დავეშვათ ციდან
და ტინზე, როგორც არწივებმა, შევასხათ ტვინი.
კედლები მიწას ენარცხება.
მზე სუფევს მუდამ.
გული როგორღაც უხმაუროდ ბუხუნებს ახლა.
ორწოხი ბრძანებს:
ის არწივი ასცილდა ბუდეს! —
თავისი თვითონ მიმოლეწა რომელმაც სახლი.

ᲓᲝᲑᲠᲘ ᲥᲝᲩᲔᲕᲘ

# ᲓᲘᲝᲒᲔᲜᲘ

წავაწყდი ბაღში.
იწვა მოლზე.
ეძინა ტკბილად.
პატივისცემით ხაზგასმულით დავქაჩე მკლავზე:
— ხარ ბრძენთაბრძენი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გკითხოს კაცმა! —
სად დაწოლილხარ! —
გაცივდე, გინდა?!

ისე ყოჩაღად წამოდგა ბრძენი! —
ვთქვი:
--- ცხადია, თუ სიზმარი ნეტა!?
არა!
როგორი საქმეა, ბრძანეთ,
ფეხზე ბიჭივით წამოხტეს კაცი, —
ოცი ჰკიდია საუკუნე რომელსაც მხრებზე
(თუ მეტი არა)!

გაოცებისგან წამერთვა ენა.
სხვა ვერაფერი მოვახერხე
და ესღა ვკადრე:
— თუ ნახე მეთქი კაცი იგი, —
ეძებდი ვისაც?!
— ეჰ, თურმე კაცის არ ყოფილა ადვილი პოვნა! —
წაიბურდღუნა.
ფარანს დაწვდა თავისას მერე
და გზას საკუთარს გაუდგა დინჯად.

გამოვედევნე დიოგენს უკან.
ვწვდი მოწიწებით მარცხენა ხელზე:
— ბოდიში, მაგრამ, უნდა გითხრა, —
დღეს შენი ფარნით —
კაცი კი არა,
ვეჭვობ, კაცის იპოვნო ლანდი!
დღეს, გენაცვალე, საუკუნე ჩახჩახებს შუქის.
დრო, შენ რომ გახსოვს, —
სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს.
თუმც, რაღა ბევრი გავაგრძელო,
ცოტახანს დარჩი
და საოცრების შენ გახდები მხილველი თვითონ.

ჩავჯექი ტაქსში და, ასეთ დროს, ვითარცა ჯერარს, —
(როგორც სჩადიან ნაწარმოებს როს თხზავენ მხატვრულს),
ჯიბიდან ხელად პროჟექტორი დავაძრე ხელის
(ქვეყნად ასეთი პროჟექტორი არაა თუმცა, —
მაგრამ რა ვუყოთ, არც თუ დიდი ეს არის ცოდვა!—
პოეტი თუ ხარ, ბავშვი თუ ხარ, ან თუ ხარ გიჟი, —
რაც თვითონ გინდა, — ყველაფერი არსებობს შენთვის).

თვალი, რომ ჰკიდა პროჟექტორს ბრძენმა,
განცვიფრებისგან, როგორც ხდება,
ჯერ დარჩა სახტად, —
მერე ხელიდან გამომტაცა ხელსაწყო შუქის
და გზა თავისი განაგრძო ცეკვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახარებული ვიდექი ბაღში.
ვფიქრობდი:
— აი, ბაჯაღლო კაცი! —
ახლა კი იგი ადამიანს იპოვნის ნაღდად!

## რობოტთან შეხვედრა

გამომიწოდა რობოტმა ტორი
და მეუბნება უვნებო სახით:
— სალამი,
მე ვარ მერმისი შენი!

— ძალიან კარგი! —
ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი.
უცებ მერმისი შეტორტმანდა
და მითხრა ასე:
— ერთმანეთს, მჯერა, ჩვენ ყველაფერს გავუგებთ მუდამ, —
ხარ მოაზროვნე შენც ჩემსავით მანქანა რადგან.

ვყოფილიყავი გადავწყვიტე თავხედთან ზრდილი
და მისგან თქმულის შესწორება შეპარვით ვცადე:
— კი, ჩემო კარგო, ხარ მაგაში ცათამდე სწორი,
ოღონდ მე, კიდევ, მოაზროვნე მანქანის გარდა, —
ვარ მგრძნობიერიც,
ვინაიდან გრძნობაც მაქვს ცოტა.

გამოეხატა გაოცება სახეზე რობოტს, —
წამოიზლაზნა უცბად სამი ანტენა მისი, —
კითხვის ნიშნებად გამიშტერა სამთავემ თვალი:
— რა არის გრძნობა?

„გრძნობა რააო?"
ო, ღმერთო ჩემო! —
გრძნობა, — გრძნობაა! —
რა გითხრა მეტი!

მყის აციმციმდა ნათურები რობოტის მკერდში,
აუთახთახდა სხეული რკინის;
რეაქციები ქიმიური და შუქთა მწკრივი
უცხოს მგლებივით ეძგერენ სიტყვას:
— გრძნო-ბა!
არ მესმის!
არ არსებობს მაგვარი ნივთი!..
სიცალიერეს იძლევა სფერო!

გავჯავრდი, —
სისხლმა ამასხა ტვინში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კი, მაგრამ როგორ?! —
აი გრძნობა!
(ხელს ვიდებ მკერდზე);
თუ არა გჯერა! —
დამადე ხელი!

ჩემი მკერდისკენ წამოიღო რობოტმა ტორი,
და ისე მაგრად დამაჭირა ზედ გულისკოვზზე, —
სიმწრისგან ცრემლი გადმოვყარე თვალთაგან ცხარე...
— ეგ, რაღააო? —
ცრემლზეც როცა დამისვა კითხვა! —
მოთმინებიდან გამოვედი სავსებით უკვე:
— რაა და ცრემლი! —
შევძახე მქისედ —
გრძნობის კრთ-ერთი ხილვადი სახე.

## ორი ბიჭი

გზაჯვარედინზე, —
საგიჟეთის ფანჯრების გასწვრივ,
შეშლილი შეხვდა ერთმანეთს ორი.

პირველმა (თმა რომ უგავდა ჯაგრისს)
პირზე სალოკი მიიდვა თითი
და, ირგვლივ ცქერით, მეორეს ჰკითხა:
— მღილო, იმედი თუ გაქვსო ცოტა?

მეორემ პირველს დაუყოვნა პასუხი როდი;
პირველისაკენ დაიხარა მაშინვე იგი,
ყურზე უფსკეროს მოარგო პეშვი
და საყვირივით ჩასძახა ყურში:
— ო, როგორ არა, რამდენიც გინდა!

პირველმა პირზე დააფარა მეორეს ხელი,
გამოიწიწკნა ორი თითით ყანყრატო ლამის:
— იწამე ღმერთი!
აღარ გინდა იმედი მეტი! —
რაცაა კმარა!
ღმერთმანი, კმარა!
ქვეყნად იმედი დაგროვდაო იმდენი უკვე, —
თუნდ სულ ერცასე იმედიც რომ დაერთოს კიდევ, —
ველარ გაუძლებს დედამიწა სიმძიმეს ამდენს, —
გადაუტყდება, შენ ხარ ჩემი ბატონი, ღერძი, —
უფსკრულებისკენ დაქანდება ერთბაშად იგი, —
და მოდექი და უყარეო კაკალი მერე!
იწამე ღმერთი!
აღარ გინდა იმედი მეტი!
მიწაო საფრთხის წინაშეა ისედაც რადგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სწორი ხარ, სწორი!
დაუმოწმა მეორემ პირველს, —
ამიტომ ყველას ეგ სასწრაფოდ ვაუწყოთ უნდა!
მე წავალ მარცხნივ!
შენ წადი მარჯვნივ!
აბა, ჰე, ჩქარა!
და...
ერთი მარცხნივ,
მეორე მარჯვნივ
გადარეული შურდულივით ვავარდა ორი.

ვთხოვ, მომიტეოს, ნორმალური ვინცაა, — ყველამ,
მართალი გითხრათ, არ ველოდი მე ჩემგან ამას,
მაგრამ ასეთი საქციელი რომ ვნახე გიჟთა, —
უნდა გამოვტყდე, მეც უმალვე მოვკურცხლე სხვა გზით.

ევგიმ ევგიმოვი

## ცეცხლი

ყოველი კაცი სიკვდილამდე მსგავსია ცეცხლის;
მეც ცეცხლის ვიყო მსურს ნაპერწკალი.
ვიქნები ტალი,
დამეტაკე, ვითარცა კვესი, —
წამომაფრინე
ტალკვესიდან
როგორც მერცხალი.
ეპოქავ ჩემო,
შენ გეუბნები!
ეპოქავ ჩემო,
ძლიერო ერთობ! —
განავრცე შენი ჩემზეც უფლება, —
მეც მინდა ვენთო!

არ დამიკავო,
თუ გიყვარდე,
სულის შეძვრა, —
ამაბრიალე ჭიაკოკონად!
მე ასე მინდა,
სხვანაირად მე არც შემფერის!
მე ასე მინდა,
დამაყარონ თუნდა ქოქოლა.

რაც იყოს-იყოს!
ცეცხლის ჩემის გახდი ფარეში!
შემომიკეთე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი, —
რაც შენ გაწუხებს!
ყავ სიყვარული,
ვინაიდან მე შენს გარეშე,
შენც არ მომიკვდე,
თაგვის სოროც ვერ გავაშუქო.

უფრო და უფრო ამიდუღე ძარღვებში სისხლი.,
დამქროლე მთელი შენი ძალღონით.
არ გამიმეტო,
ნუ დამივიწყებ, —
მუდარის ჩემის იყავ გამგონე.

რაც უნდა მოხდეს,
თუნდა ზეცა დამექცეს თავზე,
არ დაიჯერო,
არ იფიქრო არც ერთი წუთით, —
სიუხვეს შენსას —
მე უხამსი პასუხი გავცე, —
ჩემი ხელიდან გამოვიდეს
რაიმე ცუდი.

მერე კი, როცა საუკუნო წამიღებს რული,
როცა ჩავქრები სამარადისოდ,
შენ რომ საფლავში ჩამბერო სული, —
ცეცხლად ვიხუვლებ სამარიდანაც.

## ელეგია

შენ სასახლეში მეფისაში რომც იწვე ახლა
და თვალს ნაირფრად მოხატული გტაცებდეს ჭერი,
იმ წუთებს, —
ჩვენ რომ ფიჭვის ჭერქვეშ შეგვრევა თავსხმამ,
რომ არ ნატრობდე,
ტყუილია,
ვერ დავიჯერებ.
წვიმამდე ცაზე ვერ შევნიშნეთ ღრუბლის ნასახიც,
მე და შენ,
ნახსოვს,
ღელის პირას ვიჯექით უბრად,
იქ არაფერი არ ყოფილა მსგავსი სასახლის.
ეს იყო,
ბინდი შეტორტმანდა,
ვით ფარდა კუპრი.

სვეტნი რომც იდგეს შენს ბინაში მარმარილოსი, —
აღმოსავლური ჩუქურთმებით აჭრელებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ იმ ფიჭვნართან,
მათ სიტურფეს არც გაიოცებ,
კვლავ ტყეს ინატრებ, —
ვარ ამაში დაჯერებული.
მზე რომ გკოცნიდეს,
ნეტარების რომც იდგე ზღვაში,
შარავანდედად თავზე შუქი რომ გადგეს ჭაღთა,
მწამს, გირჩევნია,
იმავ ტყეში,
ვითარცა მაშინ,
თვალს გიჭუტავდეს ისევ იგი ვარსკვლავი ნაღდი.

თუნდ სარეცელზე ვერცხლისაზე შენ იყო მწოლი
და ოქროს ფინჯნით
თავთით გედგას თურქული ყავა,
არა მგონია,
არ გერჩიოს შენ იგივ მოლი, —
ჩვენ რომ ვიწექით,
შენ ჩემს მკლავზე რომ გედო თავი.
ვენტილატორი რომ გიმღერდეს ძილის წინ ნანას
და კელაპტარი ამბრის სურნელს აკმევდეს ცვილის,
ვერ დამაჯერებ,
არ გერჩიოს, რომ ქვენა ქარმა
მაშინდელივით მეყვსეულად გაგიფრთხოს ძილი.

და, ასე მუდამ მენდომება მე ყოფნა შენთან,
და, ასე ყოფნას შენ ჩემს გვერდით ინატრებ მარად,
იმ ჭერქვეშ —
არ ჰგავს ჩვეულებრივს რომელიც ჭერსა,
იმ სასახლეში —
უკარფანჯრო რომელიც არის.

## მწკლარტე ღვინო

ქიამარია, თუ გიყვარდე, იყავი ჭრელი,
და ცისკენ ჩემი ნებიდან ფრინდი,
და იქ მავანი დაიგულე ვარსკვლავი შენად,
რომ მზერა ჩემი
მისკენ რბოდეს —
ცოცხალ ვარ ვიდრე.
იყავი ელვა-იკანკელი და მეწამული,
დასტოვე ზეცის მუქლურჯი ერდო, —
დამატყდი თავზე, —
ამინთე სული,
რათა წკვარამშიც დღესავით ვენთო.
გადამისროლე თუნდ ცხრამთას იქით,
მომეპყარ ისე, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერჩიოს როგორც,
იყავ კეთილიც,
იყავ სასტიკიც, —
ნაღდი იყავი ყოველთვის ოღონდ,
დაე, მე მწარემ დამათროს ტრფობამ,
მეღვინეთაგან მსმენია რადგან, —
ღვინოს სიმწკლარტე უხდება ოდნავ,
დიაცთანია, — თუ მოტკბო დადგა.

## დიმიტრი მეთოდიევი

* * *

მიზიდავენ და მაგდებენ
შენი ლამაზი თვალები.
სიცოცხლე თუმცა მაკლდება,
ვარ მაინც შენკენ მარები.
და, რადგან ჩემთვის მარტოდენ
შენი სიტყვაა ბეჭედი;
გეტყვი:
— ბრძანდები ბატონი! —
როგორც კი მეტყვი:
— შეჩერდი!
ოღონდ,
მანამდე ლამაზო,
გენუკვი,
ნება მიბოძე, —
ვიარო,
ვიდრე ანაზდად
არ მივადგები მებოძირს,
რომლის შემდეგაც,
შენ იცი, —
გზა გაორდება ზიარი,
და ჩემი მკრთალი მერმისი
უშენოდ გაიწკრიალებს...

### Fin d'Oise

წარწერაროა:
Fin d'Oise*
მყისვე,
როგორც კი ამას მოაღწევს! —
მორჩა! —
ოაზმა მოგჭამა ჭირი! —
აქედან უკვე
მხოლოდ სენა
განაგრძობს ჯირითს.

უღმერთოდ სტყუის, ცხადია, სენა,
ოაზს როდესაც არწმუნებს ურცხვად:
— არ წაიშლება სახელი შენი! —
ერთ კალაპოტში ვიდენთო თუმცა.

გადაჭრილია ოაზის ბედი, —
მას აქ სავსებით ელება ბოლო.
საბედისწერო წარწერის შემდეგ:
— სენა და სენა! — გაისმის მხოლოდ.

დინება სენის გრძელდება ასე,
დაბოლოს ვიდრე მის ამაყ ზვირთებს
ოაზის ცრემლი არ გახდის მლაშეს
და ოკეანე არ შთანთქავს ვიდრე.

* პარიზში, იმ ადგილს, სადაც მდინარე ოაზი ერთვის მდინარე სენას, — არის წარწერა: „Fin d'Oise“ („ოაზის დასასრული“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პარმის სავანე

მინდა სავანე ვიპოვნო პარმის,
არ ვეპუები ურიცხვ სიძნელეს;
აქაურები ამიტომ ალბათ,
ცოტა არ იყოს, ეჭვით მიმზერენ.

არ მეგულება ამ ქვეყნად კაცი, —
ამ წმინდა წყაროს რომ არ ნატრობდეს;
არის პატრონი რამხელა განძის, —
ვერ დაუნახავს პარმელს მარტოდენ.

მოვრჩეთ! ვაჭრებთან კამათი კმარა!
ნურვინ იფიქრებს, — თითქოს ვაჭარბებ.
სავანე ვიდრე მეგულვის პარმის, —
ვარ უმდიდრესი ყველა ვაჭარზე.

## ნეფერტიტი

წრფელია ტრფობა ნეფერტიტო ჩემი შენდამი,
ენამზეობით, დამერწმუნე, თავს არ გაწონებ.
ყური არ უპყრა, ჭორაობენ რასაც ღაზონი,
ოკლიანები, ცნობილია, გულს ვერ ხედავენ.
სად არ ვეთრიე, მოვაღწევდი შენამდე ვიდრე,
საუკუნენი გადმოვლახე აურაცხელი...
რამდენჯერ დელგმას თმები ჰქონდა დაუვარცხნელი,
რამდენჯერ მთვარეს პირისახე უმწიფდა ყვითლად.

მე მახსოვს შენი ქედმაღალი თანამეცხედრე,
ერთიმეორეს რომ გაგვაცნო, ის იყო სწორედ...
იმდენად თვისად მას სიტურფე მიაჩნდა ცოლის, —
ცოტა არ იყოს, ხასიათი მისი მემცხეთა.
მარცხენა ბეჭზე მიწყივ გეჯდა შენ კუპიდონი.
მეუღლემ შენმა შენზე ბრძანა: — გამოძერწეთო!
და დღეს ჩემია შენი ტანი ლორთქო, წერწეტი,
მყავდა რადგანაც პაპისპაპისპაპა სკულპტორი.

გეალერსები უთვალავი ეპოქის შემდეგ,
ჯერ კიდევ როდის მხოლოდ ჩემად სახელდებულო...
და ყველა ღმერთის წინააღმდეგ ამხედრებული,
უფლებას ჩემსას, ნეფერტიტო, ვავრცელებ შენზე.
კერპი, რომელნიც შენ ძლიერნი გეგონა ყოვლად,
არ დაიჯერო, დარტყმას ჩემსას, რომ გაუძლებენ...
ოღონდ ეს კია, ოდეს გიმზერ, მზარავენ წლები, —
შემდგომად ჩემსა უეჭველად რომლებიც მოვლენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ოვადია

## კოშკი ავიგე

უზარმაზარი ავიგე კოშკი,
სიგრძივ დავტიხრე ქვიტკირის ბურჯი,
და მშენებლობას როდესაც მოვრჩი:
— არ მოვისვენე?! —
წარმოვთქვი გულში.

ლოდებს იმედით ვუმზერდი დიდრონს,
ხელებს ვიფშვნეტდი,
ვიძახდი ლხენით:
— ვერავინ,
ვინც მე არ მინდა თვითონ, —
აქ ვერ შემოვა, —
ეცადოს ბევრიც.

ვცხოვრობდი, როგორც უდაბნოს მწირი,
ჩემგან შორს იყო ქვეყნის ყაყანი,
ჩემს მიღმა წლების ვიდოდა სირა,
როგორც კვამლი და, როგორც აღალი.

ამგვარი რამე სმენილა განა?!
გავსკდები, აბა, რას ვიზამ, გულზე?!
შენ მხოლოდ ერთი წკიპურტი ჰკარი
და კოშკი ჩემი მტვრად იქცა უცებ.

## ერთ ლამაზ დილით

ერთ ლამაზ დილით,
როცა ფერი წაერთმის მთვარეს;
მე უჩვეულოდ მხიარული
გამოვალ
გარეთ.

მზე იკაშკაშებს.
ინავარდებს ცაში ფრინველი;
ტურფა იქნება
ყველაფერი
ჩემთვის პირველად.
გამეცინება.
არემარეს სიცილით ვეტყვი:
როგორ მიყვარდი,
ჭკუას როგორ ვკარგავდი შენთვის.

უეცრად, როგორც რიჟრაჟის ჩიტი, —
მთებისას მაღლით დავხედავ თხემთა
და იმისთანა სიმღერას ვიტყვი, —
არ მიმღერია როგორიც დღემდე.

## ს ი ნ ა ნ უ ლ ი

ტრფიალი ჩვენი, —
ბადალი ხომლის, —
ზიარი ეჭვით ასე რომ გაქრა!...
დანაშაული უფროა რომლის?! —
ჩემი თუ შენი?! —
არ ვიცი ახლაც.
შენ, კაცმა რომ თქვას ,თუმცა, რას გერჩი!
ისევ და ისევ: ვაი, ჩემს პატრონს! —
რას ვიშხამავდი სიცოცხლეს ეჭვით?!
არ გეხვევოდი ყოველდღე რატომ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი სვეჟინი

# თქეში

წვიმს უგამჩენოდ, —
ყველაფერი წყალში ტივტივებს;
არ გაიგდება ქუჩაში ძაღლი...
მე კი ამ თქეშში ისე მივდივარ, —
თითქოს დარია და არა წარღვნა.
ვერავის ვხედავ, —
მიდიოდეს ჩემსავით ნელა.
სულმოუთქმელად
მიიჩქარის
სახლისკენ
ყველა.
მე კი ნაბიჯის აჩქარება ფიქრადაც არ მაქვს! —
თუნდ
დედამიწა
დაფაროს
წყალმა.
ცოტა არ იყოს,
ვამჩნევ,
ხალხი ეჭვით მიყურებს;
ჩანს,
იუცხოვეს საქციელი ჩემი ჯიქური.
მაინც სუყველა კეთილია ამ საღამოთი! —
თუ გინდ ის კაცი, —
ლუდხანიდან ძლივს რომ გამოდის,
და ვითომ მღერის...
გლისპია განა?!
რაო, ლოთია?!
რა უყოთ მერე?!
ეჰ, ვიცი, ვიცი, —
მთელით ჭკუაზე შექანებულად!..
მე კი ვარ მხოლოდ შეყვარებული.

ვიგო რაკოვსკი

# ექიმის ცოლი

გარდაეცვალა პროფესორს ცოლი,
ცოლის ცხედართან დგას პროფესორი;
ცრემლის არ უჩანს თვალებში წვეთი,
აქვს პირისახე ქაღალდზე თეთრი,
აქვს პირისახე ქაღალდზე თეთრი.

სახელგანთქმული ოპერატორი, —
ქვეყნად არა ჰყავს რომელსაც ტოლი;
ხშირად დილამდე ფეხზე რომ მდგარა,
ხელში რომ ბასრი სჭერია დანა,
სიცოცხლე ვისაც უხსნია ბევრის,

დღემდე რომელსაც არ სცვლია ფერი, —
გაფითრებული დგას იგი ახლა
თანამეცხედრის გაყინულ გვამთან.
ჭაღარაშერთულს და ძალზე კეთილს, —
აქვს პირისახე ქაღალდზე თეთრი,
აქვს პირისახე ქაღალდზე თეთრი.
ჭაბუკი იყო იგი ჯერ კიდევ, —
ქირურგიულში როცა შევიდა;
იმჟამად მხოლოდ ორმოცის იყო,
შიში პირველად იწვნია იმ დროს,
ევედრებოდნენ: — ექიმო, გვიხსენ!
გადაგვარჩინე, სიკვდილს ნუ მიგვცემ! —
ცოლსაც რამდენჯერ მიადგნენ კარზე,
რამდენჯერ უთხრეს მუდარით ასე:
— მოუცლელია თუმც ქმარი თქვენი,
გთხოვთ, ჩვენს ავადმყოფს მოჰკიდოს
ხელი, —
არაფერია, რადგანაც ვიცით,
შეუძლებელი ამ ქვეყნად მისთვის! —
ტელეფონების იდგა გნიასი,
რეკდნენ მეხუთედ, მეცხრედ, მეასედ.
დილამდე ენთო ოთახში ჭაღი, —
ყურმილს ეკიდა მთელი ოჯახი;
წიგნს კითხულობდა ექიმის ცოლი,
ვისღა ახსოვდა ძილი და წოლა, —
არ დარეკავდა ექიმი ვიდრე, —
და მისი დვრინი — რბილი და მშვიდი —
არ ჩაესმოდა მას სისხამდილით:
— ძვირფასო, ხომ არ გაგიფრთხე ძილი?!
გადავიქანცე, მოვდივარ უკვე,
კარგს იზამ, ჩაის დამიდგამ თუკი! —
და დგამს მეუღლე ჩაიდანს ხელად,
გამხიარულდა, აღარა ღელავს;
ჩაი ითხოვა რაკიღა ქმარმა, —
ოპერაცია ჩავლილა კარგად.
ანკი, ჯერ როდის მომხდარა თუმცა,
ოპერაციას ჩაევლოს ცუდად?!
მოუწყლიანდა პროფესორს თვალი, —
თითქოსდა ჟონავს დოქიდან წყალი.
იატაკს ცრემლის დაეცა წვეთი,
აქვს პირისახე ქაღალდზე თეთრი,
აქვს პირისახე ქაღალდზე თეთრი.
თურმე ავადმყოფს რომ კვეთდა მაშინ
მისი მეუღლე კვდებოდა სახლში,
და სიკვდილს მისას უმზერდა ჭაღი, —
იყურებოდა რომელიც მაღლით, —
და ჭაღმა იცის, ცხადია, მხოლოდ, —
ექიმის როგორ გათავდა ცოლი.

ტელეფონმა რომ დარეკა დილით, —
არ გაფრთხობია მეუღლეს ძილი.
უმალ მოიჭრა შინ პროფესორი
და ცივი დახვდა პროფესორს ცოლი.
ოპერაცია თუმცაღა ახლაც,
როგორც ყოველთვის, ჩატარდა კარგად.

ვინც მედიცინას ემსახურებით, —
გთხოვთ, მოიხადოთ ყველამ ქუდები! —
გაცივდა ქალი, ქირურგის დანას
ბევრჯერ შეჰმატა რომელმაც ძალა,
ქმარს უდუღებდა რომელიც ჩაის, —
თავისი მისცა ვინც ექიმს ჯანი,
ვინც თქვენს კოლეგას ღამეს უთევდა
დღემდე, აქამდე, ბოლო წუთამდე.

ვლადიმერ გოლევი

## საუბარი ჯერარშობილ ლექსთან

ვართ ერთმანეთის ამარა ორნი.
დაღამდა.
წვიმა გრძელდება გარეთ.
ფანჯრებს თქარუნით ასკდება თქორი.
რას მომისწავებ?! —
მითხარი ბარემ.

მოლურჯო ბოლში ტორტმანებს ბინა.
მოხაზულობა მიზიდავს შენი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით მექარავნეს
მირაჟის ბზინვა,
ოკეანისა
ვით მყვინთავს ფსკერი.

სიცოცხლის ფასად დამიჯდეს თუნდა,
მსურს და კიდევაც დაგითრევ ქვიშით;
წყალმცენარეთა შემოგხსნი ხუნდებს, —
სამყაროს ხილვას რომელიც გიშლის.

და აიჭრები ზეცაში ისე,
როგორც თოლია —
მომწყდარი ტალღას...
იმ გზას დაადექ, —
მე რომ გზა ვიცი, —
თუ გსურს შვილივით მიგიღოს ხალხმა.

ჩვენ ხომ დაღვრემილს ავცილდით ცოკოლს,
პოლიგონს ოფლის ვაღვარეთ წვეთნი,
გახსოვს ყოყმანში ვკვდებოდით როგორ!
როგორ ვდგებოდით ხომ გახსოვს მკვდრეთით?!

ერთმანეთს ცვლიდა მწარე და ტკბილი,
თავზე დაგვექცა რამდენჯერ ჭერი,
რამდენმა კედელს შეასხა ტვინი,
რომ ყოფილიყო ერთგული შენი.

შენ არ შემდრკალხარ არასდროს მაინც;
როგორც ჩნდებოდი,
ისევე ჩნდები.
შენა ხარ ჩემი ძილი და ცხადი,
ხარ და იყავი სიცოცხლე ჩემი.

შენ იშვიათად ახლოდან მიცქერ,
ცაში ვარსკვლავად ციმციმებ ხშირად,
ათას აზრებში რამდენჯერ გჩიჩქნე,
რათა მქცეოდი —
ჭირად ან ლხინად.

კვლავინდებურად თქარუნებს წვიმა...
თქვი! —
აღარ იტყვი! —
რა მოგაქვს ჩემთვის:
იქნები ჩემი ნანატრი შვილი,
თუ ქარიშხალში დაღვრილი ცრემლი?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

მოდი, იცრუე, მომატყუე, რაც იყოს-იყოს!
მითხარი, თითქოს კვდები ჩემთვის,
გიყვარვარ თითქოს,
თითქოს შენ ჩემზე ოცნებობდი ჯერ კიდევ მაშინ —
იყავი ოდეს სრულიად ბავშვი.

შენ ხომ სცენაზე წარმატებით ასრულებ ხშირად
ჭეშმარიტებას,
ცბიერებას,
სიცრუეს,
ღალატს...
თუ არა შენი, ვისი ნიჭის წყალობით ბრწყინავს
აურაცხელი ყოფითი დრამა?!

ვით შეყვარება, შეგიძლია გადაყვარებაც,
შენგნით ცოცხლდება სახე ურიცხვი.
და ყველაფერი, — იქ რაც ხდება, — სათაყვანოა! —
დასასრულიც კი...

ჰოდა, შენ, აბა, მოტყუება რად გიღირს ჩემი?
გამომეცხადე ჯულიეტად ერთ საღამოთი.
არ გადმომვარდეს, ვეცდები, ცრემლი.
რაც იყოს-იყოს, მომატყუე, იცრუე, მოდი.

ბულგარულიდან თარგმნა **მუხრან მაჭავარიანმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

# აფორიზმები, აზრები და სხარტული გამონათქვამები

მწერალთა და საქვეყნოდ სახელმოხვეჭილ სხვა დიდ მოღვაწეთა აფორიზმების ამოკრების, თავმოყრისა და ბეჭდვის ტრადიცია ჩვენში, როგორც ცნობილია, დიდმა ილიამ დაამკვიდრა. სხარტულ სიტყვა-თქმებს — აფორიზმებს, როგორც გონებრივი სალაროს გამამდიდრებელ საშუალებას, ყველა ადამიანი ეტანება და ამიტომ ისინი ხალხში ადვილად ვრცელდება.

ჯერ კიდევ 1883 წელს („ივერია“, 1883 წ. № XI, გვ. 62) დაიბეჭდა აფორიზმები „ამოკრეფილნი ვეფხის ტყაოსნიდამ“, „ქილილა და დამანიდამ“ და „გურამიანიდამ“. მას შემდეგ ცალკე წიგნად გამოვიდა „დამაკვირდი“, 1887 წ. ამას მოჰყვა: „საანდაზო ლექსების“, ილიას „სხარტულას“, აკაკის „ნაკვესების“, ვაჟას „აფორიზმების“ და სხვათა გამოცემები.

ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია მკითხველს სთავაზობს ჩვენი სასიქადულო მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებებიდან ეთერ ყიფიანის მიერ ამოკრებილ აფორიზმებსა და სხარტულ გამონათქვამებს.

სიბერეში თვით მოღალატესაც სამშობლო მოენატრება. ტ. I, გვ. 22.

შლეგს სისულელეში თუ დასტური არ მიეცი, მტრად მოიკიდებ. ტ. I, გვ. 22.

ხანდახან მოენის იმასაც ეშინია, ვინც არავის არ ერიდება. ტ. I, გვ. 58.

ვინც გამოცვლილა, იგი გადაგვარებულა კიდევაც. ტ. I, გვ. 64.

მხოლოდ მოკლე თქმაში გამოჩნდება ოსტატი. ტ. I, გვ. 64.

სისხლი წყლის წვეთსა ჰგავს, წვეთს გამოუშვებ და ზღვა გამოჰყვება. ტ. I, გვ. 69.

სადაც დიდი ასპარეზია, იქ მოასპარეზეც მრავალია. ტ. I, გვ. 89.

სხვის ბაღში თურაშაულის დარგვას, საკუთარში მაჟალოს დათესვა გერჩიოს. ტ. I, გვ. 89.

უმშვენიერესი სახლი ისაა ამ ქვეყნად, რომელშიაც გულის შენის მიჯნურსა სძინავს. ტ. I, გვ 125.

ჯიშიანი ცხენები გაცილებით უფრო ადრე იხვეჭენ სახელს, ვიდრე მწერლები. ტ. I, გვ. 126.

თქმა ჟანგს აცლისო კაცის გულს. ტ. I, გვ. 196.

თუ ქალის გულის მონადირება გინდა, მომეტებული ყურადღება არ უნდა მიაქციო. ტ. I, გვ. 200.

კარგია, შენს გამარჯვებას სხვა რომ აუწყებს სხვას. ტ. I, გვ. 201.

ყოველი ყბედი მოიწყენს ხოლმე, როცა მას თამადად, ორატორად ან თავმჯდომარედ არ აირჩევენ. ტ. I, გვ. 215.

ისეთი ბრძენნიც არიან ამ ქვეყნად, რომელთაც არც ბრძნული რამ უთქვამთ ოდესმე, არც გაუკეთებიათ, მაგრამ ბრძენის სახელი მოუხვეჭიათ, რადგანაც თავიანთი სისულელის გამხელას დუმილს არჩევენ ხოლმე. ტ. I, გვ. 225.

სილამაზეს დიდებულს ხანდახან სჩვევია: შიშისმომგვრელი ზეგავლენის მოხდენა.

მხოლოდ თავხედი არ ეკრძალება მას ასეთ წუთებში. ულამაზესი უმამაცესს კი არა, უთავხედესს შეხვდება ხოლმე. ტ. I, გვ. 228.

გადარეულს ჭკუათმყოფელიც გადარეულად ეჩვენება. ტ. I, გვ. 247.

სიყვარული ენგურის თაფლსა ჰგავს, თუ ბევრი ინებე, უთუოდ მოიშხამები. ტ. I, გვ. 290.

ძერის ბახალამ რაც უნდა ინანოს, მტრედის მართვე მაინც ვერ გახდება. ტ. I, გვ. 310.

ჩვენი ცხოვრება წვრილმანზე წვრილია. ტ. I, გვ. 457.

ქალს სწორედ ისეთ დროს უნდა წაავლო ხელი, როცა იგი ჭოჭმანს მოყვება. ტ. I, გვ. 456.

ზოგიერთი კაცის ცხოვრება უნიჭო მწერლის რომანსა ჰგავს, ჩაათავებ და იტყვი: ნეტავი არ წამეკითხაო. ტ. I, გვ. 463.

დროს ვერავინ და ვერაფერი უძლებს. ტ. I, გვ. 554.

ჩვენ შორეული და მიუწვდომელი გვიყვარს მუდამ. ტ. I, გვ. 560.

ვაი იმას, სიყვარული ვინც დაჰკარგა, ვისაც განგებამ მიუსაჯა მარტოდ დარჩენა. ტ. I, გვ. 574.

სიყვარული რომ არ გაჩენილიყო, სიძულვილი უთუოდ წალეკავდა ქვეყანას. ტ. I, გვ. 618.

არაფერი ისე არ აჩენს კაცის ბუნებას, როგორც საგნები. ტ. I, გვ. 627.

ქვეყნის დამქცეველ ავაზაკსაც ისეთი მართალი სახე აქვს ძილში, თითქოს ჩვილი იყოს აკვანში ჩაკრული.

ძილში ყოველ ადამიანს ყრმისა და მიცვალებულის ალალ-მართალი სახე აქვს. ტ. I, გვ. 649.

სიყვარულს სჩვევია ასე, გონებას უბნელებს გამიჯნურებულთ. ტ. I, გვ. 673.

მენავეებსა და მონადირეების მოდგმას ხმამაღალი ლაპარაკი სჩვევია. ტ. I, გვ. 22.

თქმისაგან იშხამება ნათელი შეგნება. ხანაც თქმა მწუხარება აორკეცებს. ტ. II, გვ. 39.

ვისაც ქურდობაში ვერ დაიჭერენ, ყველაზე მეტად ის აძაგებს ხანდახან ქურდებს. ტ. II, გვ. 58.

ყველა დრო კარგია, თუ კაი თავი გაბია კაცს. ტ. II, გვ. 66.

ყოველივეს, რასაც ბედი გვაძლევს, იგივე წაიღებს ბოლოს... ტ. II, გვ. 345.

სიყვარულის საქმეს დაფიქრება ისევე სუსხავს, როგორც ვენახს ნაადრევი ყინვები. ტ. II, გვ. 355.

როცა ქალის გონების ქება დაიწყება, იქ ალბათ სილამაზეზე ბევრი რამ არ ითქმის. ტ. II, გვ. 381.

მიცვალებულებს იმადაც აქებენ ხანდახან, რათა ცოცხალთ მიაყენონ ჩრდილი. ტ. II, გვ. 486.

მხოლოდ ლამაზ ქალს შვენის ტირილი. ტ. II, გვ 503.

ყველაზე ადრე მწერი და ქვეწარმავალი შეიცნობს ხოლმე კაცთა ოჯახის იავარყოფას. ტ. II, გვ. 572.

არავინ ისე არ იტანჯება მატერიის ქაოსის შემყურე, როგორც ხელოვანი ამქვეყნად. ტ. II, გვ. 575.

არავის იმდენი მტერი არა ჰყავს ამქვეყნად, როგორც ბრძენკაცს, გმირსა და ოსტატს. ტ. II, გვ. 575.

მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი. ტ. II, გვ. 577.

ძლიერს უფრო მეტად უჭირს ამქვეყნად. ტ. II, გვ. 606.

ვინც შეგირდი არ ყოფილა, ვერასოდეს გახდება ოსტატი. ტ. II, გვ. 627.

მაძღარი მონები ვერაფერს შეჰქმნიან კარგს. ტ. II, გვ. 648.

სადოლე ცხენი თუ გააძღე, ჰელოზე სხვა მიასწრებს უცილოდ.

ხალხი თუ გაძღა, ლოცვასაც მიატოვებს და შრომასაც. ტ. II, გვ. 649.

როცა კაცს სიბერე მოუწევს, ბალღს დაემსგავსება იგი. ტ. II, გვ. 656.

არავინ ისე მამაცად არ იბრძვის სხვის ომში, როგორც სულელი. ტ. II, გვ. 637.

ქარის ქროლვასა ემსგავსება მეფეთა წყალობა, ხან აღმა მიჰქრის ეს ნიავი, ხანაც თავდაღმა. ტ. II, გვ. 657.

მოცალეობა და ფანტაზიაა შემოქმედების მკვიდრი მშობელი. ტ. II, გვ. 657.

სიტყვას ერთს ეტყვი ხშირად და ათასებს ეძგერება, როგორც ირიბად გასროლილი ქვა. ტ. II, გვ. 705.

მლიქვნელების თათბირი არც ერთ მეფეს გამოსდგომია ჯერაც. ტ. II, გვ 707.

ქედმაღლობა მეფეების უდიდესი უბედურებაა. ტ. II, გვ. 708.

მეფეები და ლომები მარტოობაში ხდებიან გულზვიადნი. ტ. II, გვ. 708.

ერთი ბომონი ვერ დაიტევს ვერასოდეს ორ კერპს. ტ. II, გვ. 711.

მიჯნურს გული აურჩევს საკუთარ დიაცს, ხოლო საქმროს, მშობლები და მდგომარეობა. ტ. II, გვ. 715.

სხვის საუნჯეთა მპარავნი, საკუთარსაც ვერ შეირჩენენ. ტ. II, გვ. 726.

ქვეყნად არც რაინდია ისეთი, რომელსაც რისამე წინაშე შიში არ ევრძნოს ოდესმე, არც თუ ბრძენია სადმე ერთხელ სისულელე არ ეთქვას. ტ. II, გვ. 732.

ყოველი ქალი ზღვასა ჰგავს... არავინ იცის, ან ერთი როდის აღელდება, ან მეორე. ტ. II, გვ. 737.

ურმით დადის ბედისწერა ამ-ქვეყნად, რაც უნდა ჩქარა ირბინო, მაინც წამოგეწევა ბოლოს. ტ. II, გვ. 753.

ყოველი საგანი მაშინ იწყებს წაქცევას, როცა წონასწორობას დაჰკარგავს იგი. ტ. II, გვ. 780.

ეს სოფელი ეგეთია, ვითარცა მამლის ბოლო ქარიან დღეში, საითკენაც ნიავი დაუბერავს, იქითკენ პარპალებს იგი. ტ. III, გვ. 15.

გულფიცხობა მტერია ყოველგვარი წარმატებისა. ტ. III, გვ. 38.

უმამაცესიც შედრკება, როცა მოულოდნელი განსაცდელის წინაშე წარსდგება. ტ. III, გვ. 39.

მხოლოდ ოფოფი შეიცნობა თავითა, ხოლო ჭეშმარიტი საქმე ბოლოთი. ტ. III, გვ. 55.

ქვეგამხედვარი სიავეზე არ განაზრახო, არამედ იმას ეცადო, სიკეთისადმი შეაგულიანო იგი. ტ. III, გვ. 95.

ისრებსა ჰგვანანო როგორც კეთილნი, ისე ბოროტი სიტყვანი. ტ. III, გვ. 98.

ლომს, თუნდ ცალთვალას, ვინ შეჰბედავს: ელამი ხარო?

ლენცოფას ჯერ არსად მოუსხამს ვარდი. ტ. III, გვ. 117.

სანამ კაცი ჯერ არ მომკვდარა, არც ავი ითქმისო მის გამო არც კარგი. ტ. III, გვ. 117.

ვინც მეფეთა სამსახურისათვის თავს გამოიდებს არც მას შერჩება კისერი მხრებზე. ტ. III, გვ. 233.

არაფერი ისე არ ხიბლავს თვალს, როგორც შუქისა და ოქროს ურთიერთთან გათამაშება. ტ. III. გვ. 243.

სპილო ხორთუმითა ჰკლავს თავის მსხვერპლს,

გველი — კოცნით, მეფე — ღიმილით, ხოლო მოღალატე — პატივის მიგებითა. ტ. III, გვ. 254.

ვინც ყველა ციხეს ერთბაშად მოუნდომებს აღებას, მას აღებულიც დაეკარგება. ტ. III, გვ. 392.

მაინც სიმარდეა გადამწყვეტი ბრძოლაში. ტ. III, გვ. 399.

ცრემლი დიაცის ლოდსატყორცნია. ტ. III, გვ. 395.

კურდღლის კუდივით მოკლეა სიკეთე, ხოლო ბოროტი — ფარშავანგის ბოლოსავით გრძელი. ტ. III, გვ. 410.

სულგრძელობა სხვა არაფერია, თუ არ ორლესული მახვილისათვის თავის შეშვერა. ტ. III, გვ. 463.

უკუქცევა ყოველთვის როდია სილაჩრის ნიშანი. ტ. III, გვ. 529.

კბილებს გადაცდენილ სიტყვას ქაშანდითაც ვერ დაიბრუნებენ. ტ. IV, გვ. 51.

არავინაა კაცთაშორის გარეწარი, ისეთი, რომლის მოთვინიერება არ შეეძლოს სიკეთესა და სათნოებას. ტ. IV, გვ. 60.

ქარქაშიდან ხმლის ამოღებას ყრმობის ძალიც ეყოფა უცილოდ. ტ. IV, გვ. 61.

ხშირად ტალანტი ისევე უქმია, როგორც ქარქაშში მთვლემარე ხმალი. ტ. IV, გვ. 125.

გამბედაობა ხომ დროზე მოქნეული კომბალია, რომლითაც გამბედავი სწრაფად მოქნევაში დაასწრებს ხმლოსანს. ტ. IV, გვ. 125.

სიბერე გონების განათებაა, ვნებათა დაცხრომა. სიბერე რთველია მოწეული ვენახისა, ხოლო სიყმაწვილე — უნდილი ისრიმი. ტ. IV, გვ. 189.

კაცი შუბივით პირდაპირი უნდა იყოს და არა ღრიანკალივით დალვარძნილი. ტ. IV, გვ. 206

ძლიერთან ომი იგივეა, რაც ფეხშიშველა მონათაგან საომარ სპილოსთან შებმა. ტ. IV, გვ. 250.

ომი წრთობაა არა მარტო ხმლისა, არამედ ხალხისაც. ვინც მართებულ ომს გაურბის, იგი ახალ უმართებულო ომებს თავზე მოახვევს თავის ხალხს. ტ. IV, გვ. 250.

გადაჭარბებული სტუმართმოყვარეობა ისევე საზიანოა... 

გადაჭარბებული სტუმართმოყვარეობა ისევე საავგოა, როგორც წრესგადასული სიძუნწე. ტ. IV, გვ. 411.

ლხინი მოჯებულ ომებს შვენისო და არა მოსალოდნელ ომიანობას. ტ. IV, გვ. 411.

ცილისწამებისაგან უმცირესი ჩრდილი მაინც მიადგება ადამიანს. ტ. IV, გვ. 431.

თუ გსურს ჭირი შეიმოკლო, ლხინი უნდა გააგრძელო. ტ. IV, გვ. 463.

მოჩხუბარნი და მომლხენნი უმცირეს საბაბს მოეჭიდებიან ხოლმე .ტ. IV, გვ. 464.

ლომები და ვეფხვები უფრო მეტად გაუფრთხილებელნი არიან, ვიდრე ვირთხები და თრითინები. ტ. IV, გვ. 466.

განა მარტო სასახლეები და მოედნები ამშვენებენ ქალაქს, ლამაზი ადამიანები უპირატესად. ტ. IV, გვ. 469.

ღვინო ბროლის სარკესავით გამოაჩენსო ადამიანის შინაგან ბუნებას. ტ. IV, გვ. 483.

მხოლოდ გიჟებსა და ბალღებს სჩვევიათ სიმართლის ანაზდად წამოტორტვლა. ტ. IV, გვ. 491.

უჭკუონი და უნამუსონი უკეთ ეწყობიან ამ წუთისოფელში. ტ. IV, გვ. 490.

წუთისოფელში არაფერია გარდაუვალი, მით უფრო მეგობრობა. ტ. IV, გვ. 510.

მტრადქცეული მოყვარე უფრო სახიფათოა, ვიდრე ოდითგანვე მოძალებული მოსისხარი. ტ. IV, გვ. 510.

ხშირად ერთი დღის დაგვიანებული საქმე მთელი საუკუნის სატირალი გახდება ხოლმე. ტ. IV, გვ. 512.

ლოკოკინებს ჯერ არც ერთი ომი არ გაუმართავთ. ტ. IV, გვ. 515.

ამ ქვეყნად ორი რამ არის საფრთხილოდ მოსახმარი: ჭკუა და ოქრო, რადგან ამ ორი საგნის პატრონებს მოელით უდიდესი საფრთხე. ტ. IV, გვ. 526.

ყოველი კაცი, ვინც არ უნდა იყოს იგი, ყოველი კაცი, ვინც სულ აღზევებას მიესწრაფვის, უთუოდ საეჭვოა. ტ. IV, გვ. 547.

გამბედაობას მაშინა აქვს ფასი, როცა იგი ჭკუასა და ხერხიანობასთანაა შეწყვილებული. ტ. IV, გვ. 573.

სიკვდილი უკანასკნელი წრთობაა ჩვენი სულისა. ტ. IV, გვ. 591.

თუ ადამიანს რწმენა აქვს, იგი უძლეველია უცილოდ. ტ. IV, გვ. 690.

ჭაღარა არაფერია. მთავარზე უმთავრესია, სულში არ გაუჩნდეს ადამიანს ჭაღარა. ტ. IV, გვ. 721.

სახელი სიკვდილსა ჰგავს, როცა საჭიროა იგი თავათ მოგვაკითხავს. ტ. IV, გვ. 727.

თავგასულებს სიტყვა ძვირად არ უღირთ არასდროს. ტ. V, გვ. 29.

ძალდატანების გარეშე ჯერ არაფერი შექმნილა ამ ქვეყნად. ტ. V, გვ. 32.

ადამიანი შეკითხვებშიაც ისევე ამჟღავნებს თავის რაობას, როგორც პასუხებში. ტ. V, გვ. 35.

პირველი სიყვარული მუდამ შეულეველი რჩება, რადგან წარუხოცელია პირველი ვნება. ტ. V გვ. 42.

ენას კბილები ამაგრებს და კბილებს გადაცდენილ სიტყვას ბრძენიც ველარ იხმობს უკან. ტ. V, გვ. 54.

ბუნებას ყველაფერი უდიდესი მიზანშეწონილობით აქვს გაზომილი, ყოველი უმცირესი ბგერაც. ტ. V, გვ. 72.

დიდი კაცის სახელი დიდ რამეებს ავალებს ადამიანს. ტ. V, გვ. 91.

ცეცხლი, ქალი და ღვინო საუბრის წადილს უორკეცებს მამაკაცს. ტ. V, გვ. 102.

სრულყოფილსა და გულით უმანკოს არასოდეს ჭირდება არც სამკაული, არც გარეგნულად გამჟღავნება საკუთარი სრულყოფისა და მშვენებისა. ტ. V, გვ. 120.

ქალს უთუოდ შვენის განსაცდელის წინაშე შეკრთომა. ტ. V, გვ. 130.

სილამაზე და ტალანტი ზოგჯერ იმდენ მოშურნეს გაუჩენს მათ პატრონს, დაბადების დღეს აწყევლინებს უთუოდ. ტ. V, გვ. 158.

რაც უფრო მეტად უახლოვდება ადამიანი სიკვდილსა და სიბერეს, მით უფრო ემსგავსება თავის მშობლებს. ტ. V, გვ. 16?.

სუფრა და ღვინო ისეთი რამეებია, სიკვდილისა-

თვის დაფიქრებას ოდნავ მაინც რომ აქარვებენ. ტ. V, გვ. 172.

არისტოკრატიასა და ბურჟუაზიას სამშობლო ისევე ესაჭიროება, როგორც მეხუთე ფეხი სახედარს. ტ. V, გვ. 179.

შვილია სიკვდილის დამთრგუნველი. ტ. V, გვ. 187.

ყოველ მამაკაცს ერთი და იგივე უბედურება სჭირს: რაც უფრო ხანში შედის, მით უფრო დაჟინებით იყურება სხვა ქალებისაკენ. ტ. V, გვ. 247.

ცნობილია, არც დედალი შაშვი, არც დედალი ბულბული არა გალობენ, მხოლოდ მამლები გალობენ, რათა დედლებს თავბრუ დაასხან. ტ. V, გვ. 247.

არაა მართებული ყოველივე განაგონის ხელახლა თქმა, სანამ ეს ყოველივე ჯეროვნად არ შემოწმდება. ტ. V, გვ. 258.

სიყვარული და მეგობრობა უფაქიზეს ვაზასა ჰგავს, საკმარისია უმცირესი წკიპურტიც და შესაძლოა ის გაიბზაროს, განა მარტო გაიბზაროს?... ტ. V, გვ. 268.

სისულელე ქათმის ჭირივით გადადის კაციდან კაცზე ხანდახან. ტ. V, გვ. 350.

ადამიანი მუდამ იმის ცდაშია, სხვას გადააბრალოს საკუთარი ხელისმოცარვა. ტ. V, გვ. 350.

როგორც წერას, ისე სროლასაც დროის შერჩევა უნდა. ტ. V, გვ. 364.

ქება ის ნაკელია, რომელიც ვარდსა და მყრალა ბალახს თანაბრად უხდება. ტ. V, გვ. 364.

ადამიანებს არავინ ისე არ უყვართ, როგორც მაამებელი. ტ. V, გვ. 364.

ისეთი მამლები ბევრია ამ ქვეყნად გათენების შემდეგ რომ ჰყივიან. ტ. V, გვ. 366.

აზრი ხანდახან ისე აწუხებს ადამიანს, როგორც მკბენარი პატრონს. ტ. V, გვ. 366.

მწერლობა გველებზე ნადირობაზე უფრო ძნელია. ტ. V, გვ. 368.

წარმატებას მტრებისა და მეშურნეთა გაბოროტებაც მოსდევს. ტ. V, გვ. 383.

ცხოვრება ავ ძაღლსა ჰგავს ხანდახან, თუ შეკრთი და უკან დაიხიე, ბარკლებს გამოგჭამს. ტ. V, გვ. 385.

მცენარეები ცხოველებზე მეტად საყვარელნი არიან. ბუნებას არ მიუცია მათთვის ხმის გაღების ნიჭი, მშიას ვერ იტყვიან, ვერც მწყურიას; სიცოცხლეს, ზრდას და ავადობას დუმილით განიცდიან, ზეზემდგარი ევებებიან სიკვდილს, როგორც ანტიური ტრაგედიების გმირები. ტ. V, გვ. 479.

გენიოსები დიდ აზრებთან ერთად გაუგონარ პარადოქსებსაც არ თაკილობენ ხოლმე. ტ. V, გვ. 530.

დიდკაცებისადმი დიდ საქმეში მიბაძვაა ძნელი. ტ. V, გვ. 530.

ყოველ ადამიანს საკმაოდ დიდი მიდრეკილება აქვს თავის გამართლებისაკენ. ტ. V, გვ. 608.

კულტურა სულისა თავშეკავებას გულისხმობს და სიდარბაისლეს. ტ. V, გვ. 608.

სისხლში დიდი მისტერიაა. სისხლი ამოძრავებს მსოფლიოს მაჯისცემას. სისხლი აკავშირებს, სისხლი სთიშავს ადამიანებს. ტ. V, გვ. 637.

როცა მამაკაცს ცეკვა ემარჯვება, გონება ჩლუნგი აქვს. ტ. V, გვ. 645.

ხელოვანიც ხშირად ლუკმა პურის მონაა. ტ. V, გვ. 645.

სილამაზე ამ ქვეყნად ყველგან დიდია და ღვთაებრივი. ტ. V, გვ. 650.

სიყვარული კორექტურულ შეცდომას ჰგავს, სადაც არ გგონია, იქ შეგეპარება. ტ. V, გვ. 650.

უბირ ადამიანებს სჩვევიათ: პირველი შეხვედრისთანავე უამბობენ უცნობს თავიანთ გულის ჭირს და თავგადასავალს. ტ. V, გვ. 728.

ყოველ ციხეს თავისი ხვრელი მოეძებნება. ტ. V, გვ. 732.

სინამდის დედა ჰყავს კაცს, მუდამ ახალგაზრდად ითვლება. ტ. V, გვ. 740.

დიდი სინათლე არეტიანებს, როგორც ნადირებს, ისე ადამიანებს. ტ. V, გვ. 768.

ყოველი ადამიანი, ყოველი ცხოველი, ყოველი საგანი სახიფათოა, დროს გააჩნია მხოლოდ. ტ. V, გვ. 775.

სიტყვა ხომ გასროლილ ტყვიასავით ბრმაა და დაუნდობელი. ტ. V, გვ. 784.

ამ ქვეყანაზე ყველაფერი თვალია, შემოხედვა და შთაგონება. ტ. V, გვ. 887.

ქალის არსება თევზისასა ჰგავს, ორივეს საიდუმლო უფსკრულები ასაზრდოებენ. ტ. V, გვ. 890.

სიყვარული იქ თავდება, სადაც ერთმანეთს შეიცნობენ ადამიანები. ტ. V, გვ. 919.

სადაც თავშეკავება არ არის, იქ გრძნობა ვულგარულია და გულის ამრევი. ტ. V, გვ. 928.

უპარადოქსო აზროვნება უმარილო თევზსავით უგემურია, მხოლოდ მოსაწყენ ადამიანებს სჩვევიათ გატკეპნილ ჭეშმარიტების ღეჭვა.

მაგალითად: ყოველმა რეგვენმაც კარგად იცის, წყალი რომ თავდაღმართს მიჰყვება, ან წვიმის მოსვლაში ქოლგებს რომ არავითარი ბრალი არ უდევთ. ტ. I, გვ. 139.

ზოგიერთ ადამიანს სიჭაბუკეში გაჰყვება ბალღობა, ხოლო სიჭაბუკე ჭარმაგობაში, ჭარმაგობა კი სიბერეში და ეს ყოველივე სახეზე გამოკრთის ხოლმე. ტ I, გვ. 140.

უცხოთაგანი უცხოთაგანს უცხოობისა თვისის გამონათესავად მოჰკიდებოდა. ტ. I, გვ. 254.

სიყვარულის სიმძიმილს ყოველი კაცი თანაბრად განიცდის, მაგრამ ნაგრძნობის ოსტატურად გამოთქმაა მუდამ მთავარი. ტ. I, გვ. 270.

ხანდახან სხეული უღალატებს აზობოქრებულ სულს, ისიც ხდება, რომ სხეული მოუღალავია და გულმაგარი, მაგრამ სული სიზმარივით გაეპარება და გაიტრუნება. ტ. I, გვ. 280.

მართლადაც, სიამაყის გარეშე წარმოუდგენელია შემოქმედება. ვინც მარმარის გაურანდავ ნაკვეთიდან სილამაზეს, სიტფოს და სიყვარულს აღძრავს, იგი უეჭველად ჯადოსანია:

ვინც უბრალო ტილოსა და წამლების შემწეობით ფერების სიმფონიას შეჰქმნის, იგი უთუოდ გულთმისანია.

ხოლო იგი, ვინც უბრალო ლექსიკონში მოქცეული სიტყვების ყორედან გრძნობების ზღვაურს ასტეხს, ლანდებს აამეტყველებს, არ არსებულს ან უსულოს

არსებულად და სულიერად მოგვაჩვენებს, იგი უსათუოდ ალქიმიკოსია და ნათელმხილველი. ტ. I, გვ. 298.

ხელოვნური ნაწარმოები ისევე მოულოდნელად იბადება, როგორც მეტეორის ქვა ეცემა ციდან.

მერმე ჩვენ მას შევხედავთ და ჩვენს გულისთქმას ამოვიკითხავთ მასში.

ხელოვნური ქმნილება ალგებრულ ფორმულასა ჰგავს. იგი უამრავ ალეგორიების ჩამტევია და რამდენადაც ეს „რა უნდა ეთქვა" მკაფიოდ არ სჩანს, მით უფრო გამძლეა იგი. ტ. I, გვ. 308.

საოცარია, მხატვარსა და პოეტს შეუძლია გარეგნული სილამაზის უღრმესი დეტალებით აღდგენა, თვით მაშინაც, როცა საყვარელი ქალი შორსაა.

მაგრამ ხმის გადმოცემის, ან მის ბადალის აღდგენა არავის შეუძლია ამ ქვეყნად, რადგან ადამიანის ხმა ყველაზე მეტი საოცრებაა, ყველაზე დიდი სასწაული და ამიტომაც ყველაზე ადრე ხმას ჰკარგავს სულიერი.

ვერც ფერადი მხატვრისა, ვერც ფანტაზია და რიტმული მასალა ვერასოდეს აღადგენს ხმას ადამიანისას. ტ. I, გვ. 331.

რა ეშველებოდა თვით უდიდეს გმირობასაც ამ ქვეყანაზე პოეტკაცის ენა, მითების მთხზველის ლეგენდა და მხატვრის კალამი რომ არ მიშველებოდა?

უეჭველია, იგი ისევე გახუნდებოდა, როგორც ეს თეთრი ჩინები, ეს საპირეშემოკვეთილი ავეჯი, ან ეს სიმებდაწყვეტილი ჩონგური უქმად მიგდებული კუთხეში. ტ. I, გვ. 472.

საკვირველი რამ ყოველ კაცს შეუძლია საკუთარ ბაღჩაშიც აღმოაჩინოს, დასასრულ, საკუთარ სულში რომ ჩაიხედოს ყოველმა ჩვენგანმა, იქაც ბევრს ვნახავთ უცნაურსა და გაუგონარს. ტ. I, გვ. 496.

მოძრაობა მაწვდის უდიდეს ღვრიტას შემოქმედებისას და ამიტომაც უმძაფრესი სიყვარულით ვხატავ ხოლმე მიმავალს, მიმქროლავს, მორბენალსა და მორკინალს. ტ. I, 498.

განუზომელია გულისწუხილი ხელოვანისა, ვიდრემდის გულში ბუნდოვნად მორიალე მითი არ მოსწყდება შემოქმედს, როგორც მწიფე ნაყოფი ყუნწს. ტ. I, გვ. 498.

კაცობრიობა ზოგჯერ დესპოტების ჯოხს და მახვილს უფრო მოკრძალებული შესცქეროდა, ვიდრე გენიოსის კალამს, ან დიდი მხატვრის ყალამს და ბნელ ინსტიქტებს გაცილებით ადრე შეუგდიათ ბურთი ლელოში, ვიდრე ხელისხელ საგოგმანებელ ჭეშმარიტებას. ტ. I, გვ. 612.

ქალი იყო დღემდის ევროპული ხელოვნების თითქმის ერთადერთი უცვლელი მუზა, იგივე ითქმის მხატვრობის, მუსიკის და ხუროთმოძღვრების მიმართაც და ყველაზე მეტად ქალურმა ნაციამ ევროპაში თავისუფლების ემბლემაც ქალის სახით აღმართა პარიზში.

დღესაც მთელი დასავლეთური ცივილიზაცია გადაჭარბებულად ხაზს უსვამს ამ მარადჟამულ ქალურობას. ტ. I, გვ. 624.

ძველი ბერძნული კულტურა გაცილებით უფრო ვაჟური იყო. ვაჟი აპოლონი ითვლებოდა სინათლის და სილამაზის ღმერთად და ვაჟს უმღეროდა უპირატესად მთელი ბერძნული პოეზია და მხატვრობა. ტ. I, გვ. 625.

ახალგაზრდობას ცუდი აღზრდა აფუჭებს, კარგ სურათებს უგემური მიშტერება, კარგ ჩაის — ცუდი ჭურჭელი. ტ. II, გვ. 26.

... ყოველი ერი, და ყოველი პიროვნება ყოველდღიურ წვრილმანებშიც ისე აშკარად იჩენს თავის სულიერ სახეს, როგორც თავის ფილოსოფიისა და მწერლების უმნიშვნელოვანესს ძეგლებში.

ცხოვრება სხვა რაღაა თუ არა საგნებისადმი დამოკიდებულების გამომჟღავნება.

ადამიანიც წვრილმანში იჩენს თავის ხასიათს, რადგანაც დიდ საქმეში მას არაფერის დამალვა არ შეუძლია. ტ. II, გვ. 27.

თქვენ ბედნიერი გგონიათ მწერალი? მუდამ დამკვირვებლის როლში მთხრობელივით უთვალთვალებს ქვეყანას, ბუნებას, ადამიანებს და ყველაზე მეტად თავის თავს.

აბა რა შენიშნოს, რა დაიჭიროს, რა დაიხსოვნოს.

მწერალს არ შეუძლია თავდავიწყება თვით უაღრესი ტკბობისა და ექსტაზის ჟამს.

სიყვარულის სარეცელზე, ხმელზე, ზღვაზე, ბუნების წიაღში, ყველგან ყოველთვის აკვირდება იგი სამყაროს და თავის თავს. ტ. II, გვ. 57.

პირველთაგანვე იყო მითი ამ ქვეყნად. ყოველივე მითით შეიქმნა, რაც კი რამ შეიქმნა. მითი წინ უსწრებდა ადამიანის ყოფნას.

მითი იყო უპირველესი განზრახვა ღმერთკაცისა და ხელოვანისა და როცა ყოველივე არარად იქნება, დარჩება ალბათ მითი. ტ. II, გვ. 92.

ყოველი საგნის სახელი ჩაფერფლილ ვულკანსა ჰგავს, მიჩქმალულია და იდუმალი მისი შინაგანი ძალა ჟამის მოწევამდის, მაგრამ უთუოდ არსებობს ბედითი წუთი...

და ეს მაშინ ხდება, როცა მისი უჩინარი შინაარსი მიწის გულში დაგუბებული ცეცხლივით გამოსქდება. ტ. II, გვ. 96.

ბალღები და მოხუცები მითაც ჰგვანან ერთმანეთს, რომ მათ თანაბრად აეშლებათ ხოლმე საღერღელი ლაპარაკისა.

მხოლოდ ესაა: ბალღს არ ეშინიან სისულელის თქმის, იგი აგრე ვარაუდობს ალბად ქვეშეცნეულად: გაგიზრდები, ჭკვიანურსაც ვიტყვი. ტ. II, გვ. 656.

ჯერ არც ერთი მეფე ჭკვიან ვაზირებს არ გაუხდიათ ბრძენი. თუ ისეთი ვაზირები გაიჩინა, რომელთაც მეფის შიში აღარ ექნებათ, მაშინ ისინი თავათ წაეპოტინებიან ტახტს. ტ. II, გვ. 707.

მე არ მიყვარს, როცა ჩემი ხალხის ლამაზ ანაგობას, ან ჩვენი ქვეყნის სილამაზეს აქებენ უცხონი...

ჩვენს ქვეყანაში მოსული სჯობს ჩვენი ხალხის სიმამაცეს აქებდეს უწინარეს ყოვლისა: მთები რომ ლამაზები გვაქვს, ეს ჩვენი დამსახურება როდია... არა მგონია, ჩვენი დიაცების სილამაზეც რომ იყოს ჩვენი დამსახურება.

მე მგონია, რომ ხალხის დამსახურება ისაა, ეს ლამაზი ქვეყანა რომ შევირჩინეთ. ტ. IV, გვ. 186.

ბავშვთა და დიაცთათვის თვალის ასახვევად ჩვენი მხატვრები ხშირად ახმახ ანაგობისას გვიხატავენ გმირებს, ივიც ხდება ხოლმე, რომ ნამდვილი გმირები ხანდახან ტანმორჩილნი არიან და უჩინარნი. ტ. IV, გვ. 227.

განა საოცარი არაა ისიც, რომ მზესუმზირა მზეს მიაქცევს ყოველთვის პირს, ანდა ხვიარები, ავრეხები და პარკოსნები მარჯვენიდან მარცხნივ რომ ეხვევიან ჭიგოებს?

აკი ბუნებისათვის უცნობია ჩვენ მიერ მინიშნებული მარჯვენა და მარცხენა? ტ. V, გვ. 75.

ადამიანების საერთო სენია, ისინი მომეტებული ხალისით აქებენ იმას, რაც უკვე ათასგზის ნაქებია, რადგან ახლის საქებრად მარტოოდენ საქებარის ღირსებები როდი კმარა, არამედ მაქებრის მიერ ახლის შენიშვნის უნარიცაა საჭირო.

ამიტომაც ადამიანებსა და ფოსტის ცხენებს ნაჩვევ გზაზე ჩაქჩაქი ურჩევნიათ ხოლმე.

**ბიჭობა ისაა, იგი აქო, რაც სხვებს არ უქიათ ჯერ.** ტ. V, გვ. 173.

და არც არაფერია ისე მოსაწყენი ამ ქვეყნად, როგორც საუბარი, რომელიც პარადოქსებსა და წინააღმდეგობებს არ შეიცავს. ტ. V, გვ. 236.

რა უცნაური ამბავია... წლების განმავლობაში სწავლობ და უკვირდები მახლობელ ადამიანს, სიყვარულით, ნდობით და პატივისცემით აღჭურავ მას მასვე მიაწერ ყოველივე ამქვეყნიურ სიკეთეს და სათნოებას, და ერთ წუთში იგი გაჩარხულივით შეტრიალდება და ნიღაბი აეხდება მოულოდნელად, თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ, ისე შემოეძარცვება მას შენივე ფანტაზიის მიერ მინიჭებული სხივმოსილება და სათნოება... ტ. V, გვ. 269.

ყოველი დროის ცილისმწამებლებს კარგად სცოდნიათ, რომ ადამიანის უსასტიკესად დასჯა მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მას სწორედ იმაში დასდებენ ბრალს, რის წინააღმდეგაც თავად იბრძვის იგი. ტ. V, გვ. 371.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ხვედურელი

# ეჭვი

## ფრონტული ცხოვრებიდან

ნოემბერი იწურებოდა, როცა გერმანელთა პოზიციები გავარღვიეთ და დიდის ვაი-ვაგლახით ქალაქ კ-ს მივუახლოვდით.

ჭორად გაგონილი გვქონდა, რომ ოპერატიული ამოცანა ამით მთავრდებოდა და ჩვენს შეთხელებულ, ბრძოლებით მოქანცულ „№“ არმიას აქვე უნდა გამოეზამთრა, სული მოეთქვა და ძალა მოეკრიფა.

მთელი ორი დღე ვიდექით საშინელ ყინვასა და ქარბუქში ქალაქის მისადგომებთან და გზაში ჩამორჩენილ სამხედრო ნაწილებს ველოდით. სარდლობას უნდოდა ერთი დარტყმით აეღო ეს გამაგრებული ქალაქი, რათა წარმატებაც უფრო ნაღდი ყოფილიყო და მსხვერპლიც ნაკლები!

ულრან ტყეში გდებით გულგაწვრილებულებს თბილ ბინებში ცხოვრება მიუწვდომელ ოცნებად მიგვაჩნდა. ისე ვიყავით ტანზე გაუხდელობით გაბეზრებული, რომ აგუზგუზებულ ღუმელთან მიფიცხება სიცოცხლეს გვერჩივნა, სველი ჩექმების დახდა და ნოტიო ტანსაცმლის ცეცხლთან გაშრობა კი უმაღლეს ნეტარებად გვეჩვენებოდა.

როგორც იქნა იერიშის ბრძანებაც მივიღეთ და აღრიანი დილის ბინდ-ბუნდში მძლავრი ყიჟინით ქალაქში შევცვივდით...

მაგრამ რა დიდი იყო ჩვენი გაოცება, როცა არავითარ წინააღმდეგობას არ წავაწყდით და ქალაქში უბრძოლველად შევედით!

სახტად დარჩენილები კარგა ხანს ვერ მივმხვდარიყავით, რომ მტერს ქალაქი ღამით მიეტოვებინა, რათა ჩვენს მოწინავე ნაწილებს უფრო მეტად მომწყდარიყო და სათადარიგო პოზიციების გამაგრება მოესწრო. ეს პირველი შემთხვევა იყო ჩვენს ფრონტზე, მტერი უბრძოლველად რომ თმობდა ქალაქს, და ამიტომ, ფრიად მოულოდნელიც.

მართალია, საქმის ამგვარმა შემოტრიალებამ თითქოს სიხარული გაგვინახევრა და ის აღტყინებაც დაგვიკარგა, გამარჯვებულ იერიშს რომ მოსდევს ხოლმე, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, მიზანი მიღწეულად ჩაგვეთვალა და ჩვენი დანაყოფები ახალ ადგილზე მოსაწყობ ფუსფუსში ჩაებნენ.

ქალაქში საოცარი სიჩუმე ჩამოვარდნილიყო. თუმცაღა, განუწყვეტელ გუგუნს მიჩვეული ყურთასმენა ამით როდი დაამდა. ამ უცხო სიჩუმეს რაღაც შინაგანი დაძაბულობა მოსდევდა და ჩვენდაუნებურად მზადყოფნის სურვილს გვიმახვილებდა.

იარაღი შევიხსენი, დამძიმებული ტყავის ქურქი გავიხადე და ლოგინზე ნებივრად გავიშოტე.

გეგონება ამას ელოდნენო, სწორედ მაშინ მიხმეს ტელეფონთან; კორპუსის ოპერატიულმა მორიგემ შტაბში გამომიძახა. ვისაც არ განუცდია, რა ძნელია ბრძოლებით მოქანცული და კვირაობით უძილო კაცისათვის ნათბილარევი ლოგინის მიტოვება, ვერ მიმიხვდება, რა მომადუნებელი გრძნობაც მისუსტებდა სხეულს.

კორპუსის შტაბის უფროსის მოადგილემ, ზომაზე მეტად ზრდილობიანმა პოდპოლკოვნიკმა (ალბათ ახალი დანიშნული იყო) მაცნობა, სარდლობამ კ-ს გარნიზონის უფროსად დაგნიშნაო.

მოკლე დამოძღვრის შემდეგ მან თავდაცვის დაუყოვნებლივი მოწყობა მომთხოვა და პატივისცემის ნიშნად ამერიკული მარკის ახალთახალი „ვილისით“ უკან გამისტუმრა. მაშინ პირველად დავრწმუნდი, რომ ამერიკული ავტომანქანები არც თუ ცუდები ყოფილა, თუმცა ეს აღმოჩენა არავისთვის გამინდვია, რადგან ასეთი „მკრეხელური“ აზრი მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა საგნებსა და მოვლენებზე იმჟამინდელ ჩემს წარმოდგენას.

გარნიზონის უფროსობამ კიდევ უფრო დამტვირთა.

ათასი საქმე დამოკლეს ხმალივით მეკიდა კისერზე და დღენიადაგ პასუხსა მთხოვდა.

ჩემს მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ გარნიზონის კომენდანტი მეტად უხეირო შემხვდა. სრულიად უნებურად, პირველნახვისთანავე ავითვალწუნე ეს ხანშიშესული, მომდლეული ტანის ლიყიანი მაიორი, მისი უფერული თვალების ფლეგმატური გამოხედვა და აშკარად ჩლუნგი გონება.

იგი ზანტი იყო და, რაც ყველაზე უარესია -- გულმავიწყი.

ერთხელ ისე გამაბრაზა, კინაღამ ჩემივე ხელით დავაღრჩე. კიდევ კარგი, მალე გამოვუძებნე მოადგილედ ერთი მკვირცხლი უფროსი ლეიტენანტი, კაცი საზრიანი და ენერგიული, მაგრამ აღსავსე აშკარა კარიერისტული მიდრეკილებებით, აღარ იცოდა რა ექნა, ოღონდ კომენდანტი გამხდარიყო. ახლაც არ ვიცი რატომ ისწრაფოდა ამისაკენ, ასე მტკიცედ და ძალუმად.

განსაკუთრებით ბევრი დრო წამართვა ქალაქის ხელმძღვანელებთან ურთიერთობამ. სამიოდე დღეც არ იყო გასული, რომ საბარგო ავტომანქანამ თავზე დამაყენა სატინის დაბამბულ კურტაკებში, ე. წ. „ტელეგრეიკებში“ გამოწყობილ სამოქალაქო პირთა მთელი ათეული. ახალმოსულები ცერემონიალურად გამეცვნენ. ისინი ოლქკომიდან მოვლინებული ქ-ს სამოქალაქო ხელმძღვანელობა გამოდგა.

მათ შორის იყო პარტიის ქალაქკომის ორი მდივანი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე, უშიშროების განყოფილების უფროსი, აღმასკომისა და ქალაქკომის პასუხისმგებელი მუშაკები, თავიანთი ტექნიკური პერსონალით და ზოგიერთი სხვაც. ამ „სხვებში“ განსაკუთრებით დამამახსოვრდა მომავალი „სოვხოზის“ დირექტორი, ძველი პარტიზანი, კაცი ნახევრად გიჟი და გამხმარი როგორც მუმია.

არ გასულა ორი დღეც, „სამოქალაქოებმა“ კიჭები გამოაჩინეს. მათი მოკრძალებულობაც ისე ერთბაშად გაქრა, მორიდების ნატამალიც აღარ შერჩათ. ის კი არა, აქეთ შემოგვიტიეს. დღე არ გაივლიდა, მორიგი „ულტიმატუმი“ არ მიგვეღო: ხან შენობების დაუყოვნებლივ დაცლას გვთხოვდნენ, ხან ტრანსპორტს, ხანაც შეფურ დახმარებას, ნორმალური ცხოვრების აღსადგენად“.

მართალია, ქალაქში მოსახლეობა თითქმის სრულიად არ იყო და იგი, ფაქტიურად, ჩვენ, სამხედროებს გვეკუთვნოდა, მაგრამ ამას არავინ დაგიდევდა. შეიქნებოდა თუ არა პატარა ცილობა, ქალაქკომის მუშაკები პირდაპირ სამხედრო საბჭოს წევრთან გარბოდნენ, ის კი, უმრავლეს შემთხვევაში, მათ სასარგებლოდ წყვეტდა ყოველივეს. ერთი სიტყვით, „სამოქალაქოები“, როგორც ამბობენ, — ჩვენს ოხტში ამოდიოდნენ.

და აი, სწორედ აქ აღმოჩნდა, რომ უგვანი კომენდანტი თვით ღმერთს გამოეგზავნა ჩემთვის. ეს დონდლო მაიორი მოულოდნელად ნამდვილ მხსნელად მომევლინა... როცა აღმასკომის ან ქალაქკომის გაჭიანურებული სხდომები იყო მოსალოდნელი, მე გადაუდებელ საქმეს მოვიმიზეზებდი და ჩემს მაგივრად ფლეგმატურ მაიორს ვგზავნიდი. სულ მალე მან მთლიანად ამომყარა ჯავრი ყველა „სამოქალაქოზე“ და ისე გაუსივა ნაღველა „ქალაქის მამებს“ თავისი პედანტურობითა დ სალდათობით, რომ უფროსები სიგიჟემდე მიიყვანა.

მის უბრალო დანახვაზე ზოგიერთ პასუხისმგებელ მუშაკს წნევა უწევდა, ხოლო დალაპარაკებაზე ელეთმეთელი მოსდიოდა. მე კი გულში მეცინებოდა და სულ იმ წუთს ვლოცავდი, როცა ამ მაიორს გადავეყარე.

ზამთრის ერთ მზიან დღეს გარნიზონის საქმეებმა „№“ საევაკუაციო ჰოსპიტალში მიმიყვანა. ამ ჰოსპიტლის ხელმძღვანელებზე ადრეც საკმაოდ გულღრძოდ ვიყავი: მისი უფროსი ყოველნაირად ცდილობდა ჩემი განკარგულებების უგულებელყოფას.

ამჯერად იგი ფრიად მოხერხებულად აჭიანურებდა ერთი ცალკე მდგომი მოზრდილი შენობის აღმასკომისათვის გადაცემას.

საქალაქო საბჭოდან მაცნობეს, რომ ეს სახლი აქამდე ჰოსპიტლის თანამშრომელთა საერთო საცხოვრებელი ყოფილა, მაგრამ როცა უფროსს შეუტყვია, უნდა ჩამოგვართვანო, იმავე ღამით შიგ მძიმედ დაჭრილები გადაუყვანია და მთელი შენობა ქირურგიული განყოფილების პალატებად უქცევია.

მე უფრო იმან გამაცოფა, რომ ჰოსპიტლის „ინიციატივიანმა“ უფროსმა ქალაქის საბჭოს საკმაოდ მკვახე და ღვარძლიანი წერილი მისწერა, ხოლო ამ წერილის ასლი მე გადმომიგზავნა — „რატომ მაგდენი არ გესმით, დაჭრილების აქეთ-იქით ტარება არ შეიძლება, სამიოდე თვეში სულ გადავალთ აქედან და ერთს კი არა, თორმეტივე შენობას გადმოგცემთო“. ამ თავხედურ შინაარსზე უფრო მეტად იმან გამაცოფა, რომ ჰოსპიტლის უფროსმა ქალაქის ხელმძღვანელობას დედანი გაუგზავნა, ხოლო მე, გარნიზონის უფროსს (განა ეს ხუმრობა საქმეა!)—ასლი!..

როცა ჰოსპიტლის უზარმაზარ ეზოს მივუახლოვდით, შორიდანვე შევამჩნიე, რომ იქ სისუფთავე და წესრიგი სუფევდა.

კარიბჭესთან მდგარმა გუშაგმა შიგ არ შეგვიშვა და მორიგე გამოიძახა. მორიგემ, როგორც ამას წესდება ითხოვდა, საბუთები მოგვთხოვა და როცა ჩვენს ვინაობაში დარწმუნდა, მოხდენილად გვიპატაკა. მაშინ გუშაგმაც ეფრეიტორული სალამი მოგვცა და გზა გვიტია.

ყოველივე ამან, ცოტა არ იყოს, გამაოცა, რადგან მშვენივრად ვიცოდი ჰოსპიტლებისა და საინტენდანტოების გუშაგთა სამხედრო გაუწვრთნელობა. მე ბევრჯერ მინახავს, როგორ ესალ-

მებოდნენ უფროსებს მარცხენა ხელის აღებით საგუშაგოზე მდგარი ინვალიდები და არასამწყობრო კატეგორიის ჯარისკაცები. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა შაშხანა მარცხენა ხელში გადაჰქონდათ, რათა განთავისუფლებული მარჯვენით სალამი მოეცათ...

ასეთი სამხედრო უვიცობა ყოველთვის ღიმილს მგვრიდა. აქაც იგივეს მოველოდი და ჩემდა უნებურად საკბილოს ვეძებდი, მაგრამ სრულიად მოულოდნელად ყველგან სანიმუშო წესრიგი სუფევდა; იგრძნობოდა, რომ ჰოსპიტალს გამოცდილი და მტკიცე ხელი განაგებდა.

კარგად მოვლილ ავტოპარკს ჩავუარე და უფროსის სამყოფისაკენ გავწიე. ეზოში კოხტად წარწერილი გზისმაჩვენებელი ფირნიშები გაეკრათ და ამიტომ ადვილად ავიღე გეზი ჰოსპიტლის ტშაბისაკენ. უკან ამალად შვიდიოდე ოფიცერი მომდევდა.

უეცრად, შევამჩნიე, რომ მარცხენა შენობიდან, ჩვენი გზის გადამკვეთად, ოფიცრის შინელწამოსხმული ქალი წამოვიდა. თავშიშველა იყო და გრძლად შეკრეჭილი გრუზა თმა მხრებზე ეყარა. შინელის კალთები ორივე ხელით ჩაებღუჯა, სიარულის დროს რომ არ აფრიალებოდა და წელგაშლით, მოხდენილად მოაბიჯებდა.

ზორბა და ტანადი ჩანდა.

ჯერ კიდევ შორს იყო ჩემგან და, თუმცა მის სახეს კარგად ვერ ვარჩევდი, მამაკაცური გუმანით მივხვდი, რომ ლამაზი და ეშხიანი უნდა ყოფილიყო.

— ეს რა ჯიშიანი ჰუსარი ჰყოლიათ — ხმადაბლა წამილაპარაკა ჩემმა შტაბის უფროსმა, ორმოცდაათ წელს გადაცილებულმა კაპიტანმა რომანოვმა. ამ ივანოვოვოზნესენსკელ ფეიქარს, ოდესღაც მეფის არმიაში ნამსახურსა და მრავლისმნახველს, ქალები სამ კატეგორიად ჰყავდა დაყოფილი: პლასტუნებად, გრენადერებად და დრაგუნებად. ჰუსარები კი უმაღლეს კატეგორიად მიაჩნდა, რომელიც ცხოვრებაში შეიძლება მხოლოდ ერთხელ შეგხვდეს...

ვინ იცის, რა ხანია, ლამაზი ქალი სიზმრადაც არ მენახა და გულმა უჩვეულო ბაგა-ბუგი დამიწყო. თავჩაღუნული მივდიოდი, თანაც ნაბიჯი შევანელე, რათა ჩვენი გზები გადაკვეთილიყო. მინდოდა ერთი რიგიანად შემევლო მისთვის თვალი.

რაც უფრო მეტ ღელვას ვამჩნევდი თავს, მით უფრო კუშტსა და მკაცრ გამომეტყველებას ვიღებდი.

ეზოს შუაგულში შევხვდით...

როცა მხარი გავუსწორე, სწრაფად ავხედე და მისმა სილამაზემ თვალი მომჭრა!

თავი კვლავ ჩავღუნე, გზა ნირშეუცვლელად განვაგრძე, თან დაძაბულად ვიაზრებდი, რა მექნა; გამოველაპარაკებოდი, თუ ხმა არ გამეცა და მერე შემეტყო მისი ვინაობა.

ამ მდგომარეობიდან თვით მანვე მიხსნა:

— ამხანაგო ოფიცრებო, — მომესმა მისი სასიამოვნოდ მჟღერი ხმა — ვისთან მიბრძანდებით? შევჩერდი.

ჩემს უკან მავალნი ჯგროდ შემომეხვივნენ.

ვუყურებდი ჩემს წინ თამამად მდგარ ქალს, მუქიწაბლისფერი თმით შემორკალულ მის თეთრყირმიზა სახეს, დიდრონ თაფლისფერ თვალებს, გადამშვილდულ თხელ წარბებს და სახეში ალმური მცემდა...

ღელვა რომ დამეფარა, შეტევაზე გადავედი, შინელს ზემოდან სამედიცინო კაპიტანის ვიწრო სამხრეულები შევნიშნე და რაც შეიძლება მკაცრად მივახალე:

— ჯერ ერთი, საერთოდ ოფიცრებს კი არა, უფროსს უნდა მიმართოთ. ეს სანარდო საქმე არ გახლავთ, მეორეც, სამხედრო ნაწილში თავშიშველა და მოშილიფებული არ უნდა სეირნობდეთ.

კოპები შეიკრა და ისე უცებ შეიცვალა, მტკიცე ნებისყოფის ადამიანებმა რომ იციან. უნდოდა რაღაც საპასუხო ეთქვა ,მაგრამ გადაიფიქრა, შინელის სახელოებში ორივე ხელი გაუყარა, ღილები შეიკრა, ფეხი ფეხზე მიაბაკუნა და მკაფიოდ ჩამიმარცვლა: — სამედიცინო სამსახურის კაპიტანი ბელიაევა!

ყოველივე ეს ისე მოხდენილად და ძალდაუტანებლად გააკეთა, რომ მოწონების ღიმილი ველარ დავფარე.

თუმცა გარეგნულად, მიუკარებლობის ნიღაბი მქონდა აფარებული, გულში საოცარი სითბო და სილბო ვიგრძენი. აშკარა იყო, რომ ამ ქალმა ხელის ერთი დაკვრით მომაჯადოვა.

აი, ასე! — წარმოვთქვი შემარიგებლური ტონით და ხელი გავუწოდე: — მაიორი ხვედურელი, გარნიზონის უფროსი! თქვენი მეთაურის ნახვა მინდა.

ამ სიტყვების გაგონებაზე მან სწრაფად, მაგრამ დაკვირვებით შემომხედა.

— ნება მომეცით გაგიძღვეთ — წარმოთქვა და პასუხისთვის არც კი მოუცდია, ისე წამიძღვა წინ.

მივყვებოდი ამ მომხიბვლელ ქალს და ხარბად ვუცქეროდი მის სავსე ტანს, რიტმულად მოქანავე განიერ თეძოებს, რომელთა სისავსესა და ჩინებულ მოხაზულობას უხეში შინელიც კი ვერ ჰფარავდა და ლაგამაწყვეტილი ვნება საფეთქლებში უროსავით მირტყამდა. ვგრძნობდი, რომ ჩემში აწყვეტილი ბუღის ენერგია ბობოქრობდა. ჩემივე თავისა მრცხვენოდა, მაგრამ ვერაფერი გამეწყო...

შევედით ჰოსპიტლის კანცელარიაში.

მაგიდებთან მიმსხდარი სერჟანტები მოწიწებით მოგვესალმნენ, მაგრამ არ ვიცი, მომეჩვენა, თუ მართლაც ასე იყო, სალამი იმდენად მე არ მეკუთვნოდა, რამდენადაც ჩემს წინ მიმავალ კაპიტანს.

ბელიაევა ცალკე ოთახში შემიძღვა. ამ ოთახის კარზე მელნით გამოყვანილი მსხვილი ასოებით ეწერა: „ჰოსპიტლის უფროსი“.

საწერი მაგიდის გვერდით კოხტად მილაგებული საწოლი იდგა. დიდი კედლის ღუმელი მხიარულად გუზგუზებდა. კედლები საოცრად სუფთა ჩანდა. ერთ-ერთზე ლურსმანი მიეჭედათ, ლურსმანზე კი კარგად დაუთოებული თეთრი ხალათი ეკიდა. საწოლის სასთუმალთან სკამი იდგა, სკამზე ყვითელტყავიანი უცხოური საველე ტელეფონი იდო. ასეთი, ჯერ არ მენახა.

— აქ ცხელა, უმჯობესია გაიხადოთ. — წყნარად, თითქოს თავისთვის წარმოთქვა კაპიტანმა.

შინელი გავიძრე, მაგრამ როცა საკიდის ძებნაში კედლებს თვალი შევავლე და შემოვტრიალდი, შევცბი: ბელიაევას შინელი უკვე გაეხადა და მის მაღალ, ჯილასავით მდგარ მკერდზე ორი ორდენი ბრწყინავდა: წითელი დროშისა და სამამულო ომის პირველი ხარისხისა. ეს უკანასკნელი მაშინ სულ ახალი დაწესებული იყო და მანამდე არცკი მენახა.

არ ვიცი რატომ, მაგრამ შემრცხვა.

ვიგრძენი, რომ გავწითლდი, წამით საქციელი წამიხდა. შესაძლოა იმიტომ, რომ მაშინ მხოლოდ ერთი ორდენი მეკონწიალა გულზე ობლად.

გადატყავებულ სავარძელში ისე ჩავეფალი, გეგონება თავით ფეხებამდე ჩამალვა მინდოდა. ველოდი როდის წავიდოდა ბელიაევა უფროსის დასაძახებლად. ვიგრძენი, რომ მასთან მარტო ყოფნა სამძიმო გამიხდა.

მაგრამ კაპიტანი გასვლას არ აპირებდა. მცირე პაუზის შემდეგ მან ჩემს წინ სკამი დაიდგა, ნებადაურთველად ჩამოჯდა და ისეთივე წყნარი ხმით, თითქოს უხალისოდ, წარმოთქვა:

— მე თქვენ გისმენთ...

მომეჩვენა, თუ მართლაც ასე იყო, მაგრამ „მე“ ჩვეულებრივზე უფრო ხაზგასმულად გამოუვიდა.

ახლა უკვე მეორედ შევცბი და ამჯერად ფრიად საგრძნობლადაც.

კითხვის დასმა, უხერხულად მივიჩნიე, ცხადი გახდა, რომ ჰოსპიტლის უფროსი სწორედ ისა ყოფილა!

რაღა გზა მქონდა, თავი ისე დავიჭირე, გეგონება მოულოდნელს არაფერს წავწყდომოდე. მაგრამ როცა კომენდანტის ლენჩი სახე წარმომიდგა, ბოლმა ყელში მომაწვა: ყურები გამომიჭედა იმ მამაცხონებულმა ჰოსპიტლის უფროსზე ჩივილით და ერთხელაც არ წამოსცდენია, რომ ეს უფროსი — ქალია!...

როცა ფიქრებიდან გამოვერკვიე, ვიგრძენი, რომ უხერხული სიჩუმე ჩამოწოლილიყო.

ეტყობა, ბელიაევამაც შემამჩნია დაბნეულობა და ახლა წარბებქვეშიდან დაკვირვებით მითვალთვალებდა.

უხერხულობის გასაფანტავად დაუფიქრებლად ვკითხე: რაში მიიღეთ „წითელი დროშის“ ორდენი?

ფრონტისათვის ეს სავსებით ჩვეულებრივი კითხვა იყო. მე კი მეტისმეტად ხეპრულად და უდროოდ გამომივიდა. ენაზე ვიკბინე, თუმცაღა უკვე გვიანი იყო.

ბელიაევამ უცებ არ მიპასუხა, იგი თავის თითებს ათვალიერებდა. მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, რომ ლამაზი, კარგად მოვლილი ხელები ჰქონდა და მისი თლილი თითებიც ახლადდამანიკურებული ჩანდა. ფრონტისთვის ეს დიდი იშვიათობა იყო.

— ამხანაგო მაიორო — თავაუწევლად მომმართა მან — განა არ გირჩევნიათ, იმაზე ილაპარაკოთ, რაც უფრო გაინტერესებთ?

აბა, როგორ გავმტყუნდარიყავი, ან როგორ მეთქვა, რომ მისი ამბავი ყველა სხვა საქმეზე უფრო მაინტერესებდა!

— კეთილი, მივუგე მე — მაშინ მითხარით, რა უფლებით არ ასრულებთ განკარგულებას, რატომ აქამდე არ დასცალეთ შენობა?

— რომელი შენობა? — სწრაფად მომახალა მან და მის ხმაში იმდენი გულწრფელობა გაისმა, რომ ახლა მე გავოცდი.

—როგორ თუ რომელი, განა კომენდანტმა რამდენჯერმე არ მოგმართათ მის შესახებ?

— ოი, მაიორო, რასა ბრძანებთ, განა თქვენ არ იცით, რომ იქ მძიმედ დაჭრილები გვყავანან? განა არ იცით, რომ ადგილიდან მათი დაძვრა სახიფათოა?... ნუთუ არ გეცოდებათ თქვენი მოძმეები, იქ ხომ სულ არტილერისტები არიან!..

„სუბორდინაცია“ აშკარად დარღვეული იყო. ჯერ ერთი, მისთვის მე „მაიორი“ კი არ ვიყავი, არამედ „ამხანაგი მაიორი“. მეორეც, ეს რა მიმართვა იყო უფროსისადმი: „განა არ გეცოდებათ თქვენი მოძმეებიო“? ან რა მნიშვნელობა ჰქონდა იმას, არტილერისტები იყვნენ ისინი თუ მფრინავები?

მაგრამ ყოველივე ეს ისეთი უშუალობით, ისეთი ბავშვური მიამიტობითა და გულიდან ამოსული ხავერდოვანი ხმით იყო წარმოთქმული, რომ მე სადღაც, გულის კუნჭულში, გამიხარდა კიდეც მისი შინაურული ქცევა...

ამ უცნაურ განცდასთან ერთდროულად ჩემში საპირისპირო გრძნობამაც იფეთქა — უკმაყოფილებამ ჩემი თავისადმი.

მეწყინა, ამ გრძნეულმა ქალმა ასე ადვილად როგორ მომაჯადოვა-მეთქი და განვიზრახე ერთბაშად დამეგლიჯა ის აპეურები, რომლითაც იგი ნებით თუ უნებლიედ მაბამდა.

— ამხანაგო კაპიტანო — რაც შემეძლო მტკიცე ხმით წარმოვთქვი მე და ფეხზე წამოვდექი — გაძლევთ 24 საათს შენობის დასაცლელად. თუ თქვენი ხელქვეითნი ვერ შესძლებენ დაჭრილების გადაყვანას, მე ოცეულს დაგახმარებთ. გასაგებია?

კაპიტანი გაუნძრევლად იჯდა და კვლავ თითებს ათვალიერებდა.

— გასაგებია? — გავიმეორე მე.

— გასაგებია, მაგრამ ვერ შევასრულებ. ამის გარდა, ჩემს უშუალო უფროსსაც უნდა დავეკითხო...

— არმიის სანიტარული სამსახურის უფროსთან ეგ საკითხი უკვე შეთანხმებულია — გზა მოვუჭერი მე და კვლავ გავუმეორე — გაძლევთ 24 საათს, შემდეგ კი ბრძანების შეუსრულებლობისათვის პასუხს აგებთ არმიის შტაბის უფროსის წინაშე.

თვითონაც არ ვიცი, რატომ ვახსენე არმიის შტაბის უფროსი, ალბათ მეტისმეტი თავმომწონეობით. კარი გამოვიხურე და წამოვედი

გამყოლები კანცელარიაში მელოდნენ. შემათვალიერეს და უხმოდ უკან გამომედევნენ.

ეზოში ჩემი ბრჭყვიალა „შევროლეტი" იდგა. წითელტყავგადაკრული ახალთახალი მანქანა შავად ლაპლაპებდა. იგი ორიოდე კვირის წინათ ალაფად ჩაგვივარდა ხელში და მისით, ცოტა არ იყოს, თავიც მომწონდა. მაგრამ ახლა არ მესიამოვნა ამ მანქანის დანახვა; არ მინდოდა კაპიტანს ეფიქრა, ვითომც მის წინაშე თავს ვიწონებდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი სარკმლიდან გვითვალთვალებდა.

ნაწილში მისვლაც ვერ მოვასწარი, რომ დაფეთებულმა ტელეფონისტმა მომახალა: „ხაზზე „ვოლგის მესამეა" და აპარატთან გიხმობთო".

გამიკვირდა, რადგან „ვოლგის მესამე" არმიის შატბის უფროსის პირობითი სახმობი იყო.

ყურმილი ავიღე თუ არა, მივხვდი, რომ გენერალი ზორინი გაბრაზებული იყო.

— რას თვითნებობ, თუ იცი? — შემომიტია გენერალმა — რაღაც საევაკუაციო ვადებს იძლევი, ჰოსპიტალს ჩასციებიხარ. ლენცოფა ხომ არ გიჭამია? ჭკვიანად იყავი, თორემ ხომ იცი— მის ხმაში მუქარა გაისმა — სისხლს გამოგიშვებთ და დაგაშოშმინებთ, ისეთ კომპრესს დაგადებთ, შენი მოწონებული!..

თავს ძალა დავატანე და დინჯად დავუწყე მტკიცება ჩემი განკარგულების სისწორისა, ისიც დავაყოლე, ეს ჩემი ინიციატივა არ არის-მეთქი.

— რაო, რაო, ქალაქკომმა მოგთხოვა? რომელმა ქალაქკომმა — ბუბუნებდა ყურმილში გენერალი — იცი რა გითხრა, შენ, ჩემო ძმაო, ძველი გიმნაზისტკა კი არა ხარ, ყველა გამელელმა გაგაუპატიუროს, ოფიცერი ხარ, უფროსი ოფიცერი, გარნიზონის სრული ბატონ-პატრონი! უთხარი მაგ სამოქალაქო თხუნელებს იცი რა? — მიქარვას თავი დაანებონ! ხელს ნუ გვიშლიან და ნუ მეტიჩრობენ. ჩვენ ვომობთ, ეგენი კი ფართიფურთობენ, მაგათი რჯულიც არ იყოს... აბა, ისე ქენი, როგორც გითხარი, გაიგე?.. და გაბრაზებულმა ყურმილი დამიკიდა. დარწმუნებული ვიყავი ზედ ხუთსართულიანი გინებაც მომაყოლა.

მთელი დღე მოშლილი ვიყავი. არ ვიცოდი რაზე, ან ვიზე მეყარა ჯავრი.

საღამოჟამს გადმომცეს, ჰოსპიტლის უფროსი ტელეფონთან გთხოვთო.

გულმა რეჩხი მიყო, თუმცა, არ ვიცი რისგან — სიხარულისა თუ წყენისაგან.

ერთხანს არ მინდოდა აპარატთან მისვლა, მაგრამ ბოლოს მაინც მივედი.

ისევ იმავე ხმამ, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ყურში ჩამესმოდა, აშკარად განზრახი მორჩილებით მკითხა, როდის მომახმართ ოცეულს, თქვენი ბრძანების შესასრულებლადო.

მე მოკლედ ვუპასუხე, ეს ბრძანება უკვე გაუქმებულია-მეთქი.

— როგორ — გაიოცა მან — განა თქვენ...

ყურმილი დავახეთქე და გადავწყვიტე აღარც ჰოსპიტალზე მეფიქრა, აღარც მის უფროსზე და აღარც ქალთა ჯიშსა და ჯილაგზე.

მაგრამ ეს უკვე აღარ ძალმიძდა...

წამდაუწუმ მელანდებოდა მისი მწყაზარი, თეთრყირმიზა სახე, წამწამებით დანისლული თაფლა თვალები და მთელი მისი მათრობელა გარეგნობა, განსაკუთრებით კი — წელთან კონტრასტული, მკვრივი და სავსე თეძოები.

მთელი კვირა ვებრძოდი თავს, ვცდილობდი გული გადამეყოლებინა, მაგრამ ყოველივე ამაო გამოდგა: ლამაზი უფროსის ნახვა ისე მწყუროდა, მეშინოდა რაიმე სისულელე არ ჩამედინა. თან შემთხვევას არ ვტოვებდი, მისი ამბავი არ გამეკითხა.

ჩემი გაკვირვება უსაზღვრო იყო, როცა დავრწმუნდი, რამდენს სცოდნია მისი ამბავი და რამდენი უთვალთვალებდა თურმე ჩუმ-ჩუმად.

ერთხმად ამბობდნენ, ბელიაევა დიდი უკარება ქალიაო, თუმცა მრავალნი, აშკარად თუ ფარულად, თავს ევლებიან, იგი მაინც ყველასადმი გულგრილი არისო. მენიშნა, რომ თვით ფრონტელი ჰორიკანებიც კი საიუგოს ვერას სწამებდნენ.

მაგრამ ამასთან ერთად ისიც შევიტყე, რომ არმიის ზურგის უფროსს, გენერალ ზ-ს, მისი ტრფობით ჭკუა ჰქონია დაკარგული...

ჩვენი ნაწილის „ჰორბიუროში" (ასე ეძახდნენ კაპიტან რომანოვს), ერთხელ ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად ჩამილაპარაკა (იგი გუმანით ხვდებოდა, რომ ბელიაევა გულში მყავდა ჩავარდნილი):

— ევაკოჰოსპიტალს ისეთი მომარაგება ჰქონია, ცეცხლის ხაზზე მდგარ გვარდიულ ნაწილებსაც კი შეშურდებოდათო... ეს თურმე, გენერალ ზ-ს წყალობაა. გაგიჟდებით უყვარს, თურმე, ჰოსპიტლის უფროსი და ყურძნის სიყვარულით ღობის ძირსა ჰკოცნისო. იქაური ექიმები ხუმრობენ, ნეტავი ომის დამლევამდე არ გადაიყვარებდეს, ქრისტიანულად მაინც ვიცხოვრებთო.

ხანდახან ხდება ხოლმე, რომ ირგვლივ მყოფნი ორი ადამიანის დაახლოებას ამწიფებენ. ამგვარი მაჭანკლები რაიმე ნიშნის მიხედვით გადაწყვეტენ, რომ „ესა" და „ის" ერთმანეთის საფერონი არიან და თავიანთ სწრაფვას სხვასაც გადასდებენ ხოლმე.

სწორედ ასეთ გამაღიზიანებელ-წამქეზებლად მომევლინა კაპიტანი რომანოვი. არ ვიცი, რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომ, მაგრამ იგი ძალზე მოწადინებული ჩანდა, რომ ბელიაევას დავახლოვებოდი.

მე ლმობიერი ირონიულობით ვეპყრობოდი რომანოვის წახალისებას. თან გულში მეცინებოდა ამ ბეხრეკა ბერიკაცზე, ჩემი მეშვეობით თავის მამაკაცურ ქინს რომ იოხებდა.

ერთ საღამოს, როცა ბატარეების შემოწმებიდან შეციებული დავბრუნდი და სქელი ფინჯნით ხმამაღალი სრუპუნით ჩაის ვხვრეპდი, ჩემს ძელმიწურში რომანოვი შემოვიდა.

ვიცოდი, რომ საქმის შემდეგ აუცილებლად ბელიაევაზე ჩამოაგდებდა ლაპარაკს. ასეთი ბუნების ადამიანები ხშირად სხვისი სიყვარულით ერთობიან.

ბევრი ლოდინი არ დამჭირებია.

— იცით რა — მითხრა მან გაბრწყინებული თვალებით (სხვათა შორის, საქმეზე ლაპარაკისას თვალები არასოდეს არ უბრწყინავდა) — კაპიტანი ბელიაევა თურმე განათხოვარი ყოფილა! — და იქედნურად დამაშტერდა.

გულზე მეძმარა, მაგრამ რომანოვის ჯიბრზე არაფერი შევიმჩნიე.

— მერე რა? — ვკითხე ცივად და უარესი ნიშნისმოგებით შევხედე — ან შენ რა გიხარია?

— მისი ქმარი — გაცილებით ნაკლები გზნებით განაგრძო მან — შორეული ცურვის კაპიტანი ყოფილა. ომის დასაწყისში კუნძულ ედელზე ტყვედ ჩავარდნილა. მამაც კაცს ამბობენ. ქალი თურმე საოცარ ერთგულებას იჩენს მისადმი, მაგრამ ხომ იცით, ქალი ქალია... ძალზე ჭკვიანი კი უნდა იყოს, იმ საწყალ გენერალს თურმე სისხლს უშრობს, ფინიასავით დააცუნცულებს. რატომღაც მგონია, რომ თქვენ დიდი იმედი უნდა იქონიოთ ამ ქალის მოშინაურებისა...

— კაპიტანო — გავაწყვეტინე მე — ძალიან დაღლილი ვარ და სიჩუმე მენატრება. თქვენ კი ჩაი დალიეთ, ცხელია, გესიამოვნებათ. გონებასაც დაგიწმენდავთ...

რომანოვს არა უთქვამს რა, ინდაურივით გაიფხორა, შეთავაზებული ჩაი ქმინვით დალია, ზრდილობისათვის ცოტახანს კიდევ იჯდა, შემდეგ უხალისოდ წამოდგა და გავიდა.

გავიდა ერთი კვირა და ისეთი ცხარე დღეები დაგვიდგა, რომ, ბელიაევა კი არა, ჩემი თავიც აღარ მახსოვდა: გაგანია ზამთარში, როცა ამას სრულიადაც არ მოველოდით, გერმანელები შეტევაზე გადმოვიდნენ და ოციოდე კილომეტრით უკან დაგვხიეს.

როგორც იქნა, შევაჩერეთ მტრის წინსვლა და ახლა ჩვენ გადავედით იერიშზე, რათა ძველი ხაზი აღგვედგინა. ყოველივე ამან ორი კვირის სიმშვიდე შეიწირა.

როცა სროლა მიწყნარდა, როცა საშუალება მოგვეცა აბანო მოგვენახულებინა, თმა შეგვეკრიჭა და კინოდანადგარებიც გვესტუმრნენ, — „ვოენტორგის" ინიციატივით, ერთ საღამოს შტაბის ოფიცერთა სასადილოს ვეება ძელურში საღამო გაიმართა.

ჯერ ლენინგრადელმა პოეტებმა წაიკითხეს ლექსები (მათგან მხოლოდ მ. დუდინი დამამახსოვრდა), შემდეგ კი ცეკვები გაჩაღდა.

ძელურში ტევა არ იყო.

ვინ იცის, საიდან არ მოსულიყვნენ ომით გაბეზრებული ოფიცრები, რათა აკორდეონის ნაცნობ ხმაზე „ცოტა მაინც წაეცეკვათ" და ორიოდე საათით მშვიდობიანი ცხოვრება გაეხსენებინათ...

როცა მიწურს მივუახლოვდი, ნაცნობი ვალსის **«Осенний сон»**-ის საამო მელოდია შემომესმა და ერთბაშად იმდენი მოგონება აღმეძრა, რომ ხაშხაშნაჭამივით თავბრუ დამეხვა.

თუთუნის ბოლით დანისლულ ოთახში თვალებგაბრწყინვებული წყვილები ტრიალებდნენ...

ზოგს თექის ჩექმები ეცვა, ზოგს დაბამბული კურტაკები, მაგრამ საერთო აღტკინება, მშვიდობიანი წუთის სიხარულთან და სიამოვნებასთან გადაწმახნული, ისე უშუალოდ მოსჩქეფდა და ისეთი თავდავიწყებით გითრევდა თავის მორევში, რომ უსასტიკესად გულჩათხრობილი კაციც კი თავს ვერ შეიმაგრებდა და საერთო მხიარულებას მიეცემოდა.

მე ყოველთვის მაოცებდა ძუნწი და ხანმოკლე ფრონტული სიხარულის სიმძლავრე და გადამდებიანობა. ახლაც ბოლით გაჟღენთილმა, ტყავისა და ოფლის სუნით პირთამდე ავსებულმა ოთახმა მაცოცხლებელი სიამე მომგვარა და მთვლემარე ძარღვი ამიძგერა.

აკორდეონს რადიოლა შეენაცვლა. **«Париж прекрасный город»** ვნებიანად ამღერდა გულშიჩამწვდენი სოპრანო და ამ სიმღერამ ორისამი წლის წინანდელი ამბები ისე შორიდან დამანახა, გეგონება მათ შემდეგ რამდენიმე ათწლეულს გაეფრინოს.

უცებ ...დენმა დამარტყა!..

ქალთა მოცეკვავე წყვილში კაპიტანი ბელიაევა შევიცანი!..

იგი მამაკაცის მაგივრად ცეკვავდა ვიღაც კოხტა ქერათმიან ლეიტენანტ ქალთან და რაღაცაზე გულიანად იცინოდა.

რამდენიმე ოფიცერმა მათი დაშორება სცადა, რათა ქალები დაენარჩუნებინათ, მაგრამ ისინი არ გაჰყვნენ და კვლავ ერთად განაგრძეს ცეკვა.

ისე მოხდა, რომ ცეკვით მოქანცული წყვილი სწორედ იქ გაჩერდა, სადაც მე ვიყავი კედელთან ატუზული.

ახლაც არ ვიცი, შემთხვევას უნდა ვუმადლოდე, თუ ბელიაევამ ადრევე მომკრა თვალი, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, დამინახა თუ არა, მაშინვე ძველ ნაცნობსავით გამიღიმა და ჩემსკენ წამოიწია.

— ისეთივე ბრაზიანი და უკმეხი ხართ, თუ ცოტა მაინც შეიცვალეთ? — მკითხა მან და ხელი პირველმა გამომიწოდა.

— უფრო უარესი გავხდი. — ვანუგეშე მე.

— ნეტავ მაცოდინა, რამ გაგხადათ ასეთი ღვარძლიანი?

— უთქვენობამ. — წამომცდა მე.

კაპიტანმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, ხელი თვალებზე მიიჩრდილა, გვერდზე თავის გადაგდებით დამაშტერდა და უცებ ხმამაღლა, მეტად ხმამაღლა გადაიკისკისა.

— მამაკაცები რომ ერთმანეთს ჰგავდით, ეს ადრეც ვიცოდი, მაგრამ, ეტყობა, ფრონტმა კიდევ უფრო დაგამგვანათ ურთიერთს: ერთს გაიცნობ და გეგონება ყველას იცნობო... მე ყოველთვის უშეცდომოდ ვიცი როდის რას წამოაყრანტალებს ესა თუ ის ფრონტელი დონჟუანი.

საუბრის შეცვლა მოვინდომე, რადგან სულაც არ მეპიტნავებოდა სხვისი ასლობა. ბელიაევას სამხრეულებს დავხედე და ისევე დაუფიქრებლად, როგორც პირველი შეხვედრისას, ვბეთქე: — მაიორობის მიღებაც მოგისწრიათ:?.

მან მხრები აიჩეჩა და ტუჩაბზუებით წარმოსთქვა:

— ნუთუ, ჩინ-მედლების გარდა არაფერზე ფიქრობთ? პირველად შემხვდით და ორდენებზე მკითხეთ, ახლა წოდება გაინტერესებთ. ხანდახან მგონია, რომ თქვენ დებილების სკოლაში ხართ ნამყოფი...

სანამ პასუხს მოვახერხებდი, მან როგორღაც გვერდულად გამომხედა და კვლავ გაიცინა, მაგრამ ამჯერად ისე გულსავსედ და გულწრფელად, რომ მეც გამეღიმა. საკვირველია, მაგრამ არც დებილობის ბრალდება მწყენია.

— მიამბეთ რაიმე ახალი — მთხოვა მან და პორტუპეაზე თითი გამომდო. ისე მესიამოვნა მისი ხელის შეხება, რომ მზად ვიყავი სულ ასე გაუნძრევლად ვმდგარიყავი, ოღონდ ხელი არ მოეშორებინა.

— ახალი არა, მაგრამ ერთი ძველი ამბავი კი ვიცი — იქედნურად ვუთხარი მე.

— რა? — გამოცოცხლდა ბელიაევა და უცნაურად ჩამაშტერდა.

საერთო სივიწროვეში იგი იმდენად ახლო იდგა ჩემგან, რომ მისი თმა ერთხელ სახეზეც მომელამუნა. ამ ქალის მათრობელა იერი და ალმგზნები სიახლოვე სუნთქვას მიკრავდა.

— ერთი ინტენდანტის ამბავი, გვარად მგაინიზ-ია. ნეტავი, როგორ არის?...

ბელიაევა შეკრთა. არ მოელოდა ასეთ სიბრიყვეს.

თვალები მოწკურა და ხაზგასმული სიმკვეთრით მიპასუხა:

— ძალიან კარგად არის. თქვენ მას იცნობთ?

— ჯერ არა მქონია ამის პატივი — ვითომდაც მრავალმეტყველად მივუგე მე.

— ბევრიც დაგიკარგავთ. იგი განათლებული და საინტერესო ადამიანია. მასთან ურთიერთობა ერთობ არგებდა თქვენს ხეპრობას.

— თქვენ ალბათ უკვე გარგვით, არა? იმავე ტონით მივუგე მე და მაშინვე ენაზე ვიკბინე — ხომ არ გადავამლაშე-მეთქი.

მან როგორღაც მძიმედ ჩამხედა თვალებში, მერე ნაღვლიანად გამიღიმა, დამშვიდობების ნიშნად თავი დამიკრა და საჩქაროდ გამშორდა. სანამ რაიმეს მოვახერხებდი, გარს შემოჯარული ხალხი გაარღვია და თვალთ მიეფარა...

თითქმის მაშინვე დავედევნე, მაგრამ დამეკარგა. ახლაც არ ვიცი, როგორ დამიძვრა თვალსა და ხელს შუა.

...ბარე სამჯერ შემოვურბინე ძელურს, შევიხედე მეზობელ მიწურშიც, სადაც ბლოკნოტებს, ბურახს, ოდეკალონსა და კარამელს ჰყიდნენ ოფიცრებისათვის, მაგრამ ვერც იქ ვნახე.

გული ჩამწყდა. რომ შემძლებოდა, მგონი, ვიტირებდი კიდეც.

მთვარიანი ღამე იყო...

სუსხი იგრძნობოდა.

თოვლს ალაგ-ალაგ ქედნისფერი ედო, ზოგან კი ვერცხლისფრად ბზინავდა.

მიწურიდან კვლავ მოისმოდა ფოქსტროტის ხმა და იატაკზე მოჩინდრიკე ჩექმების შარიშური. აქა-იქ შინელწამოსხმულ ოფიცერთა პატარ-პატარა ჯგუფები მოჩანდა. დახუთული ოთახიდან ჰაერზე გამოსულიყვნენ. მქრქალ სინათლეში მათი სიგარეტები ნაკვერჩხლებივით ღუოდნენ.

სიცივისაგან შემაჟრჟოლა. ძელურში შევბრუნდი, შინელი მოვძებნე და ჩემი ნაწილისაკენ გავწიე.

გული გამოუთქმელი სევდით, მტკივანი სინანულითა და ჩემი თავისადმი გაბოროტებული უკმაყოფილებით მქონდა სავსე.

ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე ხანმა განვლო.

ბელიაევას კვალი მთლად დავკარგე.

მისი ამბის გაგებასაც ვერიდებოდი — მრცხვენოდა ვისმესთვის რაიმე მეკითხა. ერთხელ, შემთხვევით მოვკარი ყური, რომ ბელიაევას ჰოსპიტალი ესტონეთისაკენ გადაუსროლიათ.

გრძნობა მინელდა, მაგრამ როდი ჩაქრა. მისი ნახვის სურვილი ხშირად გულისკოვზთან რაღაც ჩხვლეტას მაგრძნობინებდა.

გამოხდა კიდევ ხანი და ჩემი ნაწილი ბალტიისპირეთში აღმოჩნდა.

გუნება ყველას გაცილებით უკეთესი გვქონდა, ვიდრე ორიოდე წლის წინათ. ახლა კომფორტიც მეტი იყო, ნოტიო მიწურებში კი არა, ფეშენებელურ კოტეჯებსა და სასახლეებში ვცხოვრობდით. მაგრამ თუთუნის ბოლით გაჟღენთილი, „ვოენტორგის“ დახუთული ძელური, სადაც ასე საბედისწეროდ დავკარგე არსება ვისაც მთელი ამ ხნის განმავლობაში განუშორებლად გულში ვატარებდი, გონებიდან არა მცილდებოდა...

ერთ საღამოს, ჩემმა ძველმა მეგობარმა, პოდპოლკოვნიკმა შმარინოვმა დამირეკა: — თუ სურვილი გაქვს და დროს იხელთებ, „კარგ ხალხთან“ წაგიყვან, მეშინია არ დამიობდეო.

— მეზარება, მინდა გამოვიძინო, თუ მაცალეს — მივუგე მე.

— ისეთი მამალი პრეფერანსისტები აღმოვაჩინე, რომ მათთან თამაში პირდაპირ კამფეტია— არ დამინახავს, მაგრამ ტუჩების წკლაპუნზე მივხვდი, რომ შმარინოვმა თავისსავე თითებს აკოცა — „პეხოტა“ არ გეგონოს, ექიმები არიანო!..

ექიმების ხსენებამ გამომაცოცხლა.

ვიფიქრე, ეგებ ბელიაევაზეც რამე შევიტყუმეთქი და წასვლაზე დავთანხმდი.

ახალ ბრიჯსა და კიტელში გამოვეწყე, წვერი გავიპარსე, შევროს ჭრაჭუნა ჩექმები წამოვიცვი და გულზე პირველად დავიკიდე წითელი დროშისა და ალექსანდრე ნეველის ორდენები, რადგან ძალიან მინდოდა, რომ ბელიაევას ერთხელ მაინც დაენახა ისინი.

„ვილისი“ ბაროკოს სტილის სამსართულიან სახლთან შევაჩერეთ.

ლამაზი შენობის მდიდრული სადარბაზოს გავლით ვარდისფერი მარმარილოს კიბეზე მოვხვდით, რომლის მწვანე მოაჯირზეც გაშიშვლებულ ქალთა ქანდაკებები იდგა. წითელი ხით ნაკეთებსა და ჩუქურთმებით შემკულ კარებზე სპილენძის სახელურები და გვარებწარწერილი ფირფიტები ბრწყინავდა.

ძველი მფლობელები, ეტყობა, დიდიხანია გაქცეულიყვნენ, ახლებს კი უცხოურ წარწერებზე ქაღალდები მიეკრათ და ზედ თავიანთი გვარები მიეწერათ.

შმარინოვი ერთ-ერთ ასეთ კართან შეჩერდა.

სპილენძის სადარბაზო დაფის ზემოდან რვეულის ფურცელი ქინძისთავით მიემაგრებინათ და ზედ რუსულად ოთხი გვარი იყო წარწერილი. შმარინოვმა მისვლისთანავე ზარი დარეკა და მე მხოლოდ ორი გვარის ამოკითხვა მოვასწარი: «Полковник медицинской службы Н. Г. Игнатьева, подполковник медицинской службы В. С. Воронина».

კარი ფართოდ გაიღო და ზღურბლზე ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი უზარმაზარი ტანის ქალი აღიმართა. გუნებაში მაშინვე დავეტოლე, მხრებამდე ძლივს შევწვდებოდი.

იგი ერთხანს იჭვნეულად მიცქეროდა, მერე, როცა მზერა შმარინოვზე გადაიტანა, სტუმართმოყვრულად გაუღიმა და ხელის ფართო გაქნევით ბინაში შეგვიპატიჟა.

— ეი, თქვენ ბაშიბუზუკებო — ხმამაღლა გასძახა მან შიგნით მყოფთ — სტუმრები გვეწვივნენ!

— თუ ღირან რამედ? — მოისმა ოთახიდან ქალის ხმა. ეს ცნობისმოყვარული კითხვა ხმამაღალმა ხარხარმა დაფარა.

— მამაკაცები არიან, არაფერი წამოაყრანტალოთ — გასძახა ისევ ახმახმა და, თითქოს პოდიშს იხდისო, დააყოლა: — ხომ იცით, ნაფრონტალ ქალებს ენა უფუჭდებათ.

— მარტო ენა? — მზაკვრულად იკითხა შმარინოვმა.

მაღალმა გულხელი დაიკრიფა, ფეხი-ფეხზე გადაიჯვარედინა, მხარით კედელს მიეყრდნო და მუქარაგარეული ხუმრობით მოითხოვა:

— აბა, გაიმეორე!

— თქვენ რომ სთქვით, ქალებს ენა უფუჭდებათო, მე ვთქვი... არა, უფრო სწორად თქვენი ნათქვამი...

— მე ვთქვი, თქვენ თქვით — გასცინა დაბნეულ შმარინოვს მაღალმა — რა, ზმნას ხომ არ აუღლებთ?...

— არა — ისევ წათამამდა შმარინოვი — მე ქალების ზნეს ვაუღლებ...

— აბა მოდი აქ — თქვა მკაცრად მაღალმა, ტანმორჩილ შმარინოვს თავისი ძლიერი ხელი ქეჩოში ჩაავლო, კარი ფართოდ გამოაღო და უცნაურად მოთვინიერებულ პოდპოლკოვნიკს გარეთ გაუძახა, მერე კარი მიუჯახუნა და ჩხარუნა ჯაჭვით გადაკეტა.

გაოცებულმა იმაზე დავიწყე ფიქრი, თუ რას ვიზამდი, შმარინოვის ადგილას რომ ვყოფილიყავი.

— მაგისთანა სალდაფონს ასე მოუხდება! — ეგდოს იქ, მოინანიოს თავისი ცოდვები — თქვა გაგულისებულმა კაპიტანმა. მერე უხერხულობის გასაფანტავად მკლავში ხელი ჩამავლო, უზარმაზარ ოთახში შემიყვანა და იქ მყოფთა წინაშე ასე წარმადგინა:

— გაიცანით, ეს გამოწკეპილი მაიორი, იერით მგონი ქართველს უნდა ჰგავდეს, ამისი არც გვარი ვიცი, არც სახელი, როცა შეიტყობთ, მერე მე გამაცანით და გამოცდილი ცერემონმაისტერივით თავი ძირს დახარა.

მხიარული ხარხარი კვლავ გამეორდა.

წითელი ხის ძვირფასი ავეჯით გაწყობილ უზარმაზარ ოთახში, რომელიც, ალბათ, უწინ ფრიად შეძლებულ ოჯახს ეკუთვნოდა, ვეებერთელა სასადილო მაგიდას ოთხი ქალი უჯდა.

ოთხივეს ჩამოვუარე და გავეცანი.

ერთ-ერთმა მათგანმა, გარეგნულად ყველაზე ახალგაზრდამ, თმამწითურმა და მოკეკლუცო ასულმა, თავის მხრივ ახმახი კაპიტანი წარმომიდგინა:

— კაპიტანი ანიუტა საფონოვა, ყველაზე დიდი... უკაცრავად, ყველაზე გრძელი ჩვენს შორის — წაიქირქილა მან.

კაპიტანს წყენა არ შემჩნევია. იგი მაგიდასთან ფუსფუსებდა. წამით დრო ვიხელთე და იქ მყოფნი შევათვალიერე.

ყველაზე უფროსი ორმოცდათხუთმეტ წელს იქნებოდა გადაცილებული. მას პოლკოვნიკის სამხრეები ეკეთა და ოქროს სათვალეს გადაღმიდან თვალმოჭუტული შემომცქეროდა. სამ გაჭიმულ თითზე ლამბაქი ფიალასავით დაედგა და

ნებიერი გამომეტყველებით, ხამუშ-ხამუშ ჩაის სვრეპდა.

მეორე, პოდპოლკოვნიკის სამხრეებიანი ქალი არანაკლებ ხნიერი მოჩანდა. იგი სამოვრიდან ჩაის ასხამდა და სანამ რამდენიმე ფინჯანი არ გაალიცლიცა, ზედაც არ შემომხედა. მის ყვითელ, მონღოლური ყაიდის ღაწვგანიერ სახეზე წვრილი თვალები შავი გიშრებივით ბზინავდნენ, გუნებაში მას მაშინვე მონღოლი შევარქვი.

ორი სხვა ქალი, ასე ოცდახუთისა თუ იქნებოდა. თავიანთი ასაკი იმით გამოამჟღავნეს, რომ შესვლისას სკამებიდან წამოცვივდნენ, შემომევებნენ და ისე აწრიალდნენ, როგორც გაუთხოვარ ქალებს სჩვევიათ მამაკაცის დანახვაზე. იმას, ვინც ახმახი კაპიტანი გამაცნო, როზა ერქვა, მეორეს — სვეტა. ერთი უფროსი ლეიტენანტი იყო, მეორე — კაპიტანი.

მაგიდაზე სუფრის მაგიერ თეთრი ზეწარი გადაეფარებინათ. ზედ, ჩაის ჭურჭლის გარდა, კომპოტის ქილა და ორცხობილებით სავსე თეფში იდო.

— მგონი ორნი იყვნენ, მეორე რაღა იქნა? — იკითხა სათვალიანმა, მაგრამ მე კი არა, ახმახ კაპიტანს ჰკითხა.

— გავაგდე, — უთხრა მაღალმა უბრალოდ.

— ეჰ, ანიუტა, ანიუტა! — დანამუსებით წარმოთქვა სათვალიანმა და თავი გადააქნ-გადმოაქნია — წადი შემოიყვანე, სირცხვილია.

კაპიტანი მორჩილად წავიდა შმარინოვის მოსაყვანად, მაგრამ იგი, ეტყობა, უკვე წასულიყო.

— მეჯავრება უხეში მამაკაცები — თავის მართლებით თქვა დაბრუნებულმა კაპიტანმა.

—შენ თვითონ რომ უხეში ხარ? — რაღაც ბოროტი ნიშნისმოგებით ჰკითხა როზამ და ქვეშ-ქვეშად სვეტას გახედა.

— როზა! მკაცრად შეუშახა სათვალიანმა და ლამბაქი მაგიდაზე დადგა.

კაპიტანი არ გაპასუხებია, მაგრამ შეეტყო, რომ ნათქვამმა გულში გაჰკენწლა.

— უხეში გულწრფელი მირჩევნია გაიძვერა ზრდილს — წამიერი სიჩუმის შემდეგ მიუგო მან როზას და ოთახიდან გავიდა.

როზამ ისეთი ღიმილით გადმოგვხედა, გეგონება გვეუბნებოდა — აი, შეხედეთ რა აუტანელია ეს სირაქლემაო.

არ ვიცი რატომ, მაგრამ კილვის მოყვარული ლამაზი ექიმი მაშინვე ავითვალისწუნე.

ჩემთვის ცხადი გახდა, რომ აქ სხვადასხვა გუნებისა და ზნეობის ადამიანებს მოეყარათ თავი.

— აი, რა უნდა მოგახსენოთ ჩემო კეთილო — დედობრივი ტონით მომმართა სათვალიანმა, — თქვენს მოსვლამდე ბერნარდ შოუზე ვსაუბრობდით, მან ახლა შესანიშნავი წერილი გამოაქვეყნა ჩვენზე, რუსებზე, და საერთოდ, მე მისი დიდი თაყვანისმცემელი გახლავართ, იმიტომ, რომ...

— თქვენ იცნობთ შოუს? — ოდნავ ვერაგული გამომეტყველებით მკითხა მონღოლური ყაიდის ქალმა და ჩაით სავსე ფინჯანი მომაწოდა.

სათვალიანმა მკაცრად გადახედა მას, მაგრამ არაფერი უთხრა.

მადლობა ღმერთს, შოუს რამდენიმე პიესას ვიცნობდი და ადვილად შემეძლო მათზე ლაპარაკი, მაგრამ ამით როდი დავიწყე: მოულოდნელობისათვის, სიტყვა „პიგმალიონის“ ახალ დადგმაზე ჩამოვაგდე, რომელიც მცირე თეატრის სცენაზე სწორედ იმ ხანებში ვნახე. ფრონტის არტილერიის შტაბის უფროსმა, გენერალმა, ბრუსერმა, მგონი, 1943 წლის დასაწყისში ჯალაქ მიტიშჩიში მიმავლინა, რათა ზარბაზნების რემონტი დამეჩქარებინა. შემთხვევით ვისარგებლე და მოსკოვზე გავლისას მცირე თეატრი მოვინახულე.

ჩემს განცხადებას ნამდვილი სენსაცია მოჰყვა. გუმანმა გამიმართლა — სათვალიანი მცირე თეატრის ნაფიცი თაყვანისმცემელი აღმოჩნდა და მის შეძახილებზე მივხვდი, რომ, სადოვსკებსა და იუჟინზე სასოებით ლოცულობდა, ხოლო იაბლოჩკინას ძალზე ახლო იცნობდა.

დიდი აღტაცებით ვილაპარაკე სპექტაკლზე და მალე შოუს ფაბიანისტურ იდეებზე გადავინაცვლე.

საუბრის დასაწყისშივე ვიგრძენი, რომ ჩემდამი დამოკიდებულება მყისვე შეიცვალა. მოსაუბრეებმა ქალური ინსტინქტით იგრძნეს, რომ მე არც უვიცი ვიყავი და არც ულვაშიანი ხვადი, როგორადაც მიაჩნია ზოგიერთ რუსს ყოველი ქართველი მამაკაცი.

სათვალიანის თვალთაგან რაღაც სითბო გამოკრთოდა. მას გულწრფელად უხაროდა ჩემი საუბარი და დრო და დრო გამამხნევებელი ღიმილით თავს მიქნევდა. ვეღარც მაღალ კაპიტანს მოეთმინა, იგი კვლავ დარბაზში გამოსულიყო, სავარძელში ჩამჯდარიყო, გულდასმით ყურს მიგდებდა. ყოველივე ამან უფრო ამანთო, ვის არ უყვარს მისდამი სასმენად მომართული ყურები! მაგრამ იმ დროს, როცა მე პურიტანიზმს ანგარიში გავუსწორე და თოხარიკით გადავინაცვლე ბიოლოგიური ენერგიის შოუსეული აპოლოგიის კრიტიკაზე, ვიღაცამ დარეკა.

— მოიცათ, მოიცათ, უჩემოდ ნუ მოჰყვებით, — მთხოვა ანიუტამ და კარის გასაღებად გაიქცა. იცოდა, თვითონ თუ არა, სხვა არავინ გაირჯებოდა.

დავემორჩილე და დავდუმდი. მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, რომ ამდენი მთელი ომის განმავლობაში არ მილაპარაკნია. ეტყობა მოშიებულმა ვერ მოვზომე...

ჩამოვარდნილ სიჩუმეში დერეფნიდან მხიარული შეძახილები, ფეხების ბაკუნი და კოცნის მტლაშა-მტლუში მოისმა. მერე კარის ზღურბლზე ახმახი კაპიტანი გამოჩნდა და სახემცინარმა მოგვაყვირა:

— თამარი მოვიდა, თამარი!...

შევკრთი. წინაგრძნობამ მამცნო, რომ ნამდვილად ის უნდა ყოფილიყო.

კაპიტანის შეძახილზე ქალები ერთობლივად წამოიშალნენ და კარებს მიაწყდნენ.

სწორედ ამ დროს ზღურბლზე ბელიაევა გამოჩნდა... იგი კიდევ უფრო მშვენიერი და ეშხიანი მეჩვენა.

თავში სისხლი მომაწვა. დენმა ტერფამდე დამიარა.

ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რაოდენ ძლიერად დამუფლებოდა მისი ტრფობა...

ჩემი წამიერი დაბნეულობა შეუმჩნეველი დარჩა, რადგან დაკვირვებისათვის აღარავის ეცალა; ქალები ჯგროდ შემოხვეოდნენ თამარს. სათვალიანმა გულში ჩაიკრა და დიდხანს კოცნა, მონღოლური სახის ქალი კი პირველდანახვისთანავე წელში ეცა, ხელები შემოჰხვია და შემდეგ აღარც გაუშვია. თვით როზამაც ისეთი ხალასი სიხარულით გადაკოცნა, რომ არ მოველოდი.

მაღალი კაპიტანი ხომ მთლად გადაირია — აწოწილი იდგა შუა ოთახში, ქარის წისქვილივით იქნევდა თავის გრძელ ხელებს და ლერმონტოვის ლექსს გაჰყვიროდა:

Мы снова встретились с тобой,
Но, боже, как все изменилось!..
Года унылой чередой
От нас неведомо сокрылись...

საერთო სიხარულით აფორიაქებულებს გვიან მოვაგონდი. ვიჯექი მიტოვებული და გული ძალუმად მიძგერდა.

ბოლოს, მაღალმა კაპიტანმა ხელი მომაშვირა და ბელიაევას დაუყვირა (ისინი, უეცარი შეხვედრით აღელვებულნი, ყვირილით განაგრძობდნენ ლაპარაკს)...

— გაიცანი, ეს ჩვენი ახლადშეძენილი მეგობარია...

ბელიაევა ჩემსკენ შემობრუნდა და... როცა სავარძლიდან წელგაკავებულივით წამოვდექი, მის ლამაზ თვალებში შიშნარევი გაოცება აისახა...

მაგრამ როდი დაბნეულა. თავი მყისვე დაიჭირა, სანდომიანი ღიმილით ხელი გამომიწოდა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა.

— მგონი ოდესღაც ვიცნობდით ერთმანეთს.

— ახ, შე ეშმაკის ფეხო — შეჰყვირა ანიუტამ — ასე ყველაფერს როგორ ასწრებ, საქმესაც, არშიყობასაც...

კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ როზამ დაასწრო:

— ქმართან წერილების წერასაც — წვრილი ხმით წამოიყვირა მან და ყველაზე ადრე თვითონვე გადაიხარხარა. ეტყობა არ შეეძლო ღვარძლი არ გადმოენთხია. რას იზამ, ადამიანის ბუნებას თავისი გააქვს.

თამარმა არაფერი უპასუხა, იგი ჩვეული სიდინჯითა და სინარნარით მიუჯდა მაგიდას, თან ახალგაზრდებს შეევედრა:

— გოგოებო, ჩქარა დამისხით ჩაი, ისე მომწყურდა, ისე მომწყურდა, ლამის გავგიჟდე...

სათვალიანი პოლკოვნიკი მყისვე წამოხტა და ხალისიანად დაფაცურდა, მონღოლისთვალებიანი წამით სადღაც გაუჩინარდა და კონსერვების მთელი გროვა შემოარბენინა. კივილით შემოვარდნილმა კაპიტანმა კი ლიტრიანი არყის ბოთლი ისეთი ძალით დასთხლიშა მაგიდას, ვიფიქრე აუცილებლად ძირი გავარდებამეთქი. არც როზა გამდგარა განზე: ჩაბუჟებუქებული, სოკოებით სავსე დიდი ქილა გამოათრია და ორიოდე წუთში სანადიმო სუფრისათვის ყოველივე მზად იყო.

ქალები ფუსფუსებდნენ, ერთმანეთს აწყდებოდნენ, შინაურ საქმეს გადაჩვეულნი, და ამიტომ კიდევ უფრო მოწყურებულნი, დიასახლისობაში რაღაც სიამეს გრძნობდნენ.

ვიჯექი სავარძელში ღრმად ჩაფლული და რაღაც გამოუცნობი სიხარულით პირთამდე ავსილი ნეტარების ნირვანაში ვიყავი გადასული.

მალე ყოველივე მოწესრიგდა და კვლავ სუფრას შემოვუსხედით.

— ჩემო ძვირფასნო — რაღაც მნიშვნელოვნად დაიწყო ბელიაევამ და ყველას თვალი მოგვავლო (ჩემდა გასაკვირად — მეც!!) — ეს არის ახლა ჩამოვედი... კვლავ აქ დამაბრუნეს, უთქვენობა ისე არ შემიძლია, როგორც თევზს უწყლობა...

მისმა სიტყვებმა ქალები ზეზე წამოშალა. ისინი ბელიაევას მისცვივდნენ და კინაღამ გაგუდეს.

— ნელა, თქვე შეჩვენებულებო, ნელა, არ დაახრჩოთ — ყვიროდა სათვალიანი და მღელვარებას ვერ მალავდა.

— თამარი ბალტიისპირეთში გადაიყვანეს, ჰოსპიტალის უფროსად, მაგრამ მადლობა ღმერთს, ისევე ჩვენთან დააბრუნეს — მიხსნიდა იგი.

პირველად მაშინ დავინახე, რაოდენ ძლიერად ჰყვარებიათ ამ სხვადასხვა ბუნების ადამიანებს ბელიაევა.

„საზოგადოება", როგორც იქნა, დაშოშმინდა და მაღალმა კაპიტანმა არყის ბოთლი აფთიაქარის სიზუსტით გაგვინაწილა.

ცოტა ხნის შემდეგ ახლა სათვალიანი გავიდა მეორე ოთახში და იქიდან ნახევარლიტრიანით დაბრუნდა. სახეგაბრწყინებული და ხელშემართული მოდიოდა, თან აბეზარი ბიჭივით თვალს გვიპაჭუნებდა.

მის გამოჩენას ახალი ყიჟინა მოჰყვა.

ამჯერად მეც სხვებთან ერთად ვყვიროდი და ამ მოხუცი, ბაჯბაჯა დედაკაცისადმი კიდევ უფრო მეტი სიმპათია ვიგრძენი.

წარბებქვეშიდან ვუთვალთვალებდი სახეშეფაკლულ, აღგზნებულ, სწრაფად მოლაპარაკე ქალებს, ვისმენდი მათს ხმამაღალ სიცილს და თამარზე ვფიქრობდი.

ქალთა წრისათვის ნიშნეული სისწრაფით გადადიოდნენ ისინი საუბრის ერთი საგნიდან მეორეზე და მე ვერც კი შევამჩნიე როდის ან რატომ იქცა საუბრის თემად გამოჩენილი ქართველი დასტაქარი იუსტინე ჯანელიძე.

— იუსტინ ივლიანოვიჩი — წამოიყვირა კაპიტანმა — ჩვენი საყვარელი მასწავლებელია! ნინა გიორგევნა კი — მისი მარჯვენა ხელი, 21 წლიდან მასთან მუშაობს...

— გაუმარჯოს დიდ იუსტინეს — იყვირა მონღოლური სახის პოდპოლკოვნიკმა. ყველანი ზეზე წამოვარდნენ და ჭიქები სულმოუთქმელად გამოსცალეს.

— თქვენ იცნობთ პროფესორ ჯანელიძეს? — მომმართა ანდაზად სათვალიანმა.

ფიქრებიდან ჯერ კიდევ არ ვიყავი გამორკვეული, რომ ერთბაშად ვუპასუხე — როგორ არა, ჩემი მეზობელია, თბილისში ერთ ქუჩაზე ვცხოვრობთ-მეთქი.

ვიგრძენი, რომ ჩემი პასუხის შემდეგ უხერხული სიჩუმე ჩამოწვა.

ყველამ რაღაც სერიოზული სახე მიიღო.

სათვალიანმა მოკლედ შემომხედა და, თითქოს გაბუტულმა, თითები მაგიდაზე ააცეკვა.

მივხვდი, რომ რაღაც უსიამო შეცდომა მომივიდა, მაგრამ სახელდობრ რა — ეს არ ვიცოდი.

— ჯანელიძე — ვფიქრობდი გუნებაში — დიახაც, ჩემს ქუჩაზე ცხოვრობს, მამაჩემსაც იცნობს, ერთმანეთსაც ესალმებიან, ნეტავი რა გაუკვირდათ?..

პატარა ეჭვი მაინც მქონდა, რადგან ომამდე ორ ადამიანს ერთმანეთში ვურევდი — ქირურგს, პროფესორ იუსტინე ივლიანეს ძე ჯანელიძეს და გეოლოგს — აკადემიკოს ალექსანდრე ჯანელიძეს. აქედან პირველს სულ არ ვიცნობდი, მეორე კი მართლაც ჩემს ქუჩაზე ცხოვრობდა.

ახლა, როცა ამ შემთხვევას ვიგონებ, მიკვირს, როგორ შემეძლო ამ გამოჩენილი ადამიანების ერთმანეთში არევა, მაგრამ ნამდვილად ასე იყო. ალბათ დაუდევარი ჭაბუკობის ბრალია. მაშინ ხომ გონება პეპელასავით დაფარფატებს საგნებს და ხშირად გარეგნული უფრო ახსომდება სიღრმისეულზე.

...უხერხული სიჩუმე კვლავ გრძელდებოდა...

როზამ ველარ აიტანა ეს და ჩვეული ვერაგობით მკითხა: — რამდენადაც მე ვიცი, ამხანაგო მაიორო, პროფესორ ჯანელიძეს არასოდეს არ უცხოვრია თბილისში, ხომ ასეა, ნინა გიორგევნა? — მიუბრუნდა იგი სათვალიანს.

— არასოდეს — ისე მოკლედ და ენერგიულად მოჭრა პოლკოვნიკმა, გეგონება ვიღაცას ტუქსავსო.

— აი, ხათაბალა! — გავიფიქრე გუნებაში და რატომღაც საშინლად შემრცხვა.

ჯანდაბას ყველა ჯანელიძე! — რა შუაში იყო დიდებული ქირურგი, რომელზეც ასეთი მოწიწებით ლაპარაკობდნენ, მაგრამ თითქოს, ისიც შემძულდა.

შევამჩნიე, რომ ბელიაევასაც ეწყინა ჩემი ასეთი უხერხული წაბორძიკება.

ამან კიდევ უფრო გამახელა. ეს გახელება არაყმა კიდევ უფრო გაზარდა. „დიდი ამბავი — ვფიქრობდი ახალგაზრდა ოფიცრის იმ საოცარი თავდარწმუნებლობითა და აუწერელი სიამაყით, რომელსაც სამხედრო კარიერა და ხელქვეითების შეუვალი მეთაურობა აღვივებს, — ხომ არა ჰგონიათ, ვიღაც ჯანელიძის ნაცნობობა მეამაყება და ამით თავი მომაქვს.. დიდი ამბავი თუ პროფესორია, რამდენი პროფესორია ქვეყანაზე?!... არ ვიცი რატომ, მაგრამ იმხანად პროფესორები ძალიან მეჯავრებოდა, ვინ იცის, შესაძლოა ეს სიძულვილი შურითაც იყო ნაშობი.

გადავწყვიტე მაშინვე განმემარტა ამ აღტაცებულ ქალთა კრებულისათვის, რომ ოდნავადაც არ ვიქადდი ჯანელიძის მეზობლობას.

როცა მეორე ნახევარლიტრიანიც გამოვწრუპეთ, როზა ადგა და მესამე ბოთლი შემოიტანა. იმნაირად მოჰქონდა ეს შემონახული მარქაფი, გეგონება ჩვენი გულისათვის უკვდავების წყალს შეელიაო.

ეს ნახავარლიტრიანიც მალე გამოვცალეთ და ცარიელი ბოთლი იატაკზე ჭრიამულით გავაგორეთ.

მაშინ დრო ვიხელთე და ჩემთვის უკვე ღრმად საძულველ პროფესორ ჯანელიძეს დავუბრუნდი. ორიოდე ღვარძლიანი სიტყვით გავაბუქთავე მისი სახელი და როცა მთავარს მივადექი, როცა მინდოდა მთელი დამაჯერებლობით ამეხსნა ამ გასიებული ქალებისათვის, რომ ჩემთვის სრულიად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, არც თვით ჯანელიძეს, არც მის საცხოვრებელ ადგილს, არც მის საქმეს, არც მის მოწაფეებს და სხვა ამისთანებს — სათვალიანმა პოლკოვნიკმა აღარ მაცალა: გაშმაგებული წამოვარდა, აკანკალებული ხელი მაგიდაზე მძლავრად დაჰკრა და გაანჩხლებულმა ისეთი ყვირილი მორთო, რომ პირდაღებული შევყურებდი — ნუთუ ეს გაკაპასებული დედაბერი წეღანდელი ტკბილი და დინჯი ქალია, ორიოდე წუთის წინათ ასე დედაშვილურად რომ მიმასპინძლდებოდა-მეთქი.

— როგორ ბედავთ ჩვენი თანდასწრებით ასე ფამილარულად, ასე... ასე უხეშად, მოიხსენიოთ

ადამიანი, ვისაც აღმერთებს მთელი... — მას წამით სიტყვა დაებნა—მთელი სამედიცინო სამყარო, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა, მთელი ქირურგია... იცით თუ არა, რომ ჯანელიძე გენიალური დასტაქარია! იგი დღევანდელი პიროგოვია, ეს არის სასწაულმოქმედი, ეს არის ქირურგიის ღმერთი, ეს არის...

ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ამ წუთიდან აღარ მწყინდა სათვალიანის მკაცრი შემოტევა. მწყინდა კი არა, თანდათან სიამაყე და სიხარული მიტანდა, რომ არსებობს ქვეყანაზე ქართველი კაცი, ვისაც ასე გულწრფელად, ასე უზომოდ აღუფრთოვანებია ეს მკაცრი, თავიანთი საქმის მოტრფიალე ადამიანები, რომლებიც აღმერთებენ და ადიდებენ მას...

ვიჯექი გაუნძრევლად და გუნებაში მიხაროდა პოლკოვნიკის აფეთქება, მისი გზნება, მისი სიფიცხე.

მინდოდა წამოვმდგარიყავი და მოწიწებით გადამეკოცნა ეს ალალმართალი ქალი, რომელიც ასეთი თავგამოდებით იბრძოდა ადამიანის სწორი შეფასებისათვის.

ერთი კი მწყინდა: როცა მაქებდნენ, მაშინ თამარი აქ არ იყო და არაფერი გაუგონია, როცა მლანძღავენ აქ არის და ყველაფერი ესმის.

ნეტავი თუ სწყინს ჩემი ასეთი გატრიზავება? თვალი მისკენ გავაპარე და მოულოდნელად მის მზერას წავწყდი: თურმე იგი მე მითვალთვალებდა... შეკრთა, სახე საჩქაროდ მიიბრუნა და უდარდელი გამომეტყველება მიიღო.

— სწყინს — გავიფიქრე და გულში სიხარულის ტალღა ამიტყლაშუნდა. ამ მოულოდნელმა სიხარულმა ერთბაშად გამომაცოცხლა. მცონარე მდგომარეობიდან გამომიყვანა, თან ქალის საოცარი მოზღვავება მაგრძნობინა.

წამოვხტი, სათვალიანს მივეჭერი, მისი კოტიტათითებიანი, ჭორფლიანი ხელი ავიტაცე და ყველასათვის მოულოდნელად ვაკოცე.

— ღმერთო ჩემო — ხელების სავსავით წარმოსთქვა მონღოლური იერის პოდპოლკოვნიკმა — ეს ან ნამდვილი თვალთმაქცია, ან არადა — მაგრამ სახელდობრ „რა“, ეს კი აღარა თქვა.

— ნეტავი რა გაუხარდა? — იკითხა როზამ და თავისიანებს გადახედა.

— სიმართლე! — წამოიყვირა ახმახმა კაპიტანმა, პირიდან უამრავი ბოლი გამოუშვა და ქადაგადდაცემულივით სხაპა-სხუპით დააყარა:

— ნამდვილ ადამიანთან გაქვს საქმე, თუ გაიძვერასთან, ასე უნდა შეიტყო: თუ კაცს სიმართლე არა სწყინს, გინდაც ეს სიმართლე მისთვის საზიანო იყოს, იგი — კაცური კაცია, თუ სწყინს...

სათვალიანმა აღარ დაამთავრებინა, მაგიდას მუშტი დაჰკრა და შეჰყვირა:

— სწორი ხარ, ანიუტა, თუ არა სწყინს, კაცია, თუ სწყინს... დიდხანს ეძება შესაფერისი სიტყვა, მერე თითქოს სწორედ ის იპოვნა, რასაც ეძებდაო, მოკვეთილად დააყოლა: ფუზა! და პირველმა თვითონვე გადაიხარხარა, ბოხად, მამაკაცურად.

— მაშ, თუ ასეა — დაიყვირა კაპიტანმა, — დავლიოთ ყველა კაცური კაცის სადღეგრძელო და არაყი სულმოუთქმელად გადაჰკრა.

ყველამ მას მივბაძეთ.

საერთო ხორხოცით ვისარგებლე და თვალი ისევ თამარისაკენ გავაპარე. მას გულხელი დაეკრიფა და სათნოდ იღიმებოდა.

დასწყევლოს ღმერთმა მამაკაცის თავდარწმუნებულობა, მაგრამ რატომღაც მეჩვენა, რომ იგი სხვას კი არა, მე მიღიმოდა...

— ანიუტა — ტკბილად უთხრა როზამ მაღალ კაპიტანს — თუ კარგი კაცის გამოცნობა ასე ადვილია, რატომ სერგეევი ვერ გამოიცანი?

— როზა — მკაცრად წარმოსთქვა სათვალებიანმა და კიდევ უფრო ძლიერად დაჰკრა ხელი მაგიდას.

როზამ დაინახა, პოლკოვნიკი აღარ ხუმრობსო, მოკლედ ჩაიქირქილა და მიყუჩდა. ეტყობა გული დაუამდა, ბალღამი რომ ჩაუწვეთებელი არ დარჩა.

— მაიორო — დედობრივი დამრიგებლობით მომმართა სათვალებიანმა — არასოდეს არ იმსჯელოთ ადამიანზე, რომელსაც არ იცნობთ! ან ის ტყუილი რაღაში დაგჭირდათ, იუსტინ ივლიანოვიჩი ჩემი მეზობელიაო! — მის ლაპარაკში შემრიგებლური ტონი იგრძნობოდა.

— ალბათ თავმოყვარეობამ დამიჯაბნა — თავის გასამართლებლად მივუგე მე — როგორ შეიძლება ასეთ პიროვნებას არ ვიცნობდე-მეთქი, ჩვენ ხომ სხვისი ნაცნობობით ხშირად მოგვაქვს თავი.

— თქვენ, ქართველებს კი, ეს სენი სხვაზე მეტად გჭირთ — ისე შემაპარა როზამ, გეგონება ქათინაურს მეუბნებაო.

— ნუ გეშინია — მკაცრად გამოეპასუხა მონღოლური სახის პოდპოლკოვნიკი — კუდაბზიკობა არც რუსებს გვაკლია და არც სხვებს გაკლიათ — თან როზას თვალები გადაუქაჩა.

— ეს ხომ საერთო ადამიანური სენია — ბოდიში მოხადა ყველას კაპიტანმა.

— შესაძლოა ეს აგრეც იყოს, — ჩაფიქრებით თქვა სათვალიანმა —მაგრამ თქვენ, მგონი, იგი ვილაცაში აგერიათ.

— რა გულთმისნურად მიმიხვდა — გამიკვირდა და აღარც დამიყოვნებია, ორი ჯანელიძის ამბავი მოვუყევი.

— ნინა გეორგიევნასა რაღაზე აკოცეთ? — მკითხა როზამ, რომელსაც არ შეეძლო, რომ ყოველივე წვრილად არ გამოეკითხა.

— ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თანამემამულე

გამაცნო და მეორეც. ქართველი კაცის ქება ყოველთვის მიხარია.

— მე კი მეგონა, რომ თქვენ ერთმანეთის ძაგება უფრო გიხარიათ — ჩაილაპარაკა როზამ და სანამ პასუხს გავცემდი, კიდევ უფრო საჭოჭმანო კითხვა დასვა:

— თამარ — მიუბრუნდა იგი ბელიაევას — გაჰყვებოდი ცოლად ქართველს?

რა იყო ეს, მიამიტობით შენიღბული ეშმაკობა თუ მიუხვედრელობა?

ალბათ ყველამ უხერხულობა იგრძნო, რადგან შეთანხმებულებივით თამარს გადახედეს.

თამარი კი მშვიდად იჯდა და კვლავ იღიმებოდა.

— თუ შემიყვარდებოდა, რატომაც არა — წარმოთქვა მან და ფინჯანიდან ჩაი მოსვა.

— ეჰ, ბავშვებო, ჩემო საწყალო ბავშვებო, — სევდანარევი სინანულით წარმოთქვა სათვალიანმა — იცით კი, რა არის ნამდვილი სიყვარული და როგორი გაფრთხილება სჭირდება მას?

კიდევ კარგი, თავი შევიკავე და სიტყვა ენის წვერზე დავიჭირე. თორემ კინაღამ წამომცდა — „ვიცით-მეთქი“. აბა, მაშინ ვიქნებოდი სასაცილო!..

ისევ თამარს გადავხედე, ამჯერად უფრო თამამად. მის მზერაში რაღაც კაეშანი ამოიკითხებოდა.

რამდენიმე ხანს საუბარი კიდევ გაგრძელდა, მაგრამ ისე ცხოვლად არა.

შუაღამე გადასული იყო, როცა თამარი წამოდგა, გვიან არის, უნდა წავიდეო. რამდენიც არ ეხვეწნენ, ღამის გათევაზე ვერ დაითანხმეს.

— მაიორო — მომმართა სათვალიანმა — იმედია, მიაცილებთ ჩვენს მზეთუნახავს.

მე თავი დავუკარი.

—არაფერი გაცილება არა მჭირდება — იუარა თამარმა — არც არავისი მეშინია. თან სიცილით დააყოლა — გარდა ქვეწარმავლებისა, რომლებიც აქ არ იქნებიან.

— გეშლება, თამრიკო, ისინი ყველგან არიან — ჩაიქირქილა როზამ.

— სახლებშიც, ოჯახებშიც, ჩვენს შორისაც — დაასკვნა კაპიტანმა და როზას დამცინავად გადახედა.

მაიორო, არ მიგვიტოვოთ ჩვენი მზეთუნახავი — გაიმეორა სათვალიანმა.

— ქალს ყველაფერი არ დაეჯერება — გამამხნევა მონღოლმა და ქვედა ტუჩი სასაცილოდ გადმოაბრუნა.

გარეთ გამოვედით თუ არა, სასიამოვნო სიგრილე ვიგრძენი.

ადრიანი გაზაფხული იყო. ახალ ნაწვიმარზე აქა-იქ გუბეები დატბორებულიყო.

ერთ-ერთ მათგანზე გადასახტომად თამარს ხელი შევაშველე და ავენთე: მისმა ტანის სიმკვრივემ დამათრო. თრობამ კი ენა დამიმუნჯა, ასე უჩუმრად მივდიოდით, გაბუტულებივით.

მზად ვიყავი სიცოცხლის ნახევარი მიმეცა, ოღონდ შემეტყო რაზე ფიქრობდა ამ დროს თამარი. მის სადგომს ისე მივუახლოვდით, რომ გზაში მხოლოდ ორიოდე არაფრისმთქმელი სიტყვა გავცვალეთ.

იმ საღამოს შემდეგ თამარს კარგახანი ვერსად შევხვდი.

ერთ დღეს შევიტყე, რომ ჩვენი არმიის ოფიცერთა სახლისათვის რუსი ემიგრანტის, ე-ს, უმდიდრესი ბიბლიოთეკა გადაეცათ.

ისე ვიყავი წიგნს დანატრებული, რომ ასკილომეტრიან დანგრეულ გზაზე ყანყალს არ შევუშინდი და მეორე დღესვე ქალაქ ვ-სკენ გავემგზავრე.

სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა უემურმა ქალმა, ალბათ ბიბლიოთეკარმა, წიგნსაცავში არ შემიშვა. „წიგნადი ფონდი ჯერ აღუნუსხავია. ერთი თვის შემდეგ შემოგვიარეთო“.

მაშინ ოფიცერთა სახლის უფროსს მივადექი და კარგა ხნის ღრიტინის შემდეგ ძლივს დავიყოლიე ნებართვის მოცემაზე.

როცა უზარმაზარ ოთახში შევედი, რომელიც ბიბლიოთეკის საცავად გადაექციათ, ჭერამდე ამართულ თაროებს შორის რამდენიმე მოფუსფუსე წიგნის მოყვარული დავინახე. ეტყობა, იმათაც ჩემი ხერხით შემოეღწიათ.

წიგნებისათვის ერთი თვალის შევლებაც კმაროდა, რომ ბიბლიოთეკის სიმდიდრეში დავრწმუნებულიყავი. გული დიდიხნის განუცდელმა სიხარულმა მოიცვა.

წამიც და ყოველივე დამავიწყდა...

როგორც მწყურვალი წყალს, ისე დავეწაფე ძველი მეგობრებივით შემოგებებულ წიგნებს.

ნაცნობ მწერალთა თხზულებების ხელში აღებით ისეთ სიამეს ვგრძნობდი, დიდიხნის უნახავ მშობლებთან შეხვედრამ რომ იცის.

მთვარეულივით დავაბიჯებდი თაროებს შორის და ომის წლებში წიგნს მოშიებულს, გულში მათი სათითაოდ ჩაკვრა მინდოდა.

არ ვიცი რამდენ ხანს დავაბოტებდი მაღალ თაროებს შორის, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა ერნესტ რენანის ძვირფასად გამოცემული წიგნი მეჭირა და ფრთხილად ვფურცლავდი, ნაცნობმა ხმამ შემაკრთო:

როგორც ვხედავ, მაიორო, თქვენც წიგნება გყვარებიათ — ავიხედე და თვალს არ დავუჯერე, ჩემს წინ თამარი იდგა...

გავწითლდი.

დავიბენი.

თვალი ველარ გავუსწორე.

ალბათ შემატყო და უფრო ლმობიერი გახდა. ზოგიერთმა ქალმა ხომ ასე იცის: თუ ძალუმი მიტანება შეგამჩნია, უკან დაიხევს, მაგრამ თუ თავიდანვე უკან დახეული გნახა — თვითონვე მოგიახლოვდება.

იმ დღეს ბელიაევა სულ სხვანაირი მეჩვენა: უბრალო, სათნო, ამხანაგური, გულთბილი.

დიდხანს ვისაუბრეთ და გულახდილმა ბაასმა კიდევ უფრო დაგვაახლოვა. მითხრა: რამდენიმე დღის შემდეგ ლენინგრადში მივემგზავრები, საქმიმო შეკრებაზეო. ძალიან უხაროდა, რადგან მოხუცი მამის მონახულებასაც შესძლებდა.

ეს ამბავი მეც უზომოდ გამიხარდა. სწორედ იმ დღეებში მეც მიწევდა ლენინგრადში გამგზავრება. არტიდივიზიონთა მეთაურების ინსტრუქტაჟზე ვიყავი გაწვეული, გერმანელებისაგან ალაფად აღებული არტილერიის და მართვის ახალი მოწყობილობის გასაცნობად.

— ლენინგრადში მეც მივემგზავრები, რამდენიმე დღით — ფრთხილად შევაპარე მე.

— მართლა? — სწრაფად ჩამეკითხა თამარი, მაგრამ მაშინვე უფრო თავშეკავებულად დააყოლა, ძალიან კარგი იქნებაო.

გამოირკვა, რომ ორივე ერთნაირად დანატრებული ვიყავით თეატრს, კინოს, მუსიკას. იმხანად „მარინკა“ ახალი გახსნილი იყო და მასში მოხვედრაზე ორივე ვოცნებობდით.

თამართან მომავალმა შეხვედრამ ფრთები შემასხა.

დავთქვით, რომ იმ დღის სწორს, ნევის პროსპექტზე კაფე „კვისისანასთან“ შევხვდებოდით...

... და შევხვდით კიდეც...

მთელი ოთხი დღე ნეტარების მწვერვალზე ვიყავი. ამ ხნის განმავლობაში ყოველდღიურად ვხვდებოდი თამარს. არც ის მალავდა და არც მე ვმალავდი, რომ უერთმანეთოდ ყოფნა აღარ შეგვეძლო...

არის ქალაქები, რომლებიც, თავიანთი რომანტიკული სულითა და იერით, ადამიანს სასიყვარულოდ განაწყობენ. სწორედ ასეთი მადლმოსილებით არის აღსავსე დალოცვილი ლენინგრადი!

იმ დაუვიწყარ მაისში კი იგი განსაკუთრებით მშვენიერი იყო — მშრალი და მზიანი.

ხელიხელჩაკიდებულნი გვიანობამდე დავეხეტებოდით სანაპიროზე, ლესნოი პროსპექტზე, ნევსკიზე და რძისფერ ბლონდად ჩამომდგარ თეთრ ღამეებში ახლადამწვანებული პარკების მათრობელა სურნელებას დახარბებული ირმებივით ვეტანებოდით.

სიზმარეულ ზმანებას ჰგავდა ის დღეები და სიზმრისნაირად გაჰქრნენ კიდეც.

ორი დღე ჯერ კიდევ წინ მქონდა, როცა დაშორებაზე დავიწყე ფიქრი და გულზე შემოწოლილმა სევდანარევმა მოლოდინმა სიხარული გამინახევრა.

დადგა განშორების დღეც.

მართალია, ცოტა ხნის შემდეგ თამარიც კ-ში უნდა ჩამოსულიყო და კვლავ ერთმანეთს შევხვედროდით, მაგრამ მისი მიტოვება მაინც ძალზე მიჭირდა.

შუადღეზე „ფანტანკასთან“ შევხვდით და საყვარელ ქუჩებს დავუყევით.

— იცი რა! მითხრა თამარმა — წამოდი ჩვენთან, ჩემს გაკეთებულ პელმენებს გაჭმევ და მამაჩემსაც გაგაცნობ, გინდა?

ვინ იცის, რამდენჯერ მინატრია ამგვარი წუთი და ალბათ ამიტომ ისე სასწრაფოდ ვუპასუხე, მინდა-მეთქი, რომ ჩემი სულწასულობისა თვითონვე შემრცხვა.

ვასილევის კუნძულზე ერთ უზარმაზარ, ალბათ გასულ საუკუნეში აშენებულ რუხ სახლს მივადექით. ფეხით ავედით მეოთხე სართულზე (ლიფტი დიდი ხნის მივიწყებული პატივი იყო) და ერთ-ერთ ბინასთან შევჩერდით.

კარი ძალზე გამხდარმა, ხანში შესულმა კაცმა გაგვიღო და თამარს გულიანად მიესალმა.

ამ მეზობელს თავისი დიდი, ნათელი ოთახი გაღებული დარჩენოდა და მეც ძალაუნებურად შევიხედე შიგ. კედლებზე უამრავი სურათები ეკიდა.

— ეს ცნობილი მხატვარი სუროვცევია — წამიჩურჩულა თამარმა.

ბნელი კორიდორის ბოლოს, შიდა კარის ზღურბლზე იდგა მაღალი, წელშიმოხრილი, ძველებურ სერთუკში გამოწყობილი მოხუცი, ფაფუკი, თეთრი წვერით და დაფანჩული წარბებით.

იგი კორიდორის სიბნელეს დაძაბულად გამოსცქეროდა, ეტყობა თვალთ აკლდა.

როცა მივუახლოვდით, მან თავისი გამხმარი და აკანკალებული ხელით მკერდზე ძეწკვით ჩამოკიდებული ოქროს პენსნე ცხვირზე შემოიდო, რამდენიმე ნაბიჯი ჩვენსკენ გადმოდგა, თან დაკვირვებით დაგვაშტერდა.

— მამიკო, ვერ მიცანი? — შესძახა თამარმა.

— ჩემო ტკბილო გოგონა, ჩემო სიხარულო — ღმერთო, ღმერთო, ეს რა ბედნიერებაა... მან ფართოდ გაშალა ხელები და თამარი გულში ჩაიკრა.

მამაშვილი დიდხანს იდგნენ ასე გადახვეულები... არც ერთი მათგანი ხმას არ იღებდა. მოხუცი თავის აცახცახებულ თითებს თამარს ბეჭებზე უთათუნებდა.

ამ შეხვედრის უნებლიე მოწმე უხერხულობას ვგრძნობდი. აღარ ვიცოდი რა მომემოქმედა. პირველად ისევ თამარი გამოერკვა:

— მამა, ეს ჩემი მეგობარია, გაიცანი — მიუთითა ჩემზე.

— ფრიად სასიხარულოა, ფრიად სასიხარულოა — აფუსფუსდა მოხუცი და თავისი გაძვალტყავებული ხელი საკმაოდ მაგრად ჩამომართვა.

— მობრძანდით, მობრძანდით — იმეორებდა იგი თან უკან-უკან იხევდა. მერე ბებრულად ტაატით შებრუნდა და მეგზურივით გაგვიძღვა. როცა იგი, წელში მოხრილი, გრძელი ხელების ქნევითა და გვერდზე გადაქანებული თავით

ჩვენს წინ წალასლასდა, შიშმა შემიპყრო: აი, ეს არის ახლა წაიქცევა-მეთქი. მინდოდა ხელი შემეშველებინა, მაგრამ თამარს შევხედე თუ არა, გადავიფიქრე, — იგი დადარაჯებული მიყვებოდა მოხუცს და ყოველ წამში მზად იყო მხარში შესდგომოდა მას. სახეზე ისეთი გამომეტყველება ედო როგორც დედას, რომელიც თავის ახლადფეხადგმულ ჩვილს უკან მიჰყვება და ყოველ წუთს მზადაა დახმარების ხელი გაუწოდოს პატარას. გამიხარდა: ბევრი უკუღმართი შვილი მინახავს, მშობელთა უძლურებისადმი გულგრილი და ისეთიც, მათი სისაპყრისა რომ რცხვენიათ.

— საწყალი მამაჩემი! როგორ დაბერდა, როგორ მოტყდა! — თითქოს ბოდიშსა ხდისო, ხმადაბლა ჩაილაპარაკა თამარმა.

მოხუცი უკვე ოთახის შუაგულში იდგა. თამარი მიუახლოვდა თუ არა, მან მკლავები ისევ გაშალა და უცნაურად მომლბარი შვილი ხელმეორედ ჩაიხუტა. მამა ბევრად მაღალი იყო შვილზე.

ფანჯარასთან მივედი და ძირს გადავიხედე. მოპირდაპირე მხარეს სახლები არ იდგა.. რამდენიმე მეტრის დაშორებით არხი გადიოდა. იგი ფინეთის ყურეს ერთვოდა. მარცხნივ სმოლენსკის სასაფლაო ჩანდა. ეტყობა მისთვის აღარავის ეცალა: ბალახიდან ამოშვერილი და აქეთ-იქით გადაქანებული ჯვრებიღა მეტყველებდნენ საფლავების ადგილსამყოფელზე.

ბუტბუტი მომესმა, როცა მოვიხედე, მამაშვილი ისევ ისე იდგნენ. მოხუცს თავისი ბანჯგვლიანი ლოყა თამარისათვის თხემზე ჩამოედო და რაღაცას ხმადაბლა სხაპასხუპით ლაპარაკობდა, შესაძლოა, ბავშვობაში დაზეპირებულ ლოცვას. როცა მორჩა, მომიბრუნდა და ბოდიში მოიხადა, თან მეორე ოთახში გამიწვია ,იქ უფრო თბილა, ამ სამი დღის წინ ღუმელი მენთოო.

— ეს თამარის ოთახია — რაღაც გულშიჩამწვდომი ხმით თქვა მან, როცა უფრო მომცრო ოთახში გავედით — აქ გაიზარდა. ორივე ხელისნებით შვილის სახე თავისკენ მიიზიდა და თვალები დაუკოცნა.

— ეს რაღაა, ჩემო გოგონი? — მოხუცს თამარის კულულები ეჭირა ხელში.

— დავბერდი, მამიკო, ჭაღარა შემერია...

მოხუცმა მძიმედ ამოიოხრა და შავ, ღრმა სავარძელში ზურგგაკავებული ჩაეშვა.

თამარმა საქმე მოიმიზეზა და გავიდა.

ოთახში ორნი დავრჩით. მოხუცი ხმას არ იღებდა. ეტყობა მოულოდნელმა სიხარულმა დაღალა და ახლა ძალას იკრებდა.

მივიხედ-მოვიხედე. ერთმხრივ, კაკლის ხის დიდი საწოლი იდგა. მას მოვარაყებულ ჩარჩოში ჩასმული სურათი დაჰყურებდა. აკვარელით დახატული ლამაზი ქალი საოცრად ჰგავდა თამარს.

მოპირდაპირე კედელი სურათებით იყო მოფენილი.

თვალში მეცა რევოლუციამდელი ინჟინრის ფორმაში გამოწყობილი მიმზიდველი მამაკაცის ფოტო. ქერაულვაშა ვაჟკაცს კოკარდიანი ქუდი ოდნავ გვერდზე მოეგდო და თვალმოჭუტული იცქირებოდა. მესამე კედელთან ღრმადნაჩუქურთმები, ჩინებული ვენეციურსარკიანი ძველებური კომოდი იდგა, ძვირფასად ინკრუსტირებული.

კომოდს ზემოდან თეთრკაბიანი ბავშვის ვეებერთელა სურათი ეკიდა: პაწია გოგონას ერთ ხელში წნული კალათი ეჭირა, ყვავილებით სავსე, მეორეში კი — დიდბაფთიანი ჭილის ქუდი. ბავშვის სახეზე თამარის ნაცნობი იერი ამოვიკითხე...

— ასე გულდასმით ეს სურათები დიდიხანია არავის დაუთვალიერებია — მომესმა მოხუცას ხმა. იგი, მთელი ტანით საზურგეს მიყრდნობილი, სათნო ღიმილით შემომყურებდა.

ეტყობა დანატრებული იყო ადამიანებს და ამიტომ საუბარიც ადვილად ავაწყეთ. იგი მონდომებით მომითხრობდა და ყურადღებით მისმენდა. ამ ორი თვისების თანაარსებობას ყველა ადამიანი როდი ახერხებს. ჩვენი ხალისიანი მუსაიფის დროს თამარმა რამდენჯერმე შემოგვაკითხა და აშკარად ნასიამოვნებმა ისევ სამზარეულოს მიაშურა.

მოხუცის ნაამბობიდან შევიტყვე, რომ იგი, შეძლებული ოჯახიშვილი, რევოლუციამდე მიწისმომწყობი ინჟინერი ყოფილა და ერთხანს საქართველოშიც უმუშავნია „ზემლემერად“.

— მაშინ ჩვენ დიდი ფასი გვქონდა — ღიმილით მომითხრობდა იგი — ყველა ჩვენს გადაბირებას ცდილობდა. უნამუსო კაცი დიდ ქონებას შეიძენდა, ხომ იცით, ძველად ყველას მიწაზე ჰქონდა ცილობა, მაგრამ მე ყოველთვის მართლის მხარე მეჭირა. ამის გულისათვის თქვენმა გიორგი ამილახვარმა, აი, ოთარაშენში რომ ცხოვრობდა, ერთხელ კინაღამ ჩეჩნებს მოაკვლევინა ჩემი თავი...

სად არ ვყოფილვარ, ერისთავებთან ქსანზე, საციციანოში, ბორჯომელ აბაშიძეებთან, საწერეთლოში, დადიანებთან, გურიელებთან, შერვაშიძეებთან, ჩოლოყაშვილებთან... ეჰ, რა ვაჟკაცებთან გამიტეხია პური, რა ადამიანები მინახავს... ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ქართველებზე უკეთესი ხალხი ქვეყანაზე ბევრი არ მეგულება...

უცნაური ზნე მჭირს; როცა სხვა ხალხის შვილი ჩემს ერზე ალალი სიყვარულით ლაპარაკობს — ტირილი მინდება, მზადა ვარ გადავეხვიო და გადავკოცნო...

რა არის ეს, მონის მადლიერება, თუ მეუფის ამპარტავნობა?

არც ერთი და არც მეორე; ეს პატარა ერის შვილთა გამახვილებული ეროვნული თავმოყვარეობაა, მცირერიცხოვანი ხალხის თვითგადარჩენის ინსტინქტით გაღვივებული ტკივილების გამოძახილი...

ახლაც, როცა მოხუცი გატაცებითა და დაუფარავი სიმპათიით ლაპარაკობდა ჩემ საყვარელ საქართველოზე, ესოდენ შორეულსა და სანუკვარზე, ესოდენ მშობლიურსა და გულამაჩუყებელზე, მე უკვე მახლობელივით შემიყვარდა ეს ჯერ კიდევ სრულიად უცხო ადამიანი.

რა არ გავიხსენეთ: აცრემლებული თუშური ყველი თუ ჩაშაქრებული კუმისური ღვინო, დუთმა ნესვი თუ ქარვისფერი ბუდეშური; საგანელოვის „პონჩიკები“ თუ მცხეთური ლვეზელი და, რა თქმა უნდა, სამი ქალაქი — მზით დაფერილი თბილისი, სავარდო ქუთაისი და გედივით თეთრი ბათუმი... მაგრამ ჩვენს მოგონებებს უპირატესად მაინც „გასტრონომიული“ ხასიათი ჰქონდა, რაც ბლოკადის პირობებში, არც თუ გასაკვირი იყო. მოხუცი უჩიოდა უწყლობას, უსინათლობას, ყველაზე მეტად კი უშეშობას.

თამარმა სუფრა გაგვიშალა. მაგიდაზე ეწყო შავი პურის თხელი ნაჭრები, ცოტაოდენი ბოლში გამოყვანილი ღორის ქონი, ერთი ქილა ამერიკული კონსერვი და ნახევარი ლიტრა არაყი. გამოუთქმელი სიამოვნებით ვუყურებდი გაქათქათებულ სუფრას (ზეწარს კი არა. ნამდვილ, ფოჩებიან სუფრას!), ვერცხლის რგოლებში გაყრილ ვეებერთელა ხელსახოცებს, ვენზელებიან დანა-ჩანგალს, რომელიც „ვოენტორგისეულის“ შემდეგ (თეფშზე ოდნავ დაჭერით რომ იღუნებოდა) მეტად მძიმე მეჩვენა, კუზნეცოვის ფაიფურის ჭურჭელს, ბროლის ჭიქებს და თავი სიზმარში მეგონა...

თამარი განაბული გვიგდებდა ყურს. სახეზე ისეთივე ღიმილი დასთამაშებდა, პირველად, ნინა გეორგევნასთან რომ შევამჩნიე.

ერთი პაწია შემთხვევა რომ არა, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნებოდა... შუა პურობის დროს არყით გამხიარულებულმა მოხუცმა თავზე ხელი შემოირტყა, მეორე ოთახში გაფრატუნდა და წითელი ღვინით სავსე ბოთლი შემოიტანა.

— კინაღამ დამავიწყდა, ქართველი კაცი ღვინით უნდა დალოცო, არაყი რა მაგათი საქმეა...

— საიდან გაქვს? — გაიკვირვა თამარმა.

— აი, ინტენდანტი რომ არის, შენი ნაცნობი, ის მანებივრებს. გასულ კვირასაც შემოიარა, ცოტა თუთუნი და ორი ასეთი ბოთლი შემომიტანა. არ მომეშვა, სანამ არ დამიტოვა.

თამარს ალმურმა გადაჰკრა სახეზე.

— მამა, ხომ გთხოვე, მისგან არაფერი არ მიიღო-მეთქი — ხმაში გამოჟღენილი წყენით წარმოსთქვა მან.

— არც ვიღებ, მაგრამ ისეთი მოძალება იცის, ვერაფერი გავაწყე... იმდღევანდელი შეშისა არ იყოს, მთელი მანქანა მომაყენა. როცა ვიუარე, ჩემს მეზობლებს მოელაპარაკა—ნახევარს თქვენ მოგცემთო, ოღონდ დაუხერხეთ და აუზიდეთო. იმათაც ისეთი სიხარულით ამომირბენინეს, თანხმობაც კი არა მკითხეს... არა, ძალიან მოძალება იცის, ძალიან...

— კარი აღარ გაუღო—ყრუდ წარმოსთქვა თამარმა და ყურის ბიბილოები გაუწითლდა.

გველნაკბენივით ვგრძნობდი თავს. მივხვდი, რომ ეს მოძალებული ინტენდანტი სწორედ ის გენერალია, თამარს რომ ეკურკულებოდა.

მთელი საღამო ჩამიმწარდა.

სულ იმის ფიქრში ვიყავი, სადამდე იყო „საქმე“ მისული: ცხოვრობდა თუ არა თამარი იმ გომბეშოსთან.

კეფაში სისხლის უეცარი მოწოლისაგან ტკივილი ვიგრძენი. საუბარიც გაუგემურდა, ყველა თავ-თავის საფიქრალს მივეცით. მოხუცი საცოდავად ჩაინავლა და დიდხანს ხმა აღარ ამოუღია.

ორივემ მთხოვა ღამე მათთან გამეთია, ხიდები უკვე გადახსნილი იქნებაო, მაგრამ ვერ დამიყოლიეს. გულდამძმარებული წამოვედი.

ხიდები, მართლაც, გადაეხსნათ და მთელი ის ღამე მგლურ ძუნძულში გავატარე. თავს იმით ვინუგეშებდი, ლოგინში რომ ვწოლილიყავი მაინც არ დამეძინებოდა, ახლა კი სუფთა ჰაერზე ვარ-მეთქი.

თუთუნის მთელი მარაგი გამოვათავე.

მძიმე ფიქრისა და ბოლისაგან თავბრუ მესხმოდა.

სულ ერთთავად თამარი მედგა თვალწინ და, მასთან განუყრელად, ის წყეული გენერალი.

ბუზებივით ვიგერიებდი მკბენარა ფიქრებს და საშინელ სურათებს. მაგრამ დრო და დრო ისეთი სიცხადით წარმომიდგებოდა ღიპიან გენერალთან ჩაკონებული თამარი, რომ უნებლიედ ყელგამოღადრული ხარივით ვზმუოდი და ნაბიჯს ვუჩქარებდი.

შორიდან რომ შეგეხედათ, ალბათ გიჟი გეგონებოდით. თუ არავინ შემამჩნია, მხოლოდ იმის წყალობით, რომ იმ დროს ბევრი ნახევრადშეშლილი ადამიანი დაიარებოდა ჩვენს ნაომარ მიწაწყალზე, საზარელი ომისაგან დაფეთებულნი, ჩემსავით ყალყზე რომ დგებოდნენ მოლანდებულ საშინელებათა წინაშე.

ვერა და ვერ მოვიშორე გონებიდან ვერც ურცხვად გაშიშვლებული თამარის სახება და ვერც მისი რიოში გენერლისა, შეშუპებული ქუთუთოებით და ოქროს კბილებით... იგი ატეხილი ულაყის ვნებიანობით ეტორლიალება

თამარს; მაგრამ ამაზე შემაზრზენი ის არის, რომ თამარს თურმე ესიამოვნება გამგელებულ ხვადის ასეთი მიტანება! (სწორედ ეს მაგიჟებს მე), იგი უფრო მჭიდროდ ეკვრის მას და ახელებს...

ის თეთრი ღამე, მართლაც, თეთრად გავათენე. მაშინ პირველად ვიგრძენი ჯერაც განუცდელი შიში—შიში იმისა, არ გავგიჟებულიყავი...

მივხვდი, რომ ეს იყო უსაშინელესი ყველა წამებათაგან, უავესი ყველა ავზნეთაგან—წყეული ეჭვი, რომელიც ადამიანთან ერთდროულად გაჩნდა და რომელსაც ვერასოდეს ვერ განერიდება კაცთა მოდგმა... ეჭვი, ხორცისა და ძვლების დამღრღნელი, ტვინისა და გულის დამშლელი, უკიდეგანო როგორც სამყარო და განუკითხავი როგორც თვით ადამიანი.

მეორე დღეს ლენინგრადიდან მივემგზავრებოდი.

მატარებელი ექვსზე გადიოდა. სამზე თამარს შევხვდი. იგი ფინეთის ვაგზლის მახლობლად მელოდა, სამხედრო-სამედიცინო აკადემიის რკინისრიკულებიან ღობესთან.

ისეთი დაჟინებით ვაკვირდებოდი მის მწყაზარ სახეს, გეგონება გარყვნილების უცილო ნიშნები მინდოდა ამომეკითხა.

ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობა იბრძოდა ჩემში: ხან მინდოდა მოვხვეოდი, პატიება მეთხოვა, შევვედრებოდი, რომ იმ მსუნაგ ინტენდანტს ახლოს აღარ გაჰკარებოდა, ხან კი, რაიმე მწარე, მგესლავი მინდოდა მეთქვა, გამელანძღა, ტკივილი მიმეყენებინა და შემდეგ გავშორებოდი... გავშორებოდი, მაგრამ განა სამუდამოდ? ვიცოდი, რომ სამუდამოდ მას ვერ მოვცილდებოდი, ეს ჩემს ძალღონეს აღემატებოდა.

ეტყობა ასეთ შემთხვევებში, მამაკაცები, აღელვებულნიც რომ იყვნენ, მაინც წინდახედულნი არიან. დარწმუნებული რომ ვყოფილიყავი — თამარს ჩემს იქით გზა არ ჰქონდა, შეიძლება უფრო მკაცრად მოვქცეოდი, მაგრამ შიში, სულ არ დამეკარგა იგი, მაჩერებდა უხიაკი სიტყვისა და საქმისაგან.

აღარ ვიცოდი რა მექნა... ყოყმანმა დამძალა. თამარიც მოწყენილი და დაღალული ჩანდა, მაგრამ ვერ მივხვდი რისგან — ჩემი განწყობილება გადაედო, თუ...

როგორ მინდოდა მომახლოვებოდა და მისებური სიტკბოებით ეთქვა დამამშვიდებელი, საიმედო სიტყვა, იგი კი დუმდა და დუმდა. როცა გაბღენძა შემამჩნია, კიდევ უფრო უკარება გახდა.

გული სხვას მთხოვდა, მე კი სულ სხვაგვარად მოვიქეცი: ხელი ცივად გავუწოდე—კარგად იყავი-მეთქი.

მან თავისი დიდრონი, შუქიანი თვალები შემომანათა, სევდიანად გამიღიმა, შინელის შეხსნილი ღილი შემიკრა, თან მკერდზე თითი დამიკაკუნა და ტრადიციული გამოთქმით გზა დამილოცა.

მხოლოდ მაშინ მივხვდი, და ამ აზრმა ელვასავით დამიარა, რომ თამარი იმ წუთებში ჩემ საბოლოო სიტყვას ელოდა; ელოდა, რომ ცოლქმრობას შევთავაზებდი.

არაფერი გვიან არ იყო, მაგრამ რატომღაც გადავწყვიტე დამიგვიანდა-მეთქი. შემოვბრუნდი და ვაგონისაკენ წავედი. ისეთი გრძნობა მქონდა, გეგონება მე კი არ შევბრუნდი, არამედ ჩემი სხეული თავისით შებრუნდა და ფეხებმაც თავისით წამიღო...

შუშაჩამტვრეულ, უცნაურად მოყანყალებულ ვაგონში ავედი და ფანჯარასთან მივდექი. კვლავ იგივე აკვიატებული აზრი მიხვრეტდა ტვინს: ცხოვრობდა თუ არა თამარი იმ წყეულ გენერალთან, ან ცხოვრობს თუ არა ახლა?.. ერთხელ დამორჩილებული ქალი ხომ აღებული ციხე-სიმაგრეა, როცა გინდა მაშინ მოინახულებ...

— ეგების, ჩავიდე ამ დასაქცევი მატარებლიდან, ყოველივე გამოტეხილად ვუთხრა, გავამხიარულო, ბოლოს და ბოლოს, ისიც ხომ ცოდოა...

— კი, მაგრამ რატომ უნდა დავიხიო მე, და არა იმან? რატომ დავუთმო მე, და არა იმან?

მე მივაყენე ტკივილი, თუ მან მომაყენა?

მე დავაშავე თუ მან დააშავა?

ამ ფიქრებში მატარებელიც დაიძრა..

თამარმა ხელთათმანი გაიძრო და თავისი თეთრი ხელი რამდენჯერმე დამიქნია. მერე მიტრიალდა და თავჩაღუნული წავიდა.

ესეც მეწყინა; რატომ არ მოიცადა, სანამ მატარებელი თვალთაგან მიეფარებოდა, სად მიეჩქარებოდა?

ეგებ „იგი“ უცდის?...

იმას ხომ მანქანა აქვს და როცა მოეხასიათება, მაშინ შეუძლია ჩამოსვლა, ჩემსავით მატარებლით კი არ დარიხინობს.

ეგებ სულაც „იმან“ გამოგზავნა?..

ჩემთან ოთხი დღე იყო, დანარჩენ ოთხს „მასთან“ გაატარებს, თუ ეცოტავა, კიდევ გაუგრძელებს, დარეკავს სამედიცინო სამსახურის უფროსთან და უბრძანებს...

ახლადგათენებულზე ჩემს ნაწილს მივადექი, მაგრამ ველარ ვიცანი: ყველაფერი თავდაყირა იდგა.

როცა შტაბის უფროსმა დამინახა, სიხარულით ცას ეწია: ორი დღეა გელით, ვოლხოვის ფრონტის განკარგულებაში გადაგვიყვანეს და დღესვე უნდა დავიძრათო.

გუნებაში მწარედ გამეცინა: რამდენიმე დღის შემდეგ თამარის მონახულებას ვაპირებდი, ახლა კი, ოდესმე თუ მომიწევდა მასთან შეხვედრა, ისიც საეჭვო ხდებოდა... ტყუილად კი არ არის ნათქვამი, „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“:

ვოლხოვის ფრონტის ტორფიანი ჭაობები ლამის სამუდამოდ დაგვეპატრონენ, მაგრამ, ალბათ

იმავე „ღმერთმა“ „შეგვიბრალა“ და შუა ზამთარში, როცა მიწა გაიყინა, როცა ქაობებზე სიარული გაადვილდა, ისევ ლენინგრადის ფრონტზე დაგვაბრუნეს.

გზად სწორედ იმ ვ-ზე უნდა გაგვევლა, სადაც თამარის ჰოსპიტალი მდებარეობდა. გადავწყვიტე ხელსაყრელი შემთხვევა გამომეყენებინა და ორიოდე წუთით თამარი მომენახულებინა. მეშინოდა, ვფიქრობდი, ეგებ იმ უცნაური დაშორების შემდეგ სულაც აიცრუა ჩემზე გული-მეთქი.

როცა საქმეები მოვითავე, ბატარეებთან შეხვედრის დრო და ადგილი დავთქვი, — ახალი ადგილსამყოფელისაკენ გავწიე.

ახალთახალი „ვილისი“ ჩემი მძღოლის ბეშკოს ხელში თვითმფრინავად იქცა. მთელი გზა საოცარი სისწრაფით მივქროდით.

საღამოჟამს თამარის ჰოსპიტალს მივადექით.

გავოცდი, როცა მითხრეს, თამარი მორიგეობისაგან გაათავისუფლეს, რადგან ლენინგრადში წასვლა მოუხდა, მამა ავად ჰყოლიაო.

არ ვიცი, რა იყო დაუჯერებელი, ან რამ ამაფორიაქა, მაგრამ საშინელმა ეჭვმა გული საგულედან ამომიგდო. მოსვენება დავკარგე და დაკარგულივით ვიწყე ბორიალი. ქვედა ყბა ციებიანივით მიკანკალებდა, ვერ იქნა და ვერ დავაოკე. გადავწყვიტე დაუყოვნებლივ წავსულიყავი ლენინგრადში და ყოველივე ადგილზე შემეტყო.

რაც მეტს ვფიქრობდი, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ თამარის უეცარი წასვლა სხვა არაფერი იყო, თუ არა შენიღბული პაემანი.

ამ დასკვნამ ხომ მთლად შემძრა და გამაგულისა...

ვერ მოვისვენე, სანამ ბეშკოს „ვილისმა“ საშინელი სიჩქარით ლენინგრადისაკენ არ გამაქროლა. მაგრამ არც გზაში მადგა კარგი დღე; ავი ფიქრები წურბლებივით მწოვდნენ სისხლს. ისე ვიყავი ბოღმით გამსკდარი და საშინელი ეჭვით სულით-ხორცამდე შეძრული, რომ სულ პატარა ბიძგი ჩემსავე თავს დამახრჩობინებდა.

იგივე უხიაკი მოჩვენებები მიტივტივებდა თვალწინ: წელს ქვემოთ გაშიშვლებული თამარი და მითიური სატირივით გაბანჯგლული ინტენდანტი ლოგინზე გაშხლართულან. ხანდახან ჩვენება მიხეილ ჯავახიშვილის კალმით დახატულ სურათს ემგვანებოდა, სწორედ იმას, თეიმურაზ ხევისთავს რომ წარმოუდგა, როცა ჯაყო და მარგო შიშვლად მწოლიარენი დაინახა.

შუაღამე გადასული იყო, როცა ლენინგრადში ჩავედით.

ასე მეგონა, მთელი საუკუნე გზაში გავატარე-მეთქი.

ქალაქის გარეუბნები, უდელნაია და ლესნოე, ისე გავიქროლეთ, სიჩქარე არ დაგვიკლია. კრონვერსკისის პროსპექტიც ასეთივე სიჩქარით გავლიეთ და ტუჩკოვის ხიდით, ვასილიევის კუნძულის მცირე პროსპექტზე გავედით. როცა სმოლენსკის სასაფლაო გამოჩნდა, გული ამიძგერდა. მარჯვნივ შევუხვიეთ და ქუჩის ბოლოს ნაცნობ რუხ სახლს მივადექით.

ვეებერთელა სახლი თვალებდათხრილ დევსა ჰგავდა.

მინები ყველგან ჩალეწილი იყო, ფანჯრები კი ან ამოქოლილი, ანდა პაწია სანათურებად გადაკეთებული. აქა-იქ დარაბები დაეგმანათ (შიგა და შიგ ლეიბები და საბნებიც გამოეყენებინათ), ზოგისთვის კი ფიცრები ყრუდ აეკრათ. ეს ყოველივე ისედაც რუხსა და ნაღვლიან სახლს კიდევ უფრო შემაზრზენ იერს აძლევდა.

მანქანიდან გადმოვხტი, მეოთხე სართულის გაყოლებაზე მარცხნიდან მეხუთე ფანჯარა მოვნახე და... გული უფრო მეტად ამიძგერდა: არტილერისტის გაწაფებულმა თვალმა შუქშესანიღბავი ფარდის მიღმა მკრთალი სინათლე გაარჩია...

ეს მისი ოთახი იყო.

შინ ყოფილა! მაგრამ ასე გვიან შუქი რატომ უნთია?

ეგების „ისიც“ იქ არის??

ამ მკბენარა აზრმა შემატორტმანა და ჩემდა უნებურად „ვილისის“ სახურავს ჩავებღაუჭე.

უეცრად, სწორედ ისე, კუდიანი ქარი რომ აბორიალდება, საოცარი გრძნობა აღმეძრა — უზომოდ მომინდა ჩემი ეჭვი გამართლებულიყო და თამართან გენერალი დამხვედროდა! ისე ძალუმად, ისე დაუოკებლად მომინდა, რომ თვითონაც გამიკვირდა, როგორ შეიძლება კაცს ის ენატრებოდეს, რაც სრულიადაც არა სურს, რისიც ეშინია, რასაც უფრთხის, რასაც მხოლოდ მისი გაუბედურება შეუძლია!

ოცნებამ ლაგამი გამართვა... თვალნათლივ წარმოვიდგინე, როგორ გაფითრდება ტანგახდილი და უხამს პოზაში შესწრებული თამარი, როგორ დაიბნევა მოშილიფებული გენერალი; როგორ დაფაცურდებიან ისინი, როგორ წამოისხამს თავის იაპონურ კიმონოს ღალატზე წასწრებული ქალი; როგორ აუკანკალდება მშიშარა ინტენდანტს ჩემი პისტოლეტის დანახვაზე მსუქანი ღაბაბი...

მაგრამ მე არ ვესვრი!

დავაჩოქებ!!

ვაბღავლებ!!!

დავანახვებ თამარს, რა უბადრუკი, უღირსი და მფრთხალია საწყობებში გასუქებული მისი საყვარელი. მას ხომ ხეირიანად რევოლვერის დაჭერაც არ შეუძლია, ქვემეხის ხმაზე, ალბათ, ყურებზე ხელს იფარებს, ხოლო ხელყუმბარის გასროლას ვერ მოახერხებს...

ჯერ გენერალზე ვიყრი ჯავრს, მერე თამარს მივდგები...

მივდგები და ისე გავაშავებ, ყორანსაც კი შეშურდეს!

გავაშავებ კი არა, მიწასთან გავასწორებ!!

მიწასთან გავასწორებ და საფლავსაც წავუშლი!!!

იცი, ვინ არის ეს? ეს... ეს... არა, ეს რა შუაშია! შენა ხარ ბინძური, შენა ხარ ურცხვი და უნამუსო!... იცი, ვინა ხარ შენ? შენ...

— ბეშკო ვარ, ამხანაგო მაიორო, თქვენი შოფერი...

— რა გინდა, მერე?

— მანდ არხი გადის, ამხანაგო მაიორო, ახლა დათოვლილია, არა ჩანს, ფეხი არ დაგიცდეთ...

მივიხედე-მოვიხედე. თამარის სახლს ასიოდე ნაბიჯით მოვშორებივარ და სასაფლაოსთან გამავალ იმ არხს წავდგომივარ, ვასილიევის კუნძულს დეკაბრისტების კუნძულისაგან რომ ჰყოფს...

— ამხანაგო მაიორო, „პომპოხოზმა“![1] არაყი გამომატანა, თუ შესცივდეს მიართვიო... ხომ არ ინებებთ ცოტას? გაგათბობთ.

— მოიტა დავლიოთ.

ბეშკო მანქანისაკენ გაიქცა, ბოთლი და თუნუქის სასმისი მოიტანა.

— რატომ გზაში არ მითხარი, შევთბებოდით მაინც.

— ორჯერ გითხარით, მაგრამ არ მიპასუხეთ, ალბათ არა ნებავს-მეთქი.

— უჰ, რა მაგარია ეს წყეული, ცეცხლია ნამდვილი. თითოც ჩამოასხი...

— იციან ინტენდანტებმა, კას რა მისცენ, ჩვენ რომ გვირიგებენ, ასეთი როდია...

— ბეშკო, მოდი დავილოცოთ. ისე ყელში არ ჩადის.. რა ვქნა, ასეთი ვართ ქართველები.

— კარგები ხართ და ყველაფერი კარგი იცით, ამხანაგო მაიორო.

ეს ღმერთი გაუწყრეს ყველა ცრუ ინტენდანტს და საერთოდ ყველა იმას, ვინც სხვას ატყუებს...

— ღმერთიც გაუწყრეს და კაცმაც შეაჩვენოს...

— ამინ!

ბოთლი გამოვათავეთ. ბეშკომ მაინც შეანჯღრია — ეგება კიდევ ჩარჩა შიგ რამეო. მერე ღონივრად მოიქნია და შორს გასტყორცნა. დაცემის ხმა არ გაგვიგია, ალბათ თოვლში ჩაეფლო.

ტანში საამო სითბო ვიგრძენი, თითქოს აქამდე უგრძნობელი სხეული კვლავ მევე დამიბრუნებოდეს.

ეჭვიც ისე აღარ მღრღნიდა, მაგრამ სურვილი თამარის სხვასთან შეუღლებისა, ბოროტმოქმედების ადგილზე მისი დაჭერისა ოდნავადაც არ გამნელებია. პირიქით, უფრო ძლიერი და დაუმორჩილებელი გამიხდა.

გული ისე აღარ მიცემდა, სუნთქვაც ისე აღარ მეკვროდა, როგორც პირველ წუთებში. სიმშვიდეც მომემატა. ამიტომ გადავწყვიტე: ახლა კი შემიძლია მართებული გადაწყვეტილების მიღება-მეთქი...

თამარის სახლისაკენ წავედი, კედელს მივადექი და ქვემოდან ავხედე. ჰუჭრუტანიდან სინათლე ისევ ცრიატებდა, ეტყობა შუქი მთლად არ ჩაექროთ.

უეცრად ჩემი მზერა უზარმაზარმა საწვიმარმა მილმა მიიპყრო. იგი ვეება მახრჩობელა გველივით მიწამდე ჩამოწოლილიყო და ყოველი სართულის ლავგარდანს რკალად გარს უვლიდა.

მილიდან თამარის ფანჯრამდე ათიოდე მეტრი თუ იქნებოდა... ლავგარდნის გავლით შეიძლებოდა ფანჯრამდე მიგეღწია!

ამ მოულოდნელმა აზრმა ელვასავით დამირბინა.

— რა იქნება, რომ მართლაც...

— ხა, ხა, ხა, რა წავადგები თავზე! რა დავაფეთებ! აი, სეირი მაშინ ნახე!..

— მაშინაც იუარებენ?

— მაცალონ ერთი, დედას ვუტირებ, დედას! — ამ ღვარძლიანმა გადაწყვეტილებამ მილისაკენ ისე წამაგდო, გეგონება ვისმე ზურგში ხელი ეკრას.

მილი ძველებური იყო, ყომრალი თუთიისაგან ჩამოსხმული, კეთილად ნაკეთები, წვიმიანი პეტერბურგისათვის საგანგებოდ მისადაგებული. ხელს რომ დაარტყამდი, თუჯივით მკვრივი ჩანდა.

მილი გულდასმით შევათვალიერე. მერე ჩაღუღაბებულ რკინის სამაგრ სოლებს დავაშტერდი. თუთიის სქელი მილი ისე იყო ახლო-ახლო ჩარჭობილი „კასტილების“[1] რგოლებში გატარებული, როგორც ძაფი ნემსის ყუნწში.

— ნამდვილად ავალ — გავიფიქრე გუნებაში და „კასტილებს“ შორის მანძილი თვალით მოვზომე. ჩემი სიმაღლის კაცი, ცალი ფეხით ერთზე რომ შემდგარიყო, მეორემდე, თუმცა გაჭირვებით, მაგრამ ფეხს მაინც მიუწვდენდა.

ყველაზე ძნელი წინგამოწეული ლავგარდნების გადალახვა იყო. თუ მილს მთელი სიმძიმით ჩამოეკიდებოდი, შესაძლოა ვერც გაეძლო და...

— დიდებული სიკვდილი არ იქნება?.. მიწაზე დატყეპებულს რომ დამინახავენ, ხომ იტყვიან, გიჟი ყოფილა ეს ოხერიო...

მართლაც, როგორ უნდა აპატიო ბრძოლებში ნაცად ოფიცერს, მთელი ფრონტის არტილერისტებისათვის ცნობილ მეთაურს, ასეთი

[1] „პომპოხოზს“ — შემოკლებით მეთაურის მოადგილეს ეძახდნენ სამეურნეო დარგში.

[1] ლითონის სიმაგრი სოლი.

ამჩატება, ასეთი გულისაყოლა, ასეთი, ასეთი... ვაი, სირცხვილო! და ხაზა გამიშრა.

მაგრამ, როცა წამის შემდეგ კვლავ თამარი და ინტენდანტი წარმომიდგნენ თვალწინ აღარაფერი მიფიქრია. ამის შემდეგ ვერარა და ვერავინ ვეღარ შემაჩერებდა.

— ბეშკო — დავუძახე ჩემს მძღოლს — მანქანა ზურგით ამ მილს მოაყენე, აი, ამ ადგილას.

— ამხანაგო მაიორო ეგ... ეგ რაღა საჭიროა?

ჩემთან ყოფნის მთელ მანძილზე ეს პირველი შემთხვევა იყო, ბეშკო ბრძანების შესრულებას რომ აყოვნებდა და კითხვას მაძლევდა.

— აბა, ფიცხლად!. — ისეთი მჭახე ხმით შევუძახე მას, რომ მაშინვე საჭეს მიუჯდა, ოღონდ მანქანის დაქოქვასაც და ადგილიდან დაძვრასაც ჩვეულებრივზე მეტ ხანს მოუნდა. ალბათ განზრახვას მიმიხვდა. ქვედა ყბა ჩინჩახვივით ჰქონდა ჩამოვარდნილი, მგონი კანკალებდა კიდეც.

ქუჩა უკაცრიელი იყო.

ვილისის საფეხურზე ავფოფხდი, მძიმე ილეთისათვის მომზადებული ჯამბაზის სიფრთხილით გავსწორდი და მარცხენა ფეხი პირველ „კასტილს" გავუყარე. ბედად მილსა და „კასტილს" შორის სწორედ იმხელა მანძილი რჩებოდა, რამდენიც ერთი ტერფის დადგმას სჭირდებოდა.

მილს ორივე ხელით მოვებღაუჭე, დავიძაგრე, მესამე „კასტილს" ხელი ჩავკიდე და მარჯვენა ფეხი ძლივსძლივობით მივიტანე მეორე „კასტილამდე"...

შემდეგი ნაბიჯები უფრო ადვილად „წავიდგი".

სულ მალე პირველი და მეორე სართულის საზღვრამდე ავბობღდი, მაგრამ წინგამოწეულმა ლავგარდანმა გზა გადამიღობა.

ქვევით ჩავიხედე.

ჩემი მძღოლი გალიაში დამწყვდეული აფთარივით აქეთ-იქით აწყდებოდა და თავაწეული შემომყურებდა.

ლავგარდანი გაცილებით უფრო სქელი აღმოჩნდა, ვიდრე ქვევიდან ჩანდა. აშკარა ვახდა, რომ ტყავისჯუბიანი მას ვერ დაეძლევდი.

ჯუბა გავიხადე და ძირს ჩავაგდე. მერე მთელი ძალები დავძაბე და დიდი გაჭირვებით ლავგარდანს ზემოდან მოვექეცი.

მაგრამ სიმწარეც სწორედ მაშინ ვიგემე:

ჯუბაგახდილმა ხელი მოვხვიე თუ არა მილს, ყინულივით ცივმა თუთიამ გულმკერდი და მკლავები ისე დამისუსხა, გეგონება ცეცხლი შემომინთესო.

მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქე, როცა ლავგარდანს ზემოთ ჩარჭობილ „კასტილს" ჩავეჭიდე. ახლა მილს ხან ფერდით ვედებოდი, ხანაც მუცლით, ორივეს კი [illegible] წაკვეთილი ქურქი მიფარავდა.

მეორე ლავგარდანის დაძლევისას უარესი ვაი-ვაგლახი გადამხდა.

როცა იგიც „გადავიარე", შიში ვიგრძენი — ბოლომდე ვერ ავაღწევ-მეთქი.

დაბლა ჩასვლა კი უფრო საძნელო ჩანდა.

თუ ძირს ჩასვლას დავიწყებდი, ლავგარდანზე ისე უნდა დავკიდებულიყავი, რომ ფეხის დასადგმელს წინასწარ ვეღარ დავინახავდი. შესაძლოა ფეხის დასადგმელი უცებ ვერ მეპოვნა, ხელებით ჩამოკიდებული კი დიდხანს ვერ გავძლებდი და...

ჩემივე თავი დავწყევლე, ეს რა სისულელეში ჩავდივარ-მეთქი.

მაგრამ საკმარისი იყო ზემოთ ამეხედა, რომ ცნობისმოყვარეობას, ეჭვს, რაღაც ჯიბრიან გახელებას თავისი გაეტანა და სახიფათო სვლა კვლავინდებურად განმეგრძო.

როცა მესამე ლავგარდანსაც მივებჯინე და მის გადასალახავად განზე გადავიწიე — პირმიდაკიდებული აღმოვჩნდი!...

ხაფანგში მოხვედრილი თაგვივით გავებით მახეში.

ლავგარდანზე გადასასვლელად არაადამიანური ძალის დაძაბვა მჭირდებოდა, მაგრამ, საუბედუროდ, ამ ძალას ვეღარა ვგრძნობდი.

საშინელი დაღლილობა და აუტანელი ტკივილი ვე ღონეს მაცლიდა.

ფეხები ასფუთიანებივით დამიმძიმდა. ერთი სული მქონდა მკლავები ძირს ჩამომეშვა და ოდნავ მაინც დამესვენა.

ყოყმანის ყოველი წუთი კატასტროფას აახლოებდა, რადგან სხეული სულ უფრო მიცივდებოდა, ხოლო ძალა თანდათან მაკლდებოდა.

ამასობაში მთლად გამოვფხიზლდი, ამან კი ნაკლებ გაბედული გამხადა...

მთელი ნებისყოფა მოვიკრიფე, მილს ავეკარი და თუმცა მკლავებზე საშინელ ჩხვლეტას ვგრძნობდი, უკანასკნელ ლავგარდანსაც თავზე მოვექეცი. მაგრამ ამ ბოლო დაძაბვამ ისე გამომფიტა, რომ სხეული ჩვრად მექცა.

ახლა, ვიწრო ლავგარდანზე ათიოდე მეტრის გავლა მჭირდებოდა, რათა სანუკვარ ფანჯარასთან აღმოვჩენილიყავი. თავისთავად არც ეს იყო ადვილი, თუმცა ლავგარდანზე ხოხვას მაინც სჯობდა.

თან ვკანკალებდი და თანაც ოფლი მდიოდა. ყინულივით ცივ კედელს გულმკერდით ავეკარი და მეოთხე სართულის გაყოლებით ნელნელა, გვერდულად გავჩოჩდი. სულ მცირე უზუსტობა და უზარმაზარი სიმაღლიდან ნამდვილ უფსკრულში გადავიჩეხებოდი...

...როცა შავქალალდჩამოფარებულ ფანჯარას

გავუსწორდი და თუთიის რაფას ხელი წავატანე, გული ისე მიძგერდა, ვეგონე არ გასკდეს-თქო ოხერი-მეთქი.

შუქშენილობვის ქაღალდს ძირა კუთხე მოგლეჯილი ჰქონდა და ოთახში შეხედვა შეიძლებოდა. ქვემოდან რომ სინათლე შევამჩნიე, სწორედ იქიდან გამოდიოდა.

მაგრამ ვერ იქნა და ვერ დავიძრუნე პეჰრუტანაში შესახედავად. რაღაცა ძალა ხელს მიშლიდა.

ბოლოს, როგორც იქნა, თავს დავიმორჩილე და ისეთი სისწრაფით მივეკარი სარკმელს, გეგონება ჩემთვის ნასროლი ტყვიის აცილება მლომებოდა.

...ჩემს პირდაპირ საწოლი იდგა.

ბალიშების ფაფუკ გროვაზე მიტკალივით გათეთრებული მოხუცი მისვენებულიყო და თვალები მიელულა. მისი უსიცოცხლო ხელები, ტანის გასწვრივ, მოწყვეტილებივით ეწყო და საოცრად გრძელები ჩანდა.

ავადმყოფის სასთუმალთან რბილ სავარძელში თავგადაგდებით მჯდარ თამარს მისძინებოდა.

გულმკერდზე თბილი ქურქი აეფარებინა და თექის ჩექმებწამოცმული ფეხები წინ გამოეშოტა.

მაგიდაზე პატრუქჩაწეული ნავთის ლამფა ენთო...

ისე გავხდი, გეგონება მდუღარეში ნაბანოვარს ცივი შხაპი დამკრესო.

ჯერ სუნთქვა შემეკრა, მერე ერთბაშად მოვდუნდი.

სადღაც გულის სიღრმეში გაუაზრებელმა სიხარულმა და გამტყუნებულმა მოლოდინმა ამნაირად წამომიარა, გეგონება ერთმანეთს გასწრებაში ეჯიბრებიანო.

აღარ ვიცოდი, გამეხარდა თამარი რომ მარტო დამხვდა, თუ მეწყინა, სხვასთან რომ ვერ შევისწარი.

გრძნობათა ჭიდილი მხოლოდ წამს გაგრძელდა, სიხარულმა სინანული გადასძალა.

ფანჯარას მოვწყდი, რათა ერთი ღრმად ამომესუნთქა და მოუზომელი მოძრაობისგან კინაღამ უკან გადავქანდი.

ქვევით ჩავიხედე და კინაღამ მეორედ შევტორტმანდი, უფსკრულის პირას ვიდექი... ჩემი საწყალი ბეშკო ისევ წრეებს უვლიდა, მაგრამ იმას კი ველარ ვხედავდი, ჩემსკენ იცქირებოდა თუ არა...

როგორ გაიფიქრებდა თამარი, რომ ახლა, ამ წუთში მისგან სულ ორიოდე ნაბიჯით ვიყავი დაშორებული და ეჭვიანობის წყალობით ასეთი საშინელი ხიფათის წინაშე მდგარი!

წამით აზრმა გამიელვა — მოდი, ფანჯარაში დავაკაკუნებ-მეთქი, მაგრამ წარმოვიდგინე თუ არა, რა შიშს მოვგვრიდი ამით მამა-შვილს, მაშინვე გადავიფიქრე საჭოჭმანო განზრახვა და სირცხვილის ჭამას ისევე საბედისწერო გზით ხოხიალი ვამჯობინე.

არა, არ შემეძლო ამ სახით თამარს წარვდგომოდი!

მას შემდეგ, რაც თავი მამაკაცად მახსოვდა, ასეთ ტრაგიკომიკურ მდგომარეობაში არ ჩავვარდნილვარ.

სიკვდილზე უფრო მეტად იმისა მეშინოდა, სასაცილო არ მოვჩვენებოდი ადამიანს, ვინც სიცოცხლეს მერჩივნა...

მოლიპულ ლავგარდანს გავხედე. მინდოდა სწრაფად გამევლო, მაგრამ, კვლავ რაღაც ადუმალი ძალა მაკავებდა. ფეხი ველარ წამედგა, ალბათ შეუცნობი შიში მამუხრუჭებდა.

როგორც იქნა მილამდე მივცოცდი, ორივე ხელით მოვებღაუჭე, ცოტაზე ჩავცურდი და ლავგარდანზე მუცლით დაყრდნობილმა, ფეხით „კასტილს“ დავუწყე ძებნა. უცებ რომ მოვძებნე, თავი ველარ შევიკავე, უფრო დაბლა ჩავსხლტი და თუთიით მოპირკეთებულ ლავგარდანს ნიკაპით დავეყრდენი...

სწორედ ამ დროს, ბედად, „კასტილიც“ მოვსინჯე და მასზე შევდექი, თორემ ნიკაპით თავს დიდხანს ვერ შევიკავებდი და ძირს ყირა-ყირა წავიდოდი.

მესამე სართულის „კასტილები“ შედარებით ადვილად ჩავათავე.

როცა ამ სართულის ლავგარდანზე ფეხი დავადგი, ვიგრძენი, რომ, თუმცა ჰყინავდა, გახვითქული ვიყავი, ნიკაპი კი მოყინულივით მქონდა.

აშკარა იყო, იმავე გზით ქვევით ჩასვლას ველარ შევძლებდი.

გავჩერდი, მიმოვიხედე. ჩემს გასწვრივ, ჩაბნელებული და მინებჩამტვრეული ფანჯრების წყება მოჩანდა.

მოულოდნელად ერთმა ნაუცბათევმა აზრმა გამირბინა თავში და გამიკვირდა, რატომ აქამდე ვერ მოვიფიქრე-მეთქი: „რა იქნება ერთ-ერთ ამ პირდაღებულ ფანჯარაში გადავძვრე, იქიდან კი კიბისაკენ გავიკვლიო გზა, ეგების უფრო ადვილად შევძლო ძირს ჩაღწევა?“

ისევ მოლიპულ ლავგარდანს შევუყევი და ყველაზე მახლობელ დარაბამოხურულ ფანჯარასთან გავჩერდი. მინები ჩამტვრეული იყო და დარაბები ხელით მოვსინჯე. ორივე მაგრად ჩაეკეტათ. სვენებ-სვენებით წავიწიე წინ და ნახევრად ღია სარკმელს მივადექი.

თავი სარკმელში შევყავი, ოთახი შევათვალიერე, უკაცრიელი ჩანდა.

რაფაზე ფეხით შევდექი და შევეცადე ჩნელი, გათოშილი ოთახი უკეთ დამეზვერა.

ფანჯრებთან იატაკი დათოვლილი იყო.

გატეხილ ნათურას ქარი აქანავებდა.

შემზარავ სიცარიელეში ნივთები შეცივნულებივით აჰკვროდნენ კედლებს.

ვინ იცის, ეგებ მათი გათოშილი პატრონიც აქვე მახლობლად ეგდო, როგორც ბლოკადის ავბედითი დანატოვარი.

ოთახში ჩავხტი და ერთადერთ კარს მხარით მივაწექი. ოდნავ დამყვა, მაგრამ თან ისეთი ჭრაჭუნი გაიღო, ჟანგიანი ლურსმნის ფიცრიდან ამოძრობამ რომ იცის. უფრო ღონივრად ვკარი მხარი. გარეგან გარდიგარდმო მიკრული ფიცარი ხმაურით ასძვრა და კარი კედელს მიეზერტყა. კიდევ უფრო ბნელსა და შმორიან დერეფანში აღმოვჩნდი. დერეფნის ბოლოში მძიმე სადარბაზო კარი კლიტით დაკეტილი დამხვდა.

ფანჯარასთან მივბრუნდი და ბეშკოს გადავძახე. გამოცოცხლებულმა მძღოლმა თვალის დახამხამებაში რაღაც იარაღები ამოარბენინა, კარებს გარედან მოადგა და კლიტეს ჩხიკინი დაუწყო.

წამიც და... მანქანასთან ვიდექი. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მთელ წელიწადს გაერბინოს.

ერთხელ კიდევ ავხედე თამარის ფანჯარას, არაადამიანური დაძაბვით გადალახულ ლავგარდანებს და მხოლოდ მაშინ გავიაზრე მთელი სიგრძე-სიგანით ის უგუნური სიმამაცე, ბოროტი გახელება და ლაგამოწყვეტილი ვნებიანობა, ეჭვს რომ სცოდნია. მართლაც, ღმერთმა დაიფაროს ყოველი ადამიანი ამ ჭრელი გველისაგან, გულში რომ დაგბუდებია, ორკაპა ენით შიგნიდან რომ გვესლავს, შენდაუნებურად რომ გაბოროტებს, თანაც თავისი გლისპი, ლორწოიანი სხეულით ნაწლავებზე რომ გეკვრის...

ბეშკომ ფეხებზე ჩული შემოიჭყვია, სამერქაფო ქურქი წამომასხა და მანქანა ვ-სკენ გაქროლა. ვცდილობდი მომხდარზე აღარ მეფიქრა, მაგრამ ხან რა წარმომიდგებოდა თვალწინ, ხან რა. ამ ძილ-ღვიძილში შეუმჩნევლად ჩამეძინა კიდეც.

ამის შემდეგ დიდი დრო არ გასულა და ჩემი ნაწილი ბალტიისპირეთში გადაისროლეს, გენერალ ბაგრამიანის განკარგულებაში, მტრის ალყაშემორტყმული დაჯგუფების გასანადგურებლად.

კიდევ კარგა ხანმა განვლო და, მწველი ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, თამარის წერილი მივიღე.

*გავხსენი და გამიკვირდა: რაღაც წვეთებისაგან მელანი ერთიანად გადღაბნილიყო, ხელწერა კი უჩვეულოდ ოკრო-ბოკრო ჩანდა ძალიან გვიან მივხვდი, რომ თამარის ბარათი ცრემლებით იყო დანამული. მწერდა: ერთი კვირის წინ მამა დავასაფლავე და ახლა სულ მარტო დავრჩიო...*

რომ შემძლებოდა, მაშინვე მასთან გავფრინდებოდი, თუმცაღა ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა: გახურებული საომარი მოქმედება ამოსუნთქვის საშუალებასაც არ გვაძლევდა.

მაგრამ, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ მძიმე დღეებშიც კი განუწყვეტლივ თამარზე ვფიქრობდი, მომეცემოდა თუ არა თავისუფალი წუთი, რაღაც საოცარი სიხარულით ვეძლეოდი მასზე ოცნებას.

ახლა, როცა ამ ნაოცნებარს ვიგონებ, ვხედავ, რომ მასში ქალის ფლობის ნატვრა უფრო მეტი იყო, ვიდრე სულიერი ერთობის გამომხატველი თუ მისკენ მსწრაფი ლტოლვილება. ასეთი ცალმხრიობა კი ყოველთვის საბედისწეროა! სადაც მხოლოდ ხორციელი სურვილი მეფობს, ანდა მისი მეტისმეტი სიჭარბეა, იქ ქვენაგრძნობები ფრთებსა შლიან და სიყვარული ქონმორეულ, გულმოსაყირჭებელ ჩვევაში გადადის. ყოველ ჩვევას კი სიხარული და აღმაფრენა ისე თანდათან, ისე გარდუვალად ეწრიტება, როგორც ზედაპირულ წყაროს დიდგვალვის დროს წყლის ნაკადი.

რა გამჭირვებია ისეთი, რომ სხვის ალერსში გამოცვდარ-შეტრუსული ქალი ცოლად დავინარჩუნო? განა ეს არის იმ ძვირფასი სიყვარულის შესაფერი ალაფი, რომლის გაღებაც მე შემიძლიან? ისიც, უცნობი წარსულისა, უცნობი ბუნებისა. — ვფიქრობდი მე.

არც ის ვიცი, მართლა ლამაზია თუ არა. მამაკაცებში მოხვედრილი ერთად-ერთი ქალი ყოველთვის იმაზე ლამაზი მოჩანს, ვიდრე სინამდვილეშია. ქალი რომ შეაფასო, ლამაზ ქალთა კრებულში უნდა დაიხელთო და სხვას შეადარო. თუ მისი მომხიბლაობა ისე ჩაინავლა, როგორც წყალგადასხმული ნაღვერდალი, — ლამაზი არ ეთქმის. ქალის სილამაზის სასინჯი ქვა ისევ ქალია, ქალი ქალთან უნდა კიაფობდეს, თორემ მამაკაცთა შორის ყველა გამოირჩევა...

ერთი სიტყვით, გადავწყვიტე, რომ ბელიაევა ჩემი საფერო არ იყო. საყვარლად იგი დიახაც ივარგებდა, მაგრამ ცოლად სხვა ეჭირვებოდა...

მთელი უბედურება ის იყო, რომ ეჭვით ნაშობი ეს დასკვნა თვითონ მეჩვენებოდა საეჭვოდ: დრო და დრო იგი ავადმყოფი ბუნების ნაცოდვილარად მიმაჩნდა და მაშინ კიდევ უფრო ძლიერად მწყუროდა თამართან შეხვედრა.

*თამარის ნახვის შემთხვევა მხოლოდ სამიოდე თვის შემდეგ მომეცა.*

საღამოვდებოდა, როცა მის ჰოსპიტალს მივადექი.

მანქანიდან გამოსულმა ვერც წელი გავშალე, ვერც ნაბიჯი წავდგი. ხუთსაათიანმა შეუსვენებელმა მგზავრობამ იოგები გამიხევა.

როცა შუშის უზარმაზარ ვესტიბიულში შევედი, ჩემსკენ მომავალი თამარი დავინახე. მოახლოებისას მკლავები წინ იმნაირად გა-

მოეწოდა, გეგონება ჩემ დაჭერას ლამობსო. თამარის ხელები ჩემსაში ჩავბღუჯე და მისი ჩათქვირული, მათრობელა სხეული ჩემსკენ მოვიზიდე.

დამყვა, წინააღმდეგობა არ გაუწევია. თავი მხარზე დამადო და წამით მიინაბა.

მღელვარებისაგან ხმა ვერ ამომელო. რაღაც ბურანში ვიყავი წასული.

მხოლოდ მოგვიანებით ვიგრძენი, რომ ორთავე მაჯაზე, რაც ძალი და ღონე მქონდა ჩემს აკანკალებულ ხელებს ვუჭერდი.

გარეშენი ცნობისმოყვარეობით გვიცქერდნენ. ეს გარემოება ორთავეს გვბორკავდა. მოშნუსხველი მზერისაგან თავის დასაღწევად პაწია ყვავილნარში გავედით და სკამზე ჩამოვჯექით.

თამარი შესამჩნევად გამხდარიყო, მაგრამ მე კიდევ უფრო მშვენიერი მეჩვენა.

ცრემლმორეული მელაპარაკებოდა მამის უკანასკნელ წუთებზე და ისიც დააყოლა, რატომღაც წარამარა შენ გკითხულობდაო.

ამ შეუფერავმა სიტყვებმა სათნო მოხუცი თვალწინ დამიყენა და ყელში რაღაც მომაწვა. სინანულით მომაგონდა მისი გაფითრებული სახე, ლოგინზე უძრავად მდებარე გრძელი მკლავები, უკან გადაგდებული თავი... რამდენი მომაკვდავი და უსულოდქცეული მინახავს ბრძოლის ველზე, მაგრამ მათი სახე აღარ გამხსენებია, ეს კი... ეტყობა მეხსიერება ყველა მკვდარს ერთგვარად არ ინახავს, მიცვალებულიც არის და მიცვალებულიც.

იმ საღამოს გვიანობამდე ვილაპარაკეთ. როცა უკან ვბრუნდებოდი, თავს ისე ვგრძნობდი, როგორც მორწმუნე ზიარების შემდეგ.

გადავწყვიტე საქმე მეორე დღესვე დამეგვირგვინებინა და თამარისათვის ჩემი მეუღლეობა შემეთავაზებინა. მისი თანხმობა განაღდებული მეჩვენებოდა...

მეორე დილით, არმიის არტილერიის უფროსთან დამიბარეს. ჩემს ნაწილს ახალი ნიმუშის ქვემეხების „საქმეში“ გამოცდას ავალებდნენ. გამიხარდა; არტსამმართველო თამარის ჰოსპიტლის მეზობლად იყო. ვიფიქრე თამართანაც შევივლი და სათქმელსაც ვეტყვი-მეთქი.

ეს სათქმელი კი დიდიხანია გულს მიმძიმებდა, მინდოდა მისი გამხელით შვება მეგრძნო. თან მეგონა, რომ მოულოდნელობა კარგ სამსახურს გამიწევდა.

მორიგეს თამარის გამოძახება ვთხოვე, თვითონ კი ცაცხვის ქვეშ მდგარ სკამზე ჩამოვჯექი, ზუსტად იმაზე, გუშინ რომ ვისხედით.

თამარი საოცრად კუშტი სახით მომადგა. ასეთმა მწყრალმა შეხვედრამ ძალზე გამაკვირვა.

— შენ გგონია, პაემანზე სიარულის მეტი საქმე არა მაქვს? — კოპებშეყრით დაიწყო მან.

მე მაშინვე გავაწყვეტინე: — იცი, მე ძალიან დიდი საქმე მაქვს შენთან.

— ყველაზე დიდი საქმე ის არის, რასაც ვაკეთებთ... სხვა ყველაფერს თავისი დრო აქვს. შენ ავადმყოფებს მომწყვიტე...

— არა უშავს, ცოტას მოითმენენ.

— მოითმენენ? ეგ რა ცინიზმია, შენგან ამას არ მოველოდი!

— რა შეიქნა ისეთი, რომ წუთით შენი გამოძახება ქვეყანას ანგრევს?

— არტილერისტები მასეთები ხართ, ერთ წუთს ისვრით და მერე იცოხნებით.

— როცა გზას ცეცხლით ვიკაფავთ, მაშინ თქვენ ყველანი...

— მოკლედ მითხარი, რისთვის მოხვედი? შენი ასეთი წარამარა სტუმრობა ხალხს ცუდს აფიქრებინებს. თუ გგონია, რომ ომი უკვე დამთავრდა?

გულში ვგრძნობდი, რომ მართალი იყო და ალბათ ამიტომ (როგორც ეს ხშირად ხდება) ბრაზი სულ უფრო და უფრო მედებოდა.

— მართლაც, ნეტავ რამ ამამჩატა ასე? — გავიფიქრე მე. სიკვდილის წინაშე წარბი არ შემირხევია და ახლა ქალის სიყვარულმა ისე როგორ უნდა დამიმონოს, რომ გოშია ძაღლივით უკან დავდევდე?...

მოზღვავებულმა მამაკაცურმა სიამაყემ და „შელახულმა თავმოყვარეობამ“ ამანთო. გადავწყვიტე ერთბაშად დამესვა წერტილი ასეთი „მოუწესრიგებლობისათვის“.

„ან ასე, ან ისე“ — გავიფიქრე გუნებაში და უფრო უხეშად, ვიდრე ეს საქმესა და სათქმელს შეეფერებოდა, მივახალე:

— სიყვარულობიასათვის არც მე მცალია, მოვედი გავიგო, თანახმა ხარ თუ არა გამომყვე ცოლად! მითხარი პირდაპირ და გარკვევით!!

თამარი შეცბა.

ამას არ მოელოდა. ყოველ შემთხვევაში, ახლა მაინც.

ჩაფიქრდა.

ლაწვები შეეფაკლა.

ქედი ისე დადრიკა, გეგონება კეფაზე ხელით დააწვნენ და თავი ჩაუღუნესო.

ასე ყუჩად ვიდექით ორიოდე წამს.

სიჩუმე თანხმობის ნიშნად მივიჩნიე. ძალა მომეცა და გაცილებით უფრო მტკიცედ, გულიანად და ერთგვარი გზნებითაც კი, გავუმეორე ნათქვამი.

თამარი ხმას არ იღებდა.

ღელავდა.

ხელი იდაყვებზე მოვკიდე, ვიფიქრე, ვაკოცებ-მეთქი: „მერე რა, რომ დამინახავენ! დეე, ყველამ დიმანახოს, ახლა დასამალავი აღარაფერია, თამარი ჩემია“... საჩვენებელი თითით

ნიკაპი ავუწიე და გავვოცდი: თაფლისფერ თვალებზე ცრემლები შევამჩნიე.

— ნეტავ რისაა—სიხარულისა? მაგრამ, რომ არა ჰგავს?.. ნუთუ... შეუძლებელია?

— თამარ, რა მოგივიდა?

— უბედური ვარ, უბედური...

— უბედური?!... არა, მითხარი, პირდაპირ მითხარი — გამომყვები, თუ არა?

— არა.

— ???

— თამარ, გაგიჟდი?!

პირი გამიშრა, თვალების კაკლები ამტკივდა, ალბათ გადმოცვენაზე მქონდა. თუმცა თამარი კვლავ გულზე მყავდა მიკრული, მაგრამ იმავე წუთიდან, როცა კი ეს საშინელი სიტყვა წარმოთქვა, რაღაც შორეული მეჩვენა...

შიშისა და ტკივილის გრძნობა დამეუფლა. „ესეც შენ, ხომ დაჰკარგე, დაჰკარგე", — ეს ჭკუიდან შემშლელი აზრი უროსავით მირტყამდა კეფაში და ლაპარაკის, განცდის, მოქმედების უნარს მართმევდა, მადუნებდა, მაქცევდა...

— მე ხომ ქმარი მყავს; სანამ არ დავრწმუნდები, რომ მართლაც აღარ დაბრუნდება, უფლება არა მაქვს...

— თამარ, რას ამბობ, აბა დაფიქრდი, ის რომ მოსასვლელი ყოფილიყო...

— რომ დაბრუნდეს, მაშინ?...

— კარგი, მაგრამ მე?

— უნდა დაველოდო, აუცილებლად უნდა დაველოდო...

— ესე იგი, მე შენთვის არაფერი ვარ, ასეა ხომ?

— პირიქით, ძალიანაც ძვირფასი ხარ და შენ ეს კარგად იცი... მაგრამ რას იზამ, ასეთი ყოფილა ჩემი ბედი... სხვაგვარად რომ მოვიქცე, ჩემი თავი მევე შემძულდება. უნდა დაველოდო და თუ არ მოვიდა. რა თქმა უნდა, თუ შენ იქამდე დამელოდები... და თუ შემდეგაც მოინდომებ, თუ, რა თქმა უნდა, შენ...

თამარი დაიბნა. გაუჭირდა ეთქვა: „მე იმას უნდა ველოდო, ხოლო შენ მეო".

— თუ არ მოვიდა? —დაუფიქრებლად ვკითხე მე.

— თუ არ მოვიდა, როგორც მოინდომებ, ისე იქნება.

თამარს შევხედე და მივხვდი რაც არ უნდა მომხდარიყო იგი გადაწყვეტილებას აღარ შესცვლიდა. იმდენად კარგად ვიცნობდი მის ხასიათს, რომ ლაპარაკის გაგრძელება ზედმეტად მივიჩნიე.

იმნაირ მოთენთილობას ვგრძნობდი, გეგონება ორიოდე წუთში ოთხი ყანთარი გადამებაროს. საშინლად მინდოდა იქვე წამოვწოლილიყავი, წელი გამეშალა, მუხლები დამესვენებინა.

იგი, ალბათ, მიხვდა რა დღეშიც ვიყავი. ორივე ცერით წარბები გადამიუთოვა, შუბლზე მაკოცა, სწრაფად მომწყდა და ვესტიბულისაკენ გაიქცა. ბეჭები ისე ჰქონდა აწურული, მგონი ქვითინს იმაგრებდა.

იმ სამახსოვრო დღის შემდეგ ბედმა კიდევ დიდხანს მათრია ომის გზებზე.

ჩემ თავს სიტყვა მივეცი თამარზე აღარ მეფიქრა. მაგრამ აღთქმას ვერ ვასრულებდი. უნებურად ფიქრი მისკენ მიმირბოდა.

მართალია, იმ შუალედში სხვა ქალებიც გავიცანი, ერთთან თუ ორთან დავმეგობრდი კიდეც, რომელილაც მათგანთან ომით ნაშობმა ასწრაფულობამ სულიც წამაწყმენდინა( ცოდვა გატეხილი სჯობსო!); მაგრამ თამარის სახება წმინდად მქონდა გულში შემონახული.

გადაწყვეტილი მქონდა, თამარი მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ მომენახულებინა და პირობა შემეხსენებინა. თუ, რა თქმა უნდა... მაგრამ ამ მეორე შესაძლებლობაზე ვეღარ ვფიქრობდი.

საოცარია, როგორ გადააჯაჭვავს ხოლმე შემთხვევა ადამიანებს! რა ხშირად ხდება, რომ ერთის ბედნიერება შეუძლებელია, თუ მეორე არ გაუბედურდა... წინავართ — ღმერთმა ერთივით აცხონოს, თუ მეორე არ წაწყმიდოსო.

და მეც ჩემს დამაქცეველს ველოდი...

ველოდი და ერთ მშვენიერ დღეს ისიც გამოცხადდა...

ორი დღე გადაუღებლად წვიმდა. გერმანელთა არტილერია მიყუჩებული იყო. არც ჩვენ ვისროდით. გადავწყვიტე შემთხვევით მესარგებლა და უმცროს მეთაურთათვის ვარჯიშის ახალი ხერხი მესწავლებინა, რომელიც ერთ საიდუმლო ხასიათის ინსტრუქციაში ამოვიკითხე.

ურთიერთთაგან ორმოცი მეტრის დაშორებით, ორი ბოძი დავარჭობინე. მათ შორის მავთული გავაბით. ერთ თავში ელექტროჯალამბარი დავადგმევინე და ვცდილობდი მოდელის სწრაფი გადაადგილებით მიზნის ჩქარი მოძრაობის იმიტაცია შემექმნა. მემიზნეების ვარჯიშისათვის ეს ხერხი პირდაპირ მისწრება იყო.

არც არტინჟინერს, არც არტტექნიკოსებს ეს საქმე არ დავანებე და ჯალამბართან თვითონვე ვჩხირკედელაობდი.

ამ დროს შტაბის უფროსი დამადგა თავზე: არმიის შტაბიდან სანიტარული კომისია გვესტუმრა, თქვენი ნახვა სურთო.

ასე იცოდნენ: სროლა მიწყნარდებოდა თუ არა, მაშინვე გაუთავებელი კომისიები დაგვეცემოდნენ ხოლმე.

მოშლილ ჯალამბარზე გაბრაზებულმა, კო-

შისიას ერთი მაგრა შევუკურთხე და მასპინძლობა შტაბის უფროსს გადავულოცე.

იგი ცოტა შეყოყმანდა „რაც არ უნდა იყოს, ზემდგომი შტაბიდან არიან. უხერხულია, თქვენ რომ არ გამოელაპარაკოთო“ მაგრამ მე ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე. არ მინდოდა გაჯიუტებული ჯალამბარის მიტოვება.

სალამოჟამს მაცნობეს, კომისიამ მუშაობა დაამთავრა და სურს შედეგები გაცნობოსო. რაღა ჩარა იყო, უნდა შევხვედროდი.

მიწურში ვიჯექი, როცა ჩემი შტაბის უფროსი კომისიას შემოუძღვა.

პირველი ვიღაც ახმახი პოდპოლკოვნიკი შემობრაგუნდა. მისი მომდევნო ექიმი ქალი იყო. გადმოაბიჯა თუ არა ზღურბლს, გავშეშდი — ჩემს წინ თამარი იდგა!

ისე მოულოდნელი იყო ყოველივე, რომ თვალს არ ვუჯერებდი...

პოდპოლკოვნიკი ნაწყენი ჩანდა. თამარი კი ეშმაკურად მიღიმოდა.

განა ამის შემდეგ შემეძლო პოდპოლკოვნიკის ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკის მოსმენა? ან გრძელი აქტის კითხვა, რომ ამა და ამ ბატარეის, ამა და ამ ოცეულის ამა და ამ ჯარისკაცს გაპუპყიანებული ხალათი ეცვა?

პოდპოლკოვნიკის წითელ-ლურჯმა ცხვირმა გენიალური აზრი მომივლინა: სამეურნეო დარგში მოადგილე ვიხმე, ორიოდე „გასაგები“ სიტყვა გადავუჩურჩულე და ხუთიოდე წუთის შემდეგ სანიტარული კომისია გაშლილ მაგიდასთან მივიწვიე.

პირველივე ჭიქის შემდეგ პოდპოლკოვნიკი მხიარულად ალაპარაკდა და რაღაც სისულელეების გახსენება იწყო. მე დრო ვიხელთე და თამარი კარში გავიხმე.

— ეი, თქვენ — მოგვაყვირა შემთვრალმა პოდპოლკოვნიკმა — საით, საით, ასე უცებ?

— ამხანაგო მაიორო, — მომძახოდა იგი — არაფერი შეგეშალოს, ეგ უბრალო ქალი არ გეგონოს, ეგ იცი ვინ არის...

ყური აღარ დაგვიგდია, კარში გამოვედით და მთვარით განათებულ გზას დავუყევით.

— იგი ჩამოვიდა — დაარღვია სიჩუმე თამარმა. — მის ხმაში რაღაც იდუმალი აღელვება იგრძნობოდა...

ამ სიტყვების გაგონებას მირჩევნოდა ურო დაერტყათ ჩემთვის, დასაკლავ ძროხას რომ სთხლეშენ ხოლმე შუბლში. მაშინ ხომ ყოველივე ერთბაშად გათავდებოდა და ამ წყეულ გულს ასეთი დავიდარაბის ატანა აღარ მოუხდებოდა...

არ ვიცი, როგორ მივდიოდი, ალბათ ფეხებს თავისით მივქონდი. არც ის ვიცი, რამდენ ხანს ვიარეთ ასე...

თანდათან ბურანიდან გამოვერკვიე. მერე თამარის ხმაც გავიგონე. იგი რაღაცას მელაპარაკებოდა, ჩემდა უნებურად ყური მივუგდე:

— შენ გგონია, ჩემთვის ადვილია? ევგენი ისეა გამოცვლილი, ვეღარ ვცნობ. საცარი ეჭვიანი და აფორიაქებული გახდა. ღვთის წყალობა ღვთის რისხვად ეჩვენება. ხანდახან ასე მგონია, სრულიად უცხონი ვართ ერთმანეთისათვის... მაგრამ რა ვქნა, ძალიან მეცოდება...

თუ გეცოდება, მაშასადამე, არ გიყვარს — წამომცდა სადღაც ამოკითხული ფრაზა.

ჩემდა გასაოცრად თამარმა პირდაპირ არ მიპასუხა.

— რომ იცოდე, როგორ ვუყვარვარ—თქვა ბოლოს.

მინდოდა რაც ძალი და ღონე მქონდა ხმამაღლა დამეყვირა — მე, განა მე ნაკლებად მიყვარხარ? — მაგრამ თავი შევიკავე. „ვუყვარვარო“. — ვფიქრობდი გუნებაში. თვითონ არ იცის თავისი ფასი. ვის არ ეყვარება ასეთი? ან იქნება კიდევ სადმე ასეთი?.

— ესა ყოფილა ჩემი ბედი! — გავიფიქრე და რატომღაც მაშინვე მივხვდი, რომ არაფერსაც არ ვიზამდი, არც თავს მოვიკლავდი, არც მას მოვკლავდი, როგორც ხანდახან გავიფიქრებდი ხოლმე.

ამ ფატალურმა აზრმა თითქოს დამამშვიდა.

ალბათ ასე ურიგდებიან ბედს მამაცი ადამიანები, როცა დასახვრეტად გაჰყავთ და მათ კი არაფერი ძალუძთ...

რა კარგია, კაცს თავისივე თავის ნუგეში რომ შეუძლია. ან სხვა რაღა გზა მქონდა, მანუგეშებელიც არავინ მყავდა. ერთადერთი თამარი იყო და ისიც წამართვეს...

კიდევ დიდხანს ვიარეთ ასე.

თამარი კი ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. ეტყობა ცდილობდა თავისივე თავი დაერწმუნებინა, რომ სწორად მოიქცა.

მე ადრევე მივუხვდი — იგი იმდენად მე არ მესაუბრებოდა, რამდენადაც თავის თავს.

ეტყობა, იმ დროს გაორებული იყო: თავისი სინდისის წინაშე მართალი იყო, მაგრამ გრძნობას უღალატა.

სწორად მოიქცა? — აი, კითხვა, რომელიც ჩემზე უფრო მეტად ალბათ მას აწვალებდა.

ენაწართმეულივით ვიყავი.

მერე ვიგრძენი როგორ მომეხვია თამარი, რა მღელვარებით დამიკოცნა თვალები, შუბლი, ტუჩები, როგორ მკრა ხელი, თითქოს ჩემი მოშორება უნდაო, თუმცა მე ისედაც გახევებული ვიდექი, და მიწურისაკენ გაიქცა...

კომისია ჩემი მანქანით გავისტუმრე, თვითონ კი დიდხანს ვიდექი მთვარიან ღამეში და იქით გავცქეროდი, საითაც თამარის მანქანა გაუჩინარდა.

კიდევ მრავალმა დღემ გაირბინა მას შემდეგ...

ადრიანი გაზაფხულის ერთ საღამოს ოპერატიულმა მორიგემ დამირეკა: სამედიცინო სამსახურის ორ პოლკოვნიკს თქვენი ნახვა უნდაო.

შტაბის ტერიტორიის გადაღმა, ჰრელ შლაგბაუმთან, მწვანე „ემკა“ იდგა. ჩემი მიახლოებისას გრძელ მაზარებში გამოწყობილი ორი ექიმი მანქანიდან გადმოვიდა. მე იმწამსვე ვიცანი ისინი და, უნდა გამოვტყდე, სიამოვნებით მოვიპატიჟე. მაგრამ ორივემ იუარა — გვეჩქარებაო.

— აქეთ ვიყავით, ან-ში და გადავწყვიტეთ თქვენც მოგვენახულებინეთ; ხომ იცით, ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო — დაბალი, მკვრივი ნინა გეორგიევნა ორივე ხელით ღილში ჩამბღაუჭებოდა, სათვალის ზემოდან შემომცქეროდა და დამნაშავესავით მიღიმოდა.

— „არ დავიწყება მოყვრისა, აროდეს გვიზამს ზიანსა“ — წარმოთქვა ვარვარა სემიონოვნამ, რომელსაც სიყვითლე და ლაწვიანობა გამკვეთრებოდა და ახლა უფრო ჰგავდა მონღოლს, ვიდრე ოდესმე. სამხრეებზე მას ერთი ვარსკვლავიც მოჰმატებოდა.

— იცით, პეტრენკო ჩემი ახლობელი იყო — მითხრა მან და განსაკუთრებით სათნოდ გამიღიმა.

— ახლა ველარ შემაცდენთ — ვუპასუხე მე — არც რუსთაველი და არც პეტრენკო ჩემი მეზობლები არ ყოფილან!

ორივემ გულიანად გადაიხარხარა, მაგრამ ისე სწრაფად შეწყვიტეს სიცილი, გეგონება დანაშაულზე წაუსწრესო.

— თქვენ ისიც გეყოფათ, რომ იუსტინ ივლიანოვიჩი თქვენი კარის მეზობელია — თვალის ეშმაკური წკურვით მითხრა ნინა გეორგევნამ და მკლავში ხელი გამიყარა, მოდით, აი, იმ სერიდან გადავიხედოთო...

გავცქეროდი ბლონდგადაფარებულ შორეთს, გაზაფხულის მზით დაფერილ მარმარა სივრცეს და საშინელ სიცარიელეს ვგრძნობდი. ისე მეჩვენებოდა, თითქოს ცის დასალიერზე მუქმწვანედ გაწოლილი ტყის ზოლიც, მასზე შემორკალული და ვერცხლისფერ სირმად დაკეცილი მდინარეც, ნამდვილი კი არა, დახატული იყო. ნაცნობების ნახვით აღძრული მოგონებები მეძალებოდა.

— ნეტავი, რა უნდა იყოს მათი სტუმრობის მიზეზი. — ვფიქრობდი გუნებაში, თუმცაღა სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ ქალების მოსვლის მიზეზი აუცილებლად თამარი იქნებოდა.

— ვკითხო თუ არა ვკითხო— ვანგარიშობდი ჩემთვის, — ორთავეს ხომ კარგად ესმის, რომ ახლა სწორედ თამარზე ვფიქრობ. თუ არ ვკითხე, უარესი. ისე გამოვა, რომ შემთხვევით ვსარგებლობ, რათა უხერხულ მდგომარეობაში ვამყოფო.

— თამარისა ხომ არაფერი იცით? — შევეცადე ხმაში მღელვარება არ შემტყობოდა.

ქალები ნაპირზე გადმოგდებული თევზებივით აფართხალდნენ.

სათვალიანმა მადლიერი თვალით შემომხედა, მონღოლმა კი ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლი მოიწმინდა. როგორ ათანაზიარებს ადამიანებს ეს წყეული ომი მწუხარებაში და როგორ აგულცივებს იმავე მწუხარების მიმართ!...

— თამარის ამბავს ნუღა იკითხავთ, საშინელ მდგომარეობაშია, საცოდავი—ვარვარა სემიონოვნას თვალები შორეთში გაეშტერებინა და ისე მელაპარაკებოდა, გეგონება თავის თავს ესაუბრებაო.

— რა მოხდა? — ვკითხე მე და ამჯერად მღელვარების დაფარვა ველარ შევძელი.

— არაფერი გაგიგიათ? — მკითხა ნინა გეორგევნამ და წამით იჭვნეულად დამაშტერდა.

— არაფერი — ვუთხარი მე და ვიგრძენი, რომ ერთბაშად შემცივდა.

ის-ის იყო მინდოდა მეყვირა, ჩქარა გამაგებინეთ, რა ამბავია, ნუ მტანჯავთ-მეთქი, რომ ნინა გეორგიევნამ დამარცვლით წარმოთქვა:

— ევგენიმ თავი ჩამოიხრჩო.

ეს შემზარავი სიტყვები ისე გამოსცრა ტუჩებიდან, რომ ვერ გავიგე, სწყინდა თუ ახარებდა.

— ვინ ევგენიმ — ვიკითხე რატომღაც, თუმცა თავიდანვე მივხვდი ყოველივეს. ალბათ ნათქვამმა გამაოგნა.

„მონღოლმა“ ისე შემომხედა, გეგონება მტუქსავსო—ვინა და თამარის ქმარმა!

— რატომ? — გულწრფელი გაკვირვებით ვიკითხე მე.

— ეგ არავინ იცის.—„მონღოლმა“ კისერი მხრებში ჩამალა და თავი გაასავსავა — საშინელებაა...

— გასულ კვირას დაასაფლავეს... სამი დღით ადრე, დილაადრიან გასულა ის საცოდავი, მალე დავბრუნდებიო — უხალისოდ დაიწყო სათვალიანმა—გვიანობამდე რომ არ დაბრუნებულა, თამარს ძებნა დაუწყია. სად არ მოუკითხავს, მილიციაშიც დაურეკავს. გამთენიისას ქალაქის მორიგეს დაუბარებია და მორგში წაუყვანია... იქ კი, მიცვალებულებში თამარს თავისი ქმარი უცვნია...

... შუვალოვის ჰალაში უპოვნიათ გირჩების შესაკრებად წასულ ბავშვებს. ხეზე ყოფილა ჩამოკიდებული, ეტყობა თავი ჩამოუხრჩვია... საცოდავი თამარი, ისეთ დღეშია, ვერ წარმოიდგენთ. ამდენი ელოდა, ამდენი გადაიტანა, ამდენი რამ შესწირა მას—ეს სიტყვები უფრო ხაზგასმით იყო თქმული — და აი, ინებეთ, ხეზე ჩამოუკონწიალებია თავი... ეთქვა მაინც რამე, იმ დალოცვილს, ბარათი მაინც დაეტოვე-

ბინა! ღმერთო, როგორ დააგიჟა ამ წყეულმა ომმა ეს ადამიანები, რა საშინელება არა ხდება.

— თამარი მეცოდება, თორემ იმას გზაც იქით ჰქონია, თუ მაინცა და მაინც ეს უნდოდა — ღვარძლიანად და მკაცრად ჩაილაპარაკა ვარვარა სემიონოვნამ.

— ეგრე ნუ ლაპარაკობ, ვარია, — გამოეპასუხა სათვალიანი — ხომ არ იცი, რა ბოლმა უდუღდა იმ საცოდავს.

გაშტერებული ვიდექი. ფიქრები რწყილიყარიებივით მიბზუოდნენ თავში და ისე უკვალოდ მიიპარებოდნენ, როგორც საცერში მიშვებული წყალი. ყველაზე ხშირად ხეზე ჩამოკიდებული, უცნაურად კისერწაგრძელებული კაცის სურათი მიდგებოდა თვალწინ. მას თამარის დიდრონი, ცრემლებით დანამული თვალები ენაცვლებოდა.

— მაინც რა მიზეზია... რამ აიძულა? — ვერ ავაწყე კითხვა.

— ჩვენი ფიქრით, მიზეზი ორია: ან ტყვედ ყოფნისას აიძულეს რაიმე დავალება ეკისრა, რაც ნაკლებ სავარაუდოა, რადგან ეგენი ასეთი ვაჟკაცი არ იყო; ნელ ცეცხლზედაც რომ დაეწვა, თავისიანების წინააღმდეგ ხელს არ აღმართავდა, ანდა... — მონღოლმა სიტყვა გააგრძელა, და მერე რაღაც ბრაზნარევი აჩქარებით დააყარა — ანდა, ჩვენმა გამომძიებლებმა მიიყვანეს აქამდე! ხომ იცით მაგათი ამბავი, არაფრისა არა სჯერათ. არა, მე მესმის, რომ მკაცრი შემოწმება აუცილებელია, რომ რეპატრირებულებში ათასი ბანდიტი და გაიძვერა, ათასი გამცემი და დივერსანტი ურევია, მაგრამ ყველა ასეთია? გარჩევა არ უნდა გვქონდეს?...

აი, სადამდე მიიყვანეს კაცი, და ისიც როგორი კაცი!

იცით რაები ჩაუდენია იქ, ტყვეობაში? მაგისი ამხანაგები ამბობენ, რომ გმირობისათვის ევგენის სიცოცხლეშივე ძეგლი უნდა დაუდგანო.

— მაგრამ მე მაინც ევგენის ვამტყუნებ! თავი კი არ უნდა ჩამოეხრჩო, უნდა ებრძოლა! მამაძაღლები უნდა ემხილა, გაიძვერები უნდა გამოეაშკარავებინა! ვაჟკაცობა ეს არის, თორემ სიკვდილზე ადვილი სხვა რაა ამ ქვეყნად...

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

ყველა თავ-თავის საფიქრალს მივეცით.

— მოინახულეთ თამარი, ანუგეშეთ, გაამხნევეთ! ის ხომ საოცრად კარგია... — მუდარით მითხრა სათვალიანმა.

— მაგისთანა მეორე არ დადის მთელ დუნიაზე — ისეთი რწმენით თქვა „მონღოლმა“, გეგონება ეს ჭეშმარიტება ყველასათვის ნათელი იყო და მხოლოდ მე არა მჯეროდა.

ორივე ქალი მოუთმენლად შემომცქეროდა. ამ დადარაჯებულმა მზერამ უფრო ნათლად ჩამახედა მათი სტუმრობის მიზეზში.

— „ალბათ იციან თამარის ფიქრი, მისი აზრი, თორემ ასე დოგადოგა არ დამადგებოდნენ“ — გავივლე გუნებაში და თვითონვე მესიამოვნა ჩემი ვარაუდი...

იმ საღამოსვე მივწერე წერილი თამარს.

სულმოკლეობა იქნებოდა მაშინვე თავი შემეძლია, ამიტომ თავშეკავებულად მივუსამძიმრე, არ ეფიქრა მომხდარი უბედურება უხარიაო.

მაგრამ, როცა გაგზავნის შემდეგ მიწერილი ბარათი მეხსიერებაში აღვადგინე, დავრწმუნდი, რომ, უნებლიედ, ყოველივე გამომემჟღავნებინა და თამარიც სულ ადვილად უნდა მიმხვდარიყო ჩემს გულისნადებს...

ქალების სტუმრობის შემდეგ კიდევ კარგა ხანს ვერ შევძელი თამარის მონახულება.

ყოველ ცისმარე დღეს მასზე ვფიქრობდი. ყოველ ცისმარე დღე ვცდილობდი მასთან წასვლას (მაშინ სულ ოთხმოციოდე კილომეტრით ვიყავით ერთმანეთს დაშორებული), მაგრამ ულმობელი სამხედრო საქმე არ მიშვებდა.

ვერც იმ უფროსებს დავემდურებოდი, ვიზედაც ჩემი გაშვება იყო დამოკიდებული; იმ ხანად, ფრონტზე ისეთი ციებ-ცხელება გვქონდა, მათ ადგილას თვითონ რომ ვყოფილიყავი, ვერც მე შევეღეოდი ჩემს ხელქვეითს.

უბედური შემთხვევა ორი თვის მომხდარი იყო, როცა თამართან ჩავედი და ნაცნობ შუშის ვესტიბიულთან შევხვდი.

ყველაზე ძალიან იმან გამაოცა, რომ თამარს, როგორც შევატყე, არ გაუხარდა ჩემი მისვლა.

— „თავმოყვარე ადამიანი სხვაგვარად ვერც მოიქცევა — განვმარტე გუნებაში — არ უნდა მაფიქრებინოს, რომ ახლა უკვე ხელგახსნილია და საღლაც გულის კუნჭულში იმაზევე ფიქრობს, რაზეც მე...“

თვალები ამოღამებოდა. ქუთუთოებიც შეშუპებული ჰქონდა. არც თმას ემჩნეოდა ჩვეული მოვლილობა.

როცა კედელს მოვეფარეთ და სკამზე ჩამოვჯექით, თამარმა თავი მხარზე დამაყრდნო და გულამოსკვნით აქვითინდა.

შევწუხდი. დავიბენი, არ ვიცოდი, რა მექნა, ან რა მეთქვა.

ასე ვიყავით, სანამ ტირილით გული არ მოიოხა. როცა ოდნავ დაწყნარდა, აწითლებული თვალები მომაპყრო და სევდიანად მომითხრო:

...სწორედ ახლა, როცა ერთმანეთს კვლავ მივეჩვიეთ და ისევ დავუახლოვდით... ვერ წარმოიდგენ, რამდენი მოთმინება გამოვიჩინეთ მეცა და იმანაც. ერთხანს, ძალზე გაგვიჭირდა, თვითეულს გვეგონა, რომ მეორე, ან მთლად გამოცვლილა, ან აქამდე ხეირიანად არ მცნობიაო... ჩვენს ასაკში ეს გარდუვალად აცილებს ცოლ-ქმარს, მაგრამ ორივენი ჯიუტები გამოვდექით. ალბათ ურთიერთის გულისათვის ამდე-

ნი განცდილისა და გადატანილის დაკარგვა გვენანებოდა... საოცარად ნერვული იყო... აბა, რა იქნებოდა, საშინელი ტყვეობის შემდეგ... ის ხომ გერმანელებმა დაჭრილი ჩაიგდეს ხელში. შემდეგ ორი საკონცენტრაციო ბანაკიდან გაქცევა, და ბოლოს პარტიზანობა უცხოეთში... სამი მძიმე ჭრილობა ჰქონდა. მეფიცებოდა სულ შენ მედექი თვალწინ და ახლა როგორ დაგთმოო!.. და მაინც დამთმო...

ყველაზე ძალიან ის სტკენდა გულს, რომ მისიანებიც ეჭვის თვალით უყურებდნენ, თითქოს არა სჯეროდათ მისი... არ ენდობოდნენ, როგორც ტყვეღნამყოფს. გემზედაც აღარ დააბრუნეს... ბოლო ხანებში ხომ გიჟივით იყო...

მე გრძლად და ყვავილოვნად ავლაპარაკდი მხნეობის საჭიროებაზე და რაღაც ამგვარებზე, ჩემი სიტყვები მევე არ მომწონდა, მაგრამ არ ვიცოდი უკეთესი რა მეთქვა. როცა განვაცხადე — შენი უბედურების შესამსუბუქებლად მზად ვარ ყოველივე ვიღონო-მეთქი — თამარმა წყნარად შემომხედა და ტუჩებზე ხელი ამაფარა.

მე მისი ხელი ჩამოვიღე, ვაკოცე და კვლავ განვაგრძე ლაპარაკი ჩემს განცდებზე, მოვალეობაზე...

თამარი წამოდგა.

არასოდეს არ დამავიწყდება მისი იერი, ხმა, მოძრაობა.

ის წუთებიც წარუშლელად ჩამეჭედა გონებაში.

— ოდნავ მაინც თუ გიყვარვარ, აღარასოდეს არ მელაპარაკო შენს გრძნობებსა და სურვილებზე... თუ აქამდე ვერ გავხდი შენი, მით უმეტეს ახლა არა მაქვს ამის უფლება.

ახლა რომ გამოგყვე, ხომ ყოველივე, რაც ჩვენს შორის აქამდე იყო, მიმზიდველობას დაჰკარგავს და, ადრე თუ გვიან, ორთავესაგან ღალატად მიიჩნევა... ისე გამოვა, რომ ადრევე სათადარიგო ქმარს ვიმზადებდი... დიახ, დიახ, ახლა თუ არ ფიქრობ ამაზე, მომავალში აუცილებლად გაიფიქრებ... ვინ იცის, გაუძლებს კი ასეთ გამოცდას ჩვენი სიყვარული? ადრე თუ გვიან, ხომ ყოველ სიყვარულს გამოცდა ელის... მაშინ, რომ გამოგყოლოდი, სხვა იყო... მაშინ მეც ქალიშვილი ვიყავი... შენთვის ეს არ მითქვამს, რადგან არ დამიჯერებდი ან სხვანაირად მიიღებდი.

როცა მე და ჟენიამ ხელი მოვაწერეთ, წყალქვეშა ნავის ოფიცრებმა ქორწილი „ასტორიაში" გადაგვიხადეს. შინ გამთენიისას ვბრუნდებოდით. გზად ვიღაც მთვრალ კრებულს გადავეყარეთ, მოხულიგნო ბიჭები იყვნენ. შემოგვიტიეს და გაგვაწბილეს. ევგენი მეტად თავმოყვარე კაცი იყო, სამი იმათგანი ისე მიბეგვა, რომ ფეხზე ვეღარ დგებოდნენ. ლენინგრადის სამხედრო კომენდანტმა იმავე ღამეს დააპატიმრა. საქმე გამომძიებელს გადასცეს...

თერთმეტი დღის შემდეგ კი ომი დაიწყო და ევგენიც 22 ივნისს, ალიონზე, ჰაუპტვახტიდან პირდაპირ ზღვაში გავიდა... დავრჩი გათხოვილი გაუთხოვარი... ახლა კი სხვაგვარად არის საქმე: ახლა მე... ფეხმძიმედ ვარ და მისი ბავშვი უნდა აღვზარდო...

ჩემი ვედრება არც ერთ ქალს არ მოუსმენია, თამარს კი იმდენი ვეხვეწე, მიკვირს ან იმან როგორ გაუძლო, ან მე.

ვერავითარმა მუდარამ ვერ გაჭრა.

დამემშვიდობა და წავიდა.

თავჩაქინდრული და აქვითინებული კი არ წავიდა, როგორც პირველად, არამედ მტკიცედ, რაღაც უცნაური დაჯერებით და სიამაყით.

ხმა აღარ ამომიღია, აღარც დამიძახნია. ვიცოდი, ყოველივე ამაო იყო.

დიახ, თამარი ისეთი არ გახლდათ, რომ ერთხელ მიღებული გადაწყვეტილება შეეცვალა...

არც ჩემგან იყო ნაკლები ვაჟკაცობა, ამგვარი მომთმენობის გამოჩენა. განა ვაჟკაცობა არ არის, ხედავდე როგორ მიილტვის შენგან, როგორ თანდათან გშორდება ბედნიერება და ქვასავით მდუმარე იდგე?..

ალბათ მას შემდეგ დამჩემდა ის სიტყვაძუნწობა, ასე ხშირად რომ მისაყვედურებენ.

. . . . .

ომი დასასრულს უახლოვდებოდა. ჩვენი ჯარები მტრის ტერიტორიაზე იბრძოდნენ. გერმანიის კაპიტულაციამდე რამდენიმე თვით ადრე ბედმა კვლავ ლენინგრადში მომახვედრა.

სამდღიანი ყოყმანის შემდეგ შუშის ნაცნობ ვესტიბიულთან გავჩნდი.

— ამხანაგი ბელიაევა, სარდლობის სპეციალური დავალებით და ხანგრძლივი დროით გაგზავნილ იქნა შორეულ მხარეში — ოფიციალურად მიპასუხა ჰოსპიტლის უფროსმა, მას შემდეგ, რაც მთელი აურზაური ავტეხე თამარის ამბის გასაგებად.

...ისევ იმ განმარტოებულ სკამთან მივლასლასდი, ობოლი ხის ძირას რომ იდგა და დაბინდებამდე წელი ვერ ავითრიე...

ბურანში მყოფივით ვგრძნობდი, რომ შორიახლო თეთრხალათიანებმა ამიარ-ჩამიარეს, ეტყობა უკვირდათ ჩემი საქციელი და ფარულად მითვალთვალებდნენ.

ბინდდებოდა, როცა აჩქარებული ნაბიჯების ხმა მომესმა და ჩემს გვერდით სკამზე მძიმედ დაეშვა სწრაფი სიარულით გულამოვარდნილი ნინა გეორგიევნა...

დიდხანს ხმა ვერ ამოიღო, ქოშინი უშლიდა. მისმა აფორაჯებულმა სახემ მიმახვედრა, რომ ძალზე შეეშინებინათ. ალბათ ისე აუწერეს ჩემი ქცევა, რომ კეთილ პოლკოვნიკს შეეშინდა, რაიმე სისულელე არ ჩაიდინოსო.

ნინა გეორგიევნამ საიდუმლოდ გამანდო: თამარი შორეულ აღმოსავლეთში გაგზავნეს ჰოსპიტლის უფროსადო.

ორივე გაოცებული ვიყავით: აბა, როგორ წარმოვიდგენდით, რომ უმაღლეს მთავარსარდალს მაშინ უკვე ჰქონდა გადაწყვეტილი იაპონიის განადგურება და საომარი მოქმედებისაგან თავისუფალი ნაწილები კვანტურის არმიის გასანადგურებლად გადაჰყავდა.

მე და კეთილმა ნინა გეორგიევნამ დიდხანს ვიმტვრიეთ თავი ამ უცნაურ ამოცანაზე, მაგრამ შორეული აღმოსავლეთის საიდუმლო ვერა და ვერ ამოვხსენით.

იმ საღამოს მე და სათვალიანი პოლკოვნიკი, რომელსაც თმა კიდევ უფრო გაჭაღარავებოდა, გვიანობამდე ვისხედით გაპარტახებულ ყვავილნარში.

რა არ მოვიგონეთ და თითქმის ყველა მოგონების დედაბოძი ისევ თამარი იყო...

მე დაუფარავად ვუამბე საწვიმარი მილით მეოთხე სართულზე ასვლის ამბავი. როცა დავამთავრე, აღელვებულმა ნინა გეორგიევნამ სათვალე მოიხსნა და ცრემლები მოიწმინდა.

— ვინ იცის, რომ დაგეკაკუნებინათ, ყოველივე სხვაგვარად წარმართულიყო — თითქოს ოცნებობსო, ისეთი ხმით მეუბნებოდა ნინა გეორგიევნა — თამარმა მითხრა, სიკვდილის წინ მამა მემუდარებოდა, თუ იმ ქართველმა ცოლობა შემოგთავაზოს, უარს ნუ ეტყვი, აუცილებლად წაჰყევიო...

— ახლა მეც ვნანობ, მაგრამ რაღა დროისაა, ზედმეტმა სიამაყემ და წყეულმა ეჭვმა განმარიდა ბედნიერებას...

— ეჰ, სიამაყევ, რა ცუდი მრჩეველი ხარ ადამიანისა. სიამაყე აშკარა, ხოლო ეჭვი ფარული მტერია სიყვარულისა. თუ გახსოვთ, პირველი შეხვედრისას გითხარით—ბავშვებო, ჩემო საწყალო ბავშვებო, რა იცით თქვენ სიყვარულისა-მეთქი?

— მახსოვს.

— ამით მინდოდა მეთქვა — რა იცით მისი გაფრთხილების, მისი დაფასების, მისი გახანგრძლივების, მისი შენარჩუნებისა-მეთქი. და, აი, ახლა ხომ ხედავთ, საკუთარ თავზე იწვნიეთ ეს ყოველივე... დამიჯერეთ, ჩემო კეთილო, ზედმეტი სიამაყე და ავადმყოფური ეჭვი—სიყვარულის მოსისხლე მტრები არიან!...

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა...

ნინა გეორგიევნას აღარ შევხვედრივარ, ვინ იცის, ეგება ცოცხალიც აღარ არის. მაგრამ მისი ნათქვამი უწინდებურად მახსოვს და მომეცემა თუ არა შემთხვევა, ყველა მახლობელს ვურჩევ, არ დაივიწყონ მისი ბრძნული სიტყვები, რომლებიც მანამდეც ბევრს უთქვამს და ალბათ მომავალშიაც ბევრი გაიმეორებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ყორანაშვილი

# ვ. ი. ლენინი კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ

„ყველაზე საიმედო საზოგადოებრივი მეცნიერების საკითხში და აუცილებელი იმისათვის, რომ ნამდვილად შევიძინოთ ჩვევა ამ საკითხისადმი სწორად მიდგომისა და არ დავიბნენით უამრავ წვრილმანებში ან ერთმანეთთან მებრძოლ შეხედულებათა უდიდეს სხვადასხვაობაში, — ყველაზე მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ ამ საკითხს მეცნიერული თვალსაზრისით მივუდგეთ — არის ის, რომ არ დავივიწყოთ ძირითადი ისტორიული კავშირი, ყოველ საკითხს შევხედოთ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ წარმოიშვა ისტორიაში განსაზღვრული მოვლენა, რა და რა მთავარი ეტაპები განვლო ამ მოვლენამ თავის განვითარებაში, და მისი ამ განვითარების თვალსაზრისით შევხედოთ, თუ რად იქცა ეს მოვლენა ამჟამად“ [1].

მარქსისტულ ლიტერატურაში მტკიცედ გავრცელდა თვალსაზრისი, რომლის თანახმად სახელმწიფო საზოგადოების კლასებად დაყოფის შედეგია, აპარატია გაბატონებული კლასის ხელში ექსპლოატირებული კლასის დასაჩაგრავად. ამდენად, სამართლიანად მიუთითებენ სახელმწიფოს ამ ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას, რომელსაც ვერ ხედავდნენ ვერც მარქსამდელი მოაზროვნეები და ვერც მარქსის შემდეგდროინდელი ბურჟუაზიული მოაზროვნეები. მათი აზრით, სახელმწიფოს არსი მხოლოდ საზოგადოების საერთო ინტერესების (ქვეყნის თავდაცვა, შინაგანი წესრიგის დამყარება, ეკონომიკის ნაწილობრივი რეგულირება და სხვ.) შესრულებაა. მათ ავიწყდებათ, რომ ანტიკური. ფეოდალური და კაპიტალისტური ტიპის სახელმწიფოები, აღნიშნულ ფუნქციებთან ერთად, ასრულებდნენ დაჩაგრული კლასის დამორჩილების ფუნქციას, იცავდნენ ექსპლოატაციის შესაბამის ფორმას. ამ ტიპის სახელმწიფოები ზეკლასობრივი ორგანო კი არა, გაბატონებული კლასის იარაღი იყო და არის მშრომელი კლასის დასაჩაგრავად, თავისი საკუთრების დასაცავად. ანტიკური და ფეოდალური ტიპის საზოგადოებებში გაბატონებული კლასი, უმეტესწილად საჯარო ხელისუფლებაც იყო, რაც, როგორც ცნობილია, სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია. მონათა და ყმაგლეხთა აჯანყებების დროს ეს საჯარო ხელისუფლება მტკიცედ გამოდიოდა მათს დასათრგუნავად, ახანგრძლივებდა არსებულ სოციალურ-ეკონომიურ სისტემებს. როგორც ვ. ი. ლენინი არაერთგზის შენიშნავდა, აღნიშნული გარემოება ყველაზე უფრო ნათელს ხდის სახელმწიფოს „ზეკლასობრიობის“ სიყალბეს ექპლოატაციაზე დამყარებულ საზოგადოებაში.

ყოველივე ზემოთქმული ჩვენში სულაც არ არის საეჭვო. მაგრამ ამ შეხედულების გავრცელება ძველი აღმოსავლეთის, აფრიკის, ამერიკის, ოკეანეთის კოლონიური პერიოდის მოწინავე საზოგადოებებზე არ არის სწორი. ეს საზოგადოებები, როგორც მტკიცედ დადგინდა მარქსისტულ ლიტერატურაში, თავიანთ განვითარებაში ვერ ავიდნენ ანტიკური და ფეოდალური ტიპის საზოგადოებებამდე. აღნიშნავენ ამ ტიპის საზოგადოებების უმთავრეს დამახასიათებელ ნიშნებს — საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის ხელში წვრილი წარმოების საშუალებების თავმოყრას, მიწაზე საკუთრების კონცენტრაციის უმნიშვნელოდ განვითარებას, მონობის სოციალური ინსტიტუტის მცი-

[1] ვ. ი. ლენინი. ტ. 29. გვ. 553-556.

რედ გავრცელებულობას[1]. თუმცა ამ საზოგადოებაში არ მომხდარა საკუთრების რამდენადმე მნიშვნელოვანი კონცენტრაცია გაბატონებული უმცირესობის ხელში, ხოლო მწარმოებელთა უდიდესი უმრავლესობა წარმოების საშუალებებს ფლობდა, აქ მაინც ადგილი ჰქონდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას; ექსპლოატაციის ძირითადი ობიექტი პირადად თავისუფალი გლეხები იყვნენ. არსებობდა საკმაოდ განვითარებული სახელმწიფოც, მისთვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნებით.

ერთი სიტყვით, აღნიშნული გარემოებები ვერ თავსდება უწინ ჩვენში ფართოდ გავრცელებულ წარმოდგენებთან, რაც, სავსებით კანონზომიერად, საფუძველი გახდა მარქსისტულ ლიტერატურაში მიმდინარე გაცხოველებული დისკუსიებისა. ძველი აღმოსავლეთის, აფრიკის, კოლუმბამდელი ამერიკის და ა. შ. საზოგადოებების საწარმოო ძალების განვითარების დონე არ იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ აქ მონათმფლობელური ან ფეოდალური სტრუქტურის საზოგადოებები ჩამოყალიბებულიყო. მონობა აქ სპორადულ მოვლენად რჩებოდა, ვერ გახდა საზოგადოების სტრუქტურის წარმომქმნელი ელემენტი[2]. სახელმწიფოს წარმოშობა ამ საზოგადოებებში სულ სხვა მიზეზებს ემყარებოდა, ვიდრე მონათა კლასის დამორჩილების საჭიროებას. როგორც აღვნიშნეთ, აქ მონები უმნიშვნელო სოციალურ ფენას შეადგენდნენ და მათი ჩახშობა შეიძლებოდა ოჯახის — მით უმეტეს პატრიარქალური ფორმის — ფარგლებში. ასე რომ, სულაც არ იყო საჭიროება ამისათვის სახელმწიფო წარმოშობილიყო.

თუმცა იმ დროს განვითარებული არ იყო არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ლინგვისტიკა, დაბალი იყო ისტორიის მეცნიერების დონე, კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ზოგად ხაზებში გადმოსცეს აღნიშნული ტიპის საზოგადოებების ძირითადი ნიშნები. მათ მიერ მოცემულია აგრეთვე სახელმწიფოს წარმოშობის სურათი[1]. ეს ძალზე აქტუალურს ხდის იმას, რომ, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, „აუცილებლად საჭიროა რაც შეიძლება სრული სახით მოვიყვანოთ მარქსისა და ენგელსის თხზულებებიდან ყველა ადგილი, ან, ყოველ შემთხვევაში, ყველა გადამწყვეტი ადგილი სახელმწიფოს საკითხზე, რათა მკითხველს შეეძლოს შეიმუშაოს დამოუკიდებელი წარმოდგენა, მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთა შეხედულებების ერთობლიობაზე და ამ შეხედულებათა განვითარებაზე“ [2].

კარლ მარქსი წერდა: „წყალმომარაგების რეგულირება ერთ-ერთი მატერიალური საფუძველი იყო სახელმწიფო ხელისუფლებისა, რომელიც ვრცელდებოდა ინდოეთის წვრილ და ერთმანეთთან დაუკავშირებელ საწარმოო ორგანიზმებზე“ [3]. სხვა ადგილას მას ასეთი აზრი აქვს გამოთქმული: „აზიაში საერთოდ უხსოვარი დროიდან არსებობდა მართვა-გამგეობის მხოლოდ სამი დარგი: საფინანსო უწყება ანუ შინაგანი ძარცვის უწყება, სამხედრო უწყება ანუ სხვა ხალხთა ძარცვის უწყება, დასასრულ, საჯარო სამუშაოთა უწყება“[4]. ფრ. ენგელსი შენიშნავდა: „მაგრამ განაწილებაში მომხდარ განსხვავებასთან ერთად თავს იჩენენ კლასობრივი განსხვავებანიც. საზოგადოება ნაწილდება პრივილეგიებით აღჭურვილ და დაზარალებულ, ექსპლოატატორულ და ექსპლოატირებულ, გაბატონებულ და ჩაგრულ კლასებად და სახელმწიფო, **რომელიც განვითარდა მონათესავე ტომთა თემების ბუნებრივად აღმოცენებული ჯგუფებიდან, თავდაპირველად მხოლოდ იმ მიზნით, რომ თავიანთი საერთო ინტერესები დაეკმაყოფილებინათ (მაგალითად, აღმოსავლეთში — მორწყვა) და აგრეთვე მტრებისაგან თავი დაეცვათ**, (ხაზგასმა ჩვენია, გ. ყ.), ამიერიდან ახალ მიზანს ისახავს, სახელდობრ ძალმომრეობის საშუალებით დაიცვას მმართველი კლასის ცხოვრებისა და ბატონობის პირობები

---

1. გ. მელიქიშვილი. ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიური წყობილების საკითხი, მაცნე, 1966, № 1. Н. Б. Тер-Акопян. Развитие взглядов К. Маркса и Ф. Энгельса на азиатский способ производства и земледельческую общину. Народы Азии и Африки, 1965, № 2,3. Ю. И. Семенов. Проблема социально-экономического строя Древнего Востока, НАА, 1965, № 4. И. Ф. Колесницкий. О некоторых типических и специфических чертах раннеклассовых обществ. «Вопросы истории». 1966, № 7 и др.

2. Г В. Коранашвили. О причинах неразвитости рабства на Древнем Востоке. «Вопросы истории», 1969, № 9.

---

1. კ. მარქსი, „კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები“, ფრ. ენგელსი, „ანტი-დიურინგი“ და სხვ.; Н. Б. Тер-Акопян. Развитие взглядов К. Маркса и Ф. Энгельса на азиатский способ производства и земледельческую общину. НАА. 1965, № 2—3.

2. ვ. ი. ლენინი, ტ. 25, გვ. 471.

3. კ. მარქსი, კაპიტალი. ტ. 1, 1954, გვ. 648. აგრეთვე კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 387.

4. რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 386. იგივე აზრი უფრო ადრე ჰქონდა გამოთქმული ფრ. ენგელსს. კ. მარქსი. ფ. ენგელსი, რჩეული წერილები. 1949, გვ. 75

ჩაგრული კლასის წინააღმდეგ“[1]. აზიის დესპოტიების შესახებ ფრ. ენგელსი წერდა: „რამდენი დესპოტიები გაჩენილა და დაღუპულა სპარსეთსა და ინდოეთში და თვითეულმა მათგანმა ძლიერ კარგად იცოდა, რომ იგი, უწინარეს ყოვლისა. მდინარეების ხეობათა მორწყვის ერთობლივი მომწესრიგებელი იყო“[2].

კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობაზე კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის მიერ გამოთქმულმა ზემომოყვანილმა აზრებმა შემდგომი განვითარება ჰპოვა ვ. ი. ლენინის შრომებში. მათს სისწორეს ვუჩვენებთ კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის პროცესების შუქზე. დავიწყოთ პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოებიდან:

კაცობრიობის განვითარების ამ სტადიაზე კერძო საკუთრება უმნიშვნელო იყო. მის ობიექტს შეადგენდნენ შრომითი და საომარი იარაღები, ჭურჭელი და სხვ. მიწა, სახლი კი გვარის საერთო საკუთრებას წარმოადგენდა. მეურნეობის ძირითადი ფორმები იყო: შემგროვებლობა, ნადირობა და მეთევზეობა, ამიტომ შრომის ნაყოფიერების დონე დაბლა იდგა. უშუალო მწარმოებლები მხოლოდ თავის სარჩენ და მოდგმის გასაგრძელებლად საჭირო პროდუქტს ამზადებდნენ. წარმოების წესის შესაბამისად, იშვიათი იყო მოსახლეობაც. გვარები და ტომები დიდ ტერიტორიებს იკავებდნენ და ამდენად არ არსებობდა მუდმივი საფრთხე თავდასხმებისა. საზოგადოების ორგანიზაციას თვითონ ხალხი ახდენდა, როგორც მამაკაცები, ისე ქალებიც. საერთო ფუნქციები ისე მარტივი და მცირერიცხოვანი იყო, რომ არ იყო საჭიროება ამ ფუნქციების შემსრულებელთა საზოგადოებისაგან გამოყოფისა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ შრომის ნაყოფიერების განვითარების იმ დონეზე საზოგადოებას არც შეეძლო ფიზიკური შრომისაგან თავისუფალი ფენის შენახვა.

თვით იროკეზებშიც კი, რომლებიც, ლ. მორგანისა და ფრ. ენგელსის ტერმინოლოგიის მიხედვით, იმყოფებოდნენ ბარბაროსობის დაბალ საფეხურზე და პრიმიტიულ მიწათმოქმედებას მისდევდნენ, საზოგადოების ორგანიზაცია კვლავ გვაროვნული რჩებოდა. გაჩნდა საერთო ფუნქციები: კულტი, თავდაცვა, შინაურ საქმეთა მოწესრიგება, რასაც ასრულებდნენ სახემი—ტომის ბელადი მშვიდობიანობის დროს, და სამხედრო ბელადი. ტომის საერთო საქმეებს განაგებდა სატომო საბჭო. არსებობდა ტომთა კონფედერაციის საერთო საბჭოც. მაგრამ პირველყოფილ დემოკრატიას კვლავ ძალა ჰქონდა. გვარისა და ტომის ბელადებს თვით ხალხი ირჩევდა. ხალხზე იყო დამოკიდებული მათი ვადაზე ადრე გადაყენება ან ხელახალი ვადით გადარჩევა. არ არსებობდა თანამდებობის დაკავების მემკვიდრეობითობა. ამასაც რომ თავი დავანებოთ, თანამდებობის დაკავება არ იყო დაკავშირებული მატერიალურ ან სხვა სახის პრივილეგიებთან, თანამდებობის პირები განაგრძობდნენ ფიზიკურ შრომას.

ამრიგად, აღნიშნული ტიპის საზოგადოებაში „ვერსად ვერ ვხედავთ იმ ადამიანთა განსაკუთრებულ თანრიგს, რომლებიც გამოიყოფიან, რომ სხვები განაგონ და მართვა-გამგეობის გულისათვის, ამ მიზნისათვის სისტემატურად, მუდმივ ჰქონდეთ იძულების განსაზღვრული აპარატი, ძალმომრეობის აპარატი“[1]. ეს არის შემდეგდროინდელი კლასობრივი საზოგადოებების ორგანიზაციისაგან პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოების ორგანიზაციის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი.

საქმის ვითარება რადიკალურად შეიცვალა კაცობრიობის შემდგომი ეკონომიური ევოლუციის დროს, სახელდობრ, შედარებით განვითარებულ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე გადასვლის შემდეგ. მეურნეობის ამ ახალი დარგების არსებობისას უშუალო მწარმოებელი უკვე აწარმოებდა ჭარბ პროდუქციას. ამან სოციალურ განვითარებაში ორი სახის ტენდენცია წარმოშვა: ერთი მხრივ, ჭარბი პროდუქტების წარმოებამ შესაძლებლობა მისცა საზოგადოების მცირე ნაწილს მიეთვისებინა მონების შრომა და, მეორე მხრივ, საზოგადოებისაგან გამოყოფილ მმართველ ფენას ეცხოვრა საზოგადოების წევრთა მიერ შექმნილი ჭარბი პროდუქტების ხარჯზე. საზოგადოებისაგან მმართველი ფენის გამოყოფა შემთხვევით არ მომხდარა: საზოგადოებას მატერიალური წარმოებისა და კერძო საკუთრების განვითარების ამ საფეხურზე გაუჩნდა საერთო ინტერესები, რომლებიც სისტემატურ დაკმაყოფილებას მოითხოვდა[2]. ასეთები იყო საშინაო საქმეების რეგულირება, განსაკუთრებით კერძო საკუთრების ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტების მოწესრიგება, შედარებით ცხელ ქვეყნებში მორწყვის ხელმძღვანელობა[3]. სამხედრო საქმისა და რელიგი-

1. ფრ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 175. ა. ბებელისადმი გაგზავნილ წერილში ენგელსი წერს, რომ თავის მოქალაქეების მიმართ დესპოტური სახელმწიფო თავისუფალია. К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 34, стр. 103.
2. ანტი-დიურინგი, გვ. 212.

1. ვ. ი. ლენინი, ტ. 29, გვ. 558.
2. ანტი-დიურინგი, გვ. 212, 214-215.
3. კ. მარქსი წერდა: „ნილოსის წყალდიდობის პერიოდების გამოანგარიშების აუცილებლობამ შექმნა ეგვიპტური ასტრონომია და მასთან ერთად ქურუმთა კასტის, როგორც მიწათმოქმედების ხელმძღვანელის, ბატონობა“, კაპიტალი ტ. 1, გვ. 648.

ურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ორგანიზაცია[1]. ყველაფერ ამას ვხედავთ ინდური თემების მაგალითზე, როცა ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ დაშლილი ინგლისის საზოგადოების გავლენით. პატელის ანუ მამასახლისის ფუნქცია იყო საერთო ზედამხედველობა სოფლის საქმეებზე: დავის გადაჭრა მის მცხოვრებლებს შორის, პოლიციის მეთაურობა და გადასახადის აკრეფა ცენტრალური ხელისუფლებისათვის. კარნუმი თვალყურს ადევნებდა მიწათმოქმედებას და აღრიცხავდა ყველაფერს, რაც მეურნეობის ამ დარგს შეეხებოდა. ტალარი კრეფდა ცნობებს ბოროტმოქმედთა და კანონის დარღვევის შემთხვევების შესახებ, იცავდა და აცილებდა იმ ადამიანებს, რომელნიც ერთი სოფლიდან მეორეში გადადიოდნენ. ტოტს სხვადასხვა მოვალეობათა შორის ისიც ჰქონდა, რომ მოსავალი დაეცვა და ხელი შეეწყო მისი აღრიცხვისათვის. საზღვრების მცველი თვალყურს ადევნებდა სოფლის საზღვრებს და ხელს უწყობდა სასაზღვრო დავის გადაჭრას. წყლის აუზებისა და რუების ზედამხედველი ანაწილებდა წყალს მიწათმოქმედების საჭიროებისათვის. განსაკუთრებული ბრამინის ფუნქცია იყო კულტის საქმეების აღსრულება. კალენდრის ბრამინი, როგორც ასტროლოგი, თესვისა და მკის და, საერთოდ, ყველა სამიწათმოქმედო სამუშაოს ხელსაყრელ და არახელსაყრელ დროს განსაზღვრავდა. სოფლის მასწავლებელი ბავშვებს წერა-კითხვას ასწავლიდა, ზოგ შემთხვევაში ასრულებდა პოეტისა და ოქრომჭედლის ფუნქციებსაც. ამ თანამდებობათა პირნი შეადგენდნენ მოზრდილი სასოფლო თემის ადმინისტრაციას. იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო თემის კომლთა რაოდენობა, იცვლებოდა თანამდებობის პირთა რაოდენობაც[2]. თემის შიგნით არსებობდა მონობა და კასტური წყობილებაც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის წარმოშობის სულ სხვაგვარი გზა, რომელიც ძირითად ტენდენციად იქცა ძველი საზოგადოებების უმრავლეს ნაწილში. თუმცა აქაც, ამ ტენდენციის პარალელურად, მონობის სოციალური ინსტიტუტიც გაჩნდა, მაგრამ იგი უმნიშვნელო იყო, ექსპლოატაციის მონურ ფორმას არ შეეძლო დომინირებულად ქცეულიყო ძველ საზოგადოებათა უმრავლეს ნაწილში. ეს ფორმა თვალსაჩინოდ მხოლოდ ძველ საბერძნეთსა და რომში იყო განვითარებული. კიდევ მეტი: იმისათვის, რომ საზოგადოება გვაროვნული წყობილებიდან გადასულიყო ყმა-გლეხურზე, სულაც არ იყო საჭირო მონობის კლასიკური ფორმით გავრცელება.[1] უაღრესად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ვ. ი. ლენინმა განასხვავა ძველი საზოგადოებების განვითარების ეს ორი გზა. იგი წერდა: „თქვენ ყოველთვის მხედველობაში უნდა იქონიოთ ეს ძირითადი ფაქტი—საზოგადოების გადასვლა მონობის პირველყოფილი ფორმებიდან ბატონყმობაზე“.[2] თუ ვ. ი. ლენინის აზრით საზოგადოება მონობის „პირველყოფილი ფორმებიდან“ გადავიდა ბატონყმობაზე ისე, რომ ვერ მოხდა ექსპლოატაციის მონური ფორმის სრული გაშლა, ძველი საბერძნეთი და რომი „მთლიანად მონობას ემყარებოდნენ“,[3] რომის იმპერია „მთლიანად მონობაზე იყო დამყარებული“.[4] ზემოაღნიშნული გარემოებებიდან ჩვენთვის აქ საინტერესოა პირველი: თუ როგორ შეიძლება გააზრებული იქნეს საზოგადოების განვითარება პირველყოფილი კომუნიზმიდან მოყოლებული ბატონყმურ საზოგადოებამდე, რომელიც, მონათმფლობელობის უმნიშვნელოდ გავრცელებულობის გამო, არ შეიძლება მონათმფლობელურ სტადიად ჩავთვალოთ.

აღნიშნული ტიპის საზოგადოების მიმართ ვ. ი. ლენინს გამოთქმული ჰქონდა სხვა აზრებიც. პლეხანოვის წინააღმდეგ იგი წერდა. „რამდენადაც მოსკოვის რუსეთში იყო (ან: თუ მოსკოვის რუსეთში იყო) მიწის ნაციონალიზაცია, იმდენად მის ეკონომიურ საფუძველს წარმოების აზიური წესი წარმოადგენდა“[5]. აქ ლენინი ეჭვს გამოსთქვამს მხოლოდ იმაზე, იყო თუ არა მოსკოვის რუსეთში წარმოების აზიური წესი, ხოლო უკანასკნელი რომ არსებობდა კაცობრიობის განვითარებაში, ეს მისთვის უეჭველია. პლეხანოვის წინააღმდეგ ვ. ი. ლენინი განაგრძობდა: „მან წარმოების აზიურ წესზე დამყარებული ნაციონალიზაცია და წარმოების კაპიტალისტურ წესზე

---

1 კლასების წარმოშობის შესახებ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საფუძველზე არა აუცილებლად ეკონომიურ სფეროში (იხ. მელიქიშვილის ზემოთაღნიშნული სტატია, А. Я. Гуревич. Общий закон и конкретная закономерность в истории. ВИ 1965, № 8, უკანასკნელი ავტორის მიერ დაწერილი ნაწილი წიგნისა «История средних веков». М., 1964.

2 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 389-90; რჩეული წერილები, გვ. 79, კაპიტალი, ტ. I; 1954, გვ. 454-55. მარქსი ასახელებს აგრეთვე მჭედელს, ხუროს, მექოთნეს, მრეცხავს, დალაქს, ოქრომჭედელს, მაგრამ მათი შრომა სულ სხვა ხასიათს ატარებდა.

1. გ. ყორანაშვილი, „ანტიკური სამყაროს დაცემის მიზეზის შესახებ“, მაცნე, 1967, №1.

2. ვ. ი. ლენინი ტ. 29. გვ. 561.

3. ვ. ი. ლენინი ტ. 29, გვ. 564.

4. ვ. ი. ლენინი, ტ. 29 გვ. 567.

5 ვ. ი. ლენინი, ტ. 10, გვ. 396.

დამყარებული ნაციონალიზაცია ერთმანეთში აურია“ [1]. სხვა ადგილებშიც ვ. ი. ლენინი ხმარობს გამოთქმებს: „ნახევრადაზიური წყობილება“, „აზიური წყობილება“, „აზიური საზოგადოება“, „აზიური ექსპლოატაცია“, „აზიური სახელმწიფო“ და სხვ. [2]. აღარ მოვიყვანთ მაგალითებს იმის საილუსტრაციოდ, რომ ვ. ი. ლენინს აღნიშნული ტიპის საზოგადოების შესახებ აზრები სულაც არ ქონდა შემთხვევით გამოთქმული, რომ აზრები სისტემაშია მოქცეული და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის პრობლემების გადასაჭრელად.

უპირველეს ყოვლისა, ვ. ი. ლენინის შეხედულებათა შუქზე ნათელი ხდება კლასებისა და სახელმწიფოს განვითარების პარალელურობა. ნაცვლად იმისა, რომ კლასების წარმოშობა სახელმწიფოს წარმოშობის წანამძღვრად განვიხილოთ ან პირიქით, საჭიროა ამ პროცესების განვითარების პარალელურობა წარმოვიდგინოთ. „სახელმწიფო ჩნდება იქ და მაშინ, სადაც და როდესაც ჩნდება საზოგადოების დაყოფა კლასებად, როდესაც ჩნდებიან ექსპლოატატორები და ექსპლოატირებულები [3]. ეკონომიური პროცესების ნელი ტემპისა და ნატურალური მეურნეობის ბატონობის პირობებში, რაც ხდებოდა ძველ საზოგადოებებში გვაროვნული წყობილების დაშლისას საზოგადოების კლასებად დაყოფას საფუძვლად დაედო არა წარმოების საშუალებათა კონცენტრაცია უმცირესობის ხელში და წარმოების საშუალებათა დაკარგვა საზოგადოების უმრავლესობის მიერ, არამედ განსაზღვრული საზოგადოებრივი ფუნქციების შესრულება საზოგადოების უმცირესი ნაწილის მიერ.

ნათელი ხდება აზიური დესპოტიზმის არსიც. ვ. ი. ლენინი წერდა: „ყველასათვის ცნობილია, რომ ამგვარ სახელმწიფოებრივ წყობილებას ძალიან დიდი სიმტკიცე აქვს იმ შემთხვევაში, როცა ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკაში ჭარბობს სრულიად პატრიარქალური, წინაკაპიტალისტური ნიშნები, ხოლო სასაქონლო მეურნეობა და კლასობრივი დიფერენციაცია **უმნიშვნელოდ** არის განვითარებული“ [4] (ხაზგასმა ჩვენია, გ. ყ.). ამას ვ. ი. ლენინი წერდა 1914 წელს, როცა ჯერ კიდევ კლასობრივ დიფერენციაციას სახელმწიფოებრივი ფუნქციების შემსრულებელ ფენას არ უკავშირებდა. თუ რა ევოლუცია განიცადა ვ. ი. ლენინის აზრებმა აღნიშნულ საკითხში, ეს ჩანს შემდგომში დაწერილი შრომებიდან.

„ლექციაში სახელმწიფოს შესახებ“ (დაწერილია 1919 წელს) ვ. ი. ლენინი საზოგადოების კლასებად დაყოფას განიხილავს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საფუძველზე, ვიმეორებთ, რომ ეს დანაწილება, უმეტესად, მოხდა არა ეკონომიურ სფეროში (ცნობილია, რომ ძველ საზოგადოებათა უმეტესობაში ნატურალური მეურნეობა იყო გაბატონებული), არამედ მმართველობასა და ფიზიკურ შრომას შორის. უშუალო მწარმოებლების გონებრივი განვითარების დონე ისეთი დაბალი იყო, რომ მათ, პირველყოფილ კომუნიზმთან შედარებით, უფრო რთული საზოგადოების საქმეების ორგანიზება თავიანთი ძალებით არ შეეძლოთ. გაბატონებული ფენა იმავე დროს სახელმწიფო აპარატის მთავარი ელემენტი იყო [1].

„სახელმწიფოსა და რევოლუციაში“ ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა ფრიდრიხ ენგელსის ცნობილ აზრს, რომ სახელმწიფოს ძირითადი ნიშნის ტენდენციაა გადააქციოს თანამდებობის პირნი „საზოგადოების მსახურნი,“ მისი ორგანოები საზოგადოების ბატონებად [2].

აღნიშნული გარემოების გააზრების საფუძველზე ვ. ი. ლენინმა მოგვცა კლასების განმარტება. „დიად თაოსნობაში“ იგი წერდა: „კლასები ეწოდება ადამიანთა დიდ ჯგუფებს, რომლებიც განსხვავდებიან მათი ადგილით საზოგადოებრივი წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში, მათი (მეტწილად კანონებში განმტკიცებული და გაფორმებული) დამოკიდებულებით წარმოების საშუალებებისადმი, მათი როლით შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, და, მაშასადამე, საზოგადოებრივი სიმდიდრის იმ წილის მიღების წესით და სიდიდით, რომელიც მათ ხელთა აქვთ. კლასები ეს ადამიანთა ისეთი ჯგუფებია, რომელთაგან ერთს შეუძლია მიითვისოს მეორის შრომა, საზოგადოებრივი მეურნეობის განსაზღვრულ წყობაში მათი ადგილის განსხვავების მეოხებით“[3]. საზოგადოებრივი კლასების ეს განმარტება ამომწურავია და, აშკარაა გულისხმობს წარმოების საშუალებისადმი დამოკიდებულებასაც და ადგილსაც შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, წილს საზოგადოებრივი სიმდიდრის განაწილებაში. ასე რომ, არ მიგვაჩნია სწორად გაბატონებული კლასის არსებობის საფუძველი მხოლოდ წარმოების საშუალებების მონოპოლიურ მფლობელობაში ვეძებოთ, როგორც ამას ჩვეულებრივ ხედავენ. ძველი ეგვიპტის, შუამდინარეთის, ინდოეთის და სხვ. საზოგადოებებში, როგორც უკვე ვილაპარაკეთ, მსხვილი საკუთრების განვითარება

---

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 10, გვ. 397, იხ. აგრეთვე გვ. 397-98. 401.

2 ვ. ი. ლენინი, ტ. 13, გვ. 409, ტ. 17, გვ. 41, ტ. 13, გვ. 190 და სხვ.

3 ტ. 29, გვ. 557. 559, 562.

4 ვ. ი. ლენინი, ტ. 20, გვ. 492-93.

---

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 29, გვ. 562, 558-563.

2 ვ. ი. ლენინი, ტ. 25, გვ. 560.

3 ვ. ი. ლენინი, ტ. 29, გვ. 491.

უმნიშვნელო იყო. საზოგადოების წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა ფლობდა წარმოების წვრილ საშუალებებს, მაგრამ ეს საზოგადოებები დამყარებული იყვნენ ადამიანთა მიერ ადამიანების ექსპლოატაციაზე. ძველი ეგვიპტელი, შუამდინარეთელი და სხვა გლეხების კლასობრივი ჩაგვრა დაკავშირებული იყო ამ საზოგადოებათა ზედაფენების მიერ გარკვეული სოციალური ფუნქციების შესრულებასთან, ამასთანავე ამ მოვალეობათა შესრულება, უმრავლეს შემთხვევაში, მემკვიდრეობითი ხასიათისა იყო.

ჩვენ აქ განვიხილეთ სახელმწიფოს წარმოშობის ერთი გზა, რომელიც დამახასიათებელი იყო ძველი საზოგადოებების უმრავლესობისათვის, ამასთანავე მარტო აზიაში კი არა, არამედ სხვა კონტინენტებზეც. ეს გზა დაკავშირებული იყო სოციალურ-ეკონომიური ევოლუციის ძალიან ნელ ტემპებთან და შესაბამის კლასობრივ სტრატიფიკაციასთან, თუმცა აქაც, რა თქმა უნდა „სახელმწიფო ეს არის მანქანა ერთი კლასის ბატონობის შესანარჩუნებლად მეორე კლასის მიმართ“[1]

სახელმწიფოს წარმოშობის მეორე გზას ვხვდებით საზოგადოების სწრაფი განვითარების პირობებში, როცა თემი დაიშალა შრომის ინტენსიური საზოგადოებრივი დანაწილების შედეგად და წარმოიშვა კერძო საკუთრება მიწაზე.[2] გეოგრაფიულად ეს მოხდა ანტიკურ საბერძნეთსა და რომში. თუმცა თავიდან ეს საზოგადოებებიც პირველი გზით მიდიოდნენ, მაგრამ, ხელსაყრელ გეოგრაფიულ და ისტორიულ გარემოში, მატერიალური ცივილიზაციის უფრო მაღალ საფეხურზე, სასაქონლო წარმოების, მიწის კერძო საკუთრების განვითარების, წარმოების საშუალებების კონცენტრაციის პირობებში, სწრაფად განვითარდა მონობა. ხელოსნების, ვაჭრების, გლეხების აქტიური გამოსვლის შედეგად გვაროვნული არისტოკრატიის წინააღმდეგ კლასობრივი დიფერენციაციის ზემოთ განხილულ ტენდენციას ბოლო მოეღო. ჩამოყალიბდა მონათმფლობელური ტიპის საზოგადოება. ქრონოლოგიურად ამ ქვეყნებში აღნიშნული პროცესი დასრულდა ძირითადად ძვ. წ. 1 ათასწლეულის შუა და ბოლო ხანებში. ამ ხანებშივე დასრულდა აქ სახელმწიფოს წარმოშობა. ათენის, რომის და სხვა ანტიკური სახელმწიფოების ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია გახდა მონათა კლასის დამორჩილება. სახელმწიფოს საჯარო ხელისუფლება ძირითადად ამ კლასის წინააღმდეგ იყო მიმართული.

სწორედ ანტიკურ სინამდვილეს გულისხმობდა ვ. ი. ლენინი როცა წერდა: „სახელმწიფო არის კლასობრივ წინააღმდეგობათა შეურიგებლობის პროდუქტი და გამოხატულება“.[1] მხოლოდ ამ სინამდვილეში დასრულდა გვაროვნული ორგანიზაცია მკვეთრი კლასობრივი დიფერენციაციით, მძაფრი კლასობრივი ბრძოლებით. ძველ საზოგადოებათა უმრავლეს ნაწილში კი ეს მოვლენები ძალზე უმნიშვნელოდ იყო განვითარებული. ასევე იყო დასავლეთ ევროპის ფეოდალური საზოგადოების ევოლუციაში. აქაც სახელმწიფო ისეთნაირად წარმოიშვა, როგორც ძველ აღმოსავლეთში. მაგრამ ცენტრალიზებული სახელმწიფოს არსებობის საფუძველი მტკიცე არ ყოფილა სამეურნეო და თავდაცვითი ფუნქციების არარსებობის გამო. სამხედრო საქმის, მართლმსაჯულების და რელიგიის შესრულება საზოგადოებისაგან გამოყოფილი მცირე ზედაფენის მიერ ხდებოდა, შემდეგში, კვლავ ნატურალური მეურნეობის ბატონობის პირობებში, მოხდა მიწის საკუთრების კონცენტრაცია ამ ფენის ხელში, გლეხების მიმაგრება მიწაზე, ცენტრალური ხელისუფლების დაცემა. ამიერიდან ყოველი საფეოდალო ფაქტიურად დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთეულად იქცა, სადაც ყმა გლეხებს ჩაგრავდნენ ფეოდალები შეიარაღებულ რაზმსა და საპყრობილეზე დაყრდნობით. ასე რომ, ფეოდალურ საზოგადოებაშიც, ისევე როგორც უწინდელ კლასობრივ საზოგადოებებში, გაბატონებული კლასი განასახიერებდა საჯარო ხელისუფლებასაც. როგორც ფეოდალიზმის, ისე ანტიკური მონათმფლობელობისა და ძველ აღმოსავლურ ხანაში კონკრეტული საზოგადოება და სახელმწიფო მცირე ტერიტორიაზე ყალიბდებოდა. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „საზოგადოებაც და სახელმწიფოც მაშინ გაცილებით უფრო პატარა იყო, ვიდრე ახლა. მის განკარგულებაში კავშირურთიერთობის ბევრად უფრო სუსტი აპარატი იყო. — მაშინ არ იყო მიმოსვლის ახლანდელი საშუალებები. მთები, მდინარეები და ზღვები განუზომლად დიდ დაბრკოლებებს წარმოადგენდნენ, ვიდრე ახლა, და სახელმწიფოც გაცილებით უფრო ვიწრო გეოგრაფიული საზღვრების ფარგლებში ყალიბდებოდა. ტექნიკურად სუსტი სახელმწიფო აპარატი ემსახურებოდა სახელმწიფოს, რომლის საზღვრები და მოქმედების არე შედარებით ვიწრო იყო“ 2.

ამით ჩვენ დავამთავრებთ ვ. ი. ლენინის ნაშრომებში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის მოკლე განხილვას. როგორც დავინახეთ, აღნიშნული სოციალური მოვლენების წარმოშობა ბევრად უფრო რთული იყო, ვიდრე ჩვეულებრივ წარმოუდგენიათ.

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 29, გვ. 663.
2 ვ. ი. ლენინი, ტ. 1, გვ. 168.

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 25, გვ. 472.
2 ვ. ი. ლენინი, ტ. 29, გვ. 564.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ბაბალაშვილი

# უკრაინისათვის თავდადებული ქართველი მეომრები

საბჭოთა საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დიდი სამამულო ომის პერიოდს. ქართველი მეომრები და ცალკეული ქართული ეროვნული სამხედრო შენაერთები მამაცურად იბრძოდნენ ფრონტის სულ სხვადასხვა უბანზე; სხვადასხვა სახეობის შეიარაღებული ძალების, არმიის და ფლოტის სხვადასხვა გვარეობის ჯარების შემადგენლობაში. ამასთან, ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა ფრონტს დიდი რაოდენობით აწვდიდა იარაღს, საჭურველს, საომარ მასალას, ფორმის ტანისამოსს და ფეხსაცმელს, იშვიათ ლითონებსა და მინერალებს, ფეროშენადნობს და მარგანეცს, ქვანახშირს და ნავთობს, გუმბრინს და ბარიტს, ძვირფას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსა და მრავალ სხვას.

ჰიტლერის კაცთმოძულე წიგნში „მაინ კამფში“, სხვათა შორის, ნათქვამია: „... როცა დღეს ვლაპარაკობთ ევროპის ახალ მიწებზე, ჩვენ მხედველობაში უნდა გვქონდეს, უწინარეს ყოვლისა, რუსეთი...“, ხოლო შემდეგ: „მთელი რუსეთი შემადგენელ ნაწილებად უნდა დანაწილდეს. ეს კომპონენტები წარმოადგენენ გერმანიის ბუნებრივ საიმპერიო ტერიტორიას“.[1] პრაქტიკულად რომ განეხორციელებინა ეს თავისი ნაბოდვარი, ჰიტლერმა დაიწყო დასავლეთ ევროპული და ბალკანური ქვეყნების მიტაცება. მართლაც, მან დასავლეთი მალე დაიპყრო, ამით თავისი შეიარაღებული ძალებისათვის უზრუნველყო როგორც ზურგი, ასევე ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფლანგები, და იმ იმედით, რომ განმარტოებული და იზოლირებული დიდი ბრიტანეთი ზავზე წავიდოდა, მან ვერაგულად დაარღვია საბჭოთა კავშირთან დადებული თავდაუსხმელობის პაქტი და, ხელქვეით სახელმწიფოებთან ერთად, შეუდგა თავისი დიდი ხნის ოცნების შესრულებას — „ბარბაროსას“ გეგმის განხორციელებას.

1941 წლის 22 ივნისს დილით, 4 საათზე, საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზების, აგრეთვე, საზღვრისპირად მდებარე დიდი ქალაქების წინასწარი დაბომბვის შემდეგ, ფაშისტური გერმანია თავისი სატელიტებით, ომის გამოუცხადებლად, მუხანათურად თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას.

იმავე დღეს იტალიამ ომი გამოუცხადა საბჭოთა კავშირს.

დიდი სამამულო ომის დაწყების წინ სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში ნამდვილ სამხედრო სამსახურს გადიოდა 1918—1921 წლებში და ნაწილობრივ 1922 წელს დაბადებული ახალგაზრდობა (საქართველოდან).

აქვე უნდა მოვიხსენიოთ კადრის უმაღლესი, უფროსი და საშუალო მეთაურ-უფროსთა შემადგენლობა, ზევადიანი სამსახურის უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, სამხედრო სასწავლებელთა მსმენელნი და კურსანტები, აგრეთვე, 1940 წლის 5 იანვარს თადარიგიდან არმიის კადრში გაწვეული უფროს-მეთაურთა

[1] Военные мемуары, Н. Г. Кузнецов, Накануне, Воениздат., М., 1966 г., стр. 291.

შემადგენლობა — 1703 კაცი. საბჭოთა საქართველოდან გაწვეულ მეომართაგან ერთი მესამედი — დაახლოებით 40 ათასი კაცი სამხედრო სამსახურს უკრაინის ტერიტორიაზე განლაგებულ ჯარებში გადიოდა [1].

ომის დაწყებიდანვე უკრაინის ცის თაღი გააფთრებულ საჰაერო ბრძოლებისა და შეტაკებების სარბიელად გადაიქცა. საბჭოთა კავშირის მამაცი შევარდნები — რუსები, უკრაინელები და ჩვენი ქვეყნის სხვა ეროვნებათა წარმომადგენელნი, მათ შორის ქართველი მფრინავები, საავიაციო ნაწილების და ქვეგანაყოფთა მეთაურები ოფიცრები — ჭ. ბენდელიანი, ა. დაჩანიძე, შ. ძამაშვილი, გ. ჯაბადარი, გ. ინასარიძე, შ. ლებანიძე, დ. თავაძე, ა. წურწუმია და სხვები მარტო ჰაერიდან სახმელეთო ჯარების და სამხედრო-საზღვაო ძალების საომარ მოქმედებას კი არ უზრუნველყოფდნენ და მნიშვნელოვან ობიექტებს კი არ იცავდნენ, არამედ ამასთანავე, ძლიერი დაბომბვით და შტურმული დარტყმებით მტრის ზურგში უდიდეს ზიანს აყენებდნენ როგორც მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალებს, ისე სამხედრო და სახელმწიფო სამრეწველო ობიექტებს.

ფაშისტი სვავების თავდასხმისაგან უკრაინის დედაქალაქის ერთ-ერთი პირველი დამცველთაგანი იყო გამანადგურებელთა რგოლი, რომელსაც ჭიჭიკო ბენდელიანი მეთაურობდა. შემდგომში შესანიშნავი მფრინავი, გვარდიის მაიორი ჭ. ბენდელიანი უმთავრესად უკრაინის ტერიტორიაზე სიმამაცის გამოჩენისა და საბრძოლო დავალებათა სანიმუშო შესრულებისათვის რამდენჯერმე დაჯილდოვდა, ხოლო 1943 წლის 24 აგვისტოს მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

საზღვრისპირად და უკრაინის ტერიტორიაზე, აგრეთვე, კიევისათვის გამართულ უსასტიკეს ბრძოლებში საბჭოთა სახელმწიფოს მრავალი ეროვნების მეომრის მხარდამხარ იბრძოდა ათასობით ქართველი მებრძოლი. პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდილი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი უსაზღვრო ერთგულებით გამსჭვალული ქართველი მეომრები, სხვა ეროვნების მებრძოლებთან ერთად, შეუპოვრად და ვაჟკაცურად იბრძოდნენ უკრაინის მიწა-წყალზე. მათ შორის იყვნენ: მსროლელთა დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი პ. აბრამიძე, საერთოსაჯარისო შენაერთების მეთაურები — პოლკოვნიკი შ. გოგოლიშვილი და პოდპოლკოვნიკი ვ. ქირია, ცხენოსანთა პოლკის მეთაური ა. ინაური, საარტილერიო პოლკის მეთაური ა. გიორგობიანი, დივიზიის კომისარი ნ. კალაძე, დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსი ვ. ციკოლია, პოლკის შტაბის უფროსი ვ. ოპანეზაშვილი, ესკადრონის მეთაური ა. ძიმისტარაშვილი. ამათ გარდა, კიევის დაცვის დროს თავი ისახელეს და მთავრობის ჯილდოები დაიმსახურეს ოფიცრებმა — ი. აღავაძემ, ს. ასათიანმა, ა. ბობოხიძემ, ლილი ვასაძემ, ს. ვაშაკიძემ, ი. გაბუნიამ, კ. ძაძამიძემ, შ. ზარიძემ, ა. ქამუშაძემ, გ. კობახიძემ, გ. ლაბაძემ, ტ. ლაშხიამ, გ. მაკარიძემ, მ. ნაცვლიშვილმა, კ. ჭანტურიამ, შ. ჩიქვინიძემ, შ. შარიქაძემ, სერჟანტებმა და ჯარისკაცებმა — გ. ბიჩინაშვილმა, ნ. ბუაძემ, ა. ბერელიძემ, ვ. ჯიქიამ, კ. კრავიშვილმა, მ. ესართიამ, მ. ხარტიამ, ი. ციციშვილმა, გ. იახტნაშვილმა და ბევრმა სხვამ.

დიდი და მძიმე დანაკლისის ფასად ფაშისტმა დამპყრობლებმა მოახერხეს ოდესის შორეული მისადგომებისაკენ გაჭრა. მაგრამ მათმა შემდგომ შეტევებს და იერიშებს ქალაქის ხელში ჩასაგდებად სათანადო წარმატება არ მოჰყოლია, თუმცა მოწინააღმდეგის არმიას თავდამცველების წინაშე ხუთკეცი უპირატესობა ჰქონდა, მან მაინც ვერ მოდრიკა გმირული გარნიზონის პირადი შემადგენლობის შეუპოვარი და მედგარი წინააღმდეგობა.

ოდესის გმირ დამცველთა შორის ბევრი ქართველი ომობდა ვაჟკაცურად. ისინი მარტო ქვეითი ჯარების რიგებში კი არ იბრძოდნენ, არამედ ხომალდებზე და ავიაციაშიც.

ზღვისპირა ცალკეული არმიის ერთ-ერთი პოლკის პირად შემადგენლობაში შედიოდნენ ჩვენი დიდი სამშობლოს სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, ხოლო ამ პოლკის სამხედრო კომისარი, მისი სული და გული გახლდათ ღრმადგანათლებული, გულისხმიერი, მზრუნველი და საოცრად მამაცი პოლიტმუშაკი ი. გ. ურუშაძე. ჯერ კიდევ ბევრად ადრე, ვიდრე ოდესისათვის თავდაცვითი ბრძოლები დაიწყებოდა, ი. ურუშაძემ თავი ისახელა საზღვრისპირა ბრძოლებში და ამისათვის დაჯილდოვდა კიდეც წითელი ვარსკვლავის ორდენით. ოდესის გმირული თავდაცვის მთელ პერიოდში ნაწილმა შეუდრეკელი სიმტკიცის ბევრი მაგალითი გვიჩვენა, ხოლო მისი კომისარი ი. ურუშაძე ყოველთვის იქ იყო, სადაც ყველაზე უფრო საშიში და სახიფათო მდგომარეობა იქმნებოდა. იგი მეომრებს სიმამაცისა და ვაჟკაცობის მაგალითს უჩვენებდა, განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ხელქვეითების მიმართ.

გმირული გარნიზონის ერთ-ერთმა ნაწილმა ბევრჯერ მიიღო მონაწილეობა განსაკუთრებულად რთულ ბრძოლებში. მან წამოიწყო და

[1] იქვე, ს. 11397, ფურც. 16 და ს. 11409. ფურც. 24.

განაგრძო კონტრიერიშები სოლივით შემოჭრილი მტრის ძალების გასანადგურებლად და ოდესის დამცველთა სიმტკიცის შესანარჩუნებლად. ამ ნაწილის მეთაური გახლდათ მაიორი გ. ს. გამილაღდაშვილი. თავდაცვის იმ უბანზე, რომელსაც იცავდნენ მებრძოლები და მეთაურები მაიორ გ. გამილაღდაშვილის ხელმძღვანელობით, მოწინააღმდეგემ არა თუ მოახერხა რაიმე საბრძოლო წარმატების მოპოვება, არამედ მძიმე დანაკლისი მოუვიდა და იძულებული გახდა დაეტოვებინა დაკავებული პოზიციები. ბევრმა ქართველმა მეომარმა გამოიჩინა თავი ოდესის დაცვისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში, მათ შორის ოფიცრებმა: კ. არზიანმა, დ. ბარდანაშვილმა, ა. ქათამაძემ, ი. კლდიაშვილმა, დ. ლაბაძემ, ა. მეტრეველმა, ი. მჭედლიძემ, დ. ფირცხალავამ, ა. თალაკვაძემ, გ. ხატიაშვილმა, შ. ხოჯანაშვილმა, ა. ჩხაიძემ; ზემდეგებმა: ი. ღლონტმა, გ. ფალავამ, მ. ფორჩხიძემ, ი. ხელაძემ, კ. კოხრეიძემ, მ. ნაცვალაძემ; უფროსმა მეზღვაურებმა: მ. ბაქრაძემ, ვ. პატარიძემ, პ. უკლებამ; მეზღვაურებმა: გ. ქირიამ და ვ. სირაძემ.

როგორც ცნობილია, სევასტოპოლის გმირული თავდაცვა 1941 წლის 30 ოქტომბერს დაიწყო. ამ დროისათვის როგორც ქალაქის დამცველი ჯარების შემადგენლობაში, ისე ოდესიდან მოსული ცალკეული ზღვისპირა არმიის რიგებში მცირერიცხოვანი ქართველობა როდი მსახურობდა.

ამასთან, სევასტოპოლის თავდაცვითი რაიონის ორგანიზაციის პირველ დღეებში, დანაკლისის შესავსებად, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის განკარგულებით, ამიერკავკასიის ფრონტის სხვადასხვა გვარეობის სამარქაფო საჯარისო ნაწილებიდან და შენაერთებიდან ათასობით მებრძოლი და მეთაური გაიგზავნა სამარშო ქვეგანაყოფების შემადგენლობით. მათ შორის მნიშვნელოვან ნაწილს საბჭოთა საქართველოს წარგზავნილნი შეადგენდნენ. ამის გარდა გმირი ქალაქის დამცველებისათვის საქართველოდან იგზავნებოდა შეიარაღება, საჭურველი, საომარი მასალა, ფორმის ჩაცმულობა, ფეხსაცმელი და სხვ. მხოლოდ 1941 წლის 29 დეკემბრამდე საახალწლო საჩუქრების, უმეტესი პროდუქტების სახით, 21 ათასი ამანათი გაიგზავნა.[1]

გმირული გარნიზონის ჯარების გასაძლიერებლად 1941 წლის ნოემბერში უმაღლესი მთავარსარდლობის რეზერვიდან გაიგზავნა 388-ე მსროლელთა დივიზია, რომელიც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იქმნებოდა და თავის რიგებში ითვლიდა 6812 ქართველ მეომარს; მათ შორის 136 კაცი უფროსი და საშუალო მეთაურ-უფროსთა შემადგენლობიდან იყო. როგორც კი ეს დივიზია შავი ზღვის ფლოტის ხომალდებიდან გადმოსხდა და სევასტოპოლის მიწაზე ფეხი შედგა, მას საბრძოლო დავალება მიეცა — დაეცვა თავდაცვის მესამე სექტორი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პასუხსაგები უბანი იყო: ძირითადად ჩრდილოეთ ბუხტის მისადგომებს იცავდა.

ყველაზე მეტად დაძაბული საბრძოლო მოქმედების დროს, გერმანელ ფაშისტთა მეორე შემოტევისას, 1941 წლის დეკემბერში, სევასტოპოლის გმირული გარნიზონის ჯარები შეივსო თბილისიდან ჩასული 386-ე მსროლელთა დივიზიით, რომელსაც თავის რიგებში ჰყავდა 6284 ქართველი მებრძოლი, მათ შორის 54 ოფიცერი. დივიზია მთლიანად თავმოყრილი არც კი იყო, რომ უმალვე ჩაება ბრძოლაში, შემდეგ იგი გადასროლილ იქნა მეორე სექტორში, რომელიც იცავდა სევასტოპოლის აღმოსავლეთ განაპირა უბნის მისადგომებს. თუმცა ორივე ეს დივიზია საბრძოლო დავალებებს უაღრესად რთულ, არახელსაყრელ პირობებში ასრულებდა და ფრიად მნიშვნელოვან დანაკარგს განიცდიდა, განსაკუთრებით პირად შემადგენლობაში, მაინც შესძლო (მეზობელ ნაწილებთან ერთად) ფაშისტური ჯარების გააფთრებული იერიშების მოგერიება და აღკვეთა ქალაქში მტრის შეჭრის ყოველი ცდა.

ამრიგად, სევასტოპოლის სათავდაცვო რაიონის ჯარების შემადგენლობაში, მარტო ორ შენაერთში, სახელდობრ 386-ე და 388-ე დივიზიების რიგებში, 1941 წლის დეკემბერში 13096 ქართველი მებრძოლი იბრძოდა. ამათ გარდა, ბევრი ქართველი ომობდა საზღვაო ქვეითი ნაწილებში, ფლოტში, ავიაციაში, სანაპირო არტილერიაში და ცალკეული ზღვისპირა არმიის სხვა შენაერთებში.[1]

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის მითითების შესაბამისად, 1942 წლის თებერვალში დაიწყო წითელი არმიის ეროვნული ნაწილებისა და შენაერთების ჩამოყალიბება. ცალკეული ზღვისპირა არმიის სარდლის დირექტივის (1942 წ. 24 თებერვლის ბრძანება № 00458) საფუძველზე შეიქმნა ეროვნული სამხედრო ქვედანაყოფები. მაგალითად, 388-ე დივიზიის 782-ე მსროლელთა პოლკში ორი ასეული დაკომპლექტდა ქართველებით, რომელთა რიცხვი 312 იყო (მათ შორის 16 ოფიცერი). ამ დროისათვის პოლკში სულ დაახლოებით 600 მებრძოლი იყო. ამავე დივიზიის 773-ე მსროლელთა პოლკში ქართველებისაგან შეიქმნა ორი ასეული — 188 კაცის რაოდენობით ეროვნული

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის პარტარქივი, ფ. 14, აღწერა 1, ს. 11764, ფურ. 156.

1 იქვე, საქმე 12382, ფურცლები 160—171.

ფორმირებანი იყო სევასტოპოლის გმირული გარნიზონის სხვა ნაწილებსა და შენაერთებში [1].

დიდი საბჭოთა სახელმწიფოს ხალხთა მტკიცე მეგობრობის მკაფიო გამოხატულობა იყო სევასტოპოლის გმირული დაცვის ეპოპეა. შავი ზღვის ფლოტის მთავარ სამხედრო-საზღვაო ბაზას 250 დღე-ღამის განმავლობაში თავგანწირული შეუპოვრობით იცავდნენ ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა ეროვნების წარმომადგენლები. 1942 წლის 20 მარტისათვის ცალკეული ზღვისპირა არმიის საბრძოლო ნაწილები შედგებოდა 64971 მეომრისაგან, აქედან რუსი 28134 კაცი იყო, უკრაინელი — 15893, ქართველი — 5234, აზერბაიჯანელი — 4278, სომეხი — 3639 და სხვა ეროვნებისა — 7793 კაცი.[2]

მოსკოვის მიდამოებში საბჭოთა ჯარების კონტრშეტევის, ტიხვინისა და დონის როსტოვის გასათავისუფლებლად დაწყებული კონტრდარტყმების, აგრეთვე, სევასტოპოლის გმირული დაცვის პერიოდში ჩატარდა ქერჩი-ფეოდოსიის სადესანტო ოპერაცია.

თხუთმეტზე მეტმა საჯარისო შენაერთმა და ცალკეულმა ნაწილმა, რომლებიც ჩამოყალიბდა და დაკომპლექტდა საქართველოს ტერიტორიაზე, მონაწილეობა მიიღო როგორც სადესანტო ოპერაციაში, ისე ქერჩის ნახევარკუნძულზე შემდგომ საომარ მოქმედებაში. ესენი იყვნენ 63-ე სამთო-მსროლელი, 224-ე, 390-ე, 396-ე, 398-ე მსროლელი დივიზიები და სხვ. ყველა ეს შენაერთი უმთავრესად საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატების მიერ გაწვეულმა თადარიგის სამხედრო ვალდებულებმა შეავსეს. 224-ე მსროლელი დივიზია, სხვა ეროვნების მეთაურთა მცირერიცხოვანი შემადგენლობის გამოკლებით, მთლიანად დაკომპლექტებული იყო ქართველი მეომრებით, ხოლო 390-ე მსროლელთა დივიზიას თავის რიგებში ჰყავდა 5431 ქართველი მებრძოლი, მათ შორის 136 ოფიცერი. ყოფილ 63-ე ეროვნულ სამთო-მსროლელ დივიზიის რიგებში, ფრონტზე გაგზავნის წინ, ირიცხებოდა 222 ქართველი ოფიცერი და 5919 ქართველი რიგითი ჯარისკაცი და უმცროსი მეთაური. დაახლოებით ასეთივე შეფარდებით იყო შევსებული სხვა შენაერთებიც.

ყირიმის ისტორიული ოპერაციების მონაწილე მრავალ ათას ქართველ მეომარს შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის გმირები: საზღვაო ქვეითი ბატალიონის მეთაური პოლკოვნიკი ა. გეშიძე, საავიაციო ესკადრილიის მეთაური მაიორი ა. წურწუმია, წყალქვეშა ნავის მეთაური პირველი რანგის კაპიტანი. ი. იოსელიანი. უმცროსი პოლიტხელი მ. გახოკიძე, ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის ოცეულის მეთაური უმცროსი ლეიტენანტი კ. ტყაბლაძე, საავიაციო გამანადგურებელი ესკადრილიის მეთაურის მოადგილე უფროსი ლეიტენანტი გ. მერკვილაძე, საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი-სნაიპერი, ზემდეგი ნოე ადამია, რიგითი ჯარისკაცი მსროლელი გრიგოლ სხულუხია და სხვები. საბჭოთა სამშობლოს დამცველი ბევრი ქართველი მეომარი მამაცთა სიკვდილით დაეცა ყირიმის მიწა-წყალზე, ან ჩაინთქა შავი და აზოვის ზღვების მორევში. ქერჩის ნახევარკუნძულზე პირველი სადესანტო ოპერაციის და შემდგომ საომარ მოქმედებათა დროს განსაკუთრებით დიდი დანაკლისი 224-ე და 390-ე მსროლელთა დივიზიებმა განიცადეს. ასეთივე მძიმე დანაკარგი ჰქონდათ 386-ე და 388-ე მსროლელ დივიზიებს, რომლებიც სევასტოპოლის დამცველი გმირული გარნიზონის შემადგენლობაში შედიოდნენ. აი ზოგიერთი იმ მრავალთაგან, რომლებიც თავგანწირვით იბრძოდნენ და დაიღუპნენ ყირიმში: საბჭოთა კავშირის გმირები — მაიორი ა. წურწუმია, რიგითი ჯარისკაცი გ. სხულუხია და ზემდეგი ნ. ადამია; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი პოლკოვნიკი ა. ქვათაძე, პოლკოვნიკები ა. რამაზაშვილი, ს. ტარიელაშვილი, ი. ხახანაშვილი; ოფიცრები გ. ალიბეგაშვილი, ნ. ანანიაშვილი, ა. გიორგაძე, გ. ჯაბადარი, ვ. ჯიქიძე, ვ. ყიფიანი, ი. ქურდაძე, ვ. კაჭკაჭაშვილი, ი. მარგოშია, რ. მალალაშვილი, ი. სვანიძე, ა. თაფლაშვილი, ტ. ურთქმელიძე, ე. ცეცხლაძე, ა. ჭუმბურიძე, ვ. ჭუმბურიძე და მრავალი სხვა.

თუმცა გერმანელმა ფაშისტებმა, დიდი დანაკლისის ფასად, დროებით დაიკავეს საბჭოთა ქვეყნის დიდი ნაწილი, კერძოდ, უკრაინის სსრ ტერიტორიაც, მაგრამ საბჭოთა ხალხის წინააღმდეგობა ოკუპანტების ზურგში ერთი დღითაც არ შეწყვეტილა და შენელებულა. ფაშისტ სამხედრო ხელმძღვანელებს და მათს შეიარაღებულ ძალებს ერთ წუთს მოსვენებას არ აძლევდნენ სახალხო შურისმაძიებლები და იატაკქვეშ მოქმედი პატრიოტული ორგანიზაციები, რომლებიც შეიქმნა და მოქმედებდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

როგორც ჩვენი სამშობლოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთის სახელმწიფოების ტერიტორიაზე თავგანწირვით იბრძოდნენ ქართველი სახალხო შურისმაძიებლე-

1 სსრკ თავდაცვის სამინისტროს არქივი ფ. 388 სდ, აღწ. 4318, ს. 14, გვ. 1—85.

2 იქვე, ფ. 288. აღწერა 9912, საქმე 9, ფურცელი 222.

ბი. ისინი მარტო რიგით ჯარისკაცებად როდი იბრძოდნენ, ძალიან ხშირად მთელ პარტიზანულ რაზმებს და ნაწილებსაც ხელმძღვანელობდნენ. გავიხსენოთ თუნდაც პარტიზანული პოლკის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი დავით ბაქრაძე, რაზმების მეთაურები — მაიორი პ. გველია, გ. ტალახაძე, ნ. აბაშიძე, ა. ქართველიშვილი, ი. ჩხაიძე, ვ. ტალახაძე და მრავალი სხვა.

ბევრმა ქართველმა პარტიზანმა, რომელიც სამშობლოს სასიცოცხლო ინტერესებსა და მთელ მსოფლიოს ცივილიზაციას იცავდა მიხაკისფერი ჭირისაგან — ფაშიზმისაგან, თავი გაწირა და გმირულად დაეცა უკრაინის მიწა-წყალზე. მათ შორის იყვნენ: გ. ბოხუა, ვ. ბუჩუკური, პ. გველია, ლ. გიორგაძე, პ. ჯანელიძე, დ. ჯავახიშვილი, მ. მელია, ვ. მელქაძე, ვ. მუმლაძე, დ. მუმლაძე, გ. ნატროშვილი, დ. ობოლაძე, ნ. ონიანი, ს. ფოფხაძე, ს. ტატიშვილი, ხ. ჩაჩანიძე, ა. ჭუჭანაშვილი, გ. იაშვილი და სხვ.

სტალინგრადთან, აგრეთვე, კავკასიაში ფაშისტური ურდოების განადგურების შემდეგ საბჭოთა არმია შეუდგა უკრაინის აღმოსავლეთ ოლქების განთავისუფლებას, თუმცა უკრაინის მიწა-წყლიდან ჰიტლერელი ოკუპანტების მასობრივი განდევნა კურსკის გრანდიოზულ ბრძოლებში საბჭოთა არმიების ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ დაიწყო.

როგორც ზემოთ ითქვა, ომის დასაწყისში საქართველოდან სამხედრო სამსახურში ბევრი ქართველი მეომარი იმყოფებოდა, აქედან დაახლოებით 40 ათასი საბჭოთა უკრაინის ტერიტორიაზე განლაგებულ ჯარებში მსახურობდა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ 1941 წლის 23 ივნისიდან 1943 წლის 28 მარტამდე საქართველოდან გაწვეული იყო და არმიისა და ფლოტის დასაკომპლექტებლად გაიგზავნა დამატებით რამდენიმე ათასი კაცი (აქედან 2615 ქალი და 18192 ოფიცერი), იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ჯარებში, რომლებიც საბჭოთა უკრაინის განთავისუფლებისათვის ომობდნენ, საქართველოდან წარგზავნილი 250 ათასი კაცი მაინც იმყოფებოდა.[1]

ამის გარდა, თუ დიდი სამამულო ომის დამდეგს წითელ არმიაში არ იყო ეროვნული ჯარები, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან ფაშისტ დამპყრობთა განდევნის დაწყებამდე შეიქმნა მსროლელთა რამდენიმე ქართული დივიზია, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს უკრაინის ტერიტორიაზე ჰიტლერული არმიების განადგურებაში. თუ საბჭოთა უკრაინისა და მისი დედაქალაქის — კიევის დაცვაში, აგრეთვე, ოდესისა, და სევასტოპოლის დაცვის გმირულ ეპოპეაში რამდენიმე ქართველი გენერალი და ოფიცერი მეთაურობდა საერთო საჯარისო და სხვა სახეობის დაგვარეობის ჯარების შენაერთებს, უკრაინის განთავისუფლების დაწყების წინ მათი რაოდენობა მრავალჯერ გაიზარდა. ქართველი გენერლები, ადმირალები და ოფიცრები მეთაურობდნენ მსროლელთა, ცხენოსანთა, საარტილერიო, საავიაციო, საჰაერო-სადესანტო და სხვა დივიზიებს, აგრეთვე, საზღვაო ფლოტის შენაერთებს. შემდეგ ზოგიერთი მათგანი კორპუსების მეთაური და არმიის სარდალი გახდა, ზოგს კი ფრიად პასუხსაგები პოლიტიკური და საშტაბო თანამდებობა ეჭირა. დონბასში, ხარკოვთან, პოლტავის და უკრაინის სხვა ოლქებში გაჩაღებულ სასტიკ, სისხლისმღვრელ ბრძოლებში განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს: მე-13 გვარდიული მსროლელი კორპუსის მეთაურმა გენერალ-ლეიტენანტმა (შემდგომში არმიის სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა) პ. ჩანჩიბაძემ, 69-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის მეთაურმა გვარდიის გენერალ-მაიორმა კ. ჯახუამ, მე-7 გვარდიული საჰაერო-სადესანტო დივიზიის მეთაურმა გენერალ-მაიორმა მ. მიქელაძემ, 165-ე მსროლელთა დივიზიის მეთაურმა პოლკოვნიკმა (შემდგომში გენერალ-მაიორმა) ნ. კალაძემ, საავიაციო პოლკის მეთაურმა პოლკოვნიკმა (შემდგომში ავიადივიზიის მეთაურმა ავიაციის გენერალ-მაიორმა) შ. ჭანკოტაძემ. თავი ისახელა, აგრეთვე, მრავალმა ქართველმა მფრინავმა, მათ შორის, ბომბდამშენი ესკადრილიის მეთაურმა საბჭოთა კავშირის გმირმა გ. კილასონიამ, მოიერიშე ავიაესკადრილიის მეთაურმა საბჭოთა კავშირის გმირმა უფროსმა ლეიტენანტმა გ. თვაურმა, მფრინავმა-გამანადგურებელმა საბჭოთა კავშირის გმირმა უმცროსმა ლეიტენანტმა გ. მერკვილაძემ.

დნეპრის მარცხენა ნაპირის უკრაინის ტერიტორიაზე განსაკუთრებული წარმატებით ომობდნენ კრივოიროგის 394-ე მსროლელი დივიზია, რომელსაც ფრონტზე გაგზავნის წინ თავის რიგებში 3400 ქართველი მეომარი ჰყავდა, და 417-ე მსროლელთა დივიზია, რომლის რიგებში 1977 ქართველი რიგითი მეომარი და მეთაური იბრძოდა.[1]

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარებმა გაანადგურეს ფაშისტური ჯარები კავკასიაში, გაარღვიეს ძლიერი გამაგრებული თავდაცვის ზოლი, ე. წ. „ცისფერი ხაზი“, აიღეს ნოვოროსიისკი და 1943 წლის 9 ოქტომბერს საბოლო-

---

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტ. ფილიალის პარტარქივი, ფ. 14, აღწ. 1, ს. 13133, ფურცელი 36—38.

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტ. ფილიალის პარტარქივი, ფ. 14, აღწ. 1, ს. 12382, ფურცელი 149.

ოდ განდევნეს ფაშისტური ოკუპანტები ტამანის ნახევარკუნძულიდან.

იმავე ხანებში უკრაინის მე-4 ფრონტის არმიებმა გაარღვიეს გერმანელ ოკუპანტთა ძლიერ გამაგრებული თავდაცვითი მიჯნა ზაპაროჟიედან აზოვის ზღვამდე, გადალახეს მდ. მოლოჩნაია, გაათავისუფლეს თითქმის მთელი ჩრდილოეთ ტავრია და გავიდნენ დნეპრის აღმოსავლეთ ნაპირზე გორნოსტაევკიდან შავი ზღვის სანაპირომდე. ამ ფრონტის 51-ე არმიის საჯარისო შენაერთებმა იმ მიზნით, რომ ყირიმში პლაცდარმი შეექმნათ, გადალახეს სივაში, ხოლო მე-2 გვარდიული არმიის ჯარები შეიჭრნენ პერეკოპის ყელის მიდამოებში, მოდრიკეს მტრის წინააღმდეგობა „ტურეცკი ვალზე“ და გაემართნენ ქალაქ არმიანსკისაკენ.

ამრიგად, მე-17 გერმანული არმია ყირიმში მთლიანად იზოლირებული აღმოჩნდა და მოესპო საშუალება სახმელეთო კავშირი ჰქონოდა გერმანულ არმიათა „ა“ ჯგუფის სხვა საჯარისო შენაერთებთან.

1943 წლის 1 ნოემბერს ღამით, ქერჩის სამხრეთით, ელტიგენის რაიონში გადაისხა დესანტთა პირველი ჯგუფი ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის მე-18 არმიის შემადგენლობიდან, ხოლო 3 ნოემბერს კიდევ უფრო მეტი წარმატებით ჩატარდა 56-ე არმიის მე-11 მსროლელთა გვარდიული კორპუსის ნაწილის გადასხმა სოფელ მაიაკის სამხრეთით და ენიკალეს ჩრდილოეთით.

თუმცა ფაშისტ დამპყრობთა ჯარები იზოლაციაში მოჰყვნენ და ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ. მაინც განაგრძობდნენ შეუპოვარ წინააღმდეგობას, ისინი გააფთრებულ და სისხლისმღვრელ ბრძოლებს ეწეოდნენ, ოღონდ როგორმე შეენარჩუნებინათ ყირიმის ნახევარკუნძული.

როგორც დესანტების გადასხმისას, ისე ჰიტლერული ჯარების მოსასპობად და ფაშისტური უღლისაგან ყირიმის მოსახლეობის გასათავისუფლებლად გაჩაღებულ ბრძოლებში, ამ უაღრესად დაძაბულ სამკვდრო-სასიცოცხლო ოპერაციებშიც მრავალი ათასი ქართველი მეომარი მონაწილეობდა. ისინი მარტო სხვადასხვა საჯარისო შენაერთებსა და გაერთიანებებში კი არ იბრძოდნენ, არამედ ქართულ ეროვნულ ნაწილებსა და შენაერთებშიც.

შავი ზღვის ციხე-სიმაგრისათვის გამართული გააფთრებული ბრძოლებისა და სევასტოპოლზე მიტანილი შტურმის დროს თავი გამოიჩინა ორმა სახელოვანმა შენაერთმა — ტამანის 242-ე სამთო-მსროლელმა დივიზიამ, უმთავრესად ქართველი მეომრებით დაკომპლექტებულმა, რომელსაც გმირი ქალაქის გასათავისუფლებლად გაჩაღებულ ბრძოლებში მამაცობისა და სიმარჯვის გამოჩენისათვის წითელი დროშის ორდენი მიენიჭა, და ანაპის 414-ე მსროლელმა დივიზიამ, რომელიც, მცირე გამონაკლისის გარდა, მთლიანად ქართველი რიგითი მეომრებისა და მეთაურებისაგან შედგებოდა.

ანაპის 414-ე მსროლელთა დივიზიამ მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა შავი ზღვის ფლოტის მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზის განთავისუფლებისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში. განსაკუთრებით დიდძალი ქართველი მეომარი დაეცა გმირულად საპუნ-გორას შტურმის დროს. მათ შორის ვაჟკაცურად თავი გაწირეს უფროსმა ლეიტენანტებმა ბოსტაშვილმა და ვადაჭკორიამ, ლეიტენანტმა ლაჩაშვილმა, ზემდეგმა შავნგირაძემ, რიგითმა ჯარისკაცებმა აკობიამ, ნანიტაშვილმა, სიჭინავამ, თათრიშვილმა, შენგელიამ და ბევრმა სხვამ.

სევასტოპოლის განთავისუფლებაში საბრძოლო დავალებათა ჩინებული შესრულებისათვის, ამასთან, შენაერთის პირადი შემადგენლობის მიერ სიმამაცისა და თავგანწირულების გამოჩენისათვის ანაპის 414-ე მსროლელი დივიზია დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით, ხოლო ამ დივიზიის 1367-ე და 1371-ე მსროლელ პოლკებს მიენიჭათ სევასტოპოლის სახელობის საპატიო წოდება, 5 ათასზე მეტს ქართველ ჯარისკაცს, სერჟანტს და ოფიცერს კი გადაეცა საბჭოთა კავშირის ორდენები და მედლები.

ანაპის 414-ე მსროლელთა წითელდროშოვანი დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი ვ. ს. ძაბახიძე დაჯილდოვდა სუვოროვის მე-2 ხარისხის ორდენით, მისი მოადგილე პოლკოვნიკი ს. ბერუჩაშვილი — წითელი დროშის ორდენით, დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსი პოდპოლკოვნიკი ვ. ჯანჯღავა — წითელი ვარსკვლავის ორდენით, ხოლო 1367-ე და 1371-ე მსროლელთა პოლკების მეთაურები პოდპოლკოვნიკები ე. ქანთარია და გ. მანაგაძე — სუვოროვის მე-3 ხარისხის ორდენებით. ზემდეგს ს. ჩხაიძეს, უფროს სერჟანტს გ. სამხარაძეს და რიგით ჯარისკაცს ვ. პაპიძეს მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება.

ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს, აგრეთვე, საავიაციო ბომბდამშენი პოლკის მეთაურმა ბ. ზუმბულიძემ, გამანადგურებელი ესკადრილიის მეთაურმა დ. ჯაბიძემ, მოიერიშე ესკადრილიის მეთაურმა ზ. ხიტალიშვილმა, მოიერიშე მფრინავმა ი. ჯინჭარაძემ, მოიერიშეთა ავიაესკადრილიის მეთაურმა დ. ტაბიძემ, წყალქვეშა ნავის მეთაურმა ი. იოსელიანმა, სატორპედო კატარღების ქვედანაყოფის მეთაურმა ა. კანანაძემ, ზემდეგმა რ. ბარციცმა, რომელთაც შემდგომ საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭათ.

გერმანელ ფაშისტთა სამხედრო სარდლობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ეგრეთწოდებულ „ვოსტოჩნი ვალს“, რომლის საყრდენი,

ფაშისტთა გეგმით, უნდა გამხდარიყო წყლის უძლიერესი ზღუდე — მდინარე დნეპრი. ისინი ფიქრობდნენ, რომ თავდაცვითი ბრძოლებისათვის გამოიყენებდნენ უაღრესად ხელსაყრელ ადგილმდებარეობას, შესძლებდნენ საბჭოთა ჯარების შეტევის შეჩერებას, ჩააბამდნენ მათ გაჭიანურებულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში შემოდგომა-ზამთრის მთელი პერიოდის მანძილზე. ამასობაში თავს მოუყრიდნენ რეზერვებს და აიღებდნენ რევანშს მანამდე განცდილი დამარცხებისათვის, მაგრამ ჰიტლერული სამხედრო სარდლობის ამ ნაბოდვარ გეგმებს და ოცნებებს აღსრულება არ ეწერა. ისინი არ ითვალისწინებდნენ საბჭოთა ადამიანების პატრიოტულ აღმავლობას, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი უსაზღვრო ერთგულებას, მოპოვებული კოლოსალური გამარჯვებების შედეგად მებრძოლთა აღფრთოვანებას. დასასრულ, ფაშისტებს გაუთვალისწინებელი დარჩათ ის უდიდესი დახმარება, რომელსაც დნეპრისპირა მოსახლეობა უწევდა თავის გამანთავისუფლებელ არმიებს, და ის თავგანწირული, გაბედული და შეუპოვარი საბრძოლო მოქმედება, რომელსაც ეწეოდნენ სახალხო შურისმგებელნი უკრაინის მიწა-წყალზე.

მარცხენა ნაპირის უკრაინის ტერიტორიაზე მოქმედმა ოთხივე ფრონტის ჯარებმა, ურთიერთზემოქმედებით, გაანადგურეს მოწინააღმდეგე, გაათავისუფლეს უკრაინის აღმოსავლეთი ოლქების დიდძალი დასახლებული პუნქტები და დაიწყეს სწრაფი წინსვლა დნეპრისაკენ. მოწინავე ნაწილებმა, მიაღწნენ თუ არა მდ. დნეპრს, მთავარი ძალების და გადასაყვან საშუალებათა მოსვლას არ დაუცადეს და დაუყოვნებლივ შეუდგნენ მდინარის გადალახვას. მათ კარგად ესმოდათ შესასრულებელი საბრძოლო ამოცანის მნიშვნელობა. ჯარების მთელი პირადი შემადგენლობა, თუმცა დიდი საფრთხე ემუქრებოდა, განსაკუთრებული ენერგიით და ენთუზიაზმით ისწრაფოდა, რაც შეიძლება, სწრაფად გადაელახა წყლის უზარმაზარი ზღუდე და ჩაბღაუჭებოდა თუნდაც ერთ ციდა მიწას დნეპრის მარჯვენა ნაპირზე. მათ ჩინებულად იცოდნენ, რომ დნეპრის გადალახვა და პლაცდარმის აღება უზრუნველყოფდა მთელი საბჭოთა უკრაინის, უპირველესად კი, მისი დედაქალაქის კიევის სწრაფ გათავისუფლებას. ამ მნიშვნელოვანი შემტევი და სისხლისმღვრელი ოპერაციების დროს უკრაინის პირველი ფრონტის მხოლოდ დამკვრელი დაჯგუფების ჯარების შემადგენლობაში, რომლებმაც უშუალო მონაწილეობა მიიღეს კიევის განთავისუფლებაში, მდინარის გადალახვაში, დედაქალაქის აღებისას მოწინააღმდეგის მრავალი ძლიერი კონტრდარტყმის მოგერიებაში და რომლებმაც მეტად მძიმე დანაკლისი განიცადეს, 1944 წლის პირველი იანვრისათვის ითვლებოდა 1110 ქართველი მეომარი; მათ შორის 161 ოფიცერი და გენერალი. აქედან მე-3 გვარდიულ სატანკო არმიაში იყო 35 ქართველი ოფიცერი და 111 ქართველი ჯარისკაცი და სერჟანტი, ხოლო მე-2 საჰაერო არმიაში 28 ოფიცერი და 162 ჯარისკაცი და სერჟანტი.[1]

ბევრმა ქართველმა მებრძოლმა და მეთაურმა, რომლებიც მამაცურად იბრძოდნენ უკრაინის დედაქალაქისათვის, მთავრობის ჯილდოები დაიმსახურეს. ბევრიც, რომელმაც სისხლი დაღვარა და სიცოცხლე გასწირა საბჭოთა უკრაინის განთავისუფლებისათვის, უსახელო გმირად დარჩა. ზოგიერთმა კი იშვიათი ვაჟკაცობა და გმირული შემართება რომ გამოიჩინა, საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიიღო. მათ შორის, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ: რიგითი ჯარისკაცს — მესანგრეს გ. ბერდაშვილს, მსროლელთა ბატალიონის მეთაურს მაიორ გ. ბილანიშვილს, სატანკო პოლკის მეთაურს გვარდიის მაიორს ა. ბუკიას, მეტყვიამფრქვეველთა გუნდის მეთაურს გვარდიის უფროსს სერჟანტს ს. გალუსტაშვილს, საარტილერიო დივიზიონის მეთაურის მოადგილეს უფროს ლეიტენანტს ი. გვანცელაძეს, მესანგრეთა ბატალიონის მეთაურს მაიორ გ. გოცირიძეს, საარტილერიო ოცეულის მეთაურს გვარდიის ლეიტენანტს ვ. გუბელაძეს, რიგით მზვერავ ჯარისკაცს, „მოენეთა" ტყვედ მოყვანის ოსტატს გ. მაისურაძეს. მსროლელთა ბატალიონის მეთაურს მაიორ გ. რაზმაძეს, მსროლელთა ასეულის მეთაურს ლეიტენანტ პ. სორდიას, რიგითი ჯარისკაცს მეტყვიამფრქვევეს ნ. ურუშაძეს, საარმიო-საინჟინრო ბატალიონის მეთაურს მაიორ ი. ციციშვილს, გვარდიულ მოიერიშე საავიაციო ესკადრილიის მეთაურს გვარდიის მაიორ ო. ჩეჩელაშვილს, მეავტომატეთა ასეულის მეთაურს კაპიტანს ვ. ჩიქოვანს, მსროლელთა ასეულის მეთაურს უფროს ლეიტენანტს ლ. ჩუბინიძეს, მეტყვიამფრქვევეთა გუნდის მეთაურს სერჟანტს ს. ჭილლაძეს და სხვ.

ბევრი ქართველი მეომარი სამარადისოდ მიებარა უკრაინის მიწას, მათ შორის საბჭოთა კავშირის გმირები: გ. ბერდაშვილი, ვ. გუბელაძე, პ. სორდია, ნ. ურუშაძე, ვ. ჩიქოვანი, ლ. ჩუბინიძე, ს. ჭილლაძე და სხვები.

საბჭოთა უკრაინის დედაქალაქ კიევში, უხვწყლიან ჭალარა დნეპრის მაღალ მარჯვენა ნაპირს ამშვენებს საუცხოო პარკი, მყუდრო, ჩრდილოვანი ხეივნებით, მშვენიერი, ნაირფერადი ყვავილნარებით და ულამაზესი შადრევნებით. ეს დიდების პარკია, კიეველთა ერთი საყვარელი ადგილთაგანი. აქ, ზედ მდინარის პირას, აღმართულია გრანიტის ობელისკი, რომლის კვარცხლბეკთან ირხევა სამარადისო ცე-

[1] სსრკ თავდაცვის სამინისტროს არქივი, ფ. 236, აღწ. 2677, ს. 84, ფურც. 1—21.

ცხლის ალი. ობელისკის ორივე მხარეზე მკაცრი წესრიგით განლაგებულია ფრონტის სასაფლაო ფილები, ზედ წარწერილია სახელები ზოგი მათგანისა, რომლებმაც დიდი სამამულო ომის წლებში ასახელეს საბჭოთა ხალხი, მისი შეიარაღებული ძალები, რომლებმაც იხსნეს მთელი მსოფლიო მიხაკისფერი ჭირისაგან — ფაშიზმისაგან. ერთ-ერთ ფილის ქვეშ განისვენებს საქართველოს ღირსეული შვილის, საბჭოთა კავშირის გმირის ზემდეგ ნიკოლოზ ივანეს ძე გოგიჩაიშვილის ნეშტი.

უკრაინელმა ხალხმა თავის მშვენიერ დედაქალაქში — კიევში შექმნა ეს საუცხოო პარკი, დიდი მოწიწებით უვლის იმ ადამიანთა საფლავებს, რომლებმაც ფაშიზმთან გააფთრებული ბრძოლებით ამაღლეს თავიანთი ქვეყნის სახელი და დიდება. ამით უკრაინელმა ხალხმა მარტო ამ თავდადებულთა სახელები კი არ უკვდავყო, არამედ დაუფასებელი წვლილი შეიტანა საბჭოთა კავშირის ხალხთა ლენინური მეგობრობის — დიდი ოქტომბრის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვრის განვითარებასა და განმტკიცებაში.

საბჭოთა ჯარებმა მოიგეს დნეპრისათვის გაჩაღებული ბრძოლა. პირველი უკრაინული ფრონტის ძალებით გაათავისუფლეს კიევი და მის დასავლეთით შექმნეს საკმაოდ ფართო სტრატეგიული პლაცდარმი, ხოლო უკრაინის მეორე ფრონტის არმიებმა წარმატებით განავითარეს შეტევა კიროვოგრადის მიმართულებით და გერმანულ-ფაშისტურ ჯარებს შეუქმნეს განადგურების რეალური საფრთხე მარჯვენა ნაპირის უკრაინის ტერიტორიაზე.

კონტრშეტევაზე ჰიტლერული ჯარების გადმოსვლის, დაკავებული ზღუდეების შენარჩუნების და კონტრშემტევი ფაშისტური ჯარების განადგურების აუცილებელი საჭიროება, აგრეთვე, მთელი მარჯვენა ნაპირის უკრაინის საბოლოო გასათავისუფლებლად შეტევითი ოპერაციების ჩატარება რომ გაითვალისწინა, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი წინასწარ შეუდგა დამატებითი რეზერვებით საბჭოთა ჯარების შევსებას და გაძლიერებას. კერძოდ, უკრაინის ფრონტების არმიების გასაძლიერებლად, ახალი რეზერვების გარდა, კავკასიის ბრძოლების წარმატებით დამთავრების შემდეგ, გადასროლილ იქნა ტამანის ნახევარკუნძულზე და ჩრდილოეთ კავკასიაში ნაომარი საჯარისო შენაერთები და გაერთიანებები, სადაც მნიშვნელოვან რაოდენობას შეადგენდნენ ქართველი მეომრები.

უკრაინის პირველი ფრონტის ჯარების შემადგენლობაში შევიდნენ 151-ე მსროლელთა დივიზია, ტემრიუკის 276-ე წითელდროშოვანი მსროლელთა დივიზია, 351-ე წითელდროშოვანი მსროლელთა დივიზია და სხვები, აგრეთვე, ცალკეული ნაწილები, შენაერთები და მე-13 არმიის საველე სამმართველო.

მე-18 არმიის შენაერთები და ნაწილები, უკვე სახელმოხვეჭილი მხედართმთავრის გენერალ-პოლკოვნიკ კ. ლესელიძის მეთაურობით, უკრაინის პირველ ფრონტზე სწორედ იმ მომენტში მოვიდნენ, როცა გააფთრებული, სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა უკრაინის დედაქალაქისათვის. თუმცა კიევი უკვე გათავისუფლებული იყო, მაგრამ საბოლოოდ ბრძოლა მაინც არ იყო დამთავრებული. გერმანულ-ფაშისტურმა ხელმძღვანელობამ უკანასკნელ სასოწარკვეთილ ღონისძიებას მიმართა, რათა აღედგინა დაკარგული მდგომარეობა და კვლავ გამოსულიყო დნეპრის მარცხენა ნაპირზე.

მე-18 არმიამ შეაჩერა, მოქანცა და სისხლისაგან დაცალა ფაშისტური ძალები და პირველი უკრაინის ფრონტის სხვა გაერთიანებებთან ერთად, 1943 წლის 24 დეკემბერს შეუდგა ჟიტომირ-ბერდიჩევის შეტევითი ოპერაციის განხორციელებას. მთავარი მიმართულებით მოქმედმა მე-18 არმიამ, სხვა არმიებთან ურთიერთშემოქმედებით, გაარღვია მოწინააღმდეგის თავდაცვითი ხაზი, გაანადგურა ჰიტლერული ჯარების დიდი დაჯგუფება, განავითარა შეტევა და შვიდი დღე-ღამის განმავლობაში ბრძოლებით წინ წაიწია ას კილომეტრზე მეტი მანძილით. გაათავისუფლეს რა მარჯვენა ნაპირის უკრაინის მრავალი დასახლებული პუნქტი, მე-18 არმიის საჯარისო შენაერთებმა განსაკუთრებით ისახელეს თავი ბრუსილოვის, რადომიშლის, კოროსტიშევის, ჟიტომირის და ბერდიჩევის განთავისუფლებისათვის გაჩაღებულ გააფთრებულ ბრძოლებში. გაერთიანებათა ბევრმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა გამოიჩინეს თავი და მთავრობის ჯილდოები დაიმსახურეს. მათ შორის არმიის სარდალი — გენერალ-პოლკოვნიკი კ. ნ. ლესელიძე. ოპერაციის წარმატებითი შესრულებისათვის, 1944 წლის 10 იანვარს ბოგდან ხმელნიცკის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

ჟიტომირ-ბერდიჩევის შეტევითი ოპერაციის დამთავრების შემდეგ, მე-18 არმიამ ჯერ უკრაინის პირველ ფრონტზე, შემდეგ მე-4 ფრონტზე მიიღო მონაწილეობა როგორც დასავლეთ უკრაინის და იმიერკარპატების დაბა-ქალაქების და სოფლების გამათავისუფლებელ ოპერაციებში, ისე ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებაში. სამწუხაროდ, ომის უკანასკნელ, დამამთავრებელ ეტაპზე დამსახურებულ და სახელმოხვეჭილ არმიის სარდალს კ. ნ. ლესელიძეს ბრძოლებში მონაწილეობა აღარ ხვდა წილად. მძიმე ავადმყოფობამ იგი ჰოსპიტლის საწოლს მიაჯაჭვა და მალე, 1944 წლის 21 თებერვალს, შეჩერდა საბჭოთა ქვეყნის მგზნებარე პატრიოტის, კომუნისტური პარტიის ერთგული შვი-

ლის, ნიჭიერი სარდლის გულისცემა, შეჩერდა, როცა იგი 41 წლისა შესრულდა, როცა თავისა სულიერი და ფიზიკური ძალების გაფურჩქვნის ასაკში იყო. აი, რას წერდნენ მისი სიკვდილის გამო მე-18 არმიის სამხედრო საბჭო და ხელმძღვანელობა:

„...მძიმე, გამოუსწორებელი დანაკლისი დაგვატყდა თავს ჩვენ თქვენთან ერთად. გარდაიცვალა ჩვენი არმიის სარდალი, მებრძოლი ხელმძღვანელი, ამხანაგი და მეგობარი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე.

სასახელო და გმირული გზა განვლეთ ჩვენ მასთან ერთად. ჯარები, რომლებსაც იგი ხელმძღვანელობდა, არაერთხელ აღინიშნა უმაღლესი მთავარსარდლის ი. სტალინის მიერ, როცა ისინი კავკასიონის მთის კალთებზე, შავი ზღვის სანაპიროებზე, ტამანსა და უკრაინაში იბრძოდნენ, დაუნდობლად სპობდნენ გერმანელ-ფაშისტ დამპყრობელებს, გვიჩვენებდნენ გმირობის, ვაჟკაცობის, სიმამაცის მაგალითებს.

კონსტანტინე ნიკოლოზის ძის მოქნილი გონება და ბოლშევიკური გამჭრიახობა ყოველთვის უზრუნველყოფდა ოპერაციის წარმატებას — ბრძოლის მოგებას და მტერზე გამარჯვებას. ბევრით ვართ მისგან დავალებული ნოვოროსიისკისა, ტამანისა, ჟიტომირისა, ბერდიჩევისა და მარჯვენა ნაპირის უკრაინის სხვა რაიონებისათვის ბრძოლაში.

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე იყო ბოლშევიკების პარტიის ერთგული შვილი, ვაჟკაცი მეომარი, სიცოცხლის დასასრულამდე ლენინის საქმისათვის თავდადებული. იგი ნიჭიერი და დიდი ქართველი ხალხის ჭეშმარიტი წარმომადგენელი, ყოველთვის იყო ჩვენი კარგი მეგობარი და სათუთი ამხანაგი, ყურადღებიანი და დაკვირვებული მხედართმთავარი.

მისი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულში...

ჟურავლიოვი, კოლონინი, სლოპი, ნაიდენოვი, ბრეჟნევი, ვორობიოვი, პავლოვსკი, ბარანოვი, ზარელუა, მურავიოვი, გრენკოვსკი და სხვები. 22 თებერვალი 1944წ.“[1]

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის მდივნის სახელზე გამოგზავნილ მიმართვაში წერდა: „... თქვენთან ერთად თავს დიდი დანაკლისი დაგვატყდა. ნაადრევმა სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოსტაცა ქართველი ხალხის შესანიშნავი წარმომადგენელი, თვალსაჩინო მხედართმთავარი, ჩვენი არმიის სარდალი. დიდი და სახელოვანი გზა გაიარა ჩვენმა არმიამ მისი უშუალო ხელმძღვანელობით. გულის სიღრმემდე მწყინს, რომ კონსტანტინე ნიკოლოზის ძეს არ დასცალდა სიცოცხლე მოესწრო სისხლე მტერზე საბოლოო გამარჯვების მოპოვებამდე.

კონსტანტინე ნიკოლოზის ძის ხსოვნა მარად იცოცხლებს ჩვენი არმიის ჯარებში......

მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების
უფროსი პოლკოვნიკი ლ. ბრეჟნევი

22 თებერვალი 1944 წელი“[1]

1943 წლის 1 აპრილიდან 1944 წლის 1 აპრილამდე საქართველოში დამატებით მობილიზებული იყო და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შესავსებად გაიგზავნა კიდევ რამდენიმე ათასი კაცი, მათ შორის 1309 ოფიცერი და 213 ქალი-მოხალისე [2].

ამრიგად, საქართველოს სამხედრო კომისარიატის მიერ ომის დაწყებიდან 1944 წლის 1 აპრილამდე არმიისა და ფლოტის დასაკომპლექტებლად გაიგზავნა 19500 ოფიცერი და 2824 ქალი.

მრავალი ათასი ქართველი მეომარი მონაწილეობდა გააფთრებულ და სისხლისმღვრელ ბრძოლებში — ჟიტომირ-ბერდიჩევის და კორსუნ-შევჩენკოვოს ოპერაციებში. უკრაინის პირველი ფრონტის მთავარი მიმართულებით მოქმედ მხოლოდ ორ არმიაში 1944 წლის პირველი იანვრისათვის იყო 2055 ქართველი მებრძოლი და მეთაური, სახელდობრ პირველ გვარდიულ არმიაში იბრძოდა 1044 ქართველი მეომარი, აქედან 151 ოფიცერი, ხოლო მე-18 არმიაში 1014 ქართველი, მათ შორის 102 ოფიცერი.[3]

მას შემდეგ, რაც წარმატებით დამთავრდა კორსუნ-შევჩენკოვოს ოპერაცია, გერმანულ-ფაშისტური ჯარების დიდი დაჯგუფების გარემოცვა და განადგურება, შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ახალ, ძლიერ შეტევაზე საბჭოთა ჯარების გადასასვლელად, იმ მიზნით, რომ მომხდარიყო მარჯვენა ნაპირის უკრაინის სრული განთავისუფლება. 1944 წლის ივლის-აგვისტოში ჩატარებული ლვოვ-სანდომირის შეტევითი ოპერაციის შედეგად მტერი სასტიკად დამარცხდა: ჰიტლერელები განდევნილ იქნენ უკრაინის დასავლეთ ოლქებიდან. თუმცა იმისათვის, რომ უკრაინის მიწა-წყალზე სავსებით განადგურებულიყო მოწინააღმდეგის ჯარები, უკრაინას საბოლოოდ რომ გადაეძრო ფაშისტური უღელი და გაერთიანებულიყო ერთ მთლიან სახელმწიფოდ, აუცილებელი იყო იმიერკარპატების განთავისუფლება. 1944 წლის ზაფხულის მიწურულში ეს ამოცანა პრაქტიკულად დაისვა კიდეც საბჭოთა არმიის წინაშე.

---

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტ. საქ. ფილიალის პარტარქივი, ფ. 14, აღწ. 1, ს. 13887, ფურც. 1—2.

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტ. საქ. ფილიალის პარტარქივი, ფ. 14, აღწ. 1, ს. 13807, ფურც. 32.

2 სსრკ თავდაცვის სამინისტროს არქივი, ფ. 236, აღწ. 2677, ს. 84, გვ. 1—21.

3 იქვე.

აღმოსავლეთ კარპატების გადალახვისა, მთავარ ქედზე შექმნილი ძლიერ გამაგრებულ თავდაცვითი ზოლის, ეგრეთწოდებულ „არპადის ხაზის“ გარღვევისათვის, გერმანულ-უნგრული ფაშისტური ჯარების დიდი დაჯგუფების განადგურებისა და იმიერკარპატებიდან, შემდეგ კი, მთელი ჩეხოსლოვაკიიდან ოკუპანტების განდევნისათვის, უმაღლესი მთავარსარდლობის დირექტივით შეიქმნა დამოუკიდებელი მე-4 უკრაინული ფრონტი, სარდლად დაინიშნა არმიის გენერალი ი. ე. პეტროვი. მის შემადგენლობაში შევიდა: 1-ლი გვარდიული და მე-18 არმიები, მე-17 ცალკეული გვარდიული მსროლელთა კორპუსი, მე-8 საჰაერო არმია, სხვა შენაერთები და ნაწილები. ბევრ მათგანს კავკასიასა და *ყირიმში სამხარ მოქმედებათა* წარმოების დიდი გამოცდილება ჰქონდა. ისინი უმთავრესად დაკომპლექტდა და ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, როგორც, მაგალითად, მე-18 არმია, მე-3 სამთო-მსროლელთა კორპუსი, 151-ე, 276-ე, 317-ე, 351-ე მსროლელთა, 242-ე სამთო-მსროლელთა დივიზიები და სხვა. 1944 წლის შემოდგომაზე ჩატარებულ კარპატ-უჟგოროდის შეტევითი ოპერაციის მონაწილე ამ საჯარისო შენაერთების და გაერთიანებათა რიგებში იყვნენ ამიერკავკასიის ხალხების, მათ შორის ქართველი ხალხის შვილები, ჯარისკაცები და ოფიცრები, რომლებიც აღმოსავლეთ კარპატების განთავისუფლებისათვის ისეთი ვაჟკაცობით და თავგამოდებით იბრძოდნენ, როგორც თავისი მშობლიური კავკასიისათვის.[1]

ტყიანი მთების მიდამოებში, უკიდურესად ცუდ ამინდში რომ მოქმედებდნენ, საბჭოთა ჯარებმა უმძაფრესი, სისხლისმღვრელი ბრძოლებით დასძლიეს მტრის გააფთრებული წინააღმდეგობა, გაარღვიეს ძლიერ გამაგრებული თავდაცვითი ზოლი — „არპადის ხაზი“, გაანადგურეს გერმანულ-უნგრული ფაშისტური ჯარების დიდი დაჯგუფება, იმიერკარპატებიდან და შემდეგ ჩეხოსლოვაკიიდან განდევნეს ფაშისტი ოკუპანტები.

ამ გააფთრებულ ბრძოლებში მარტო ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულმა შენაერთებმა როდი გამოიჩინეს თავი. გმირულად იბრძოდა ასობით ქართველი ჯარისკაცი და მეთაური, მათ შორის გენერლები: გ. ჯინჭარაძე, შ. ქირია, ვ. ნანეიშვილი; პოლკოვნიკები: გ. ბეჟანიძე, ვ. დვალი, ე. ქანთარია, დ. კობეშავიძე, დ. მაჭარაძე, ნ. ხურციკიძე, ა. ჩიქოვანი, გ. ჩარგეიშვილი, ოფიცრები: ა. ალავიძე, ნ. ბეროზაშვილი, პ. ბაქრაძე, ვ. ვასაძე, გ. გაგნიძე, ი. გვილია, ვ. დათუნაშვილი, კ. ჟორდანია, დ.ი იორამაშვილი, პ. ყანჩაველი, ა. მაჭავარიანი, ე. ნიკოლაიშვილი, დ. ნოდია, რ. ოდიშარია. დ. პაპაშვილი, ა. რაზმაძე, ა. სადრაძე, ა. თარგამაძე, შ. ურიგაშვილი, ა. შიუკაშვილი; ჯარისკაცები და სერჟანტები: დ. ახალკაციშვილი, ა. ბარბაქაძე, ვ. გელაშვილი, ა. ჯიმშიაშვილი, ვ. ენუქიძე, მ. ზარანდია, ნ. ირემაშვილი, რ. კალანდაძე, ტ. მარგველაშვილი, ს. ნარიმანიძე, ნ. სეფაშვილი, ს. თომაძე, დ. ხუროძე, ვ. წიქარიშვილი, ა. შათირაშვილი; მედიცინის მუშაკი ქალები: ბარბალე ასათიანი, ბარბალე კახიძე, ეკატერინე წერეთელი და მრავალი სხვა.

სიმამაცისა და გმირული შემართებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭათ *გვარდიის სერჟანტს ს. ასლამაზაშვილს*, გვარდიის ზემდეგს ა. დანელიას, ეფრეიტორს ი. კოკოსკერიას, გვარდიის ლეიტენანტს ვ. ლეჟავას, სერჟანტს დ. მერკვილაძეს, გვარდიის უფროს ლეიტენანტს გ. პაპუაშვილს, კაპიტან ბ. წულუკიძეს და სხვებს.

1944 წლის 27 ოქტომბერს საბჭოთა ჯარებმა გაათავისუფლეს იმიერკარპატების ცენტრი —უჟგოროდი და ამით ხორცი შეასხეს იქაური უკრაინელების მრავალსაუკუნოვან ოცნებას— უცხოელ დამპყრობელთა უღლისაგან მათ გამოხსნას.

უკრაინის სსრ იმიერკარპატების საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ი. ვ. ილნიცკი თავის სტატიაში — „განთავისუფლებულ მიწაზე“ წერდა: „არასოდეს არ აღმოიფხვრება იმიერკარპატების მშრომელთა ხსოვნიდან 1944 წლის ოქტომბრის დღეები, როცა გმირულმა საბჭოთა არმიამ, თავისი გამათავისუფლებელ მისიას რომ ასრულებდა, გაანადგურა ფაშისტი დამპყრობლები და მოგვიტანა დიდიხნის ნანატრი თავისუფლება.[1]“

მართლაც, კარპატების იქითა უკრაინელი ხალხი არ დაივიწყებს საბჭოთა მეომრებს, რომლებმაც უმაგალითო გმირობით, უხვად დაღვრილი სისხლით, მრავალი ათასი საბჭოთა მებრძოლის სიცოცხლის გაწირვით გაანადგურეს გერმანელ-უნგრელი ოკუპანტები აღმოსავლეთ კარპატებში, აიღეს „არპადის ხაზი“ და მოუტანეს მას თავისუფლება.

1944 წლის 26 ნოემბერს ქ. მუკაჩევში შედგა იმიერკარპატების სახალხო კომიტეტების პირველი ყრილობა, რომელმაც მიიღო ისტორიული მანიფესტი სამშობლოსთან — საბჭოთა უკრაინასთან იმიერკარპატეთის უკრაინის გაერთიანების თაობაზე. იმიერკარპატეთის უკრაინელთა ეს მრავალსაუკონოვანი მისწრაფება აღიბეჭდა და სამუდამოდ განმტკიცდა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლი-

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტ. საქ. ფილიალის პარტარქივი, ფ. 14, აღწ. 1, ს. 12382, ფურც. 160—171.

[1] Они освобождали Закарпатье, изд. «Карпаты», Ужгород, 1968 г., стр. 7.

კებს შორის 1945 წლის ივნისში დადებული ხელშეკრულებით.

ამრიგად, დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა არმიის ჯარებმა გაანადგურეს ნაქები ჰიტლერული არმია და მისი სატელიტების ჯარები, იხსნეს ფაშისტური მონობის უღლიდან ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობა, მათ შორის უკრაინელები, გაათავისუფლეს მთელი უკრაინის მიწა-წყალი, ხელი შეუწყეს უკრაინის ერთ მთლიან სოციალისტურ სახელმწიფოდ გაერთიანებას.

დიდი სამამულო ომის მთელ პერიოდში საბჭოთა უკრაინის ტერიტორიაზე, საბჭოთა კავშირის ხალხების წარმომადგენლებთან ერთად, დაახლოებით სამასი ათასი მეომარი იბრძოდა საქართველოდან. ბევრმა მათგანმა გმირული საქმეებით თავი ისახელა და მშვიდობით დაბრუნდა შინ — მშობლიურ კუთხეში. მაგრამ მრავალი ათასი ქართველი მეომარი, სამშობლოს თავისუფლებისა და ღირსებისათვის თავგანწირული მებრძოლი გმირის სიკვდილით დაეცა და სამუდამო განსვენება ჰპოვა უკრაინის მადლიან მიწა-წყალზე.

უკრაინის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საბჭოთა უკრაინის სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მთავრობის სახელზე გამოგზავნილ სამადლობელ დეპეშაში აღნიშნავდნენ: „... უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობა მუდამ ურღვევი იყო და იქნება. მრავალი წლის ერთობლივმა შემოქმედებითმა მუშაობამ დააძმობილა ჩვენი ხალხები მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომის წლებში. ჩვენი რესპუბლიკების სოციალისტური შეჯიბრება ჩვენი ხალხების სასიქადულო მეგობრობის მკაფიო გამოვლინება იყო, იგი ახალ ძალას მატებდა მათს საგმირო შრომას.

როცა მუხანათმა მტერმა — გერმანულმა ფაშიზმმა თავისი ურდოები დაძრა ჩვენი საბჭოთა სამშობლოს მიწა-წყლის, უკრაინის მიწა-წყლის დასაპყრობად, უკრაინელი ხალხის დასახმარებლად აღდგა ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხი და მათთან ერთად მოძმე საქართველოს მამაცი შვილები.

უკრაინელი ხალხი მუდამ მადლობით მოიგონებს და არასოდეს დაივიწყებს ამ დახმარებას...“[1]

საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის და მისი სატელიტების ვერაგული თავდასხმის პირველი დღეებიდანვე საბჭოთა უკრაინა სისხლისმღვრელი ბრძოლების ასპარეზად იქცა.

გერმანულ-ფაშისტური ხელმძღვანელობა უდიდეს პოლიტიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა უკრაინის სსრ ტერიტორიის მიტაცებას. მას დაგეგმილი ჰქონდა ელვისებური საომარი მოქმედებით დაეპყრო და საბჭოთა კავშირისაგან მოეწყვიტა უკრაინა, დაემონებინა თავისუფლებისმოყვარე უკრაინელი ხალხი, ხოლო მისი ბუნებრივი სიმდიდრენი, სახალხო მეურნეობის მთელი დოვლათი გამოეყენებინა ჰიტლერული გერმანიის ინტერესების სასარგებლოდ, ხოლო საბჭოთა უკრაინის მიტაცებისთანავე გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცა მოსკოვისათვის.

მაგრამ ჰიტლერელთა ამ მტაცებლურ გეგმებს ასრულება არ ეწერა. მათ არ აღმოაჩნდათ იმის ნიჭი, რომ გაეთვალისწინებინათ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი წყობის მონოლითობა და სიმტკიცე, ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის დიდი მეგობრობა და დარაზმულობა, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების კოლოსალური ძლიერება, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებისადმი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი მათი უსაზღვრო ერთგულება, აგრეთვე, სახალხო მეურნეობის სოციალისტური სისტემის უდიდესი შესაძლებლობა.

სსრ კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა, რომელთა რიგებში ერთსულოვნად და თავდადებით იბრძოდნენ საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ეროვნების წარმომადგენელნი, სასტიკად დაამარცხეს ჰიტლერული გერმანიის „უძლეველი“ არმია, მისი სატელიტების ჯარები, ფაშისტური ტირანიისა და მონობისაგან იხსნეს საბჭოთა ხალხი, მსოფლიოს ხალხები. ამ დიდად კეთილშობილურ საქმეში თავისი წვლილი შეიტანა საბჭოთა საქართველომაც.

საბჭოთა უკრაინისა და საბჭოთა საქართველოს ხალხების ხანგრძლივი მეგობრობა, რომელიც მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის წლებში ვითარდებოდა და ძლიერდებოდა ორივე ხალხის გმირული შრომით, კიდევ უფრო განმტკიცდა დიდი სამამულო ომის პერიოდში უხვად დაღვრილი სისხლით და მრავალი ათასი მეომრის სიცოცხლის განწირვით.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ლენინური მეგობრობა ურღვევია. იგი გაძლიერდება და იცოცხლებს სამარადისოდ.

---

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტ. საქ. ფილიალის პარტარქივი, ფ. 14, აღწ. 1, ს. 12973, ფურც. 157—156.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესარიონ ჟღენტი

# სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელი

თავისი პოეტური მრწამსი, ნათელი ესთეტიკური იდეალი და მაღალი ადამიანური ოცნება გიორგი ლეონიძემ შთაგონებულად გამოხატა ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „პოეტს“:

დასძარი შენი ლექსის ხანძარი
და სხვა დიდებას ნურას დაეძებ,
ოღონდაც ერთი ცრემლის მარცვალი
ხალხის გულიდან ჩემს გულს დაეცეს!
ის წმინდა ცრემლი ფერშეუცვლელი
ამოაცენებს ხეს რტომრავალსა;
ის ხე დაჰბურავს ვარდის ფურცლებით
და უკვდავ სუნთქვით შენს მომავალსა!

ნახევარი საუკუნის განმავლობაში გიზგიზებდა გიორგი ლეონიძის ლექსის ხანძარი ქართული პოეზიის სარბიელზე და, როდესაც ნაადრევად და მოულოდნელად შეწყდა ჩვენი დროის ამ უპირველესი პოეტთაგანის დიდი შემოქმედებითი ცხოვრება, ერმა ცრემლის ერთი მარცვალი კი არა, თავისი გულის სიღრმიდან მომდინარე ცრემლების ზღვა დააღვარა მის ახლად-გაცივებულ გულს, ხალხმა განუზომელი მადლიერებისა და სიყვარულის უჭკნობი ყვავილებით დაჰბურა მისი სამარე და უკვდავი სუნთქვა, მარადიული სიცოცხლე მიანიჭა მის მომავალს. ჩვენი დიადი დროების, თანამედროვე ქართული პოეზიის საამაყოდ და სასახელოდ, გიორგი ლეონიძეს ისტორიამ უკვე მიაკუთვნა ღირსეული ადგილი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ეროვნული კულტურის უდიდესი გოლიათების გვერდით არა მარტო მთაწმინდის პანთეონში, არამედ ხალხის სხოვნაშიც, ჩვენი სამშობლოს ისტორიული ცხოვრებისა და სულიერი შემოქმედების დიდებულ მატიანეში.

უკვე სამი წელიწადია, რაც გიორგი ლეონიძე აღარ არის ჩვენს შორის. ეს დრო საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ოდნავ მაინც შემსუბუქებულიყო სიმწვავე იმ წყლულისა, რომელიც მისმა უდროო სიკვდილმა მიაყენა არა მარტო მისი ახლო მეგობრებისა და უშუალო თანამოღვაწეების, არამედ ქართული პოეზიის ყოველი მოყვარულის გულს, ჩვენს სამშობლოში და მისი საზღვრების მიღმაც. და მაინც, უკვე დროა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ქართულმა ლიტერატურულმა აზროვნებამ ფხიზელი გონების თვალით გაზომოს და შეაფასოს ის დიდი შემოქმედებითი ღვაწლი, რომლითაც გიორგი ლეონიძემ განაგრძო და განავითარა ქართული კლასიკური მწერლობის სახელოვანი პატრიოტული და ჰუმანისტური ტრადიციები, ჩვენი ეპოქის თემებითა და იდეებით გაანაყოფიერა იგი, გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე ქართული ლექსის უმდიდრესი საგანძური, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მე-20 საუკუნის პოეტური კულტურის აღმოცენებისა და განვითარების საქმეში.

როდესაც გიორგი ლეონიძის პოეტურ მემკვიდრეობას მთლიანობაში წარმოვიდგენთ, უპირველეს ყოვლისა, გვაოცებს მისი შემოქმედებითი ინტერესების იშვიათი მრავალმხრივობა, მისი პოეტური სამყაროს სიმდიდრე და მრავალფეროვნება, თემებისა და იდეების, ჟანრებისა და მხატვრული მეტყველების საშუალებათა დიაპაზონის შეუდარებელი სიფართოვე.

მართლაც, ძნელია დავასახელოთ ჩვენი საუკუნის რომელიმე პოეტი, რომლის შემოქმედებაშიც ისეთი ორგანულობით იყოს შერწყმული და შედუღებული ნოვატორული გა-

ტაცებანი და კლასიკური მწერლობის საუკეთესო ტრადიციებისადმი შეუნელებელი ერთგულება, თანამედროვეობის ცოცხალი განცდა და ისტორიზმის გამახვილებული გრძნობა, ეპოქის დიდი სოციალური თემებისა და პრობლემებისადმი მისწრაფება და ადამიანის პირადულ-ინტიმურ გრძნობათა წიაღში წვდომის მიდრეკილება, შემოქმედების ინტელექტური და ემოციური საწყისები, პოეტური აზროვნების ლირიკული და ეპიკური ფორმები, ულრმესი ეროვნული თვითმყოფობა და ფართო, უნივერსალური მასშტაბები, პოეტური ფერწერის ხელოვნება და უცდომელად გამახვილებულ სმენაზე დამყარებული მუსიკალობა, და, ყოველივე ამასთან ერთად, პოეტური ბუნების გაუბზარავი მთლიანობა და მონოლითურობა.

თუ მოვინდომებთ გ. ლეონიძის პოეზიის თემატიკისა და პრობლემატიკის სიუხვესა და მრავალფეროვნებაში მაინც გამოვყოთ მთავარი და ძირითადი, მისი მსოფლშეგრძნობის, სამყაროს ხილვისა და ხატვის თავისებურებათა განმსაზღვრელი და მამოძრავებელი ფაქტორი, ეს არის სამშობლოსადმი სიყვარულისა და ერთგულების ყოვლისმომცველი გრძნობა, პატრიოტიზმის მაღალი და კეთილშობილური იდეა. პოეტს სრული უფლება ჰქონდა ეთქვა:

მშობელ მიწაში მიდგას ფესვები,
როგორც წყალში დგას წნორის ძირები,
სიცოცხლეს ვერვის დავესესხები,
თუ სამშობლოსგან გავიწირები!
დამდგარა ჩემი სიმღერის ჯერი,
ეს ყვავილები მე დავაგროვე;
მე ვარ სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელი,
ვარ ახალ ქართლის თანამედროვე!
გულის ნათელი მე მიპოვია,
ქართლის დიდების მე ვარ მნახველი;
სამშობლო — ჩემი გულის ფეთქვაა,
სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი!

მართლაც, მთელი თავისი პოეტური ცხოვრებით და შემოქმედებით გ. ლეონიძე განუყოფელად არის შეზრდილი და შესისხლხორცებული მშობელ ქვეყანასთან, მის დიდებულ ბუნებასთან, მისი ხალხის მრისხანე და სუსხიან, თანაც სასახელო, გმირულ ისტორიასთან, მაგრამ, პირველ ყოვლისა, აღორძინებულ და განახლებულ საქართველოსთან, მისი დღევანდელი ცხოვრების მაჯისცემასთან, ჩვენს ქვეყანაში სამარადისოდ დამკვიდრებულ ნათელთან.

გულის ფესვიდან მინდა გიმღერო
და თუ ვერ გითხრა როგორ მიყვარხარ,
შენს თვითეულ ხეს, ბალახის ღეროს
ვკოცნი, ვეხვევი, ვეტყვი: მიყვარხარ!

თუ შენი დიდი წყვდიადი გალღვა,
ბნელი წარსული თუ დაგვიმარხავს,
დღეს შენს ახალ მზეს და ახალ ტალღას
ვკოცნი, ვეხვევი, მოდი, მიყვარხარ!
ვაზის შრიალში მე ვისმენ შენს ხმას,
წითელი ვარდის სუნთქვაში გსუნთქავ,
თუ ძველად შენი ტოტები შეხმა,
დღეს შენი ნერგი მსოფლიოს უდგას,
დიდებით ხმელეთს გადაჰფენია
მსხმოიარე და შტოებმრავალი
შენი ნაყოფი, შენი გენია,
შენი დიდი მზე ამომავალი.

პატრიოტული ტრადიციებით იშვიათად მდიდარს მთელ ქართულ მწერლობაში გ. ლეონიძე გამოირჩევა ამ უმაღლესი ადამიანური გრძნობის უნივერსალური, ყოვლისმომცველი ძლიერებით. პოეტი მთლიანად და სავსებით არის შთანთქმული ამ გრძნობის სტიქიაში. ,სამშობლოსადმი თავგანწირული სიყვარულის განცდა გამოსჭვივის პოეტის ადამიანური და შემოქმედებითი ბუნების ყოველგვარ გამოვლინებაში. რაზეც არ უნდა წერდეს იგი, რასაც არ უნდა ხატავდეს და უმღეროდეს, მშობლიური ბუნების წარმტაც სურათებს, ჩვენი სახელოვანი წინაპრების უკვდავ სახეებს, თუ თანამედროვე ადამიანის გმირულ საქმეებს, ხალხის საბრძოლო გმირობისა და შრომითი გენიის ეპიზოდებს, თავის მშობლიურ სოფელში, უზომოდ ძვირფას და საყვარელ პატარა პატარძეულში გატარებულ ბავშვობის მოგონებებს, თუ უცხოეთის სივრცეებზე მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, ყველგან და ყველაფერში უპირველესად იგრძნობა სამშობლოსადმი თავდავიწყებული სიყვარულით აღგზნებული მხურვალე გულისძგერა.

ამოუწურავი და უსაზღვროა პოეტის შესაძლებლობანი, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულისა და თანამედროვე ცხოვრების მოვლენებში, ხელოვნების ძეგლებში თუ ხალხის ყოფა-ცხოვრების სურათებში, ადამიანის სულიერი ცხოვრების მოძრაობაში, თუ პოეტურ პეიზაჟებში ხორცშესხმულად და ამაღლებლად, გულის სიღრმემდე ჩამწვდენი ძალით განასახიეროს თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ეს მთავარი აზრი და თემა:

სამშობლოს დროშის შრიალს შევხარი,
ლოდმაგარ ქვიტკირს, აღტაცებული...
მიყვარს სამშობლოს განთიადები,
ქართლის სიმაგრე შეუტეხელი,
მის ლამაზ მიწას ვეალერსები.

გ. ლეონიძის პოეზიის ლირიკული გმირი ჩვენი დროის მოწინავე ადამიანია, რომელიც ცოცხლობს და სუნთქავს თანამედროვეობის გრძნობით, ჩვენი მღელვარე დღეების დრა-

მატიზმით, ეპოქის გარდამქმნელი, განმაახლებელი და ამაღორძინებელი სულით, მისი დიდი ისტორიული მოვლენებით თუ ყოველდღიურობის საქმეებით:

მე მაღრჟოლებს ჩემი დიდი დროება...
დავინახე ცეცხლი ცეცხლზე მოება.
დავინახე, მეხმა როგორ დააპო
საქართველოს საყდრული მყუდროება.
ლეონიძე! ამ დღეებს უდარაჯე,
შენ თუ გასძლებ — შენივ სიტყვის
იმედით...
საათნოვას გაყინულ სუდარაში
ჩარჩენოდა ჭიანურის სიმები...

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ აქ პოეტი თავისი საბრძოლო იდეალისადმი ადამიანის თავგანწირული ერთგულების აზრს განასახიერებს, ხოლო ასეთ იდეალად ამ შემთხვევაში ჩვენი დიდი დროების მასულდგმულებელ იდეებს გულისხმობს.

გ. ლეონიძის პოეზიის ლირიკული გმირის სულიერ სამყაროში განუყოფელია ძლევამოსილი მშენებლობის პათოსი სამშობლოსადმი თავდადებული სიყვარულისა და ერთგულების ნათელი გრძნობისაგან:

სიცოცხლის ქღერა
წვიმის წვეთის ხმაში მსმენია,
ფესვის ჩურჩულში,
არა მარტო დროშის შრიალში,
მშვენიერების,
უკვდავების ტურფა გენია
დამინახია ცისარტყელის დიდ არშიაში,
მე მყვარებია
ლურჯ ყანებში ყაყაჩოები,
მე ვარდიც მიყვარს,
უფრო მიყვარს ქარიშხლის შეხლა,
მაგრამ უმეტეს ოცნებებზე
მე მიყვარს ეხლა
საქართველოში კომუნიზმის ხარაჩოები.

ასე ფართოდ არის გაგებული და გააზრებული გ. ლეონიძის პოეზიაში ახალი სამყაროს მშენებლობის თემა. თანამედროვეობის გმირისათვის არ არსებობს ცხოვრების ცოცხალი სინამდვილისაგან გამოთიშული და განყენებული ესთეტიკური იდეალი, უსისხლხორცო სილამაზის განცდა.

ულამაზესი მხოლოდ ის არის,
ვინც ავსებულა თავის დროს ძალით —
ადიდებული, დამწიფებული,
ყანა, მდინარე, ვენახი, ქალი.
დღევანდელი დღის პასუხმგებელი,
ჩაასვი სიტყვა — ტყვია ტყვიაში!
მიწას არ ახსოვს იყოს პოეტი
გამომწყვდეული კუბოს წყვდიადში.

და რაც კი სუნთქავს დღეს ქვეყანაზე,
რაც სიცოცხლეთი არის ცხოველი:
მიწა, ფოთოლი, ღრუბლის ნაგლეჯი —
შენი სიტყვების ღიმილს მოელის.
შენ გელოდება დასასტამბავად
ათიათასი ჩანჩქრის ბღავილი;
სიჭაბუკე და ლექსი ერთია —
ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი.

ასე ვრცლად და გამოუკლებლივ მოიცავს პოეტის გრძნობა პატრიოტიზმისა, თანამედროვეობისა, მშვენიერებისა ყველაფერს, რაც კი ცხოვრებას, ცოცხალ სინამდვილეს შეადგენს — დროშის შრიალსაც და ცისარტყელას ფერადოვან არშიასაც, ლურჯ ყანებში მოკიაფე ყაყაჩოებსაც და ღრუბლის ნაგლეჯსაც, ჩანჩქერის ბღავილსაც და ულამაზესი ქალის ეშხსაც — ყველაფერს, რასაც ადამიანის საზოგადოებრივი ყოფიერება და მისი სულიერი ცხოვრების მოძრაობა წარმოადგენს.

და მართლაც, გ. ლეონიძის პოეზიაში ქალის მშვენიერებით, ადამიანის უნაზესი გრძნობებით, ბუნების მომხიბლავი სურათებით, თუ დიდი ისტორიული მნიშვნელობის სახალხო მოვლენებით შთაგონებული ლექსების გვერდით ვხვდებით თანაბარი სიწრფელითა და მღელვარებით, თანაბარი ესთეტიკური განცდით წარმოსახულ სახეებს ეპოქის რიგითი ადამიანებისა, რომელთა აზრებსა და საქმეებში დიდი განზოგადოებითი ძალით არის ხორცშესხმული თანამედროვეობის აზრი და შინაარსი. აი, მაგალითად, ლექსში „რაიკომის მდივანი“ როგორ ცხოვრებისეული სიმართლით არის კონკრეტულ, ადამიანურ სახეში და ამ ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობაში გამოხატული შემოქმედებითი გენია ჩვენი ხალხისა, გარდამქმნელი და ამაღორძინებელი სული ჩვენი ეპოქისა:

შენ არაგვივით მოდიხარ,
მოგდგამს სიმაგრის ფესვები,
მუშა ხარ, მწყემსი, მებაღე,
მევენახე და მთესველი.
შვიდას წლის ყამირს გასტეხავ.
ნაოხარს აქცევ ვენახად,
იქ სჭრი საძირკველს,
შენობა
სადაც არავის ენახა.
უდაბურსა და ურწყულსა
ვარდით, ნარინჯით აყვავებ.
მიწა რომ წვიმას შეიწოვს,
მოსავლად გადმოახვავებ.

პოეტი შეჰხარის და უმღერის თანამედროვეობის გმირს, ჩვენი დროების რიგითს ადამიანს, რომელიც უჩინრად და უხმაუროდ ქმნის ქვეყნის სიმდიდრეს და სიუხვეს, თრგუნავს ბუნების სტიქიას, სახეს უცვლის მშობელ ქვეყანას, განამტკიცებს მის ნათელ

აწმყოს და სჭედს კიდევ უფრო ბრწყინვალე ხვალინდელ დღეს. ამ ადამიანის გმირული ხასიათი მის შემოქმედებითს შემართებაში გამოვლინდება და არა გარეგნულ ეფექტებში. ეს გმირი ცოცხლობს ჩვენი ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში, იგი ყოველი ჩვენთაგანის ახლობელია, მეზობელი, ძმა და მეგობარი.

გმირი ჩემი ძმა არი,
ჩემი მეზობელია,
ტოლები და სწორები —
ჩემი ამხანაგები...
მათი რიცხვი ზღვა არი,
ზღვის ზვირთი უთვლელია,
მიყვარს ჩემი ქვეყანა
მათი ხელით ნაგები!
მოიბრძვიან უჩინრად
შრომით დღე ცისმარადი,
მკლავი დაუღლელი აქვთ,
მკერდი კლდესთან შეხლილი,
თუმც ფარი არ უჭირავთ
არ ადგათ მუზარადი,
არ აცვიათ ჯავშანი,
სისხლით გადახეხილი.

მთელი ხალხის ამ ერთობლივ გმირობას, გამოვლენილს საყოველთაო შრომითს შემართებაში უმღეროდა პოეტი ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანი მშენებლობის დღეებში, როცა ახალი სამყაროს მშენებელი ადამიანი ჯერ კიდევ არ იყო ჩამჯდარი ჯავშანსა და მუზარადში. მაგრამ როგორც კი ჩვენს სამშობლოზე მუხანათურად შემოსეულ ფაშისტ დამპყრობელთა სისხლიანი ურდოების შესამუსრავად ერთსულოვნად ამხედრდა საბჭოთა ხალხი, პოეტის გულის ფეთქვა განუყოფელად შეუსისხლხორცდა ქვეყნის გმირულ, საბრძოლო შემართებას. სამამულო ომის წლების ლექსები გიორგი ლეონიძისა საუკეთესო ნიმუშებია ჩვენი პოეზიის მაღალი ხალხურობისა, მისი სისხლხორცეული კავშირისა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებთან, მის გმირულ სულთან, მის უდრეკ, საბრძოლო ნებისყოფასთან. სწორედ სამამულო ომის მრისხანე წლებში შექმნა გ. ლეონიძემ ჩვენი საუკუნის სამოქალაქო ლირიკის ისეთი შედევრები, როგორიცაა „არ დაიდარდო დედაო“, „ჰეი, არწივნო“, „ქართველ ქალს“, „შინმოუსვლელო, სადა ხარ“ და სხვ.

ქართველი ხალხი სიყვარულით იზეპირებდა და მღეროდა სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული ჭაბუკის ლირიკულ მონოლოგს:

ღიმილის ბიჭი ვიყავი,
ბეჭზედ არწივი მეხატა,
ცხრამეტი წლისა შევხრულდი,
ოცი არ გადამეხადა,
სამშობლოს დროშა მეჭირა,
მტერს ვეცემოდი მეხადა!
ვისაც უნდოდა ქართველი
რომ გამხდარიყო ხიზანი,
დავკარი, ვიყავ მართალი,
ვით ჩემი ტყვიის მიზანი...

ამაღელვებლად და ალმაგზნებლად ეთანახმოვანებოდა ომის ქარცეცხლში თავგანწირულად შესული ხალხის სულიკვეთებას, ახლაც ცხოველ გამოძახილს პოულობს ხალხის გულში და მარად მომხიბვლელად იჟღერებს შთამომავლობის მეხსიერებაში ის სიტყვები ამ ჭაბუკისა, რომლითაც იგი გამოთქვამს თავის მზადყოფნას იმისათვის, რომ სამშობლოს მომავალ განსაცდელთა დღეებში გამოანგრიოს სამარის ბჭეები და კვლავ თავგანწირულად დადგეს სამშობლოს უკვდავების სადარაჯოზე:

თუ გაუჭირდა სამშობლოს,
კვლავ ცეცხლით დავიდაგებით,
ჩვენ გამოვამტვრევთ საფლავებს,
ხმლით ქართლის მთებზე დავდგებით.
არ დაიდარო, დედაო.
ნუ მიეცემი სევდასა,
დღეო, გადიდდი, გაიდდი
შვილი ეყრება დედასა!

არა მარტო თანამედროვე ქართულ პოეზიაში, მთელს ქართულ \კლასიკურ სამოქალაქო ლირიკაშიც, რომელმაც ხალხის მებრძოლი სულისა და გმირული თავგანწირულობის გამომხატველი მრავალი უკვდავი ქმნილება გვიანდერძა, იშვიათია ლექსი, რომელსაც ასეთი პოპულარობა მოეხვეჭოს, ასე ღრმად და სამუდამოდ დამკვიდრებულიყოს ხალხის გულში. აზრის სიღრმე, გრძნობის სიწრფელე, პოეტური მეტყველების საშუალებათა საოცარი სისადავე და ბუნებრივობა, სიტყვის ცოცხალი ჟღერა ქმნის ამ ლექსში იმ მაღალ ჰარმონიას, რომელიც შეადგენს ესთეტიკური სრულყოფილების უპირველეს პირობას რეალისტურ ხელოვნებაში.

და ასეთივე გულის სიღრმემდე ჩამწვდომი, მაღალი და უკეთილშობილესი გრძნობების ალმაგზნებელი ძალით ჟღერს ლექსი „ქართველ ქალს“, რომელშიც პოეტი იარაღასხმული ხალხის სახელით თავგანწირული ერთგულების აღთქმას აძლევს ქართველი დედის სიმბოლურ სახეში ნაგულისხმევ სამშობლოს და ამასთანავე გამოთქვამს აღფრთოვანებულ საგალობელს ქართველი დედისადმი:

არვის მისცემენ შენს წმინდა მანდილს,
მტვრიანი ფეხით რომ გადასთელოს;

არ გასწირავენ შენს იავნანას,
კერას, სამშობლოს და საქართველოს!
და არც იქნება, ვინმე, ოდესმე,
შენ ძუძუს მადლში შემოგედაოს, —
რუსთველის დედავ,
სტალინის დედავ,
თავისუფლების ვეფხვთა დედაო!

აი, კლასიკური ნიმუში იმ მაღალი პოეტური ხელოვნებისა, რომელშიც გათვალისწინებულია ჩვენი საუკუნის პოეტური კულტურის ყველა საუკეთესო მიღწევა, მონაპოვარი და სწორედ უდიდესი ოსტატობრივი წრთობისა და დახელოვნების გზით, შთაგონებული შემოქმედებითი შრომის შედეგად არის მიღწეული ის ლაღი, ბუნებრივი ფორმა მხატვრული მეტყველებისა, რომელიც თავისუფლად და დაუბრკოლებლად იკაფავს გზას მკითხველის გულისაკენ.

ასეთია ჯადოსნური საიდუმლოება ჭეშმარიტი პოეტური მეტყველებისა, რომელიც ნაკლებად ექვემდებარება ლოგიკურ ენაზე გადათარგმნას და ახსნას, ნორმატული პოეტიკის კოდექსით დასაბუთებას. გიორგი ლეონიძის პოეტიკა, მისი ლექსის ტექნიკა სპეციალურ ანალიზსა და მონოგრაფიულ შესწავლას საჭიროებს. ქართული პოეზიის მთელ მრავალსაუკუნოვან ისტორიაში გ. ლეონიძის ლექსი მკაფიოდ გამოირჩევა თავისებური მკვეთრი ტონალობით, ვაჟკაცური, მღელვარე მეტყველებით, მაჟორული ჟღერით, ამოუწურავად მრავალჰანგოვანი, იშვიათი პოლიფონიური ხმოვანებით. მისი ლექსი, თავისუფალი ყოველგვარი მანერულობისაგან, ხელოვნურობისაგან, მწიგნობრული შტამპებისაგან, მომხიბლავი ბუნებრივობით, მკაფიოდ თავისებური ინტონაციებით, ყოველთვის ცოცხალი, გამოსათქმელ აზრთან თუ გრძნობასთან, გამოსახატავ საგანთან თუ მოვლენასთან ორგანულად შერწყმული და შედუღებული, შთამბეჭდავად ეუფლება მკითხველის გულსა და გონებას. უღრმესი ემოციური ძალით მკვიდრდება მის სულიერ სამყაროში. პოეტი, რომელიც თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის პირველ წლებში გატაცებული იყო მოდერნისტული ესთეტიკის, დეკადენტური ლიტერატურული სკოლების გავლენებით, თავისი ოსტატობრივი სიმწიფის პერიოდში სისხლხორცეულად დაუკავშირდა ეროვნული კლასიკური პოეზიის ჯანსაღ მემკვიდრეობას და პოეტური ფოლკლორის დაუშრეტელ წყაროებს. შეუძლებელიც არის გ. ლეონიძის სახეობრივი აზროვნების, მისი მდიდარი მეტაფორული ხელოვნების, მოულოდნელი, გაბედული და ყოველთვის მძლავრად შთამბეჭდავი პოეტური შედარებების, მისი აფორისტული გამოთქმების გაგება, ახსნა და ანალიზი იმ უღრმესი ნათესაობის გაუთვალისწინებლად რომლითაც პოეტი უკავშირდება ქართული კლასიკური ლექსის ბუნებას, ეროვნული ხალხური პოეზიის საუნჯეს.

ჩვენი საუკუნის ქართველ პოეტებს შორის გ. ლეონიძე ყველაზე მეტი ინტენსივობით ამდიდრებდა და ანაყოფიერებდა საკუთარ პოეტურ სამყაროს ხალხური შემოქმედების აუმღვრეველი ნაკადებით და ცოცხალი ხალხური მეტყველების ენობრივი სტიქიით.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მკვლევარებს გ. ლეონიძის შემოქმედება აძლევს მდიდარ და ძვირფას მასალას იმ რთული პოეტურ-ლინგვისტური პროცესების შესასწავლად, როცა ხალხური ზეპირსიტყვაობისა და ცოცხალი ხალხური მეტყველების ფორმები უშუალოდ მკვიდრდება სიტყვის ისეთი ხელოვნის, პოეტური ფრაზის ქსოვილში, რომელსაც გავლილი აქვს თხუთმეტსაუკუნოვანი ეროვნული მწერლობის დიადი სკოლა და მსოფლიო პოეტური კულტურის მონაპოვართა ზეგავლენა. ძალდაუტანებელი, ბუნებრივი, თითქოს „ხელთუქმნელი“ და სტიქიური მდინარება გ. ლეონიძის ლექსისა მიღწეულია ენის სტიქიასთან შეუნელებელი ბრძოლისა და ჭიდილის შედეგად, მშობლიური ენის უღრმეს წიაღებში წვდომით, მისი ლექსიკური მარაგის სრული დაუფლებით. იშვიათი გულმოდგინებით ამოაქვს პოეტს სიტყვის მადანი ამ წიაღებიდან, გამახვილებული პოეტური სმენით შეარჩევს სიტყვას, აძლევს მას ახალ ესთეტიკურ ღირებულებას, ახლებურ ჟღერას და ელფერს, აფართოებს მის სემანტიკურ ფარგლებს და რაღაც უხილველი ჯადოსნური ხელოვნებით განალაგებს მათ პოეტურ ფრაზაში, ლექსის მწყობრ აღნაგობაში. გ. ლეონიძის მკვრივი ძარღვიანი, ხატოვანი და ჟღერადი პოეტური ფრაზა დიდი და ძვირფასი შენაძენია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისა. ასეთივე ნაწრთობი ხელოვნებით, ფერმწერელის ნამდვილი შთაგონებით და ოსტატობით აზავებს პოეტი ფერებსა და საღებავებს თავის იშვიათად მეტყველ პოეტურ პეიზაჟებში, რომლებითაც არა მარტო მშობლიური ბუნების მომხიბლველ სურათებს ხატავს, არამედ ამასთანავე ეპოქის გმირის მაღალ პატრიოტულ მისწრაფებებსაც განასახიერებს.

გიორგი ლეონიძისათვის უცხოა და მიუღებელი ლექსის თვითმიზნური ესთეტიკური დანიშნულება, მის უხვსა და მრავალფეროვან პოეტურ შემოქმედებაში ჩვენ ვერ ვიპოვით სტრიქონს, რომელიც შთაგონებული არ იყოს რაიმე დიდი სახალხო მნიშვნელობის აზრით და მისწრაფებით, რაიმე ნათელი, კეთილშობილური, ადამიანური გრძნობით, სპეტაკი, მორალური წარმოდგენებით.

მთელი ეს მრავალმხრივი და მძლავრი პოეტური ნიჭიერება, თავისი ოსტატობის მთე-

ლი ძალა და მშვენება პოეტს მთლიანად და სავსებით მიუძღვნია იმ მაღალი პატრიოტული იდეალისადმი, რომელშიც, როგორც ფოკუსში, თავს იყრის და ერთიანდება მისი შემოქმედების თემატიკის მთელი სიუხვე და მრავალმხრივობა. მაგრამ სამშობლო პოეტისათვის არის არა მარტო მშობელი ქვეყნის მიწა-წყალი, არა მარტო და არა იმდენად მისი სახელოვანი და საამაყო ისტორიული ცხოვრება, რამდენადაც დღევანდელი დღე, ხალხის სასიცოცხლო და საბრძოლო ინტერესები, მისი მასულდგმულებელი ნათელი იდეალები.

მიწავ, აყვავდი, დაისხი, ვაზო,
გულო, ამღერდი, გაიწკრიალე,
იმ დროშისათვის სიცოცხლე ვრაზმოთ,
რომელიც ახლა ქართლზე ფრიალებს...

ახალი ქართლი, ახალი საქართველო, ხალხის ხანგრძლივი, თავდადებული ბრძოლით, უამრავი სისხლისა და მსხვერპლის საფასურით მოპოვებული დიდი სოციალური და ეროვნული თავისუფლება, ხალხის ტიტანური შრომით აშენებული და დამკვიდრებული ნათელი აწმყო ჩვენი ქვეყნისა — არის უპირველესი საგანი პოეტის სიყვარულის, მისი შთაგონების უპირველესი წყარო.

ახალო ქართლო, მიწავ ქართლისა,
შემოვეფარე შენს სიმართლესა,
შენს საფარველსა ვარ მონდობილი...
ცოტა მაჩუქე ღალა და ზეთი.
ეგებ ავანთო სინათლის წვეთი,
ჩემი გულიდან გადმოდნობილი...
მე ჩავისუნთქე შენი მზის სითბო,
დე, გულის ოქრო დამიბადაგოს,
დე, მან დაფერფლოს გული, დადაგოს,
თავისუფლების დროშის ქადაგო,
ახალო ქართლო, მიწავ ქართლისა,
ჩემო დიდებავ, სანიადაგო!

ამ თავის უმაღლეს და სანიადაგო იდეალს პოეტი ხან უშუალო, პუბლიცისტურად გამძაფრებულ პოეტურ ფრაზაში გამოთქვამს, რომანტიკულად ზეაწეულ მღელვარე ტირადებში, ხან უცდომელი ფერწერული ხელოვნებით შესრულებულ პეიზაჟებში, ხან კიდევ ყოფა-ცხოვრების კოლორიტულ სურათებში, ჟანრულ ჩანახატებში. ასეთია გ. ლეონიძის პოეტური ხილვისა და მეტყველების ფორმათა და გამომსახველობის საშუალებათა დიაპაზონი. მთავარი ის არის, რომ ყველგან და ყოველთვის პოეტის სიტყვა და ნახატი გულწრფელია, უშუალოა, პოეტის მიერ ღრმად განცდილი და ნაგრძნობია. ამიტომაც მისი ლექსი არასოდეს არ ახდენს რიტორიულობისა და მშრალი მსჯელობითობის, დოქტრინიორობის შთაბეჭდილებას.

ახალი საქართველოს ყოფა-ცხოვრების, ხალხის შემოქმედებითი შრომის დიად მონაპოვართა ტიპიური სურათების წარმოსახვისას პოეტი ხშირად მიმართავს წარსულის კოშმართა გახსენების, კონტრასტისა და დაპირისპირების ხერხს. მაგალითად, ლექსში „ჩართულია უკვე დენი“, რომელიც მიეძღვნება პოეტის მშობლიურ სოფელში პატარძეულში ელექტროსადგურის ამუშავებას, ვიდრე სოფლის ცხოვრების ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას დაგვიხატავდეს, ავტორი ჯერ თვალწინ გადაგვიშლის შემაზრზენ სურათს იმ სიბნელისა, უმეცრებისა და სიღატაკისა, რომლის წყვდიადშიც ცხოვრობდა ეს სოფელი საუკუნეთა მანძილზე:

მე სოფელი ძველებური
წამით ისევ დავინახე,
შერუჯული, შეკომლილი,
შებოლილი მისი სახე.
... სანთლის ღვენთი პარპალებდა
შავ ხატის წინ მოხამხამე,
ღამე იწვა სამშობლოზე,
ქართლს უჭერდა ყელში ღამე.

ასეთი ფონი ფსიქოლოგიურად ამზადებს მკითხველს იმისათვის, რომ უფრო მღელვარედ განიცადოს ხალხის ცხოვრებაში დამკვიდრებული ახალი ყოფის ნათელი:

შრომის, ძმობის ნათელს ვაშა!
აჩახჩახდა სოფლის ღამე!
მზის თვალი და ნათლის ჩქერი .
ჩვენს შრომაში იკამკამებს!
შორს ჩანჩქრები გრიალებენ,
შხეფით მთასა მყვირალები.
ჩემი ქვეყნის ღიმილს ვხედავ,
ვარდულ შუქის ბრწყინვალებით,
ჩართულია უკვე დენი!
სოფელს დასდის ნათლის თქეში,
ჩართულია ღამე დღეში...
გაუმარჯოს ჩემს ხალხს ძლიერს
სიხარულსა, სიცოცხლეში!

თანამედროვეობის ასეთი კონკრეტულ-ყოფითი სურათებიდან პოეტი გადადის ეპოქის ისეთ უდიდეს და ურთულეს თემაზე, როგორიც არის ვ. ი. ლენინის შესანიშნავი ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის თემა. ამ დიადი თემისადმი მიძღვნილი ლექსები გ. ლეონიძისა ქართული პოეტური ლენინიანის საუკეთესო მონაპოვართა რიცხვს მიეკუთვნება. აქაც მთელი სისავსით იჩენს თავს პოეტის მხატვრულ შესაძლებლობათა და მიდრეკილებათა მრავალფეროვნება. ერთ შემთხვევაში იგი პუბლიცისტური უშუალობით აშუქებს თემას, ბელადის მავზოლეუმ-

ში მიღებული შთაბეჭდილებებით გამსჭვალული მიმართავს ჩვენი ეპოქის უკვდავ და მარად დაუძინებელს, მუდამ მოძრავს, მოქმედსა და მებრძოლ გენიას.

თუ გძინავს, ჰლვიძავს შენს სახელს,
უფხიზლესს ქარიშხალისა,
თუ გძინავს, ჰლვიძავს შენს საქმეს,
უმხნესს მოქნეულ ხმალისა!
თუ გძინავს — ფხიზლობ ყველასთვის,
თავს დაგვტრიალებ არწივად,
გძინავს, შენი ხმა გუგუნებს,
სიცოცხლე გაგვიხანგრძლივა!

მეორე შემთხვევაში კი ლენინის უკვდავი აზრისა და საქმის საყოველთაო და გარდაუვალ ცხოველმყოფელობას პოეტი განასახიერებს გონებამახვილური, ორიგინალური შემოქმედებითი ჩანაფიქრის ნიადაგზე აგებულ ლექსში „ლენინი საქართველოში“, სოფლის სკოლის ახალგაზრდა მასწავლებელი ლენინის წიგნის კითხვისას გამოთქვამს თავის სევდას იმის გამო, რომ მშრომელი კაცობრიობის გენიოსი. ყოველი ხალხისა და კერძოდ ქართველი ხალხის უდიდესი ქომაგი და მფარველი არასოდეს ყოფილა საქართველოში:

არასდროს თურმე საქართველოში
არა ყოფილა სტუმრად ლენინი!
გინდაც ერთი დღით,
გინდაც შემთხვევით,
უცბად, გზაგავლით ჩამოფრენილი.
არც ჩვენი პური გაუტეხია,
არც სიმღერები ჩვენი სმენია,
ის ჩვენს ხეებს ქვეშ არ ჩამომჯდარა...
ჩვენთან არასდროს დაუსვენია!

ახალგაზრდა მასწავლებელს არ ეთანხმება და ეპაექრება სკოლის დარაჯი მოხუცი კახა, რომელსაც სწამს და სჯერა, რომ ქართველი მშრომელი ხალხის, ყოველი მშრომელი ადამიანის ბედი, მისი თავისუფლება და ბედნიერება უშუალოდ არის დაკავშირებული ლენინის შეუდარებლად ძვირფას სახელთან:

— მე შევესწარი! მე ვარ დამხდური!
მე მინახია... ჩვენში ყოფილა!
განა ის ყველას ქოხში არ იყო,
როცა ხალხს ბნელი დაამხობინა?
ის მეც მიცნობდა, მას გეფიცები,
ჩემი ცხოვრება ზეპირ იცოდა...
წითელ დროშიდან ძმური ღიმილით
ხელი საშველად გამომიწოდა.

გ. ლეონიძის დაბადების 50 წლისთავის საიუბილეო დღეებში სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მოსალოც ბარათში პოეტს მრავალეროვნული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელი უწოდეს. და, მართლაც, გ. ლეონიძემ ძვირფასი წვლილი შეიტანა სოციალისტური ლირიკის საუკეთესო ტრადიციათა გამომუშავებისა და დამკვიდრების საქმეში. ეს ტრადიცია კი, პოეზიის მაღალ იდეურობასა და ხალხურობაში მდგომარეობს, დაუცხრომელი ნოვატორობის შეხამებაში წარსულის ჯანსაღ მემკვიდრეობასთან, განუყოფელ, სისხლხორცეულ ურთიერთობაში სინამდვილესთან, ხალხის ცხოვრებასთან.

ჩვენი დიდი კლასიკოსებისა და თანამედროვე მსოფლიო პოეზიის უპირველესი ოსტატების მსგავსად, გიორგი ლეონიძე დაძაბული და გამძაფრებული ყურადღებით თვალყურს ადევნებს თავისი ქვეყნის ცხოვრებას. უსმენს ხალხის გულის ცემას და ცხოვლად ეხმაურება ეპოქის ყველა უმნიშვნელოვანეს მოვლენას. მას ძალა შესწევს ხალხის ყოველი საზრუნავი, ტკივილი თუ სიხარული გამოატაროს საკუთარ სულიერ სამყაროში, აქციოს პირად განცდად და გრძნობად და ასე შეადუღოს ერთმანეთთან თავის ლირიკულ ქმნილებებში პირადული და სახალხო მისწრაფებანი. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თითქოს გ. ლეონიძე ვიწროდ გაგებული „ყოველდღიურობის“ პოეტი იყოს, რომ მისთვის უცხო და მიუწვდომელი ყოფილიყოს ზოგადკაცობრიული თემატიკა და პრობლემატიკა, ე. წ. „ფილოსოფიური ლირიკის“ ჰორიზონტები. გ. ლეონიძის დიდი შესაძლებლობანი ამ სფეროში შეიძლება ნათლად წარმოვიდგინოთ თანამედროვე ქართული პოეზიის ისეთი შედევრის მიხედვით, როგორიც არის მისი ლექსი „ოლე“. აქ პოეტმა მიაღწია ჭეშმარიტად ვაჟა-ფშაველასებურ ძალას ბუნების მოვლენათა გაცოცხლებისა და გასულიერებისა დიდი ადამიანური აზრითა და გრძნობით. ლიახვის პირად, ფრიალო კლდეზე, ცისა და ქვეყნის შორის განმარტოებულად გამოკიდული ნამეხარი და გამომხმარი ხე ოლე დიდი განზოგადებითი ძალის სიმბოლური სახეა, რომელიც შემზარავი სიმძაფრით და სიმწვავით გამოხატავს მარტოობისა და სულიერი ობლობის, გაუხარელი, უთვისტომო არსებობისა და უნაყოფობისათვის განწირულების ტრაგედიას:

დგეხარ, როგორც სახრჩობელა,
თვით გახრჩობენ მთები,
დაკიდებულ არწივს ჰგევხარ,
მომსხვრეული ფრთებით.
რაშო, მიწას მიჭედილო,
ველარ აიქროლე:
პარტახო და ნამეხარო,
მარტოხეო, ოლე!

მაგრამ ეს როდია ურწმუნოებისა და სასოწარკვეთილების საგალობელი. ასეთი ულმო-

ბელი და თითქოს უნუგეშო განწირულების შემთხვევაშიც პოეტი ეძიებს და პოულობს არსებობის აზრს, ბრძოლისა და მოქმედების შესაძლებლობას, ცხოვრებისათვის, ხალხისათვის საჭირო და სასარგებლო დანიშნულების მოპოვების პერსპექტივას:

რაშო, მიწას მიჭედილო,
გასჭერ, აიქროლე,
მარტოობის ართახები
გადახიე, ოლე! —
რომ სთქვა:
გული თუ მტკიოდა,
ახლა აღარ მტკივა,
რომ ლიახვის რძიან ქაფში
შემოცურდე ტივად,
რომ გაგჩარხო და გაგთალო,
როგორც წმინდა ბროლი,
რომ შენ იყო ჩემს დარბაზში
შუაბოძის ტოლი,
რომ გრძელ ტივებს მიუძღოდე,
ხეთა წინამძღოლი!

აი, როგორ მაღალ პოეტურ რეგისტრებში აშუქებს გიორგი ლეონიძე დიდ ზოგადადამიანურ, ზოგადკაცობრიულ თემებსა და პრობლემებს, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში პოეტი ისწრაფვის ასეთი განზოგადებითი მნიშვნელობის პოეტური აზროვნებისათვის მიმართოს ხალხის თანამედროვე თუ ისტორიული ცხოვრების რეალურ მოვლენებს, კონკრეტულ სოციალურ სინამდვილეს.

როგორც კი ადამიანი კოსმოსში გაიჭრა და გეზი აიღო მთვარისკენ, პოეტი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ამ პირველხარისხოვან მოვლენას გამოეხმაურა ლექსით „ამოდის მთვარე, საყვარელო“. აქ ერთიან პოეტურ სახეში გამოთქმულია ნათელი და მსუბუქი სევდაც მთვარის რომანტიკულ განცდასთან დაკავშირებული წარსულის პოეტური ტრადიციის დასრულების გამო და თანამედროვე ადამიანის სიამაყეც, გამოწვეული მეცნიერული აზრის გამარჯვებით ბუნების ყოველგვარ საიდუმლოებაზე:

გადიხსნა ჩვენს წინ ლაჟვარდები
სერაფიმული...
აჰა, ბულბულის ბაირაღი ჩამოხსნილია,
ზედ მაძიებელ ამირანის დროშა
ბრიალებს!
მთელი სამყარო გულის ცეცხლმა
გადაანათა,
მთელი სამყარო ოცნებებში გვყავს
მომწყვდეული,
მძინარ ქარიშხლებს ეღვიძებათ, ფრთები
აისხეს,
და მარტო მთვარე? უამარი, მწყობრი
მრავალი,
ათასი მთვარე ოცნებებში გვყავს
დაპყრობილი,
ადამიანის დიად აზრით დალოშქრებული...
გულისთქმა ჩვენი კიდევ იქით უძიებს
სადგურს!
ახალ იმედით, ახალ ცეცხლით ვარვარებს
მთვარე,
როგორც ახალი საუკუნის ტრიუმფატორი.
ამოდის მთვარე, საყვარელო, მთვარე
ამოდის!

ასე წარუძღვა წინ მთვარის დასაპყრობად ამხედრებული ადამიანის გონებას ეპოქის ნათელი აზრით შთაგონებული პოეზია, ასე დაასწრო პოეტურმა ოცნებამ რეალური სინამდვილის მოძრაობას.

ეს ლექსი გამონაკლისი როდია გ. ლეონიძის შემოქმედებაში, როდესაც იშვიათად კეთილხმოვანი რითმის ეს შესანიშნავი ოსტატი განზრახ უარს ამბობს — ლექსის ამ სამკაულზე რათა სახეობრივი აზროვნების სხვა, ასე ვთქვათ, „შინაგან“ კომპონენტებზე გადაიტანოს მკითხველის ყურადღების სიმძიმის ცენტრი. საერთოდ გ. ლეონიძის პოეტური ბუნებისათვის დამახასიათებელი მძაფრი მგრძნობელობა, შინაგანი მღელვარება, დაძაბული ემოციურობა ხშირ შემთხვევაში არღვევს ხოლმე პოეტური ტექნიკის ნორმატულ ჯებირებს. ერთი შეხედვით, პოეტი ასეთ შემთხვევაში თითქოს იადვილებს შემოქმედებითს ამოცანას. მაგრამ სინამდვილეში ასე როდია. პირიქით, პოეტი ამგვარ შემთხვევებში განზრახ გვერდს უვლის ლექსის გარეგან სამკაულებს და მათს დაუხმარებლად აღწევს პოეტური აზრის განსახიერების მაღალ ხელოვნებას, მით უფრო ძნელსა და რთულს, რაც უფრო განტვირთულია იგ მხატვრული ოსტატობის ტრადიციული ხერხებისა და საშუალებებისაგან.

გიორგი ლეონიძის ფართო და მდიდარ პოეტურ სამყაროში განუყოფელი ორგანულობით არის ერთმანეთთან შერწყმული ჩვენი სამშობლოს დღევანდელი ნათელი სინამდვილისა და მისი დიდი ისტორიული წარსულის მღელვარე პატრიოტული განცდა. ქართველი ხალხის იშვიათად ტრაგიკული, მაგრამ ასევე იშვიათად გმირული და საამაყო მრავალსაუკუნოვანი ისტორია გაცოცხლებულია გ. ლეონიძის პოეზიაში თავისი უმნიშვნელოვანესი მოვლენებისა და უდიდესი პიროვნებების, სახელმწიფო მოღვაწეებისა და მხედართმთავრების, პოეტებისა და ხუროთმოძღვრების თუ რიგითი მშრომელი ადამიანების სახით, იმ ადამიანებისა, რომელთა გმირულ მკლავს, მშრომელ მარჯვენას, თუ შემოქმედებითს გენიას გაუძლია ბედის ყოველგვარი უკუღმართობისათვის, ათასჯერ და ათიათასჯერ აღუდგენია დამპყრობელთაგან დანგრეული და

გაპარტახებული საქართველო, უშენებია, დაუცავს და ჩვენს ნათელ საუკუნემდე მოუტანია იგი. ამ უკვდავი წინაპრებისადმი ერის განუზომელი მადლიერებითა და სიყვარულით არის შთაგონებული გ. ლეონიძის მრავალი საუკეთესო ლირიკული ქმნილება და ყველა მისი ეპიკური ნაწარმოები.

პოეტის ისტორიული კონცეფცია, მისი მისწრაფება ჩვენი დღეების სიმაღლიდან, თანამედროვე ადამიანის აზრთა და გრძნობათა თვალსაზრისით ხედავდეს და აცოცხლებდეს ისტორიულ წარსულს, შესანიშნავად არის განხორციელებული ლექსში „წინაპრებს“:

თქვენ საფლავებზე ვდგევართ ამაყად,
ერთპირ, ერთსიმხნით, ერთძლიერებით,
ჩვენს მზეს ვუყურებთ გაჩახჩახებულს,
მისი ნათელით ბედნიერები!

ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პოეტი მთელი არსებით იყოს გადასული შორეული წარსულის წიაღში, თითქოს ეს წარსული, როგორც ცოცხალი რეალობა, შემოსულიყოს პოეტის სულიერ სამყაროში და განუყოფელად დაუფლებოდეს მის აზრსა და გრძნობას. მაგრამ არა! გ. ლეონიძის პოეზიის ლირიკული გმირი არასოდეს არ გამოეთიშება ჩვენს თანამედროვეობას, ჩვენი დროების მაჯისცემას, მისი ნათელი იდეალებისა და დიადი საქმეების სამყაროს.

მე ვკითხულობდი ქართლის ცხოვრებას
წუხელის, დიდხანს, გათენებამდი,
როგორ გლეწავდნენ, ჩემო ქალაქო,
სისხლით მოედნებს როგორ ღებავდი!
გამოვვარდები, ხარ თუ აღარა,
კიდევ გაისმის ქუჩებში ჩხა?
ვხედავ შენს სახლებს, ვხედავ შენს
აბრებს,
და მიხარია, რომ ისევ დგეხარ!
შევხარი დილის ორთქლიან პურებს,
ახალ სართულთა წითელ აგურებს,
ვარდის საპალნეს ტაბახმელიდან,
და მას, —
იმ ვარდებს ვისაც არგუნებ!

თანამედროვეობის ასეთი შეუნელებელი განცდით შედის პოეტი ისტორიული წარსულის წიაღში და ახალ სიცოცხლეს შთაბერავს სვეტიცხოველს და ვარძიას, უჯარმისა და დავით გარეჯის ნანგრევებს, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის, ჯაფარასა და ფანასკერტელის სახეებს.

ჭეშმარიტი, მაღალი პოეზია, პირველ ყოვლისა, იმით ხასიათდება, რომ მას შეუძლია გამოთქვას ხალხის საერთო აზრი და გრძნობა, მისცეს მას ცოცხალი, განუმეორებელი, თავისებური სახეობრივი ხორცშესხმა. პოეტური ხელოვნების ასეთი სიმაღლეა მიღწეული გ. ლეონიძის ერთ-ერთი ლირიკულ შედევრში „დიდ თამარს“:

როგორც არ არის ორი მზე ცაში,
ისე ერთი ხარ ქართლში თამარო,
ისე ერთია რუსთველის გული,
შენის ნათელით ნათამამარი.
შენ გაჰკარ ელვა შოთას სულისა,
დღეს რომ მსოფლიო გადაანათა,
რაც გულს ენთება, რაც ელმერთება,
უფრო ბრწყინვალებს თანისთანადა.
ზღვიდან ზღვათამდე ზღვართა დამდებო,
სამშობლოს მახვილს სხივად მოება —
შენი ღიმილი, შენი ლეჩაქის
წმინდა ნაჩრდილის უმანკოება.

და აქაც, საქართველოს ისტორიის ამ უდიდესი, ერის მიერ სამარადისოდ აღიარებული და განუზომელად შეყვარებული პიროვნების სადიდებლად აღვლენილ ამ საგალობელშიც პოეტი განსაკუთრებულად გამძაფრებული გრძნობით უკავშირდება ჩვენი დროების მგზნებარე დღეებს, ხალხის სადღეისო სასიცოცხლო ინტერესებს. იგი მიმართავს დიდ თამარს:

მკერდზე შეიტკბე დღესაც შვილები,
სამშობლოსათვის მწარე ჭრილობით,
რადგან არ გვიყვარს, არც გვყვარებია
მონის სიცოცხლე შიშმორჩილობით.
არ ცვდება ხმალი საქართველოსი,
ვით შენი შუქი არ გაცივდება,
და შენი ლამაზ ხელით ნარწევი
ბრწყინავს აკვანი, ქართლის დიდება!

ეს ლექსი სამამულო ომის მრისხანე დღეებში იწერებოდა, იგი 1941 წლით არის დათარიღებული და გასაგებია, თუ როგორი აღმაგზნებელი და საბრძოლო აღმაფრთოვანებელი გამოძახილი უნდა ეპოვნა ხალხის გულში ჩვენი სამშობლოს გმირული ისტორიის განმასახიერებელ ამ დიდებულ სახეს. ამ სტრიქონებში ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ პოეტის მაღალ მეტაფორულ ხელოვნებას. საქართველოს დღევანდელი დიდება, ძალა და მშვენიერება აქ გამოხატულია თამარის ლამაზი ხელით ნარწევი აკვანის მეტაფორულ სახეში. პოეტური ბგერწერის ლეონიძისეული ოსტატობა, ალიტერაციის ხერხი („ზღვიდან ზღვათამდე ზღვართა დამდები“) აქ ისე ბუნებრივად არის ჩართული ლექსის სიტყვიერ ქსოვილში, რომ თითქოს არც კი იგრძნობა. აქვე აღსანიშნავია გ. ლეონიძის პოეტიკის ერთი დამახასიათებელი თავისებურება, სიტყვათქმედობა, მისი მისწრაფება, რომ პოეტური განზრახვის უფრო სრულად განხორციელებისათვის ახლებური ჟღერა მისცეს ლექსიკურ მასალას, ახლებურად დაამუშაოს სი-

ტყვა (ნათამამარი, შიშმორჩილებით და სხვ.). ამ მხრივ გ. ლეონიძის პოეტური მეტყველება მრავალ საყურადღებო ცდასა და მიღწევას შეიცავს.

დაუცხრომელი შთაგონებით უმღერის გ. ლეონიძე ქართველი ხალხის შემოქმედებითს გენიას, წარსულის დიდ ოსტატებს:

ვინ დაგვიტოვა უკვდავნაგები
ციხე-კოშკები სისხლით სოველი:
დიდი ტაძრები ნაქანდაკები,
ღვთიურ ჩუქურთმით გამოქსოვილი!
იქ ვინ აზიდა ქვაკუთხედები,
სადაც არც კი ჩანს ნაბილიკარი,
იქ ვინ დაჰკიდა კამარედები,
ერთი ვაზიდან გათლილი კარი?
ვინ გამოჰკვეთა ნუკრი მწოვარი,
მტევნები, მტრედი გამომფრინალი,
ფასკუნჯის ფრთებქვეშ ვეფხვი
                              მწოლარი,
ჩასაფრებული, როგორც ფირალი!

რამდენი რამ დაწერილა და თქმულა ქართველი ხალხის სულიერი შემოქმედების უმაღლესი მწვერვალის, უკვდავი „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი გენიალური ავტორის შესახებ. მაგრამ მხოლოდ გ. ლეონიძეს შეეძლო ასეთი მღელვარე გრძნობით, ასეთი აზროვბრივად ალსავსე მეტაფორული ენით გამოეთქვა ჩვენი აღტაცება და სიყვარული, სიამაყე და მადლიერება რუსთაველის უჭკნობი ქმნილებისადმი:

ხელში აგიღებ, გაკოცებ,
კიდევ ჩაგკოცნი...
   ჩაგცქერი:
წიგნი კი არა — ქრეოლა ხარ
ჩამოქაფული ჩანჩქერის.
წიგნი კი არა, ბალი ხარ,
ოქროს ცვარჩამოწვეთილი,
გაშლილი ბაირაღი ხარ,
ლექსის ფრთა გაუცვეთელი!
წიგნი კი არა — დილა ხარ,
ქართველი ხალხის ნათელი.
გულის ფესვებში გინახავ,
გულში ხარ გამონათალი.

რამდენად განუმეორებლად თვითმყოფი, ლეონიძისებურია ამ ლექსის მთელი სახეობრივი წყობა, ყოველი ფრაზა და სიტყვა, რიტმი და მეტრი. ესოდენ ტრადიციული, მაგრამ ესოდენ სახეშეცვლილად, ახლებურად, თავისებურად გაცოცხლებული და ამეტყველებული. თანამედროვეობის ჭეშმარიტი პოეტი არ შეიძლება თავს არ გრძნობდეს ჩვენი დიდი ეროვნული კლასიკური მწერლობის ღვიძლ მემკვიდრედ, მის მოდგმად, მის გამგრძელებლად. მემკვიდრეობის ეს გრძნობა გამოსჭვივის გ. ლეონიძის მთელს შემოქმედებითს ცხოვრებაში და, კერძოდ, დიდი ქართველი მწერლების — დავით გურამიშვილისა და სულხან-საბა ორბელიანისადმი, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძისადმი, აკაკი წერეთლისა, ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგისადმი მიძღვნილ ლექსებში. ეს ლექსები ჩვეულებრივი საიუბილეო, კალენდარული, სახოტბო-დეკლარაციული ნაწარმოებები როდია. არა! მათში მაღალი შთაგონებით არის განსახიერებული დიდი და ღრმად მნიშვნელოვანი აზრი, შემოქმედებითი მემკვიდრეობის რწმენა და შეგნება. მაგალითისათვის საკმარისია თუნდაც ასეთი სტრიქონები ლექსიდან „ნიკოლოზ ბარათაშვილს“.

გარს შემოგერტყით ახალი მოდგმა,
შენი სიმღერის ცრემლნასხურები;
შენს საგუბარზე ვინც გამოვზრდილვართ,
ახალ ქართლის ბედს ვემსახურებით.
და ჩვენ ვემთხვევით ფერფლს
                              აელერებულს
და არა მტვერსა და მოჩვენებას, —
შენს დაბმულ ქროლვას დაბორკილებულს
და შენს დალურსმულ გამოჭენებას...

ასე ყველგან და ყოველთვის ისტორიული წარსულის მოვლენები, ჩვენი დიდი წინაპრებისა და წინამორბედების ნათელი სახეები გ. ლეონიძის პოეზიაში გაცოცხლებული და წარმოსახულია ჩვენი სინამდვილის ატმოსფეროსთან, თანამედროვეობის გმირის აზრთა და გრძნობათა სამყაროსთან განუყოფელ ერთიანობაში.

გ. ლეონიძის პოეზიის პატრიოტული სულისკვეთება ღრმად არის გამოხატული მის შესანიშნავ პეიზაჟურ ლირიკაში. პოეტური ფერმწერლობის ბრწყინვალე ოსტატობით ხატავს გ. ლეონიძე მშობლიურ ქვეყნის ბუნების სურათებს და მათში აქსოვს სამშობლოსადმი აღტაცებული სიყვარულისა, სიამაყისა და ერთგულების გრძნობებს. მთელი საქართველო, მისი მრავალფეროვანი ლანდშაფტები, ქართლის ბაღები, თბილისის განთიადები, ივერიის ღამე, აფხაზეთის და აჭარის თავისებურად განუმეორებელი სილამაზენი, გაზაფხულის მოზეიმე ბუნება და ზაფხულის ქართული მზის მცხუნვარება, შემოდგომის ბარაქიანი გრილი დღეები და „პირველი თოვლის სიმღერაში“ დახატული ზამთრის რომანტიკა — ყოველივე ეს, საქართველოს ყოველი კუთხე, ქართული მიწის ყველა მტკაველი იშვიათი ფერადოვნებით არის წარმოსახული გ. ლეონიძის პოეზიაში. და ყოველი ეს სურათი აღბეჭდილია პოეტის მღელვარე გრძნობით, დიდი მოქალაქეობრივი აზრით, სპეტაკი ადამიანური განცდით. აი, პოეტური

მხატვრობის, მეტაფორული აზროვნების, ფრთასხმული ფანტაზიისა და გრძნობის სიწრფელის როგორი განუყოფელი შენადნობია ლექსში „ივერიის ღამე“:

ისევ აყვავდა გული ვარდივით,
და ისევ მინდა შენზე დავწერო...
დარიალიდან გადავარდნილი
ხაზარეთისკენ მისცურავს წერო.
დახანძრებული წევს ივერია,
მტკვარზე წნორები უკრავენ თარებს,
მეტივეები სადღაც მღერიან,
სოფლის გუბეში გაჩრილა მთვარე...
სთვლემენ ბეღლებში ლურჯი ყანები,
ელვარებს ხვავი, თითქოს ლამპარი,
ჩალაგდენ ყველა ჩინგისხანები...
სთქვი, მეწისქვილევ, ერთი ზღაპარი.

გ. ლეონიძისათვის უცხოა ბუნების მკვდრული, უსიცოცხლო სურათების მხატვრობა. მშობლიური კახეთის ბუნების მომხიბვლელ მხატვრობაშიც, თბილისისადმი მიძღვნილ მღელვარე ლექსებშიც, ქართლის პეიზაჟებშიც იგი აქსოვს ისტორიული რემინისცენციებით, თუ ხალხის სადღეისო აზრებისა და განცდების მიერ წარმოშობილ გრძნობებსა და განწყობილებებს. გ. ლეონიძის პეიზაჟური ლირიკის შესახებ მსჯელობისას არ შეიძლება არ გავიხსენოთ „ქართლის ბაღი“ — ეპოპეიდან „ბავშვობა და ყრმობა“:

ბრწყინავს ქართლი — ვარდის ბაღი,
შეფრქვეული მინანქარით,
იაგუნდის წვიმა დასწვიმს,
სურნელების დაჰქრის ქარი!
ელავს ბაღი — ხოხბის ყელი,
შვიდ მაისის წვიმით მთვრალი,
მთებს და ველებს დასთამაშებს
გაზაფხულის მწვანე თვალი...
რძე, კოკორში მოწოლილი,
ქონავს ყლორტში ყოველ მხრიდან;
თითქოს ქალი სარკმელიდან —
იყურება ვაშლი ხიდან.
ჰგავს ალვის ხე თეთრ ჩოხაში
საქორწილოდ მორთულ სიძეს,
და ატამი — ტურფა ყმაწვილს,
აკვანში რომ გაიღვიძებს.

ასე მრავალფეროვნად და მრავალმხრივად არის წარმოსახული გ. ლეონიძის პატრიოტულ ლირიკაში ქართველი ხალხის დღევანდელი ცხოვრება, ისტორიული წარსული, საქართველოს წარმტაცი ბუნება. მაგრამ პოეტის თვალთახედვა მარტო საქართველოთი როდია შემოფარგლული. მან დაგვიტოვა დიდი მოქალაქეობრივი ჟღერის მრავალი პოეტური ქმნილება, რომლებშიც განსახიერებულია ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურღვევი ძმობისა და მეგობრობის წმინდა გრძნობა. გამოთქმულია ქართველი ხალხის სიყვარული და ერთგულება მოძმე საბჭოთა ერებისადმი, მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხისადმი. გ. ლეონიძემ გრძნობის სიწრფელით და აზრის სიღრმით აღბეჭდილი ლექსები მიუძღვნა სომხეთისა და აზერბაიჯანის პოეტებს, მოძმე უკრაინას, ვლადიმერ მაიაკოვსკის და ნიკოლოზ ტიხონოვს, დიდ რუს ხალხს.

და თუ გაბედავს, წამოვა
თავისუფლების ამკლები,
დიდ რუსის ხალხთან მხარდამხარ
ჩვენს საზღვრებს მოვეფარვლებით!
ძირს ჯავშანს შევაჟღრიალებთ,
მაღლა მფრინავებს ავყვებით,
ხმალს გადავაბამთ ხმალზედა,
მტერს გულში დავეჯახებით

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, განახლებულ უნგრეთში, გერმანიაში, პოლონეთში მოგზაურობის შედეგად გ. ლეონიძემ შექმნა რამდენიმე ლირიკული ციკლი, რომელთა ნამდვილ მშვენებას წარმოადგენს „ბიძინა ბუქურაული“. ამ ლექსში დახატულია მომხიბვლელი, დიდი ემოციური ძალით გამთბარი და გაცოცხლებული სახე ახალგაზრდა ქართველი ოფიცრის ბიძინა ბუქურაულისა, რომელიც გმირულად დაღუპულა ფაშისტ დამპყრობელთაგან უნგრეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში და რომლისთვისაც მადლიერ უნგრელ ხალხს ძეგლი აუგია თავის აღორძინებულ მიწაზე.

როგორც ყოველი ჭეშმარიტი პოეტის შემოქმედებაში, გიორგი ლეონიძის პოეზიაშიც ეპოქის დიდი სახალხო იდეებისა და პრობლემების, ისტორიული მნიშვნელობის მოვლენათა გვერდით გამოხატულებას პოულობს ადამიანის სულიერი ცხოვრების მთელი მრავალმხრივობა, კერძოდ, მისი პირად-ინტიმური გრძნობებისა და განცდების სამყარო. პოეტმა მრავალი უჰკნობი ნიმუშით გაამდიდრა ქართული სატრფიალო ლირიკის საგანძური. ამ ლექსებში იგი ხატავს და უმღერის ადამიანის ნათელ, მორალურ მისწრაფებებს, სპეტაკს, სულიერად ამამაღლებელ და გამამშვენიერებელ სიყვარულს, რომელსაც თავის დროზე უკვდავი ჰიმნი უმღერეს შოთა რუსთაველმა და ჩვენმა სხვა უდიდესმა წინაპრებმა. გ. ლეონიძის „ნინოწმინდის ღამე“, „ნინა ჭავჭავაძეს“, „მეტეხის თავზე“, „ყივჩაღური ღამე“, „ყივჩაღის პაემანი“ თანამედროვე სატრფიალო ლირიკის ნამდვილი თვალმარგალიტებია.

გ. ლეონიძე უმღერის ვაჟკაცურსა და ამაღლებულ გრძნობას სიყვარულისა, რომელშიც ნატამალიც არ არის არც ეროტიკული უხამსობისა და არც ასკეტური, ადამიანობის დამაკნინებელი, მონური თაყვანისმცემლობისა:

მეტეხის თავზე თამაშობს ქარი,
წარსულის ლოდებს ეალერსება...
სადაც შენა ხარ, გულიც იქ არი,
შენი ნათელით გული მევსება.
მეტეხის თავზე გრიალებს ქარი,
ძირს, კლდეში, მტკვარი მიიტყორცნება.
აქ ხომ ოდესღაც იჯდა თამარი—
ძველ საქართველოს დიდი ოცნება;
...გავღვიძებულვარ მეც სიყვარულით,
მეც მარხევს მისი ქარი მქუხარი,
ვარდით ივსება ჩემთვის ქვეყანა,
როცა ჩემთან ხარ სახემშუქარი,
მე მხოლოდ შენი შუქი მეყოფა
განა რად მინდა სხვა საჩუქარი?

ასე ლამაზსა და უჩრდილოს, რაინდულ გრძნობას სიყვარულისას, ორგანულად თანახმოვანს პოეტის მაღალ მოქალაქეობრივ იდეალებთან, მის პატრიოტულ გულისძგერასთან უმღერის და ხატავს გ. ლეონიძე თავის საუკეთესო სატრფიალო ლექსებში.

გიორგი ლეონიძის პოემები „ფორთოხალა“, „ბერშოულა“, „სამგორი“. „ბავშვობა და ყრმობა“ ახალი ქართული პოეტური ეპოსის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება. ეს სფერო პოეტის შემოქმედებითი მემკვიდრეობისა საგანგებო შესწავლას და კვლევას მოითხოვს და ამ წერილის ფარგლებში მათი ღირსეული შეფასება და ანალიზი შეუძლებელია.

ვიტყვი მხოლოდ, რომ ქართულ პოეზიას, არც კლასიკურსა და არც თანამედროვეს, არ შეუქმნია ისეთი ფართო განზოგადებითი მნიშვნელობის, დიდი სოციალური ტევადობის მხატვრული სახე მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსული, კეთილშობილებითა და სულიერი მშვენებით აღსავსე ქალისა, როგორიც არის გ. ლეონიძის ბრწყინვალე ყალმით დახატული ფორთოხალა. ასევე სისხლხორცით სავსე, ადამიანურ ხასიათად და ამასთანავე ღრმა სოციალური აზრის შემცველ ტიპიურ სახედ გამოკვეთა პოეტმა თავისი მეორე ლირიკული პოემის გმირი ბერშოულა. ეპოპეაში „ბავშვობა და ყრმობა“ პოეტის უპირველეს შემოქმედებითს მიღწევას წარმოადგენს ქართლის ბუნების ის მეტყველი და ცხოველმყოფელი პანორამა, გასული საუკუნის მიწურულის სოციალური და ყოფაცხოვრებითი ვითარების ის სურათები, რომელთა გარემოცვაშიც დაიბადა ი. ბ. სტალინი და მიმდინარეობდა მისი ბავშვობისა და ყრმობის წლები.

პოემაში „სამგორი“ კი გ. ლეონიძემ ეპიკური პოეტური მომთხრობელობის, სიუჟეტური კომპოზიციის იშვიათი ოსტატობა გამოიჩინა. სამწუხაროდ, ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკას დღემდე არ მიუცია ღირსეული შეფასება ამ მრავალმხრივად საყურადღებო პოეტური ქმნილებისათვის, რომელიც უეჭველად იმსახურებს საპატიო ადგილს არა მარტო თანამედროვე, არამედ, საერთოდ, ქართული მწერლობის მიერ შექმნილ ისტორიულ პოემათა შორის.

გიორგი ლეონიძე წავიდა ჩვენგან თავისი დიდი პოეტური ნიჭიერების სრული სიმწიფის ასაკში. ცხოვრების სწორედ უკანასკნელ პერიოდში იგი ეწეოდა განსაკუთრებულად დაძაბულ და ინტენსიურ შემოქმედებითი შრომას. ამ პერიოდში გამოავლინა მან თავისი მხატვრული ინდივიდუალობის კიდევ ერთი ახალი თვისება — შექმნა ნოველების შესანიშნავი წიგნი „ნატვრის ხე“, რომელიც ერთსულოვანი მოწონებით, აღიარებით და მაღალი შეფასებით მიიღეს მკითხველთა ფართო წრეებმაც და ლიტერატურულმა კრიტიკამაც საქართველოში და მისი საზღვრების მიღმაც. ცხოვრების მიწურულში იღწვოდა იგი დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილი დიდი მონოგრაფიული გამოკვლევის დასამთავრებლად, აგრძელებდა თავის ხანგრძლივს, დიდს მეცნიერულ კვლევაძიებითს მუშაობას მშობლიური ლიტერატურის ისტორიის სფეროში. მაგრამ ცხოვრების ბოლო წლებშიც იგი, პირველ ყოვლისა, მაღალი შთაგონების დიდ პოეტად, ღრმა აზრისა და ნათელი გრძნობების პოეზიის პირველხარისხოვან ოსტატად გვევლინებოდა. სწორედ უკანასკნელ წლებში შექმნა მან ლირიკული ლექსების წიგნი „მუხის ფოთოლი“, პოემები „ჩემი ბაღი“, „ფიროსმანი“ და მრავალი სხვა ლირიკული ქმნილება, რომლებიც შეადგენენ პოეტის დიდი შემოქმედებითი ცხოვრების ღირსეულ აპოთეოზს.

თანამედროვე ქართული ლირიკის საუკეთესო ნიმუშთა შორის მარად იბრწყინებს გ. ლეონიძის მიერ სიცოცხლის მიწურულში დაწერილი სტრიქონები, რომელთა წაკითხვაც შეუძლებელია წრფელი მღელვარების გარეშე:

გადაჭკნებიან ეს ყვავილები,
ეს ჯამ-ჯიხვებიც დაიცლებიან,
დაეცემიან მთებში ირმები,
გულს სურვილები გაეცლებიან,
ალაზნის ვაზებს დასცვივა ოქრო,
დადნება, რაც მთებს დავერცხლებია,
რამ იჯადოქროს?
უკვდავების დღეს მხოლოდ ლექსები
დაესწრებიან.

თითქოს მოახლოებული აღსასრულის წინათგრძნობამ შთააგონა და უკარნახა პოეტს ეს სტრიქონები, რომლებშიც განსახიერებულია ნათელი რწმენა ადამიანის შემოქმედებითი გენიის უკვდავებისა და მარადიული სიცოცხლისა. სწორედ ასეთი მარადიული ცხოვრება მოიპოვა და დაიმკვიდრა ჩვენი საუკუნის ამ ერთ-ერთმა საუკეთესო პოეტმა ქართველი ხალხის გულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნატროშვილი

# უდაბნოში დაწერილი წიგნი

ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში, თარგმანების განყოფილებაში შეტანილია ერთი მეტად საინტერესო ნაწარმოები, რომელიც დღემდე, თუ შეიძლება ასე ითქვას, საიდუმლოების ბურუსით არის მოცული.

ამ ნაწარმოებს „ახლოით განჩხრეკილი კაცი“ ეწოდება.

ალ. ჭავჭავაძეს ხელნაწერის თავფურცელზე წაუწერია, რომ „წიგნაკი ესე“ არის „ქმნილი... რომელისამე ფრანცუზისაგან“. მთარგმნელი დედნის ავტორის გვარს არ ასახელებს და ჩვენ დღემდე არ ვიცით ვინ იყო ეს „ფრანცუზი“, როდის და რა პირობებში დაწერა ეს ღირსშესანიშნავი ნაწარმოები, რომელშიც გამოთქმულია კეთილშობილური ჰუმანიზმის იდეები, მუდამ რომ იცოცხლებენ და მუდამ წარიტაცებენ ადამიანის გულსა და გონებას.

ხსენებული თარგმანი პირველად ი. გრიშაშვილმა გამოაქვეყნა ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში („ფედერაციის“ გამოცემა, 1940 წ. გვ. 169—176). მკვლევარი წიგნისადმი დართულ კომენტარებში აღნიშნავდა:

„ავტორი ვერ გამოვარკვიეთ. მთარგმნელის წინათქმიდან ჩანს, რომ დამწერი ამ პროკლამაციისებური ნაწარმოებისა ფრანგი ყოფილა, დაპატიმრებული და გადასახლებული. ა. ჭავჭავაძეს იგი უთარგმნია 1804 წელს, როცა თითონაც მთიულეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებული იყო“ (გვ. 337).

ი. გრიშაშვილი ამას წერდა 1940 წელს. ამასვე აღნიშნავს დღემდე ყველა ჩვენი მკვლევარი, რომელსაც შემთხვევა ჰქონია შეხებოდა ამ ნაწარმოებს. „ავტორი დაუდგენელია“ — ვკითხულობთ კოლექტიურ ნაშრომში, „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მესამე ტომში, რომელიც 1969 წელს გამოიცა.

ვიდრე გავარკვევდეთ ვინ არის ეს „ფრანცუზი“, არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არა ვთქვათ ამ ნაწარმოებზე, რომელსაც უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა აქვს როგორც თვით ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებითი სამყაროს შესწავლის, ისე იმ კავშირ-ურთიერთობის, იმ გამოძახილისა თუ გამოხმაურების, იმ იდუმალი ძაფებისათვის თვალის გასადევნებლად, რომლებიც მოწინავე ქართულ აზრს აკავშირებდნენ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიასთან, შეჰყავდათ ჩვენი ეროვნული კულტურა ამ დიდ იდეურ ფარვატერში.

ყოველ ეროვნულ კულტურას, მით უფრო თვითმყობადსა და ძლიერს, აქვს კიდევ ერთი ასპექტი, ერთი გადასახედი, საიდანაც ის თვალს ადევნებს, თუ რა ხდება მსოფლიოში. ქართულ მწერლობასაც მუდამ ღია ჰქონდა ეს დიდი ფანჯარა და ეს აძლევდა მას შესაძლებლობას ხან სათავეში ჩასდგომოდა საკაცობრიო აზრის წინსვლას, ყოფილიყო პირველი მაცნე, როგორც რუსთაველი, რომელმაც წინასწარ იგრძნო რენესანსის მოახლოება და მოვლინება, ან მხარში სდგომოდა როგორც იოანე პეტრიწი ედგა მხარში იოანე იტალოსს და მის თანამოაზრეებს კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტიდან, რომლებიც შუა საუკუნეებში მეთაურობდნენ აზროვნების ახალ აღორძინებას და ნიადაგს უმზადებდნენ რენესანსის ხანას მთელი ევროპის მასშტაბით.

შემდგომი დიდი გარდატეხა კაცობრიობის ისტორიაში იყო საფრანგეთის დიდი რევოლუცია, რომელსაც იდეური საფუძველი ვოლტერმა, რუსომ და ენციკლოპედისტებმა მოუმზადეს.

ისინი იყვნენ საოცარი ადამიანები და მათ გასაცვიფრებელი წინასწარგანჭვრეტის უნარი ჰქონდათ; მათ იცოდნენ არა მარტო ის, რაც მოხდა, არამედ ისიც, რაც უნდა მომხდარიყო. ეს ითქმის კერძოდ რუსოზე. ჭეშმარიტად, მას წინასწარმეტყველის სიბრძნე და მისნური ჭკუა ჰქონდა; მან იცოდა დიდი საიდუმლოებანი კაცობრიობის ისტორიისა. როცა ის ტირანიასა და უსამართლობაზე წერს, თვალწინ წარმოგიდგე-

ბათ არა მარტო მისი დროის ვითარება, არამედ ისიც თუ რა გზით წავლენ, ჩაგვრის და ხალხთა დამონების რა „ახალ ფორმებს“ გამოიყენებენ ადამიანებისა და ხალხების მჩაგვრელები მომდევნო საუკუნეებში. ის სახავდა გეგმებს, თუ როგორ უნდა მოწყობილიყო სამართლიანობაზე დაფუძნებული, თავისუფალი ცხოვრება, წერდა მომავალის სახელმწიფოთა კონსტიტუციების პროექტებს. ეს იყო ჭეშმარიტი წინასწარხედვა; ფრ. ენგელსი წერდა, რომ „რუსოს ნაწერებში გვხვდება არა მარტო აზრთა განვითარება, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავს მარქსის მიერ „კაპიტალში“ გამოთქმულ აზრებს, არამედ დეტალებშიც ჩვენ ვხედავთ მთელ რიგ ისეთ დიალექტიკურ გამოთქმებს, რომლებსაც მარქსი ხმარობს“.

მოკლედ რომ დავასკვნათ, ფრანგი მწერლები მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში სათავეში ედგნენ საკაცობრიო აზრის გამოღვიძებას, ხალხთა მილიონების დარაზმვას ძველ სამყაროსთან საბრძოლველად.

რა გამოხმაურება ჰპოვა იმ დროის ქართულ მწერლობაში აზრთა ამ დიდმა მღელვარებამ, რომელიც ფრანგმა მწერლებმა და მოაზროვნეებმა დაიწყეს?

ზემოთდასახელებული ნაწარმოები — „ახლოით განჩხრეკილი კაცი“ ამ კითხვაზე მეტად მჭევრმეტყველურ და საინტერესო პასუხს იძლევა.

რა თქმა უნდა, ადამიანის ემანსიპაციის იდეა ახალი და უცხო ამბავი არ უნდა ყოფილიყო იმ ქვეყნის მწერლობისათვის, რომელსაც რუსთაველი და სულხან-საბა ორბელიანი ჰყავდა. კერძოდ, წიგნში „სიბრძნე სიცრუისა“ საოცარი ძალით არის დაგმობილი ტირანია და დესპოტიზმი, ყველა უსამართლობა, რომელიც ხალხებისა და ერების მწარე ხვედრი იყო.

მაგრამ ისტორიულ უბედურებათა გამო საქართველო ამ ჯერადაც ჩაკეტილი ქვეყანა იყო და მისი შვილების ხმა შორს ვერ სწვდებოდა.

ასევე, ჩვენს დრომდე საარქივო ხელნაწერებში უძრავად იდო „ახლოით განჩხრეკილი კაცი“; მხოლოდ ახლა გახდა შესაძლებელი მისი მზის სინათლეზე გამოტანაც და საფუძვლიანი შესწავლაც.

რას წარმოადგენს ეს ნაწარმოები? ჟანრის მხრივ იგი ეკუთვნის ისეთ ქმნილებათა რიცხვს, როგორც მაგალითად, რუსოს „მსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწორობის წარმოშობასა და საფუძვლებზე“, ან ვოლტერის „მილორდ ბოლინგბროკის მნიშვნელოვანი გამოკვლევა“; ერთი სიტყვით, ეს არის ტრაქტატი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემაზე. ხოლო თავისი შინაარსით „ახლოით განჩხრეკილი კაცი“ არის უაღრესად გაბედული წიგნი, რომელიც მოითხოვს ყველა ტანჯვისა და უბედურების აღმოფხვრას დედამიწაზე, ყველა ჩაგვრის აღკვეთას— იქნება ის ეროვნული თუ სოციალური ჩაგვრა ავტორი მოითხოვს ადამიანის განთავისუფლებას, მოითხოვს ყველა ბორკილის დამსხვრევას; ესაა ჰუმანიზმის ქადაგება, ჰიმნი საქვეყნო მშვიდობისადმი; აქ დასახელებულია მიზეზი კაცობრიობის ყველა უბედურებისა, ეს მიზეზი— კერძო საკუთრებაა, რომელმაც ადამიანი ადამიანს წაჰკიდა და გადაამტერა. აქ გადმოცემულია ფიქრი და ტკივილები, რომლებიც აწუხებდა მე-19 საუკუნეს და აწუხებს ჩვენს საუკუნესაც იქ, სადაც ჯერ კიდევ მძლავრობენ უსამართლობა და მონობა.

„ახლოით განჩხრეკილი კაცის“ ავტორს არ შეუძლია წეროს დამშვიდებით, დაწყნარებით; ის აღშფოთებულია, ძირით ძირობამდე შეძრულია მისი სული და ეს ეტყობა ამ ნაწარმოების ყოველ სტრიქონს; ავტორი მიმართავს თავის მკითხველს, თავის დროის ადამიანს:

„მოსრულ ხარ შენ სოფლად ყოვლად ბარბაროსთა ქვეყანათა მათ შინა, სადაც უბედურსა კაცსა არარაი აქვს, თვინიერ ჰაერისა“... (ა. ჭავჭავაძე, თხზულებანი, გვ. 171).

და შემდეგ:

„ბულბულს არა ოდეს უთქვამს თვისთა მობუდართა სხვათა ბულბულთათვის: ყოველნი ხენი ამა ტყისანი ჩემნი არიან და ყოველნი მათ ზედა მბუდარნი მფრინველნი ჯერარს დამემორჩილნენ მე! ჰია, დაბადებული ფურცელსა ზედა, სულთქავს თავისუფლებით, ხოლო კაცი ვერა სადა ჰპოვებს თავისუფალსა ადგილსა! თვით ქვაცა იგი, რომელსა ზედა სდებს იგი თავსა თვისსა, თვის ეყვის ვიეთსამე პატრონსა“ (იქვე, გვ. 172—173).

ზუსტად და გაბედულად არის ნათქვამი: თვით ქვაც კი, რომელზედაც თავი გინდა მისდო მისაძინებლად, შენი არ არის, მასაც პატრონი ჰყავს. ჭიაც, ფოთოლზე რომ დაბადებულა, უფრო ბედნიერია — ის თავისუფალია; თავისუფალნი არიან ტყის ფრინველები — თვით ბულბულს არ უბრძანებია მათთვის, მთელი ტყე ჩემია და ყველამ, — გვრიტმაც, ქედანმაც ისე იმღერეთ, როგორც მე მნებავსო.

ბუნებამ არ იცის ჩაგრული და მჩაგვრელი, მონა და მეპატრონე, იქ ყველა თავისუფალია; ადამიანიც თავისუფალი იბადება, მაგრამ ქვეყნად მეფობენ მხეცური და ბარბაროსული კანონები, რომლებიც უმალვე აღკვეთენ ბუნების მიერ მინიჭებულ მადლსა და სიკეთეს. და უმალ, ადამიანის პირველი თვალის გახელისთანავე ირღვევა ეს დიდი ჰარმონია — აქ ერთ მხარეს არიან „მდიდარნი“, მეორე მხარეს — „გლახაკნი“, ერთ მხარეს — „ტირანნი“, მეორე მხარეს — „მონანი“. ამიტომ მომხვეჭლებს და ხარბებს ეს ქვეყანა უქცევიათ ჯოჯოხეთად; მიწა, მიუხედავად მძიმე შრომისა, მაშვრალს არაფერს აძლევს „მწუხარებისა კიდე“, ვინაიდან ის სხვისია.

უცნობი ავტორი ასე მიმართავს ადამიანს:

„ყოველი წამნი ცხოვრებისანი შეწირულ

გაქვნ შენ შეურაცყოფელისა შენისა მდიდრისათვის, რომელი ამპარტავანი სახითა გარდმოგიგდებს შენ ოდენ მცირესა ლუკმასა სიკვდილისაგან განსაშორებლად“ (იქვე, გვ. 171—172).

და შემდეგ:

„აწ ეთრიე პირსა ზედა ამა ქვეყნისასა, უბედურო მოკვდაო, და თანა ათრიენცა რკინისა ჯაჭვნი იგი, რომელნი აბიან კისერსა შენსა, ყოვლად წრფელნი ბუნებითნი თვისებანი შენნი ეჩვენებიან ტირანთა შენთა ბოროტებად. იგინი განგაშორებენ შენ ყოველთა კეთილთა ზნეთაგან, გამწევნი შენნი ჯაჭვისა მით. ცუდლა ეცდების ბუნება გამოხსნასა შენსა ბარბაროსთა მათ ხელთაგან. იგინი გდევნიან შენ საფლავამდე“ (იქვე, გვ. 172).

ავტორი ეძებს მიზეზს, თუ რამ აქცია ადამიანი, ეს „ყოვლად ტკბილი არსება ყოვლად უმოწყალოდ და ბარბაროსად“ (იქვე, გვ. 173).

აი ეს მიზეზიც:

„ჰოი, საკუთრებაო, უბედურო წყარო კაცთა შეძრწუნებისაო, შენ არისხებ კაცსა მსგავსისა თვისისა პირისპირ, შენ აძლევ ხელთა მისთა საჭურველსა დასამალავსა, შენ ყოფ მას უუწყალოესად ყოველთა მხეცთაგან“ (იქვე, გვ. 174).

ადამიანი სტანჯავს ადამიანს, სახელმწიფოები იკლებენ მეზობელ სახელმწიფოებს, ერთი ერი იმონებს მეორეს; კაცობრიობის ისტორია არის ერთი გაუთავებელი ვაება, გაუთავებელი ტანჯვა და წამება. „ხელმწიფენი განვლენ საზღვართა მათ რომელნი თვითვე დაუდვიესთ... მათ არ უწყიან სხვა რაიმე სჯული, თვინიერ ძალისა“ (იქვე, გვ. 174).

„ზოგადგან ჰხოცენ კაცთა, მხოლოდ ერთისა ბარბაროსისა კაცისავე საამებლად, ზოგადგან ჰყრიან ხალხთა მსგავსთა თვისთა პირისპირ მისასვლელად და ველურთა მხეცთაებრ ურთიერთისა განსაგლეჯად სახისა ამის ქვეშე, რათა დასაჯონ მკიცხველნი მისნი, რომელსაცა ოდესმე იგინი იცნობენ ოდენ თვისდამი მიზეზებულთა მისგან ბოროტებათა ძლით. ზოგადგან ჰრეკენ მათ ანუ აღსაოხრებლად, ანუ დასაქცეველად, და ანუ დასაპყრობელად ვიეთდამე ნაწილთა ქვეყნისათა, ხოლო გამარჯვებულნი იგი ერნი არა მიიღებენ ჯილდოდ არცაღა მცირესა შვებასა გონებისაგან.

ყოველგან ჰსჩანს ულმობელობა, სულმოკლეობა, მრისხანება, შური, სიძულვილი, კაცთა კვლა და მხეცებრიობა“ (იქვე, გვ. 175).

ასე ამხილებს ავტორი ხალხთა დამრბევლებს, ამაოხრებლებს და იმასაც აღნიშნავს, რომ „გამარჯვებულნი იგი ერნი არღა მიიღებენ ჯილდოდ არცაღა მცირესა შვებასა გონებისაგან“. ასე შემაძრწუნებელია სურათი მსოფლიოსი, რომელსაც ავტორის სინდისი და გონება ესოდენ ძლიერად აღუშფოთებია.

„ახლოით განჩხრეკილი კაცი“ ალ. ჭავჭავაძეს თვრამეტი წლის ასაკში უთარგმნია. ამრიგად, ის ადრეული სიჭაბუკის წლებიდანვე გამსჭვალულია ყველაზე მოწინავე განმათავისუფლებელი იდეებით. ეს რევოლუციური განწყობილებანი, ეს მძაფრი პროტესტი ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ გასდევს მთელ მის პოეზიას.

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში მძაფრად სცემს საზოგადო ცხოვრების ძარღვი. ჩვენ ერთხელ უკვე შემთხვევა გვქონდა აღგვენიშნა, რომ „ახლოით განჩხრეკილ კაცთან“ უშუალოდ არის დაკავშირებული პოეტის ორიგინალური ლექსი „ვაი, სოფელსა ამას“. ამ ნაწარმოებში გადაშლილია სურათი პოეტის თანამედროვე საზოგადოებისა, სადაც „მდაბალთა ჩაგვრის, მტაცებლობის და ხვეჭის“ შემზარავ ატმოსფეროში ჰკნება და ფეხქვეშ ითელება სიკეთეც და სამართალიც. ეს არის მრისხანე და უძლიერესი პროტესტი ყველა ტირანის წინააღმდეგ, რომელნიც მოცულნი „განდიდების სურვით“ „აოხრებენ და იპყრობენ“ მეზობელ ქვეყნებს და სჩაგრავენ საკუთარ ქვეშევრდომებს, პოეტი ჰგმობს არა მარტო მეფეებსა და ფეოდალურ ბიუროკრატიას, არამედ უფრო ფართოდ იღებს თემას და ებრძვის მთელ იმდროინდელ პოლიტიკურ და სოციალურ სისტემას.

როდის და რა პირობებში ითარგმნა „ახლოით განჩხრეკილი კაცი“?

1804 წელი... კახეთი. ალავერდობა. ვეებერთელა მიდამო თეთრი ტაძრის ირგვლივ ხალხით იყო სავსე, მაგრამ აქ იყვნენ მოსულნი არა მარტო მლოცველები, არამედ საომრად გამზადებული შეთქმულნიც, რომელთა შორის ერია თვრამეტი წლის ჭაბუკი ალექსანდრე ჭავჭავაძე. ისინი მიეშურებოდნენ მთიულეთისაკენ, რომელიც მთელი იმ ზაფხულის განმავლობაში აჯანყების ცეცხლში იყო გახვეული.

შეთქმულებს მთაში მოუთმენლად ელოდა ფარნაოზ ბატონიშვილი, ერეკლე მეფის უმცროსი ძე. მაგრამ ამაო იყო ყველაფერი. ალავერდობიდან ერთი თვეც არ იყო გასული, რომ ალყაშემორტყმული მეამბოხენი იძულებული გახდნენ უგზოუკვლოდ მიმოფანტულიყვნენ.

დამარცხებულ და ხევსურეთიდან გამოქცეულ ფარნაოზ ბატონიშვილს, რომელსაც კვლავ თან ახლდა ერთგული თანამებრძოლი ალექსანდრე ჭავჭავაძე, თბილისს ქვემოთ, სოფელ დემურჩასალოსთან, მთავარმართებელ ციციანოვის მდევარი დაეწია და გზა გადაუჭრა. ფარნაოზმა და მისმა ამალამ, რომლებიც ბრძოლით მიიკვლევდნენ გზას, უცხოეთში გაქცევა ველარ მოასწრეს.

დატყვევებულები შემოიყვანეს ისინი თბილისში.

აქ ისინი ერთად დაამწყვდიეს. სწორედ ამ ხანებში, საპატიმროში ყოფნის დროს, თარგმნის ალ. ჭავჭავაძე ჩვენთვის საინტერესო წიგნაკს.

* * *

„ახლოით განჩხრეკილი კაცი“ პირველიდან ბოლო სტრიქონამდე გამსჭვალულია ჟან-ჟაკ რუსოს იდეებით. ამასთან, ალექსანდრე ჭავჭავაძეს თავისი თარგმანი „საქართველოს მეფის ირაკლის-ძის ფარნაოზისადმი“, მიუძღვნია, რათა ნუგეში ეცა თავისი უფროსი მეგობრისა და თანამებრძოლისათვის ტყვეობის ჟამს. ისიც საგულისხმოა, რომ ამ იდეებით გატაცებული იყო თვითონ ფარნაოზიც, მას ნათარგმნი აქვს „აზრნი ჟან-ჟაკ რუსოსანი სხვადასხვა საგანთათვის“.

ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ „ახლოით განჩხრეკილი კაცი“ **რუსოსი არ არის.** ეს გადაჭრით შეიძლება ითქვას, აქ სადაო და საეჭვო არაფერია. მაშასადამე, ავტორი **რუსოს მოწაფეთა და მიმდევართა შორის უნდა მოვძებნოთ.** აქ იყვნენ შატობრიანი, ლუი სებასტიან მერსიე, რეტიფ დე ლა ბრეტონი, გაბრიელ მაბლი, ჟან პიერ ბრისო, მორელი, მარი ჟოზეფ შენიე, კონსტანტენ-ფრანსუა ვოლნეი, ბერნარდენ დე სენ პიერი და სხვები. შატობრიანი და მისი თანამოაზრეები თავისთავად გამოითიშებიან ამ სიიდან, ვინაიდან „ახლოით განჩხრეკილი კაცი“ მეტად მოწინავე და რევოლუციურ იდეებს შეიცავს.

მაშ ვინ შეიძლება იყოს ხსენებული ნაწარმოების ავტორი ზემოთ ჩამოთვლილ მწერალთაგან? მის მოძებნას აადვილებს საგულისხმო დეტალები, რომლებიც აღნიშნული აქვს ალექსანდრე ჭავჭავაძეს თარგმანისადმი დართულ წინასიტყვაობაში; აი ეს ბიოგრაფიული დეტალები:

1. ფრანგი მწერალი, დიდნის ავტორი „განვიდა **უდაბნოსა შინა** საცხოვრებლად“.

2. „აღწერა მუნ (ე. ი. უდაბნოში) მრავალნი წიგნნი, აღვსილნი **ბრძნულითა და ჭეშმარიტი მეტყველებითა**“.

3. ეს კაცი, განსაზღვრულ დროს, **საპყრობილეში იყო გამომწყვდეული** („პყრობილის შრომა ვნახე პყრობილმან“).

სამივე ეს ამბავი ზუსტად შეესაბამება ბიოგრაფიას ფრანგი მწერლისა და მოაზროვნის C.—F. Volney-ისა, რომელსაც ეკუთვნის წიგნი „Les Ruines. Ou meditations sur les revolutions des empires“ (მისაწვდომობისა და საქმის გაადვილების მიზნით, შედარებისა და ანალიზის დროს, ჩვენ ვისარგებლებთ ამ წიგნის რუსული თარგმანით: Вольней — Руины, или размышления о расцвете и упадке империи.

ახლა ზემოთჩამოთვლილ ბიოგრაფიულ დეტალებზე:

1. **ჯერ უდაბნოში წასვლაზე:** საფრანგეთში, კარგად მოგეხსენებათ, უდაბნო არ არის. 1783 წელს ოცდაექვსი წლის ჭაბუკი ვოლნეი პარიზიდან გაემგზავრა ეგვიპტესა და სირიაში; მან იქ, უდაბნოში დაჰყო სამი წელი, ბოლო რვა თვეს იმყოფებოდა ლიბანის მთებში, დრუზების (მუსლიმანური სექტაა) მონასტერში, სადაც სწავლობდა არაბულ ენას. წიგნის პირველსავე თავში ვოლნეი წერს, რომ თურქეთის იმპერატორის აბდულ-ჰამიდის მეფობის მეთერთმეტე წელს ის გაემგზავრა ოტომანთა იმპერიაში, მოიარა პროვინციები, რომლებიც ადრე „ეგვიპტისა და სირიის სამეფოები იყო“. „სამი დღის განმავლობაში მივდიოდი უწყლო უდაბნოში, შემდეგ გადავჭერი ველი, სადაც მრავალი გამოქვაბულები და ძველებური აკლდამები იყო... სასაფლაოსებური დუმილი იდგა უდაბნოში, მხოლოდ დროდადრო საიდანღაც მოისმოდა ნაღვლიანი ყივილი ღამის ფრინველებისა და სადღაც შორს კიოდნენ ტურები“. ვოლნეის ბიოგრაფის, ადოლფ ბოსანჟის სიტყვით, „არაბეთში, ისევე, როგორც ევროპაში, ის ხედავდა დესპოტიზმის განუსაზღვრელ თარეშს, ხალხის ქონების მიტაცებას. აქ, როგორც ევროპაში, ის ხედავდა პრივილეგიების მქონე პირთა ვიწრო წრეს, რომელიც თავხედურად ითვისებდა ხალხის მძიმე და ტანჯვით აღსავსე შრომის ნაყოფს“.

2. **არაბეთის უდაბნოში** და შემდეგ პარიზში დაბრუნებისას ვოლნეიმ დაწერა წიგნები — „მოგზაურობა ეგვიპტესა და სირიაში“ (1787 წ.) და ზემოთდასახელებული „ნანგრევები ანუ ფიქრები იმპერიების აყვავებასა და დაცემაზე“ (1791 წ.).

3. **ახლა პატიმრობის თაობაზე.** ვოლნეი დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს იაკობინელების დიქტატურის დროს; და თუ არა ცხრა თერმიდორის გადატრიალება, როცა რობესპიერი გილიოტინაზე გაგზავნეს, ვინ იცის რა დაემართებოდა თვითონ ვოლნეის.

ამრიგად, მონაცემები ვოლნეის ბიოგრაფიიდან და ალ. ჭავჭავაძის მიერ აღნუსხული დეტალები **ზუსტად ემთხვევიან ერთი-მეორეს.**

* * *

ვოლნეი—ფსევდონიმია; ამ ავტორის ნამდვილი სახელი და გვარია კონტანტენ-ფრანსუა ბუაჟირე (შასბიოფი); ეს იყო საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და შემდეგ, ნაპოლეონის დროის თვალსაჩინო მოაზროვნე და პოლიტიკური მოღვაწე. სიჭაბუკის წლებიდან იგი გატაცებული იყო ფილოსოფიით, ისტორიით, ძველი და ახალი აღმოსავლური ენების შესწავლით; ჯერ ისევ სტუდენტობის წლებში მან დაწერა სერიოზული გამოკვლევა ჰეროდოტეს შესახებ.

ვოლნეი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიოდა იმ წლებში, როცა უკვე ახლოვდებოდა მომავალი რევოლუციის ქარიშხალი. ნიჭიერმა ყმაწვილმა კაცმა მალე მიიპყრო გამოჩენილი ფილოსოფოსის ჰოლბახის ყურადღება; მან ვოლნეი და-

აკავშირა მოწინავე ინტელიგენციის წრეებთან, იმ კულტურულ კერებთან, სადაც აშკარად გამოდიოდნენ ფეოდალური წყობილებისა და აბსოლუტური მონარქიის წინააღმდეგ, სადაც ქადაგებდნენ ადამიანის განთავისუფლების იდეებს.

რევოლუციის წლებში ვოლნეი მესამე წოდების დეპუტატია ქ. ანჟუდან. დამფუძნებელ კრებაში ის გამოდის როგორც მამხილებელი თავადაზნაურობისა და სასულიერო წოდებისა, როგორც შეურიგებელი მტერი სამეფო ხელისუფლებისა.

ვოლნეი იყო მირაბოს ახლო მეგობარი და თანამებრძოლი. რევოლუციის პირველსავე დღეებში, როცა მოეწყო ფრანგი ხალხის ყველაზე მოწინავე ადამიანების თავყრილობა და მეფემ ამ ყრილობის გარეკვა მოინდომა, მირაბომ პირველმა მიახალა ბურბონთა ცერემონმეისტერს: „წადით და მოახსენეთ თქვენს ბატონს, რომ აქ ჩვენ თავი მოვიყარეთ ხალხის ბრძანებით, და ჩვენ აქედან შეიძლება გაგვრეკოთ მარტო ხიშტებით“. ჰაინრიხ ჰაინე აღნიშნავს, რომ ეს სიტყვები მირაბოს უკარნახა გრაფმა ვოლნეიმ, რომელიც მის გვერდით იჯდა სკამზე.

ჰაინე იქვე წერს:

„ამ სიტყვებით დაიწყო საფრანგეთის რევოლუცია. ვერც ერთი ბურჟუა ვერ გაბედავდა მათს წარმოთქმას; დაბალი წოდებისა და ყმაგლეხების წრიდან გამოსული ადამიანების ენა ჯერ კიდევ შეკრული იყო ადრინდელი მორჩილების ჯადოთი და მხოლოდ აზნაურთა შორის, ამ უკიდურესად გაბედულ კასტაში, რომელიც არასოდეს არ განიცდიდა ნამდვილ მოკრძალებას მეფის წინაშე, ახალმა დრომ იპოვნა თავისი პირველი მაცნე და მოციქული“.

პოეტის ამ სიტყვებს შეიძლება ბოლომდე არ დავეთანხმოთ, თუმცა საფრანგეთშიც, რუსეთშიც, საქართველოშიც პირველი რევოლუციონერები თავად-აზნაურების წრიდან იყვნენ გამოსულნი, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ პირველთა შორის უპირველესი, ვინც ყველაზე დიდი ნაღმი დაუდო საძირკველშივე ძველ სამყაროს — იყო რუსო, ღარიბი მესაათის შვილი და ერთხანს თითონაც ხელზე მოსამსახურე. მაგრამ დავანებოთ ამას თავი, თავისთავად ეს ამბავი ბევრს მეტყველებს ვოლნეის დასახასიათებლად.

ვოლნეი, საერთოდ, იმ დროის მშფოთვარე პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილე იყო. როგორც აღნიშნავენ, მან დიდად შეუწყო ხელი ნაპოლეონის დაწინაურებას, რომელსაც ვოლნეი იცნობდა ჯერ ისევ კორსიკაზე ყოფნის დროს. ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ ნაპოლეონმა მადლობის ნიშნად, ვოლნეის ჯერ მინისტრის პოსტი შესთავაზა, მაგრამ როცა მან უარი თქვა, დანიშნა სენატის წევრად. სტენდალს თავის „დღიურებში“ ვოლნეის ცხოვრების ამ პერიოდიდან ასეთი ეპიზოდი აქვს აღნიშნული:

„როცა ბონაპარტმა გადაწყვიტა აღედგინა რელიგია საფრანგეთში, ის ჯერ კიდევ ცოტათი ანგარიშს უწევდა განათლებული ადამიანების აზრს, რომელთა დახმარებით მას სურდა განემტკიცებინა თავისი ძალაუფლება. ამიტომ მან მიიწვია თავის კაბინეტში ვოლნეი და უთხრა, ფრანგი ხალხი მთხოვს აღვუდგინო მას რელიგია და ამ ხალხის კეთილდღეობისათვის მე ჩემს მოვალეობად ვთვლი აღუსრულო მას ეს სურვილიო.

— კარგი, მაგრამ, მერწმუნეთ, მოქალაქე კონსულო, თუ თქვენ ყურს დაუგდებთ ხალხს, ის ბურბონების დაბრუნებასაც მოგთხოვთ, — უპასუხა ვოლნეიმ.

ამ სიტყვებმა ბონაპარტე საშინლად გააბრაზა, მან დაუძახა მსახურს და უბრძანა ვოლნეი გარეთ გაეგდო. იმასაც კი ამბობენ, რომ რამდენჯერმე პანღურიც ამოჰკრა და უთხრა თვალით აღარ დამენახოო. აი ნათელი მაგალითი იმისა, თუ რაოდენ სასაცილონი არიან ისინი, ვინც რჩევას თხოულობენ.

საცოდავი ვოლნეი, რომელსაც ძალზე სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა, — მოგვითხრობს შემდეგ სტენდალი — ავად გახდა, თანაც ძალზე შეეშინდა, რომ საქმე სენატამდე არ მისულიყო. ამიტომ, გამოჯანმრთელებისთანავე შეუდგა ვრცელი მოხსენებითი ბარათის წერას. ეს ამბავი შეიტყვეს და გააფრთხილეს — თუ სიცოცხლე არ მოგბეზრებია, ჩუმათ იყავიო. ამის შემდეგ ვოლნეი სულ აღარ გამოდიოდა სახლიდან“.

თავისი მთავარი შრომა „ნანგრევები“... ვოლნეიმ გამოაქვეყნა 1791 წელს. „ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში“, რომელიც 1946 წელს გამოსცა მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტმა, ვოლნეის „ნანგრევები“ მიჩნეულია მხატვრულ ნაწარმოებად. მასში ვკითხულობთ: „საერთოდ, რუსოიზმმა თავისი კვალი დააჩნია საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის მხატვრულ ლიტერატურას, მათ შორის, ვოლნეის სახელგანთქმულ „ნანგრევებს“ (ტ. I, გვ. 783). ეს მთლად ზუსტი განმარტება არ არის. „ნანგრევები“ უფრო გამოკვლევაა ხალხთა და რელიგიათა ისტორიიდან; ესაა კაცობრიობის ისტორიის მიმოხილვა და, იმავე დროს, ცდა განჭვრეტილ იქნას გზა, რომელსაც შეუძლია იხსნას ქვეყნიერება სოციალური და ნაციონალური ჩაგვრისა და მონობისაგან.

* * *

სწორედ ამ ვოლნეის წიგნი ჰქონდა ხელთ ალექსანდრე ჭავჭავაძეს, როცა ის „ახლოით განჩხრეკილ კაცსა“ სწერდა.

ამის დასამტკიცებლად, ცხადია, ტექსტების შედარებაა საჭირო.

1. ვოლნეი თხრობას ასე იწყებს: «Я решил отправиться в пустыню, чтобы жить среди

«И разве не потому, что я путешествую в поисках истины, ты видишь меня здесь, в этом уединенном пустынном месте» (ვოლნეის ზემოთ დასახელებული წიგნი, გვ. 42).

გაიხსენეთ ალ. ჭავჭავაძის სიტყვები:

„ქმნილი მხოლოობისა თვისისა რომლისამე ფრანცუზისაგან, ოდეს განვიდა იგი პარიჟით უდაბნოსა შინა საცხოვრებლად... აღწერა მუნ მრავალნი წიგნნი აღვსილნი ბრძნულითა და ჭეშმარიტითა მეტყველებითა“...

2. ვოლნეი, აღწერს რა ადამიანის ტანჯვას ამ წუთისოფლად, აყენებს ასეთ კითხვას: «Неужели человек создан только для тоски и страданий» (იქვე, გვ. 42).

ალ. ჭავჭავაძე თარგმნის:

„საფიქრებელ არსა რათა კეთილსა ღმერთსა შეექმნას ესოდენნი სულნი უბედურებისათვის?“

3. ვოლნეი ჰგმობს წყობილებას, სადაც ადამიანი იბადება მონად: «Каждый человек, родившийся в определенной семье, был рожден рабом или тираном, вещью или собственником» (იქვე, გვ. 66).

ალ. ჭავჭავაძე თარგმნის:

„მიმოიხედე გარემოსა შენსა, იხილე მშობელთა შენთა მდგომოობაი, არიანა იგინი მდიდარ ანუ გლახაკ, ტირანნი ან მონანი, სვე მათი იქნების შენიცა“.

4. ვოლნეის მთელი ქვეყნიერება ტანჯვის სამყოფელად მიაჩნია: «Повсюду я вижу невежество, тиранию, нищету, которые довели народы до полного оцепенения» (იქვე, გვ. 90).

ალ. ჭავჭავაძე სთარგმნის:

„ყოველგან ჰსჩანს ულმობელობა, სულმოკლეობა, მრისხანება, შური, სიძულვილი, კაცთა კვლა და მხეცებრიობა“.

5. ვოლნეი აღწერს ომს, მოგვითხრობს როგორ უაზროდ ქლეტენ ადამიანები ერთი-მეორეს, მოპირისპირე ჯარებს ჭიანჭველების ხროვებს ადარებს (შორიდან გასცქერის ბრძოლის ველს): «Мое внимание привлекли клубы дыма и вихри пламени... Впереди них или следом за ними быстро передвигались кучки живых существ, походивших на муравьев или кузнечиков... Иногда эти живые существа, направлялись, навстречу друг другу и сталкивались, после чего многие из них оставались неподвижными... Ведь это люди, я вижу войну и разрушения» (იქვე, გვ. 68 — 69).

ალ. ჭავჭავაძე აქ უფრო თავისუფლად ექცევა ტექსტს, მაგრამ არსებითად იმასვე ამბობს:

„რანი არიან ყოველნი იგი არსებანი, რომელნი სტანჯავენ ჰხოცენ, ჰგლეჯენ და ჰსჭამენ ურთიერთსა? იგინი არიან იოტნი და ჭინჭველნი, მოძრავნი კორახსა ზედან ამა სფეროსასა... შეკრებულება მათი დაფუძნებულ არს უგუნურებასა ზედა, და ამათ სდევენ ურთიერთსა, იბრძვიან, ჰრბიან, დაიფანტვიან და გაწყდებიანცა“.

აქ აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ „ახლოით განჩხრეკილი კაცი“ **ზუსტი თარგმანი არ არის;** ვოლნეის ნაშრომი ძალზე ვრცელია, და ალ. ჭავჭავაძეს აქედან **მხოლოდ დედააზრი** აუღია; ჭავჭავაძის თარგმანი — ეს მხოლოდ **წაკითხულით აღძრული შთაბეჭდილებებია, კომენტარის მსგავსი, იქამდე თავისუფალი, რომ ცნება თარგმანი ეგებ აქ შეუფერებელიც კი ჩანდეს.** ასეთ ვითარებაში, გასაგებია, რომ მთარგმნელმა აღარც თავისი სათაური შეუნარჩუნა ფრანგი მწერლის ნაწარმოებს.

მაგრამ საიდან გაჩნდა ქართული სათაური? საგულისხმოა, რომ ვოლნეის ტექსტში არის ფრაზები, რომლებიც კაცის ბუნებაზე **ახლოდან დაკვირვებას, ახლოით განჩხრეკას** მოითხოვენ.

ან, მაგალითად: «Взор простого смертного не в состоянии рассмотреть все эти предметы с такого большого расстояния» (იქვე, გვ. 44).

და შემდეგ: «И эти законы вовсе не начертаны где-то далеко на звездах...., а внутренне присущи самой природе земных существ... Пусть человек знает свои законы» (იქვე, გვ. 46).

ე. ი. მათი ახლოდან „განჩხრეკა“ და შესწავლაა საჭირო. მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ არის მთავარი: საქმე ისაა, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძესათვის სტიმული, მართალია, ვოლნეის წიგნს მიუცია, მაგრამ **ქართველი ავტორი ყველაფერში როდი ეთანხმება ფრანგ მოაზროვნეს.** ვოლნეი თავის წიგნში ბევრს ლაპარაკობს ადამიანის ტანჯვაზე, უბედურებაზე, ჩაგვრაზე, მაგრამ არაფერს ამბობს ადამიანთა ტანჯვის პირვანდელ მიზეზებზე, საფუძველთა საფუძველზე—კერძო საკუთრებაზე. კერძო საკუთრების გამოცხადება კაცობრიობის ტანჯვის წყაროდ რუსოს მთავარი თეზისი იყო, და ვოლნეიმ გვერდი აუხვია მას.

და არა მარტო ვოლნეიმ. ჯერ ისევ ადრე, რუსოს სიცოცხლეშივე, მისი გაბედული რევოლუციური მოსაზრება თვითონ ვოლტერმაც კი არ გაიზიარა. რუსომ დაბეჭდვისთანავე გაუგზავნა ვოლტერს თავისი წიგნი „მსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწორობის წარმოშობასა და საფუძვლებზე“. რუსოს ამ წიგნში ადამიანებმა პირველად წაიკითხეს ისტორიული ფრაზა უთანასწორობის დაგმობაზე, რაც შემდგომში აფორიზმად იქცა:

„ადამიანი, რომელმაც ყველაზე პირველად შემოღობა მიწის ნაკვეთი და თქვა: ეს ჩემია, თანაც მონახა საკმაოდ გულუბრყვილო ადამიანები, რომ ამაში დაერწმუნებინა, იყო სამოქალაქო საზოგადოების ჭეშმარიტი ფუძემდებელი. რაოდენ დანაშაულს, ომს, მკვლელობას, რაოდენ უბედურებასა და საშინელებას აარიდებდა ადამიანთა მოდგმას ის კაცი, ვინც იმ პირველ მესა-

კუთრეს ამოუყრიდა მიჯნებს, ამოუვსებდა თხრილს და ეტყოდა ადამიანებს: ყურს ნუ დაუგდებთ ამ მატყუარას, თქვენ დაიღუპებით, თუ დაივიწყებთ, რომ ბუნების ნაყოფი ეკუთვნის ყველას, ხოლო მიწა — არავის".

ვოლტერმა ეს რომ წაიკითხა, ზედ წიგნზევე მიაწერა:

„როგორ? მას, ვინც დაამუშავა, დათესა და შემოღობა მიწის ნაკვეთი, არ ეკუთვნის თავისი შრომის ნაყოფი? როგორ, ამ კაცს (ლაპარაკია რუსოზე), რომელსაც არ გაეგება, თუ რა არის სამართლიანობა, ამ მართლაც ქურდს, უნდა, რომ ადამიანთა მოდგმის კეთილისმყოფელად მოგვაჩვენოს თავი? ესაა ფილოსოფია მათხოვრისა, რომელსაც სურს, რომ ღატაკებმა გაძარცვონ მდიდრები".

უფრო გვიან, თავის ერთ დიალოგში ვოლტერი ასე ალაპარაკებს თანამოსაუბრეებს: „ეს უაზრობა, — ამბობს ერთი მათგანი, — ალბათ დაწერა რომელიმე შარაგზის ქურდმა, ეტყობა ეს ენამახვილობა ჰგონია". მეორე პასუხობს: „მე ვფიქრობ, რომ მაგისი დამწერი არის ზარმაცი და უქმად მოყიალე კაცი. იმის ნაცვლად, რომ წაახდინო ჭკვიანი და შრომისმოყვარე მეზობლის ბოსტანი, განა არ სჯობია მას მიბაძო?! მაგ სტრიქონების ავტორი, მე მგონია, არასაზოგადოებრივი ცხოველია".

აქ არ არის არც ადგილი და არც ჩვენი წერილის ამოცანაა დაწვრილებით გადმოვცეთ რუსოს თანასწორობის თეორია, რომლის მიხედვითაც, ცივილიზაციის ყოველი წინსვლა უთანასწორობის ახალ წინსვლასაც მოასწავებს, ხოლო შემდეგ პირველყოფილი ადამიანების ძველი სტიქიური უთანასწორობა იქცევა საზოგადოებრივი ხელშეკრულების უმაღლეს თანასწორობად, ე. ი. დამთრგუნველნი ითრგუნებიან.

ეს იყო მწყობრი კონცეფცია ისტორიის ფილოსოფიისა, მაგრამ ვოლტერმა ასე როდი შეხედა. მან სცადა რუსოს თანასწორობის თეორიის, მთელი მისი ფილოსოფიური კონცეფციის ისეთი გაუბრალოება თუ გამარტივება, რომლის ბევრად უკეთესი ნიმუში ადამიანმა შეიძლება მოისმინოს ყოველ ნაბიჯზე. იქნებ ეს ვოლტერის წუთიერი განწყობილებაა! არა, ფერნეს პატრიარქი უთანასწორობის პრინციპული დამცველი იყო და რუსოს ოცნებას თავისუფლებაზე ქიმერას უწოდებდა. 1764 წელს ვოლტერი წერდა:

„ჩვენი უბედური პლანეტა ისეა მოწყობილი, რომ ადამიანები, რომლებიც საზოგადოებაში ცხოვრობენ, შეუძლებელია დაყოფილნი არ იყვნენ ორ კლასად — მათგან ერთი მჩაგვრელია და მეორე ჩაგრული. კაცთა მოდგმა, ისეთი, როგორიც ის არის, შეუძლებელია არსებობდეს იმ მრავალი სასარგებლო ადამიანის გარეშე, რომელსაც არაფერი არ გააჩნია, ვინაიდან შეძლებული ადამიანი არ მიატოვებს თავის მიწას იმისთვის, რომ დაამუშაოს შენი მიწა, და თუ თქვენ გჭირდებათ ერთი წყვილი ფეხსაცმელი, მას არ შეგიკერავს კაცი, რომელიც ცოტად თუ ბევრად შენზე მაღლა დგას. ამრიგად, თანასწორობა არის რაღაც ყველაზე მეტად ბუნებრივი, და, იმავე დროს, ყველაზე მეტად ქიმერული რამ".

რუსოს მოწაფე და მიმდევარი ვოლნეი, ასევე ვერ ბედავს ხელი აღმართოს ძველი სამყაროს ამ წმიდათაწმიდის — კერძო საკუთრების მიმართ. და საგულისხმოა, რომ **თითქოს განზრახ, დედნის საპირისპიროდ,** ალ. ჭავჭავაძე განსახილველ ნარკვევში ჩაურთავს რუსოს ზემოთმოყვანილ ფრაზას:

„მივხედოთ ყოველთა ბოროტებათა წყაროსა! საჭიროება კაცისა მდგომარებდა ნაყოფთა, რძესა და წყალსა შინა. შემუშავებული მიწა გამოჰსცემდა მისთვის სიუხვით ამა პირველთა უმანკოებისა საქონელთა; ლიტონი საზრდო ესე რომელი თავით თვისით მიეცემოდა ხელთა მისთა, დაიცევდაცა კეთილ მოყვარებასა გულსა შინა მისსა, გარნა... მან დაფარა გვამი თვისი ჭრელთა სამოსელთა ქვეშე და დაიდვა ტვირთად ოქრონი და ძვირფასნი თვალნი და ჰსთქვა ამპარტავნებით: მიწა ესე ჩემი არს, მე განვაგდებ მუნით ყოველსა კაცსა, რომელსა არ ექნების საკმაო ძალი, გინა მხეცობრიობა. თავისა თვისისა გასარინებლად დავსდებ მათ ჯაჭვსა რკინისასა, და იძულებულ ვყოფ რათა იმუშაონ სიამოვნეთა ჩემთა კმა საყოფელად, ხოლო გამოუცემელად ფასისა ამის, ვერცა მიიღოს მან ნაყოფნი მიწისანი, და ვერცაღა ხორცი ცხოვართა".

ასე, რუსოს მეშვეობით გაასწორა და შეავსო ქართველმა ავტორმა ფრანგი მწერლის წიგნი. გარდა ამისა, და ეს მთავარია — ალ. ჭავჭავაძის ნაშრომში არის მთელი ადგილები, შესანიშნავი მხატვრული სახეები, რომლებიც სავსებით ორიგინალურია.

ყოველივე ზემოაღნიშნული გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ის „ფრანცუზი", რომელსაც ეკუთვნის „ახლოით განჩხრეკილი კაცი", არის ალექსანდრე ჭავჭავაძე. დიახ, აქ **დარღვეულია თარგმანის ყველა წარმოსადგენი და შესაძლებელი საზღვრები, ეს უკვე ორიგინალური ნაწარმოებია.**

ამით უფრო იზრდება ამ ტრაქტატის მნიშვნელობა. ქართული ლიტერატურა მდიდრდება ნაწარმოებით, რომელიც საუკუნის დასაწყისშივე ქადაგებს შრომის ახსნისა და ადამიანის განთავისუფლების იმ დიად იდეებს, რომლებიც შემდგომში ილია ჭავჭავაძემ და სამოციანელებმა უმაღლეს მწვერვალზე აიყვანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მარგველაშვილი

# საუკუნეთა მიჯნაზე

ვის არ გვახსოვს, რომ 1900 წლის წინადღეს ილია ჭავჭავაძემ მეოცე საუკუნეს მისი უშუალო წინამორბედის ნაანდერძევის აღსრულება ჩაუთვალა მთავარ ამოცანად, ხოლო თვით ამ ანდერძად — ა დ ა მ ი ა ნ ი ს გ ო ნ ე ბ ი ს წ ი ნ ს ვ ლ ა ს ა დ ა ზ ნ ე ო ბ რ ი ვ ა ღ მ ა ტ ე ბ ა ს თ ა ნ ერთად, კაცობრიობის უმწვავეს ტკივილთა-ხალხთა შორის და კაცთა შორის უ თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ თ ა მ ო ს პ ო ბ ა იგულისხმება. თვით ილიას მას შემდეგ ახალი საუკუნის შვიდიოდე წლის განვლაღა ხვდა წილად, ხოლო მის უდიდეს თანამესაგრეთ-აკაკისა და ვაჟას — ძლივს შვიდ-შვიდი წელი არგუნა კიდევ ბედმა. ეს კია, ოღონდ რა საოცარნი აღმოჩნდნენ ახალი საუკუნის ეს საწყისი წლები! საკმარისია ცხრაასხუთისა და ცხრაასთოთხმეტის საბედისწერო ნიშანსვეტთა გახსენება, ცხრაასჩვიდმეტისაგან დაშორებული დისტანციის გათვალისწინება, ყველა ამ წერტილთა შორის დაჭიმულ ნაპერწკლისმფრქვეველ საისტორიო „ვოლტას რკალის“ თვალნათლივ წარმოდგენა, რათა ჩვენს წინაშე აღდგეს ხანა, რომლის წიაღშიც უნდა დასრულებულიყო ქართული კლასიკური მწერლობის უკანასკნელ მოჰიკანთა სიცოცხლე და მოღვაწეობა. არცაა გასაკვირი, რომ ეგზომ მძაფრად დამუხტული და ასეთი წნეხით დაწნეხილი დროჟამი მრავალგვარ სულიერ ფენათა დიფუზიას, სტრუქტურათა ურთიერთშეჭრას, ძველ და ახალ სულიერ და მხატვრულ ფორმაციათა გადახლართვას, შერკინებას თუ თანაარსებობას მოასწავებდა. საკმარისია ითქვას, რომ თვით ისტორიის ნიჭიერმა ფანტაზიამ აკაკისა და ვაჟას ფიზიკური არსებობის ბოლო წლებს მიუსადაგა ქართველ მგოსანთა ახალთაობის შემოქმედებითი ნათლობა. თანამედროვეთათვის როდი იყო ადვილი ამ ღვლარჭნილ ხლართში გზის გაკვლევა, როდი იყო ცხადზე ცხადი, თუ რა უდიდეს სტიმულს მასცემდა ახლო მომავალში ქართულ პოეზიას ეპიგონთა ლორწოსაგან განწმენდილი „ავადმყოფი მგოსნისა“ და „გველისმჭამელის“ შემოქმედთა ტრადიცია, ან ხომ ეგონათ მაშინდელ „ესთეტთ“, რომ ქართულმა კლასიკურმა პოეზიამ ამოსწურა თავისი მისია მშვენიერების სამყაროში, ხოლო პარტიათა ადეპტები ხომ კვლავაც ვარაუდობდნენ, რომ ყოველივე, რაც „კაკო ყაჩაღის“, „თორნიკე ერისთავის“ ან „ძალლიკა ხიმიკაურის“ პრობლემატიკის ფარგლებს სცილდება, ეშმაკისეულია, თუნდაც ამ ფარგალთა გარღვევაში დასახელებულ ქმნილებათა ავტორებსაც მიუძღოდეთ საგრძნობი „ბრალი“. ამავე დროს კი ქართული ზეცა უკვე გაჟღენთილი იყო გალაკტიონის ხვალინდელი „ვეფხია ნახტომის“ წინათგრძნობით, უკვე ელოლიავებოდა თვით აკაკი ნდობისა და იმედის თვალით ყმაწვილ მგოსნებს — აბაშელსა და გრიშაშვილს, უკვე იგრძნო გულთმისნურად ვაჟამაც სურნელი პირველი მცირე კვირტისა ლეონიძის ახალშენში, უკვე ელოდნენ ილია და კირილე ზდანევიჩებთან და ლე დანტიუსთან შეხვედრას, გამომზეურებას და თავიანთ უკვდავ ხვედრს — ფიროსმანის მუყაო და მუშამბა, უკვე წვრთნილა საზღვარგარეთით სამშობლოს დაბრუნებული ოსტატი ქართული ლექსის ხვალინდელ შუთაისთავებს — ტიციანსა და პაოლოს, უკვე მიღებული ჰქონდა ალი არსენიშვილს ალექსანდრე ბლოკის ბრძნული და გრძნეული წერილი პასუხად თავის აღსარებაზე. ასე რომ, მომავალი „ცისფერყანწელები“ მზად იყვნენ თითქოს დასწაფებოდნენ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ლირიკოსის ჭეშმარიტად აპოსტოლურ შეგონებას, თუმცა ათიოდე წლის მანძილზე მაინც ყურად არ იღეს იგი. ბლოკი კი ივედრებოდა: „ჩემი უკანასკნელი თხოვნა ესაა: თუ კი

თქვენ გიყვართ ჩემი ლექსები, დასძლიეთ მათი შხამი, ამოიკითხეთ მათში მომავალი“. ნეორომანტიული ქავილი და დეკადანსის „ტკბილი შხამი“ უკვე შემოიჭრა ქართულ პოეტურ აზროვნებაში, მაგრამ მას ახლდა მომავლის ეშხიც და თვით ეს მტკივნეული აცრა საჭირო აღმოჩნდა, რათა ამ მომავალს ჯანსაღად ეხარა. ცხრაასხუთში დამარცხებული და საცხრაასჩვიდმეტოდ მოღონიერებლად გარინდებული რევოლუციის შუაყამს საქართველოშიც, ცოტა მოგვიანებით ვიდრე რუსეთში, დაიწყო ახალი ლიტერატურული მოძრაობა, რომელსაც საზოგადოებრივ წყლულთა აქიმობის უნარი თუ არ შესწევდა ჯერ, ამ წყლულთა უტყუარი დიაგნოზის დასანიშნავად მაინც გამოდგებოდა და, ამასთანავე, ხელოვნების განვითარების რთული დიალექტიკის ძალით, ქმნიდა ახალი საუკუნის პოეტური კულტურის იმ პირველ ყალიბებსა და ინვენტარს, რომელიც ადრე თუ გვიან რევოლუციის მიერ ამ შინაგანად განახლებულ კულტურას უნდა მორგებოდა. და აი აქ შეეწია სწორედ ისტორიული ბედი ქართველ მწერალთა ახალთაობას: აცრის ატანაცა და მომავლის კვირტთა გახარებაც გაუადვილა მათ იმ გარემოებამ, რომელსაც ჩვენ ზემოთ „ისტორიის ნიჭიერი ფანტაზია“ ვუწოდეთ და რომელიც, როგორც ვთქვით, ვეტერან-კლასიკოსთა და ახალბედა ნეოფიტთა ერთი ეპოქის გარკვეულ მონაკვეთზე სინქრონულ თანშეხვედრაში გამოვლინდა, ასეთი პარადოქსის ანალოგიად გამოდგებოდა, მაგალითად: ლერმონტოვის, დობროლიუბოვისა და ნეკრასოვის ჰიპოთეტიური შეხვედრა ბლოკთან და ანდრეი ბელისთან! ჩვენში კი სწორედ ასე მოხდა. მეოცე საუკუნეში გრძელდებოდა მეცხრამეტე, ისე როგორც მეცხრამეტეში იყო საძიებელი ფესვები მეოცისა, მაგრამ მოვლენის სირთულე მხოლოდ იმით როდი განისაზღვრებოდა, რომ, ვთქვათ, აკაკიმ 75 წელი იცოცხლა და თუ სიყრმეში ტარას შევჩენკოსაგან მიიღო კურთხევა, სიბერეში თვით დალოცა გალაკტიონი. გრიშაშვილი და აბაშელი: საუკუნეთა დიფუზია მხოლოდ მათს მოსაზღვრე თავკიდურთა შეხებაში როდი გამოიხატა. როგორც ვთქვით, მეცხრამეტე საუკუნის პოეტურმა ლიდერებმა თვით შესძლეს გადმობიჯება მეოცეში არა მარტო შემოქმედების ქრონოლგიის, არამედ მისი თვისობრივი ტიპოლოგიის მხრივაც. ეს გარემოება ყველაზე მძლავრად გამოვლინდა ვაჟას სულიერ და პოეტურ ფენომენში, რამაც წინ გაუსწრო მაშინდელი მსოფლიოს ანალოგიურ ძიებებსა და განსაზღვრა ამ ბუმბერაზი შემოქმედის დღევანდელი მძაფრი თანადროულობა. მაგრამ აკაკი წერეთლის შემოქმედების უკანასკნელი, დაახლოებით ორი ათეული წლის, მონაკვეთის დაკვირვებული განხილვაც ავლენს მის იდუმალ კავშირს ახალი ეპოქის სულიერ და პოეტურ კომპლექსთან. აქ ძველისა და ახლის, ტრადიციისა და მისი გაგრძელების ჩვეულებრივი თანმიმდევრული კავშირი კი არ მჟღავნდება მხოლოდ ერთი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ფარგლებში, არამედ სწორედ თვისობრივად ახალი ნიშნების კრისტალიზაცია შეინიშნება „ძველ“ შემოქმედებითს „გარემოში“.

ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა (სიმონ ჩიქოვანის გამჭრიახი მინიშნების დამოწმებით), რომ აკაკი წერეთლის პოეტური ბუნება პირველი ნაბიჯიდან უკანასკნელ ლექსამდე განსაკუთრებული და იშვიათი მთლიანობით, საერთო ნიშანთვისებებით ხასიათდებოდა, ერთს, თითქმის დახშულ და თავისთავში დასრულებულ, წრეშეღობილ სისტემასა და ორგანიზმს შეადგენდა, რომ ეს იმთავითვე განპირობებული ჰარმონიული მთლიანობა თვით პოეტის მიერვე მკითხველის მხედველობის „ეკრანისაკენ“ პროეცირებულ ავტოპორტრეტში — მხცოვანი ჭადაგისა და ჭაღარამოსილი წინასწარმეტყველის სახით იყო წარმოდგენილი. ეს ასეა, და სწორედ ეს მოცემულობა შეადგენდა მაინც იმ „გარემოს“, რომელშიც მოხდა ახალ ნიშანთვისებათა ჩასახვა, რაც გვაძლევს ჩვენ უფლებას და საშუალებას გამოვყოთ აკაკის ბოლო ორი ათეული წლის პოეზიაში შედარებით ახალი სულიერი და მხატვრული თვისებების, ხოლო რიგ შემთხვევაში მისთვის მანამდე უცხო სტილური პოტენციის შემცველი მასალა. სიმონ ჩიქოვანმა ამ გარემოებასაც მიაქცია ყურადღება და მოგვცა, აკაკის ჰარმონიული პოეტური ბუნებისა და მთლიანი შემოქმედებითი გზის გათვალისწინებით, ამ შინაგანი ევოლუციის მოხაზვის ბრწყინვალე ცდა: „აკაკი წერეთელი მხოლოდ პირველი წიგნის, მხოლოდ ერთი ლირიკული განწყობილებით დაწერილი წიგნის ავტორად არ ჩაითვლება. მას ქართულ პოეზიაში, თავისი ლირიკული შედევრები მხოლოდ პირველი დავაჟკაცების ხანაში არ შეუქმნია და პოეტური ნიჭის პირველი ამღერების შემდეგ არ შეუყვანია. ერთი სიტყვით, *აკაკი წერეთელი მხოლოდ ერთი თაობის ლირიკული სამყაროს გამომხატველი არ ყოფილა. იგი რამდენიმე თაობის სულის მესაიდუმლე იყო და რამდენიმე თაობის ზრახვათა გამომხატველი* (ხაზი ჩემია — გ. მ. ). თუ მისი ბრწყინვალე სიმღერები — „საიდუმლო ბარათი“, „სალამური“, „აღმართ-აღმართ“, „თავო ჩემო“ და „ციცინათელა“ დაწერილია ოცდათხუთმეტი წლის ასაკამდე და ჭაბუკური ცხოველმყოფელობით აღსავსეა, მისი ლირიკული ძალა კიდევ უფრო სრულყოფილად მაშინ გამომჟღავნდა, როდესაც პოეტს სიცოცხლის ორმოცდაათი წლის მანძილი განვლილი ჰქონდა. მისი ლირიკული შედევრები — „განთიადი“, „ავადმყოფი მგოსანი“, „სულიკო“, „ხალხური“, „რაც არ იწვის, არ ანათებს“, „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“, „ამირანი“ და სხვა მრავალი შექმნი-

ლია ორმოცდაათ წელს გადაცილებული პოეტის მიერ. ხოლო მისი ლირიკული პოეზიის მწვერვალი „ქებათა-ქება“ და დიდი შინაგანი მღელვარების შემცველი ლექსი „ურიული მოთქმით ტირილი საქართველოში“ დაწერა სამოცი წლის ასაკს გადაშორებულმა, ხანდაზმულობაში სიჭაბუკით ამღერებულმა საქართველოს ბულბულმა... მოხუცობაში დაწერილ აკაკის ლირიკულ ლექსებზე მაინც განვლილმა დროის მანძილმა თავისებური გავლენა მოახდინა. პოეტის მიერ მოწიფულობის შემდეგ თქმულ ალსარებაში არა მარტო მიმდინარე ცხოვრების უშუალო შთაბეჭდილებაა გამოვლენილი, არამედ განვლილი წლებიდან მიღებული პოეტური გრძნობების გააზრება და მათი დიდი პოეტური განზოგადება მიღწეული. ცხოვრების გამოცდილების სიბრძნე და დიდი სულიერი სიფაქიზე შერწყმულია ჭაბუკურ აღფრთოვანებას. სატრფიალო ლექსებიც წლებიდან მიღებული გამოცდილებით გამდიდრებული და ამაღლებულია. ამ ლექსებში მეტი სიფაქიზე და პოეტური ხილვაა გამოვლენილი. სიბერეში დაწერილ ლექსებში სატრფიალო თემა უკვე ფილოსოფიურ სიმაღლეზეა აყვანილი და ახალი შუქით არის განათებული“.

რა თქმა უნდა, ამ ასაკობრივი ნიშნით შეთხზულ სქემას ერთგვარი პირობითობის ელფერი დაჰკრავს, მაგრამ თვით პოეტური ევოლუციის ხასიათი მასში ზუსტადაა მინიშნებული. საინტერესოა, რომ აკაკის პოეტური ევოლუციის ასეთ დახასიათებას სავსებით ემთხვევა თვით აკაკის მიერვე დახატული ავტოპორტრეტული „ტრიპტიხი“, რომლის სათაურიც კი — „სამი დრო“ — ეხმაურება სიმონ ჩიქოვანის მტკიცებას — „აკაკი წერეთელი მხოლოდ ერთი თაობის ლირიკული სამყაროს გამომხატველი არ ყოფილაო“ და ეთანხმება ამ ლირიკული სამყაროს სამსახეობის ჩიქოვანისეულ დახასიათებას. ეს შეხვედრა იმდენად საგულისხმოა, რომ ღირს მასზე შეჩერება უფრო დეტალურად. სიმონ ჩიქოვანი აკაკის შემოქმედების პირველი პერიოდის ნიშნეულ თვისებად აცხადებს „ჭაბუკურ ცხოველმყოფელობას“ და „მიმდინარე ცხოვრების უშუალო შთაბეჭდილებათა გამოვლენას“, განა იგივეს არ ამბობს აკაკი:

ჭაბუკობის დროს, როდესაც,
სიცოცხლე გრძნობით დნებოდა,
ფერადი, ჭრელი ქვეყანა
ვარდისფრად მეჩვენებოდა.
...აღარ დგებოდა ბუდეში
ფრთებშემოსხმული გარს, გული:
შიგ ია-ვარდი ჰყვაოდა
და ჰიკჰიკობდა ბულბული.

აკაკის პოეზიის „მეორე დრო“ სიმონ ჩიქოვანს დახასიათებული აქვს, როგორც ხანა, როდესაც „მისი ლირიკული ძალა კიდევ უფრო სრულყოფილად გამოვლინდა“, ვინაიდან, „აკაკის ლირიკულ ლექსებზე განვლილმა დროის მანძილმა თავისებური გავლენა მოახდინა“, მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება შეხძინა და ამიტომ „პოეტის მიერ მოწიფულობის შემდეგ თქმულ აღსარებაში არა მარტო მიმდინარე ცხოვრების უშუალო შთაბეჭდილებაა გამოვლენილი, არამედ განვლილი წლებიდან მიღებული გრძნობების გააზრებაც“. აი აკაკის თვითდახასიათებაც ამ „მეორე ხანისა“:

რომ დავვაჟკაცდი, მესტუმრა
თვალი და გამოცდილება
და მოწონებულ ქვეყანას
მევე შევნიშნე ცვლილება:
ვარდი ერთი თვით იშლება!...
თერთმეტით — მარტო ეკალი...
და კაცის ანგელოზობაც
აღარ გამოდგა მართალი!
გული დააჭკნა საგულეს,
გარს მოიქაფა ნაღველი!..
ბულბულიც ყორნად გადიქცა
ჰრომახი ქვეყნის მნახველი.

„მესამე დრო“ კი სიმონ ჩიქოვანს წარმოდგენილი აქვს, როგორც ხანა, როდესაც აკაკის ლექსებში „მეტი პოეტური ხილვაა გამოვლენილი... თემა უკვე ფილოსოფიურ სიმაღლეზეა აყვანილი და ახალი შუქით არის განათებული“. აქაც ნებსითი თუ უნებლიე ვარიაციაა აკაკის აღსარებისა.

ხანში რომ შეველ, ქვეყანას
სხვაგვარად ვავლებ მე თვალსა:
ვარდს აღარ ვაქებ-ვადიდებ
და აღარც ვწყევლი ეკალსა.
ორივე ერთ ხეს აბია
ძირი ორივეს ერთია...
მათი გამრჩევი, მსაჯული
თვით შემოქმედი — ღმერთია.

თვით ეს ლექსი „მესამე ხანის“ დასაწყისშია დაწერილი და იგი არა მარტო პოეტის სულიერი მოძრაობის მაუწყებელია სამყაროს უშუალო გრძნობადი აღქმიდან მისი ფილოსოფიური გააზრებისაკენ, არამედ პოეტური მეტყველებისა და პოეტური ხილვის ახალ თვისებებსაც შეიცავს, თუნდაც ჯერ კიდევ მეტად შეზღუდული მასშტაბით. ვფიქრობ, რომ „აღარ დგებოდა ბუდეში ფრთებშემოსხმული გარს, გული“ — სახობრივად და პოეტური სინტაქსის მხრივაც, ან „თვალდიდა გამოცდილება“ თავის თითქმის „მოდერნისტული“ მეტაფორულობით — მართლაც სიახლეს წარმოადგენდა აკაკის პოეზიაში, ხოლო ამ ლექსის ერთი შუა სტროფის ლექსიკა და ინსტრუმენტირება ლეონიძის მომავალი ლექსთმეტყველების ძარღვიან-ფხიანობასა და მის მიერვე დამკვიდრებულ ქართული ანბანის დასკვნითს თანხმოვან ბგერათა შეხლა-შე-

ჯახების ჯადოქრობას უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ჩვენთვის ჩვეულ, ხმოვანთა ჰარმონიაზე აგებულ აკაკის ლექსის მელოდიურობას:

გული დააჭკნა საგულეს,
გარს მოიქაფა ნაღველი!...
ბულბულიც ყორნად გადიქცა
ჰრომახი ქვეყნის მნახველი.

რა თქმა უნდა, თავისთავად არც ესა თუ ის „ხატოვანება", „ხილვა", „პოეტური სინტაქსი", „მეტაფორისტიკა", „ლექსიკა" ან „ორკესტრული ლექსალობა" არ წარმოადგენს ციდან ჩამოვარდნილ მოვლენას და, მით უმეტეს, ამა თუ იმ ნაწარმოების მონოპოლიურ ნიშანს, მაგრამ აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს ან ცნებათა ფარგლებში გაერთიანებულ რეალურ, კონკრეტულ სახესხვაობათა ხვედრითი წონა, ცალკეულ შემთხვევათა მოჭარბებით წარმოშობილი თავისებური სტილური „აქცენტი", თვით სტილურ კომპონენტთა თავისებური კავშირი სულიერ განწყობილებასთან, ან, თუ გნებავთ, „პოეტური სისტემის", „პოეტური ხილვისა" და „პოეტური მსოფლშეგრძნების" ანუ „აზროვნების" ურთიერთობის ურთულესი დიალექტიკა. „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოც" — მეტაფორაა, მაგრამ სულ სხვა ტიპოლოგიური რიგისა, ვიდრე „თვალდიდა გამოცდილება", ასევე, ვთქვათ, „გულო ჩადექ საგულესა" და „გული დააჭკნა საგულეს, გარს მოიქაფა ნაღველი". აკაკის პოეტური სინტაქსის ჯადოსნური ბუნებრივობა ხომ საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ განა ადვილად თავსდება ამ ჩვეულ კალაპოტში პოეტური ფრაზის ისეთი დინება, როგორიცაა ზემოთ მოყვანილი: „აღარ დგებოდა ბუდეში ფთრებშემოსხმული გარს, გული"? ჩვენ ისიც კარგად ვიცით, რომ აკაკისათვის მუდამ იყო დამახასიათებელი სტრიქონისა და ფრაზის (ან ფრაზის ავტონომიური მონაკვეთის) თანხვედრა და განა არ გვეუცნაურება ამჟამად თუნდაც ასეთი „ანჟაბემანებით" გართულებული კონსტრუქციები, როგორიცაა ვთქვათ,

პატივახდილი, თოფების სროლით
გვშორდება, მიდის ჩარჩალით ძველი
და მის მაგიერ უნდა მოვიდეს
მოსალოცავი ახალი წელი.

ამ სტროფში ერთი მთლიანი სამწევრია — „პატივახდილი... ძველი... წელი" — განაწილებულია მთელი სტროფის მანძილზე, ხოლო მისი ბოლოკიდურები „პატივახდილი" და „წელი" — სტროფის პირველ და უკანასკნელ სიტყვებად გვევლინებიან! ასეთი სინტაქსური მოქნილობა და ექსპრესია იქნებ მხოლოდ გალაკტიონსა აქვს მიღწეული თავის შედარებით გვიანდელ ლექსებში, სადაც მან აკაკის ამ „ოქროს საბადოსაც" მიაგნო! ანდა კიდევ ასეთი ნიმუში ლექსის რთული სინტაქსური აღნაგობისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთს მყოფსა, შენს გამო
გულში რომ ცეცხლი მეკიდა,
დროგადასული, კურცხალად
წამწამზე გადმომეკიდა.

ეს ლექსი ასე მთავრდება:

...ჩამომწყდა ცრემლი ობოლი
და გაიყოლა თან გული,
აწ მხოლოდ ნაცარ-მიყრილი,
ერთხელ დამწვარი... დაგული.

აქ, გარდა ზემოთაღნიშნული თვისებისა, რომელიც პირველ სტროფში მჟღავნდება, საგულისხმოა, ლექსის თითქმის მთლიანი და უწყვეტი მეტაფორული სტრუქტურაც, პირველადი მეტაფორული სახის თანმიმდევრული რეალიზაცია და მისი შინაგანი პოეტური ლოგიკის გზით განვითარება. ლოკალური მეტაფორიდან— მეტაფორულ სიუჟეტამდე — ეს ქართული პოეზიის ცხრაასიანი წლებისათვის უკვე აშკარად ახალი მოვლენაა, რაც მეცხრამეტე საუკუნის კლასიკური რეალიზმისათვის თითქმის სრულიად უცხო იყო. ასეთსავე ხერხს მეტაფორის რეალიზაციისა, უკვე სავსებით უწყვეტი მეტაფორული სიუჟეტის შექმნამდე, ჩვენ ვხედავთ აკაკის მეორე ლირიკულ მინიატურაში — „ლოლო ნიკოლაძეს".

ნაპერწკლის მსროლელ თვალებით
ცეცხლს უჩენს სულსა და გულსა
და წარბ-წამწამთა მარაოთ
აგრილებ შენვე დაგულსა!
მაგრამ სანამდი? ერთხელ შენც
ეგ ცეცხლი წაგეკიდება
და ცრემლად გრძნობა დამდნარი
წამწამზე დაგეკიდება.

რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა აღნიშნული პოეტური ხერხის ნოვატორული ხასიათი შეფარდებითია და უმთავრესად მეცხრამეტე საუკუნის კლასიკური რეალიზმის მიმართ არის ასეთი. ძველმა ჰიმნოგრაფებმა, რუსთაველმა და უფრო გვიან ბესიკმაც უდიდეს სიმაღლეზე აიყვანეს მეტაფორულ-ასოციაციური პოეტური აზროვნება; რიტმიკულ-სინტაქსური ფიგურების რთული მრავალფეროვნებაც არ იყო ძველი ქართული პოეზიისათვის უცხო, მაგრამ პოეზიის განვითარების დიალექტიკა ხშირად სწორედ სპირალურ განვითარებას გულისხმობს, სადაც უკვე საკმაო მანძილის განვლის შემდეგ სპირალის გარკვეული წერტილი მის წინამორბედ რგოლთა შესაბამის წერტილებს უსწორდება და მათ უფრო უახლოვდება, ვიდრე იქვე ჩამოტოვებულ თავისსავე „ნაკვალევს". ცნობილია, რომ ამა თუ იმ ნოვატორული ნა-

მოწყების დროს ძალზე ხშირად პოეტები მამათა მიღმა, პაპებისაკენ წარმართავენ ხოლმე ყურადღების მახვილს (გავიხსენოთ თუნდაც ვაჟას დავით გურამიშვილისადმი განთქმული მიმართვა — „შენ ჩემო წინამორბედო, უძვირფასესო პაპაო!“).

აკაკის პოეზიაში ასეთი თვისობრივი გადახალისება, ვფიქრობ, მაშინ მოხდა, როდესაც მან ჩვეული ალეგორიზმი ან ლოკალური, ხშირად ფოლკლორიდან მომდინარე, მეტაფორისტიკა, რომელიც არსებითად იდიომატიკის მიჯნაზე იდგა, უფრო რთული ასოციაციური პოეტური სისტემით შესცვალა. თანაც ეს ის ხანაა (და განმსაზღვრელი გარემოებაც სწორედ აქაა საძიებელი), როდესაც პოეტმა პატრიოტული და სოციალური „მაკროკოსმისადმი“ უპირატესი ყურადღება დაუკავშირა სუბიექტური „მიკროკოსმის“ გაშუქებას და თავის თავში „ქადაგისა“ და „წინასწარმეტყველის“, „ტრიბუნისა“ და „მოციქულის“ გენიალურ ნიღაბს იქით მეტად ინდივიდუალური, ბიოგრაფიულად განცდილი ადამიანურ სირთულეთა, წინააღმდეგობათა, ტკივილთა, დაეჭვებათა, საერთოდ პირად გრძნობათა მთელი გამის შემცველი სამყარო განსჭვრიტა. რა თქმა უნდა, აქ სულწასულობა არ გვმართებს და აკაკისაც, ვთქვათ, გალაკტიონ ტაბიძის რეფლექსია როდი უნდა მივაწეროთ. მაგრამ არც აღნიშნული ევოლუციის უგულებელყოფა იქნებოდა გამართლებული. ამ ევოლუციის „სტარტი“ და საწყისი ნიშანსვეტები ჩვენ ოთხმოცდაათიანი წლების შუაგულში გვეგულება, სწორედ „მეორე“ და „მესამე ხანის“ მიჯნაზე (კვლავ აკაკის „სამი დროისა“ და სიმონ ჩიქოვანის აქედან გამომდინარე კლასიფიკაციას რომ მივმართოთ). აქ მე დავასახელებდი, პირველ რიგში, აკაკის ისეთ უმწვერვალეს ქმნილებებს, როგორიცაა 1894 წლის სამი შედევრი — „მღერალ ქალს“, „ავადმყოფი მგოსანი“ და „ხატის წინ“, ხოლო შემდეგ 1898 წლის — „რაც არ იწვის, არ ანათებს“. , 1899 წლის — „ქრისტე აღსდგა“, იმავე წლის „მგოსანი“, 1900 წლის „გამოთხოვება“ და ბოლოს მომდევნო წლების მანძილზე შექმნილი, მონუმენტალური ლირიზმით გამსჭვალულნი და მადლმოსილნი „ქებათა-ქება“, „ურიცული მოთქმითი ტირილი საქართველოში“ და სხვანი. მაგრამ ამავე ხანაში და დასახელებული ნაკადის პარალელურად აკაკის პოეზიაში სულაც არ იშრიტება მისთვის უფრო ტრადიციული, მის მიერვე დამკვიდრებული, რაკრაკა და გამჭვირვალე, კრისტალურად წმინდა ლირიკის ნაკადი, რომელიც სწორედ ამ ხანაშია აყვანილი უდიდეს სიმაღლეზე და ისეთი შედევრებითაა დაგვირგვინებული, როგორიცაა „განთიადი“ და „სულიკო“, „შალარა“ და „ქუთაისი“, „ზღვაო, ალელდი“ და „სიზმარი“, „ნათელას სიმღერა“ ანდა უმძაფრესი პათოსით გამსჭვალული ცხრაასხუთი წლის რევოლუციური ციკლი, „ილიას მოკვლის გამო“ ამომხდარი გოდება — წყევლა და ელეგიურად დასათაურებული, მაგრამ მეტად მწარე ფილიპიკა „ჩაფიქრება“.

როგორც ვხედავთ, ის პოეტური მაგისტრალი, რომელიც სამოციანი წლებიდან დაწყებული აკაკის შემოქმედებაში ნ ო ვ ა ტ ო რ ო ბ ი ს შედეგს წარმოადგენდა მონუმენტურობით, არქაულობითა და მწიგნობრული იერით აღბეჭდილ „მამათა“ ქმნილებებს პოლემიკურად უპირისპირდებოდა, ამჟამად აკაკის მიერვე დამკვიდრებულ ტ რ ა დ ი ც ი ა დ გადაიქცა და თვით აკაკის შემოქმედებაში ჩასახული ახალი პოეტური საწყისებისათვის თავისებური „უარყოფის“ საგანი. მაგრამ აქაც, არსებითად „უარყოფის უარყოფა“ მოხდა. „ავადმყოფი მგოსნისა“ და „ქებათა-ქების“ ლირიკულმა სამყარომ და პოეტურმა სისტემამ ერთგვარი „სინთეზის“ რკალში მოაქციეს „გუშინწინ“ უარყოფილი „მამათა“ მონაპოვარიც და გადასახალისებლად გამიზნული „სალამურის“, „ჩანგურის“, „ციცინათელას“, „სულიკოსა“ და „განთიადის“ ტრადიციაც. ჩვენც სწორედ ამ საკითხს დავუბრუნდეთ.

ძნელი არ არის აკაკის ჭაბუკობისდროინდელი ლირიკული სიმღერებისა და მისი, ასე ვთქვათ, „ოლიმპიური ხანის“ შედევრების შეპირისპირება, იგივე „საიდუმლო ბარათისა“ და „ქებათა-ქების“ განმასხვავებელი ნიშნების მითითება — ისინი აშკარაა და ხელშესახები. უფრო საინტერესოა ჩვენს მიერ იმთავითვე ნაგულისხმევ ორი ხანის მიჯნაზე აღმოცენებულ ტიპოლოგიურად განსხვავებულ პოეტურ მოვლენათა შედარება ან ეპოქის თითქმის ერთ მონაკვეთზე პარალელურ და შეუზავებელ დინებათა განჭვრეტა. მით უფრო საინტერესოა ამ მიზნით პოეტის უმწვერვალეს თანაბარძალოვან და ტოლფას ქმნილებათა შედარება. ასეთი ქმნილებებია — „განთიადი“ და „ავადმყოფი მგოსანი“.

ყოველივე სიკეთე და სიახლე, რაც აკაკის მიერვე დამკვიდრებულმა თავისი ულრმესი ფესვებით ხალხური პოეზიის წიაღში ძირგადგმულმა, ხოლო ჩეროთი მსოფლიო პოეზიის ზეცას მიბჯენილმა მეცხრამეტე საუკუნის ქართულმა კლასიკურმა რეალიზმმა შექმნა, თითქოს „განთიადშია“ ჯადოქრულად თავმოყრილი და გენიალურად კონცენტრირებული. სიმონ ჩიქოვანმა ჩვენს მიერ არაერთჯერ ნახსენებ წერილში ერთ ადგილას დაიმოწმა გორკის აზრი — ხალხურობა რუსულ მწერლობაში მაშინ დაიბადა, როცა პოეზიაში პუშკინის აღმზრდელი გადია გამოჩნდაო. ასევე ძიძის მიერ თქმული იავნანას გამოძახილიც კი გვესმის ჩვენ აკაკის „განთიადში“. ამავე კონტექსტში სიმონ ჩიქოვანი შენიშნავდა, რომ „თუ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში სრულყოფილად გამოვლინდა ქართული პოეტური აზროვნების რთული ბუნება, მძაფრი ლირიკული ხმა და გარდაუვალი დაეჭვება, აკაკი წერეთლის ლირიკული სიმღერა უფრო ქართველი კაცის ხასიათის ანარეკლია და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი სულის მელოდიურობის მაუწყებელი. მისი ლირიკული აზროვნება ლაპიდარულია და იგი პატრიოტული გრძნობის პირდაპირი მეხოტბეა". ეს დახასიათება სავსებით მოერგება „განთიადით" დაგვირგვინებულ ლექსების რიგს, მაგრამ უთუოდ ასცდება „ავადმყოფ მგოსანს" და ტიპოლოგიურად მის მონათესავე ლირიკულ მწკრივს. გავიხსენოთ, რომ ორივე შემთხვევაში, ორივე ლექსის ლირიკულ გმირად „სნეული" თუ „ავადმყოფი" მგოსანი გვევლინება, თუმცა, „განთიადში" იგი ქართული პეიზაჟის ფონზეა ობიექტივირებული და მესამე პირადაა წარმოდგენილი, ხოლო „ავადმყოფ მგოსანში" წმინდა სუბიექტური, შინაგანი მონოლოგის წარმომთქმელად გვესახება. უკვე აქაც, ისე როგორც ზემოთ აღნიშნულ აღწერითს პლასტიკურობაში „განთიადის" პირველი ნაწილისა, ხოლო „ავადმყოფ მგოსანში" აღწერითი ელემენტის სრულ გამორიცხვაში, იგრძნობა ის ტიპოლოგიური განსხვავება, რომელზედაც ჩვენ ვამახვილებთ ამჟამად ყურადღებას. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სხვაობა ორი ლექსის ლირიკული კონცეფციათა და პოეტურ სისტემათა შორის:

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!..
ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო,
წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო.
წინ მომეგებნენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ-მოელვარეო.
გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუვყარეო,
ია და ვარდი დამჭკნარი
ხელახლად გამიხარეო!..
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!...

აქ პოეტისა და სამშობლოს ურთიერთობაა ლირიკული ღაღადისის საგანი, მგოსნის „დასნეულებაც" სამშობლოსთან გაყრით, „დაობლებით" არის გამოწვეული, „განკურნვაც" სამშობლოსთან ახალმა შეყრამ უნდა მოუტანოს მას. ეს ლექსი, მართლაც რომ „ქართველი კაცის ხასიათის ანარეკლია და მისი სულის მელოდიურობის მაუწყებელი", „ლირიკული აზროვნება" აქ მართლაც ზედმიწევნით „ლაპიდარულია" და პოეტი „პატრიოტული გრძნობის პირდაპირ მეხოტბედ" გვევლინება. ეხლა კი ვნახოთ, რა მკვეთრი შემობრუნებაა ამ პატრიოტული „მაკროკოსმიდან" პოეტის საკუთარი, შემოქმედებითი, სულიერი ტკივილებისაკენ „ავადმყოფ მგოსანში":

ბედო შავპირო, უპირო,
ამრევო გზის და კვალისა!
სულს ნუ ამომხდი, მაცალე
დახამხამება თვალისა!..
აჩრდილიღა ვარ წარსულის
და ლანდი მომავალისა!..,
ვის შერჩენია, მე შემრჩეს
გადახდა სოფლის ვალისა.
მაგრამ სურვილმა მომხიბლა
ცრუ მოიმედე ხვალისა,
ჩამიხმატკბილა ჩონგურმა
და გული გამიხალისა:
ჩონგურო, ჩემო ჩონგურო!
ოცნების ზღვაში მცურავო!
შენი კრიმანჭი წკრიალი
ხელახლად მომეწყურაო:
ჯორა გაქვს ია-ვარდისა,
სიმი — ბულბულის ენაო,
ფრთები არწივის გასხია,
შეგშვენის აღმაფრენაო;
მიმოფრენ, მეც თან დაგყავარ,
წამის-წამ, კიდის-კიდესო!
ველარ მერევა სიკვდილი
მე, შენსა გადამკიდესო!..
დიდება შენსა მოვლენას
ციურო, ტკბილო ძალაო!..
დაადნა გული შენს სიმებს
და სული დაიცალაო.

მე აღარ გავიმეორებ ზედმეტად, რომ ეს ლექსი მსოფლიო ლირიკის უზენაეს ქმნილებათა რიცხვს მიეკუთვნება უეჭველად, ისევე, როგორც „განთიადი". მე მხოლოდ განვაგრძობ შედარებას. აქ მგოსნის „ავადმყოფობა" უკვე პატრიოტულ ნიადაგზე როდია წარმოშობილი, იგი შინაგანი, სუბიექტური ბუნებისაა და „ქართული პოეტური აზროვნების რთულ ბუნებას, მძაფრ ლირიკულ ხმას და გარდაუვალ დაეჭვებას" ამჟღავნებს, კვლავ სიმონ ჩიქოვანის კლასიფიკაცია რომ მოვიმარჯვოთ. ეს ლექსი თავისი პრობლემატიკით, ფილოსოფიითა და ეთიკით (ხოლო აქედან გამომდინარე — პოეტური „ხილვითა" და „წყობითაც") ბევრად წინ უსწრებს თავის დროს. მისი უშუალო შთამომავალია ვაჟას განსაცვიფრებელი „ვედრება" და „მარტოობა", მასში „გველის მჭამელის" მოტივიც კი არის გაწინასწარებული. უფრო მეტიც: გასაღები, რომელიც „ავადმყოფ მგოსანშია" მოცემული, გამოადგება მომავალში ტიციან ტაბიძესა და სიმონ ჩიქოვანს. განა პირველის ფორმულა „ჩემი სიცოცხლე ლექსს თან ახლავს"-ო არ ეხმიანება საოცარ სახეს ჩონგურისას, რომელსაც პოეტი მიმართავს — „მიმოფრენ, მეც თან დაგყავარ, წამი-წამ, კიდისკიდესო, ველარ მერევა სიკვდილი მე, შენსა გადამკიდესო"? ხოლო ტიციანის შედარება ლექსისა „მოვარდნილ

მეწყერთან“, რომ „გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს“, განა თავისებური ანალოგია არ არის მიმართვისა ჩონგურისადმი — „დაადნა გული შენს სიმებს და სული დაიცალაო“? ხოლო სიმონ ჩიქოვანის „დაეჭვების“ კომპლექსისადმი მიძღვნილი ლექსების რიგი, დაწყებული „არის სიყრმის და სიმწიფის შორის“ და გათავებული უკანასკნელი „ჭირვეული მარტით“, ხომ უშუალოდ არიან ფესვგამდგარნი „ავადმყოფი მგოსნის“ სულიერ და პოეტურ ნიადაგში! პირველ ამ ლექსთაგანში სიმონ ჩიქოვანმა თითქოს შეაუღლა შეგნებულად „ავადმყოფი მგოსნისა“ და „განთიადის“ მთავარი მოტივები, როდესაც „ავადმყოფი მგოსნისათვის“ დამახასიათებელი „დაეჭვების“ სენის განსაკურნავად „განთიადში“ მკურნალად მოვლენილ მამულის სახეს მიმართა:

არის სიყრმის და სიმწიფის შორის
შესვენების თუ სიმორცხვის ჟამი,
ხელში შეგრჩება დაღლილი ქორი,
ჯამში დაშრება სპეტაკი შხამი.
ეს ჟამი დადგა, დავეჭვდი, ძმანო!
გამხდარ თითებში ნელდება ალი,
პირველი ცეცხლის დახარჯვას ვნანობ,
როგორ ავანთო ფურცელზე პწკარი!
სულის თვისება, მღერა და ცრემლი,
როგორ ვამგვანო აპრილის კოკორს!
ანუ ოსტატის გაწვრთნილი ხელი
აღსარებისთვის აღვმართო როგორ!
...ჩემო მამულო, მაჩუქე ნამი,
უშველე მინდვრად გამოსულ მთესველს.
მტირალი მოველ მიწაზე ღამით
და მინდა მღერით ავიდე მთებზე.

ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ ვაჟას „მარტოობა“, დაწერილი 1912 წელს. აშკარაა, რომ ამ ლექსში, ისევე, როგორც „ვედრებაში“, შემაძრწუნებელი ლირიზმითა და დრამატიზმით არის გაზიარებული „ავადმყოფი მგოსნის“ ტკივილი და ჩაფიქრება და არსებითად განმეორებულია (თუმც დამხმარედ ან მთავარ სახედაა გადაქცეული) აკაკისეული „შთაგონება“, ანუ „ჩანგური“, რომელსაც „ფრთები არწივის ასხია შეშვენის ალმაფრენაო“ (სახე, რომელმაც თანამედროვე პოეზიის ნიმუშში, როგორც ვნახეთ, „ქორის“ იერი მიიღო):

აღარ მესტუმრა არწივი,
აღარ დამყეფა თავზედა,
აღარც რო კარგი მალაღებს,
აღარაც ვფიქრობ ავზედა,
სულსა მხდის მტერი, ტყავს მაძრობს,
ჯალათად მადგა კარზედა.
არა სჩანს ჩემი არწივი,
რომ მხარი დამკრას მხარზედა,
ავენთო როგორც საკირე,
დავიწვა თავის ალზედა.

...აღარ ვვარგივარ არაფრად,
დავჩლუნგებულვარ ძალზედა,
მოდი, არწივო, სადა ხარ?
შორითვე გიცნობ ხმაზედა,
შენს მოსვლას როცა კი ვიგრძნობ,
გამოვიცვლები წამზედა,
მყის ვტოვებ დედამიწასა,
გადავსახლდები ცაზედა.
ხან ფანდურს შევაჟღარუნებ,
ხან დავამღერებ თარზედა.
ხან ვტირი, ხანა ვლოცულობ,
ხან ბრაზს, შხამს ვანთხევ შხამზედა,
როცა არწივი თან მახლავს,
მაზის მარჯვენა მხარზედა,
მეფისა მადგა გვირგვინი
ვზივარ სამეფო ტახტზედა!
შეურაცხყოფას ვინ მკადრებს,
სალამს მიძღვნიან ცდაზედა.
როცა არწივი წამივა,
ჩვარი ვარ, მცირე ჩვარზედა.
არ შესცდეთ დამსვათ ჯარზედა.

ეს აშკარა პარალელი, ვფიქრობ, კომენტარსაც არ საჭიროებს — აქ აზრიც მონათესავეა და მისი პოეტური განვითარების შინაგანი ლოგიკაც, საყრდენი სახეებიც ეხმაურებიან ერთმანეთს და მათი დინების კალაპოტებიც ერთი სულისკვეთებით ანუ ერთი „ავადმყოფობით“, ერთი „სნეულებით“ შეპყრობილი ოსტატების მიერ არიან გაკვალულნი. ეს ის „მაღალი სნეულებაა“, რომელსაც ტიციან ტაბიძისა და სიმონ ჩიქოვანის თანამედროვე რუსი პოეტი, თანაც „ავადმყოფი მგოსნისა“ და „გველის მჭამელის“ მთარგმნელი დაუდებს საფუძვლად მომავალში ერთ-ერთ თავის მთავარ ნაწარმოებს, სწორედ „მაღალ სნეულებად“ მონათლულ-დასათაურებულს.

მე განზრახ გავიხსენე აქ ბორის პასტერნაკი, რათა მოვიგონო ერთი საგულისხმო ეპიზოდი „ავადმყოფი მგოსნის“ თარგმნის ისტორიიდან, მით უმეტეს, რომ ეს ეპიზოდი სწორედ აკაკის ლექსის გაგებასთან და გააზრებასთან იყო დაკავშირებული. 1952 წელს მე, როგორც აკაკი წერეთლის მოსკოვში გამოსაცემი კრებულის რედაქტორს და ახალ თარგმანთა ორგანიზატორს, შემთხვევა მქონდა დავრწმუნებულიყავი, რომ „ავადმყოფი მგოსნის“ მთარგმნელმა უკეთ გაიგო მისი დედაარსი, ვიდრე მე, ქართველმა ლიტერატორმა. უფრო სწორად, მე შემდეგმოგვიანებით დავრწმუნდი, რომ ერთ საკამათო საკითხში, რომელიც ჩვენს წინაშე წამოიჭრა, მართალი აღმოჩნდა ბორის პასტერნაკი. ჩემი შეცდომა გამომდინარეობდა აკაკის ამ რთული და ღრმა ლექსის მისივე ტრადიციული ლირიკის თვალსაზრისით გააზრების ცდაში. ამ ლექსის ერთი მოტივი, რომელიც ჩაქსოვილია სიტყვებში — „სულს ნუ აღმომხდი, მაცალე, დახამხამება თვალისა... ვის შერჩენია, მე შემრ-

ჩეს გადახდა სოფლის ვალისა“, მე არამც და არამც არ მინდოდა გამეგო, როგორც მგოსნის ტრაგიკული ბედის, თვით „პოეტურ ვაკანსიაში“ ნაგულისხმევი საშიშროების, მგოსნის „ავადმყოფობის“ მოტივი. და საერთოდ, ყოველივე, რაც ამ ლექსში პოეზიის მოქალაქეობრივი დანიშნულების სწორხაზოვანი გაგების ფარგლებს სცილდებოდა, მე თარგმანში აკაკის ესთეტიკური პოზიციის მცდარ გააზრებად მომეჩვენა. ამ საკითხის გამო ჩვენ საუბარი და მიწერ-მოწერაც დაგვჭირდა. საბოლოო შედეგში მთარგმნელმა დასთმო ზოგიერთი თავისი, იქნებ მართლაც პედალირებული გადმოცემა ორიგინალის ამა თუ იმ მოტივისა, მაგალითად, ლექსის მესამე სტროფის თარგმანში, სადაც პოეტსა და „სოფელს“ შორის კონფლიქტი უკიდურესობამდე იყო მიყვანილი — «Мне в уши напрасно навязчиво врывается шум злободневный, далеко от нужд настоящего зовет меня лира напевно». ამ სტროფზე შემდგომი მუშაობის შედეგად იგი უკვე სხვანაირად ჟღერდა: «Но что же я силами падаю, зачем я душой унываю, когда ты сама мне наградою, о лира моя роковая» სამაგიეროდ მომდევნო სტროფი, სადაც აკაკის მიმართვა — „ჩანგურო, ჩემო ჩანგურო, ოცნების ზღვაში მცურავო“ — მთარგმნელს სწორად ჰქონდა გადმოცემული, როგორც ავადმყოფი მგოსნის განსაკურნავად „სოფლისაგან“ „ოცნებით“ განრიდების მოტივი — «О лира, о лира безумная, ты реешь вне круга мирского» — ჩემი თხოვნის შედეგად აშკარად გამარტივებულად ჟღერდა ამ ლექსის საერთო კონცეფციის თვალსაზრისით: «О лира, о лира безумная, ты отзвук прибоя мирского». საბედნიეროდ, ყველა ჩემი ცდა, რომ ლექსის დასაწყისში „სოფლის ვალის გადახდის“ მოტივი უფრო „ოპტიმისტურად“ ჟღერებულიყო, უშედეგოდ დამთავრდა. ჩვენს მეგობრულ შეკამათებას ერთი დადებითი შედეგი მაინც მოჰყვა: ვინაიდან მთარგმნელი კვლავ დაუბრუნდა „ავადმყოფ მგოსანს“, მან ხელახლა თარგმნა მისი პირველი სტროფიც — უკვე წმინდა მხატვრული ამოცანიდან გამომდინარე. ამ სტროფის პირველი ვარიანტი ასეთი იყო:

Судьба, не томи меня более,
Дорог моих больше не путай,
Дай мне, не терзаясь неволею,
Свободно вздохнуть хоть минуту!..

საბოლოო ვარიანტში კი სტროფი იქნებ დასცილდა ოდნავ ორიგინალს ზუსტი შესატყვისობის თვალსაზრისით, მაგრამ შინაგანად უფრო მიუახლოვდა და უფრო ძლიერადაც ჟღერდა:

Судьба моя, горькая, лютая,
Всегдашняя боль и досада,
Хотя бы одною минутою
Удовлетворенья порадуй!..

მე ეს ეპიზოდი იმიტომ გავიხსენე, რომ ზედმეტად დამედასტურებინა, თუ რა ფართო ჰორიზონტები გადაგვიშალა აკაკიმ თავისი შემოქმედების ბოლო ჟამს. და რომ „ჩანგურისა“ და „ხანჯლის“ საზომით უკვე ძნელი იყო ამ თვალსაწიერის მოზომვა. ოღონდ გაუგებრობასაც ნუ ექნება ადგილი: „ავადმყოფი მგოსანი“ და შემდგომი მისი რიგის ლექსები როდი გამორიცხავდნენ „მე ჩანგური მისთვის მინდა“-ს ან „სიმართლის მსახურება“, „წმინდა აზრის განმტკიცება“, ან „დაჩაგრულთა ცრემლების შეშრობა“ თუ მჩაგვრელთა „ისრით განგმირვა“ როდი იხსნებოდა პოეზიის დღის წესრიგიდან. 1905 წელს აკაკიმ, ისე როგორც არავინ, დაადასტურა ეს. ოღონდ სწორედ იმისათვის, რათა პოეტს პირნათლად და ჭეშმარიტი თავგანწირვით შესძლებოდა ამ წმიდათა წმიდა მისიის შესრულება, აუცილებელი იყო „ზნეობრივი აღმატების“ ახალი საფეხურის მიღწევა, შინაგანი თავისუფლების მოპოვება დ დამკვიდრება, უნდა მომხდარიყო, ის, რაც თვით აკაკიმ აღწერა „ზოგიერთების საპასუხოდ“ (ასეთია ქვესათაური) გამოთქმულ ლექსში და რაც თავის დროზე პუშკინმაც გვაუწყა თავის „წინასწარმეტყველში“:

შეჰვედრა უფალს მგოსანმა — მეფემ:
„ღმერთო ძლიერო, შემიწყალეო!
ჩემთანა გული წმინდა დაჰბადე
და სული წრფელი განმიახლეო!...“
უსმინა ზეცით საყოველთაოდ
და აუმაღლა მგოსანთა გული...
საერო განძად, საშვილიშვილოდ
ჩასდვა სიმართლე და სიყვარული...
მოსეს მახვილად, აჰრონის კვერთხად,
ხელთ მისცა რჩეულთ უმანკო ქნარი...

უზენაესს პატრიოტულ და სამოქალაქო იდეალთა განსამტკიცებლად და მისაღწევად მგოსანს სჭირდებოდა „წმინდა გული“ და წრფელი სული“, „მოსეს მახვილი“ და „აჰრონის კვერთხი“ ანუ თავისუფალი და „უმანკო ქნარი“ და იგი ლექსიდან ლექსში იმეორებს ერთს, ტანჯვითა და „თვალდიდა გამოცდილებით“ შეთვისებულ მცნებას:

ორივე ღმერთმა მაშოროს:
სხვისი თვალიც და ყურიცა!
მაშოროს სხვაზე უფლება
და სხვისი სამსახურიცა,
...არ მივიმადლებ, არ მინდა
მამა-პაპური წყალობა.
სამცონარეო დიდება
და მათი ჩამომავლობა!
... მე არ ვარ ბევრის მძებნელი,
ცოტაც არ მომყირჭებია
და მხოლოდ იმას ვჯერდები,
რაც ზეცით მომნიჭებია.
„შენი ქება და დიდება,

შენი ლხინი და ჭირიო, —
მაღლითგან გადმომძახეს —
ქამანჩაა და სტვირიო.
„სული და გული შიგ ჩასდევ,
ხელში აიღე მალეო,
ნუ სდევ უკუღმართ ცხოვრებას,
გაშორდი... გაეცალეო!...
„გეტირებოდეს — იტირე,
იშვებდე — გაიცინეო!
იშრომე... თუ დაიღლები —
დაწექ და დაიძინეო!
... ოღონდ კი ნუ მოშორდები
იმ შენს ქამანჩა-სტვირსაო!...
თუ შენვე არ უღალატებ,
ის არ გაგიტეხს პირსაო“...

პოეტის შინაგანი თავისუფლებისა და თავისი მოწოდებისადმი „შთაგონებისადმი“, „ჩანგურისადმი“, „ქამანჩა-სტვირისადმი“ უსასრულო და განუსაზღვრელი ერთგულების მცნებას აკაკი ლექსიდან ლექსში იმეორებს და ხან მისთვის საწუკვარი „ფუტკრის“ სახეს აფარებს კვლავ თავს, ხან კი ისევ და ისევ იმთავითვე გამორჩეულ „ბულბულის“ ნიღაბს:

ბულბულმა სთქვა: ჩემს ხელობას
არც დავთმობ და ვერც დავთმეო, —
სულ სხვადასხვას მოითხოვენ
მებაღე და მექათმეო.
„მე კი არც ერთს, არც მეორეს
ყურს არ ვუგდებ, ჩემთვის ვსტვენო;
სანამ ვარდი არ დასჭკნება,
ჩემებურად მოვილხენო...“

მეორე ლექსში — „უცნაური შემთხვევა ?თიბათვეს“ აკაკი კვლავ უბრუნდება ამ თემას, მაგრამ უფრო ამძაფრებს მას და „შავპირ, უპირო“ ბედის მოტივსაც უკავშირებს ისევ:

სუფრა არ მდგმია წინ, სანოვაგით
აჭრელებული და მხიარული,
სადაც ამყოლი მაცდური ჟინის
სამხიარულოდ იშლება გული.
წინ მედვა მხოლოდ წმინდა ქაღალდი,
ხელთ მეპყრა ბასრი საწერ-კალამი
და ანდერძს ვწერდი, რომ ცხოვრებისთვის
უკანასკნელი მეძღვნა სალამი.
...ამ დროს ბულბული მოფრენილიყო,
თავს მევლებოდა, დამჭიკჭიკებდა;
თითქოს განზრახვა ჩემი შეეტყო
და სულმოკლობას ჩემსასა ჰგმობდა.
მეუბნებოდა ტკბილად: „მგოსანო,
შენის ბედის ვარ, ჰხედავ, მეცაო,
სასიხარულოდ, საბედნიეროდ
არც ერთს არ გვგზავნის ქვეყნად ზეცაო.
„ჩვენ ვუგალობებთ გულწრფელად ქვეყნის
მომხიბლავ ძალს და მშვენიერებას
და, ვით სასყიდელს, ჩვენსვე ჭიკჭიკში
ვპოვებთ სიხარულს და ნეტარებას...“

უფრო ადრე შემოქმედებითს წვასა და ტანჯვაში მოპოვებული ნეტარების მოტივი აკაკიმ კიდევ უფრო ძლიერად გამოსთქვა თავის განთქმულ სტრიქონებში:

რაც არ იწვის, არ ანათებს,
უჩინარად ლპება ნელა.
მოდი, დამწვი, სიყვარულო,
მიაშუქე, სადაც ბნელა!
ერთი წამიც კი სიცოცხლის,
თუ სხივების მომფენია,
უსინათლოს და უგრძნობელს
საუკუნეს მირჩევნია...
მრწამს სიწმინდე სიყვარულის
ისევ ისე, როგორც ძველად
და გულს ვუღებ საკურთხევლად,
ზედ სიცოცხლის დასაწველად!
თუმც ეს მსხვერპლი იდუმალი
საიდუმლოდ იწვის, ჰქრება,
მაგრამ ზოგჯერ ჩუმ ტანჯვაშიც
არის დიდი ნეტარება...

იგივე აზრი იყო, არსებითად, ჩაქსოვილი ლექსში, სადაც აკაკი წერეთელმა, ვფიქრობ, მსოფლიო ლირიკაში ერთ-ერთი ყველაზე თამამი და თავგანწირული სურათი შექმნა პოეტის სიყვარულისა, პოეტის არსებობისა, პოეტის არსობა-დანიშნულებისა:

სანთელი ჩემი ხორცია,
სიცოცხლე — მოკლე პატრუქი,
ნათელი — ჭკუა-გონება
იმათგან გამონაშუქი.
ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე-მთელი ქვეყანა,
და, რომ ვიწვოდე, ვდნებოდე,
არ შემიძლია მეც, განა?

გავა დრო და ისევე, როგორც „ავადმყოფ მგოსანში“ დაკვესებული ცეცხლი გაიზიარა „მარტოობაში“, ასევე ამ ცეცხლსაც ეზიარება ვაჟა თავის „ვედრებაში“:

ღმერთო, მიიღე ვედრება,
ეს ჩემი სათხოვარია:
არ დამეკარგოს გულიდამ
მე შენი სახსოვარია!
გონებას ფიქრი სტანჯავდეს,
გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი.
მშიოდ-მწყუროდეს კეთილი,
ვერ გავძღე, მოვკვდე მშიერი...
ნუ დამასვენოს ნურასდროს,
მამყოფე შეძრწუნებული;
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,

როცა ვარ შეწუხებული.
როცა გულს ცეცხლი მედება,
გონება მსჯელობს სალადა, —
მაშინ ვარ თავისუფალი,
თავს მაშინა ვგრძნობ ლაღადა.

აქაც შეიკრა რკალი: სიკეთის წყურვილი დაუკავშირდა „მგოსნის ავადმყოფობას“, მის ცეცხლმოკიდებულ არსებობას, გულში გაღვივებული „შემაძრწუნებელი“ ცეცხლი კი — სილაღესა და თავისუფლებას. აკაკის „ბედო შავპირო, უპირო, ამრევო გზა და კვალისა! სულს ნუ ამომხდი, მაცალე, დახამხამება თვალისა!...“ — იგივე ყოფილა, რაც ვაჟას ჰყვარებია— — „ნუ დამასვენოს ნურასდროს, მამყოფე შეძრწუნებული!“

ასეთი იყო ის ხაზი აკაკი წერეთლის ლირიკაში, რომელიც პასუხობდა ილია ჭავჭავაძის მიერ მეოცე საუკუნისათვის ნაგულისხმევ ამოცანას „ზნეობრივი ალმატებისა“. რაც შეეხება მეცხრამეტე საუკუნის ანდერძს მეოცის მიმართ — ადამიანის გონების წინსვლასა და ზნეობრივ ალმატებასთან ერთად კაცობრიობის უმწვავეს ტკივილთა ხალხთა — შორის და კაცთა შორის უთანასწორობის საფუძველთა მოსპობას ანუ ეროვნული თავისუფლებისა და სოციალური ხსნის ამოცანათა შესრულებას — ეს ამოცანები, როგორც ვთქვით, მთელი სიგრძესიგანით და უნახავი სიმახვილით წარმოსდგა აკაკის წინაშეც ცხრაასხუთი წლის რევოლუციის მომზადებისა და აზობოქრების ხანაში, აი, როდის გამოადგა აკაკის სამოციან წლებში გამოწრთობილი „ხანჯალი“. განა საგულისხმო არაა, რომ თვით ამ ლექსს ორმაგი თარიღი გააჩნია: — 1882-1905 (დაწერისა და დაბეჭდვის წლები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე

# პოეზია და „ლიტერატურული საქართველო“

ერთხელ კიდევ გადავიკითხე „ლიტერატურული საქართველოს“ 1968 წლის კომპლექტი და ჩემი სურვილი, — გაზეთის პოეზია მიმომეხილა, საოცრად დაპატარავდა და კინაღამ გაქრა, იმ „უბრალო“ მიზეზის გამო, რომ ამ გაზეთის ფურცლებზე პოეზია თითქმის არ არის და სასაუბროც ძალიან ცოტა მრჩებოდა. პოეზიაზე, ისე როგორც ჩვენი მკითხველი, ამ სტრიქონების ავტორიც ძალიან დიდი წარმოდგენისაა და მან თავს ნება მისცა „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული (ლექსის ფორმით დაწერილი) ზოგიერთი ნაწარმოები პოეზიის ნიმუშად არ განეხილა.

მომიტევოს მკითხველმა, რადგანაც ამ წერილში იგი ვერ იხილავს გაზეთის პოეზიის სრულ მიმოხილვას, ჩვენ მხოლოდ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილ ზოგიერთ ლექსს შევეხებით.

მაშ ასე, „ლიტერატურულ საქართველოს“ 1968 წლის ფურცლებზე ქართული პოეზია სუსტად არის წარმოდგენილი (თარგმნილ პოეზიას გვერდს ავუვლით იმ, ჩვენთვის სამწუხარო გარემოების გამო, რომ უცხო ენები სათანადოდ არ ვიცით და კიდეც რომ ვიცოდეთ, გაზეთში დაბეჭდილი თარგმანების ყველა დედანზე ხელი არ მიგვიწვდება).

ჯერ ვიკითხოთ: არსებობს თუ არა ის, რაც საქართველოს ერთადერთ ლიტერატურულ გაზეთს თავის ფურცლებზე უნდა გამოეფინა? იწერება თუ არა ჩვენში კარგი ლექსები საერთოდ და შეიქმნა თუ არა ჭეშმარიტი პოეზიის ნიმუშები 1968 წელს?. ჩვენმა მხცოვანმა პოეტმა კოლაუ ნადირაძემ ამავე გაზეთში დაბეჭდილ ერთ ინტერვიუში თქვა: „მე მაინცდამაინც დიდი იმედით არ ვუცქერი თანადროულ პოეზიას, უმეტეს ლექსებს, რომელთაც ვკითხულობ, ახასიათებს სიმშრალე. სიღრმე აკლია ლექსებს“. პოეტის ამ სკეპსისს საფუძველი არ გააჩნია. ჩვენში ამჟამად დიდი პოეზია არსებობს. მისი ზრდისა და განვითარების თავდებია რამდენიმე კარგი პოეტური კრებული, ლიტერატურული ჟურნალების ფურცლებზე დაბეჭდილი მრავალი შესამჩნევი ლექსი.

როგორ გამოიყურება პოეტური „ლიტერატურული საქართველო?“

პირველი, რაც აუცილებლად თვალში გვეცემათ, ეს არის გაზეთის უზომო გატაცება მიძღვნითი ლექსებით, საკალენდრო, საიუბილეო პოეზიით. შარშანდელი წელიწადი იუბილეების წელი იყო. ერთმანეთს მოჰყვებოდა ისეთი დიდი თარიღები, რომელთა მიმართ გაზეთს, რა თქმა უნდა, ყურადღება უნდა გამოეჩინა. მაგრამ ვინა თქვა, რომ კალენდარში წითელი ფერით აღნიშნულ ყველა თარიღს მწერალთა გაზეთი აუცილებლად ლექსით უნდა გამოეხმაუროს? მართალია, საიუბილეო თარიღებმა ლამის შეჭამოს ჩვენი ლიტერატურული ცხოვრება, გადავყევით თარიღებს, მაგრამ რა შუაშია პოეზია? ნუთუ დაკანონებულია თარიღის გამო გაზეთში აუცილებლად სუსტი, ნაუცბათევი ლექსის გამოქვეყნება? ჩვენ ხომ ისედაც ხშირად ვაჭარბებთ, ჩვენ ხომ ასე გულუხვი ვართ ეპითეტების ჩამორიგებაში და —ზოგჯერ ერთი მწერლის ჯიბრზე მეორე მწერლის თარიღის აღნიშვნაში ყოველგვარი ზომიერების ფარგლებს ვცილდებით? სამოცსმიღწეული ხელოვანის ყოველ საიუბილეო მილოცვას ჩვენს პერიოდიკაში ხომ თითქმის ერთნაირი სიტყვებით წერენ. არის კი საჭირო ასეთი ნიველიერება? ხომ არაფერს მატებს იგი (თუ არ აკლებს) არც ერთი და არც მეორე დამსახურებული შემოქმედის სახელს? მაგრამ უცნაურია ის, რომ კალენდრულ ლექსებს გაზეთში ყოველთვის ერთი და იგივე პოეტები წერენ. გაზეთს თითქოს შემოკრებილი ჰყავსო სახელდახელო ლექსის მთხზველთა რაზმი. და რაოდენ დასანანია,

---

1968 წლის ნომრების მიხედვით.

რომ მიძღვნითი ხასიათის ყალბ, პათეტიკურ ლექსს ხელს აწერს ზოგიერთი ჩვენი საყვარელი პოეტიც. რატომ მაინცდამაინც ერთი და იგივე პოეტები არიან კალენდარს ჩასაფრებულნი გაზეთის ფურცლებზე? დავიჯეროთ, რომ მხოლოდ მათ მუზას აღელვებს ეს თარიღები? და ერთნაირად ყველა და ყოველგვარი თარიღი? ეს უნივერსიტეტის იუბილე იქნება თუ კომკავშირის, საბჭოთა არმიის ორმოცდამეათე წლისთავი თუ მ. გორკის დაბადების მე-100 წლისთავი?

მეორე, რაც ამ გაზეთის პოეზიაზე საუბრისას თვალში საცემია, ეს გახლავთ ავტორთა ვიწრო კოლექტივი. შარშან „ლიტერატურულ საქართველოში“ ლექსი არ დაუსტამბავს ბევრ ჩვენს გამოჩენილ პოეტს. მაშინ როცა გაზეთის პოეზიის აქტიურ ავტორებად გვევლინებოდნენ ისინი, რომლებმაც მწერლობის სრულიად სხვა ჟანრში (პროზა, დრამატურგია) წლების განმავლობაში უკვე თქვეს თავიანთი თვითმყოფადი და ავტორიტეტული სიტყვა, ხოლო მათი პოეტური მუზის დაგვიანებულ გამოძახილს ჩვენი პოეზიისთვის არაფერი სახეირო არ მიუცია. ჩვენ ვფიქრობთ, ავტორთა შერჩევა და მათი ლექსების უნარიანად მოპოვება გაზეთის ერთ-ერთი საპატიო მოვალეობაა. მაგრამ რა შერჩევასა და მოპოვებაზე ვლაპარაკობ, როცა ამ რამდენიმე წლის წინათ, ზოგიერთი მწერალი სერიოზულად ამტკიცებდა „ლიტერატურული საქართველო“ მხოლოდ ლიტერატურული ცხოვრების საინფორმაციო გაზეთია და მასში ლექსები და მოთხრობები საერთოდ არ უნდა იბეჭდებოდესო. ამ მცდარზე უმცდარესმა მოსაზრებამ გაზეთს კარგა ხნის განმავლობაში დაუკარგა თავისი ტრადიციული სახე. დაუკარგა ჩვენი ლიტერატურის უახლეს საყურადღებო ნიმუშთა მკითხველისათვის ოპერატიულად მიმწოდებლის კეთილშობილური ფუნქცია.

მესამე სამწუხარო ნაკლი გაზეთისა ის გახლავთ, რომ მის ფურცლებზე 1968 წელს ჩვენი პოეზიის ვეტერანებმა ძალიან სუსტი ლექსები გამოაქვეყნეს. არა მგონია, რომ „ლიტერატურული საქართველო“ კარგ საქმეს უკეთებდეს ღვაწლმოსილი მწერლების სახელს, თავის ფურცლებზე მათი აწ უსუსური ლექსების ბეჭდვით.

არავინ იფიქროს, რომ ჩვენ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ კოლექტივს ვუკიჟინებდეთ ყოველივე იმას, რაზეც ზემოთ იყო ლაპარაკი, ან ქვემოთ შევჩერდებით. ჩვენ გაზეთისგან როდი მოვითხოვთ, რომ იგი ერთი წლის მანძილზე ჩვენი პოეტური ცხოვრების სრულ სახეს იძლეოდეს. რთულია გაზეთის მუშაობის სპეციფიკა და ისიც კარგად ვიცით, რომ გაზეთში მხცოვანი და ახალგაზრდა პოეტის ზოგიერთი სუსტი ლექსის გამოქვეყნებას ზოგჯერ აუცილებელი ექსპერიმენტები, ან ღვაწლმოსილისთვის დათმობის ფაქტორები უდევს საფუძვლად, მაგრამ იქნებ ეს მოკრძალებული მოსაზრებები ჩემს მეგობრებს — რედაქციის მუშაკებს რამეში გამოადგეთ.

ახლა კი ორიოდე კონკრეტული სიტყვა „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილ ლექსებზე.

* * *

„ლიტერატურული საქართველოს“ მესამე ნომერში წარმოდგენილია ესმა ონიანის პოეზია. გაზეთის ამ ნაბიჯს, გაზეთისას, რომელიც იმ წლის წინა ნომრების მიხედვით, არც თუ ძალიან ხელგაშლილი იყო ახალგაზრდა პოეტთა მიმართ, მოწონების ტაშის მეტი არაფერი ეკუთვნის, რომ თვით ახალგაზრდა პოეტი ქალი — ესმა ონიანი, თავისი ამ პირველი ლექსებით, იმ აღმოჩენის ნაწილობრივი გამართლების საშუალებას მაინც იძლეოდეს, რა იმედებითაც იგი „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოჰყავდათ. ესმა ონიანის ეს ლექსები ნიმუშია იმისა, თუ რაოდენ მავნებელია პოეტური ალღოთი დაჯილდოებული შემოქმედებისათვის ის, რასაც ლიტერატურული დაუდევრობა ჰქვია. ესმა ონიანის ამ ლექსებში ერთ პოეტურ სახეს ენაცვლება უამრავი ზედმეტი და ყალბი სტრიქონი, ერთ ნათელ სურათს — უამრავი გაჭიანურებული და მოსაწყენად ერთფეროვანი სურათი, ერთ მთლიან ფრაზას, — უამრავი უმარილო და გამაღიზიანებლად გამეორებული გამოთქმა. ესმა ონიანის ლექსთა ვერსიფიკაციას გადაუკითხავი ხელნაწერის და დაუმუშავებელი პოეტური ნახევარფაბრიკატის სახე აქვს. აი, მკითხველს „სვანების სიმღერაში“ ყურში მოხვდა პოეტურად, ფერწერულად სუსტი (და იქნებ ქართულად გაუმართავი) გამოთქმა:

„დაგიგებ დათვის ტყავს,
დაგორდი ზედ ყვითლად“.

მაგრამ უნდა ნახოთ მკითხველის აღშფოთება, როცა ავტორი ამ ფრაზას „სიმღერაში“ ოთხჯერ იმეორებს და იმეორებს სრულიად ულოგიკოდ, უადგილოდ. „სვანების სიმღერა“ დატვირთულია დამაბნეველი, ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელი სტროფებით, ლექსს არ გააჩნია (თუნდაც ყველაზე სუსტი და ფერმკრთალი, თუნდაც ყველაზე ქვეშეცნეული და ქვეტექსტური) პოეტური აზროვნების ერთიანი ხაზი. არა, სვანები ასე არ მღერიან.

გურამ რჩეულიშვილის მეტეორივით ჩავლილმა სიცოცხლემ დიდი კაეშანი დატოვა მისი მეგობრების გულში. ამ გულწრფელ მწუხარებას რამდენიმე ახალგაზრდა ქართველი პოეტის მუ-

ზაც გამოეხმაურა. გურამ რჩეულიშვილის თემაზე რამდენიმე შესანიშნავი ლექსი დაიწერა (მაგონდება ზაურ ბოლქვაძის ლექსის ("გურამ რჩეულიშვილს") ასეთი კარგი სტრიქონი: — „და ზღვა, ვით კაცი სიკვდილმისჯილი, დამხობილა და ითხოვს შენდობას". გურამ რჩეულიშვილისადმი მიძღვნილი ესმა ონიანის ლექსი კი ასე იწყება:

„ჩემო გურამ, რომ მიყვარხარ
რად მომიკალი გულიო,
მიწაზე დარჩენილიყავ,
ვისთან მიგქონდა სულიო".

არ გეუხერხულათ ეს ზედმეტად ფამილარული „მიწაზე დარჩენილიყავ", ან ხალხურად გაწყობილი და ერთი შეხედვით, თითქო, ნახევრად იუმორისტული: „რად მომიკალი გულიო?" ჰოდა, რაკი გეუხერხულათ, ბოლომდე ჩაჰყევით ლექსს (არც ისე პატარაა, ასსტრიქონიანი ლექსია) და თქვენ ნახავთ უმშრალეს ჩამოთვლას იმისას, თუ რას გააკეთებდნენ ამ ლექსის ლირიკული გმირი და გურამ რჩეულიშვილი (ეს უკანასკნელი რომ მიწაზე დარჩენილიყო.) აქ ლაპარაკია ჭაჭის არყის გამოხდაზე, თიხის დოქებისა და ჯამების გამოწვაზე, ყურძნის დაწურვაზე, — თანაც ეს უკანასკნელი საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი:

„დაგვედგა ხის საწნახელი
გამონაცადი ძველიო,
შიგ ჩაგვეყარა ყურძენი,
მტევნებწვენდატენილიო,
ტერფებწვივ-გაშიშვლებულებს
სითხე გვეწურა გრილიო".

ქვემოთ ლაპარაკია „გულდინჯი" ხისგან სკამის გამოთლაზე, როგორი სკამის გამოთლაზე? დაინტერესდება მკითხველი. ესმა ონიანიც იქვე და უხსნის:

„მოჩუქურთმებულ საზურგით,
მაგარი, მყარად მდგარიო,
არც მცირეს ვითაკილებდით,
ფეხი რომა აქვს სამიო,
ბუხრის წინ წაბლის ტკაცუნი
კარგი მაგაზე არიო".

უფრო ქვემოთ ლაპარაკია ჭების გათხრაზე და „მოკირწყლულნაპირიანი" გვირაბის გაყვანაზე. გასახმობად თუთუნის გაფენაზე, ნადირობაზე, თევზაობაზე, არხების გაყვანაზე, ფუტკრებისათვის „სკის აშენებაზე" და რაზე არ არის ლაპარაკი ესმა ონიანის ამ ლექსში. კი მაგრამ, სამეურნეო-სასარგებლო სამუშაოთა ამ კეთილსინდისიერ სიასთან რა კავშირი აქვს ლექსის სათაურს — „გურამ რჩეულიშვილს?". მარტო ის, რომ გურამი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ამას ყველაფერს გააკეთებდა? იქნებ კიდევ გაგვეგრძელებინა ეს უსაშველოდ გრძელი ლექსი უდროოდ წასული კაცის უკვე შესრულებულ სამუშაოთა ჩამოთვლით? და საერთოდ სად ხედავს აქ ესმა ონიანი პოეზიას? იქნებ ასეთი სტრიქონი ქმნის ჩვენთვის შეუგრძნობელ მუსიკალობას?

„ქვა,
ქანდაკება,
ქ ქ ქ,
ქვა, ქვა"

არა? მაშ არც ეს არის ვანის დელოფლის, საუკუნო შარავანდედით მოსილი სახე და მისთა სამკაულთა ნაზი შრიალი? ყური დაუგდეთ:

„მიყურებს ვანის ქალწული
თვალი განზე აქვს გასული,
ერთი თვალი,
გრძელი, შავი;
რაა?
ცალთვალაა?
არა, გვერდიდან მიყურებს;
გრძელით,
შავით,
თვალით,
ცალით,
იცინის,
მიყურებს,
იხსნის საყურეს".

— და ასე ბოლომდე მიჭირს. მე პირადად ძალიან მიჭირს, ამ ლექსთა პოეტურ ლაბირინთებში გარკვევა, ძვირფასო მკითხველო. უეჭველია, პოეტთან გვაქვს საქმე, მაგრამ ისეთ დამწყებ პოეტთან, რომელიც მრავალნაცად პოეტურ ინსტრუმენტს ჯერჯერობით საკმაოდ საეჭვოდ და სახიფათოდ უკრავს, ხოლო ამ ახალგაზრდა პოეტის ისეთ წახალისებას, როგორიც იყო მისთვის „ლიტერატურული საქართველოს" მთელი ნახევარი გვერდის დათმობა. იქნებ წახალისების სხვა ფორმები სჯობდა?

თენგიზ კაკუშაძეს (№ 3) კიდევ დიდხანს დასჭირდება თავისი არცთუ უინტერესო პოეტური ხილვებიდან ასეთი „მარგალიტების" ამოკრება:

„როდესმე ალბათ მშობლიურ სუნში
ნაწვიმარ მკერდზე გადაგემხობი".

ან კიდევ:

ჩრდილებს გადმოღვრის
ღრუბლების ფორმა"... და ა. შ.

ტარიელ ჰანტურიას ლექსებს (№5) ჭეშმარიტი პოეტური ტემპერამენტი და შინაგანი ექსპრესიულობა ახასიათებს. ავტორის დამოკიდებულება მოვლენებთან ფსიქოლოგიზმით სავსე და დრამატულია. იგი არ ტვირთავს ლექსს შორეული ასოციაციებით და პარალელურ წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდგენათა წიაღსვლებით. პოეტი სათქმელის გამოხატვის უმოკლეს გზას მიმართავს:

„მომდევს კამეჩი მომდევს, მომდევს,
მომდევს კამეჩი, სად მე, სად ნოე...
მის ულამაზეს და უსათნოეს
სახეს ცრემლი წვავს...
ძლივს მობობღავენ
მძიმე ტალღები. მომდევს კამეჩი“.

ხოლო როდესაც ლექსის მხატვრული ქსოვილი გაუანალიზებელი ასოციაციებით არის განათებული, ტ. ჭანტურიას ასეთი ხელოვნური და ყალბი სტრიქონი გამოსდის:

„და როგორც ფიჭა იელის თაფლით
მევსება თავი არყოფნაზე უამურ ფიქრით.“

სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში მყოფ ფიროსმანისათვის („უკანასკნელი მონოლოგი“) ვერაფერი საქმიანობაა აგრეთვე „ბოლთას ვცემ ისე უხალისოდ, თითქო საკუთარ საფლავს ვტკეპნიდე“ (მითუმეტეს რომ „საკუთარი საფლავის ტკეპნა“ პოეტის მიერ სხვა ლექსში ნახმარი საკუთარი სახის გამეორებაა). იქვეა ტარიელ ჭანტურიას მშვენიერი ლექსი, რომელიც თავისი ფილოსოფიური ალეგორიულობით და მხატვრული სინათლით გამოირჩევა. აი ეს ლექსი:

„მეც,
ზურაბივით,
ქართლის
კედელში
ჩაშენებული
გყავარ
შუამდე....
ნახევრად მაინც რახან გადავრჩი—
ნახევრად მაინც ვიგრძნობ ქრუანტელს.
გაიჭრიალა მომავლის კარმა,
ჩაესო ურჩხულს ხმალი ვადამდე,
და ვეკითხები ნაომარ არმაზს;
ჩემო ძვირფასო მთებო, სადამდე!“

ფაქიზი ლირიზმით და ფერწერული ხატოვანებით გამოირჩევა გაზეთის ამავე ნომერში დაბეჭდილი ემზარ კვიტაიშვილის ორი ლექსი („ლეჩხუმი“, „ბავშვობა“). გ. გლადიატორის უკანასკნელი წუთები. ფარ-აბჯარდამსხვრეული გლადიატორი სიკვდილს თვალებში უცქერის. წევს იგი კოლიზეუმის სისხლიან ბალახზე. ალარაფრის თავი ალარა აქვს. ოდნავი წინააღმდეგობის გაწევაც კი ალარ შეუძლია. კიდევ ცოტაც და მოჰკლავენ. სიკვდილი საოცრად ახლოს არის და მრავალჭირნახული გლადიატორი, რომელსაც ამ არენაზე ხშირად უნახავს სხვის თვალში ჩაბუდებული სიკვდილი, ახლა საოცრად მშვიდად ელის აღსასრულს. ბოლო წუთებში გლადიატორს შიშის უნარიც წაერთვა. იგი დაიღალა და ფიქრობს:

„აზრი არა აქვს სიგიჟეს, სიბრძნეს,
სევდას, სიხარულს,
სიცილს, გოდებას...
ძალმიძს მარტოდენ
გავუწოდო უბრალოდ ხელი
ჩემს მტერს, რომელიც
მოსაკლავად მიახლოვდება“...

ეს ლექსი მორის ფოცხიშვილს ეკუთვნის (№6), იგი ავტორის ბოლოდროინდელი ნამუშევრებიდან ერთერთ შესანიშნავ ლიტერატურულ მიღწევად და ჭეშმარიტი პოეტურობის ნიმუშად მიგვაჩნია. ლექსის უაღრესად მძაფრ სიუჟეტურ კოლიზიას (სიკვდილის პირისპირ მდგარი კაცი) ბრწყინვალედ მიგნებული, სიტუაციის განმმუხტავი და მხატვრულად ორიგინალური სიტუაცია ენაცვლება („ძალმიძს მარტოდენ გავუწოდო უბრალოდ ხელი“..) და ეს შესანიშნავი პოეტური ნოველა გადმოცემულია უაღრესად ლაკონიური, სადა და მორის ფოცხიშვილისათვის დამახასიათებელი უშუალო და ნატიფი ლექსით.

„ლიტერატურული საქართველოს“ მეათე ნომერში დაბეჭდილი ეთერ სახვაძის ლექსები კი ვერ ახდენს კარგ შთაბეჭდილებას. წაიკითხავთ ავტორის „ზამთრისეული“ ციკლის შვიდ ლექსს (ყველა მათგანი თოვლს შეეხება) და თოვლზე დაწერილივით გაქრება ისინი თქვენი მეხსიერებიდან. დაგახსომდებათ მხოლოდ ორიოდე სახე „შემეშინდა — არ მოცურდესთქო“ (მზე) და „და დაუწყია ზამთრის გაზიდვა თავის ძლიერი და ლურჯი მხრებით“ (ძირულას), მაგრამ სხვა დანარჩენი (გაწყობილება, კომპოზიცია, აზრი, ემოცია, სურათი, სახე) ამ ლექსებში ფრაგმენტული და ამორფულია, ლექსებს არ აერთიანებს მხატვრულობის რკინის ლოგიკა. პოეტის ლირიკული ჩანახატები ყოველთვის გამჭვირვალედ არ გვეჩვენება, ხოლო ზოგიერთ მათგანს ნაძალადევობის იერი დაჰკრავს. მაგალითად:

„წყლის მთელს მოდგმაში თოვლია
მხოლოდ
თოვლია მხოლოდ სპეტაკად მქროლი,
ის ერთი ცხოვრობს მარადის უხმოდ
და არვინ იცის, რას ფიქრობს თოვლი“.

პირველივე ლექსის („თოვლი“) ეს პირველივე სტროფი ავტორის მიმართ საყვედურს გათქმევინებთ. კეთილი ინებეთ და წარმოიდგინეთ „წყლის მთელი მოდგმა“, რაკი წყლის მთელი მოდგმა წარმოიდგინეთ, ახლა ჩაუკვირდით რას ნიშნავს — „სპეტაკად მქროლი“, როცა თქვენს გონებაში ტვინის ჭყლეტის შედეგად ახსნა მიეცემა საკმაოდ მრავალუცნობიან გამოცანას, იმის შესახებ რომ წყლის მთელი მოდგმიდან სპეტაკად მქროლი— ეს თოვლი გახლავთ, ახლა მოდით და დაფიქრ-

დით იმაზე, თუ რას ფიქრობს თოვლი. დარწმუნებული ვართ ამაოდ გაირჯებით. მაგრამ ლექსის ლირიკული გმირი ამჯერად თავისივე კითხვას თვითონვე უპასუხებს: „...და არვინ იცის, რას ფიქრობს თოვლი“. ახლა ავტორის სხვა სტროფს მივუბრუნდეთ:

„ჩემს სიცოცხლეში საგზლად მეყოფა
ამ დღის სინათლე და სათნოება,
შენეულ გუნდით რტოთა შეკრთომა
და თოვლის თოვლით გადმოთოვება“.

„შენეულ გუნდით რტოთა შეკრთომა“ ნიშნავს შემდეგს: ადამიანმა თოვლის გუნდა ესროლა ხეს და შტოები შეკრთნენ. მეტს არაფერს არ ნიშნავს. კეთილი, „შენეულ გუნდით რტოთა შეკრთომას“ როგორც იქნა მოვუარეთ, რა ვუყოთ „და თოვლის თოვლით გადმოთოვებას“? (ვთხოვთ სწორად გაგვიგოს მკითხველმა. ჩვენ ჭეშმარიტ პოეზიაზე სულ სხვა ცნებებით ვისაუბრებდით. აქ კი ელემენტარულ საგანზე იმიტომ ვჩერდებით, რომ როცა „შენეულ გუნდით რტოთა შეკრთომას“ და „თოვლის თოვლით გადმოთოვებას“ წავაკითხებთ კეთილმოსურნე მკითხველს, მას უკვე ეკარგება ლექსის სხვა აქსესუარებზე საუბრის ხალისი).

რამდენადაც საინტერესო და შთამბეჭდავი ლექსია ჩვენი ნაცადი დრამატურგის იონა ვაკელის „ალუბლები“ (№ 12) იმდენად პრიმიტიულია და შაბლონური ავტორის მეორე ლექსი — „ხელები“. „ხელები“ გაცვეთილი პოეტური თემის სუსტი პერსევერაციაა. კითხულობთ ამ ლექსს და პირველივე სტროფიდან გაიწყდებათ, რომ პოეზიასთან გაქვთ საქმე. ავტორი თითქოსდა ძალით ერეკება ლექსის სტრიქონებიდან მხატვრულ სახეებს, ხოლო მის ნაცვლად დარჩენილ პუბლიცისტიკას ნაძალადეობის და გამომშრალი არქაულობის იერი დაჰკრავს:

„რა ბედნიერი წუთები არის
ჩუმი სიკეთით და აღელვებით, —
როცა სატრფოს გულს ეხება კრძალვით
ათრთოლებული ჩვენი ხელები.

მისით შავდება მინდვრად ხნულები
ჰყვავიან შორით მწვანე ველებიც:
ახალგაზრდა თუ ხანდაზმულები
ყველგან გამრჯეა ჩვენი ხელები“

„სატრფოს გულს (და არა მკერდს), შეხებული ჩვენი ხელების აზრობრივი უხერხულობა ვფიქრობთ, აშკარაა, ასეთ სტროფს კი:

„ვერ მოსპობ ბავშვის ტირილის ექოს,
ვერც დაამშვიდებ მას მოფერებით
თუ მის გრძნობიერ გულს არ შეეხო
ალერსით სავსე შენი ხელები“.

პატივცემული ავტორისადმი მოკრძალების მიუხედავად, ჩვენ ნამდვილ სახელს, — სუსტ სტროფს დავარქმევთ.

მ. გორკის საიუბილეოდ ნათქვამი, მაგრამ რატომღაც გალექსილი, უმარილო შესავალი სიტყვაა, აბა სხვა რა არის, ვახტანგ გორგანელის „მრავალჟამიერი“ (№13) ნუთუ ახლა, თანამედროვე ქართულ ლექსის ვერსიფიკაციულ საოცრებათა ეპოქაში ჭეშმარიტ ლიტერატურულ ფაქტად ჩაითვლება ასე მშრალად, ცუდბალადურად წერა?

„აღარ არიან მეგობრები გარდასულ
დღეთა,
გულს არაფერი აღარ იტაცებს,
სიხარულის ჟამს, აფსუს, ახლა აქ რომ არ
სხედან
მოსე თოიძე, ნინოშვილი, შიო ჩიტაძე.

ვერ იხარებსო ქვეყანაზე შხამი და გესლი,
მალე გაათბობს დედამიწას სიმართლის
სხივი“;
იმათ სიტყვებმა მართლა როგორ გაიდგეს
ფესვი,
როგორ დამტკბარა თავისუფალ მომავლის
ხილვით“
(„მრავალჟამიერი“).

გმადლობთ დევებო,
ტყისკაცებო,
ქონდრისკაცებო
ჭინკებო,
ქოსატყუილებო,
სადაც არსებობთ,
გმადლობთ იმ ტკბილი შიშისა და
სილამაზისთვის,
რასაც ვერა და ველარ განვიცდი.“

შოთა ნიშნიანიძის ლექსის (№ 15) ეს ცალკე აღებული სტროფიც კი დამთავრებული ლექსის შთაბეჭდილებას ახდენს. მკითხველებისათვის უშუალო და ახლობელია ამ ლექსში ერთი ხელის მოსმით დახატული სამყარო (ბავშვობის ტკბილი სიზმრები) და პოეტის ნახევრადსევდიანი განწყობილებაც („რასაც ვერა და ველარ განვიცდი“). შოთა ნიშნიანიძის ფაქიზ ლირიკას ყველგან აზის ჭეშმარიტი ძიებისა და ღრმა ალეგორიულობის კვალი. აქვე გვინდა გავიხსენოთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (№15) გამოქვეყნებული პოეტის ერთი ლექსი, რომელიც, ჩვენი აზრით, შოთა ნიშნიანიძის ჰუმანიზმითა და სიკეთით სავსე ლირიკისაგან ერთგვარი გადახვევის ნიმუშია. ლექსი ასეთია:

ყვავო, ყვავო ყვანჩალა,
ყვავების მაჩანჩალა,
სალორიის ტყეებზე რომ დაფრინავ ჩქარ-
ჩქარა,

ყვავო, ყვავო გულდიდა,
მოემზადე საჩხავლად —

მონადირის ლულიდან
კვამლი გამოყვანჩალდა,
შენს ბახალას ფრთა მოტეხეს....
მდინარეში ჩამხრჩვალა....
ყვავო, ყვავო ყვანჩალა...

თავი რომ დავანებოთ ამ ლექსის ერთ გაუმართავ ფრაზას („მონადირის ლულიდან კვამლი გამოყვანჩალდა“) ჩვენ საეჭვოდ მოგვეჩვენა ლირიკული გმირის ერთგვარად ნიშნისმოგებითი დამოკიდებულება ლექსში აღწერილი მოვლენისადმი. ბახალისათვის (თუნდაც ყვავის ბახალისათვის) ფრთის მოტეხვა და მდინარეში ჩახრჩობა (რაც ალტაცებისათვის ცოტა მასალას გვაძლევს) ლექსში სწორად არ არის შეფასებული: მითუმეტეს რომ, ამგვარი შეფასება ლექსის წინა ნაწილით სრულიადაც არ არის მოტივირებული. ამ ლექსის მიხედვით, დედა ყვავი ხომ არაფერს აშავებს, გარდა იმისა, რომ „საღორიის ტყეებზე ჩქარ-ჩქარა დაფრინავს“ თუ მკითხველი გვიკიჟინებს, რომ ლექსის ამგვარი გაგება პრობლემის გამარტივებაა და ყვავი ტრადიციულად სიშავისა და ბოროტების სიმბოლოა პოეზიაშიო, ჩვენ მაინც დაჟინებით გავიმეორებთ, რომ ეს ლექსი შოთა ნიშნიანიძის პოეზიის საერთო ხასიათში ვერა და ვერ თავსდება. კარგი პირი უჩანს პოეტის ახალ პოემას, რომლის ორი თავის გამოქვეყნებითაც (№21) გაზეთმა კარგი საქმე გააკეთა.

ჯანსუღ ჩარკვიანის „ფერად ფანჯრებს“ (№15) ნაზი ლირიზმი და საგნებისადმი უაღრესად მოკრძალებული წმინდა, მგრძნობიარე მიდგომა აერთიანებს. პოეტის მიერ ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულ ლექსებში ჩანს, რომ შემოქმედებითი ძიების რთულ გზაზე მან უკვე იპოვა საკუთარი მხატვრული გასაღები და მკითხველს მალე შეეძლება ლაპარაკი ჯ. ჩარკვიანისეულ სახეთა სისტემასა და მის სპეციფიკურ პოეტურ ხელწერაზე. ზოგჯერ მოგეჩვენებათ, რომ ჯ. ჩარკვიანის ლექსი ერთი ხელის მოსმით დაწერილს ჰგავს, რომ პოეტი თავს არიდებს მხატვრულ კეკლუცობას და ხშირად, რომელიმე ვრცელი პოეტური ხილვის ერთ მოზაიკურ ფრაგმენტს გვაწოდებს, თითქოს მისი ლექსი დიდი სიმღერის ნაწყვეტია, ცოტა ნაჩქარევად, მაგრამ მოკლედ და ლამაზად თქმული... ჩვენი ბობოქარი დღეების ტკბილმწარე რეალობის იქით ყოველთვის მოჩანს პოეტი, რომელიც ცხოვრებისეულ ტრაგიკომედიას საინტერესო პოეტურ სიცოცხლეს ანიჭებს.

ბარათაშვილის მღელვარე სულის, დიდი ტკივილებით დაღდასმული მისი პირადი და შემოქმედებითი ბიოგრაფიის შესანიშნავი მხატვრულ-ემოციური გარდასახვაა ჯ. ჩარკვიანის ლექსების ციკლი „მოვიდრეკ მუხლთა“ (№35-36).

„ლიტერატურული საქართველოს“ შარშანდელი ერთერთი ყველაზე ნაყოფიერი ავტორია ლადო სულაბერიძე. მის ლექსებს თუ თარგმანებს გამოცდილი ოსტატის ხელი ეტყობა. ჩვენ ამჯერად თავს ვითავისუფლებთ ლადო სულაბერიძის პოეზიის დახასიათების სასიამოვნო მოვალეობისაგან (რაც მკითხველს ჩვენზე უკეთ მოეხსენება) აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ, ლადო სულაბერიძის შემოქმედება ყოველთვის თანამედროვეობის პათოსით არის გამსჭვალული და ჭეშმარიტი პოეტური ექსპრესიით სუნთქავს. თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ ლადო სულაბერიძის ხელმოწერით გაზეთში ზოგჯერ გვხვდება არც თუ ცუდად დაწერილი, მაგრამ მაინც სახელდახელო ლექსები, რომელთა წაუკითხაობითაც ბევრ რამეს არ დაკარგავდა მკითხველი. ამ ხასიათის ლექსთა გვირგვინი გახლავთ „ღია წერილი ქალბატონ ეტელ კენედის“ (№27) მაგრამ ამგვარი ლექსები როდი განსაზღვრავენ ლადო სულაბერიძის, როგორც ნიჭიერი შემოქმედის სტილს და მხატვრულ სპეციფიკას.

* * *

P. S. უმეტეს შემთხვევაში მიმოხილვით წერილებს ასე ამთავრებენ: „შეიძლება დავასკვნათ, რომ“... და ა. შ.

ჩვენ არაფერს არ ვასკვნით, არ დავასკვნით, იმიტომ, რომ „ლიტერატურული საქართველო“ ცოცხალი, მოქმედი ორგანოა და მისი დღევანდელი სახე ხვალ უკვე ისტორიად იქცევა. ამიტომაც ამ გაზეთის გაუკეთესებისათვის თითო-ოროლა სიტყვის თქმის ვალდებულება ჩვენი ლიტერატურის ყველა გულშემატკივარმა უნდა იკისროს.

„ლიტერატურული საქართველოს“ პოეზიის ასეთ ფრაგმენტულ განხილვას კი ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი უპრეტენზიო, სუბიექტური თვალსაზრისის ფარგლებში ვტოვებთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# რაც მტრობას დაუნგრევია

ამ ცოტა ხნის წინათ სომხურმა გაზეთმა „გრაკან თერთმა“ ერევანში გამოაქვეყნა სომეხი მწერლის მიქაელ შათირიანის ვრცელი სტატია „ფასეული რომანი ხალხთა მეგობრობაზე“. სტატია საგულდაგულოდ განიხილავს გ. ვერმიშევის წიგნს „ამირსპასალარს“, რომელიც შარშან დიდი ტირაჟით გამოუცია მოსკოვის სამხედრო გამომცემლობას. წიგნს წინ უძღვის ცნობილი რუსი ლიტერატორის სტეფანე ზლობინის წინასიტყვაობა და დართული აქვს ავტორის შენიშვნები.

მოხსენიების ღირსია ის ამბავიც, რომ მწერალ მ. შათირიანის წერილი „გრაკან თერთში“ მას შემდეგ დაიბეჭდა, რაც გ. ვერმიშევის წიგნი ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა და მან საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურაში მეტად თუ ნაკლებად ჩახედული ადამიანების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ამ უკმაყოფილებამ, ბოლოსდაბოლოს, პრესაშიც იჩინა თავი... (გაზ. „კომუნისტი“, 12/I, 1969 წ.).

ყველა, ვინც კი გ. ვერმიშევის ხსენებული წიგნის წაკითხვის შემდეგ გულისწყრომას და განცვიფრებას გამოსთქვამდა, ერთხმად აღნიშნავდა, რომ რომანად წოდებული ეს ნაწარმოები მრუდე სარკეში, განზრახ დამახინჯებულად წარმოსახავს ქართველი ერის ისტორიულ წარსულს, თვითნებურად ექცევა საყოველთაოდ ცნობილ ისტორიულ ფაქტებს, ცდილობს ეს ფაქტები წინასწარ აკვიატებულ ტენდენციურ კონცეფციას დაუქვემდებაროს, უხეშად შეურაცხჰყოფს მოძმე ერის რჩეულ შვილთა წმიდათა-წმიდა სახელებს და მიზნად ისახავს ზოგიერთი სომეხი მოღვაწის დაუმსახურებელ განდიდებას, მათთვის სხვა ისტორიულ პირთა დამსახურების მიწერის ხარჯზე.

ბრალდებები, როგორც ხედავთ, ძალზე მძიმეა. ძნელი წარმოსადგენიც კია, ამდენი სათაკილო რამ ერთ მწერალს ჩაეტიოს თავის ერთადერთ წიგნში...

მწერალ მ. შათირიანს, ჩანს, კალამი ხელში სწორედ ამ გაუგებრობის თუ შეუსაბამობის გაფანტვის სურვილმა აიღებინა და აი, ჩვენს წინაშეა მისი წერილი „გრაკან თერთში“...

მ. შათირიანი მოგვითხრობს, რომ „ამირსპასალარში“ გადმოცემულია ისტორიული ამბავი სომეხი და ქართველი ხალხების ერთობლივი ბრძოლისა მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში სელჩუკ დამპყრობთა წინააღმდეგ. აქვე დასურათხატებული ყოფილა „სომეხ-ქართველთა გაერთიანებული სახელმწიფოს (?) შექმნასა და მის გაძლიერებასთან დაკავშირებული მოვლენები“.

სომხეთის ისტორიის ეს პერიოდი, აღნიშნავს წერილის ავტორი, ჩვენთვის, სომხებისათვის, აქამდე „ტერა ინკოგნიტა“ იყო და „ამირსპასალარიც“ სწორედ ამ ხარვეზის შესავსებად დაიწერაო“.

კითხულობ და გიკვირს: ნუთუ ეს მართლა სწერია? ის, რაც ისტორიისათვის „ტერა ინკოგნიტაა“, ჯერ-ჯერობით „ინკოგნიტადვე“ დარჩება, ვიდრე თვით ისტორია და არა სხვა რომელიმე დარგი წინ ახალ ნაბიჯს გადადგამდეს. ძნელია, ისტორიის „ტერა ინკოგნიტას“ შევსება ბელეტრისტიკას დავაკისროთ, რადგან ისტორიის ბელეტრისტიკით შევსება, ვისი ისტორიაც არ უნდა იყოს იგი, დიდი თუ მცირე, ძველი თუ ახალგაზრდა ერისა, მეცნიერებაში მიღებული არ არის. მიუხედავად ამისა, თუ მ. შათირიანის განცხადებას მაინც სერიოზულად მივიჩნევთ, მაშინ ისიც უნდა მივიღოთ ცნობად, რომ გ. ვერმიშევს ამ თავისი თხუზულებით გარკვეული პრეტენზიები აქვს წამოყენებული სომხურ ისტორიოგრაფიაში.

რაკი ასეა, მოდით, ჩავყვეთ ქვემოთ და მასალა, იმედია, ყველაფერს გვაჩვენებს.

აქვე, მ. შათირიანის სტატიაში, ვეცნობით წიგნის ავტორს. ის თურმე პროფესიონალი მწერალი არ ყოფილა. ეს პირველი წიგნი დაუწერია და ლიტერატორის კარიერასაც, ეტყობა, ახლა იწყებს. წიგნის წარმატება ავტორის ღრმა განსწავლულობამ, რამდენიმე

ენის ცოდნამ და თავის დროზე სამხედრო ნაწილებში ხანგრძლივმა სამსახურმა განაპირობაო, წერს მ. შათირიანი. 1921 წელს, როგორც წითელ ოფიცერს, ვერმიშევს სომხეთისა და საქართველოს განთავისუფლებაშიაც მიუღია მონაწილეობა.

წიგნის რომელ „წარმატებაზე“ ლაპარაკობს მ. შათირიანი? მან მშვენივრად იცის, რომ გ. ვერმიშევის რომანმა მკითხველი, კერძოდ, ქართველი მკითხველი, განაცვიფრა და აღაშფოთა. ¹იქნებ ეს მიაჩნია წიგნის „წარმატებად“?

კიდევ რამ შეუწყო ხელი მ. შათირიანის აზრით „რომანის გამარჯვებას“? თურმე იმან, რომ „ავტორის ბაბუა (დედის მხრივ) იყო ზაქარიან-მხარგრძელ-არღუთიან-დოლგორუკ-ერკაინაბაზუკების ცნობილი გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი, რომლის საფლავი სანაინის ეკლესიის ზაქარიანთა საგვარეულო სამარხში 18 საფლავის რიგს ამთავრებს“.

ჩვენთვის, გულუბრყვილო მკითხველისათვის, ვისაც ვერმიშევის წინაპართა საგვარეულო სამარხისა არაფერი გაგვეგება, ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეუწყო ხელი მწერლის რომანის წარმატებას ამ უკანასკნელმა გარემოებამ, მაგრამ ჯობს აქ მაინც არ გავჩერდეთ და ეგზომ პატივცემულ გაზეთში გამოქვეყნებული სტატია თავიდან ბოლომდე გულდასმით წავიკითხოთ.

მ. შათირიანი ისტორიულ ექსკურსს აკეთებს მეთერთმეტე საუკუნეში. ბიზანტიის ხელისუფალთა ვერაგობისა და შინაგან განხეთქილებათა წყალობით დაქუცმაცებული სომხეთი ამ დროს ისე დასუსტებული ყოფილა, რომ სელჩუკების შემოტევისათვის ვერ გაუძლია, დაცემულა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაუკარგავს. ცალკეული ქალაქები — ანისი, დვინი და სხვ. პერიოდული აჯანყებებითა და საბოტაჟით მაინც განაგრძობდნენ წინააღმდეგობის გაწევას, რამაც, თუ მ. შათირიანს დავუჯერებთ, მოძმე ქართველ ხალხს საშუალება მისცა დრო მოეგო, ძალები მოეკრიბა და სელჩუკი დამპყრობები როგორც საქართველოს, ისე სომხეთის მიწა-წყლიდან განედევნა.

„საქართველოს გაერთიანებისა და გაძლიერების საქმეში, — წერს სტატიაში მ. შათირიანი, — დიდი ღვაწლი მიუძღვით დავით აღმაშენებელს და მის შთამომავლებს გიორგი მესამესა და თამარ დედოფალს. მათ განდევნეს სელჩუკი ურდოები, ამავე დროს დათრგუნეს ქართული ფეოდალური (ცენტრიდანული) ძალები, რის შემდეგაც საქართველო გახდა კომპაქტურად შეკრული ერთიანი სახელმწიფო. იგი მედგრად იცავდა თავს და მნიშვნელოვნად აფართოებდა კიდეც თავის საზღვრებს“.

ქართველებმა განდევნეს მტერი სომხური მიწებიდანო მოგვითხრობს შემდეგ მ. შათირიანი, ადგილობრივი სომხები, რომლებიც თავიანთ მომხვდურ ბატონებს ქართველთა ლაშქრის მოახლოებისთანავე აუჯანყდებოდნენ ხოლმე, დიდ დახმარებას უწევდნენ მას ამ კეთილშობილ საქმეშიო. ქართველ მეფეებს ესმოდათ, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათი სამეფოს დღეგრძელობისათვის ძლიერი სომხეთის აღორძინებასო. ყველა განთავისუფლებულ სომხურ ოლქში ქართველები სომეხ მმართველებს სვამდნენ და ამ ოლქებს მათთან ერთად და მათი შემწეობით მართავდნენო. სომეხ-ქართველთა რელიგიური განხეთქილება უკანა პლანზე გადავიდაო. წინ წამოიწიეს მშობელი მიწის დაცვის ერთიანმა ინტერესებმაო...

ბოლოს რა მომხდარა? სომხეთის განთავისუფლებულ ოლქებს თავი მოუყრიათ, შემჭიდროებულან, ადმინისტრაციულად შეერთებულან და ფეოდალური საქართველოს „ერთიანი სამეფოს“ შიგნით ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო და „არსებითად“ ფედერაცია შექმნილა. სომხურ ოლქებს, გვარწმუნებს მწერალი მ. შათირიანი, თამარ მეფის დროს სრული ავტონომია მოუპოვებიათ და საკუთარი შეიარაღებული ძალებიც კი ჰყოლიათ.

ყოველივე ამას ისე თავდაჯერებით, იმგვარი ეპიური სიმშვიდითა და სიდარბაისლით გადმოგვცემს სტატიის ავტორი, თითქოს ყველაფერი,რასაც გვეუბნება, დიდი ხნის წინათ დადგენილი და ყველა სპეციალისტი-ისტორიკოსის მიერ ბეჭედდასმული ისტორიული ფაქტი იყოს. გონიერ ადამიანს გააკვირვებს ავტორის ამოდენა გამბედაობა, მაგრამ არც ის უნდა დაგავიწყდეს კაცს, რომ წრეს გადასული გაბედულება, იქაც კი, სადაც სპეციალისტები საუკუნეების განმავლობაში ყოყმანობენ და ახალ და ახალ დამარწმუნებელ საბუთებს ეძებენ საბოლოო მსჯავრის გამოსატანად, მხოლოდ სულსწრაფობასა და დილეტანტობას ახლავს თან.

აი, ისტორიის ამ პერიოდს, „თამარ დედოფლის“ მეფობის პერიოდს ასახავს ვერმიშევი თავის რომანშიო, დასძენს ზემოთ ნათქვამს შათირიანი. მკითხველი თურმე „ადვილად მიხვდება, რომ რომანის მთავარი გმირია ქართველ-სომეხთა (?) ამირსპასალარი (სპასპეტი) ზაქარია“.

შეიძლება, გულუბრყვილო კაცი აქაც გაჩერდეს და იკითხოს, თუ მკითხველი, უკეთუ ის გულთმისანი არ არის, როგორ უნდა მიხვდეს, ვინ იქნება ჯერაც წაუკითხავი რომანის მთავარი გმირი, მაგრამ ეს ამბავი შედარებით მაინც წვრილმანია და გამოკიდებად არ ღირს. თუმცა რაღა წვრილმანი! თავის ამ გარეგნულად უწყინარ ფრაზაში ავტორი ხელის ერთი აქნევით თვალებში ნაცარს გვაყრის და თითქოსდა სხვათაშორის გვაუწყებს: ის ამბავი, რომ ზაქარია მხარგრძელი „ქართველ-სომეხთა“ ამირსპასალარია, სომხეთში ბავშვმაც კი იცის და, როგორც კი მკითხველი წიგნს დახედავს, რასაკვირველია, უმალვე მიხვდება, თუ ეს „ამირსპასალარი“ ვინ იქნებაო.

ვგონებ აქაც მოთმენა გვიჯობს. ჯობს, ისევ წინ წავიდეთ, გავყვეთ მწერალ მ. შათირიანს. მას ხომ თავისი სტატიით ამ „ბნელი“ საკითხისათვის ნათელის მოფენა განუზრახავს. სანამ საქმეზე გადავიდოდე, აქვე უნდა შევნიშნო მხოლოდ ერთი რამ: ქართულ ისტორიოგრაფიაში ვერმიშევისა და შათირიანისათვის საინტერესო პერიოდი „ტერა ინკოგნიტა“ სრულებითაც არ არის. ესაა ფეოდალური ქართული სახელმწიფოს განვითარების, მისი საერთაშორისო წონისა და პრესტიჟის, ეროვნული სულის აღმავლობის ოქროს ხანა და იგი დაწვრილებით გახლავთ შესწავლილი რო-

გორც იმდროინდელი, ისე შემდგომი საუკუნეების ქართველი და არაქართველი, მათ შორის სომეხი ისტორიკოსების მიერ.

მოვლენებს რომ წინ არ გავუსწროთ, მე აღარაფერს ვიტყვი იმაზე, თუ რა დითირამბებით ამკობს მ. შათირიანი ზაქარია მხარგრძელს, რა დიდ როლს ანიჭებს მას „კავკასიის ისტორიაში“. აქვე შემთხვევით ვსარგებლობ და მკითხველს, განსაკუთრებით კი სომეხ მკითხველს, ვთხოვ გაითვალისწინოს, რომ როდესაც ვერმიშევის წიგნის განხილვისას სომეხ და ქართველ ისტორიულ პირებს, მათს საქციელს, მიზნებს და მიზნის მიღწევის საშუალებებს შევეხები, მხედველობაში მეყოლება არა თვით ეს ისტორიული პირები, არამედ გ. ვერმიშევის რომანის პერსონაჟები, რომლებიც ავტორს მათი სახელებითა და გვარებით გამოუყვანია.

„მწერლის იდეური პოზიცია, — წერს დაბოლოს სტატიაში მ. შათირიანი, — პირველ რიგში სომეხი და ქართველი ხალხების ძმური კავშირის გაშუქებაა. ამ კავშირის მეშვეობით იქნა დაცული ამ ორი ხალხის არსებობა, ენა, მაღალი კულტურა და ეროვნული თვითმყოფობა. ავტორი დიდი სიმპათიით და ცოდნით ხატავს ცნობილ ქართველ მეფეებს — გიორგი მესამეს და თამარ დედოფალს, ქართველ სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეებს, დიდ პოეტს შოთა რუსთაველს და მხატვარსა და ოქრომჭედელს ბექა ოპიზარს... მშრომელი ხალხის მრავალი წარმომადგენლის სახეს“.

არ შეიძლება, აქ მოყვანილი ადგილის პირველი ნახევარი, ვიდრე მ. შათირიანი სიტყვას ვერმიშევის სიმპათიებზე და ცოდნაზე ჩამოაგდებდეს, დიდი სიამოვნების გრძნობით არ წაიკითხო. არ შეიძლება იმიტომ, რომ ის, რასაც აქ მწერალი თავის მკითხველებს ეუბნება, სრული სიმართლე გახლავთ. ამ ორმა მოძმე ხალხმა, ქართველებმა და სომხებმა, ათასწლეულების ბნელი ლაბირინთები მართლაც მხარდამხარ გამოიარეს და ჩვენს დრომდე თავიანთი დიდი წარსულით ამაყნი და აწმყოთი განდიდებულნი მოვიდნენ. ისინი მხარდამხარ ებრძოდნენ მთელ მუსულმანურ სამყაროს ევროპისა და აზიის მიჯნაზე და ათეული საუკუნეების განმავლობაში მაღალი აზრით აღბეჭდილ მათ სპეტაკ შუბლზე იფშვნებოდა ცივილიზებულ დასავლეთისაკენ დაძრულ მტაცებელ ურდოთა შუბი და იატაგანი. მამულიშვილმა მწერალმა, სომეხი იქნება ის თუ ქართველი, დიაღაც უნდა დასწეროს ამ ისტორიული მეგობრობისა და თანამშრომლობის სადიდებელი გულმართალი წიგნი. ეს ძნელი როდია, თუ ნიჭი, მასალის ზედმიწევნითი ცოდნა და კეთილსინდისიერება წინ ლამპრად გაგიძღვება. სომეხ-ქართველთა ურთიერთობის ისტორია სავსეა თავდადებული ძმობისა და მეგობრობის მაგალითებით.

გავიხსენოთ თუნდაც სომხეთის მეფის გაგიკის უანგარო დახმარება, რომელიც მან საქართველოს გამაერთიანებელ მეფე ბაგრატ მესამეს აღმოუჩინა. ამ ენერგიულმა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის დაუღალავად მოღვაწე მეფემ, ბაგრატმა, მანამდე წვრილ სამთავროებად დაყოფილი ქართველთა ქვეყნები ერთ ძლიერ ფეოდალურ სახელმწიფოდ შეკრიბა და „ქართლ-კახეთისა“ და „აფხაზეთის“ (დასავლეთ საქართველოს) ნაცვლად, სწორედ ამიერიდან ჩნდება ახალი გეოგრაფიული და ეთნიკური ტერმინი „საქართველო“. ქართველთა მიწების ერთი ძლიერი სამეფო დროშის ქვეშ გაერთიანებამ, ცხადია, მგლის მადა აღუძრა მეზობელ მუსულმანურ სახელმწიფოთა მფლობელებს. განსაკუთრებულ გულმოდგინებასა და გაუმაძღრობას განძის ამირა ფადლონი იჩენდა. ის რამდენჯერმე დაესხა კახეთს, მოსრა, გაძარცვა და გაატიალა. ბაგრატ მესამემ, რომელსაც საქმე უამისოდაც ბევრი ჰქონდა, დახმარებისათვის მიმართა სომხეთის მეფე გაგიკს. ქართველ-სომეხთა გაერთიანებულმა ლაშქარმა ფადლონის სამფლობელო რანს მიმართა, 1011 წელს შამქორი დააქცია და ამირა აიძულა ზავი ეთხოვა. ფადლონს დიდი ხარკი დაეკისრა და ამის შემდეგ ერთხელაც აღარ გაჰღვიძებია მეზობლებზე ყაჩაღური თავდასხმის სურვილი.

მოძმე სომეხ ხალხს სულ მალე დასჭირდა ქართველთა ლაშქრის დახმარება. როგორც ცნობილია, სომხეთის მიწა-წყალი, აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილთან და თვით თბილისთან ერთად, სელჩუკების ხელთ იყო. 1086 წელს მელიქ-შაჰის „დიდი სელჩუკების“ ლაშქრობის შედეგად სომხეთის ყველა ფეოდალმა თავი სულტნის ყმად გამოაცხადა. სელჩუკთა დიდი სახელმწიფო რომ დაიშალა, სომხეთის ტერიტორიაზე გაჩნდა რამდენიმე ფეოდალური სახელმწიფო. ამ სახელმწიფოებს უმთავრესად ქურთული წარმოშობის მმართველები განაგებდნენ. ქურთ მმართველთა შორის ყველაზე მეტად თავი შედადინებმა გამოიჩინეს. თუ მეათე საუკუნეში ისინი მხოლოდ განძას ფლობდნენ, მალე მას ტაშირ-ძორაგეთისა და სივნიეთის სამეფოებიც შემოუერთეს. 1048 წელს შედადინებმა დაიპყრეს დვინი და დასაბამი მისცეს დვინის შედადინებს. დვინის ერთ-ერთმა შედადინმა აბულ-სუვარმა 1072 წელს იყიდა სომხეთის ყოფილი სატახტო ქალაქი ანისი სულტან ალფ-არსლანისაგან და თავის შვილს მანუჩეს — შედადინების ანისის შტოს დამაარსებელს — გადასცა. შემდეგ ანისი, ყოფილი სომხეთის სამეფოს სხვა საამიროებთან ერთად, დავით აღმაშენებლის ვასალი გახდა, მაგრამ იქ კვლავაც შედადინები ბატონობდნენ. აბულ-სუვარ შედადინმა გადაწყვიტა ციხე-ქალაქი ანისი 60 ათას დინარად მიეყიდა კარის ამირასათვის. ის ამასაც არ დასჯერდა. ბრძანა და ანისის განთქმული საკათედრო ტაძარი მიზგითად გადააკეთებინა. შეიყარნენ ქალაქის მესვეურნი, დეპუტაცია გაუგზავნეს დავით აღმაშენებელს და დახმარება სთხოვეს. დავითს არ დაუყოვნებია. 1123 წელს 60 ათასი მეომრისაგან შემდგარი ჯარი დასძრა და ურჩი შედადინების სატახტო ქალაქს ალყა შემოარტყა. სამი დღის მედგარი ბრძოლების შემდეგ ანისი უკვე ქართველების ხელთ იყო. ამის შემდეგ ქართველთა დიდ მეფეს ანისი აღარავისთვის გადაუცია. იგი უშუალოდ სახელმწიფო დარბაზს დაუქვემდებარა, ხოლო ციხეებში ანისის მოსახლეობის მშვიდი ცხოვრების დასაცავად მესხი აზნაურები და მათი რჩეული ლაშქარი ჩააყენა.

მარტო იმის გახსენება რადა ღირს, გეგუთის სასახ-

ლეში ანისის ხელახალი აწიოკების ამბავი რომ მოიტანეს და საქართველოს მთელი სამეფო კარი უდიდესმა მწუხარებამ მოიცვა. დავით სოსლანი ახალი გარდაცვლილი იყო. თამარს თალხები ემოსა. ანისს არდაველის სულთანი დასცემოდა. „წარმოვიდა და აღვლო რახსის პირი, — წერს მემატიანე, — და უგრძნობლად მოვიდა ანის(ს)ა; გზა-გზა არავის ავნო და დიდსა შაბათსა მწუხრი მოვიდა ქალაქსა ანისისა. და ვითარ ცისკარი მიეახლა და ჰკრეს ძელსა და განახუნეს კარნი ქალაქისანი, მყის მიეტევნეს კარსა ქალაქისასა... და შევიდეს ქალაქად. იწყეს ხოცად, კლვად, ტყუეობად. უმრავლესი ერი იყო ეკლესიათა შინა, ვითარც შეჰგავს ქრისტიანეთა სჯულსა... ესრეთ ხელთ იგდეს ქალაქი, ერთი ბევრი და ორი ათასი კაცი ეკლესიათა შინა, ვითარ ცხვარი, დაკლეს, თვინიერ მისსა, რომელი უბანთა და ფოლოცთა შინა მოიკლა“.

ამის გამგონე თამარს და მის კარისკაცებს ელდა ეცა. „ესმა და დიდად დამძიმდეს, — წერს შემდეგ მემატიანე, — და მწუხარებამან მოიცვნა... გულნი მათნი ცეცხლებრ ენთებოდა. მეფე და ყოველი სპანი მისნი მწუხარებითა და გულისწყრომით მოცულნი სპარსთა მიმართ ბრძოლისა ყოფად აღემზადნეს“. სასწრაფოდ შეკრბა ლაშქარი „მესხთა, თორელთა, ჰერ-კახთა, თმოგუელთა, სომხითართა“. ეს არცთუ ისე დიდი ჯარი მიპარვით შემოერტყა გარს არდაველს, შეიცადა, ვიდრე დილის ლოცვა დაიწყებოდა და როგორც კი „ხმაყო ქადაგმან ბილწისა ქადაგებისა მათისამან და გახშირდა მუყრთა ყივილი“, ქალაქს ყოველის მხრიდან შეუტიეს და იგი უომრად დაიმორჩილეს. სულტანი შეიპყრეს და იქვე აჰკუწეს. მისი ცოლები და შვილები ტყვედ წამოასხეს, ხოლო „ათორმეტი ათასი კაცი რჩეული მიძგითთა შინა მოკლეს ვითარ მათ ყვეს ანისისა ეკლესიასა შინა“.

ასე იძიეს შური ქართველებმა, ასე დაათხიეს ურჯულოთა სისხლი უდანაშაულო სომეხთა მოწამებრივი სისხლის სანაცვლოდ...

ყველაფერ ამის გახსენება და მკითხველის თვალწინ გაცოცხლება დიახაც რომ ბუნებრივი იქნებოდა, არაბუნებრივი მხოლოდ ის იქნება, წერად დაჯდე და სხვა რამ კი განიზრახო.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მ. შათირიანის წერილს, თუმცა ის არაერთ მეცნიერულ უზუსტობას, უმართებულო ცნებებს და მიახლოებით ფორმულირებებს შეიცავს, ბევრი საქმეში ჩაუხედავი სომეხი მკითხველი მაინც კმაყოფილებით შეხვდებოდა. რას შეიტყობდა ამ წერილიდან? დაწერილა კიდევ ერთი სასარგებლო წიგნი ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობაზე! კეთილი და პატიოსანი. ამას რაღა სჯობია! მაგრამ ის წიგნი — ვერმიშევის „ამირსპასალარი“ რუსულ ენაზეა შექმნილი და გამოქვეყნებული, ჯერ სომხურად არ დაბეჭდილა. ისე რომ, ვიდრე წიგნი ვერმიშევის მშობლიურ ენაზე გამოქვეყნდებოდეს, სომეხი მკითხველი, რომელსაც რუსულად არ წაუკითხავს რომანი, თავისი მწერლის მ. შათირიანის პატიოსან სიტყვას უნდა ენდოს.

ვის ენდობა და ვის არ ენდობა სომეხი მკითხველი, ამის გარჩევაში ნუ შევალთ, რადგან ვაითუ არამკითხე მეამბეობა გამოგვივიდეს, მაგრამ ჩვენ კი, ჩვენდათავად, მ. შათირიანის გულისამაჩუყებელ ღუღუნს მეგობრობაზე კარებამდე ვერ ვენდობით. რატომ? იმიტომ, ბატონო, რომ გ. ვერმიშევის წიგნი „ამირსპასალარი“ ჩვენც ვიშოვნეთ და წავიკითხეთ. პირველი სტრიქონიდან უკანასკნელ სტრიქონამდე იქ სულ სხვა სულისკვეთებაა, სულ სხვა მისწრაფებები და მიზნებია და, აბა, გული როგორ გაგიძლებს, კოლეგა მ. შათირიანს არ გამოესაუბრო, მისი აღტაცება საეჭვო მანევრად არ მიიჩნიო და ფეხქვეშ გათელილი ჭეშმარიტების აღდგენა არა სცადო.

მ. შათირიანის ნათქვამს, თუ რა მოხდა მეთერთმეტე საუკუნეში, მე თითქმის ვერაფერს დავუმატებ.

სელჩუკებმა პირისაგან მიწისა აღგავეს სომხეთის სახელმწიფოებრივი მთლიანობა. სომხეთის ჰორიზონტზე ისინი პირველად 1047 წელს გამოჩნდნენ. ამ დროს ანისის სამეფო უკვე გაუქმებული იყო და იგი კონსტანტინოპოლის განმგებლობაში შედიოდა. სელჩუკთა ურდოები ვასპურაკანზე გავლით ბაგრევანდისა და ბასიანის პროვინციებისაკენ გაემართნენ. 22 სომხური ოლქი ნაცარტუტად იქცა. დამპყრობთ წინ აღუდგა ბიზანტიისა და საქართველოს გაერთიანებული ლაშქარი. მოკავშირეები სასტიკად დამარცხდნენ ბასიანის ველზე იმავე წელს, ოქტომბერში. ქართველთა სარდალი ლიპარიტ ბაღვაში ტყვედ ჩავარდა.

მომდევნო წლის გაზაფხულზე სელჩუკებმა კვლავ დალაშქრეს სომხეთი. მოაოხრეს კარნუ-ქალაქი, ახლანდელი არზრუმი. ცეცხლმა და მახვილმა იმსხვერპლა აშორნეკის, ხორძენესა და ტარონის პროვინციები.

მესამე ლაშქრობამ ქვეყანას კიდევ უფრო დიდი უბედურება მოუტანა. 1064 წელს სელჩუკები კვლავ შემოესივნენ სომხეთს, შემდეგ საქართველოსაც და გზადაგზა ყველაფერი მოაოხრეს. 1065 წელს მათ აიღეს ანისი და მიწასთან გაასწორეს. გაუქმდა სომეხ ბაგრატიდთა სამეფო ტახტი. მრავალტანჯული ქრისტიანული ქვეყანა პატარ-პატარა საამიროებად დაქუცმაცდა. საამიროები გამარჯვებულმა სარდლებმა და მათმა ნათესავ-მოკეთეებმა მიისაკუთრეს. სომხობა აუწერელ განსაცდელში ჩავარდა. დადგა მისი ფიზიკური ყოფნა-არყოფნის საკითხი...

იმდროინდელი სომეხი ისტორიკოსები და მემატიანეები ქვეყნის გაჩანაგების თავზარდამცემ სურათებს ხატავენ. აი, რას მოგვითხრობს ერთ-ერთი მათგანი — არისტაკეს ლასტივერტცი, მეთერთმეტე საუკუნის ისტორიკოსი, ვის თვალწინაც სამშობლოს გაუგონარი აოხრების ტრაგიკულმა სცენებმა გაიარა:

„ქალაქები დანგრეულია, სახლები — დამწვარი, სასახლეები ცეცხლის ალშია გახვეული, მეფეთა პალატებისაგან მხოლოდ ნაცარი დარჩა. მამაკაცები მოედნებზე გაჟლიტეს, ქალები ტყვედ გარეკეს, ძუძუთა ბავშვებს ფილაქნებზე დაასხმევინეს ტვინი. დაჭკნა რამდენი ნორჩი ყვავილი. ქალიშვილებს საჯაროდ ხდიან ნამუსს, ჭაბუკებს კი მოხუცების თვალწინ ჩეხავენ. დაცემულებს სიცოცხლეს უსწრაფებენ, კლდეებს შორის მიმალულებზე მშვილდ-ისრით ნადირობენ. უძირო ხრამებში თავშეფარებულთ უზარმაზარი ლოდებით

სრესენ, ქუჩებში ნაფოტებივით ყრია უბედურთა გვამები...“

აი, ასეთი იყო ჯვარზე გაკრული სომხეთის საერთო სურათი იმ სისხლის წვიმების დროს. ათასობით ოჯახი აიყარა და თავი მეზობელ ქვეყნებს შეაფარა. ერთმორწმუნეობას ვინღა სწუხდა! წინ იყო დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ოდესღაც მოსახლე ალბანელი ტომებისა და ალბანური სახელმწიფოს გაქრობის შემზარავი მაგალითი.

სომხობის დიდმა ნაწილმა, ვინც კი მუხთალ მტერს გამოექცა, საქართველოს მოაშურა და საკუთარი სიცოცხლე, ქალი და რძალი, შვილი და შვილიშვილი მოძმე ქართველ ხალხს მიანდო. თითო-ოროლა მაღალი წოდების პირი, აწ უმამულო და სამშობლოდან დევნილი საქართველოს მეფის სამსახურში შევიდა, ტახტის ერთგულების ფიცი მიიღო და ქართველ სახელმწიფო მოღვაწედ იქცა, ხალხი კი, ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობის მსგავსად, იმ საქმეს დაადგა, რომელიც უფრო ემარჯვებოდა და რითაც თავს დაირჩენდა.

აი, ამას ღაღადებს ნამდვილი ისტორია. როცა ამბობენ, ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობა უაღრესად დიდ გასაჭირში გამოიცადაო, ამას გულისხმობენ ხოლმე.

რა ვითარება იყო ამ დროს საქართველოში?

სელჩუკებს აქაც მოეკიდებინათ ფეხი. სატახტო ქალაქში მათი ამირა იჯდა. „ქალაქი ტფილისი, — მოგვითხრობს მემატიანე, — რუსთავი, სომხითი ყოველი, სამშვილდე, აგარანი თურქთა ჰქონდეს“. საქართველოს დედაქალაქი „შვიდთა სამეფოს“ მეფეებს ქუთაისში გადაეტანათ და სელჩუკთა კლანჭებისაგან მშობელი მიწის ერთხელ და სამუდამოდ გამოხსნაც იქ მზადდებოდა.

გ. ვერმიშევმა და მ. შათირიანმა კარგად იციან, რომ თავისი დიდი წინაპრებისა და წინამორბედების მიერ დაწყებული საქმე ბრძენმა დავით მეოთხე აღმაშენებელმა დააგვირგვინა; სელჩუკები მთლიანად განდევნა სამშობლოს ფარგლებიდან და თავის ისედაც ვრცელ სამეფოს მეზობელი ქვეყნების მიწებიც შემოუმტკიცა. მათ შორის იყო ყოფილი სომხეთის სამეფოს მთაგორები და ციხე-ქალაქები.

საქართველოს უპირველესი მტრების — სელჩუკების დასუსტებას, რასაკვირველია, ხელი შეუწყო ანისისა და დვინის პერიოდულმა აჯანყებებმა დამპყრობთა წინააღმდეგ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამ აჯანყებებს, მათი მცირე მასშტაბის გამო, არ შეეძლოთ გადამწყვეტი როლი ეთამაშათ. სელჩუკთა ძლიერების საფუძვლიანი შერყევა განაპირობა დიდმა ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა. მტაცებელ სახელმწიფოთა სასიცოცხლო ინტერესების შეჯახებამ საქართველოს ფარგლებს გარეთ, ამ პატარა ქვეყანას საშუალება მისცა შექმნილი მდგომარეობით ესარგებლა, ღონე მოეკრიბა და სანამ მისთვისაც მოიცლიდნენ, წელში გამართულიყო.

ამ გარემოებას, გარდა ობიექტური პირობებისა, არანაკლებ შეუწყო ხელი სუბიექტურმა ფაქტორმაც: ქართველი მეფეების სიბრძნემ და შემართებამ, საერთაშორისო ვითარების სწორად განჭვრეტამ და ქვეყნის შიგნით საზოგადოების მამოძრავებელი ძალების ალღოს აღებამ.

ქართველთა გაერთიანებული სამეფო ანუ საქართველო, ეს მუდამ უნდა ახსოვდეს მტერსაც და მოყვარესაც, უაღრესად ძლიერი ეროვნული სახელმწიფო იყო და მის სათავეში ყოველთვის ქართველი მეფეები და ქართველი დიდებულები იდგნენ.

სახელმწიფოებრივმა ძლიერებამ მრავალ ვაებაგამოვლილ ქართველ ხალხს საშუალება მისცა მთლიანად გამოემჟღავნებინა თავისი ბუნებრივი ნიჭიერება და ეროვნული სული. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბაგრატ მესამის, დავით აღმაშენებლის, დემეტრე პირველის, გიორგი მესამის, თამარ მეფის ეპოქაში აშენდა ყველაზე თვალსაჩინო არქიტექტურული ძეგლები, გაერთიანებული საქართველოს ძლევამოსილებას რომ გამოხატავდნენ, და დღესაც ანცვიფრებენ მნახველს თავიანთი გრანდიოზულობით და ფორმების სრულყოფით. აშენდა ბაგრატის ტაძარი, ვარძია, გელათი, ნიკორწმინდა, სამთავისი, ალავერდი, სვეტიცხოველი. განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია სიტყვაკაზმულმა მწერლობამ, ფილოსოფიამ, ღვთისმეტყველებამ, საერო და საეკლესიო პროფესიონალურმა მუსიკამ, მხატვრობამ, ოქრომჭედლობამ, სამწიგნობრო საქმემ, სამხედრო ხელოვნებამ, მედიცინამ, ფილოლოგიამ, ისტორიოგრაფიამ, სამართალმა, თვით ვარსკვლავთმრიცხველობამაც კი.

ქართველმა მეფეებმა მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველებმა შემოიღეს „სააჯო კარი“ — დღევანდელი უზენაესი სასამართლო, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ეროვნული სამართლის საფუძველზე აღმოცენებული კოდექსით ხელმძღვანელობდა. ქართული სასამართლო სახელმწიფოსაგან გამოყოფილი იყო და შუა საუკუნეებში იგი უდიდესი ზნეობრივი და უფლებრივი ავტორიტეტით სარგებლობდა. მას არამცთუ საქართველოს მეფეთა ქვეშევრდომი მართლმადიდებელი ქართველები, უცხო ტომელებიც მიმართავდნენ სამართლის დასადგენად. ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ ქართულმა სამსჯავრომ ერთმანეთთან წაკიდებულ სომეხ საეკლესიო მოღვაწეთა საქმეც კი გაარჩია მეთორმეტე საუკუნის შუა წლებში და მისი განაჩენი საბოლოო და უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტება აღმოჩნდა. სასამართლო პროცესი შესდგა დვინში. იგი რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა...

სად იზრდებოდნენ ქართველი სახელმწიფო, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები? ვინ ზრდიდა მათ? დავით აღმაშენებლის დროიდან საქართველოში მუშაობას იწყებს ორი აკადემია. ერთი, „ახალ ათინად“ წოდებული — გელათში და მეორე — იყალთოში. ორივე ამ უმაღლეს სასწავლებელში მსმენელებს მსოფლიო სახელის მქონე ქართველი მეცნიერები ასწავლიდნენ. ასეთები იყვნენ, მაგალითად, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე ტარიჭისძე, იოანე პეტრიწი და სხვ. არსდება ათობით ქართული ეკლესია-მონასტერი მთელ რიგ საზღვარგარეთის ქვეყნებში — ბულგარეთში, სირიაში, პალესტინაში, ანტიოქიაში, საბერძნეთში. ეს ეკლესია-მონასტრები, ქართული კულტურის კერები საზღვარგარეთ, დიდ

და მრავალმხრივ მეცნიერულ და საღვთისმეტყველო მუშაობას ეწევიან.

ასეთი იყო საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარება, რომლის მხატვრული ასახვაც გ. ვერმიშევს განუზრახავს თავის რომანში.

თქმა აღარ უნდა, თუ მას კეთილი სურვილი ამოძრავებდა და მიზნად ორი მოძმე ხალხის — ქართველებისა და სომხების შემდგომი დაახლოება ჰქონდა დასახული, ქრესტომათიულ ჭეშმარიტებებს სადავოდ არ გახდიდა და თავისი ნიჭისა და განსწავლულობის კვალობაზე მხოლოდ იმის მხატვრულ ხორცშესხმას შეეცდებოდა, რაც ხელს შეუწყობდა კეთილშობილური შთანაფიქრის განხორციელებაში.

რა გზას დაადგა გ. ვერმიშევი?

უპირველეს ყოვლისა, მან განიზრახა დაემტკიცებინა დაუმტკიცებელი: რომ ფეოდალური „კარტლი" და არა „საქართველო", თავისი განვითარების უმაღლეს წერტილზე — მეთორმეტე საუკუნეში, დიდი თამარის მეფობის დროს, ერთი უწიგნური, ყოველგვარ კულტურას მოკლებული, ღვთის ანაბარა მიგდებული ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, რომელსაც ძალიან ხშირად უცხო წარმოშობის სახელმწიფო მოღვაწეები განაგებდნენ და პატრონობდნენ; რომ საქართველოს ისტორია კაცთმოძულეობის, ღალატის, სხვისი ნაღვაწის მითვისების და გაუთავებელი ვერაგობის ისტორიაა; რომ ქართველი მეფეები და ფეოდალები ანტიხალხურ პოლიტიკას ატარებდნენ და ხალხსა და მათ შორის ყოველთვის გაუვალი უფსკრული იყო...

რის იმედით გაბედა და მოიმოქმედა გ. ვერმიშევმა ეს ყოველივე? ნუთუ იმის იმედით, რომ ქართველ ერს, მის ინტელიგენციას ყურთბალიშზე სძინავს და შიშით, ვაითუ ვინმემ სხვანაირად გაგვიგოსო, ხმას ვერავინ აიმაღლებს, თავისი ხალხის ისტორიასა და დღევანდელ დღეს ვერავინ დაიცავს. მე მგონია, აქ კი ნამდვილად შეცდა ჩვენი ავტორი და მასთან ერთად მწერალი მ. შათირიანიც, ნამდვილად შეცდა, თორემ ქვემოთ ამას კიდევ უფრო თვალნათლივ დავინახავთ.

გამჭრიახი ქართველი მემატიანე ტყუილად როდი სწერდაო, გაბედულად აცხადებს გ. ვერმიშევი თავისი რომანის 28-ე გვერდზე, რომ „...картвелские мтавары по природе своей от древных времен всегда были предателями в отношении своих властелинов... Об этом знал царь Давид Строитель, мудрейший из людей, поэтому не оставлял им времени ни на рассуждения, ни на отдых, ни на собрания".

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებიდან ამოწერილი ამ მოკლე, მაგრამ მრავლისმთქმელი ციტატით გ. ვერმიშევმა ფეოდალური საქართველოს ტიპიური სურათი დაგვიხატა და გვითხრა, შეხედეთ, აი, რა ძნელ ვითარებაში უხდებოდათ ცხოვრება და მოღვაწეობა სახელგანთქმულ სომეხ დიდებულებს „კარტლის" მეფის კარზეო. მან მოინდომა დაემტკიცებინა, რომ საქართველოში სომეხ სახელმწიფო მოღვაწეთა დაწინაურება-აღზევება ისტორიულად აუცილებელი და გარდაუვალი მოვლენა იყო, ვინაიდან მთელი წინა ისტორია ხალხისა და სახელმწიფოსი ამის შემზადებას წარმოადგენდა. მოინდომა და მეტი დამაჯერებლობის მისაღწევად ქართველი ისტორიკოსი დაიმოწმა. ხუმრობა ხომ არ არის, ქართველი მთავრები „ბუნებით მოღალატენი" არიან, ხამუშობლობა და მეფის ღალატი მათ სისხლსა და ხორცში აქვთ გამჯდარი. აბა, მიდი და მოაშლევინე, რაც კაცს დედის მუცლიდანვე დაჰყოლია და რაც მისი ხასიათის განუყრელი ნიშან-თვისებაა!

მაგრამ მიუდგომელი კაცი ვერც ციტატას წაუხვალ სადმე. დავითის ისტორიკოსს ეს სიტყვები მართლა უწერია. მაშ, დავუფიქრდეთ, ნამდვილად რა უნდოდა, როცა ამას სწერდა? რის თქმა სწადდა? ერთი შეხედვით, ხომ არ არის აქ საშიშროება **ფეოდალური ფორმაციისათვის დამახასიათებელი მანკიერებანი ქართველობას მიაწერონ** და ყველა ეს მანკიერება საზოგადოებრივი ფორმაციის კი არა, ქართული ეროვნული ხასიათის კუთვნილებად მონათლონ? და, ამას გარდა, რა განსხვავებაა დავითის ისტორიკოსის და გ. ვერმიშევის შეხედულებებს შორის ამ საკითხზე, მიუხედავად იმისა, რომ მეორე, ე. ი. გ. ვერმიშევი, პირველის — დავითის ისტორიკოსის ნათქვამს იმეორებს?

ე. წ. „ცენტრიდანული ძალები", ზემოთ მ. შათირიანმაც რომ ახსენა, შუა საუკუნეების საქართველოშიაც ისევე მოქმედებდნენ, როგორც ყველა სხვა ფეოდალურ სახელმწიფოში და ყოველნაირად ხელს უშლიდნენ ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. დავით აღმაშენებელმა სწორედ ამ დიდი უბედურების აღსაკვეთად აღმართა მახვილი და ქვეყნის ცენტრალიზებული ხელისუფლება პარტიკულარისტული ტენდენციების დაქვეითებისა და მოსპობის გზით განახორციელა. დიდგვაროვანი ფეოდალები თავთავიანთ სამთავროებში პატარა მეფეები იყვნენ. ისინი, ბუნებრივია, ნებით არ დათმობდნენ თავიანთ დამოუკიდებლობას, რადგან მეფეც ერთ-ერთ თანატოლ ფეოდალად მიაჩნდათ და ყველა ღონეს მიმართავდნენ „მოძალადე ხელმწიფისაგან" თავის დასაცავად. აქ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისი იბრძოდა და ორივე თვალსაზრისს თავისი ლოგიკური და მორალური გამართლება ჰქონდა.

თავისი დიდი ისტორიული მისიის შესრულების დროს ბრძენი მეფე მსხვილ და თავკერძა ფეოდალებს ვერ დაეყრდნობოდა. ასევე იქცეოდნენ სხვა ფეოდალურ სახელმწიფოთა მმართველებიც: შაჰ-აბასი, კარლოს დიდი, ფილიპე მეორე, ბაგრატ მესამე, გიორგი ბრწყინვალე, ივანე მეოთხე... დავითს ყოველი ღონე უნდა ეხმარა თავისი ძლიერი ფეოდალების დასასუსტებლად, მათთვის სახელის გასატეხად ხალხის თვალში, რათა ამ გზით წინ წამოეწია და ცენტრალიზებულ ადმინისტრაციაში დაეწინაურებინა მდაბიო წარმოშობის ნიჭიერი ადამიანები, რომელთაც ჯერჯერობით არაფერი გააჩნდათ, გარდა მომავალი კეთილდღეობის იმედისა.

დავითის ისტორიკოსის მოყვანილი ციტატა, რომელსაც ხალხთა მეგობრობის მაღალი იდეებით შთაგონებული გ. ვერმიშევი ქართველების ვერაგული ბუნების მამხილებელ საბუთად იყენებს, აღმაშენებლის

რეფორმების ახსნა და მათი სამართლიანობის თავისებური დასაბუთებაა. ეს ციტატა, როგორც ზოგადი ფორმულა, თავისუფლად გამოდგებოდა ყველა დროის, ხალხისა და ქვეყნის ფეოდალური ზედაფენის რეაქციული ნაწილის ზნე-ჩვეულებათა და მიდრეკილებათა დასასურათებლად.

ნახევარი უბედურება იქნებოდა, გ. ვერმიშევი რომ აქ შეჩერებულიყო და ქართველი ისტორიკოსი-მემატიანის ნააზრევი თავისებურად არ განევითარებინა· რაკი ქართველი მთავრები „ბუნებით“ გამყიდველი და მოღალატეები არიან, ასკვნის გ. ვერმიშევი, გონიერმა მეფემ ისინი დაუყოვნებლივ უნდა ჩამოაშოროს სახელმწიფო მმართველობას და შესცვალოს უცხო წარმოშობის მთავრებით — ყივჩაღებით, ოსებით, სომხებით, რომელნიც, უნდა ვიფიქროთ, ქართველი დიდებულებისაგან განსხვავებით, „ბუნებით“ არ არიან ბილწნი და მოღალატენი.

რა ჰბადებს ამ სასაცილო და გულუბრყვილო შეუსაბამობას? ის, რომ თავისი წიგნის პერსონაჟების დახასიათებისა და შეფასებისას ჩვენს ავტორს ორი სხვადასხვა კრიტერიუმი აქვს მომარჯვებული: ერთი — ქართველი დიდებულებისათვის, მეორე — ყველა დანარჩენის, უფრო კი სომხებისათვის. ქართველ დიდებულებს ის კლასობრივი თვალსაზრისით უდგება, სხვებს კი, მაგალითად, ზაქარია მხარგრძელს, ზეკლასობრივი თვალსაზრისით. თუ პირველნი, ვთქვათ, თავადი ციხიშვილი ან სხვები, შეზღუდული არიან თავიანთი კლასობრივი მრწამსით, სომეხი დიდებულები ამ მრწამსის ზემოთ დგანან და ყოველდღიურ ცხოვრებასა და მოღვაწეობაში ჰუმანიზმის ზოგადი პრინციპებით ხელმძღვანელობენ.

მაგრამ ქართველი ფეოდალები და ქართველთა მეფე, რასაკვირველია, გ. ვერმიშევის აზრით, განა მარტო კაცთმოძულე მანიაკები არიან, მათ უბრალო ვაჟკაცობა, მხედრული სიმამაცე და მოსაზრებულობაც არ გააჩნიათ. მათ ასევე მხდალი და ბრძოლისათვის მოუმზადებელი ლაშქარი ჰყოლიათ. ქართველები ცუდად შეიარაღებულიც არიან და გადამწყვეტი ბრძოლის ადგილზე მხოლოდ მაშინ მიდიან, როცა ყველაფერი უკვე დამთავრებულია (იხ. გ. ვერმიშევი — „ამირსპასალარი“, გვ. 39-40, 323, 329-330, 509, 592). ასეა ანისის აღების დროს, ასეა შამქორის ომში, ასეა ბასიანის ველზეც...

თავისი ლაშქრის ავანგარდში გიორგი მესამე ყოველთვის „სომხითარებს“ ნიშნავს, ე. ი. ვერმიშევის აზრით — სომხებს. სქოლიოში, წიგნის 30-ე გვერდზე, ის პირდაპირ წერს, რომ „სომხითარები“ სომხები იყვნენ. „სომხითარების ცხენოსანი ჯარი“, ვიდრე „знаменитая армянская конница“ და „лорийские полки“ გაჩნდებოდეს, თავზარს სცემს მტერს და პირდაპირ მხედრული გმირობის სასწაულებს სჩადის.

ანისის ასაღებად მიმავალ გიორგი მესამეს, ქართველ მენაპირეთა დოყლაპიობისა და გამყიდველობის გამო, შირაქის ველზე მოულოდნელად თავს დასხმიან ჩასაფრებული სელჩუკები და ყვირილით, დაგვნებდითო, შემოუტევიათ. რა უქნია ამის პასუხად გიორგის? ცხენი მოუბრუნებია და მოუკურცხლავს. ვაი, სირცხვილო! მას გაჰკიდებია ამირსპასალარი ივანე ორბელიც. თვით ყუბასარსაც კი, ყივჩაღების უშიშარ სარდალს, ზურგი უჩვენებია მტრისათვის. დაბნეულა და ლტოლვილების კვალდაკვალ გავარდნილა „გვარდია“ — მეფის მცველი რაზმი... ერთი სიტყვით, იმისთანა ამბავი შექნილა, დედა შვილს არ აიყვანდა. მხოლოდ „პარონ სარგისი“ არ შემკრთალა. მადლობა ღმერთს! მას მსწრაფლ შეუფასებია მდგომარეობა და ფიცხელი გადაწყვეტილებაც მიუღია. „Сомхитарские (ავტორის აზრით — სომხების) сотни (სულ ორასიოდე კაცი!) четко, как на учении, развернулись и, перейдя с рыси в намет вытянулись с обоих сторон в дугу... они мчались на селджуков“.

მაშ, როგორ!.. მთავარია, ვის უმაგრებს ზურგს პატრიოტული გზნებით გულანთებული ავტორი. ვერმიშევის ლოცვა-კურთხევით სარგისს ამ ბრძოლაში მამლუქების მძვინვარე სარდალი მოუკლავს და თავისი ძლევამოსილი ჯარისათვის, სულ ორასიოდე კაცისაგან რომ შესდგება, გზა გაუხსნია ანისისაკენ. უკანასკნელ წამს, როცა სელჩუკთა ურიცხვი ლაშქარი უკვე დამარცხდა და უკუიქცა, მოიჭრნენ „ქართველი გვარდიელები“ და მტერს ხმალამოწვდილი დაედევნენ. ნეტავი რაღას აპირებდნენ, რომ შეჩერებულიყო და უკან მოეხედა! დაბრუნდა ნარბენი და შერცხვენილი გიორგი მეფეც. „Засада, мой Саргис?“ „Видно так, государь, — просто ответил Саргис“.

აბა, ამას როგორ წაიკითხავ ისე, რომ მწარედ არ გაგეცინოს. რა არის ეს, მართლა გულუბრყვილობა თუ ისტორიული მასალის სრული უცოდინარობა? თუ კიდევ უფრო მეტი — მასალის განზრახ გაყალბება და გაუკუღმართება?

მაშ, მივცეთ სიტყვა ყოველგვარი ტენდენციურობის მიმართ გულგრილ ისტორიულ წყაროებს, მემატიანეთა ჩანაწერებს, რომლებითაც ხალხთა მეგობრობის სპეტაკი გრძნობით გულანთებულ ავტორს უსარგებლია. მხოლოდ უნდა გავკადნიერდეთ და ერთი რამ აქაც უნდა შევნიშნოთ: „ამირსპასალარზე“ მუშაობის დროს მას სულაც არ დასჭირდებოდა „რამდენიმე ენის ცოდნა“, რითაც ასე აღფრთოვანებულია მწერალი მ. შათირიანი. აბა, „რამდენიმე ენა“ რა საჭირო იყო, როცა სომხურ-ქართულიც თავზე საყრელად კმაროდა. თავისი თხუზულების უმთავრეს და ერთადერთ წყაროდ ვერმიშევს ხომ მარტოოდენ ქართულ-სომხური მატიანეები გამოუყენებია, ოღონდ ხან წაღმა, ხან უკუღმა, იმისდამიხედვით, თუ რა დღეს როგორ გუნება-განწყობილებაზე ბრძანდებოდა.

რას გვეუბნება ისტორია?

გიორგი მესამემ, მამაცი და ბრძენი დემეტრე მეფის

უმცროსმა ვაჟიშვილმა, სამეფოს მართვა-გამგეობა ქვეყნის სამხრეთით მდებარე მიწების შემოერთებით დაიწყო. ის შეუპოვარი მეომარი და უშიშარი რაინდი იყო. ხმალი ქარქაშში თითქმის მთელი თავისი მეფობის მანძილზე არ ჩაუგია. პირველად აღზევანს ილაშქრა. „წამოატყუენა ყოველი ხევნები კლდოვანნი და ქალაქები აშორნისა". ახალგაზრდა მეფეს გული დემეტრეს მიერ ძველ მფლობელ შედადინებისათვის დაბრუნებულ ანისისაკენ მიუწევდა. მან შეჰყარა ლაშქარი „და მიჰმართა დიდ ქალაქად ანისად... ამას ზედა მყის მიმხდომმან, სამ დღე ყო ომთა სიმრავლე და ძგერა ჰუნეთა... ხელთ იგდო ქალაქი ნებისაებრ თვისისა... და დაიჭირა სადგომად ტახტისა მისისა შესანახავად და გასამაგრებლად".

ეს სწორედ ის ომია, რომელიც გ. ვერმიშევს აქვს აღწერილი თავის რომანში.

ზემოთ თქმულს იმეორებს არაბი ისტორიკოსი იბნ ალასირი: „თვესა შაბანს 556 წელს (1161 წ.) ქარᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ თავიანთი მეფის წინამძღოლობით შეიყარნენ და ქალაქ ანისისაკენ, რომელიც არანშია, გაემგზავრნენ, აიღეს იგი და დიდძალი ხალხი დახოცეს".

ანისის იერიშის წინ ცხენზე ამხედრებულმა მეფემ სიტყვით მიმართა თავის ჯარს, გაამხნევა იგი და საბრძოლოდ აღანთო. „და წარმომთქმელმან უკანასკნელთა ლოცვათამან მოუწოდა ამირახორსა (ცხენოსანი ჯარის სარდალს) მისსა სუმბატის ძესა ლიპარიტს, ბექასა სურამელსა, ქირქიშს აბულეთის ძესა და სამ ათასთა თანა მბრძანებელმან, მუნცა ღიმილითა და სიცილითა მლაღობელმან..." გიორგი სხვებზე წინ შეიჭრა მტრის რაზმებში. „თვით მეფე ალექსანდრეს სუითა და სიაოშის მოყმეობითა სდევდა მრავალგზის გამომცვლელი რაზმთა, სცემდა და იცემებოდა, სრვიდა და ისროლებოდა, და ბუმბერაზნი მისნი თანაშემწეობდეს".

ზუსტად ასეთსავე ცნობებს გვაწვდიან სომეხი ისტორიკოსები მათე ურჰაელი, კირაკოს განძაკელი, ვარდანი და სტეფანოს ორბელიანი.

აი, კიდევ ერთი დოკუმენტი, ამონაწერი ტბეთის სახარების ანდერძიდან, რომელიც მეცამეტე საუკუნით თარიღდება:

მეფეთა მეფე დემეტრე „მკვიდრცა არს მარჯუენითა იესო ქრისტესა დამკვიდრებული და მიანიჭა ღმერთმან ძესა, მათსა ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ მეფობაჲ, ᲚᲝᲛᲗᲐ ᲣᲛᲮᲜᲔᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲬᲘᲕᲗᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲣᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲫᲚᲔᲕᲐᲲ და გამარჯვებაჲ ყოველთა წინაალმდგომთა მისთა ზედა. მეხუთესა წელსა აიღო ანისი. აგარიანთაგან... ტყუეთა სამი ათასითა კაცითა... და ეზომი ღვთის წყალობაჲ და მტერთა ზედა იყო გამარჯვებაჲ მისი, რომელ... ᲛᲪᲘᲠᲘᲗᲐ ᲔᲠᲘᲗᲐ ᲡᲫᲚᲘᲝ ᲣᲠᲘᲪᲮᲣᲡᲐ ᲛᲐᲡ ᲡᲘᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲐ ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲝᲖᲗᲐᲡᲐ და მოკლვით და ტყუეობით მოსწყვიდეს ოცდათექვსმეტი ათასი კაცი, დაუტევა საჭურჭლე ურიცხვი, კარვები, ცხენი, აბჯარი და ყოველი ნაქონები მათი. დაიპყრეს თავადი ამირაები... ძლივს წავიდეს დაკოდილ-ჩამოგდებული".

გიორგი მესამის პირადი გმირობის, შეუპოვრობისა და მხედართმთავრული ნიჭის დამამტკიცებელ საბუთთა მოტანა დაუსრულებრივ შეიძლება, მაგრამ გულსატკენად ის მიგვაჩნია, რომ რად უნდა გვჭირდებოდეს დღეს მათი ძებნა და მკითხველის ყურადღების ზედმეტად შეჩერება იმაზე, რაც დიდი ხანია უკვე ცნობილია და ეს ცნობილი ამბები ჯერ კაცს-ქრისტიანს, გარდა გ. ვერმიშევისა, სადავოდ და საჯიჯგნად არ გაუხდია.

თუნდ მოტანილი ადგილებიდან განა არა ჩანს, რომ მეფე გიორგი მხდალი და სხვისი ხელის შემყურე მეფე არასოდეს არ ყოფილა? აბა, ტყუილების მოგონება რა საკადრისია! რომანის ავტორს და მის თანამეაბჯრეს მწერალ მ. შათირიანს, არ შეუძლიათ მოიყვანონ გიორგის თანამედროვეთა თუნდაც ერთი გამონათქვამი ათასის წინააღმდეგ, რომელიც „ამირსპასალარში" გატარებულ უკუღმართ კონცეფციას დაადასტურებდა. მაშ, რა სურს ავტორს? რისთვის ირჯება? რა სარგებლობას გამოელის გიორგი მეფისა და მისი მხედრობის უმართებულო დამცირებისაგან? ბევრს არაფერს— „პარონ სარგისის" და მისი „სომხითარების" განდიდებას, მათთვის იმ ღვაწლის მიწერას, რაც სხვათა და სხვათა დამსახურება იყო.

თავის ადგილზე ჩვენ ვიტყვით, თუ ვინ არის ეს „პარონ სარგისი" და ვინ არიან მისი „სომხითარები", მაგრამ ჯერჯერობით ჯობს ისევ ვერმიშევს გავყვეთ, ვნახოთ ერთი, სად მიგვიყვანს.

თუ ავტორის ლაგამაწყვეტილ ფანტაზიას მივენდობით, ანისის იერიშის წინ მეფესა და ამირსპასალარ ივანე ორბელს შორის განხეთქილება მომხდარა. ორბელს ღალატი სდებია გულში. მეფეს თურმე არც სხვა დიდებულები უდგანან მხარში. ეგოდენ ძლიერი პიროვნება, როგორადაც გიორგი მესამეს თანამედროვენი სახავენ, თურმე ნუ იტყვით, მოკლებული ყოფილა ქვეშევრდომთა სიტყვაშეუბრუნებელ მორჩილებას. რაკი შეატყო, ჩემი ფარული მტერი ივანე ორბელი ბრძოლაში თითსაც არ გაანძრევსო, საბრალომ მხედართმთავრობა თვითონ იკისრა და საბრძოლო ბრძანების გაცემაც დაიწყო, მაგრამ დახე უბედურებას: სპასალარებმა ყურიც არ ათხოვეს, თავისთვის რაღაცას ყაყანებდნენ. გიორგი გაცოფდა. „Помолчи, амирспасалар!" გაიძახოდა წამდაუწუმ, — *Молчи, Кубасар!*" (*გვ. 50*). დაბოლოს, მეფემ სწორუპოვარი რაინდი სარგისი დაიბარა და მომავალი ბრძოლის შესახებ სხვებისაგან დაფარულად ეთათბირა. მართლა, სად არის შენი მედროშე შოტორიკიო? როგორ აპირებ ქალაქში შეჭრასო? და როცა ყველა კითხვაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო, ერთგული აზნაური ალერსიანად დაითხოვა; „Теперь иди, Саргис. Готовь своих храбрецов для приступа. В нем все наше спасение!"

ვინაა ეს „храбрецы"? რასაკვირველია, სომხითარები, ავტორის აზრით, სომხები!

ხედავთ, ხალხნო, რა ამბავია? ერთადერთი ხსნა ორას თუ ორასორმოცდაათ კაცისაგან შემდგარ სომეხთა რაზმის იერიშზე ჰკიდია. თუ ისინი ვერ იმარჯვებენ, ფხას ვერ გამოიჩენენ და მტერს ვერ სძლევენ, განწირულია „კარტლის" მეფის საქმე. მაგრამ, მადლი

უფალს, ვერმიშევმა გიორგი არ გასწირა და შავ დღეში ჩავარდნილს შემწე გაუჩინა. აბა, უამისოდ რა უნდა ექნა!

„На рассвете 13 июля (თვის რიცხვიც კი ზეპირად ვიცით!) 1161 года под прикрытием каменного града лорийские сотни пошли быстрым шагом к крепостным стенам...“

მტერი შედრკა. სარგისის რაზმების (?) შემოტევას ვერ გაუძლო და იარაღი დაჰყარა. სხვათაშორის, რომანში არაფერია თქმული, ქონდა თუ არა გიორგი მეფეს დროშა ან რაიმე ამის მსგავსი. ციხის ქონგურზე, სამაგიეროდ, ხოჟორნიდან წამოღებული სარგისის დროშა (?) ფრიალებს. ყოჩაღ, ხოჟორნელო აზნაურო! ცოდვას ვერ ვიტყვით: არც მეფეს გამოუჩენია უმადურობა ერთგული ქვეშევრდომის მიმართ. ქართველი აზნაურების გულის გასახეთქად მისთვის მთავრობა უბოძებია, თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამის შემდეგ სარგისიც და მისი პირმშო „ზაქარეც“ „დიდ იშხანად“ უფრო ხშირად იხსენიებიან, ვიდრე მთავრად. მთავრობის მიღებასთან ერთად სარგისს ანისის მმართველის ტიტულიც მიუღია.

რას ღაღადებს ამ ამბის გამო ისტორია? ვითომ ყველაფერი თავის ადგილზეა გ. ვერმიშევის რომანში? მაშ, გადავშალოთ მატიანეები. აი, ერთ-ერთი მათგანი — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. დალახვროს ეშმაკმა! აქ კრინტიც არ არის დაძრული იმაზე, თითქოს ანისის ბრძოლის დროს ამირსპასალარ ივანეს და მეფე გიორგის რაიმე განხეთქილება მოსვლოდეთ. პირიქით... მაგრამ ჯობს სიტყვა თვით მატიანეს მივცეთ.

როგორც კი გიორგიმ აიღო დიდი ქალაქი ანისი, — ვკითხულობთ იქ, — „რომელსა შინა მოდღესამდე არს ათას და ერთი ეკლესია“ და „დაიმჭირა სადგომად, ტახტისა მისისა შესანახავად და გასამაგრებლად“, ამ მხარის მმართველად ქართველი დიდებული ივანე ორბელი დანიშნა.

რაო, რაო? შეუძლებელია!

მაგრამ შავით თეთრზე სწერია: მეფემ, „დამგდებელმან ივანე ორბელისა, მანდატურთ-უხუცესისა და ამირსპასალარისა და სხვასა თემსა დიდებულთა აზნაურთა ურვა-ქმნილმან მოჰმართა თავისსავე სანადიროთა, სათამაშოთა და განსახარებელთა“.

თუ რა შუაშია აქ „ურვა-ქმნილობა“ და მისთანები, ახლა ნუ გავარჩევთ, რადგან ჩვენ სულ სხვა რამ გვაინტერესებს: სად სწერია, ანისის მმართველის ტიტული გამარჯვებული მეფის საგანგებო ბრძანებულებით სარგის მხარგრძელს ებოძაო? აქ ხომ მართლაც შავით თეთრზე სწერია „დამგდებელმან ივანე ორბელისა, მანდატურთ-უხუცესისა და ამირსპასალარისაო“ და ამას ახლა, შვიდნახევარი საუკუნის შემდეგ, ძალიანაც რომ მოინდომო, ნაჯახით ველარ ამოჩეხავ.

სახელოების დარიგებაში ერთობ გულუხვ ვერმიშევს, რის უფლებასაც მას, ალბათ, თავისი გვარის დიდებული წარმომავლობა აძლევს, მეფის ეს წყალობა კანონიერად არ მოეჩვენა. ამიტომაც, უკანა რიცხვით, 700 წლის შემდეგ, მრისხანე თავადს, ივანე ორბელს, საკუთარი ხმლით მოპოებული სახელო წაართვა და იგი სარგისს მისცა...

მაგრამ რად შვრება ამას ავტორი? რად სჩადის ამ სიყალბეს? რას ესწრაფვის? ის ხომ ერთ-ერთ შენიშვნაში ხელაღებით წერს, ივანე ორბელიც სომეხია და სომეხ დიდებულ მამიკონიანთა გვარის (თვით მამიკონიანთა გენეალოგიის გარკვევას აქ არ შევუდგებით!) წარმომადგენელიაო. მაშ, რაღად გაძარცვა? იმად, რომ, ეტყობა, თვითონაც საეჭვოდ მიაჩნია თავის მიერვე მოჩმახული ჭორი ივანე ორბელის სომხობის შესახებ და რაკი სარგის მხარგრძელის სომხობა უფრო სარწმუნო და უდავო ფაქტი ჰგონია, მისი სიმპათიებიც ხოჟორნელი აზნაურის მხარეზე იხრება.

მეფე გიორგის, თუ ვერმიშევს ვერწმუნებით, თურმე ისიც არ სცოდნია, რომ ანისი სანახევროდ ქართველებით დასახლებული ქალაქი იყო და მე-12 საუკუნის შუა წლებში იქ ბევრზე ბევრი ქართველი ოჯახი ცხოვრობდა. ეგ კიდევ რა! „კარტლის“ მეფეთა-მეფეს იმაზედაც კი ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს, თუ საიდან წარმოსდგა ქართველ ბაგრატიონთა (წიგნში, ყველა ისტორიული საბუთის წინააღმდეგ, ქართველი მეფეები ყველგან „ბაგრატუნიანებად“ იხსენიებიან!) სამეფო გვარი. ამის შეტყობა მითუმეტეს საჭირო გახდა მას შემდეგ, რაც მეფე დარწმუნდა, ვაჟი — ტახტის კანონიერი მემკვიდრე აღარ მეყოლებაო. სამეფო კარი გამოუვალ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი, გვარწმუნებს ავტორი, მთელ საქართველოში ვერ მოძებნეს სწავლული კაცი, ვინც მეფესა და მის დაახლოებულ პირებს „გაანათლებდა“ და გამოუვალი მდგომარეობიდან გამოიყვანდა. საქმეს ვერც გელათის აკადემიამ უშველა, რომლის არსებობასაც, ჩვენდა საბედნიეროდ, ვერმიშევი არ უარჰყოფს, ვერც უცხო ქვეყნებში მოქმედმა ქართული კულტურის ცენტრებმა. არა და, როგორც ბერძნულ ტრაგედიაში, წიგნის ავტორი და პერსონაჟები ზედიზედ, სხვადასხვა ვარიაციებით იმეორებენ აკვიატებულ ფრაზას.

„Хозяин на поле боя — амирспасалар...“

„Кто дерзнет выступить против мнения великого Иванэ!“

მართალია, ამ დროს ამირსპასალარის სახელო კვლავ ივანე ორბელს უპყრია, რადგან ჯერ კიდევ არ დაწყებულა თავად-აზნაურთა შეთქმულება უფლისწულ დემნას ტახტზე ასაყვანად, მაგრამ ყველაზე უფრო გულუბრყვილო კაციც კი იგრძნობ, რომ აქ, როგორც ბერძნულ ტრაგედიაში, რაღაც მზადდება, გარდაუვალი ბედისწერა საცაა თავს იჩენს, ამირსპასალარის უფლებების ასე გაუგონრად გაფუყვა-გაზვიადება შორსდებულების უბრალო თამაში არ უნდა იყოს.

და მართლაც ასეა. თეზისი — „ამირსპასალარი ბრძოლის ველზე პირველი კაცია სამეფოში!“ — ავტორის მთავარი ხრიკია. რა დგას ამ ხრიკის უკან? თუ ავტორი შესძლებს დაამტკიცოს, ეს მართლა ასე იყოო, მისი შეხედულებით, იქვე ავტომატურად დამტკიცდება, რომ ფეოდალურ საქართველოში ამირსპასალარი დიქტატორის შეუზღუდავი უფლებით სარგებლობდა და ქვეყნის უზენაესი ხელისუფალი არა

მეფე ან მეფეთა-მეფე, არამედ, ამირსპასალარი იყო. „ბრძოლის ველი“ ძალზე არამყარი ცნებაა. „ბრძოლის ველად“ შეიძლება მთელი სამეფოც კი წარმოვიდგინოთ. ერთი რამ უდავოა: ვინც განაგებს ქვეყნის ბედ-იღბალს „ბრძოლის ველზე“, რაღა თქმა უნდა, სწორედ ის არის ქვეყნის ფაქტიური ბატონ-პატრონიც... მაგრამ დიდი თამარის მეფობის დროს ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი იყო. მაშასადამე...

ისე კი ჯობდა, ქართველი ხალხის ერთგულ მეგობარ ვერმიშევს იერიში პირდაპირ თამარ მეფეზე ან თვით დავით აღმაშენებელზე მიეტანა. თუ მათ ქართულ წარმოშობას როგორმე საეჭვოდ გავხდიდით, მერე სხვა რამის დამტკიცებამდე ორი ნაბიჯი-ღა იყო. მაგრამ ძველმა მხედარმა და „რამდენიმე ენის მცოდნე“ ავტორმა ამდენი ვეღარ გაბედა. ადგა და შემოვლითი გზა აირჩია. ამირსპასალარის სახელოს გადასწვდა... მაშ, როგორ უნდა დაემტკიცებინა, რომ ფეოდალური საქართველოს ოქროს ხანას ქართველი ხალხი სომეხ სახელმწიფო მოღვაწეებს უნდა უმადლოდეს! ეს, ეტყობა, ამ ორი ერის ძმური მეგობრობის ქვაკუთხედი და უმთავრესი ნიშანია. ვინც ამის უარყოფას მოინდომებს, ალბათ, ყელამდე ჩაეფლობა ნაციონალიზმის ჭაობში. შეიძლება, უფრო ღრმადაც ჩაეფლოს...

რა სჭირდებოდა ვერმიშევს თავისი ამოცანის შესასრულებლად? უპირველეს ყოვლისა, ისეთი ისტორიული პირი, ვინც ავტორის მიერ შეთითხნილ-შეკოწიწებული სხვადასხვა მაქინაციით სახელმწიფოს მართვა-გამგეობის კიბეზე თვით გვირგვინოსანი თამარის ზემოთ აღმოჩნდებოდა. ასეთ პირად მან ზაქარია, იგივე „ზაქარე“ სარგისის ძე მხარგრძელი, მიიჩნია და ამ უკანასკნელს, როგორც თავისი დროის დიდ სახელმწიფო მოღვაწეს, ყველა უფლებამოსილება მიანიჭა, რაც კი შეიძლება ფეოდალურ სახელმწიფოში ერთ ადამიანს ჰქონოდა. რა ენაღვლება, რა, ყველაფერი მის ხელთ არ არის? თუკი ივანე ორბელს შეჰბედა, ანისის მმართველის ტიტული წაართვა და თავისი გულის რჩეულს სარგისს მისცა, ამას კი ვეღარ მოიმოქმედებდა?

დიახ, ეს ასე იყო, მაგრამ ვიდრე საკითხის გამოწვლილვით მიმოხილვას შევუდგებოდეთ, რომანის სიუჟეტურ სვლებს რომ წინ არ გავუსწროთ, ისევ ანისის ეპოპეის შემდგომ ამბებს მივუბრუნდეთ.

დიდგვაროვანმა აზნაურებმა ცნობილი შეთქმულება მოაწყეს. ვერმიშევს დაწვრილებით აუწერია ეს შეთქმულება, მაგრამ ერთ კორექტივს აქაც აკეთებს: თავისი კეთილისმყოფელი მეფის გიორგის წინააღმდეგ შეთქმულებაში გარევა სარგისს, თავის მხრივ, უზნეობად და ამდენად შეუძლებელ საქმედ მიაჩნია. ავტორს არასგზით არ უნდა, მისმა სათაყვანო გმირმა ეს საძაგლობა ჩაიდინოს. სარგისსაც მეტი რაღა დარჩენია: იძულებულია, ავტორის დაჟინებულ მოთხოვნას ანგარიში გაუწიოს და შეთქმულებაში მონაწილეობის მიღებაზე უარი თქვას. ეჰ, მძიმეა ნამუსის ქუდი! სარგისი ვერც შეთქმულებს ღალატობს და მეფის მხარეზე გაბედულად ვერ დგება: ჩემი გვარი და მოდგმა გამცემი და მაბეზღარა არაოდეს ყოფილაო (გვ. 86-88). სხვები — ქართველი დიდებულები — გამცემლობა-მაბეზღარობას და ამაზე უარეს ხულმდაბლობას არ თაკილობენ, სარგისი კი, ავტორიტეტულად გვარწმუნებს ვერმიშევი, სულ სხვაა, მისი სული და ხორცი სულ სხვა მასალისაგან არის ნაგები. დროიდან და სივრციდან ამოგლეჯილ კეთილშობილ რაინდს უკანასკნელ წუთს მაინც მეფის ერთგულება სძლევს და გიორგის თავისი მეჯინიბის პირით შეატყობინებს — გაფრთხილდი, საქმე ცუდად მიგიდისო. მეჯინიბემ სულზეც მიუსწრო. წუთის დაგვიანება და მეფე შეთქმულთა ხელში აღმოჩნდებოდა.

ვერაფერს იტყვი, ავტორმა თავის საყვარელ გმირს მართლაც და რაინდული ნაბიჯი გადაადგმევინა, მაგრამ გ. ვერმიშევს და მისი ღრმა ერუდიციით აღფრთოვანებულ მწერალ მ. შათირიანს უნდა მოვახსენოთ, რომ ეს ყველაფერი მთლად ასე არ იყო, ანუ როგორც ქართულ ანდაზაშია ნათქვამი: ისე არ გახლავს თაყაო, შენ რომ მამული გაყაო. მატიანეები სულ სხვა რამეს ლაპარაკობენ. „ახლადგამომცხვარი მთავარი“, თვით ავტორი ასე უწოდებს თავის გმირს, თურმე ისეთივე ჩვეულებრივი მონაწილე ყოფილა შეთქმულებისა, როგორც ყველა დანარჩენი შეთქმული. უფრო მეტიც. ის არავითარ სინდისის ქენჯნას არ შეუწუხებია. ნამდვილი სარგისი, რასაკვირველია, და არა გ. ვერმიშევის პერსონაჟი. ბოლოს, როცა მხარგრძელმა შეიტყო, ძალა მეფისაკენ იხრება და შეთქმულება ჩასაფუშად არის განწირულიო, რამდენიმე დიდგვაროვან აზნაურთან ერთად შეთქმულებს განუდგა და მოულოდნელად მეფის ბანაკში გადავიდა...

უწოდეთ ამ საქციელს რაც გნებავთ. ნამდვილი სარგისის გასალანძღავად ჩვენ სიტყვაც არ გვითქვამს, მხოლოდ ისტორიული ფაქტი მოვიყვანეთ.

„ვინცა წამოუვიდა დემეტრეს, — წერია „ისტორიანი და აზმანის“ მე-19 გვერდზე, — სარგის მხარგრძელი, შვილითა და ძმისწულითა მისითა, ძმა და საყუარელი ორბელთა, ესე შეიყუარა და შეიტკბო მეფემან და მისცა მისანდობლობა გუარისშვილობისა მისისა“.

არამცთუ თვით სარგისი, „ძმა და საყუარელი ორბელთა“, არამედ „ზაქარეც“ კი, მომავალში „Великий полководец восточных стран“, ტახტის მოცილე დემეტრეს, იგივე დემნას, მომხრე ყოფილა, მაგრამ შემდეგ, სხვადასხვა მიზეზის გამო, თავის მამასთან ერთად გუშინდელ მოყვარესა და ძმადნაფიცს მტრად გადაჰკიდებია.

ჩვენ არა გვსურს, მიუდგომელი მსაჯულის პოზა მივიღოთ და აქ ღრმააზროვნად განვაცხადოთ, კარგი იყო ეს თუ ცუდი, მხოლოდ იმის თქმა გვწადია, რომ ისტორიული რომანის ავტორი დიდი სიფრთხილითა და მოიარებით უნდა ეკიდებოდეს ისტორიის მასალას, მით უფრო მეზობელი მოძმე ხალხის ისტორიის ქრესტომათიულ ჭეშმარიტებებს, ასჯერ ზომავდეს და ერთხელ სჭრიდეს.

როგორ იქცევა თვით გიორგი მეფე შეთქმულების დროს? ასე მხოლოდ ჩლუნგი და გონებრივად დაქვეითებული ადამიანი მოიქცეოდა. ვერმიშევის რომანის მიხედვით მეფემ იცის, რაც განუზრახავთ შეთქმულებს. მათ სურთ დაამხონ ტახტზე უკანონოდ მჯდომი გიორგი და რაკი „Грузия слишком благородное государство (?), чтобы сажать на трон девчонку" (გვ. 136), ტახტის კანონიერი მემკვიდრე დემნა გაამეფონ. და მიუხედავად იმისა, რომ ვერმიშევის რომანის გმირმა გიორგი მეფემ შეთქმულთა ყველა შავბნელი ზრახვა იცის, ორბეთის ტყეებში სანადიროდ გასწევს და ღამის გასათევად მეტყევის ქოხში გაჩერდება. საქმე ისაა, რომ აქედან რამდენიმე საათის სავალზე დგას შეთქმულთა მთავარბანაკი. ისინი თვალს ადევნებენ მეფის ყოველ ნაბიჯს და თვით მეფემაც იცის ეს. სწორედ ამ დროს მოდის სარგისის მეჯინიბე და გვირგვინოსანს აქაურობას მოაშორებს. გიორგი ფეხად გაასწრებს ქოხიდან შეთქმულთა კაცებს...

აღარ უნდა ვიკითხოთ მაინც, რა მიზანი ჰქონდა ამ დალოცვილს, გიორგი მეფეს, სასახლეს რომ სტოვებდა და თავისი ცხოვრების ყველაზე უფრო საბედისწერო წუთებში მტრის ბუნაგში საკუთარი ფეხით მიდიოდა? რამ მიიყვანა? ან რატომღა გაიქცა, თუკი... კაცს ათასი კითხვა წამოგეჭრება, პასუხი კი არცერთ კითხვაზე არ არის.

ვერმიშევის ყალმით დახატული ულმობელი მეფის გონებაშეზღუდულობით სარგებლობენ მისი კარისკაცები და სისხლმოწყურებულ მონარქს თავის ნებაზე დაატარებენ. ერთ-ერთი ამათგანია სასახლის მინისტრი — მსახურთ-უხუცესი აბულასანი, თბილისის ამირა, მახკანბერდის, რუსთავის და „სემიგორიის" ერისთავთ-ერისთავი.

სხვათაშორის, არცერთ ისტორიულ წყაროში ფეოდალური საქართველოს ამ დიდი სახელმწიფო მოხელის ეროვნება მოხსენებული არ არის. ამიტომ მატიანეებიდან ან სხვა ხასიათის ტექსტებიდან აქ შესაბამისი ადგილების მოყვანა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთი თანამედროვე სომეხი ისტორიკოსის მოსაზრებას, რომელიც სპეციალისტების მიერ დიდი ხანია, უარყოფილია, საგულისხმოს ვერაფერს გვეტყვის. მაგრამ ჩვენს ისტორიკოს-ბელეტრისტ ავტორს გ. ვერმიშევს ეს გარემოება სრულებითაც არ აღარდებს. არ სწერია ეროვნება, ხომ? მაშასადამე, აბულასანი, ქართლის დიდი ერისთავთ-ერისთავი, სომეხი ყოფილა, სუფთა სისხლის, გვარად არწრუნი!

მოდი და ნუ განგაცვიფრებს ავტორის გაქანება და მოვლენათა სიღრმეში წვდომის უნარი! საცა სამართალია, არ შეიძლება მწერალ მ. შათირიანთან ერთად მკითხველიც არ აღფრთოვანდეს. აი, საბუთიანობა! ვაშა, ვერმიშევ, ვაშა! განა თვით წიგნი „ამირსპასალარი" საბუთი არ არის? თანაც როგორი მტკიცე და ურყევი საბუთი! მომავლის ისტორიკოსები აქედან ციტატებს მოიყვანენ და წინასწარ ვინ უწყის, რა გაუგონარ ამბებს არ დაამტკიცებენ.

რაკი, ამგვარად, აბულასანის სომხობა დავამტკიცეთ და მას დიდებულისათვის შესაფერი გვარიც გამოვუძებნეთ, ახლა შეგვიძლია წინ წავიდეთ. აბულასან „არწრუნს" თბილისში ჰყოლია თურმე ძმა, რასაკვირველია, ისიც არწრუნი, ანისის მთავარეპისკოპოსის სეხნია ბარსეღი, თავადაც მაღალი წოდების სასულიერო პირი. ბიძია ბარსეღმაო, სიტყვასა და სიტყვას შორის შენიშნავს ვერმიშევი, თბილისში „ლურჯი მონასტერი" ააშენაო. ბარაქალა არარსებული ბარსეღის აღმშენებლობით ნიჭსა და უნარს! სხვები ანგრევდნენ, ის კი აშენებდა. ჩვენდა ბედად, მე-12 საუკუნის ოთხმოციანი წლების ქართული ეროვნული არქიტექტურის ძეგლი „ლურჯი მონასტერი" ჯერ ისევ თბილისშია და მის ერთ-ერთ ქვაზე შეგვიძლია იმდროინდელი ქართული წარწერა დღესაც ამოვიკითხოთ. მეო, ამბობს ამ წარწერაში „ლურჯი მონასტერი", ბასილმა, ქართლის ყოფილმა მთავარეპისკოპოსმა, აღმაშენაო. აი, რა და როგორ სწერია იქ: „ღმრთისა ბრძანებითა უღირსი ბასილი ქართლისა მთავარ ეპისკოპოს ყოფილი ძე კეთილისა იობისი... გიმკომ საყდარ სართულსა... ნაცვალსაგებად ჩემთვის"...

მიდი და ედავე მონასტერს და „ძესა კეთილისა იობისი!"

ახლა ისმება კითხვა: შეიძლებოდა თუ არა, გრიგორიანული სარწმუნოების საეკლესიო პირი ბარსეღი, თუმცა ქვაზე გარკვევით სწერია, ამშენებელს ბასილი ერქვაო, ოდესმე მართლმადიდებელი ქართლის მთავარეპისკოპოსი ყოფილიყო?

აი, როგორ აბსურდამდე მივყევართ ხოლმე მხარულით შეტოპვას საკუთრივ ისტორიაში. აი, როგორ გამონახა გ. ვერმიშევმა თავისი დასაკლავი დანა და როგორ ჩააგდო წყალში დიდი მეცნიერული აღმოჩენა — ერისთავთ-ერისთავი აბულასანი სომეხი დიდებული და გვარად არწრუნი იყოო.

აი, ამ „არწრუნმა", გვიყვება ვერმიშევი, გიორგი მეფე დაარწმუნა, მახკანბერდიდან მოეწვია სწავლული ბერი, ფილოსოფოსი და სჯულმდებელი მხითარ გოში და მისი რჩევა-დარიგების მიხედვით გადაეწყვიტა ტახტის მემკვიდრეობის საჭირბოროტო საკითხი.

რა ექნა მეფეს, არ დაეჯერებინა? გაგზავნეს მალემსრბოლი. გიორგი მოუსვენრობამ შეიპყრო. რას ეტყოდა ეს დიდი მეცნიერი კაცი, რას ურჩევდა?

უსაზღვროა გ. ვერმიშევის ფანტაზია. მას არც სიგრძე აქვს და არც განი. ენას კიდევ ძვალი არ გააჩნია და თუკი კაცმა შუბლის ძარღვი გაიწყვიტე, რას არ გალაპარაკებს!

ნამდვილი მხითარ გოში, და არა რომანის პერსონაჟი, სომხური კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მის მიერ შექმნილმა „სჯულის წიგნმა" და სხვა ნაშრომებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სომხური სამართლისა და ფილოსოფიის განვითარებაში.

მაგრამ აქედან განა გამომდინარეობს აზრი, რომ

ვინმეს მიერ ერთი ისტორიული პირის ან მთელი ერის დიდების კვარცხლბეკზე აყვანა აუცილებლობით მოითხოვდეს სხვათა დამცირებას და უსაფუძვლოდ ლაფში ამოსვრას?

გ. ვერმიშევი და მწერალი მ. შათირიანი, ეტყობა, ამ საკითხზე სხვა აზრისა ბრძანდებიან. რაკი ასეა, ჯობს, აბსტრაქტულ დავას აქაც მოვერიდოთ და კვლავ წინ წავიდეთ.

საკუთრივ „კარტლის" მიწა-წყალზე მობრძანებულ მხითარ გოშს სრული ანარქია დაუხვდა, — მოგვითხრობს გ. ვერმიშევის წიგნი, — ქვეყანა გმინავდა „სჯულის წიგნის" უქონლობის გამო. სახელმწიფოს მესვეურებმა არ იცოდნენ, როგორ გაეჩინათ სამართალი. თვით მეფეც კი „უკანონო" ბრძანებებს სცემდა, თითქოს მისი ყოველი ბრძანება კანონის ძალისა არ ყოფილიყოს. გიორგის, მაგალითად, ერთი ასეთი უგუნური ბრძანება გამოუცია: ყველა მძარცველი და ქურდი, როგორც კი შეიპყრობთ, იქვე ჩამოახრჩვეთ თავის ძაღლთან, ცხენთან და ხარებთან ერთადო. მხითარ გოშმა საკუთარი თვალით ნახა, როგორ ჩამოეხრჩოთ გზირებს ქურდობაში შენიშნული პატარა ბიჭი და მისი ძაღლი. თვითონ გზირები იქვე ისხდნენ, გზის პირას, ქეიფობდნენ და დედასა და ბაბუას ხის ტოტიდან მიცვალებულის ჩამოხსნის ნებას არ აძლევდნენ. მეფემ ასე ბრძანაო...

ბრძენი გოში მიხვდა: ეს შემაძრწუნებელი უსამართლობა ქართველებს კანონების უქონლობის გამო მოსდიოდათ.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ იმას, რის მოწმეც მხითარ გოში ავტორმა შემთხვევით გახადა, თვით არდაველის სულტნის ყიზილბაშებიც არ იზამდნენ, მათი მიზგითების აკლების შემდეგ საქართველოში შემოსვლა რომ მოეხერხებინათ. ქართველი უბრალო ადამიანები, ხალხის დაბალი ფენების წარმომადგენლები, ავტორის მიერ მთელი მონდომებით დახატულ ამ ეპიზოდში ზნეობრივად დაცემულ, მხეცური ინსტინქტებით შეპყრობილ ველურებს ემსგავსებიან და ისიც სად — ღრმად განსწავლული, მოყვასის სიყვარულით ამაღლებული და სულით არისტოკრატი სომხის ბერის ფონზე!..

„Людей им мало вешать, уже и за псов взялись?" (გვ. 76).

„Им!" ვერ უყურებთ, სად გადაჰკრა? მხითარ გოშს ყელში ამოსვლია ქართველების ცინიზმი და სისხლისმოყვარეობა. აქამდე თურმე ადამიანებს ახრჩობდნენ. არა და არ მოიშალეს ეს საძაგელი ჩვეულება. ახლა ქოფაკების ჩამოხრჩობაც დაუწყიათ. ფუი! ხალხია თუ ვინ, მართლა და მართლა!

მაგრამ ვის ეხება წმინდა ბერის ეს გულისწყრომა? ვის წინააღმდეგაა იგი მიმართული? ნუთუ მხოლოდ-დამხოლოდ „მჩაგვრელ კლასებს"? რაღაც არა ჰგავს. მეფის „უკანონო" განკარგულების შემსრულებლები ხომ უბრალო გლეხკაცები, მიწის მუშები — ქართველი ხალხის წარმომადგენლები არიან, აი ისინი, ვისზედაც უთქვამთ, წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო. გზირები არხეინად შეექცევიან პურ-მარილს, ყანწებით ღვინოსაც ყლურწავენ და, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო, უდარდელად ლაზღანდარობენ. გ. ვერმიშევის ორეულ მხითარ გოშის შეგონებას გზირები დამცინავი ხითხითით შეხვდნენ და მაშინვე მეფის უმაღლესი ბრძანება ახსენეს. როგორ მოხდა, გემოზედაც რომ არ მიბეგვეს. ესეც ხომ შეიძლებოდა მომხდარიყო!

რით არ არის წიგნის ეს ადგილი მწერალ მ. შათირიანის მიერ მოწონებული ხალხთა უანგარო მეგობრობის სიმბოლო და საგალობელი? თუ მთლიანად არა, მისი ერთი ტაეპი მაინც... რით არ გამოხატავს ეს შემაზრზენი სცენა ქართველი და სომეხი ხალხების საუკუნოებრივ მეგობრობას?

გ. ვერმიშევის შემოქმედებითი ძიების ნაყოფი პერსონაჟი მხითარ გოში, დროული კაცი, გუშინდელი ღლაპი ხომ არ არის! განა ეს ყველაფერი მის თვალწინ არ დატრიალდა და თავად ჩვენზე უკეთ არ მოეხსენება? ეჰ, მართლა მხითარ გოში იყოს, სხვა იქნებოდა, თორემ გ. ვერმიშევის ხელში გამოვლილი მაცხოვარი იესო ქრისტეც კი გაუკუღმართდება და ათას წარმოუდგენელ რამეს იკისრებს!..

რაკი ჯიუტ გზირებთან კეთილი სიტყვით ვერაფერს გახდა, მხითარ გოშმა ჯიბეზე გაისვა ხელი. ღმერთი მოგვეხმარა, მაშინ სხვა დრო იყო და ქრთამის მიმცემს მის მიმღებთან ერთად თანაბარი სასჯელით არ სჯიდნენ. სად გამოიჩინა წინდახედულება ვერმიშევმა, თორემ წმინდა ბერს ამას არ ჩაადენინებდა! მიიღეს თუ არა ქრთამი, გლეხებს უმალ მიავიწყდათ „მეფის უმაღლესი ბრძანება" და, როგორც იქნა, ქირისუფლებს მკვდარი გაატანეს.

მაგრამ მექრთამეობა, ვეკითხებით გ. ვერმიშევს, ყოველი ქვეყნისა და დროის საზოგადოების უკიდურესი ზნეობრივი გახრწნის ნიშანი, მარტო წვრილფეხა მოხელეებს სჭირთ საქართველოში? როგორ გეკადრებათ! — გიპასუხებთ იგივე ვერმიშევი, — ის ისეთივე განუყრელი თვისებაა ქართული ხასიათისა, როგორც ყველა სხვა უკეთური საქმე.

წიგნის 91-ე გვერდზე მოთხრობილია, თუ როგორ აიღო ქრთამი ივანე ორბელისაგან „კარტლის" კათალიკოსმა მიქაელმა, ისტორიულმა პირმა, ვის მიმართაც მსგავსი რამ არცერთ მატიანეში და სიგელ-გუჯარში არ დასტურდება. რა ქნას ახლა მიქაელმა, საფლავიდან წამოდგეს და შვიდასი წლის შემდეგ სასამართლოში წავიდეს საჩივლელად, უსინდისოდ ცილს მწამებენო? ივანე ორბელის ქალი და უფლისწული დემნა თურმე მანამ არ დააქორწინა მიქაელმა, ვიდრე ჯიბეები ოქროებით არ ამოუტენეს.

„Пришлось-таки князю Иванэ, при всей скупости, раскошелиться на немалую сумму для сребролюбивого владыки" (გვ. 9).

ვერმიშევის მიერ მსუყე ფერებით დახატულმა მიქაელმა ეს უზნეობაც არ იკმარა. მან ქრთამი თვით მეფეთ-მეფე გიორგისაგანაც კი მიიღო, როცა „კარტლის" ეკლესიის წინამძღვარს მეფემ თავისი ქალის

თამარის თანამოსაყდრედ კურთხევა სთხოვა. „Хутлу-Арслан только крикнул, когда Чиабер представил счет во что обошлось согласие церкви на венчание Тамар соправительницей. Но дело было сделано и царский казначей со вздохом подписал приказ о выплате денег“ (გვ. 146).

აქ ეს ქრთამი ორლესულივით კაფავს იქით და აქეთ. იცის ვერმიშევმა, რაც უნდა და საითაც მიისწრაფვის! ერთის მხრივ რომ მიქაელს სჭრის თავს, მეორეს მხრივ, ყოვლად უდანაშაულო გიორგი მეფეს აკრავს სამარცხვინო ბოძზე. ზედმეტი მოქნევა და კალორიების დახარჯვა რა საჭიროა! ის, ვინც ქრთამს იძლევა, პოტენციურად თვითონაც ამღებია ქრთამისა, ანდა არსებითად რა დიდი განსხვავებაა ამ ორ მოვლენას შორის? მაგრამ მხითარ გოში? ეგ არაფერი, ჩვენს ავტორს მცირე ლაფსუსი მოუვიდა...

თვით გვირგვინოსან მეფესაც კი, მთელ აღმოსავლეთში ელვა გონებით, გამჭრიახობითა და სიამაყით რომ არის განთქმული, ბრძენი ვარდაპეტი მედიდურად ცხვირაბზეკილი ელაპარაკება, თუმცა წამდაუწუმ „დიდ მეფეს“ გაიძახის. ეს „დიდი მეფე“ პირდაღებული უსმენს ბერის მეცნიერულ შეგონებებს. მისთვის ამიერიდან ნათელი გახდება, თუ საიდან წარმომდგარა ბაგრატიონთა სამეფო გვარი. როცა დარწმუნდება, ჩვენ და სომეხი ბაგრატუნები ნათესავები ვყოფილვართო, ერთხანს იმასაც კი ფიქრობს თავისი ტახტი სომეხ ბაგრატუნთა უკანასკნელ ნაშიერს დაუთმოს (გვ. 81), მაგრამ ბიჭუნა — კვირიკე ბაგრატუნის აბასი — ჯერ მხოლოდ სამი წლისაა და ხელს მარტო ეს უშლის. გოშისავე ბრძნული რჩევით გადაწყვეტს გიორგი თამარის კურთხევას თანამესაყდრედ, შემდეგ კი ტახტზე აყვანას „კარტლის“ მეფეთა მეფის ტიტულით.

სამწუხაროა, რომ ბრძენი ვარდაპეტისა და მეფე გიორგის ამ გადამწყვეტ შეხვედრას, რომელმაც შემდგომ უდიდესი გავლენა მოახდინა საქართველოს მთელ ისტორიაზე, მემატიანეები უბრალო მინიშნებითაც არ აღნიშნავენ და საქართველოს სამეფო ტახტზე პირველი ქალის აყვანას თვით გიორგი მეფისა და ქართველი დიდებულების საერთო განზრახვისა და გადაწყვეტილების აღსრულებად სთვლიან. „განრჩევითა და გამორჩევითა, განგებითა და გაგონებითა ზენისა მის ხვედრისა შარავანდედთა მნებებელისთა მეფე ყო თამარ, თანადგომითა ყოველთა პატრიარქთა და ეპისკოპოზთა, დიდებულთა იმიერთა და ამიერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა“.

რას იზამ, წასულ საქმეს ახლა რაღა ეშველება!..

ვერმიშევი მაინც არ სცხრება. რაკი გიორგი მესამის მეფობის პერიოდი ასე თუ ისე მოახრჩო, ახლა თამარ მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მისებურ მხატვრულ ვერსიას გვთავაზობს.

სად და როგორ აღიზარდა თამარი? ვინ ასწავლიდა? რაში „გაწურთნეს“?

ღრმად ერუდირებულ და „რამდენიმე ენის მცოდნე“ გ. ვერმიშევს ამაზე პასუხი მზადა აქვს: „По велению царя лучшие книжники страны начали проходить с Тамар философские и другие науки, обучали ее греческому, древнеармянскому, арабскому и персидскому языкам, стихосложению и истории“ (გვ. 143).

ხედავთ, რა აღზრდა-განათლება მიუღია დიდი დავით აღმაშენებლის ტახტის მემკვიდრეს? ქვეყნის საუკეთესო მწიგნობრებს მისთვის ყველაფერი უსწავლებიათ, თვით ძველი სომხური ენაც კი, მხოლოდ ძველი და ახალი ქართული ენის, ისტორიის, სამართლის, სასულიერო და საერო მწერლობის, ფილოსოფიის სწავლებაზე უარი უთქვამთ. ასე გასინჯეთ, თვით საქართველოს გეოგრაფიაზეც არ შეჩერებულან. არადა, უამისოდ მეფე რას ივარგებს!..

იქნებ ყველა ეს „и другие науки“ იგულისხმება? ძნელი სავარაუდებელია, რადგან იმაზე, თუ რა იგულისხმება „и другие науки“, ავტორი გ. ვერმიშევი სდუმს.

შორს წაგვიყვანს, თამარის პირველი ქორწინების ამბებს რომ გამოვედევნოთ. ქართველ მემატიანეთა თხუზულებებში, რომელთაც ვერმიშევი ასე დაწვრილებით იყენებს, ოღონდ, როგორც ზემოთაც ვამბობდით, ხან წაღმა, ხან უკუღმა, იმისდა მიხედვით, თუ რა დღეს როგორ გუნება-განწყობილებაზე ბრძანდება, მთელი სისავსით არის იგი მიმოხილული.

რაკი ავტორმა ქართლის ერისთავთ ერისთავის აბულასანის სომხობა „დაამტკიცა“, ულოგიკობა იქნებოდა, გადამწყვეტი სიტყვაც მეფეთამეფის მომავალი ქმრისა და საქართველოს მომავალი მეფის არჩევაში მისთვის არ მიენიჭებინა. ქართველი ფეოდალები, თვით სრულიად საქართველოს პირველი ვაზირი მწიგნობართ-უხუცეს-ჭყონდიდელი ანტონი, მანდატურთუხუცესი ჭიაბერი, შალვა და ივანე ახალციხელები, გუზან ტაოელი, ზვიადი და პატივმოყვარე მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი და სხვანი და სხვანი, კუთხეში არიან მიგდებული. მათ ვინ რას ეკითხება! აბულასან „არწრუნმა“ სასიძოც შეარჩია და სომეხი დიდვაჭარი ზანკანიც აფრინა მის ჩამოსაყვანად.

ვინ არის ეს ზანკანი? მართლა სომეხია, როგორც რომანის ავტორი ირწმუნება? აგერ გეტყვით. მისი სომხობაც ზუსტად იმავე ხერხით გახლავთ „დამტკიცებული“, როგორც ზემოთ აბულასანის „არწრუნობა“ დავამტკიცეთ. განსხვავება მხოლოდ ის უნდა იყოს, რომ მატიანეებში „ზანკანის“ გვარიც არის მოხსენიებული. თუ ეს გვარია, მას სომხურობისა არაფერი სცხია. ზორაბაბელი ყოფილა. რაკი მემატიანეები საგანგებოდ არას ამბობენ, თუ ეროვნებით ვინ იყო ეს დიდვაჭარი, ვერმ[illegible] რკინისებური ლოგიკით ასკვნის: რასაკვირველია, სომეხი იყო! თუმცა ერთი რამ კია საკითხავი: დიდვაჭარ ზანქანის გვარს „ზორაბაბელს“ რატომ ჩქმალავს ჩვენი ავტორი და წიგნში არსად ახსენებს? აქ უთუოდ საშიშროება იმალება: ვაითუ ვინმემ იკითხოს, მხარგრძელისა არ იყოს, ე რაღანაირი სომხური გვარიაო!

ყივჩაღთა ქვეყანაში რუსეთის მთავრის შვილის

იური ანდრიას ძის ჩამოსაყვანად გაგზავნილ ზანქანს, ვერმიშევის თქმით, მეფური საჩუქრებიც „არწრუნმა“ გაატანა საკუთარ სალაროდან და, დაბოლოს, მომავალი მეფის ჩამობრძანებასთან დაკავშირებული პირველი ნადიმიც თვითონ გადაიხადა და სასახლეში მთელი საქართველოს უმაღლესი თავად-აზნაურობა მიიპატიჟა.

რას იტყვით, ძალიან არა ჰგავს „არწრუნი“ მტრის მიერ უწყალოდ დარბეული და მეგობრის ჭერქვეშ შემოკედლებული ერის შვილს? აბულასან „არწრუნისთანა“ გულუხვი, დარდიმანდი და პურის ჭამის მოყვარული კაცი მაშინდელ თბილისში თურმე ერთი არ იყო.

მთავრის შვილ გიორგის მხლებელ რუს გოლიათს სუფრაზე ღვინო მოეკიდა და ქართული იარაღ-საჭურვლის გინებას მოჰყვა: ეგ რა დაგიკიდიათ, ხალხო, მაგით ვის რა უნდა დააკლოთო! ქართველ აზნაურიშვილებს, სხვა თუ არაფერი, აქამდე ამპარტავნობისა, სუფრაზე აყალმაყალის ატეხისა და მიწევ-მოწევის პირველობა მაინც ჰქონდათ. ვერმიშევმა მათ ესეც წაართვა. ეს უფლებამოსილება უთუოდ ისევ თავისი გვარის მაღალმა წარმომავლობამ უკარნახა. ენაჩავარდნილ დიდებულებს ისევ „ზაქარემ“ მოაბა თავი. თარჯიმანს მიუბრუნდა და კბილები გაალრჭიალა: „Прошу, друг, переведи рузикскому (?) азнауру — любой меч из его рук выбью, как только проспиться и отрезвеет“.

გიორგი, როგორც კი მეფეთ-მეფე თამარის მეუღლე და საქართველოს მეფე გახდა, წინააღმდეგ საისტორიო წყაროთა და უბრალო საღი გონების მოწმობისა, სომეხ დიდებულებს დაუახლოვდა და უმალ სომხურ ატმოსფეროში მოხვდა. თუ გ. ვერმიშევს რაიმეს დავუჯერებთ, საქართველოში ცხოვრების მთელ მანძილზე, საეჭვოა, გიორგის გაეგო, სად მოახვედრა ბედმა, მართლა საქართველოში თუ სომხეთში, ქართველთა მეფე იყო თუ სომხებისა. მის ირგვლივ მხოლოდ-დამხოლოდ ავტორის მიერ სომხებად მონათლული პირები ტრიალებენ, ლაშქრობებიც მხოლოდ სომხეთის ტერიტორიებზე მიმდინარეობს, ყურს მხოლოდ სომხის დაბა-ქალაქებისა, ულელტეხილებისა და მდინარეების სახელები ესმის. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მართლმადიდებელი მეფე თავისი ფეხით ეახლა გრიგორიან ბერს მხითარ გოშს მონასტერში და მისგან ლოცვა-კურთხევა მიიღო. ნეტავი რა გაჭირვება დაადგა? ეგეც არ იყოს, მხითარ გოში, ეგზომ განსწავლული და წმინდა კაცი, ისე უგუნური იქნებოდა, რომ 596 წელს მომხდარი დვინის საეკლესიო კრების დადგენილება არ ეცოდინებოდა და მონასტერში ქართველთა მეფის მიღებით თავზე პატრიარქ აბრაამის წყევლა-კრულვას დაიტეხდა?

ძნელია ამაზე მეტი აბსურდის მოფიქრება, როგორი დიდიც არ უნდა იყოს სურვილი, შენი ტომის კაცი როგორმე წინ წამოსწიო და ყველა, დიდი და მცირე, მის ჩრდილში მოაქციო, მაგრამ ამ ეპიზოდში მთავარი მაინც სხვა რამაა: თავის გაზრდილს, ახალგაზრდა სარდალს, „ზაქარეს“, გიორგი რუსს რომ თან ახლავს, ბერი შეშფოთებული ეკითხება: „А знает ли оный рузик, что у нас в государстве в военное время амирспасалар — первое лицо? Даже сам царь в поле не может один войсками распоряжаться, без согласия и приказа амирспасалара Картли!.. Проверь! Надо своевременно предупредить рузика...“

მაშ, კიდევ გამოჰყო ყური ბედისწერამ, ყური გამოჰყო კი არა, თითქმის მთლიანად ამოძვრა გუდიდან. ბერძნული ტრაგედია მთელი სიფიცხით ლვივდება. რაღა თქმა უნდა, მხითარ გოშს, ვინაც ისიც კი იცის, „მიწის ქვეშ რა არის“, ეს ამბავი ტყუილად არ აწუხებს. ხედავთ, წინასწარი გაფრთხილებაც კი ყოფილა საჭირო, რადგან ამგვარ წესს მარტო ქართველები მისდევენ და, დაუკრეფავში რომ არ გადავიდეს, მეფეს ახლავე უნდა ლაგამის ამოდება.

ეთანხმება თუ არა მხითარ გოშის პირით გამოთქმულ ამ ავტორისეულ კონცეფციას ისტორია, შევეცდები სხვა ადგილას ისევ დავუბრუნდე, ახლა კი უმჯობესია გიორგი რუსის მეფობის და სასახლიდან მისი გაძევების ამბავი ბოლომდე მივიყვანოთ.

გ. ვერმიშევის რომანის მიხედვით გიორგი რუსი ლოთობასა და სპარსელ მოცეკვავე ქალებს გადაჰყვა, სამეფო საქმეებს ჩამოშორდა და თამარის ერთადერთი უერთგულესი კაცის აწ უკვე ლოგინად ჩავარდნილ ამირსპასალარ სარგის მხარგრძელის ფარული რისხვაც ამით დაიმსახურა. ზემოთ მკითხველმა უკვე დაინახა, რომ მეფე თამარს ქმარი „არწრუნმა“ და „ზანკანმა“ მოჰგვარეს, ახლა კი ისევ სომეხი მოღვაწე იჩენს სხვებზე მეტ პირუთვნელობას, თამარს შინ იბარებს და სულის ამოსვლის წინ „კარტლის“ შემდგომი გაძლიერებისათვის სასოებით მლოცველი სთხოვს, გიორგი რუსს ახლავე გაეყარეო. სასახლეში დაბრუნებული თამარი, რომელიც სარგისის სიტყვებმა დააფიქრა, დარბაზს მოიწვევს და მომაკვდავი ამირსპასალარის უკანასკნელ ნებას აღასრულებს.

ერთის შეხედვით, აქ დაუჯერებელი არაფერია. შესაძლოა, ყოველივე თავის ადგილზე ყოფილიყო, თუ დროს, ვითარებას და პერსონაჟებს შევცვლიდით. თუ ნაწარმოებში საქართველოს მეფეთა-მეფე თამარი ვინმე მედუქნის ცოლი იქნებოდა, ხოლო სარგისი — მისი კეთილისმყოფელი ნათლიმამა, მაგრამ რადგანაც ეს ასე არ არის და სიტყვა კონკრეტულ პირებს შეეხება, რომელთა ყოველი ნაბიჯი ერის ისტორიამ, რომ იტყვიან, ზეპირად იცის, იძულებული ვხდებით კვლავ მატიანეებში ჩავიჭვრიტოთ და გამოვარკვიოთ, სად ცრუობს ბელეტრისტ-ისტორიკოსი ვერმიშევი და სად არა.

როგორ იყო საქმე ნამდვილად?

ქორწინებიდან ცოტა ხნის გასვლის შემდეგ გიორგი რუსს რაღაც საშინელი სენი აღმოაჩნდა. შეძრწუნებული თამარი თავის უბედურებას „ვითარცა გრდემლი“ ითმენდა და იმედოვნებდა, რომ სხვადასხვა საშუალებებით ქმრის გამოჯანმრთელებას შესძლებდა. ბასილი ეზოსმოძღვარი თავშეკავებული გულახდილობით მოგვითხრობს ამ ამბავს, ხოლო „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ბასილიზე უფრო მკვეთრი და პირ-

დაპირია: „ამას ესევითარსა მშვიდობასა, მარჯუებასა და ზეობასა შემოვიდა უცხო რამე და უმსგავსი საქმე, შეუმსგავსებელი და დაუჯერებელი კაცთა გონებისაგან; შევიდა სატანა გულსა სვე-უბედურისა რუსისასა, სკვით-რამე სახელდებულისა... ძლეული და ტაძარქმნილი შვიდთა სულთა უბოროტესთა პირველისათა სოლომურიცა მოიპოვა ქცევა დაქცევითა დაქცეულმან და წარწყმედითა წარწყმედულმან. ამას ესევითარსა უცხოსა და ურიგოსა საქმისა შემოსლვასა შინა ითმენდა თამარ წყნარი და ნარნარი, [illegible]ნობიერი და გონიერი, და ორ წლამდის გინა უმეტეს იყო განსაცდელსა უცხოსა თმენასა შინა... და ვითარცა უგრძნეს ესე ვაზირთა და დიდებულთა, განკვირვებულთა ერთხმა ჰყვეს მცნობელი ამისთა... და ექსორია იქმნა“.

ბასილი ეზოსმოძღვარი წერს, რომ თამარის თავზე დატეხილი უბედურება სასახლეში ყველამ იცოდა, მაგრამ გვირგვინოსანი ქალის წინაშე მოკრძალება ნებას არ აძლევდათ, ეს საშინელება ხმამაღლა წარმოეთქვათ. „და იწყეს ჭრტინვად, არამედ ცილობათა მათთვის პირველთა რცხუენოდა ყოველთა თამარისაგან“. როდესაც მკურნალობითა და ამაო შეგონებით ვერას გახდა, თამარმა დარბაზისერი მოიწვია და საჯაროდ განაცხადა: „დაღათუ საღმრთოსა სჯულისა მიერ სწავლულ ვარ მე „არა განშორებად პირველსა საწოლსა“, არამედ რომელმან არა დაიცვას საწოლი თვისი წმიდად, არა ჯერ არს მის თანა დათმენა, რამეთუ შემაგინებელ არს ტაძრისა ღმრთისა. და მე არა მიძლავს აჩრდილისა მრუდისა ხისა განმართვად და უბრალოდ განვიყრი მტუერსაცა, რომელი აღმეკრა შენ მიერ... ეს თქუა და აღდგა და დაუტევა იგი. ხოლო რუსუდან დედოფალმან და ყოველთა მთავართა საწყალობლად განაძეს იგი...“

ახლა ნება გვიბოძეთ შევეკითხოთ გ. ვერმიშევს, სად რჩება აქ ადგილი საკუთრივ მხარგძელისათვის? როგორც ვხედავთ, წინააღმდეგ რომანის ავტორის მტკიცებისა, თამარი და სამეფო კარი ერთსულოვანია თავის გადაწყვეტილებაში. მემატიანეებმა, რომელთა ნაშრომებითაც ავტორმა ისარგებლა, არავინ გამოჰყვეს, არავის მიანიჭეს თამარის ერთგულების უპირატესობა, ხოლო რა და როგორ იყო, მათ განა ყოველ მომავალ რომანისტზე და მის ტაშის დამკვრელებზე უკეთ არ ეცოდინებოდათ?

ახლა კი დადგა დრო ავტორის მთავარზე უმთავრეს ხრიკს მივუბრუნდეთ.

მაშ, ვინ იყო „Первое лицо на поле боя“? მართალია, მხითარ გოშის პირით გამოთქმული და შემდეგ არაერთგზის განმეორებული ავტორისეული მტკიცება, რომ „...в военное время амирспасалар первое лицо?“, რომ „Даже сам царь в поле не может один войсками распоряжаться без согласия и приказа амирспасалара Картли!“?

ჩვენ ყველაფერი გადავჩხრიკეთ და გადავაქოთეთ, რითაც კი ვერმიშევს შეეძლო ესარგებლა თავისი თხუზულების წერისას, მაგრამ ეს ან ამის მსგავსი რამ ვერსად აღმოვაჩინეთ. თუ ვინ რა იყო და რა ფუნქციას ასრულებდა „კარტლის“ სამეფოში, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის დროს, ეს ყველგან ნათლად და გარკვევით სწერია, მხოლოდ, თითქოს პირი შეუკრავთო, ყველა მატიანე და სიგელ-გუჯარი ერთსა და იმავეს ღაღადებს.

კერძოდ, რას?

იმას, რომ ყველა დროის საქართველოში, დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნემდე, შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად თვით მეფე ითვლებოდა. ამირსპასალარი მხოლოდ თანაშემწე იყო მისი სამხედრო დარგში. რა შეადგენდა ამირსპასალარის სამსახურებრივ მოვალეობას? ჯარის შეკრება, სამხედრო წვრთნა, სამეფოს სხვა მესვეურებთან ერთად ზრუნვა ციხე-სიმაგრეების მშენებლობისა, შეკეთებისა და შეიარაღების გაუმჯობესებისათვის, მცირე ლოკალურ ომებში მხედრობის წინამძღოლობა და სხვა ამგვარები.

ამავე წიგნის 149-ე გვერდზე ვერმიშევს მოთხრობილი აქვს, თუ როგორ აკურთხეს თამარი მეფედ. მკითხველს, ალბათ, ახსოვს, რომ კურთხევის დროს თამარს თუმცა ის „სუსტი სქესის“ წარმომადგენელია, ქართველი მეფეების კურთხევის ტრადიციის თანახმად, წელზე ხმალს არტყამენ. ეს ხმალი ქვეყნის უმაღლესი სამხედრო ხელისუფლების სიმბოლო და ნიშანი გახლავთ. და განა მარტო სიმბოლო და ნიშანი? მეფეთა-მეფე თამარი წინ მიუძღვოდა თავის ჯარს ყველა დიდ ომში. უმაღლესი მთავარსარდლობის და ქვეყნის პირველი მბრძანებლის ტიტული მას არასოდეს არავისათვის გაუყვია, მაგრამ რადგანაც ქალი იყო და თავისი ფიზიკური მონაცემების გადამკიდე ბრძოლაში მონაწილეობის მიღება არ შეეძლო, მეფეთა-მეფის სახელით ყველა დიდ სამხედრო ოპერაციას მეფე — ჯერ იური ანდრიას ძე, ხოლო შემდეგ დავით სოსლანი სარდლობდა.

აბა, ყური დავუგდოთ თვით თამარს.

როდესაც მან რუკნადინისაგან მუქარის წერილი და თავხედური შემონათვალი მიიღო — ნებით დამორჩილებულს ცოლად შეგირთავ, ხოლო ძალით დაპყრობილს ხარჭად დაგისვამო, „Царь абхазов и грузин, ранов, кахов и армян, ширваншах и шахиншах, держатель всего востока и запада“ (გვ. 128) თამარი უზარმაზარი მხედრობით საქართველოს ასაკლებად მოსულ რუმის უძლეველ სულტანს, რომლის ჯარის მრავალრიცხოვნობა (400 ათასი კაცი!) თვით უდიდეს იმპერიებსაც კი თავზარს დასცემდა (ნაპოლეონ ბონაპარტე თვალუწვდენელ რუსეთს 600 ათასიანი არმიით დაესხა!) აი, ამ სიტყვებს სწერს:

„ძალისა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა მინდობილმან, და მარადის ქალწულისა მარიამისა მავედრებელმან, და პატიოსანისა ჯუარისა სასოებით მოსავმან წარვიკითხე ღმრთისა განმარისხებელი წიგნი შენი, ეი, ნუქარდინ, და ვსცან სიცრუენი შენნი, რომელთა ბჭე ღმერთი იყოს... შენ ოქროსა შეკრებულთა სიმრავლისა მევირეთა მინდობილ ხარ უმეცარი მსჯავრსა ღმრთისასა. ხოლო მე არცა სიმდიდრეთა, არცა სპათა ჩემთა სიმრავლესა, არც რას სხუასა კაცობრივსა საქმესა მინდობილ ვარ, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა და შეწევნასა

ქრისტეს ჯუარისასა, რომელსა შენ ჰგმობ... წარმომივლენია მხედრობა ქრისტეს მოსახელე, არა შენდა თაყუანის ცემად, არამედ დამხობად შენდა, ზუავისა მაგის და ამპარტავანისა გულისა შენისა, რათა განისწავლო ღმრთისა მიერ არღარა გმობად სახელისა მისისა. იყავნ ნება ღმრთისა და ნუ შენი! სამართალი მისი და ნუ შენი!“

თამარის ეს ნოტა, რომელიც მრავალმხრივ არის საინტერესო და განსჯა-განხილვის ღირსი, გარკვევით გვეუბნება, თუ ვინ არის ქვეყნის უზენაესი ხელისუფალი ომის დროს, თვით ისეთი განსაცდელის ჟამსაც კი, როგორიც რუმის სულტანის უდიდესი ურდოს საქართველოს სამეფოს სამხრეთ საზღვართან, ბასიანის ველზე დაბანაკება იყო.

„მონაპირეთა მონახიან საქმე ანუ ციხე ასაღებელი, — ვკითხულობთ ცოტა ქვემოთ, — ანუ თურქმანი შემოდგომილი, ანუ ქალაქი განსატეხელი, ანუ ქუეყანა მოსარბეველი, მოაჰხსენიან თამარს და მან გასინჯის საქმე იგი და გამოიკითხის. უკეთუ ღირს იყვის შეყრასა ლაშქართასა, უბრძანის ზაქარიას და ივანეს...“

უზენაესი ხელისუფალი ქვეყნისა, ანუ ვერმიშევისებურად „в военное время первое лицо в Картли“ განიხილავს „მონაპირეთა“ მოხსენებებს შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად, აწარმოებს მიმოწერას „უმაღლეს დონეზე“, აცხადებს ომს, გზავნის „თავის ჯარს“ მტრის შესამუსრად, სარწმუნოებისა და მშობელი მიწის დასაცავად. და ეს პირი არის თვით მეფეთა-მეფე თამარი.

განა მკრეხელობა არ იქნება, თვალები დავხუჭოთ და უკანა რიცხვით, ჩვენი უწმინდური ჟინის მოსაკლავად, ეს საუკუნოებრივი ჭეშმარიტება შევბღალოთ?

დროა, აქვე ისიც გამოვარკვიოთ, თუ ამ კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში ვის მიჰყავდა ჯარები ბრძოლაში, „ფიზიკურად“ ვინ იქნევდა ხმალს და ვინ ამირსპასალარობდა, მართლა ამირსპასალარი, როგორც ვერმიშევს წარმოუდგენია თავის აღტაცებულ საჭურველმტვირთველთან ერთად თუ სხვა ვინმე?

ამ საკითხის გასარკვევად და დასადგენად ისევ ძველი დავთრების გადაფურცვლა დაგვჭირდება. როგორც კი გიორგი რუსი სკვითების ქვეყნიდან საქართველოში ჩამოიყვანეს და მან დიდებულებზე სასურველი შთაბეჭდილება მოახდინა, წინააღმდეგ თამარის ნებისა და სურვილისა, დიდებულებმა დაუყოვნებელი ქორწინება მოითხოვეს. თამარი ყოყმანობდა. თავის ყოყმანს ის იმით ხსნიდა, რომ უცხო ქვეყნიდან მოყვანილი კაცი ჯერ ყველასათვის უცნობი იყო. არავინ უწყოდა, რა ზნე ჰქონდა, რა ვაჟკაცობას გამოიჩენდა ლხინსა თუ „ომსა შიგან“. თამარის ყოყმანმა დიდებულებს აზრი ვერ შეაცვლევინა. დროც არ ითმენდა. „უშვილობასა მოახსენებდეს, სახლისა მისისა უნაყოფოებასა დრტვინვიდეს, წინამძღუართა სპათა ითხოვდეს“.

მაშასადამე, რაო? ვიდრე თამარი მარტო ზის ტახტზე, ქართველთა ჯარს თურმე „წინამძღუარი“ არა ჰყოლია. ამას გვეუბნება ამბის მოწმე — სამეფო კარის მემატიანე. უფრო სანდოს ვიღასა ვკითხოთ. ნუთუ ამ დროს საქართველოს ჯარს ამირსპასალარი არ ჰყავდა? როგორ არა! — სხაპასხუპით მოგვიგებს ვერმიშევის წიგნი, — „კარტლის“ ამირსპასალარი „ზაქარეს“ მამა სარგის მხარგრძელი იყო! მაშ, რა გამოდის? გამოდის, რომ სარგისი და ყველა, ვინც კი სხვადასხვა დროს საქართველოში ამ სახელოს ფლობდა, ამირსპასალარია, მაგრამ „წინამძღუარი“ ქართველთა ჯარისა მაინც სხვა ვინმეა — თვით მეფე, ამჯერად კი მეფეთა-[illegible]ჯე თამარის მეუღლე.

და აი, უბრძანა თამარმა „ზაქარიას და ივანეს“ შეყარონ ლაშქარი. რა ხდება ამის შემდეგ? ვაგრძელებთ ზემოთ მოტანილ უკანასკნელ ციტატს: „თვით დავით მეფე წავიდის არა სადათ შემოქცეული ცუდათ“.

მაშ, თავშეყრილ მხედრობას ზაქარია და ივანე მეფე დავითს წარუდგენენ და ამის შემდეგ ჯარი ყველა თავისი სპასპეტით და ამირსპასალარით მის ბრძანებასა და ნება-სურვილს ექვემდებარება.

ბასიანის ბრძოლის წინ თამარი ეახლა ვარძიის ღვთისმშობელს და „წინაშე ცრემლითა შევედრნა სოსლან დავით და სპა მისი, და დროშა ბედნიერად ხმარებული, და წარგზავნა ვარძიითა ლაშქარნი, რომელთა თვით თამარ უძღოდა წინ შიშულითა ფერხითა და ცრემლითა ასოვლებდა ღაწუთა თვისთა. და წარუძღუა ბასიანის კერძოთა და მიიწივნეს მახლობელად კარისა, და დადგეს დღისა ერთისა სავალისა“.

ბასიანის ველზე ამირსპასალარი ზაქარია საქართველოს ჯარის ავანგარდში იბრძოდა. ის თვით ავანგარდის სარდალიც კი არ ყოფილა. „ხოლო წინამებრძოლად იყო ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარი, და ორნიცა იგი ძმანი ახალციხელნი, შალვა და ივანე და სხუანი თორელნი“.

როგორც ვხედავთ, „ბრძოლის ველზე“, მხითარგოში და გ. ვერმიშევი რაღაც მაგიურ მნიშვნელობას რომ ანიჭებენ, ამირსპასალარს არავითარი პრივილეგიური მდგომარეობა არ უჭირავს. ის სხვა სპასპეტთა მხარდამხარ იბრძვის, როგორც ტოლი ტოლთა შორის. იქვე არიან თორელები, ზაქარია გაგელი, შალვა და ივანე ახალციხელები...

ქართველთა უეცარმა და თავგანწირულმა იერიშმა შემუსრა მტრის ბანაკი. „და განადიდა დიდება დავითისი და თამარისი ვარძიის ღმრთისმშობელმან“. დავითის „წინამძღუარობას“ და გამარჯვებას ბასიანის ომში მემატიანე ისე აღუფრთოვანებია, რომ ჩვეულებისათვის უღალატნია და მატიანის ნუსხაში მის სახელს თვით მეფეთა-მეფის სახელის წინ ახსენებს...

არანაკლებ საგულისხმოა კარის ციხის ალყის ამბავი. ციხეს ალყა ზამთარში შემოარტყეს. სარგის თმოგველს, შალვა თორელს და მათ მეხსებს გაუჭირდათ ციხის აღება. ესმა რა ეს, თამარმა „წარავლინა დავით ზემოთ ლაშქრითა. წაატანა ზაქარია და ივანე. და უბრძანა, რათა დადგენენ მუნ და ძლიერად ეომონ. და ხანგრძლად იქნა ესე, და თვით თამარ დადგა ჯავახეთს, და მუნ მოელოდა ამბავს მათსა“.

აკი ომის დროს ამირსპასალარი პირველი კაცია სამეფოშიო? აკი მისი ნებართვისა და ბრძანების გარეშე თვით მეფე რომ მეფეა, ისიც კი ხელს ვერ გაანძრევსო? ჩვენ უკვე დავინახეთ, ტყუილს რა მოკლე ფეხები ჰქონია. ქვემოთ გავბედავთ და ნათელვყოფთ, რომ არამცთუ პირველი, ის სულკურთხეული მესამეც არ არის, მაგრამ ამას საწყენად ნურავინ მიიღებს, რადგან ძალა დაგვადგა და აღმართსა ვხნავთ...

ჯერჯერობით, სანამ მეტი არ გვითქვამს, უნდა შევთანხმდეთ: თამარის საქართველოს უზენაესი ხელისუფალი, ომისა და მშვიდობის დროს, თვით მეფეთა მეფე თამარია. ჯარებს „წინამძღუარობს" მეფე — ჯერ გიორგი რუსი, შემდეგ დავით სოსლანი. ამირსპასალარი მეფის უახლოესი თანაშემწეა სამხედრო დარგში. თამარს შეუძლია დავითი „აქა და აქ" გაგზავნოს ლაშქრით და თან, როგორც უახლოესი ყმები და თანაშემწენი — ზაქარია და ივანე „წაატანოს" და ყველას უბრძანოს თქვენი გამარჯვების ამბავი „ამა და ამ ადგილზე" მომახსენეთო.

თეზისი „Амирспасалар в военное время первое лицо в Картли!" — რომელმაც აგერ ჩვენს თვალწინ თავი შეირცხვინა, რადგან ავტორის მონაჭორი გამოდგა, საფუძვლად უდევს „ამირსპასალარის" იდეურ ჩანაფიქრს.

მაშ, განვაგრძოთ.

სპარსეთში აბუბექირის სარდლობით მზადდება დიდი ლაშქრობა ქართველთა მიწების დასაპყრობად. ავტორი ცდილობს მთელი ეს სამზადისი მკითხველის თვალწინ გადაშალოს. ყველაფერი თითქმის მზადაა, მაგრამ აბუბექირს თავისი თბილისელი მსტოვრების შემონათვალი უკარგავს ძილსა და მოსვენებას: თამარის ახლოსო, იტყობინებიან მსტოვრები, „...пребывает некий могучий эмирсепахслар, искусный и весьма отважный в бою..." აი, თურმე რა ყოფილა სპარსელების მთავარი საფიქრალი და თავსატეხი ამ დიდი ლაშქრობის წინადღეს. აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ წიგნის ამ ადგილამდე (გვ. 305) „ზაქარეს" ჯერ არცერთი მხედრული გმირობა არ ჩაუდენია. მაშ, საიდან გაუვარდა ასეთი დიდი სახელი „მთელ აღმოსავლეთში"? ეტყობა, ბედისწერის საქმეა. სპარსელები მას ვერ ხედავენ, მაგრამ გრძნობენ ინტუიტურად...

მტრის მიერ სამეფოს საზღვრის გადმოლახვის ამბავი ამირსპასალარს, იგივე „დიდ იშხანს" ლორეს ციხე-დარბაზში მოახსენა სომეხმა აზნაურმა. ვინ არის ეს აზნაური? „старый служащий родовой конницы". რომელ „როდოვაია კონნიცაზეა" ლაპარაკი? სომხეთის ამდროინდელი ისტორიიდან ხომ ვიცით, რომ აღარავითარი სომხური „როდოვაია კონნიცა", არც „სოტნი" არც სხვა რამ ამის მსგავსი აღარ არსებობს, რადგან სელჩუკთა ბარბაროსულმა შემოსევებმა ყოველივე აღგავეს პირისაგან მიწისა? მაგრამ ამის გამო ხელახალმა გამოძიებამ ვაითუ ძალიან შორს წაგვიყვანოს, მით უფრო, როცა იცი: ვერმიშევს საერთოდ სჭირს გრამადომანია, მასიურისა და ანტიკვარულისაკენ მისწრაფება.

ამირსპასალარი უკმაყოფილოა: „Однако беспечно живут мои спасалары в Тбилиси!"

თვითონ აქ იმისთვის დაუსვამს თამარს და მამისეულ სამფლობელოებზე რუსთავეც მიუმატებია, რომ ქვეყნის სამხრეთ საზღვარზე თვალი ეჭიროს და იმის მაგიერ, თავის პირდაპირ მოვალეობას ასრულებდეს, თბილისში მყოფი „სპასალარების" მიმართ გამოთქვამს გულისწყრომას.

მაინც რა ამბავია სასახლეშიო? ყველა დამფრთხალი ყოფილა. ქართველ დიდებულებს გაქცევასა და ღალატზე უჭირავთ თვალი. სწუხს სომეხი აზნაური: „Сослан в бой рвется — храбрый он человек. Да что внем одном толку?" (გვ. 312).

მაშ ასე: თამარის სამეფო ტახტს, თუ ვერმიშევის გმირების ნათქვამ-ნაფიქრალს მივენდობით, ორადორი ერთგული, ბრძოლისუნარიანი კაცი შერჩენია. აქედან ერთი სომეხია, მეორე კი „сын осетинского царя" თვით. ქართველები ნეტავ სადღა არიან? — ეკითხებით ავტორს. მას თითქოს არ ესმის, თავისას განაგრძობს. აბუბექირს თამარის ხელი უთხოვია. „И некоторые люди при дворе болтают, что придется согласиться" (იქვე).

აი, რა დღეში ყოფილა თამარი. ხუმრობაა განა, ამისთანა არეულ დროში „კარტლის" სამეფო დანგრევისა და გაცამტვერებისაგან იხსნა? „ვახრამ!" — დაიყვირა ამირსპასალარმა. „Я здесь, ишхан!" „Объявляй боевую тревогу! Три дыма!.. К замку стягивалась знаменитая конница Мхаргрдзели".

ავტორი იმდენად აუტაცნია „ზაქარეს" უსაზღვრო განდიდების სურვილს, ისე აფოფინებულა, ზომიერების გრძნობა სავსებით დაუკარგავს და ველარც კი ამჩნევს: ამირსპასალარი ნორმალური ცივილიზებული ადამიანისათვის შეუფერებელ თვისებებს ამჟღავნებს. მისი ყოველი სიტყვა, ჟესტი, ყოველი ნაბიჯი, მაშინაც კი, როცა ცხენზე ზის, შეურაცხმყოფელია გარეშემო მყოფთათვის და სირევნის, უზრდელობის და თავხედობის ნიმუშს წარმოადგენს. „Во двор исанского дворца амирспасалар въехал на полном скаку".

ერთადერთი კაცი, ვინც სასახლიდან გარეთ გამოსვლა გაბედა და მხედარს მოეგება, ივანე მხარგრძელია, თვით „ზაქარეს" ღვიძლი ძმა. „Где Сослан?" — ამირსპასალარმა, ვით ბატონმა მოჯურავი, ისე მოიკითხა მეფე. ყველა აქ არის. დაბნეული სხედან და „ზაქარეს" მოსვლას უცდიან. „На гневном лице амирспасалара на мгновение мелькнула лёгкая усмешка". ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ის კაცია, ვინც ისტორიის პირველწყაროების მიხედვით თავის ძმა ივანესთან ერთად თამარმა სწორედ სოსლანს „წაატანა" კარის ციხის ასაღებად, თვითონ კი ჯავახეთს დადგა, რათა იქ გამარჯვების ამბავს დალოდებოდა.

დარბაზში რომ შესულა, „ზაქარე" თავის ოდნავი დაკვრით მისალმებია მეფეს. ავტორი ტყავში ძვრება და ცდილობს თავისი საყვარელი გმირის ძლიერება მისივე გამომწვევი თავხედობით გამოხა-

ტოს. სოსლანმა, „сделав два шага в сторону неподвижно стоящего Захария, произнёс с чарующей улыбкой на красивом лице: „Спасибо, мой Закарэ (?), что во время приехал! Я и Тамар с нетерпением тебя ждали“.

მოდი და იცანი ამ საცოდავ „ლამაზ კაცში“, რომელსაც მომხიბლავი ღიმილი დასთამაშებს სახეზე, შამქორისა და ბასიანის ომების გმირი, ვინც ერთგანაც და მეორეგანაც რიცხვით უმეტეს მტერს სძლია და პირველად ხალიფას, მეორედ კი სულტნის დროშა ძლევამოსილ თამარს სხვა სამხედრო ალაფთან ერთად მიართვა. მოდი და იცანი ჯარების „წინამძღუარი“, ვინც თამარის დროის ყველა დიდი სამხედრო გამარჯვების სარდალთა-სარდალი და სულისჩამდგმელი იყო...

ვერმიშევის მიერ წარმოსახული სოსლანის კნავილმა ამირსპასალარს გული ვერ მოულბო. ჯარის, პროვიანტის საქმე როგორ არისო? — იკითხა მან. ავტორს მხედველობიდან გამორჩა, რომ ამ გაბღენძილი თავხედის სამსახურებრივი საქმე სწორედ ეს გახლავთ. ჯარიც უნდა შეკრიბოს, პროვიანტიც უნდა მოამზადოს და „წინამძღუარს“ სათანადო მოხსენებითაც წარუდგეს. ასე უნდა მოხდეს, თუ ისტორიის სინამდვილე გვსურს ავსახოთ და თუ მთელი საქართველოს და მისი სამეფო კარის გამასხარავება და აბუჩად აგდება არ გვინდა. აქ კი როგორ არის? სწორედ პირიქით! მიზანი? თვით ქართველებს არაფერი არ შეეძლოთ, ომისა და მტრის მტრულად დახვედრისა არაფერი გაეგებოდათ და მათ სამეფოში მათ მაგიერ ქვეყნის თავდაცვას სწორუპოვარი სომეხი რაინდები ზაქარია და ივანე ხელმძღვანელობდნენ! ამიტომ და აქედან გამომდინარე ეს ქვეყანა მათია, მათი საბატონოა და დროა უკვე ამის შესახებ ყველამ იცოდეს!.. ცოტა ქვემოთ გ. ვერმიშევი თავისი გმირის პირით ამას პირდაპირ იტყვის, ჯერჯერობით კი მხოლოდ შეფარვით გვეუბნება.

წარმოდგენილი გვაქვს, როგორი ნეტარი ღიმილით კითხულობდა ვერმიშევის რომანის შესაბამის ადგილებს მწერალი მ. შათირიანი, როგორ ტკბებოდა ძმობისა და მეგობრობის დაუვიწყარი ფურცლების „გახსენებით“, იმით, თუ რა „დიდი სიმპათიით და ცოდნით ხატავს (ავტორი) ცნობილ ქართველ მეფეებს გიორგი მესამეს და თამარ დედოფალს, ქართველ სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეებს“. აი, ჩვენი საკუთარი თვალით ვხედავთ, როგორ ხატავს მათ იგი, როგორი სიყვარული და მოკრძალება გამოსჭვივის ავტორის ყოველი სტრიქონიდან.

მაგრამ ჯერ სადა ხართ! გასაცოდავებულმა სოსლანმა რომ უპასუხა, ყველაფერს ნელ-ნელა ვუყურით თავსო, ზაქარე განრისხდა: „Вижу, время здесь теряйте. Прозевали Бубакра!“

ჩვენ ისტორიის წყაროებიდან ვიცნობთ მეფე დავითის ხასიათს. გვახსოვს, მაგალითად, რომ გუზან ტაოელს მან მანამ დასთხარა თვალები, სანამ გულმოწყალე თამარი თავისი მონაპირე თავადის ღალატის ამბავს შეიტყობდა და განდგომას შეუნდობდა. ვშიშობთ, რომ ამ დარბაზშიაც მსგავსი რამ მოხდებოდა, ავტორი რომ თავიდან ბოლომდე არა სცრუობდეს და კეთილშობილი ადამიანისა და მამულიშვილისათვის უცხო ექსტაზს არ ეძლეოდეს.

შემდეგ და შემდეგ მდგომარეობა უფრო და უფრო მწვავდება. ავტორის არაჯანსაღი ფანტაზიის საყოფი „ზაქარეს“ დიქტატორობა მაღალ ფარდებში გადადის. ის, როგორც ხალხის შვილი, თუმცა ქართლის ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალია, ხალხზე სწუხს: „Теперь народ будет безвинно страдать“ იქვე თავის ძმას მიუბრუნდა: „Проследи, Иванэ, за языками царедворцев. А то поставлю на базаре виселицу, начну пачками вешать твоих (?) болтунов и трусов... Мы покажем Бубакру, как сватов к царице Картли посылать!“

შეძრწუნდებოდა ამაყი ვაჟკაცის დავით სოსლანის სული, ეს უგუნური ლაყბობა რომ მოესმინა. „კარტლის“ მეფეთა-მეფე თამარი მისი უსაყვარლესი და სათაყვანებელი მეუღლე, მისი სარეცლის მოზიარე იყო. ავტორის ნება-სურვილით გმირთა-გმირს იმის ძალა და ღონეც აღარ შერჩენია, საკუთარი ცოლის ნამუსი დაიცვას. აფსუს, დავით სოსლანო! თამარის, როგორც მეფეთა-მეფისა და ქალის ნამუსს, დევგმირი ქმრისა და მეფის მაგიერ, სხვები იცავენ. ჰა, როგორ ატყობს მწერალი მ. შათირიანი, დიდი პატივი არ უცია ვერმიშევს თამარ მეფისა და დავით სოსლანისათვის? ყოველი სტრიქონი მათი ხალხის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ძმური სიყვარულით არ გაუთბია?

აქ უნებლიედ გახსენდება ჭაბუკი „ზაქარეს“ აღთქმა, რომელიც მან თამარის წინაშე დასდო ცოტა უფრო წინ, წიგნის 259-ე გვერდზე: „Успокойся, царица. Я и мои братья, как один выйдем на твою защиту! Уже прибыла в Тбилиси моя горская конница. Как львы рвутся в бой храбрые лорийцы“.

აქ „храбрые лорийцы“ გმირი სომხებია, ვისაც, გ. ვერმიშევის აზრით, საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის შენარჩუნებას უნდა ვუმადლოდეთ. მათ, მართალია, ეს ვერ შესძლეს სომხეთში, მაგრამ, სამაგიეროდ, გამოცდილება შეიძინეს და შესძლეს საქართველოში. განა სულ ერთი არ არის?

თამარის ტახტის ბედ-იღბალი, გვაგონებს გულდათუთქული გ. ვერმიშევი, „ზაქარეს“ „горская конница“-ზე ჰკიდია. ის თუ იხსნის ქართველთა ვერაგობისაგან, თორემ სხვა საშველი არ არის.

ცოტა უფრო ქვემოთ, როცა ყველა ომი ჩაცხრება და სახელმწიფოში ნანატრი მშვიდობიანობა დაისადგურებს, თამარი მარტოობას უჩივის და ანისში სტუმრად მყოფი, „ზაქარეს“ გაუტყდება: „Ох, не спокойно мне Закарэ (?). Я совсем одинокой стала... Ты в Ани находишься... один князь Иване остался мне верен“ (გვ. 416).

დანარჩენებმა ყველამ უღალატა, ტახტი კი რაღაც მანქანებით მაინც შეურყევლად დგას. ნეტა რა მაგიურ ძალას ფლობდა ეს „კნიაზ ივანე“, ყველა ერთგული

აზნაურის მაგივრობას რომ ახერხებდა და ყველას ჭაპანს მარტოდმარტო ეწეოდა? ახლაც ყოვლისშემძლე ძალა — გ. ვერმიშევის პირადი სიმპათიები მფარველობს მხარგრძელებს, ხოლო როცა ასეთი ყოვლისშემძლე მფარველი გეყოლება, კაცი, ისიც რომანის პერსონაჟი, რას არ შეძლებ!

ჰო, საუბრის მთავარ საგანს, მგონი, სულ გადავუხვიეთ.

მაშ, როგორ გაგრძელდა აბუბექირის დახვედრის სამზადისი?

დასხდნენ. მრისხანე ამირსპასალარმა საცოდავი სოსლანის დაკითხვა განაგრძო. სად არის მტერი? რამდენია? ასე და ასეაო, მიკიბულ-მოკიბულად პასუხობს სოსლანი. მტრის გამოჩენის ამბავი გზირებმა მოგვიტანესო. „ზაქარეს“ სახე გაეხსნა: „Молодцы! Надо их наградить Иванэ!.. Начнем военный совет. Прикажи, батоно Давид, пусть войдут спасалары!“

სოსლანი, რასაკვირველია, უმალვე გავარდებოდა სპასალარების დასაძახებლად და ყვირილით ხმას ჩაიხლეჩდა. ნეტავი რაღასთვის ემზადება? მისი სასახლე უკვე აღებულია. საქართველოს უზენაესი ხელისუფლება უკვე სხვის ხელთაა. თამარს და დავითს თვით ქვეშევრდომების დაჯილდოების ამბავსაც აღარ ეკითხებიან მათსავე სასახლეში. ეს „ზაქარესა“ და ივანეს შინაური საქმე გამხდარა. რაჭის ერისთავი კახაბერი ყველას აზრს გამოხატავს, როცა „ზაქარეს“ ეუბნება: „Вся ответственность за Картли лежит ныне на тебя, мой мальчик! Не посрамите же (?) славы великого отца“.

აქამდე ასე იყო: ქართველები ომში ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის და შემდეგ დიდი თამარის დროშით მიდიოდნენ, მათი სახელები ჰფარავდათ. მოძმე ქართველი ხალხის უანგარო მეგობარს გ. ვერმიშევს ერის ყველა ეს სანუკვარი სახელი, რომელთა გაგონება სამშობლოს დასაცავად იარაღასხმულ ჯარს ძალასა და სიმამაცეს უასკეცებდა, „ზაქარეს“ მამის სარგისის სახელით შეუცვლია...

მშვენიერია, არა? რას იტყვის მწერალი მ. შათირიანი? აი, როგორ მართლდება მისი სიტყვები, რა სასარგებლო წიგნი დაუწერია გ. ვერმიშევს!..

შამქორის ომში „ზაქარემ“ დავით სოსლანს მტრის ზურგისათვის ალყის შემორტყმა დააკისრა „მისი ალანებითა და ყივჩაღებით“, თვითონ კი მთავარ მიმართულებაზე დადგა.

აი, სწორედ აქ გამოირკვა, რომ ქართველ თავადებს ჯარი არ უვარგათ. წიგნის 322-ე გვერდზე ამირსპასალარი სწუხს: „Больше всего я опасаюсь за мтаварские ополчения! Хуже всех вооружены их воины да и плохо обучены“... ვინ იხსნის „კარტლს“ ამ საშინელ განსაცდელში? „Конная гвардия, конница из Лори, кипчакские полки, аланские отряды“.

სამეფო კი ქართველებისაა! რატომ, ბატონო, ეს მცონარები, მხდალები და უმეცრები ვერ აყარეს და კინწისკვრით ვერ გარეკეს თავისი ქვეყნიდან? ამის მოფიქრებას დიდი ამბავი უნდოდა!

ახლა თვით ბრძოლის ველის „მორთულობას“ აღარ იკითხავთ?

„...в центре знамя амирспасалара „Захарэ... рядом с ним... белое царское знамя с гербом Багратунианов“ (გვ. 323). აი, თურმე რა მოსვლია დიდი თამარის დროშას! ნიდაყვი გაუკრავთ და გვერდზე გაუწევიათ, რადგან „ცენტრში“ უსიკვდილოდ ამირსპასალარ „ზაქარეს“ დროშა უნდა ფრიალებდეს.

მწერალი მ. შათირიანი დაგვემოწმება, რომ გ. ვერმიშევი ძველი სამხედრო კაცია. ოდესღაც ოფიცერიც კი ყოფილა. დავიჯეროთ, რომ მან არ იცის, რას ნიშნავს სახელმწიფო დროშა? რომ არა სცოდნოდა, ასე არც დასწერდა. დიდ ომში, ბრძოლის ველზე, სადაც ქვეყნის ყოფნა-არყოფნა წყდება, საპატიო ადგილზე, როგორადაც ავტორს „ცენტრი“ მიაჩნია, ფრიალებს არა ამ ქვეყნის უზენაესი ხელისუფალის — მეფეთამეფის დროშა, არამედ მისი ერთ-ერთი მოხელის ბაირაღი. შეიძლება კაცმა მოიფიქროს უფრო დიდი და სასაცილო შეუსაბამობა? შეიძლება თუნდაც ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ თამარის დროშის შეურაცხყოფით რომანის ავტორი ქართველი და სომეხი ხალხების ძმური მეგობრობის იდეას ავითარებს? თუ პირიქით? შეიძლება დავიჯეროთ, რომ მწერალი მ. შათირიანი იმდენად გულუბრყვილოა, რომ ამ აბსურდის ქვეტექსტს ვერ მიხვდა?

როგორ განაწილდა ცალკეული რაზმების ფუნქციები? „Главная ударная сила — тяжелая конница под личным командованием амирспасалара“ (გვ. 330). უკან კი: „...темнела большая масса эриставской конницы — абхазцы, имеры, сваны, рачинцы, карталинцы, кахетинцы и эретцы“. კიდევ უფრო უკან დგას დავით სოსლანი „თავისი ყივჩაღებითა და ალანთა რაზმებით“.

მაგრამ ვინ არიან ეს აფხაზები, იმერლები, სვანები, რაჭველები, ქართლელები, კახელები და ჰერელები? რა გაიგოს რუსმა მკითხველმა, ვის ენაზედაც წიგნი გამოვიდა? როგორ მიხვდეს, რომ ყველა ამათ ერთად კრებითი სახელი „ქართველები“ ჰქვია? „ვერ გაიგებს და ჩემი ჯავრიც ეგ იყოს! — ფიქრობს გ. ვერმიშევი და სუფრის მეორე თავში მწერალ მ. შათირიანს თვალს უკრავს, — ესენი მთიელი ტომებია. ქართველებმა ოდესღაც დაიმორჩილეს და თავიანთი დროშის ქვეშ აომებენ!“ მან, რასაკვირველია, იცის, რომ ეს ასე არ იყო, ყველანი ჩვეულებრივი ქართველები არიან, მაგრამ თუ ვინმე სხვანაირად გაიგებს და წარმოიდგენს, ვითომ უკეთესი არ იქნება? აქ კი, ამ წერილის მთელ მანძილზე, მხოლოდ ერთხელ ვერმიშევს უნდა წავეხმარო. მას დავიწყნია შამქორის ომის მონაწილე რამდენიმე ქართველი ტომი, ისეთივე ქართველი ტომები, როგორიც, ვთქვათ, კახელები და იმერლები არიან — ოდიშარები, გურულები, თუშ - ფშავ - ხევსურები, მესხები, ჯავახები, ტაო - კლარჯელები, ლეჩხუმელები და სომხითარები. შეეძლო ზემოთ დასახელებულებთან ერთად ესენიც დაესახელებინა და უფრო დიდი აპლომბით შესდგომოდა მტკიცებას, რომ თა-

 

მარის დროინდელი საქართველო თუ „კარტლი“ ერთიანი, „კომპაქტური“ ეროვნული სახელმწიფო კი არა, არამედ, მსგავსად ბაბილონისა და კიროსის სპარსეთისა, ერების აღრევა და იარაღის ძალაზე დაფუძნებული კონგლომერატი იყო.

სინამდვილეში მთელი ეს ამბავი როგორ მოხდა?

1191 წელს, მოგვითხრობს თამარის ისტორიკოსი, ადარბადაგანის ამირთ-ამირამ ყიზილ-არსლან ათაბაგმა თავი სულტნად გამოაცხადა, მაგრამ მალე მულიდების ხელით დაიღუპა. მოკლული ამირას მემკვიდრეობა მის ძმისწულებს მიუთვისებიათ. ძმისწულებს შორის ერთ-ერთს ძმები დაუმარცხებია და მთელი ძალაუფლება ხელში ჩაუგდია. ეს იყო სწორედ აბუ-ბექრი, იგივე აბუბექირი. სწორედ ამავე წელიწადს შირვანში დიდი მიწისძვრა მომხდარა. ამ მიწისძვრას და მის შედეგებს ვერმიშევიც ახსენებს თავის რომანში. ქალაქის ნანგრევებქვეშ მოჰყოლიან თამარის სისხლით ნათესავ შარვანშა ახსართანის ცოლი და შვილები. აბუ-ბექრს, როგორც კი ეს ამბავი შეუტყვია, შირვანის მიტაცება განუზრახავს. დავით აღმაშენებლის დროიდან მოკიდებული შირვანის ბატონი ქართველთა მეფეების ვასალი იყო. შარვანშამ ელჩიონი გამოგზავნა და თამარს აბუ-ბექრის წინააღმდეგ ომში შემწეობა სთხოვა, რაზედაც დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო. ამით გახარებული ახსართანი და მისი სიძე ამირ-მირანი, დიდი ამალითურთ, საქართველოს მეფეს ეახლნენ.

სად იყვნენ თამარი და დავითი ამ დროს?

„ჭალასა აგარათასა“. ძვირფასი სტუმრები მათ ისნის სასახლეში მიიღეს. შარვანშა ახსართანისა და იმისი სიძის დასახვედრად ბრწყინვალე ნადიმი გაიმართა. „შეიქმნა დარბაზობა და დასხდეს ტახტსა ზედა ოქროჭედილსა „თვით“ თამარ, დავით და ძე მათი“, სტუმრებს კი „მიაგებნეს წინა ოვსნი და ყივჩაღნი ახალნი და შემდგომად ჰერნი და კახნი, შემდგომად ქართუელნი და შემდგომად მესხნი და თორელნი შავშ-კლარჯ-ტაოელნი, შემდგომად სომხითარნი, შემდგომად აფხაზნი და სუან-მეგრელ-გურულნი თან რაჭა-თაკუერ-მარგუელითურთ და თვით კარსა ხელისუფალნი და შინაურნი“.

აქ რომ ასეთი ამბავი იყო, საქართველოს ყოველი კუთხივ დაგზავნილი მალემსრბოლები მეფეთა მეფის საიდუმლო ბრძანებას გადასცემდნენ ადგილობრივ მმართველებს. ქვეყანა საომრად ისხამდა აბჯარს...

აბუ-ბექრს ეს ამბავი არ გამოჰპარვია. შეჰყარა დიდი ლაშქარი. დადგა ერანს. ხალიფამ თავისი დროშა, ჯარი და ოქრო მოაშველა. ისე რომ, არავითარი მოულოდნელობა აქ არ ყოფილა. საქართველოს ისიც კი შეეძლო, ეს დიდი ომი თავიდან აეცილებინა, თუკი იკადრებდა და თავის ვასალ შარვანშას დახმარებაზე უარს იტყოდა. გათამამებული აბუ-ბექრი ხომ მხოლოდ შირვანს ემუქრებოდა და არა საქართველოს!

„მაშინ შეკრბეს თამარის წინაშე ყოველნი ვაზირნი, თვით შარვანშაც“. გადაწყდა ათაბაგ აბუ-ბექრისათვის ომის გამოცხადება. თამარ მეფემ „უბრძანა ჭყონდიდელსა ანტონის არა ავითა გულითა, არცა დედაკაცურითა სიტყვითა, არამედ ესრეთ: „ისწრაფეთ დაწერად და მიმოდადევით ბრძანება, რათა მსწრაფლ შემოკრბეს მხედრობა“.

„ლაშქართა წვევის“ რამდენიმე დღის შემდეგ ქართველების იმოდენა ჯარი შეიკრიბა, რომ „სიმრავლითა აღივსნეს მტკურის პირი, ალგეთის პირი, ქციის პირი, ქურდვაჭრის პირი, ესე ოთხნივე მდინარე ტფილისით ყარაღაჯამდის“. ბასილი ეზოსმოძღვარი კი წერს: „ათსა შინა დღესა, ვითარცა გროი შავარდენთა, მოფრინდა ყოველი მხედარნი ყოვლით კერძო, სავსენი სიხარულითა...“

„და წარემართა დავით, წარმძღვანელი ძლისა ცხოვრებისა და შემყრელი დროშისა სვიანად მოხმარებულისა, ბაგრატოანურისა და უფროსღა გორგასლიანურისა“. აი, გავიდნენ შამქორის მიდამოებში. დაზვერვამ მტრის ჯართა სიმრავლის შემაშფოთებელი ცნობა მოიტანა, „და ვითარ სცნა მეფემან და სპათა მისთა, შარვან-შა და ამირ-მირმან და ლაშქართა მათთა, პირველად მხიარულთა და მმადლობელთა ღმრთისათა ახლო პოვნისათვის მტერისა მათისა, დაეცა განკვირვება“.

მტერს მიუდგომელი ადგილმდებარეობის იმედი ჰქონდა. „მაშინ აღიჭურა და შეიჭურა მეფე, შეჯდა ზერდაგსა... ამირ-მირმან მოყმემან, ამღებელმან ჰოროლთამან, შეირტყა მშვილდ-კაპარჭი“.

აქვეა „ვაზირთა უპირველესი“, მეფის შემდეგ პირველი კაცი სახელმწიფოში, მწიგნობართ-უხუცესი ანტონი ჭყონდიდელი. მას, როგორც სამეფოს პირველ მინისტრს, ებრძანა „წარძღუანვა ძელისა ცხოვრებისა, რომელ არს სკიპტრა და ჯაჭუ-ჭურ მეფეთა“.

მხედრობა, მტერი რომ დაინახა, ერთბაშად აღინთო ბრძოლის ჟინით. „...თუ ვითარ ძუელ ოდესმე წინაშე დავითისა ოცდაშვიდმეტნი გმირნი მბრძოლობდეს და მძლეობდეს უცხოთესლთა და ვითარ სპანი ვახტანგისანი, და ვითარ სპანი ახლისა დავითისნი წყობათა დავითისთა...“

მისცეს ნიშანი. ომი დაიწყო. ორ დიდ ნაკადად გაყოფილი ჯარი წინ წავიდა. მეფემ მხარმარჯვნივ დაუაგდო ქალაქი შამქორი და „მოსწრაფე იქმნა განსვლად წყლისა შანქორისასა კერძოსა...“ მეწინავეებმა ბრძოლის ცეცხლი დაანთეს ქალაქის კართან. მტრის სიმრავლემ თავისი ჰქნა. მოიერიშე ქართველებს გაუჭირდათ. „მეფე და რაზმნი მისნი მიზეზითა ბელთა და კაპანთათა დაყოვნებულ იყუნეს. მოუკლეს ცხენი ზაქარია ვარამისძესა და დაუკოდეს სხუათა მრავალთა დიდებულთა“.

ახლა საკითხავია, სად იყო ამ დროს ზაქარია მხარგრძელი? რეზერვში! ვინ დააყენა იქ? აბა, თუ მიხვდებით, კოლეგა მ. შათირიანო!

„ცნეს მხარგრძელთა, ძეთა სარგისისათა, ზაქარია ამირსპასალარმან და ივან მსახურთ-უხუცესმან და წამოემართნეს“.

რა ხდება? ისევე, როგორც შემდეგ ბასიანის ველზე, ამირსპასალარი სხვა დიდებულებთან შედარებით არავითარი პრივილეგიით არ სარგებლობს. ის ძმასთან ერთად დგას თავისი რაზმის წინ და როგორც ერთგულ და მამაც ქვეშევრდომს შეჰფერის, მეფის ნიშანს ელის. განა ეს მცირე პატივია?

ვითომ რაო, ურთულესი ფილოსოფია გამოდის? ეს წაიკითხა და, ნაოფიცრალმა კაცმა, თუკი კეთილი სურვილი ამოძრავებდა, აზრი ვეღარ გამოიტანა?

ზაქარიამ და ივანემ სასტიკი ჩეხვა გააჩაღეს, წერს მემატიანე. ბოლოს მათაც გაუჭირდათ. „მაშინ მიახლებოდა მეფე და მისი რაზმი. დროშა იგი გორგასლიანი, რომელი სინდეთს შესვლითგან მოსპეტაკდებოდა, ყოვლადცა პატივისმცემელ იქნებოდა ზენა იგი განგება და მათ პირველ-მოსრულთა, წახეთქნეს ნახევარი ლაშქართა და რაზმთანი... და რაჟამს (მტრებმა) იხილეს მეფე, ჩაეცა რისხვა ღმრთისა უხილავი და ხრმლები და ჰოროლები მეფისა, რაზმთა მისთა მსრველი... და მეფე იქცეოდა მსგავსად აქილევისა“.

ვგონებ საკმარისია. აქ ისიც გარკვევით სწერია, ვისი დროშა სად იყო და რა დანიშნულებას ასრულებდა და ისიც, თუ ვინ იყო „პირველი პირი ბრძოლის ველზე“, მეფე თუ ამირსპასალარი.

ზაქარიამ და მისმა ძმამ ივანემ ამ დიდ ომშიც და სხვა დიდ და მცირე ომებშიაც საარაკო გმირობა ჩაიდინეს. მათ უშიშრად მიჰყავდათ თავიანთი რაზმები საქართველოს მეფის ძლევამოსილი დროშის ქვეშ და მტერს მუსრავდნენ. მხარგრძელების ქებითა და დიდებით ავსილია ქართული მატიანეები. საქართველოს მეფეები მათ მუდამ წყალობის თვალით უყურებდნენ და ასაჩუქრებდნენ მამულებით, ყმებით, სამხედრო ნადავლის ნაწილით, ოღონდ აზრადაც არავის მოსვლია ან ერთი ან მეორე თავზე წამოესვა და საქართველოს ტახტზე ებატონებინა.

ამირსპასალარ ზაქარიას მამულები თვით საქართველოში ჰქონდა — ლორეს მხარე, სომხითი (იგივე საბარათიანო, ქვემო ქართლის ნაწილი, ოდითგანვე ქართველებით დასახლებული, შემდგომ საუკუნეებში — პირველი სადროშო). ცოტა მოგვიანებით თამარმა ზაქარია სომხეთის შემოერთებული პროვინციების მმართველად, ახალი ტერმინი რომ ვიხმაროთ, გუბერნატორად დანიშნა და საჯდომად ჯერ ლორეს ციხე-დარბაზი, შემდეგ კი სომხეთის ძველი დედაქალაქი ანისი მიუჩინა. მაგრამ ვერმიშევს ეს ეცოტავება. „ზაქარეს“ რად უნდა ვისიმე წყალობა! მან თვითონ, საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტა სომხეთის განთავისუფლება. „თვითონ“ იმიტომ, რომ წიგნში არსად ჩანს ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთა ნება: სურდა მათ ეს თუ არა.

მეფის ვაზირი, რომელიც, როგორც უკვე დავინახეთ, ყველგან და ყოველთვის მეფე დავითის თანაშემწე და მარჯვენა ხელი იყო, თამართან და დავითთან მისვლის და თავისი განზრახვის გამჟღავნების მაგიერ მხითარ გოშთან, სულიერ მამასთან, მიდის და ლოცვა-კურთხევას თხოულობს: სომხეთის გათავისუფლება გადავწყვიტეო. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ: სომხეთს, უფრო კი ანისს, სადაც გიორგი მესამის დროიდან საქართველოს ვასალი ამირა იჯდა, ვისიმე ხელახალი გათავისუფლება აღარ სჭირდებოდა. სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ხელით შექმნილი საიმედო წყარო მოგვითხრობს, რომ ანისის ეპისკოპოსის ბარსეღის თხოვნით გიორგი მეფემ ანისის ამირად მისი ძმა აპირატი დანიშნა. ამის შემდეგ, ვიდრე შამქორის ომამდე, ანისს მტრის ურდოები აღარ მიჰკარებიან. პირველი თავდასხმა არდაველის სულტანმა მოახდინა...

„ზაქარეს“ გული უკვნესის: — „Лазутчики сообщают, голодает народ в Айрарате... Придется мне года на два все налоги и подати с населения сложить... Иначе совсем захудеют черные люди“ (გვ. 343).

აი, კიდევ სად გამოჩნდა, რომ საქართველოს ეს ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალი „ხალხის კაცია“, ქართველ ფეოდალებისაგან განსხვავებით, თავის კლასობრივ ინტერესებზე მაღლა დგას. აქვე ავტორს უნდა შევახსენოთ, რომ „ზაქარეს“ გულჩვილი ფიქრებისა და ქველმოქმედების ამბავი მონაჭორსა ჰგავს. მოსახლეობისათვის სხვადასხვა გადასახადების პატიება ან შემსუბუქება მის კომპეტენციაში არ შედიოდა. ამას თვით დარბაზი და მეფე წყვეტდა. სამაგიეროდ, ისტორიაში სწერია, რომ როცა მეფე გიორგიმ, თამარის მამამ, ანისი სელჩუკთაგან გაათავისუფლა და მოსახლეობა დიდ მატერიალურ გაჭირვებაში ნახა, ბრძანა, სამეფო ხაზინიდან 40 ათასი დრაკჰანი გაეცათ და უკლებლივ ყველა მეკომურისათვის, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებრივი მიდრეკილებისა, დაერიგებინათ. მეფე ზემოხსენებულ წყალობასაც არ დასჯერდა. საკუთარი ხარჯით ტყვეობიდან გამოისყიდა ანისიდან სხვადასხვა დროს წაყვანილი ყველა ქრისტიანი და უცხოთესლი (მაჰმადიანი). ამის მოწამეა სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაელი, რომლის ისტორიის ამონაწერიც ი. ჯავახიშვილს მოჰყავს თავის „ქართველი ერის ისტორიაში“ (ტ. 2, გვ. 232).

ეტყობა, ვერმიშევს „ზაქარეს“ ქველმოქმედება ამ ისტორიულმა ფაქტმა შთააგონა, მაგრამ ისე, აბა, როგორ იზამდა თუ მას ერთს — საქართველოს მეფეს — არ წაართმევდა და გარკვეული აზრით და მიზნით მეორეს — ამირსპასალარ ზაქარიას არ მისცემდა. რა გაეწყობა, თამარის ბრძანებისა არ იყოს, მე არ მიძლავს აჩრდილისა მრუდისა ხისა განმართვად...

ვის ჯარებს სარდლობდა ზაქარია? რასაკვირველია, საქართველოს ჯარებს. მთელი წიგნი თითქოს ამაზეა დაწერილი, მაგრამ ის ჯარი, რომელიც მეორე თუ პირველი სამშობლოს გამოსახსნელად ამირსპასალარს სომხეთში მიჰყავს, საქართველოს კი არა, უბრალოდ, „ქრისტიანეთა ჯარია“ (გვ. 345).

რად უკანკალებს ავტორს ხელი? რად ენანება მოძმე ქართველი ხალხის მისამართით კეთილი სიტყვა გაიმეტოს? იქნებ ესეც მეგობრული ჟესტია და ჩვენ კი, მიუხვედრელნი, ვერაფერს ვხვდებით?

საკვირველი ის არის, რომ სამშობლოს გასათავისუფლებლად მიმავალ რაინდს ყოფილი სატახტო ქალაქის ასაღებად ერთი ისრის გასროლაც არ დასჭირვებია. ქალაქის გასაღები ჭიშკართანვე მოართვეს. ეს, რასაკვირველია, ასეც იქნებოდა. მეფის მოხელე თავისი ჯარით მოვიდა სამსახურის ადგილზე. აქ მას ომს ვინ გაუმართავდა! მაშ, რა საჭიროა მთელ ამ ამბავს „სომხეთის გამათავისუფლებელი ლაშქრობა“ ვუწოდოთ? ვინ მოვატყუოთ და რისთვის?

როგორ ხსნის და სახავს მთელ ამ ამბავს ისტორია?

აი, როგორ: ჯერ ლორე, ხოლო შემდეგ ანისი — სომეხ ბაგრატიდთა ყოფილი სატახტო ქალაქი, მე-12 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ამირსპასალართა საგანმგებლო და სამსახურის ადგილი იყო. ეს გახლდათ ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ მეფე გიორგი მესამემ ამირსპასალარი ივანე ორბელი „საჯდომად“ ანისში გაამწესა. აქ „იჯდნენ“ სხვა შემდგომი ამირსპასალარებიც: ყუბასარი, სარგისი, გამრეკელ-თორელი, ზაქარია, ივანე და სხვ. ხუტლუ-არსლანმა რომ ცნობილი აჯანყება მოაწყო და ამირსპასალარობა განიზრახა, თვალი ანისზე ეჭირა. თვით ეგრისის ბატონი მსახურთ-უხუცესი ვარდან დადიანი ან ვარდანის რომელიმე შთამომავალი მეფეს რომ ამირსპასალარად დაენიშნა, მას სამეგრელო უნდა დაეტოვებინა და სამსახურის ადგილზე — ანისში უნდა დამკვიდრებულიყო.

ანისში შესვლის დღიდან საქართველოს მეფის ნაცვალს თავისი უშუალო ქვეშევრდომები, ისევ და ისევ ავტორის დაჟინებით, „ველიკი გოსუდარს“ — დიდ ხელმწიფეს უწოდებენ.

როგორ გავიგოთ ეს? ნუთუ საჭიროა ახსნა, რას ნიშნავს ეს გამოთქმა?

ავტორი ისე შეპყრობილია თავისი გმირის „გამათავისუფლებელი მისიით“ რომ აქაც არ ჩერდება და მას „მეფეთა-მეფედ“ ნათლავს. საიდან, როგორ და რა უფლებით? ვერმიშევს ეს კითხვები არ აწუხებს და საჭიროდაც არა სთვლის მათზე პასუხის გაცემას, რითაც მწერალ მ. შათირიანის თავშეუკავებელ აღფრთოვანებას იწვევს.

„ზაქარეს“ სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის „ანისის პერიოდი“ მთლიანად ზღაპარია. იგი აღწერილია სათავგადასავლო რომანისათვის დამახასიათებელი მხატვრული საშუალებებით და ისტორიულ სინამდვილესთან, ან უბრალოდ, მხატვრულ სიმართლესთან საერთო არაფერი აქვს. ამიტომაც ძნელია მისი ტყუილ-მართალი პირველწყაროებთან შეჯერებით გამოვარკვიოთ.

მაინც რა არის აქ მთავარი? ავტორს სურს წარმოგვიდგინოს, რომ „ზაქარემ“ სომხეთში, მართალია, „ფედერაციაში შემავალი“, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი სამეფო შექმნა და ამავე დროს სხვა სახელმწიფოს — საქართველოს ამირსპასალარობაც შეინარჩუნა. ეს წერილი დასასრულს უახლოვდება და, როგორც ჩანს, ისევ თავიდან უნდა დავიწყოთ.

— გახსოვს, მკითხველო, მწერალმა მ. შათირიანმა საქართველოს სამეფოს შიგნით „ცენტრიდანული“ ძალების დათრგუნვა რომ ახსენა და ამ გზით აბსოლუტური მონარქიის განმტკიცება პროგრესულ მოვლენად მიიჩნია და იგი ძლიერი ქართველი მეფეების — დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამის და თამარის დიდ დამსახურებად ჩასთვალა? თუ ქართველ ფეოდალთა მხრივ განკერძოებულობისაკენ მისწრაფება, ე. წ. „ცენტრიდანული ძალები“ საქართველოს ფეოდალურ სახელმწიფოში რეაქციული მოვლენა იყო და ყველა ძალით იდევნებოდა, რადგან მათი გაძლიერება და გამარჯვება ცენტრალიზებული სახელმწიფოს დასუსტებას და დაცემას გამოიწვევდა, განა მდგომარეობა რითიმე სხვა სახეს მიიღებდა, თუ „ქართველ ფეოდალს“ იგივე საქართველოს მეფის ქვეშევრდომი არაქართველი, ვთქვათ, სომეხი ფეოდალით შევცვლიდით? ეს ხომ ისე გამოვა, როგორც დიდ მათემატიკოსს ისააკ ნიუტონს მოუვიდა — კედელში რომ ორი ნახვრეტი გააკეთა: ერთი — დიდი კატისათვის მეორე კი პატარა კატისათვის...

ყოველმა მეხუთე კლასის მოსწავლემ იცის, რომ დიდი თუ მცირე „ცენტრიდანული“ ძალა, რა ეროვნული წარმოშობის ფეოდალიც არ უნდა იყოს მისი მატარებელი, მეფის ცენტრალიზებულ ხელისუფლებას დაემუქრებოდა და ძლიერი და ჭკვიანი მეფის მახვილით ძირშივე იქნებოდა მოკვეთილი. აქ ლაპარაკია საქართველოს და რომელიც გნებავთ ფეოდალური სახელმწიფოს ცალკეული სამთავროებზე, ხოლო რაც შეეხება „სახელმწიფოს“ აღმოცენებას სახელმწიფოს შიგნით, საქართველოს გაერთიანებული სამეფოს ქართველ-სომეხთა თუ სომეხ-ქართველთა ფედერაციად გადაქცევას, ახალი „დიდი ხელმწიფისა“ და „მეფეთა-მეფის“ ტიტულის გაჩენას, ამაზე ლაპარაკი მხოლოდ აბსოლუტური უმეცრება, წყლის ნაყვა და საერთოდ ზედმეტია. მსგავსი რამ საქართველოს ისტორიაში არ მომხდარა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო. თავისი ახირებული იდეის სასარგებლოდ ავტორს და მის ფეხს აყოლილ მწერალ მ. შათირიანს არ შეუძლიათ მოიყვანონ თუნდაც ერთი საბუთი ათასისა და ათი ათასის წინააღმდეგ!

რა მოელოდა მეფის წყალობით ყელამდე სავსე „ზაქარეს“, თუ დიდებულები, სამეფო კარი და თვით მეფე დავით სოსლანი განცალკევებულობისაკენ ლტოლვას შეამჩნევდნენ? ის, რაც გუზან ტაოელს მოუვიდა: მანამ დასთხრიდნენ თვალებს, ან ძელზე გასვამდნენ, ვიდრე გულმოწყალე თამარი თავისი სახელოვანი ამირსპასალარისა და ანისის გუბერნატორის განდგომისა და ღალატის ამბავს შეიტყობდა და ბრძანებდა, შეუნდეთო. ამიტომ ყველაფერი, რაც რომანში „ზაქარეს“ გვირგვინოსან თუ უგვირგვინო მეფობას უკავშირდება, მთლიანად ავტორის ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფია და ამ მიმართულებით მასთან კამათს აღარ გავაგრძელებთ.

მხოლოდ ძნელია დუმილით გვერდი აუარო .ერთ ზღაპრულ სასაცილო ამბავს. ანისის კეთილშობილ „მეფეთა-მეფე“ ზაქარეს ღმერთმა, როგორც თავის რჩეულს, ძღვენი გამოუგზავნა რამდენიმე ათეული ფუთი ოქროს ზოდების სახით, რომელიც საქართველოს ამირსპასალარს მისთვის გადაგებულმა გ. ვერმიშევმა ჯერ სომხეთის მეფეების, შემდეგ კი ქურთი შედადინების ნაქონი სასახლის სარდაფში აპოვნინა. აი, სად აღმოჩნდა რესურსები ქვეყნის დამოუკიდებლობის და „знаменитая армянская конница“-ს აღსადგენად! ნაპოვნი აურაცხელი განძის ამბავი, ხუთ

სომხეთისოდენა სახელმწიფოს რომ ააშენებდა და ხურდაც ბლომად მორჩებოდა, „ზაქარესა“ და მისი ერთგული კაცების გარდა, არავინ იცის. გულმართალი, უანგარო რაინდი, თამარის ტახტის უსაზღვროდ ერთგული კაცი, „ზაქარე“, ამ განძს თავისი კერძო ეროვნული, ანუ სხვანაირად, პარტიკულარისტული მიზნებისათვის იყენებს.

როგორ მოგწონთ, მკითხველო, გ. ვერმიშევის მიერ დახატული გმირის გულმართლობა? ღმერთმა ნუ ქნას, ნამდვილი ისტორიული ზაქარია მხარგრძელი, მართლაც უებრო ვაჟკაცი და მოქალაქე, ასეთი ქვემძრომი, კრუსივით ოქროებზე გადამჯდარი ვერაგი პიროვნება ყოფილიყოს! ბარაქალა ვერმიშევის გულმოდგინებას! მოეხვია და ნეკნი ჩაამტერია...

მკითხველის არანაკლებ განცვიფრებას იწვევს სხვა ამბავი. ვიდრე სიტყვა საქართველოს სახელმწიფო მმართველობას შეეხებოდა, სჯულმდებელი მხითარ გოში და თვით ზაქარია ამ უკანასკნელიდან ქართული წარმოშობის მოხელეთა დათხოვნას და მათ ადგილზე არაქართველთა აყვანასა და დაწინაურებას ბუნებრივ მოვლენად თვლიდნენ. ერთგან, წიგნის 375-ე გვერდზე, „ზაქარე“ აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობა სულ ოთხი ვაზირისაგან შედგება. ესენია: ამირსპასალარი, მანდატურთ-უხუცესი, მსახურთ-უხუცესი და მეჭურჭლეთ-უხუცესი. ნუ შევუდგებით გარჩევას, სრულია თუ არა ეს სურათი და სინამდვილეს შეეფერება თუ არა ვაზირების თანმიმდევრობა. თვით ზაქარეს მოვუსმინოთ: „Я — амирспасалар армян и грузин, т. е. военный вазир, а так-же мандатурт-ухуцес, это значит вазир внутренних дел. Брат-же мой, князь Иванэ — вазир царского двора. Место-же царского казначея пока свободно“ (გვ. 375).

ე. ი. რაო? საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებას ოთხი ვაზირი ახორციელებს, აქედან პირველი ორი ვაზირის სახელო მე მიჭირავს, ერთისა ჩემ ძმა ივანეს და მეოთხე ვაზირის ადგილი კი ჯერჯერობით თავისუფალიაო. საბოლოოდ რაო? ეს საქართველო დღეს მე და ჩემი ძმის საბრძანებელია და მერე ვნახოთო.

სჯულმდებელ მხითარ გოშს ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. ისიც ზუსტად ამავე აზრისაა. მაგრამ აი, „მეფეთა-მეფე“ ზაქარემ „ქრისტიანეთა ჯარების“ შემწეობით სომხეთის ყოფილი სამეფო „აღადგინა“! (რაც, სხვათაშორის, არც მაშინ და არც შემდეგ არ მომხდარა). როგორი უნდა იქნეს აქ, ანისში, სახელმწიფო მმართველობა? სომეხი დიდებულები უნდა გარეკონ და ძალაუფლება „უცხოთესლს“ უნდა ჩააბარონ? ნურას უკაცრავად! ეს უკვე თბილისი არავის ეგონოს!

მხითარ გოში მოწიწებით მიმართავს სამშობლოს მხსნელს, „ახალ ალექსანდრეს“ (გვ. 346): „Как поступить ныне соизволишь, Закарэ? По „закону крови“ все армянские области, освобожденные твоей десницей (??) твоими властным правителем (sic) Армении стано-

властным правителем (Sic) Армении становишься“ (გვ. 352).

აა, ხედავთ? სომხეთი განუყოფლად — უნდა ეკუთვნოდეს სომხებს. ამას ამბობს „ზაკრე ქროთე“. სომხეთის სათავეში „Полновластный правитель“ — სრული უფლებებით აღჭურვილი სომეხი მმართველი უნდა იდგეს.

ერთი წამითაც ნურავინ იფიქრებს, თითქოს ამ სტრიქონების ავტორს „Закон крови“-ს საწინააღმდეგო რაიმე ჰქონდეს. მხოლოდ იმისთვის ვიღწვით, რომ მისი პრინციპი როგორმე სხვა ერების მიმართაც გამოვიყენოთ, მითუმეტეს თუ ამ ერებს, მაგალითად, ქართველებს, იგი თვით ნამდვილი მხითარ გოშისაგან დამოუკიდებლად განხორციელებული ჰქონდათ.

გ. ვერმიშევის მიერ დახატულ მხითარ გოშს, სამართლიანობისა და კეთილგონიერების ცოცხალ განსახიერებას, „ზაქარესათვის“ სომხეთიც ეცოტავება. ერთი სიტყვით, აღარ არის საშველი! „Вся сила обоих царств (??) в твоих могучих руках... И разве не течет у тебя в жилах кровь васпураканских царей — Арцрунов?“ (გვ. 352).

აქ კი, ეტყობა, ყურები ცომით უნდა ამოვიგლისოთ, თუარა ავტორი თავისი გმირის პირით იმასაც იტყვის, ზაქარე რომის იმპერატორი იყო და ექვსი ტრიუმფი ზედიზედ გადაიხადაო.

ყურადღებას იქცევს ანისის გუბერნატორის მიერ კილიკიის სომხეთის მეფესთან ლევონთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ელჩების დონეზე, რაიც საღ გონებას, საამისო ისტორიული საბუთების უქონლობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, არა და არ ეთანხმება. როგორ შეეძლო, მაგალითად რაჭის ერისთავს კახაბერ კახაბერისძეს ან სვანეთის ერისთავს ვარდანისძეს, თუ ის ქვეყნის მოღალატე არ იყო, საქართველოს მეფეთ-მეფისაგან დამოუკიდებლად, უცხო სახელმწიფოში ელჩები გაეგზავნათ და მოლაპარაკება დაეწყოთ? ზაქარეს, როგორც ფეოდალს, ხომ ზუსტად იგივე მდგომარეობა ეჭირა, არც მეტი, არც ნაკლები!

ახლა უცხოეთიდან გამოგზავნილი პასუხების შინაარსს აღარ იკითხავთ? „Послание царя Левона Закарэ (?) великому полководцу и шаханшаху восточных стран...“ (გვ. 391). „Боголюбивому правителю Аиастана...“ „Знаменитый полководец и правитель Восточной Армении...“

აბა, როგორ გინდა გაიგო, ნამდვილად ვინ იყო ეს კაცი? რომელი „აღმოსავლეთის ქვეყნების“ შაჰანშაჰია, ესე იგი „მეფეთა-მეფე“? სომხეთისა და საქართველოსი ხომ არა? ამას გარდა, კიდევ რომელ ქვეყნებს ფლობს და განაგებს „აღმოსავლეთში“? ჩვენ, ვინც საქმეს ასეთუ ისე გაცნობილი ვართ, ამავე წიგნის მიხედვით, სხვა რამ კიდევაც რომ არ წაგვეკითხა და ამის ამარა დავრჩენილიყავით, ხომ ვიცით — „ზაქარე“ სინამდვილეში საქართველოს ჯარების ამირსპასალარი და ყოფილი სომხეთის სამეფოს ერთი პატარა ოლქის ადმინისტრაციული მმართველია. მაშ, თუ

ასეა და რომ ეს ასეა, მოწმედ თვით გ. ვერმიშევი და მწერალი მ. შათირიანი მოგვყავს, სკამებს რაღასთვის ვამტვრევთ და ისედაც გულაგწყალებულ მკითხველს თვალებში ნაცარს რისთვის ვაყრით?

მართალია, „ზაქარე“ თამარის კარის მანდატურთ-უხუცესია, რაც თანამედროვე ტერმინოლოგიით სახელმწიფო უშიშროების მინისტრს ნიშნავს, მაგრამ უცხო სახელმწიფოებში მსტოვრებს თავისი სახელით, როგორც სომხეთის მმართველი, აგზავნის. „ზაქარეს“ მსტოვარი ხეთუმიანი, ვითომდა სოვდაგარი, ასე გასინჯეთ, ვატიკანშიაც კი მოხვდება, რაღაც მანქანებით პაპ ინოკენტი მესამეს მოინახულებს და „სომხეთის მეფეთა-მეფის“ ამბავს მიუტანს.

გ. ვერმიშევს საქმე ისე აქვს წარმოდგენილი, რომ რა ხდება „აღმოსავლეთში“ ან რა ქვეყნებია იქ, ვინ მეფობს და ა. შ. დასავლეთ ევროპაში არ იციან, რაც, რასაკვირველია, სინამდვილეს ოდნავადაც არ შეეფერება. ავტორის მისწრაფებათა ერთგული ხეთუმიანი მასპინძლების გაუთვითცნობიერებლობით სარგებლობს და პაპსა და კარდინალებს ათასი გაუგონარი ტყუილით ბერავს. უბედურება ის გახლავთ, რომ ამ ტყუილებისა თვით ავტორსაც სჯერა და მკითხველს უშენიშვნოდ აწვდის.

პაპის ყურამდე მისულა შამქორის ველზე სპარსელთა უდიდესი მხედრობის დამარცხების ამბავი. ის ხეთუმიანს ეკითხება: „Правда, что ваши (?) войска одолели саранцев в большой битве?“ რას პასუხობს ამაზე „სომხეთის მეფეთა-მეფის“ მსტოვარი ხეთუმიანი? „Сущая истина, ваше святейшество... Семь лет истекли с того дня, как наше (როგორ გავიგოთ? ვინაა ეს „наше“?) христолюбивое войско (ვითომ საჭირო არ არის უფრო კონკრეტულად დასახელება? მაგრამ ინოკენტიმ იცის, ხეთუმიანი ვინც არის. მაშასადამე, იგულისხმება სომხეთის ჯარი, რომელიც ამ დროისათვის ბუნებაში არ არსებობდა!) под командованием великого Закарэ (?) разбили бесчисленные полки нечестивого короля Абу-Бекра“ (გვ. 476).

რა ვუწოდოთ ამას, თუ არა საფლავების ძარცვა? მოყვანილი პირველწყაროებით ჩვენ ხომ ვიცით, რომ ბრძოლის ველზე აბუ-ბექრის განადგურების დიდება სხვა ისტორიულ პირს, კერძოდ, მეფე დავით სოსლანს ეკუთვნის! მაშ, როგორღა ხერხდება სხვის ჯიბეში ხელების ფათური და სხვისი საკუთრების, ამ შემთხვევაში ბრძოლით მოპოვებული დიდების, საკუთარ ქონებად გამოცხადება? და სად ხდება ეს? საბჭოთა კავშირში, ჩვენს თვალწინ! რაღას იზამენ მწერალ მ. შათირიანისამებრ ვერმიშევის ფეხისხმას აყოლილი მეცნიერები და ლიტერატორები საზღვარგარეთ, სადაც სინამდვილის განმკითხავი, შავისა და თეთრის გამრჩევი თითქმის არავინ არის?

ავტორის მიერ დიდი სიმპათიით დახატულ ამ გაიძვერა და უსინდისო მსტოვარს ერთი სიტყვაც არ დასცდენია, რომ იქ, „აღმოსავლეთში“, არის ძლიერი საქრისტიანო სახელმწიფო საქართველო, რომლის ტახტზეც მეფე თამარი ზის და რომ „სომხეთის შაჰანშაჰი“ თამარის კარის მოხელე და ერთგული ქვეშევრდომია. ის თუ პატიოსანი კაცი იყო, პატრიოტი, თავისი ხალხის პატივისმცემელი, რასაკვირველია, ავტორთან ერთად, და არა ავანტიურისტი და არამზადა, მხოლოდ ასე მოქცევა მართებდა და არა რაღაც მითების გავრცელება უცხოელების გასაბრიყვებლად და თვალებში ნაცრის შესაყრელად.

თუ არადა, რა გამოვიდა? შამქორის ომი არა საქართველოს, არამედ სომხეთის ისტორიის ნაწილი ყოფილა, ისევე, როგორც ბასიანის ომი და სხვა დიდი და მცირე ომები, რომლებიც თამარის საქართველომ მე-12-მე-13 საუკუნეებში გადაიხადა. აქამდე ჩვენ ვიცოდით, რომ ადამიანს შეიძლება მოჰპარო ან წაართვა ნივთი, ვთქვათ, საათი, პორტფელი, ველოსიპედი, თვით ავტომანქანაც კი, მაგრამ ისტორიის მოპარვა და უტიფრად მითვისება აქამდე არავის გაეგონა.

რა გავლენას ახდენდა პაპზე ხეთუმიანის მისტიფიკაცია?

„Инокентий в изумлении поглядел на армянского купца... Гарегин стал охотно рассказывать о горах Армении, о ее городах и смелых обитателях, о богатых торговых городах“ (გვ. 477).

რაღა თქმა უნდა, გარეგინი პაპის „უცოდინრობით“ სარგებლობს და თავის მოთხრობაში საქართველოს სომხეთად აცხადებს, საქართველოს სამეფოს — სომხეთის სამეფოდ, ქართველ ხალხს—სომეხ ხალხად. როგორც ზემოთ თვალნათლივ დავინახეთ, ამ დროს სომხეთის ყოფილი სამეფოს მიწები საქართველოს სამეფოს ისევე განუყრელი ნაწილი იყო, როგორც შუა ქართლი, ქიზიყი ან მარგვეთი და როგორ შეიძლება ხეთუმიანს ამდენი ელაპარაკოს ნაწილზე და სიტყვაც კი არ დაეძრას მთელის შესახებ?

ამგვარად, გ. ვერმიშევმა ამოსწურა ყველა მიწიერი საღებავი, რის გამოყენებაც კი შეიძლებოდა მისი ჩანაფიქრშივე გაიდეალებული გმირის „ზაქარეს“ დასახატავად. კიდევ რაღა დარჩა? დარჩა ერთი რამ: „ზაქარეს“ უნდა ეწოდოს ღმერთი! და როგორ გგონიათ? ის ასეც მოიქცა. წიგნის 524-ე გვერდზე ვკითხულობთ: „Нет более могучего и славного рыцаря на свете!.. Когда он едет на коне впереди своих латников, мнится, сам бог Марс снизошел на землю!“

რად მოხდა ეს? რად დაკარგა ავტორმა წონასწორობა და მართლაც და დაუკრეფავში რად გადავიდა? საქვეყნოდ განთქმულ მოლასავით მან პირველმა დაიყვირა, სასაფლაოზე ფლავს არიგებენო და რა დაინახა, ყველა იქით მირბოდა, თვითონაც დაეშვა, ვაითუ მართლა არიგებენო, დასტაცა ქვაბს ხელი და ხალხს უკან გამოენთო.

გ. ვერმიშევის ბელეტრისტული ისტორიის მადლი ხომ ვიგემეთ. მოდით, ახლა სტ. ზლობინის ტალანტის ჭაშნიკიც გავსინჯოთ. რას წარმოადგენს მისი წინასიტყვაობა, რომელიც ამ წერილის დასაწყისში

ვახსენეთ? ამის ნათელსაყოფად, ვფიქრობთ, ორიოდე ამონაწერის მოყვანაც სავსებით საკმარისი იქნება. იქ საბოლოოდ დადგენილი მეცნიერული ჭეშმარიტების პრეტენზიით ცხადდება, რომ საქართველოს სამეფოს „Главным военно-историческим деятелем этого времени и является армянский князь (?) Мхаргрдзели“ (?) იქვე წინასიტყვაობის ავტორი მთელი პასუხისმგებლობით აღნიშნავს: „Ведь кого только легенды (?), а за ними и писатели (?) и поэты (?) не превращали в любовника (?) царицы Тамар — и поэтов ?) и епископов (?) и царевичей! (?)... Если снять всю эту полуфольклорную (?) шелуху...“ და ა. შ. სულ ბოლოს კი: „Роман дополнен серьезными и продуманными примечаниями, что подтверждает его документальную достоверность и историческую научную подгатовленность автора“.

სტ. ზლობინი ამჟამად ცოცხალი აღარ არის. იგი წიგნის გამოსვლამდე გარდაცვლილა. ძველი ლათინური ანდაზა გვასწავლის, რომ მიცვალებულზე ან კარგს ამბობენ ან არაფერს. როგორ მოვიქცეთ? გვირჩევნია, ისევ არაფერი ვთქვათ...

რაც შეეხება გ. ვერმიშევის მიერ წიგნისათვის დართულ „სერიოზულ, მოფიქრებულ შენიშვნებს“, როგორც სტ. ზლობინი გვეუბნება, მათ „სერიოზულობასა“ და „მოფიქრებულობას“, თვით „ღრმა მოფიქრებულობასაც“ კი ვერ წაართმევ. ოღონდ ახლა ისიც უნდა ვიკითხოთ, საით, რისკენაა მიმართული ეს „სერიოზულობა“ და „მოფიქრებულობა“? ისევ და ისევ ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის დამცირებისა და გაყალბებისაკენ. სხვა გზა გ. ვერმიშევს არა აქვს და არცა სურს ჰქონდეს.

საყოველთაოდ ცნობილია, მაგალითად, რომ საქართველოს დედაქალაქი თბილისი მეხუთე საუკუნეში დააარსა მომხვდურ დამპყრობთა რისხვამ, ბრძენმა მეფემ ვახტანგ გორგასალმა. ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისმა თავისი დაარსების ათას ხუთასი წლისთავი იდღესასწაულა. თურმე ნუ იტყვით, ქართველებს, თვით ხალხს, რადგან ახლა ექსპლოატატორული კლასები აღარ არიან, ეს ზეიმი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის შესაცდენად მოუწყვია, რადგან ვახტანგ გორგასალი, ვისაც ისინი თავიანთი დედაქალაქის დამაარსებლად თვლიან, ნამდვილად მეექვსე საუკუნის მოღვაწე ყოფილა და არ მეხუთე საუკუნისა! არა გჯერათ, რომ ეს ასეა? მაშ, გადაშალეთ წიგნის 53-ე გვერდი და იქ წვრილი შრიფტით აწყობილ სქოლიოში წაიკითხავთ.

რა შეეშალა აქ ჩვენს ავტორს? ის რომ საქმეს მართლაც სერიოზულად და კეთილსინდისიერად მოჰკიდებოდა, შეეძლო ჩაეხედა მეხუთე საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ლაზარე ფარპეცის თხუზულებაში და იქ ამოეკითხა, რომ 482 წელს სპარსელთა წინააღმდეგ აჯანყების დროს ქართლში, რომელსაც სომხებიც მიემხრნენ, ვახტანგ გორგასალმა მოჰკლა ვარსქენ პიტიახში და ამის შემდეგ თავი დროებით ეგრისს შეაფარა.

რომელი საუკუნეა 482 წელი? მაგრამ რაცა ტყუილებით სავსე ამდენი გუდა ავტორმა მოთმინებით აღჭურვილი მკითხველის ცხვირწინ გამოუტანია, თბილისის დაარსების ერთი საუკუნით აქეთ გადმოწევა განა სახსენებელია?

ორიოდე მოკრძალებული სიტყვა გ. ვერმიშევისა და მწერალ მ. შათირიანისათვის ეგზომ საინტერესო საკითხზე — მხარგრძელების ეროვნულ წარმოშობაზედაც უნდა ითქვას, რასაც სტ. ზლობინი დიდი ხნის წინათ გადაწყვეტილ პრობლემად თვლის. მართლა სომხები არიან მხარგრძელები, როგორც გ. ვერმიშევი, სტ. ზლობინი და მწერალი მ. შათირიანი გვიხატავენ, თუ სხვა ვინმე?

ამ საკითხის გარშემო სომხურ და ქართულ ისტორიოგრაფიაში სპეციალისტებს დიდი და ნაყოფიერი კვლევა-ძიება ჩაუტარებიათ, მაგრამ უტყუარი საბუთი, რომელიც მეცნიერებს შორის კამათსა და დავას ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტდა, ჯერ კიდევ არ არის მოპოებული. ისტორიის პირველწყაროების მიხედვით დანამდვილებით ცნობილია, რომ ზაქარიაც და მისი ძმა ივანეც, რომელიც უფროს ძმაზე არანაკლები ლომგული ვაჟკაცი და თავისი დროის უგანათლებულესი პიროვნება იყო (მან, თამარის კარის მსახურთუხუცესმა, ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ ათაბაგობა და ამირსპასალარის სახელო მიიღო) თავს გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრებად თვლიდნენ. ქართველ-სომეხ საეკლესიო მოღვაწეთა ცნობილი პაექრობის შემდეგ, სომეხ ქვეშემრდომთა დიდ ჯგუფთან ერთად, ივანემ მართლმადიდებლობა, ე. ი. ქართული ეროვნული სარწმუნოება მიიღო.

აკადემიკოს ს. ჯანაშიას თავის შრომაში „Об одном примере искажения исторической правды“ (по поводу книги Н. Токарского „Архитектура древней Армении“) მოჰყავს საგულისხმო ცნობა მხარგრძელების ეროვნული წარმოშობის შესახებ. 1255 წელს საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო მეცხრის ელჩს რუბრუკს მონღოლთა ყაენთან მოლაპარაკების შემდეგ სომხეთზე გაუვლია და ზაქარია მხარგრძელის შვილი შანშე მოუნახულებია მის ერთ-ერთ მამულში. მეცნიერი თავისი შრომის 41-ე გვერდზე წერს: „Рубрук характеризует Шаншэ, как „одного из могущественнейших некогда грузин, ныне данника татар“.

პირადად მე ეს არ მიმაჩნია მხარგრძელთა „ქართველობის“ დამამტკიცებელ საკმაო საბუთად. რა დასკვნამდე მივდივართ? რა ვიცით, საბოლოოდ, მხარგრძელების ეროვნული წარმოშობის შესახებ? არაფერი. ისტორიას ჯერ კიდევ არ მოუპოვებია წყარო, რომელიც ამ საკითხს დამაკმაყოფილებელ და კატეგორიულ პასუხს გასცემდა. გვრჩება მხოლოდ სარწმუნოება, მარტოოდენ სარწმუნოების მიხედვით კი ამათუ იმ ისტორიული პირის ეროვნული წარმოშობის დადგენა ყოვლად შეუძლებელია. ივანე მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო, მაგრამ განა შეგვიძლია ის ამის გამო ქართველად ვაღიაროთ? რასაკვირველია, არა! ზაქარია გრიგორიანელი იყო და გრიგორიანელადვე დარჩა. რა უფლებით შეგვიძლია მისი სომხად

აღიარება? მხოლოდ იმ უფლებით, რა უფლებითაც ქართლის ერისთავთ-ერისთავი აბულასანი „არწრუნად“ ვაქციეთ და „მისი ძმა“ ბარსელი თბილისის „ლურჯი მონასტრის“ ამშენებლად გამოვაცხადეთ.

კათალიკოს მიქაელს, ვინც სომეხ-ქართველთა საეკლესიო პაექრობის მთავარი ფიგურა იყო და თავისი მჭევრმეტყველებით ბევრი გრიგორიანელი დამსწრე მოხიბლა და გადაიბირა, მათ შორის მსახურთ-უხუცესი ივანე მხარგრძელი, გ. ვერმიშევმა „ჯეროვანი პასუხი“ შვიდნახევარი საუკუნის შემდეგ მიუზღა. ბოღმით ავსებული ავტორის შურისძიებას ვერც თვით ივანე გადაურჩა. როგორ გაბედეს და „მაშინ“ ისე მოიქცნენ? რით გამოიხატა გ. ვერმიშევის შურისძიება, არა წინწკლებში, არამედ პირდაპირი გაგებით? კათალიკოს მიქაელს „ვეცხლისმოყვარეობა“ და აშკარა მექრთამეობა დაბრალდა, ხოლო მეორეს — ივანე მხარგრძელს — სახელმწიფო მოღვაწისათვის ერთობ შეუფერებელი მანკიერება: გონებაშეზღუდულობა და კარიერიზმი...

ერთი რამ აგრეთვე ყოველგვარი დავის გარეშე დგას: ორივე მხარგრძელი, ზაქარიაც და ივანეც, საქართველოს მეფის მინისტრები, ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების დიდი თანამდებობის პირები იყვნენ და მათ მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრება და სიცოცხლე საქართველოს მეფეთა ტახტის გაძლიერებას და ქართულ საქმეს შესწირეს. მთავარი, მე მგონია, ეს არის და არა ის, თუ ვინ იყო მათი მამა-პაპა, ქართველი თუ არაქართველი. „სისხლის სიწმინდის“ ამგვარ ძიებას ერთი ავად მოსაგონარი პიროვნება მიმართავდა დასავლეთ ევროპაში, მაგრამ, როგორც ვიცით, მისი ნახევრად დამწვარი მძორი საბჭოთა მეომრებმა საიმპერიო კანცელარიის ეზოში ნახეს, როცა ბერლინის თავზე პროგრესული კაცობრიობის დროშა აფრიალდა.

ვინ იყო დიდი სარდალი პეტრე ბაგრატიონი, ქართლის მეფის იასეს შთამომავალი, სისხლითა და ხორცით ქართველი, ვინც თავისი სახელი უჭკნობი დიდებით შემოსა ბოროდინოს ველზე? რუსი გენერალი, რუსეთის არმიის ძლევამოსილი მხედართუფროსი. განა დღეს ამაზე ვინმე დავობს?

ვინ იყო ნიკოლოზ გოგოლი? წარმოშობით „მალორასიელმა“ დიდმა მწერალმა, რომლის სული მშობლიური უკრაინის ხილვებითაა სავსე, ყველა თავისი სწორუპოვარი ნაწარმოები რუსულ ენაზე შექმნა და რუსული მწერლობის გიგანტად იქცა. განა ამის გამო, ვინც სულით ავადმყოფი არ არის, ვინმე დავობს?

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ გ. ვერმიშევის წიგნის „ამირსპასალარის“ აბსურდულ კონცეფციათა ერთობ მცირე ნაწილს შევეხეთ, რადგანაც არ შეიძლება დაუსრულებლივ ვილაპარაკოთ, წერილი თითქოს აქ უნდა დაგვემთავრებინა, მაგრამ გადაუდებელ გარემოებათა გამო, ცოტა ხნით კიდევ მივიპყრობთ მკითხველის ყურადღებას.

განზრახ ბოლოსათვის შემოვინახეთ „ზაქარეს“ პირიდან გადმოფრქვეული მარგალიტები, რომლებშიაც განცხადებულია აწ უკვე „სომხეთის მეფეთა-მეფის“ მიზნები და სანუკვარი ოცნებანი. აი, ისიც:

„Не будет мне ни сна, ни покоя до той поры, пока Армению великую — державу наших предков в прежных пределах не восстановлю“ (გვ. 354).

სამწუხაროდ, ის ამ ადგილას ჩერდება და თავისი „სამეფოს“ მეზობლებს კონკრეტულ ტერიტორიულ პრეტენზიებს არ უყენებს, თუმცა ეს „პრეტენზიები“ ზოგადად უკვე წამოყენებულია.

რა უნდა ეწოდოს ამას თუ არა ბოდვა? რა უნდა დაერქვას, გარდა, რბილად რომ ვთქვათ, ავადმყოფური ახირებისა, რომელიც მოსკოვის სამხედრო გამომცემლობამ, ვითარცა „документальная достоверность“ 65 ათასი ტირაჟით გაავრცელა? რა ასოციაციას იწვევს ავტორის მიერ „ზაქარეს“ პირით წარმოთქმული სიტყვები, მკითხველო, ისევ და ისევ საიმპერიო კანცელარიის ეზოში ნაპოვნი გარუჯული გვამი ხომ არ გახსენდებათ?

რომანში პერსონაჟის სახით, თუმცა ძალზე სქემატურად და პლაკატურად, გამოყვანილია შოთა რუსთაველი. ის „დიდ იშხან ზაქარეს“ პატარა აზნაურია და ლექსებს წერს...

რას წარმოადგენს ქართველი ერის სიამაყე, ყოველი დროის უდიდესი პოეტი რუსთაველი ვერმიშევის წიგნის მიხედვით? ერთ ყოვლად უინტერესო და ულიმღამო მეხოტბეს მეფის კარზე, რომელსაც ღრმად განსწავლული და აღმოსავლური პოეზიის დიდი მცოდნე „ზაქარე“ უფროს-უმცროსობის წესით იმასაც კი ასწავლის, თუ პოეტმა როგორ უნდა დასწეროს პოემა და რა არის გასასწორებელი „ვეფხისტყაოსანში“ (იხ. გვ. 414).

არანაკლებ განცვიფრებას იწვევს „ზაქარეს“ რომანი... თამართან. ამ „რომანს“, ვერმიშევის ავადმყოფური ფანტაზიის ძალდატანებით, თვით თამარიც იზიარებს. საქმე იქამდეც კი მწვავდება, რომ მეფის ავხორცობის არასასურველი ხმები მთელ სამეფოში გავრცელდება. წაყრუება უკვე შეუძლებელია. მეფის მამიდა რუსუდანი იძულებული ხდება, სიყვარულისაგან გონარეულ ძმისწულს მრისხანე წერილი მისწეროს ვარძიაში. „ზაქარე“ თამარის ნაჩუქარ მედალიონს ატარებს პერანგის ქვეშ. მედალიონში თამარის სურათია. ამის გამო „ზაქარეს“ სხვა სატრფო, ვარპეტ ტიგრანის ქალი აშხენი, ეჭვიანობას იწყებს და ა. შ. და ა. შ.

აკი ავტორი „დიდი სიმპათიით და ცოდნით ხატავს ცნობილ ქართველ მეფეებს — გიორგი მესამეს და თამარ დედოფალს, ქართველ სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეებს, დიდ პოეტს შოთა რუსთაველსო“? ასე არ დასწერა „გრაკან თერთში“ მწერალმა მ. შატირიანმა? ვის სინდისზე შევაგდოთ ახლა მთელი სომეხი ხალხის გასაგონად ნათქვამი ეს ტყუილი?

ნუთუ დღეს საჭიროა იმის თქმა და მტკიცება, რომ არცერთი თავმოყვარე, წიგნიერი, არათუ „ღრმად ერუდირებული და რამდენიმე ენის მცოდნე“, თავისი ხალხის სულიერ საუნჯეთა გულწრფელი მოამაგე ადამიანი სხვა ხალხის სახატეში შესვლას და იქ უკლებლივ ყველა წმინდანის შეურაცხყოფას და შეგინებას არ იკადრებს? ვაგლახ, თურმე საჭირო ყოფილა...

მაგრამ ასე რამ გააბოროტა ვერმიშევი? ასეთი გაუგონარი და ბინძური შურისძიება გულში რად ჩაიდო? თავისი მეორე სამშობლო ასე რამ გააწირვინა?

ულირსი საქციელით, როგორც ცნობილია, ადამიანი არცხვენს და ჩირქსა სცხებს მშობელ ხალხს, ქვეყანას, ოჯახს, მეგობრებს, მაგრამ ბოროტმოქმედთაგან იმის იმედად ნურავინ იქნება, რომ მისი ბოროტმოქმედების გამო პასუხისმგებელი ხალხი, ქვეყანა, ოჯახი, ახლობელ-მეგობრები გამოვლენ. არა! ყოველ ულირს საქციელზე ადამიანები პირადად აგებენ პასუხს, ისე რომ გ. ვერმიშევის დანაშაული, პირადი დანაშაულია თავისივე ხალხისა და სამშობლოს წინაშე. ეს დანაშაული ერთნაირად საზიზღარი და დახაგმობია ყოველი პატიოსანი სომხისა და ქართველის თვალში.

განვლო დრომ. ისტორიის ჩარხი წაღმა გადაბრუნდა.

საქართველომ დიდი ხანია მოიშუშა მომაკვდინებელი ჭრილობები და კრწანისის ველზე საბედისწერო დამარცხების შემდეგ ერთმორწმუნე რუსეთის ფრთებს შეფარებული, როგორც ოდესღაც, მსოფლიო რენესანსის გარიჟრაჟზე, თვითონ მან შეიფარა კიდევ უფრო შავ დღეში მყოფი ძმები, სომხები, მკვდრეთით აღდგა. მის მეზობლად, აგრეთვე რუსი ხალხის ძმური და უანგარო დახმარებით, ბრწყინავს თავისი გმირული წარსულით, აწმყოთი და მომავლით მაღალი სომხეთი. ქართველი და სომეხი ხალხები კვლავაც მხარდამხარ მიაბიჯებენ ისტორიის დიდ გზაზე და ორივეს კარგად ესმის, რომ როგორც წინათ, ისევე დღესაც, მტერიც ერთი ჰყავთ და მოყვარეც. მათ უკეთეს შვილებს, ახლაც და მომავალშიაც, ყოველთვის წინ წაუძღვება და გზას გაუნათებს დიდი სომეხი პოეტის სიტყვები, ვინც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე საქართველოში, ქართველებს შორის გაატარა და სამუდამო განსასვენებელიც თბილისის მიწაში ჰპოვა:

„Тот армянский деятель, который не становился на защиту Грузии, — не понимал своего народа и своей истории; и тот грузин, который не защищал армян и Армении, — не понимал грузинского народа и исторических путей Грузии“.

ვაგლახ, დიდო ოვანეს, რად არ ესმით შენი ეს წინასწარმეტყველური ანდერძი ქართველ-სომეხთა მეგობრობის ცრუ მქადაგებლებს გ. ვერმიშევს, მ. შათირიანს და სტ. ზლობინს, იმათ, ვისი სიტყვა და საქმეც ისე შორი-შორსაა ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა.